

K 117991

3

ԱՐԵՎԱԿԱՆ

ԱՐԵՎԱԿԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

805-3  
საქართველო  
გიგანტი

# კერავია

1117. 991  
3



„ლიტერატურა და ხელოვნება“  
თბილისი  
1965



## ეროვნული ბიბლიოთეკა

მელანია ლიტერატურით ფსევდონიშია მწერალ ნიკოლოზ ნა-  
თიძისა (1853 — 1921). მისი მოთხრობები „ბნელო“, „ნავრდობა“,  
„ქედნის ლულუნი“ და სხვები დღესაც ინტერესით იყოთხება. წინა-  
მდებარე წიგნი ნათელ წარმოდგენის შეუქმნის მეთხედს ძველი  
სოფლის რღვევასა და კაპიტალიზმის შემოჭრაზე საქართველოში.  
შეცვილი თვალის შეონე მწერალი შესანიშნავად გვიხატავს გლეხთა  
და ვაჭართა უოფის სანტერესო, კოლორიტულ სტრატეგის, ტიპებსა  
და სახეებს.

ზოგი შეაღინა, გოლოგიდუბაობა, პიგლიობრაზია და  
სიჩვიჩის ახსნა დაურთო კითო ხანი იმპერატორისა.



საქართველოს  
ეროვნული



## გ 6 0 ღ (1)

### I

სოფელ მრავლეთში, ერთს მივარდნილ ადგილას, იდგა დიდი, ჩალით დახურული ქვიტყირის სახლი, რომელიც ირჩეოდა სხვა სახლებისაგან მ-თ, რომ მარცხენა კედელში ჰქონდა ჩამული მოხრდილი დახვრეტილი ფიცარი. ეს ფიცარი ასრულებდა ფანჯრის დანიშნულებას. სახლის დერეფანი გადაყურებდა პატარა ლელეს, რომლითაც თავდებოდა ფერდობითი ეზო სახლისა. ეზოში, გარდა ოთხის ძირის კაკლისა, იდგა ხეები ლელვისა, ბროშეული, ქლიავა და უფრო მომეტებულად, ფურცლები (თუთები). ეზო ყოველთვის შემოულობავი იყო და შამბნარით მოცული. მარცხნივ, სახლის გვერდზე ყალთალიანზედ, ფანჯრიდგან წერ-დ-რვა ადლზედ იდგა ერთი დიდი ფურცელი, რომლის ქვეშაც აღილი მოტიტვებული იყო. ფურცლის ძირის იდო დიდი ლოდი.

კვირა დღეა. წვიმიან ლამეს მოპყვა ბრწყინვალე მაისის დილა, რომლის წყალობითაც მშემ მალე შეუშრო დედამიწას პირი. იქნებოდა ათი საათი დილისა. ფურცელქვეშ ქვაზედ იჯდა ერთი სასულო-ერო წოდების კაცი. ხნით არა ნაკლებ ორმოცდათხუთმეტი წლისა, მაგრამ ხანს ჭერ კ-დევ საქმაოდ არ მოეხარა წელში. იქნება ეს იმისგანაც მოხდა, რომ ეს პატივცემული კაცი ტანდაბალი და ტან-მსხვილი იყო. იმისი პირისახე დაფარული იყო კალარა წვერ-ულვა-შით, მხოლოდ დიდი კეხიანი ცხვირი და ოვალის ძირებთან პატარ-პატარალა დარჩომილი უბალნოდ ლოყის თავები უბრწყინავდა წითლად. დიდრონი ჭროლა თვალები, რომელთაც გაღმოპჟარებოდნენ ზემოლგან ჭაგარი და ჭალარა წარბები, ისეთს სახის გამომეტ-ყველებას აძლევდა, რომ იგი უნდა ყოფილიყო ან ძლიერ მრისანე კაცი, ან ბეკცი. დიმიკიტონის ანაფორის კალთები აქეთ-იქით ჰქონდა ჩამოშვებული. ფეხები განიგანს გაედგა, წინ იყო წახრილი და

მუხლებზედ ნიღაყვებდაბჭენილი ხელები ერთმანეთზე ჰქონდა და დახლართული. ხელებსა და მუხლებს შუა ამოტარებული წერებულის გონი ჰქონდა მიყუდებული მარჯვენა მხარეზე; თავზე ეხურა გაქუცული კალმუხის ქუდი. ეს კაცი გახდა თავზე მრავლეთის მთავარზიავანი სპირიდონ ტაბლიაშვილის მიერებული მთავარზე ცოტა მოშორებით დაპყუდებოდა მარცხენა იღლით ტყემლის გონი მეტისმეტი სიმაღლისაგან წელში მოხრილი, წვერ-მოვარსული, პირბმელი, თვალებჩაცვინული, დიდებილა და დიდ-ცხვირა, თხელ უსწორმასწორო ულვაშება, გრძელ, გარეშემო შემოკვეცილთმიანი იმავე სოფლის დიაკვანი იასე ქელეხაძე. სახელი „იასე“ არსებობდა მარტო მეტრის წიგნში. უიმისოდ კი, თუ „დიაკვანის“ არ დაუძინებულენ, მიშმართავდნენ ხოლმე მეტის სახელებით: „კანჭიყლაპიავ“, ანუ „სახადის ანგელოზო“ — ვისაც რომელი ეხერხებოდა. უკანასკნელი სახელი იმან დაიმსახურა თავისი უშიშრობით სახადით გარდაცვალებულთათვის დავითინის კითხვაში. იმას ტანთ ემოსა შავი ლეკური შალის ჩოხა-შარვალი და თეთრიანი ჩითის ახალუხი. თავზე ეხურა მაღალი შავი ბატქნის ტყავის ქუდი, გვერდზე ცაჩიტესილი; ფეხთ ეცვა საცვეთიანი წალები. წლოვანობით მთავარდიავანზე უმცროსად მოჩანდა.

მათთანვე ახლოს იდგა სოფლის მნათე ანდრია — მეტი სახელი ციმფა — ბორბაშაძე. მნათეს მარცხენა ხელში საცეცლური ეჭირა და იმავე იღლიაში შესამოსლის ბოხჩა ჰქონდა ამოჩილი. მარჯვენა ხელში კი ეჭირა ტყემლის გონი, ფერით წითელი და კრიალა მთავრისა და დიაკვნის გოხებზედ, და უჩინებენ დედამიწას. იმისი ბლვრიალა, ძალზე დაწითლებული და სცყვითლებორეული თვალები კაცს ჩაყლაპებს უქადოდა. სქელი, შავი, ბოლოდაწეპილი ულვაშები ცხვირის ნესტორებთან ბურნუთის წევისაგან დაპყვითლებოდა. ეტყობოდა, პირი კი იმ დილით მოეპარსნა: ნაწვერალ ალაგს არა ჰქონდა ჭერ მიღებული საზოგადო ფერი პირისახისა და ისევ თეთრად გამოიყურებოდა. მოკრეჭილ თავზედ ეხურა ნაბდის ქუდი. ტანზე ეცვა ისე, როგორც დიაკვანს, მხოლოდ ყველა სამოსელი ნაკლების ხარისხისა იყო, ფეხთ-ზონრით შესაკრელი ჩუსტები და პაჭიშები. წლოვანობით დიაკვნის კბილისა იქნებოდა.

სამივეს რაღაც უკმაყოფილება ეხატებოდა პირისახეზედ. ხანგრძლივის მდუმარებისა შემდევ მნათემ შეპხედა მთავარს ცერიდ და სოჭვა ღიმილით:

— ე ლვდელი რატო არ გამოდის, რო შეუვარდე და ურთიო თე  
ორი... ავაკვანინო!

— მოგშივდა, ციმფავ, განა? — ჰეითხა მთავარმა.

— მე კი არა, აი, ე დიაკვანი მეცოდება, რომ მოკეცილი, ლამის ქამარი დაეკარგოს. დავითნის კითხვაც არ შეკულებულ არა, რომ ცოტა პირი მაინც გაეცმაცუნებინა.

— შენ ხომ არ ეწანწლება სული ბოზბაშისთვინა და?! — უპა-  
სუხა დიაკვანმა.

მნათეს ნერწყვი მოუვიდა პირში და სთქვა:

— ოქ, ბოზბაში, ბოზბაში, ის დალოცვილი ბოზბაში!

— მგონია, ციმფავ, ორი დღეა არაფერი გიჭამია? — ჰეითხა მთავარმა.

— ჰე, მთავარო, როგორ არა მიჭამია ჩა, მაგრამ, თუ ი დალო-  
ცვილი ბოზბაშის სუნი არ დატრიალდა შუცელში, თუნდა ცხრა  
ხელი ჭამე დღეში, სულ ერთია: მაინც შუცელს ვერ ვიძლებ!

— მაშ კარგად გაქვს მომზადებული შუცელი? — ჰეითხა ისევ  
მთავარმა.

— ამანაც რომ არ მოამზადოს, თითონ მომზადება, — ჩამოარ-  
თვა დიაკვანმა. — ე დალოცვილი ლვდელი შეძრა ი სახლში და  
ალარ გამოდის, ერთი ლოქო ძლიერ მოხვდა ბაღეს და ლამის ისიც  
წაგვივიდეს!

— ნეტა, რომელი კანჭი გელოდება, დიაკვანო? — უთხრა მჩა-  
თებ. — იცი. მთავარო, ეს ჩასა სჩადის? დიმიტრის ხომ ქელეხებში  
მზარეულობისათვის კოლის პურს არ ართმევს: ჩა არი, ქელეხებში  
კარგი კერძი მომართვასო. ისც ჩააგდებს ვეებერთელა კანჭს,  
აუცხებს ჭამს და უგზავნის.

— შენა? ი ლვდელი რო უკეთებ ჭოხებს, ეგები თავისი კერძი  
ხშირ-ხშირად გაღმომიდგასო, ის რაღა არი?

— ექ, ლვდელი ეხლა თითონაც დაქიმითულია, მე რაღას გად-  
მომიდგამს თავის კერძი! ორი-სამი ქელეხი უნდა იყას ერთად,  
რო კაცს იმედი ჰქონდეს. მთავარო, ამან ციცევალ დააჩება თავი  
ყელვას, გუშინ სილამოს რო უთხარი, მაგრამ მხრები კი ისევ მალე  
ჩამოყარა, როცა მოაგონდა, რო დავითნის კითხვა ამისი ჭერი  
არ იყო.

— რაღა დაახსოვდება კაცს ამდენ ხანს? ალარც კი მახსოვს!

— მართლა და ძალიან პირი შეეკრათ! — წამოიძახა მთავარმა.

— მეონი „შეგვიწყალენი“ დაგვავიწყდა კიდეც, მთავარო? უთხრა მნათემ.

— „შეგვიწყალენი“ კი არ დაგვავიწყდა, მაგრამ... უყურე, როგორ ჩავაბულბულ!

— რა ვიცი, ის ოხერი ჩ-ნი გადგა და აქ რაღა ლექტორი ჟურნალის რა?

— ისე გულზე მოვდიოდი, რომ უნდა ჩ-ში მემეპარა მკვდარი და მიმეტრივ-მომეტრივნა სოფელში, რომ ეგებ აქეთაც გადმოხედნა ღმერთს. სუ ამ „სახალის ანგელოზის“ ბრალია, მისი ეშინიან სიკვდილს! — მიუბრუნდა მნათე დიაკვანს, რომლისგანაც მიიღო პასუხად:

— ჯერ არ დაიცდი, დავასუქოთ! თორე მჭლე მკვდარიც არ ვარგა.

— ეხლა კი გზა გაიხსნა; ამას იქით აღარ მოგვაყლდება, არა, ციმფავ? — ჰეითხა მთავარმა.

— მართალს ამბობ, მთავარო, დოლი დაგვეძრა. ხორც ტებილობა ეხლაა, მკვდარს ეხლა აქვს გემო, თორე როცა რიგები გააჩნდება, მაშინ რაღას ვაქნევ!

— ამან რაღაცა იცის. ვისაც მიუიოტივით შესჩავლებს, აღარ გადაუტჩება. ერთი კვირის წინათ მითხრა: თვალიაანთ ზურია კანჭს მოგვარტყამსო და აი ასრულდა კიდეც, — სთქვა დიაჩიქმა.

— ყორანს ხომ ერთი თეთრი ბუმბული აქვს ფრთაში და როცა ამ ბუმბულში ჩაიხედავს, ლეშს დაინახავს, საცა იქნება. მე კი იღლიაში მაქვს ერთი ბეწვი, როცა იმ ბეწვში ჩაეიხედავ და შიგ მკვდარს დავინახამ, უეპველად გვეყოლება მკვდარი. რა დროსაც ვეკუოლება, იმას კიდევ ყური შემატყობინებს ხოლმე. თუ ყურმა ვამწივლა, ვაი იმის დედის ღმერთს, ვინც ავად არი! უთუოდ ჩაგვიკარდება კლანებში, — წარმოსთქვა მნათემ ლიმილით.

იქნება კიდევ ბევრ სხვასაც ილაპარაკებდნენ, რომ სახლიდან არ გამოსულიყო სოფელ მრავლეთის მლედელი მამა ქრისტესია ჭამია-  
ს შეილი და თვალების ეურით არ გამოეწივნა ფურცლისაკენ. მამა  
ქრისტესია იყო შუა ტანისა, მსხვილი, მხარბეჭიანი, მხოლოდ დიდი  
მუცელი უმცირებდა სიმაღლეს: ასე რომ, პირველ შეხელვით, მანამ  
მთავართან მდგომარეს დაინახავდა კაცი, ტანდაბალი ეგონებოდა.  
პრგვალი პირისახე მამა ქრისტესიას წითლად ულვიოდა და თეთ-

რი თმა-წვერით ჰქონდა შემოხვეული. მხოლოდ ულვაშებში და  
წინ სწორედ წამოსულ წარბებშიღა ერთა აქა-იქ შავი თხა. სიწილი  
ლით არც თვალები დაუვარდებოდა პირისახეს. ცხვირი თემტკა  
ზიდი არ ჰქონდა, მაგრამ მთელი კანატის ნაწილები საჭირო იყო  
ლებული ჰქონდა და ზედ ამოსვლოდა ჩამდენიმე ტაქტონიკა უკიდეს  
თავშედ ეხურა კალმუხის ქუდი, ლილისფერის მაუდის ანაფორის  
კალთები მოეკრიბნა უკან გაბრუნებულ მარცხენა ხელში; მარჯვენა  
ხელში ეკირა მნათეს მიერ მირთმეული ტყემლის ჭოხი, რომელზე-  
დაც იყო გამოსახული რაღაცა ფრინველის თავი. ტერნოს კაბის  
ქვეშიდან გამოუჩინდა ქუსლებ უკან წასული ხარაზული წალები.  
წლოვანებით შესამჩნევი მეტნაკლებობა არ იქნებოდა იმასა და  
მთავარს შეა.

მამა ქრისტესის დანახვაზე ელვასავით გადაურბინა ყველას  
პირისახეზედ ლიმილმა, მთავარდიაკვანი წამოღვა ფეხზე და სამი-  
ვენი შეემზადნენ სალმის მისაცემად. ყველამ ქუდები მოიხადა, და,  
თითქმის ერთხმად, წამოიძახეს — „შენდობა, მამაო“. მნათე მარჯვე-  
ნაზედაც ეამზორა. მღვდელი არც კი შეჩერებულა ფურცელებეში,  
გასწია სოფლისაკენ და დანარჩენნიც დაედევნენ უკან. კარგა ხანს  
ჩუმად იარეს. მერე კი ვეღარ მოითმინა მნათემ, მიმართა მღვდელს.

— მღვდელო, ე რეერთი გვალოდინე? რა ხანია კაცი მოვიდა,  
კხელარი მზად არიო!

— არ გვადრება, რო ელოდო, — მისწვდა პირში დიახოკი, —  
კაცმა ჭილდოდ სკუფია მიიღო!

მღვდელმა მხრები შეათავაშა და მეღიღურად უთხრა:

— რა იყო, კიმფავ, წაგივიდა სული?

— ეს, შე დალოცვილო! როგო არ წამიგა სული, რო კვირაცხო-  
ვლობას აქეთ ჩემ ულვაშებს ცხიმი არ მოშველრია, და ჭოხი  
კიდე აღარ ბჟყერიალებს, რო ბოზბაშიანი ხელი აღარ წამისვამ?

— შენმა მზემ ძალიან მსუქანი მკვდარი კი გყავს!

— ისეთი კედილები გატარეს, რო დუმებს ძლივ მიათრევდნენ!

— მუცელი თუ ამოიყორე და ჭიბე კი ცარიელი წამოიღე, აგი-  
შენდება ოჯახი!

— მე იქნება მართლა გაძლომის მეტი არა შემრჩება რა, მაგრამ  
შენ რა გაშინებს?

— მე კი, მე ვიცი, „პოლიმპრიალებს“ დამითვლიან! ნეტავი მე  
ვარშანდელი კოდის პური არ დაშეკარგნა, თორემ წინგასაძლოლსა

- და საანდერძოს ვინდა ჩივის. იღბალი რომ ამ კანჭის-ყლაპიას აქვთ:
- ✓ სუ ბედაური ხალხი ეხოცება!
- შენ კი დაგევარება, ლვდელო, რა? — ჰეითხა ფიაჩიმა.
  - დაყარგული არ არის, აბა მაშ ვინ ჩამაბარებული წერება.
  - ისეთი ღატავი ბიჭი დარჩა, რომ ორ წელიწლში ჩემი უსაფრთხო მაგირობას შეიძლება; მოიცვანე შინ და იმსახურე.
  - ერთა! ყველა რომ მოჯამავირედ დავიქირო კოდის პურში და სამეცნიეროში, რაღა ვჭამო? შენც კარგ ჰქვაზე მარიგებ!
  - ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მნათემ:
  - ჩვენ ტყუილად უცცადეთ, დიაკვანო, მოძლვარის აქამდინ რო წავსულიყავით და ღავნაყრებულიყავით, კარგი იქნებოდა.
  - როგორმე სამზარეულოში უნდა წამოვყოთ თავი და ცოტა
- ✓ ფერდი ამოვილოთ, თორე იქ რა ეშმაკი ააღწევს!
- ერთი კარგი მწვალი კარგი იქნება! — უთხრა მთავარმა.
  - შენც აპირებ თუ? — ჰეითხა მღვდელმა.
  - მე რაღა ვარ? უფრო მაგრა არ დავიძახებ „შეგვიწყალენს!“
  - შავარცხვინათ ღმერთმა!
- ამ ლაპარაკით მიუახლოვდნენ „სასოფლოს“.

## II

### სასოფლოზი

შეა სოფელში კი არა და, არც ძლიერ განაპირებით, სცხოვრობდა ერთი შეძლებული გლეხი, მამულაშვილი, ხალხმრავალ ოჯახის პატრონი. ოჯახი სცხოვრობდა დიდ, უზარმაზარ ქვიტეირის სახლში, რომელსაც უკანა კიდელი ზედ სასოფლო გზის პირას პქონდა ამოყვანილი. მარჯვენა მხრივ საბლს ჩაუდიოდა საურმე გზა, მარცხნივ კი ზედევე პქონდა მობმული ქვიტეირის დიდი მარანი. მარნის უკანა კედლიდან დაწყებული, გზის პირად იყო გაჭიმული მაღალი ძეძვის ღობე, რომელიც ორმოცის აღლის შემდეგ ერთიანდებოდა და ზღუდავდა მარნის გვერდზე მდებარე ხეხილიან საფუტერეს. ღობის პირში შიგნიდან იდგა მწყრივზე სამი კაკლის ხე; გზის მხარეს კი იყო მიწყობილი ღობის ძირზე მუხის ხერგები, გზის მეორე ნაპირსაც ასეთივე ღობე პქონდა გავლებული. ამ ორლობეში წვიმების დროს იცოდა საშინელი ტალახი, მაგრამ, რა ტალახიც უნდა ყოფილიყო, მაინც კვირა-უქმე დღეს აქ მოიყრიდნენ ხოლმე თავს

მცხოვრებლები, სასოფლო საქმე ექნებოდათ, თუ გულის გადასაყიდვა  
ბა ენდომებოდათ. მისიათვის ეს ორლობები იწოდებოდა „სასოფლოდ“.

სოფელში ბევრი სხვა უკეთესი ადგილები იყო, საღვარშიც ფულები  
მცხოვრებელთ მოქადინათ სასოფლო ყრილობა, მცხოვრებელი ეპუნები  
ბოდნენ ამ ორლობებში არა ადგილის უკეთესობით, არამედ სავა  
მიზეზების გამო. ორმოცის წლის წინათ (რა დროდანაც ჩვენი  
მოთხოვობა იწყება) მამულაშვილების ოჯახში გარდაიცვალა ერთი  
ლრმად მოხუცებული ბერიყაცი დათია. დათიას დიდად პატივსა  
სცემდა მთელი სოფელი და უკელას მაგალითი იყო, როგორც კარგი  
ხელსაწინ ურმისა, გამოცდილი გუთნისდედა და მეფეუტერე. მანამ  
ჯანი და ლონე ნებას აძლევდა, დათია ტყესა და მინჭორში აღამებდა  
და ათენებდა. როცა აღარ შეეძლო ბევრი სიარულის ატანა, ხელი  
მიძყო ფუტერას და შინად ურმების კეთებას. იყივლებდა თუ არა  
მავალი, დათია ფეხზე იყო. საქმის დღეს უსაქმიო ვერავინა ნახავდა,  
კვირა-უქმე დღეს კი იჯდა მთელი დღე საფუტერეს უკან გზაზე  
და ვისაც მოახელებდა, დაუწყებდა ლაპარაკს. იმისი სალაპარაკო  
იყო ან ურემი, ან გუთანი, ან ფუტერარი.

სიბერის დროს ძეელ ამბებზედაც გადადიოდა. ლაპარაკის დროს  
ხშირად ხმარობდა, როგორც დასამტკიცებელ საბუთს: „გარჯილო-  
ბას რა მოპერნდა და საწუთო დაულეველიო“. ამნაირად დათიამ  
მიიზიდა სოფლის მკვიდრნი და კვირა-უქმე დღეს ყველა ამ ორლო-  
ბისკენ მიერმარებოდა, რათა გაეგონათ იმისგან ან ავი, ან კარგი.  
ხალხს ჩვეულებაზ გარდაექცა ამ ორლობებში თავის მოყრა და  
დათიას სიკედილის შემდეგაც აქ იყრიბებოდა. თვითონ ოჯახიც  
კი ძალაუნებურად იზიდავდა ხალხს. ძნელად მოიპოვებოდა სოფელ-  
ში ისეთი კაცი, რომელსაც წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ არა,  
ერთხელ მაინც არ ეკამა მამულაანთ ოჯახში პური. თუ ვინმე არ  
მოცვევებოდა „მამითადში“, მყათათვეს, ან „ალილობას“, ან „ბერი-  
კობას“, ან „ყეინობას“ მაინც გაიღებდა გემოს მამულაანთ პურ-  
ლვინისას. მამულაანთ რძლებიც პურის ცხობის დროს ხშირად  
გამოუჩენინებდნენ ხოლმე თბილ-თბილ პურს გზაზედ მსხვომთ.  
მას შემდეგ უფრო დამტკიცდა ამ ადგილს სასოფლო, როცა ერთმა  
სომხის ბიჭმა, არტემა არზუმანოვმა, გააღო მამულაანთ საფუტკის  
კუნკულში პირველი დუქანი სოფელ მრავლეთში.

არტემას წინათ საწვრილმანო დაპერნდა იღლიაში ამოჩრილის  
კუთით, მერე ვირით. ბინა ყოველთვის მამულაანთ ოჯახში—მარან-

ში პქონდა. რომ ცული ხმა არავის დაეგდო, ოჯახმა დაბნებოდა არტემი. შემდეგში, როგორც ნათელ-მირონს და ამასთანავე კალს, მამულაშვილებმა დაუთმეს საფუტკრის კუნკულში, უქო რაოდ საღუქნე ადგილი და თითონვე უფასოდ აუშვიტცი ზენტრალი პატარა დუქანი. არტემი ბუნებით სულელი არ იყო რიჭული ცისტების ეს თაეს ისულელებდა, ასე რომ მთელ სოფელში დელაკაცები „რეტიანს“ ეძახდნენ სახელის მაგივრად და მამაკაცები „დამთხვეულს“, ანუ „დაუპეტვინეს“. კაცს თუ ქალს, დიღსა თუ პატარას, კველას გაურჩევლად ეხმაურებოდა და ებლლაძუნებოდა. ვისაც უნდა ელაზნდნა ან ეცემნა, არც პირს, არც ხელს არავის უბრუნებდა, თუნდ იმაზე პატარა ყოფილიყო: ყველა ხუმრობით იგე-ჩიებდა.

ამნირის ქცევით არტემიმ შეაყვარა თავი მკვიდრო და კვირა-შემე დღეს ბევრი იმის გულისათვესაც მოდიოდა სასოფლოზე, რომ არტემი ეყვირებინათ. მიწეზსაც მაღლ იპოვნილნენ ხოლმე. ყველამ კარგათ იცოდა არტემის ხასიათი, რომ ნისიებს წაუმატებდა ხოლმე. ვასაც უნდოდა არტემის წვალება, მივიღოდა და ეტუოდა: „აბა, ერთი დავთარი მაჩვენე, ჩემშედ რამდენია?“ დაეთრის წაკითხვის შემდეგ დაუწყებდა არტემის ცემა-ტყებას და ესეც მოპყვებოდა ყვირილს. ამ ყვირილით საქმე თავდებოდა: არტემი მაინც ყველასგან მოუკლებლად იღებდა, რაც დავთარში ეწერა.

კრებულზედ ერთის ფეხით წინ სასოფლოზედ გამოიარეს სხვა-დასხვა მგზავრებმა. ერთი ახალგაზრდა ბიჭი მოუძღოდა წინ კვიცი-ანს ცხენს, რომელსაც ეკიდა ლურჯი ხამის სუფრაგადაფარებული ხურჭინი. ცხენს უკან, მეორე ხანში შესულს კაცს მოპყვანდა ყელზე აპეურშებმული თოხლი. ამათ უკან მისდევდა სამი ძველ-ქათიბა მანდილოსანი, რომელთაც წინა კაბის კალთები სარტყელში ჩაე-კეცნათ და მკლავებზე გადაედოთ თეთრი დაკეცალი მანდილები. ამათ დანახვაზე ხალხში, რომელიც ბლომად შეყრილიყო სასოფ-ლოზე, ლაპარაქის საგანი გამოიცვალა.

— აბა, ე ვინ გადაიცვალა, კაცებო? — წამოიძახა ერთმა და მის შემდეგ გააბეს ყველამ.

— ვინა და, საწყალი თველიანთ ზურია.

— ო... ვაპ!

— საწყალმა აკი ვეღარ იყეთილა-რა, რაიც ი ბატონმა გალახა!

— აი, იმი ცოდო და იმი ცოლ-შვილი ცოდო ნუ  ლვდელს, როგორც იმან დაიდო იმი ცოდო!

— თავი დღეში არ გამიგონია, რო ყურძნის ქურდებულები ჩაითვალოს! ხილს რო პირი პეტონდეს, თავისთავს თითონ ლექტორების და ღამი მეტერებ რო ყურძენ არ მოიპაროს, რაღა...

— ყურძნის მოპარვა კი შეეძლო საწყალს?

— მე მკითხოთ, როგო იყო? — წამოიძახა ერთმა ყმაშვილმა ბიჭმა: — საწყალ ზურის გემოთაც არ უნახამ მაშინ ყურძენი. აი როგორ იყო: საღამოთი ძროხა ძეძველებზე შამოვაყოლეთ. ბინაზე რო მივრეკეთ და დავათვალიერეთ, ნინიამა თქვა: „ნიმა დეკეული მაკლიაო“. ი დასაქცევი არ წავიდა მოსანახათ. „სა წავაო, სანდროს შევალოცინეფო და ფიქრიც არ არიო“. დავაცადე და, ი საწყალმა ზურიამაც დამძღარი გუთნიხარი ჩეენ ბინაზე მორეკა, რადგანაც მხანაგი შინ დაპითხვნოდა, მერმე ბიჭებმა ვთქვით: მოდი ერთი ბატონიანთ ზვარს ვეცნეთო და გულები დავჭრეთოთ. საწყალმა ზურიამ ბევრი გვიშალა, ნუ წახვალთ, ა იქ საფრთხეში არაში ჩას-ცვიცდეთო. მაგრამ არ დავიშალეთ, ვედექით ხუთი ბიჭი და წავე-დით. მე და ნინია მივიპარენით ქოხთანა; დაჭყლეტილი მტევნები მუქაში გვეჭირა მომზადებული, რო, თუ გამოსულიყვნენ მეზვრე-ები ქოხიდან, თვალებში უნდა გვესროლნა, მაგრამ იქ დალოცვილე-ბი ისეთ ღრმა ძილში იყვნენ, რო ფეხიც არ გაუქნევიათ. ბიჭებს გულები გაეჭრნათ და ახლა ჩიხიერალთები გვეწვერნათ. როცა პინაზე მიველით, ზურის ხაზი ალარა ჰყვანდა, ეეშალნა და გვერე-ნა. მეორე დღეს ნინია წავიდა მოსანახად და მგლისგან გალელილ დეკეულს კი მიადგა. არ ვიცი როგო გაეგო ლვდელს, რო ჩეენ იმ ლამეს ყურძნის მოსაპარად ვიყავით, მაგრამ გუმანი კი სვიმონაზე მიერტანეთ — იმან დაგვაბეზღა ლვდელთან. ლვდელიც წასულიყო და ჩეეკენჭა ბატონისათვის. დაგვიბარა ბატონმა ყველა მეძრობები და ი საწყალი ზურიაც. ჩეენ ბიჭებს სამ-სამი, ოთხ-ოთხი სახრე გა-დაგვაწნეს. მხრებზე და ი საცოდავი ზურია კი წააქცევინა და სუ გველივით გააქრელებინა როზგით: მე დიღი ხანია შენი გავრი შეიირსო. საწყალმა ბევრი იყვირა: მე არა ვარ დამნაშავეო, მაგრამ ბატონი ეძახოდა: დაქარითო, მოღალატე ყმას ე მაგრე უნდაო! ვეჭოფ, განაყოფის დაბეზლებული იყო, რო ისე ბოლმამ გახეოქა. სუ იმას იძახდა: დედა ვაცხონე და მამა ლვდლისა, რო იმან შენი თავი ხელში ჩამიგდოვო.

— ა არ დაულიოს იმისი ცოლ-შვილის ცოდო, როგორც მინე /  
ეხლა ყელგამოქრილები დაჩჩნენ!

— ეგ სახარდაცეული, ეგა, რაერთ ნაენებსა შეტეჭაშეცუწული  
მოიძახა ძმამ, — ჩვენ არ ვარგივართ, თორე ეგ აქამდებრულებულებ  
ბოგინობდეს! ხო გვაზღვევინა მაგ სახარდალუპულმა, რილაპთვინ  
აბეზლებდა, რო ერთი კომლი კაცი სოფელსაც დაუკარგა და ბა-  
ტონსაც.

ეს სიტყვები წარმოთქვა დაბალის ხმით, რადგან კრებული მო-  
ვიდა სასოფლოზედ. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, ქუდები მოიხადეს  
და მიმართეს მღვდელს: „შენდობა, ბატონო!“ პასუხად კრებულმა  
უთხრა: გაყურთხოთ ღმერთმანაო, და დაუმატა, „ნეტავი ე მაგრე  
ერთგულად ეკლესიაში იარებოდეთ!“

— შე დალოცვილო, აღდგომას აქეთია, ორჯელ არ გიშირამ  
და ეკლესიაში რიპოვინ ვიაროთ! — მიუგო ერთმა.

— არავინ კი იარება და ვის ვუწირო?

— არ ვიარებით და აყი ლერთაც იმიპოვინ გვახდევინება! —  
სთქვა ერთმა მოხუცებულმა.

✓ — რას ამბობ, თევდორე? დავდივართ თუ არა, მავს რა დავა  
აქვს! ჯამავირს იმიპოვინ ვაძლევთ, რო ღმერთს ჩვენ მაგივრად  
შეეხვიწოს და მოსავალი მოგვგვაროს, თორე ი ჩანას ნიტრას რო  
მაიტანს, საიდამ უნდა აეუწყოთ კოდი პური? ე ცა და ღრუბელი  
რო შაიკრა და ერთი ბეწო ნაში აღარ გველირსა, მაგისი ვალი არ  
არი, რო ილოცის და წვიმა მაიყვანოს? — წამოიძახა ნინიას ძმა.

— აი, მები კი დაგეცა მაგ წვინტლიან თავზედ! ცა და ღრუბე-  
ლი რამ შაკრა? თქვენმა ცოდომ შაქრა: ღვთისა თქვენ აღარ გვში-  
ნიათ და მღვდლისა, ერისა და ბერისა. კვირა დღე თქვენ არ გაგა-  
ჩნიათ და უქმე!

— სალოონები ხო დავიწყებას მიეცით და აღარას აჩემებთ! —  
სთქვა ციმფამ.

— სალოონები კი არას დაგვავიწყდება, მაგრავ... იმ კვირია  
ვაპირობთ, — დაამშვიდა ერთმა ციმფა.

— გვალვა კი არა, მე მიკვირს, რომ ღმერთი მარტო ამას გაკ-  
მარებთ და ცეცხლს არ მოუდებს ქვეყანას! ვის გაუგონია, რომ  
მართლმადიდებელმა ქრისტიანებ იოანე ნათლისმცემლის თავის-  
კვეთის დღეს გუთანი შააბას და ხნას? განა იმ ნახნავში უნდა  
გასტყვერეს რამე? ცოტაც არის თქვენთვის ეს სასჯელი ღვთისა!

— ლვდელო, ე ლმერთქვეშ ნუ გვაგდებ, თორე.. — უთხრა მავა  
ნინიას ძმამ.

— თორე, სკუფია კი არ გამიბრუნო უკან!

— ვისი ბრალია, ლვდელო, რომ კეირა-უქმე დლესუაჩტეცმუნდეს  
ი ზარი რიპოვინა ჰყიდია, მიმიპოვინ არა ჰყიდია, რეგუჭლურმეტეს  
დღე შაგვატყობინოთ? რატო არ გვირეკავთ, როცა უქმეა? — წაო-  
მოსთქვა კიდევ სხვამ.

— ე ბიქმუშებს რა ყურს უგდებ, ბატონო! — უთხრა მლვჯელს  
ერთმა ხანში შესულმა კაცმა: — ვერც არავინ სკუპიას გაგიბ-  
რუნებს და ვერცა!... შენ ერთი ეს სიყეთე გვიყავი, რომ ერთს  
კვირა დღეს გამობრძანდი სასოფლოს და კეირა-უქმე დღე შევკ-  
რათ ისე, რომ ვეღარავის შეეძლოს მუშაობა, და თუ გასტეხამს  
ვინმე, ისე დავარბიოთ, რომ სიკვდილამდინ ახსოვდეს.

— მაგაშე აღვილი რა არის: თურდა დლესვე დავწეროთ. აი  
ცხედარს დავასაფლავებ, გამოვილი. დავწეროთ ერთი მაგარი  
ქალალდი, შეეგანვენოთ ღვთის პირით, ვინც იმუშაოს და კიდევ  
დაირბეს, — სთქვა ესა და შეუდგა ისევ თავის გზას კრებული.

— ისე გვიყავ, შენი პირიმე, ისე! — მიაძახა რამდენმამე.

ცოტა ხნის შემდეგ ერთის პატარა წნულის სახლიზან გამოას-  
ვენეს ცხედარი შეუმოსავის კუბოთი, ცხედარს გამოჰყვა თბუთმე-  
ტიოდე მანდილში გახვეული დედაკაცი. ორი დედაკაცი ამოქდო-  
მოდა მხრებში პირისუფალს — გარდაცვალებულის ქვრივს, რომე-  
ლიც „ზარით“ მოტირალთ არ აქცევდა ყურადღებას და, რაც ხმა  
გაუწვდებოდა, გაპეიოდა: „სად მიხვალ, რო მიპდიხარ, შე  
ულმერთოვ!... ვის ამწყრალებ შენ საცოდავს ცოლ-შეილს!.. ვინ  
უნდა უგდოს ყური და უპატრონოს შენ პატარა ილიას!“

პირისუფლის ხმა იცნო ერთმა პატარა ოთხი-ხუთი წლის ბავშვმა.  
რომელიც აქამდის იჯდა პერანგა, ფეხშიშველა და თავშიშველა  
თავის ტოლებთან და ხუხულას აეეთებდა. დაანება თავი ხუხულას  
კეთებას და დაუქანა იქით, საითაც ცხედარი მიქვენდათ, ყვირილით:  
„ვაიმე, დედილო!.. ცად მიქვალ, ეი?!..“

მზე კარგად იყო გადახრილი, როცა კრებულმა გამოიარა სასო-  
ფლოზედ. სადაც ერთი კაციც აღარ იპოვებოდა. აღარც კი მლვჯელს  
მოჰკვნებია ქალალდის დაწერა. მნათე ოხუნდა ძრევულებისა-  
მებრ, დანარჩენი კი გულიანად ხარხარებდნენ.



დიღმარხვაა, საღამო ხანი. ერთს პატარა წნულის სახურში<sup>1</sup> ჭრები ეს წლის კარებიც ღია იყო, შევიდა ჩვიდმეტ-თვრამეტის ჭრით ქალების გადაფენილი. შევიდა თუ არა, კარები მოხურა.

— გოგო, რა დაგმართებია, რადა ჰესურამ კარებს? საღამო ხანია, გაალე, ანგელოზი შემოვიდეს! — მოესმა ქალს ცეცხლა პირიდან. ქალი მიბრუნდა კარების გასაღებად და პასუხად მისცა:

— იქ, რას ამბობ, დედი, ვერა ჰესედამ, ცივა! ეხლა ანგელოზს კარში რაღა უნდა? მშე ჩასულია.

— იქნება დარჩა საღმე!

ქალი ფეხებს ითბობდა ცეცხლზედა, როცა ამ სიტყვებზედ უპასუხა:

— დარჩა და აემა ანგელოზმა რომ შემოუსწროს?

— ავი ანგელოზი როგორ გაპბედავს, ხშირ ბინდამდინ ფეხი გარეთ გამოდგას!

დაბინდდა, კარები მიხურეს, შუა ცეცხლმა და მარჯვენა კუთხეში თარისთან ანთებულმა ბაზმამ<sup>2</sup> გაანათა შიგნიდან სახლი. სინათლეზე ჩანდა ყოველისფერი, რაც კი შეადგენდა სახლის მორთულობას ან მოწყობილობას. ოთხივე კედელი სახლისა, წნელით დაწნული დირებზე, სქლად იყო გალესილი ძროხის განვალით და სხვადასხვანაირად დაჭრელებული. წმინდა წნელით ხელოვნურად გაწნული სხვენი ბოლოისაგან ძალზე იყო გაშავებული. მხოლოდ ცეცხლის პირდაპირ არ იყო გაწნული სხვენი; აქ იყო ჩამოკიდებული პატარა ჭაველის საყიდელი. საყიდელს ზემოთ, დედაბოძისაკენ, კერის პირდაპირ ეკიდა „ბობოლა“<sup>2</sup>, რომელსაც სამი ფრთა კიდევა ჰქო-

<sup>1</sup> დანაყილი და დასორსოლებული ნიგოზი, ამას აანთებენ იმ სახლში, რომელ შიაც ყვავილი სდგას, რადგანაც ბაზმის სური იამგებათ ბატონებს საყნოსველადაო.

<sup>2</sup> როცა ღალგება ხოლმე ღიღმარხვა, ერთ თავს ბაზეს გაუკეთებენ ხოლმე შვიდ ფრთას — ბატისა იქმნება თუ ინდაურისა. ჩამდენი კვირაც გავა, იმდენ თითო ფრთას აძრობენ — ამას ეძახიან ბობოლას. გარდა ამისა, რომ ბობოლას საშრალებით ღიღმარხვის კვირებსა სოელიან, ბაეშევებსაც აშინებენ, რომ მარხვა არ სჭიათ.

ნდა დარჩომილი. დედაბოძის ძირში იყო დარცმული და ზედა  
წნელით მიკრული შვილდის ხის ჩხა, რომელშიაც იღვა თინის სახაშე.  
სახაშის ზემოდან დედაბოძს ჰქონდა მიკრული სამგან წითელი კვერ-  
ცხის ნაჭუქები. დედაბოძს უკან კედელზე იყო მიღვმუსტები ჭარბი  
რომელზედაც ელაგა თიხის ჭამ-ჭურპელი, ერთი პატარა უმცირესი ეს  
ქვაბი და ერთიც ტაბაკი. მარცხენა კედელთან, ცეცხლის პირდაპირ,  
ორი პატარა ბოძი იყო დარცმული; ბოძებზე გადებული ხიდები  
კედელში იყო დამაგრებული. ხიდებზედ იღვა ჰურის ვარცლი,  
ზემოდან ხონჩაფარებული. ამავე მხარეს, კუთხეში კარებთან  
იღვა ფქვილის გოდორი. მარჯვენა მხარეს, კარებს უკან, იყო  
გაყეთებული ქვეშაგების დასალაგებელი ისევე, როგორც ვარცლის  
დასადგმელი; ახლა კი არაფერი ელაგა ზედ. მარჯვენა კედელზე  
გაბმული იყო უსურვაზის წნელი და ზედ კონგრანები იყო გადა-  
კიდებული. ერთგან კარიზედ ეკიდა პატარა კალათა. უკანა კუთხეში,  
იმ ადგილს მაღლა, სადაც ბაზმა ენთო, იყო მოფენილი ბატონები-  
სათვის. კუთხეში დამაგრებულს პატარა ფიცარს ჰქონდა გადაფა-  
რებული სხვადასხვა ნაკუწები. ზედ ეყარა ჩამიჩი და ელაგა თითო-  
თითო ვაშლი, ჩურჩხელა და წითელი კვერცხი. ცეცხლა პირას,  
მარჯვნივ, იწვა ნაბაზზედ თორმეტის წლის ბიჭი, ყვავილით  
ავადმყოფი და ეძინა. თავით ედო მსხვილი ჩითის ბალიში, ბარცა-  
კალზე მიღებული, და ზემოდან მსხვილი ჩითისავე საბანი ეხურა.  
ავადმყოფს თავით უჭდა დედა, ზურია თვალიაშვილის ქვრივი,  
თამარი. სიკვდილთან ერთად მოისპო სახელიცა და გვარიც ზურიასი:  
იმის სახლსაცა და ობოლსაც ეხლა ყველანი ეძახოდნენ ოქროუ-  
ლასას — თამარი იყო ოქროაშვილის ქალი.

ავადმყოფს ფეხით უჭდა მეზობლის დედაყაცი ქეთო, კარგი  
დამკვრელი ჩინგურისა, მოზღაპრე და საშინელი ხუმარა, თუმცა  
კი ცუდის შვილებისაგან გული ძრიელა ჰქონდა გატეხილი. მეორე  
მხარეს ნეკაზედ, კერასთან, იჯდა ოთხმოცის წლის დედაბერი  
„შამანდუხა“. იგი იყო ქალი შამანდუხაშვილისა და შემოკლებით  
შამანდუხას ეძახოდნენ ყველანი.

შამანდუხა ძრიელ ახალგაზრდა დარჩა ქვრივად, მაგრამ მეორედ  
გათხოვება აღარ ინდომა. თავი დასდო სამს ვაჟიშვილზედ და ისინი  
კაცად აქცია. ეხლა შამანდუხა სავსე იყო შვილიშვილებით. იმისმა  
შვილებმა მხნეობით ქვრივ-ოხრის ქოხი შეძლებულ ოჯახად გადა-  
აქციეს. ამ გარემოებით ძრიელ თავი მოჰქონდა შამანდუხას და

უველას თავის გამჭრიახობას შეპკვებოდა. როცა შამანთუხა მოგვ-  
ლურდა ისე, რომ საქმის გაეტება აღარ შეეძლო, ატაცებულებით  
განდა. ზოგჯერ რო ჰკვიანურად იტყოდა რამეს, ზედამდებრები  
ლაპარაკს მოპკვებოდა ხოლმე, რომ კაცს მთლად ჟაჭუმული ჩამოწერა  
ნებოდა. შინაურს, გარეულს, დიდს, პატარას, ხუმრობით თუ მოი-  
ლა დედ-მამას ერთმანეთში ურევდა; ხანდისხან ყავარჯენსაც იშვე-  
ლიებდა ხოლმე. როცა მოსწყინდებოდა შვილებისა და რძლების  
ლანძღვა-განება, დაიჭრდა ყავარჯენს, გაიკეთებდა სარტყელში  
ბურნულის კოლოფს და ჩამოუვლიდა მთელს სოფელს რიხრიხით. ✓  
საცა ჭირი იყო, ან ლხინი, უიმისოდ არ იქნებოდა; დაპატიჟებლნენ  
თუ არა, ის მაინც იქ იყო.

შამანდუხას ქვემოთ დაწურივებული იყნენ სამი მეზობლის  
გოგო იავნანას მთქმელნი. ყველაზედ ბოლოს იჭდა ახლად მოსული.  
თავზე ჩიხოლა დაბურული გოგო, და გულუხვად ყურიდა ცეცხლს  
ჭიგის ნაჩეკებს, რომელიც ეწუჩა ცეცხლის ბოლოს. როცა გათბა  
კარგად, გოგო მაკამ დაიწყო:

— ქა, შამულაანთ სახლში კიდევ არ იპოვეს ჭადო.

— ვიშ, რა ვქნა, ქა! — წამოიძახა ქეთომ. — აყი ვერ გამოლიეს.  
გეთაყვანეთ, ქა!

— რა ვიცი, ქა, ქონდარივით კი მოფშეუა იმოდენა ოჯახი ვი-  
ლაცა იყო და! — სთქვა თამარომ.

— არტემამ მოლა მოიყვანა, — დაიწყო ისევ მაკამ, — მიწა  
გაშინჯა და სთქვა, რო მიწამი აღარ არი ჭადოვო. მემრე გახსნა  
კარაბადინი და კარაბადინში ამოვიდა, რომ ყველაზე დიდი ჭადო  
დარჩომილაო და შიგ სახლის სახურავშია დატანებულიო. თუ სახლს  
დააქცევთ, რომ ის ჭადო ვიპოვო და ამოვილოვო, უწინდელი  
საჩჩო-ტოვლათი ისევ დაბრუნდება ამ ოჯახშიო.

— უი, ქა, მულაბანა! ი ლამაზი ხე-ტყე აყრია და უნდა კი  
გაოხრდესო, — წარმოსთქვა მოზუზუნებით ქეთომ. — იმას ხომ  
არავინ მიუდგება, ჭადოიან-ქარიანებულია.

— არტემამ პირობა მისცა, რომ მე ავიღებ ხე-ტყესაო. თუმცა  
ჭადოიან-ქარიანებულიაო, მაგრამ რა ვქნაო. იოლას უნდა წაგიყვა-  
ნოთ, მირონი მაქვს თქვენზე მიღებულიო.

— იი, ღმერთმა კი უშველოს, რომ ე მაგრე ხელს ახმარებს! —  
სთქვა თამრომ.

— აყი ჰშველის ამბობენ, იგეთი სახლები წამოიჭიმა სილნალ-

შიო, რომ სუ ატაჟ-ატაჟიანიო, ბატონიანთ სახლი ვიღაც დაო, — უპასუხა ქეთომ.

— ნეტა, ვინ იქნებოდა ისეთი ულმერთო, რომ ეგრევა ფუტულა ჭადოებით? — დააბოლოვა მაყამ.

— ნეტავი მითხრა, რას მიედ-მეედებით! რომ არა იცით რა, რატომ თქვენთვის არა ჰყრისართ? ის ოჯახი ეშმაკებისაგან იყო აშენებული და ივრევ ეშმაკებმა წაიღეს! — წამოიძახა შამან-დუხამ.

შველა იქ მყოფთ გაგონილი ჰქონდათ, რომ მამულაანთ ოჯახს როდისლაც ეშმაკი ჰყოლია დაპატრონებული, და უნდოლათ როგორმე შამანდუხა გამოეწვიათ ლაპარაკში და მისგან დაწვრილებით გაევოთ ეს ამბავი.

— მამულაანთ სახლში, — დაიწყო შამანდუხამ სეენებ-სვენებით, — დათიამდინ კუდიანები არ გამოლეულან... დათიას მამა, პაპა, პაპში პაპა სუ კუდიანები ყოფილან და დათიაც ხომ კუდიანი იყო... დათია მოკვდა, სახლში კუდიანები გამოილივნენ და სარჩო-დოვლათიც გაერა... მე ახალი პატარძალი ვიყავი, როცა დათიას მამა მოკვდა. მმბობდნენ, მევდარს ერთი ციდა კუდი ჰქონდათ... დათიას პაპის პაპა ძრეან ლარიბი ყოფილა და სხეს მეცხვარეთა ჰდგომია... ერთხელ შუალამისას ცხენით შინ მომავლებულა და ბარჯის ხევთან რო მოსულა, ერთი ციკანი დაუნახამ; გამოსდგომია და ის წყეულიც დაპკერინებია... შამოუდვია ცხენ წინ, გაუვლია ცოტა გზა და ციკანი გაწეწილ ალად კი გადაქცეულა...

შველამ პირგვარი გადიწერეს და წამოიძახეს: „დაწყეველოს სამას და სამა წმინდა გიორგიმაო“. ✓

— წამოიყვანა, მაიყვანა შინ, ფრჩხილები დააჭრა და იმის მალვით კერას ქვეშ ამოდო... ის წყეული არაფერს მმბობდა... მისცემდნენ კოკებს, წადი წყალი მოიტანეო, ის კიდევ წავიღოდა, დამტვრევდა კოკებს და მოვიდოდა... ერთხელ უთხრეს: წადი, ალო, კოკები დამტვრიეო! ალი წავიდა, წყალი მოიტანა... მას უკან სულ ალურად დაუწყეს ლაპარაკი... ჰყვანდათ რამდენიმე ხანი და იმსახურებდნენ... ერთხელ ყველანი წირვაზე წავიდნენ და შინ მარტო ალი და ერთი რვა წლის გოგო დააგდეს... იმ წყეულმა ჰქითხა: ქახან, ჩემი ფრჩხილები სად არი, მასწავლე და წითელ ზიზიას ნაგაომევო, — ემანდ, კერას ქვეშ არიო... მაშინვე გამოილო ფრჩხილები, გაიკეთა და გოგო სულ ერთიანად დაგაზრა... თითონაც

გაიქცა... წირვიდან რო მოვიდნენ, გოგო სახლში მობასრუტი და ვ  
მკვდარი დახვდათ და ალიც აღარსად იყო...

— იმ უღმერთოებმა აღის სინაბარას როგორ გუშვესი! წა რ  
მოიძახა ავადმყოფის დედამ.

— აქაურობას ეს ჯვარი ეწეროს და, იმ ღამესვეუმისკენმდე კუთხის  
მე აღი და სანათხრიდან შაპძახა: თქვენაც დაგრწყევლათ ცეცხლი  
იგრე, რომ თავის დღეში აღარ ენთოსო... იმ დღეა და მაჲ დღეა,  
იმათ ცეცხლი აღარ ანთებიათ, სუ ბნელაში ისხნენ... ი კაცსაც ჩე-  
მეეკიდა ის წყეული და მოსვენებას არ აძლევდა: ხან შინ მიუხდე-  
ბოდა, ხან ფარებში და ეძახოდა:

— ი-ვა-ნე!

ამ სიტყვებზე უველამ პირჯვარი გადაიწერა. დედაკაცმა კვლავ  
განაგრძო:

— ხან გასათხოვარ ქალად მეეჩევნა, ხან ბებრად, ხან მაჯლაჯუ-  
ნად გადაიქცა და ზედ დააწვა — არ აძლევდა მოსვენებას... ერთხელ  
კიდევ ფარებიდან მომავლებულიყო შინ ღამე; იმ წყეულებს ფერ-  
ხული დევბათ გზაშე... რო დაინახა ივანე, გაქანდა ის წყეული ალი,  
ჭრაცა ხელი, მიიყვანა და თავიანთთან ჩააბა ფერხულში... შაისვრი-  
დნენ თურმე მაღლა და მღეროდნენ:

შაქმანდი გავაეცთ, უმარილო, უფშრუკიო,  
შენისთანა ბერიიაცი ეგრე შეეაკრიტრუშიო...

დაუდგნენ თურმე, ახლა შენ იმღერეო... საწყალს შაქმროდა  
შიშისაგან კბილები... მერე, რის ვაი-ვაგლახით ამოიქნავლა თურმე:

წინდა მეცა ხეშისაო,  
ქალამანი მეშისაო,  
წმინდა გიორგიმ დასწყეველოს  
ეშმაკების ფერხისაო...

ასენა თუ არა წმინდა გიორგი, როგორც მიმინოს დანახვაზე  
ჩიტები, იგრე გაძვრნენ აქეთ-იქით და დარჩა მარტო ივანე... ბევრი  
თათრის მოლაც მოიყვანა თურმე, მისნებიც, მაგრამ ვერაფრით ვერ  
მოიშორა ის წყეული... მერე ისევ მისნებს ეთქვათ, რომ შანამ  
ნატრის თვალს არ იშოვნი, არაფერი არ გეშველებაო... თუ გიშვე-  
ლის, იგრევ ნატრის თვალიო, თუ იმ წყეულმა ისიც არ შეგიტრაო...  
შეს დღეს აქეთ შეულგა ნატრის თვალის გზას... რომელ გველსაც

ნატრი თვალი აქვს, ის ბნელაში ათამაშებს, შაისვრის შოლა თვალს  
და მთელ ღუნიას შიგ დაინახავს...

ერთ ალაგის მიაგნო თვალიან გველს, უყარაულა და რუბა შა-  
ისროლა მაღლა, ლურჯი ნიფხავი გადაუგდო და ჭრის ცენტრი ჩვენი  
ნიფხავში გაეხვია, გველმა ეძება, ვერ იპოვნა წილა — გასკოუდგა  
ივანეს... ქვას, ბალას, ხეს, ყველს ჰკითხავდა, ჩემი მტერი საით  
წავიდაო, და ისინიც ასწავლიდნენ. მაგრამ წყალში გასვლა მაასწრო...  
როცა წყალთან მივიდა გველი და წყალსაც ჰკითხა, წყალმა უთხრა:  
რა ვიცი, შენც ახლა მიდიხარ და მეცაო... გველი იქავ წყალში  
დარჩა. ივანე კიდევ წავიდა მეორე დილით და ნატრის თვალი წა-  
მოილო... აკი გაუკო იმ წყეულმა და შაუკრა ისიც...

— ვიშ ქა? — წამოიძახეს იქ მყოფთ, და დედაყაცმა კი კვლავ  
განაგრძო:

— დარჩა ყელგადაგდებული... მერმე მეეჩვენა ის წყეული  
მზეთუნახავ ქალად და უთხრა, თუ შემიყვარებ და შენ შეილიშვილ-  
საც მე დამილოცამო, ცეცხლს ავისნი წყევლისაო, ნატრის თვალ-  
საც გაესნიო და იგრე გაგამდიდრებ, იგრე, რო შენ თავს შენვე  
დანატრიდეო... თუ ჩემს ნებას არ დაჟყვები, მაგასაც არ გაჟმარებ  
და საღმე კლდეში გადაგჩხამო...

ამ სიტყვებშე კველანი შიშის კანკალმა აიტანა: იშერდნენ პირ-  
გვარს და სწყევლიდნენ სამას და საში წმინდა გიორგის სახელით.

— იმ თვალ გახეთქილსაც, — დაიწყო ისევ შამანდუხამ: —  
მეტი რა გზა ჰქონდა! ადგა და მიძყვა იმი ნებამ... იმ დღე ძაბ დღეა,  
ცეცხლიც ენთებოდათ და ნატრი თვალმაც დაიწყო მუშაობა...  
ფქვილის გოდორში ჩაჰდებდნენ, ფქვილის გოდორი იქსებოდა,  
ქვევრში ჩაჰდებდნენ, ქვევრი იქსებოდა... რაშიაც ჩაჰდებდნენ,  
სულ პირ გადმოწლიოდა. მამაბაში სახლმა წამოიშია წინ და  
გამდიდრდა... ივანე რო მოკვდა, ახლა იმისი უფროსი შვი-  
ლი შაიყვარა. მოკვდა და დათიამდინ მივიდა. ვინც ალსა ჰყვა-  
რბდა, ნატრის თვალიც იმასა ჰქონდა, სხვას არ უგდებდნენ  
ხელში... რამდენჯერ გამიგონია ჩემ ახლ პატარძლობაში:  
დათიას საფუტკრეში მაასწრეს, ალსა ჰკოცნიდაო; დათიას  
ვენაბში მაასწრეს ალთანაო; მავან ალაგას მაასწრესო... ის წყეული  
თურმე ისეთი იყო, როგორც მამავალი მზე... ხო იმთენი გამოი-  
ცვალა და კიდევ თურმე გასათხოვარ ქალსა ჰგვანდაო... არც  
დათია, არც სხვები ღმელამე შინ არ იძინებდნენ თურმე, სუ ალის

მუსაიფში იყვნენ და ნატრის თვალით კიდევ საქმეს აყვოთ მდგრადი და  
კუდიანობა ღამეს ტაბაკელაშედ მიდიოდნენ და იქ ქაფუბთან და  
ქალატურებთან კატებით ჭირითობდნენ... რო ივსებოდა და უსე-  
ბოდა ი ოჯახი და ყელამდინ მაიყარა, სხვა ალებიც ჩამოტკიცებას ვა  
როგორ თუ შენ ჩვენი დოკლათი სხვაგან მიგაქვობრთ მას მასში უკა-  
მოქლეს... გამწარდა დათია და როგო გამწარდა სიკედილამდინ  
პირი არ მოუპარსნია, სუ გლოვობდა... მოკვდა თუ არა დათია და  
ნატრის თვალიც გაქერა საღლაც და ოჯახიც წავიდა უკულმა. ეშა-  
კებმა მიკუს ცხოვრება და ისევ იმათვე წაილეს და ჭადოებიც  
იმათვე უგდეს.

ამ სიტუაციას რო ათავებდა შამანდუხა, ავადმყოფმა ძილში  
უვირილი დაიწყო:

— ვაიმე, დედავ, მიშველე!

— რა იყო, შვილო, შენი ჭირიმე? — გაეპასუხა დედა.

ავადმყოფს გამოელეიძა და შესწყვიტა ყვირილი. როცა დამშვიდ-  
და, ჭიოთხა დედამ:

— რათა ჰყევიროდი, შენი ჭირიმე, ძილში?

— გუდარაშე ვიყავ სიზმარში და ბრჩა ლელიდამ ერთი დიდები-  
ლება დედავაცი გამამილგა, უნდოდა დავეჭირე, ის კი იყო მიქერ-  
და, რო არ გამომლეიძობოდა.

— ჯვარი გწერას, შვილო! ბარონების ანგელოზი ყოფილა და  
შენი შეშინება ნდომებია, — უთხრა შამანდუხამ.

— ქა, იმ დასაქცევმა მაკამ ე რაღა მაკორა, რო ლაპარაკში  
გაგვაბა და აქამდინ იავნანა არ შასმენიათ ბარონებს! — სოქვა  
ჭითომ.

გოგოებმა მორთეს იავნანა:

იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავ, ნანინაო!  
აქ ბარონები მობრძანდნენ, იავ, ნანინაო!  
ბარონებისა დედასა  
ვარდი უსხედან კერასა;  
გვერთ უდგა ოქროს აკვანი,  
და და ვარდი ჰუენია;

ზალხსა სწომს, რომ კულიერის ალების ღამეს და დიდ-ოთხშებათის ღამეს  
ცველა კუდიანი ადამიანები — ადამიანები ქალატურები იყრიბებიან ერთს ტრიალ  
შინდორზედ, რომელსაც ტაბაკელა ჭევიან, და ეშმაკებთან ერთად კატებით ჭირი-  
თობენ. ამისათვის იმ ღამესაც კუდიანების ღამეს ეძახიან.

შეგ უწევის ბატონიშვილი —  
ბატონიშვილი ლევანი;  
პირს არტყაი მარგალიტი,  
მარგალიტისა მტევანი.

იაგუნდის მარანშია  
ლეინო ლევანი ლალის ფრისა;  
შეგ ალეი ხე ამოსულა,  
ნორჩია და ქარი შლისა;  
ზედ ბულბული შამამედარა,  
იალინი მხრებს უშლისა.

სხვა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლექსებიც ბევრი თქვეს და დაუმატებდნენ „იავ, ნანინას“. ძლიერ ხმაშეწყობით ამბობდნენ გოგოები „იავ, ნანინას“ და საამური გასაგონიც იქმნებოდა, რომ დანარჩენთანაც მონაწილეობა არ მიეღოთ. ქეთო ბანს ეუბნებოდა; ავადმყოფის დედა სულ ერთსა და იგივეს გაიძახოდა: ჩემი ილა მამირჩინეთ, აგრემც გენაცვალებითო. შამანდუხაც თავის ლექსს იმეორებდა

ობლები კარგად გავსარდე — კაცად ვაქტიეო;  
ჩემი მიხა გუთანს ასხამს, გუთანს გაიტანსო;  
სოლომანი მთაზე წავა, უკელს ჩამოიტანსო;  
ზაქრო კიდევ მარილს წავა, შეარის შოლომსო.

რამდენჯერმე მიპმართეს გოგოებმა შამანდუხას:  
— ბები, ნუ გვაშლევინებ, ბები! — მაგრამ პასუხად შამანდუხა ყავარჯენს უთავაზებდა თავში და დედ-მამას შეუკურთხებდა ხოლმე.

„იავ, ნანა“ დაბოლოვდა ცეკვით. ყველამ, შამანდუხადან მოკიდებული, იცეკვეს ჩანგურზედ. ცეკვის შემდეგ ოქროულამ მოართეა ვაბშამი — ცარიელი პური და მჭადი, რაღვანაც არაფრის მოხარშეა არ შეიძლებოდა ცეცხლზედ — ბატონები გაჭავრდებოდნენ.

ვახშამს უკან გოგოებმა სთხოვეს შამანდუხას:

— ბები, ერთი ზღაპარი სთქვიო!

იმანაც დაიწყო:

— ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,  
ჰელას ჩიტი მამედარიყო;  
მალა შავდე, გამხმარიყო,  
ჩამოვილე, დამპალიყო;

დიდია ქვებში ორ ვწევა,  
პატარაში ლალი იყო;  
ასმა კაცმა ვერ შევამა,  
ერთი კაცის ლექმა იყო.



## რომელი

ტექსტის მიზანი

— იქ, ბები, ეგ კი ორა, კარგისა სოქვი!

— მე იმაზედ კარგი ორ ვიცი, კარგი კიდევ თქვენა თქვიო.  
აგ მოზღაპრე! — მიუთითა ქეთოზედ.

— უი ქა, სიკვდილსაც დაპირუებისაჩ! ძალო, ერთი ბრმა ხემ-  
წიფის ზღაპარი თქვი, აგრემც შაგრჩება ქმარი და შვილი — უთხრა  
მაკამ.

ჩაახველა ქეთომ და დაიწყო:

— იყო და ორა იყო-რა, ლეთის უკეთესი რა იქმნებოდა. იყო  
შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო ერთი  
ღარიბი და საწყალი კაცი. თავის ბედობაზე არაუერი გააჩნდა ცასა  
და ქვეყანას შეა. ადგა, დაიწყო სიარული და მივიღდა ერთ მდიდარ  
კაცთან. ამ მდიდარ კაცს მოჯამაგირედ დაუდგა ერთი წლობით.  
ყავლი რო გაუთავა, ჯამაგირში ერთი ფური გამაართვა, გამოიგდო  
წინ და წამოიყვანა. რომ მოვიდა შეა გზას, გამოუვარდა მიწი მგე-  
ლი და ეს ფური ანაპდეულად გააქრო. დაღონდა ეს საწყალი!  
ადგა და წავიდა, იგრევ ნააღავართან მივიღდა და უთხრა: ესე-ესე  
მომივიდაო, ფური მიწი მგელმა გამიხეთქა, იგრევ დაგიდგები  
მოჯამაგირედაო. წლის გასულს კიდევ ფური გამოართვა თავის  
ჯამაგირში და წამოიყვანა. ის ფურიც იმავ ალაგას მოუკვდა. და-  
ლონდა და დაძმარდა საწყალი, აღარ იცოდა, რა ექნა! მემრე თქვა:  
მოლი, ერთი კიდევ ვცდიო და რაც გახდეს, გახდესო. წავიდა  
მესამედაც, გაუთავა ყავლი და გამაართვა ფური. მაგრამ ეს ფურიც  
იმავე ალაგას მოუკვდა. ეპო, ალბათ ღმერთს ეგრე პწადინ ჩემთ-  
ვინაო! დაიკრიფა გულ-ხელი და გაუდგა გზას. ბევრი იარა, ცოტა  
იარა, შამოხვდა ერთი კაცი. ამ კაცმა ჰქითხა, რათა ხარ ე მაგრე  
დალონებული და დაღიქრებულიო? იმანაც უამბო დაწერილებით,  
რაც თავ გადაპხდა, მემრე უთხრა ამ კაცმა: მანამ შენ იმ მდიდარი  
კაცის ქალს ცოლად არ შაირთამ, შენი ბედი და ილბალი არ გაი-  
ხსნებაო. იყოყმანა, იყოყმანა და მერე თქვა: მოდი, ერთი ამასაც  
ვცდიო. ადგა და წამოვიდა იგრევ თავის ნააღავართან. იმის ნააღა-  
ვარს უანგარიშო და უთვალავი სარჩო-საცხოვრებელი პქონდა და  
ერთადერთის ქალის მეტი არავინ გააჩნდა თავის ბედობაზე. ეს

ქალი ორივ თემობით კოჭლი იყო, ორივ თვალებით ბრძა, დოფუნ-  
ჩილი, ქახალი და კუზიანი. როცა მოვიდა და უთხრა: შენი ქალი  
მომათხოვეო, მდიდარ კაცს სიცილად არ ეყო.

— რად გინდა, შვილო, რა ხელს მოგცემსო.

ურავნელი

მაგრამ აღარ მოეშვა. ადგა და იმანაც მიათხოვა ქალი და თავისი  
სარჩო-საცხოვრებელიც იმას დაუმტკიცა. უყურა, უყურა იმ მა-  
ხინჯ ცოლს, შამაირა თავში და სოქვა თავის გუნებაში: ე რა  
შაცლენა მამივიღაო. გულმა ვეღარ გაუძლო, ადგა, დაანება თავი  
ცოლსაც, იმოდენა საცხოვრებელსაც, გაპწია და წავიდა. იარა,  
იარა და მივიდა ერთს ქალაქში. ამ ქალაქში ხემწიფე მომკედარიყო  
და ანდერძად დაეგდო. რომ ვისაც ჩემი მტრედი დააჭდეს, ხემწი-  
ფე ის დასვითო. ააფრინეს მტრედი ჯერ ერთხელ, ამ კაცს დააჭდა.  
მაგრამ უარი თქვა, მე ხემწიფობა არ შემიძლიანო. მეორედ ააფრი-  
ნეს, კიდევ იმას დააჭდა, კიდევ უარი სოქვა. ააფრინეს მესამედ. მე-  
სამედაც იმას დააჭდა, კიდევ უარი სოქვა. მაგრამ ხალხში აღარ გაუ-  
გონა და დასვეს ძალად ხელმწიფედ. რახან არ მეშვებითო, მაში  
თვალები დამთხარეთო, რო სამართალი არავისენ არ გადავწიოვო.  
იმათაც დასთხარეს თვალები. მემრე უბრძანა, ერთი ვაშლიც გას-  
კერით შუაზე და ნახევარ-ნახევარი დაპკიდეთ ცალკეო. როცა მე  
სამართალს ვსცრიდე, იმ ნახევარ ვაშლებს უყურეთო. თუ ისინი  
შეერთდნენ, სამართალი სწორედ არ იქნება გადაჭრილი და მითხა-  
რითო. ისე სწორედა სამართლობდა ეს ბრძა ხემწიფე, რომ არც  
ერთხელ არ შეერთებულან ი\*ნახევარ-ნახევარი ვაშლები. ერთხელ  
ვიღაც ბერიკაცმა ჩამოიარა, ჯორცხენაზე იჯდა. ერთ ქვრივ-ოხერ  
დედაკაცს წყალზე ხბოიანი ფური მიჰყვანდა და ბერიკაცმა რომ  
გამოიარა, ხბო ჯორცხენას დაედავნა. დედაკაცი გამოუდგა, მაგრამ  
ხბო ვერ დააბრუნა და დაუძიხა: ე ხბო გამომიბრუნეო! ბერიკაცმა  
უთხრა: რას ამბობ, ხბო ხო ჩემმა ჯორცხენამ მაიგოვო! — რას  
ამბობ; ხბო ჩემია! უთხრა დედაკაცმა. ბერიკაცმა არ დაანება. —  
წამოდა ხემწიფესთანაო! — უთხრა დედაკაცმა: — შენ არ იცი,  
როგორი ხემწიფე გვყავო? თავი დღეში სამართალს მრუდად არ  
გადაჭრისო! — წამოდიო, — უთხრა ბერიკაცმა და წავიდნენ. მივი-  
დნენ ხემწიფესთან და დედაკაცმა ინივლა, როგორც საქმე იყო.  
ბერიკაცმა კიდე უთხრა: — ხბო ჩემმა ჯორცხენამ მაიგოვო. ხემწი-  
ფე გაჩიმდა, ხმის არ ილებს. რო გავიდა კარგა ხანი, ბერიკაცმა  
ჰკითხა:

— რას გაჩუმებულხარ და სამართალს არ გადაგვიტრიო? ფერწი-  
ფერ უთხრა: მე ჯერ თქვენთვინ არა მცალიან, ზღვიდან თვეშემი  
გამოსულან და ყანა გაუფუჭებითო. ჯერ იმათი საქმე მაქვს გამა-  
რჩევიო. — რას ამბობ, ზღვიდამ როგორ გამოვლეს რამდენიმდე? ამ  
ყანას როგორ გააფუჭებდნენო, ეგ როგო შაიძლებენ? შემდეგ  
ბერიკაცმა. — თუეკი შეიძლებაო, რო ჯორცხენამ ხმო მაიგოვო,  
ეს რატო აღარ შაიძლებაო? — უთხრა ხემწიფემ. წმინდა ბერიკაცს  
მოეწონა სამართლის გადაჭრა და უთხრა: — აქ შენ აგიხილდეს  
თვალები და იქ შენი ცოლი გაგინთავისუფლდეს სიმახინჯისაგანაო.  
ეს თქვა და ხემწიფეს თვალები უხილდა და იმისი ცოლი კი ისეთი  
გახდა, როგორც ამამავალი შეჲ. თავიპთან მიიყვანა ცოლი და დაიწ-  
ყეს ერთად ცხოვრება. ჭირი იქა და ლხინი აქა, ქატო იქა და ფქვი-  
ლი აქა, ჭაჭა იქა და ლვინო აქა. ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა  
ყელასა, მოქმედსა და გამგონელსა, ძილი გამოთ ყველასა.

ჭვარი შეყალობს ჭვარცმული.  
მე ეერ მაცდენს მაცდური.  
დაეწევები დამეტინება,  
პირჭვარი დამეწერება;  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი  
სულ თავით დამეფინება.

და ყველანი წამოწვენენ იქავე ცეცხლის პირას.

#### IV

##### გადცეული ჟვილი

თიბათვის პირეელი რიცხვებია. ქერები მომზადებულია მოსამ-  
კალად, ყანებიც ამრეშებულა. სოფელ მრავლეთის ერთ მცხოვრე-  
ბელს გაუსინჯავს თავისი მოსავალი და საღამო ხან्धე მოდის შინი-  
სკენ. გამოიარა ოქროულას სახლის წინ და, რა დაინახა სახლის კა-  
რები ღია, შემობრუნდა ეზოში, მივიდა დერეფანშა და შესძახა:

- ოქროულა!
- ბატონო! — მოესმა სახლიდან.
- შინა ხარ?
- ამის პასუხად ოქროულა კარებზე მოდგა.
- გაგახაროს ღმერთმა! — ოქროულამ თავი დაუკრა.

— ცივი წყალი არ გიდგა?

— ეს კი იყო ეხლა მოვიტანე, — და შებრუნდა შინ.

ფილია, — ასე ეძახოდნენ ოქროულას მოსაუბრეს, — და და დერეფანში სამფეხა სკამზედ; ქუდი მოიხადა, შეჭრილი და მოსაუბრებული მოსაუბრენდად და მარცხენა მუხლზე დაირკრის პოქენისტუმშემ გამოიტანა სკელი თიხის ლიტრით წყალი. ფილიამ ჩამოართვა ლი-ტრა, გამოაფურთხა, ჩაიყენა მერე პირში წყალი, დაახრიალა და გამოლვარა. მერე იწაფა ორჯელ ზედიზედ. იშვ!.. ცხონდა შამაშენიო და დადგა ლიტრა ძირს.

ოქროულა იდგა ფილიას წინ, ცოტა მოშორებით. თავი მარჯვენა ხელზე დაებჯინა, მარცხენა ხელი კიდევ მარჯვენა ხელის ნიღაუვთან ედო.

— როგორი მოსავლებია, ჩემო მაზლო? — ჰეითხა ფილიას, როცა ამ უკანასკნელმა დაისვენა.

— მოსავლები და რა მოსავლები! ამოდენა კაცი ვარ და ჩემს დლეში ამიტანა მოსავლები არ მინახავმ — ლვთის თვალი შიგა ტრიალებს! ერთი სიტყვით, წელს ვერავინ დაპტრავს თავის მოსავალს.

— ზეციერმა გამჩენმა და ლვთისმშობელმა დედამ ბძანოს!

— ოქროულავ, მაიტა და ი ბიჭი დამიუენ ან მოჯამაგირედ, ან მეტალოვედ!

— ი, ჩემო მაზლო, ბიჭი ვიღამ შამარჩინა! ბიჭი წამეჩხუბა და ორი კვირა საითლაც გემექცა. არ ვიცი, ცოცხალილა არის საღმე, ავად არი, კარგად არი, ჰშიან, წყურიან, თუ მაძლარია, არა ვიცი რა.

— აბა, მამა ვიცხონდა, ერთი რას ამბობ! იმოდენა კაცს რა გაუჭირდება? აი, ყვარელში წავიდოდა სამუშაოდ, ეხლა იქ ვენახების თიბაა გახშირებული.

— ყვარელში წავიდა, თუ სადა, მე კი შვილი დამეკარგა-და!

— ეჭ, ჯეილმა ემაგრე იცის. ივლის, ივლის და ისევ მოვა, სად წიგა? რა იყო ახლა, რაზე წაგეჩხუბა?

— ჩემი ცოდო რომ არ დაულიოთ ლმერთმა, ვინც ის გადამირივეს! აუტეხნია, მოჯამაგირედ უნდა დავდგეო. მე კი სიკვდილი მინდა და იმისი მოჯამაგირობა არა.

— ახირებული დედაკაცი ხარ, მე და ჩემმა ლმერთმა, უნდა და დააყენე!

— რა ვქნა, ჩემო მაზლო, თუნდა ყველამ ჩამაქვავოთ, მე ილიას მოჯამაგირედ არ დავაყენებ.

— რა სიზმარი გინახავ, რომ ემაგრე უარზე ჰდგებარ?

— ის სიზმარი მინახავ, ჩემო მაზლო, რო ნამოგამაგიოლი კაცი აღარც სახლს არგია და აღარც თავსა; ან უნდა გაყალაონდეს, არადა, ი საცოდავივით, ჯანი და ორნე სხვას უნდა შეკრძინდეს.

— შენ მითხარ, რო კაცი თითონ იყოს და აღა შეკრძინდეს და ასე ნიერი, თორე ეგენი სუ ტყუილია.

— აბა, ეხლა მალლი ქნეს ი ჩემი ცოდვით სამსეებმა, ვინც ის გადამირივეს? ვამბობდი, ორიოდე კაბდო ნაჩიჩქნი აქვ, იქნება ღმერთმა მოპერდოს და ქვეყანაში გეერიოს-მეთქი. ვინ მოუმეის, ვინ გაულეშავს? უნდა წავიდეს, დეელუპოს. აი, ამაზე მეყრება გულს და მეჭიდება თავს. ვამბობდი, ბატონყმობა გადავარდა, თავის ქოს ერავინ მააშორებს და თავითვინ იმონაგრებს-მეთქი და დახე, რა მიყვეს იმ ჩემი ცოდვით სავსეებმა!

— რა გულს იყრი, განა იქ დაჩიჩება არა! საცა არა, გამოვლენ ეხლა, ვინც სამუშაოდ წასულები არიან, ქერები მოსამყელი გახდა.

— ნერავი შენი შვილების სიცოცხლით, შშვილობით მოვიდეს და თუნდა ჩხირს გვერდად ნუ აქცევს.

— ნუ გეშინიან, მოვა, მა სა წავა, და ჩხირსაც აქცევს გვერდად და სუსველასაც გააქეთებს.

— არა, ჩემო მაზლო, მე იმისი იმედი სულ აღარა მაქვ, ძალიან გადამირივეს, რო მეტი აღარ იქნება.

— მაშ დააყენე მოჯამაგირედ რიგიან კაცთან, ჯამაგირს ჯამაგირად იღებს და კიღეც გამოიჭევება ჟველაფერში.

— ნაცარს ავფშრუკავ და იმასა ვჭავ და ილას კი მოჯამაგირედ არ დავაყენებ!

— ეი, რა უნახამ ამ დედაკაცს, თქვენმა გამარჯობამ! არც ჩემთან დააყენები? ჩემი ამბავი ხომ იცი?

— რა ვქნა, ჩემო მაზლო, გაგიტყდები და გეტყვი, ციდამ ჩა-მოსული ინგელოზი რომ იყენეს, იმასაც არ დავუყენებ! უფრო პატარა იყო, როცა ლვდელი მეხვეწებოდა, დამიყენე მოჯამაგირედაო, ციმფამ კარი და ბანი აღარ დამიგდო. ლლე ერთი იყო და მოსვლა ათასი, ი საცოდავის სამკვდროც ზედავე მემართა. მაგრამ სამკვდროც მოვიშორე და კოდ პურსაც ვაძლევდი ჩემი ქერივ-ობრობით და ბიჭი კი არ დავუყენე. ეხლა რო სხვას დავუყენო, ხო წყევლითა და ქოქვით ამიღო ლვდელმა! მერმე იმ ღროულის წყევლა რა ბეირს დააყრის? ესეც რო არ იყოს, რა ვქნა, ი საცოდავის ანდერს ვერ

ვავტეხამ. სიკედილის დღემდის ცოდნს შაყრიდა: „ილა მოხამულა  
რედ არავის დაუყენოვო და ჩემსავით ჭანი და ღონე წავისავან  
არ შაალევინოვო.“

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა ეზოში შემობრუნდა ქუმრული ი  
თერამეტი წლის ყმაშვილი ბიჭი: მაღალ-მაღალი მოტეტი მარტივი ე  
ჭიანი, მოგრძო და წითურ პირისახეზედ ახლად ჰქონდა ამწვანებუ-  
ლი წვერ-ულვაში. შავი დიდორონი თვალები პოწმობდნენ, რომ  
მამაცი და ხასიათ მტკიცე უნდა ყოფილიყო. ყმაშვილს ბიჭს წელზე  
ერტყა ახალი ქამარ-ხანგალი, თეთრი ახალი ჩოხის კალთები უკან  
შეეკალთავნა, წელში გაერტო ნამგალი და ზურგზე ეკიდა გუდა.  
გვერდზე მოეგდო ნაბდის ქუდი და თავმომწონედ მოლიოდა  
პირდაპირ სახლის კარებისავენ. არ ვიცი, დაბრუნების იმედი აურა  
ჰქონდა, თუ ყმაშვილი სრულიად გამოცელილი იყო ახალ ტანისა-  
მოსში, მაგრამ ოქროულამ კი ვერ იცნო ილია და თვალი  
ვაუშტერა.

— ეჭ, ილა არ არი? — წამოიძახა ფილიამ.

თითქო აქამდინ ძილში იყოო და ამ სიტყვებმა გამოალეიდესო,  
ოქროულამ ერთი შეჰქვედა:

— ვენაცვალე, ხანჯლიანი შვილი მამდის! — მერე გაექანა შვი-  
ლისავენ, გადაეხვია და დაუწყო კოცნა.

ილია შევიდა დერეფანში, გამარჯობა შენიო! — უთხრა ფილიას,  
მოიხსნა გუდა-ნამგალი და დაჭდა. კარგა ხანს მდუმარება ჩამოვარდა.

— აბა, ერთი გველაპარაკე, საით იარე და რა ჰა ჰახე? — უთხრა  
ფილიამ.

— ვნახე და მართლა, რა კაი სანახავები ვნახე! მე აგრე მე-  
ვონა, ჩვენს სოფელს სოფელი არ შეედრება-მეოქი და ეგ ოხერი  
ყვარელი რა კაი სოფელი ყოფილა!

— ყვარელი რა... გათქმულია! კიდევ ეგ რა არის, ლექებს არ  
უნდა ეხდინათ, რო მაშინ ვენახა. შამილი მაგი გულიძოვინ არ  
იყლავდა თაეს! უნდოდა გალმა მხარი დეემორჩილებინა და  
ყვარელში დაბინავებულიყო, მაგრამ ი დალოცვილმა რუს ხელ-  
მწიფემ მაატანა ჩიტივით კაჯანათში.

— ვერ ეხლა რა არი და მაშინ რაღა იქნებოდა? ეი, რა სახ-  
ლებია, თქვენმა გამარჯობამ, წამოქიმული! ვენახები კიდენ, რაც იქ  
უკანასკნელ კაცსა ჰქონია, ჩვენში გაძრიალებულ ოჯახსაც არა  
აქვ. ძალიან გულუხვობაცა ყოფილა ყველაფრისა. საცა კი ვმუშა-

ობდით, ყველგან ლვინოს თავზედ გვასხამდნენ. ხალხი დახმაბლუსა  
ჰევ და სარჩო კი ბევრი ჰქონიათ.

— მოსავალი როგორია?

— მოსავალი რა, ყანებშიაც და ვენახებშიაც ლვინის მიწოდებული  
შიგა ტრიალებს. ეი, ღმერთო, რატო არსად მინახამ ჟექტოშიმისეპ  
არე ვენახები! იგრე აყრია მტევანი, როგორც უონეოლი.

— იმისთვინ აოებს მთელ დუნიას, რომ მაგეთი ლვინო მოდის,  
მაშ! — თქვა ფილიაშ და ადგა წასასვლელად.

— შვილო; რა მიყავ? — დაუწყო დედამ, როცა მარტო დარ-  
ჩნდენ. — რაზე გადამილივე თვალი და გული შენი გზისაკენ უურე-  
ბით? რას ამზობდი, რო დაგვანებე თავი, მე ცალკე და მოსავალს  
ცალკე? ვის სინაბარას დაგვაგდე, შვილო? განა იმისთვინ გაგზარდე-  
რო ეგრე მიყოს-მეთქი?

— ეჭ, დედილო, მეც ბევრი ვიჩივლე მემრე, სანამ შევეხევეოდი  
სხვაგან ყოფნას, მაგრამ პირი მერცხვინებოდა, ველარ დავბრუნდი  
ცარიელი. ვთქვი, რაჯი შინიდან ფეხი გამოვდგი, ცარიელი მაინც  
ნუ დავბრუნდები, მიყიტანო რამე-მეთქი.

— იშოვნე რამე მაინც?

— ცხრა მანეთი ავიღე. ჩოხა-შალვარში და ქამარ-ხანგალში  
იქვისი მანეთი დამეხარჯა და სამი მანეთიც ფულად მოვიტანე.

— უი, შენ კი გენაცვალოს დედაშენი, შვილო, რაკი შენ მშვი-  
დობით დამიბრუნდი შინ და ჩემმა თვალებმა კიდევ დაგინახეს.  
თუნდა ცალი ფულიც ნუ მეგზტანა.

— ვაი, ცოცხალიდა უნდა გამევლო მაშინ, რო ცარიელი მოვ-  
სულიყავ?

— მართალია, შვილო, კარგი შალავათია ეგ ფულიც. ე შენ  
კიდე, სუ შაპმოსილხარ, მაგრამ, თუ ჩემ რეგვენ ჰქვის დაუჭერებ  
და შინიდამ ფეხს არსად გაპლგამ, ის ყველას ემჭობინება. სუ  
ყოველთვინ სხვითა ხელში შაყურება და ლრეჭა განა კარგია,  
შვილო, რა! გაისარჯე, მოხან, მოთესე, ღმერთი ხელს მოგიმართავს  
და ყველა ფულია.

— მეც მაგ ჰქვაზედ დაედექ, დედავ, ეხლა, გულიდამ გადავი-  
გდე მოჭამაგირობა. ე სამუშაოდ კი ხანდიხან წავალ, და მოჭამაგი-  
რედ კი გაქრეს! თავი დღეში ალარ ვიფიქრებ. რო არ წავსულიყავ  
გალმა და იქ არ ერჩივნათ ჩემთვინ, მოჭამაგირედ ნუ დადგებიო,  
იქნება... რაღა იქნება, იგეთი გულზე ვიყავი, რო უთოვოდ დავდ-

ვებოლი საღმე მოჯამაგირედ. მაგ თჯანდასაქცევმა უკალამი ჩატარა  
ამისხა ფთები, რო სიზმარშიაც კი მოჯამაგირობა მეჩენებობიდა,

მაგრამ ყვარელში კი სულ სხვანაირად გამამიცვალეს ჭურუში ცრცავი

— ვინ იყო ის ღვთის ნათლული, რო შენ ემაგრესისას შემცირებულა?

— აქედან რო გავედით, ერთ კაცთან ვმუშაობდით ხუთი დღე  
ერთმანეთზედ. მე ბიქები დამცინოდნენ, დედაშენმა გცემა და გამო-  
გადო შინაგამო. ერთ დღეს აღა თავს გვედგა და მყითხა, მართა-  
ლიაო? მე უამბე, როგორ იყო და იმან მითხა: „დედაშენი ძალიან  
ჰქვიანი დედაკაცი ყოფილა, მოჯამაგირობით კაცება სახლი უნდა  
ააშენოსო? მოჯამაგირობა პირველი ბედოვლათობა არიო. შენ  
დედაშენს დაუჭერე, შვილო, ის ძალიან ჰქვიანი დედაკაცი ყო-  
ფილაო. შენ ჯერ ყმაწვილი ხარ, რა გავეგებაო. ნამოჯამაგირალი  
კაცი მკვდრათ არი ჩისათვლელიო. ზაგულოდ გააკეთებს აღის  
საქმეს, ყალაღნობას მიეჩევაო; ერთგულად გააკეთებს და, მაშინ  
ჯანი და ღონე სხვას უნდა ანაცვალოსო. მიბრუნდებაო შინ, ან  
გაყალაღნებული, ან დასნეულებული და ჭამის მეტს აღარაფერი  
გააკეთებსო. არა, შვილო, შენ იგრევ დედაშენს დაუჭერე და იმის  
ჰქვას მიჰყეო“.

— ღმერთო და ცისა და ქვეყნის გამჩენო! შენ მოუმართე იმ  
შენგან მირონცხებულს ხელი, როგორც იმან მოუმართა ჩემს  
პატარა შვილს ხელი საკეთილოდ! აბა, შვილო, პნახე, რო მართალს  
გეუბნებოდი? დედა კი ცუდს მაინდომებს შვილისთვინ და სხვა  
კარგს? მაშ, რად მასიშმდგა ცოდით ი საცოდავი მამაშენი, მოჯამა-  
გირედ ნუ დაყენებო. თუ კარგი იყო მოჯამაგირობა, იმან ხო  
მთელი თავისი სიცოცხლე მოჯამაგირობაში დალივა. აგრე იტყოდა-  
ჟე ის საცოდავი, როცა ჩალოგინდა ქვეშაგებში და აღარაფერი  
შეეძლო, და მეც ვალალს ვაყრიდი:

სხვათა მოჯამაგირობას  
ალვილად იტყეის ენა:  
დილით ძროხაში მგზავნილენ,  
საღამოთ ლორისკენა;  
ქოჩ-მერებრებსაც მატანდნენ,  
თანც ინაღირე შენაო.  
თუ კუჩღლელი დაიჭირო,  
ხორცი ჩეენ, ტყავი შენაო,

და თუ დაოვ-შელის დატერ,  
ტყავი ჩეენ, ხორცი შენაო.



— აი, რა ცეცხლში ყოფილა მოჯამაგირე აღის ხელში! კრისტენი  
გამიგონია ი უბედური მამაშენისაგან, მე ხელი უნდა მოუწოდეს ასეთ  
იმავ შემდეგ?

— ოჯახი დევექცეს ფილიას, რომ იმან ამაბილბილა, იმ ქვა-  
ძალშია; იმან! ეხლა, აკი გეუბნები, გულიდან გადავიგდე-მეტე  
მოჯამაგირობა. ზოგი ეგვი მუშაობით, ზოგი, რაც მამივა, იქიდამ  
მოვახმო, ფული მოვაგროვო და ერთი ულელი ბოჩილა ვიყიდო  
და მივყვე ხვნა-თესვას. გლუხი კაცი თუ აშენებულა, იგრევ ხვნა-  
თესვით.

— ეგვ, შეილო, ე მაგითანები იფიქრე და თუ მეც ხელი არ  
მოვიმართო და მმასავით მხარი არ მოქცე, მაშინ ჩამაქვავე!

— ცოტა ლუქმა შავჭამოთ, არა გვაქრა? დალლილი ვარ, მეძი-  
ნება.

— როგორ არა, შეილო, თითქო გულმა შამიტყო, ლობით შეჭა-  
მანდი დავდგი.

ივახშეს და მიეცნენ ტკბილ ძილს.

## V

### ლაპის შეხრივი

ერთ საღამოს, მაისში, ორი ღამის მეხრე გააყოლებდა ქვალში  
წყალ დალუვინებულ გუთნის ხარს. თეთრი წამოსასხაში ნაბდები  
გადაეკიდნათ მხარშე გადებულ დიდ ჩომბახებზედ და აქეთ-იქით  
ყანის პირებში უდგნენ. გუთნის ხარი გამოვიდა კვლიდამ და შეე-  
ფინა ერთ ფერდობს, რომელზედაც ხშირად იყო მოდებული  
ტყის პატარ-პატარა კორომები მაყვლისა და კრიკინის ბარდებით.  
მეხრეები დაწინაურდნენ და წამოწენენ სერჩედ, საცა თავდებოდა  
ფერდობი. ფერდობს ქვემოდ გაშლილი მინდორი შემოსილი იყო  
დასათავთავებლად მომზადებული ჭეჭილებით, რომელსაც წყნარი  
ნიავი სასიმოვნოდ არხევდა. იყვავებულის კრიკინისა და მაყვლის  
ბარტები უხვად ჰუფრდნენ არემარეს სასიმოვნო სურნელოვანებას;  
მგონანი ბარდებისა თავისის ტკბილის გალობით ატკბობდნენ  
იქაურობას.

ერთი მეხრეთავანი დიდხანს იყურებოდა მინდვრისაკენ და სია-

მოვნებდა მღელვარე ჯეგილებით. შემდეგ გადახედა ფურდობრივ  
შეფენილ გუთნის ხარს და წამოიძახა:

— აი, შენი ვიჩრე, შენი, ჯერანავ, რო გულიანათა, პეტრე მარკევი  
პძოვე, შე ქედდალოცილო, შეგერება!

მეორე მეხრე კი ვერც არაფერსა პხედავდა იქაურისტისას და  
არც არაფერი ესმოდა, გარდა ბულბულის სტვენისა; იმისი გონება  
სადღაც შორსა პფრენდა, ხანდისხან სახეზედ ეხატებოდა რაღაცა  
საიდუმლოებით მოცული ღიმილი; ხან ტანს ბულბულის სტვენას  
ააყოლებდა. დიდხანს იყო ამნაირს მდგომარეობაში. შემდეგ  
წამოიძახა:

— დელა, ოდელაი, დელა, დელას, ოდილასა, დილა, დელას,  
ორიოდელია, დილა-ოდელა! დამძახე ბიჭო! — უთხრა ამხანავს  
და დაიწყეს ორთავ:

შეალი მწყურიან, შეალს დაელვა,  
დაევეზაფები გუბესა!  
დელას, ორი-ოდელია, დილა-ოდილა!  
შეაკლ და ჩავეჭურები  
ივანეჟ გოგოს უბესა!  
დელას, ორი-ოდელია, დილა-ოდილა!

— მართლა, ბიჭო, რატო აღარ გამითავე, როგო დააბოლოვე  
საქმე? — ჰკითხა ამხანავმა.

— ვერ მევესწრობით ამაღამ?

— ამაღამ რო ის ვილაპარაკოთ, როდისლა დავიძინოთ?

— ვერ გაძლები ამოდენა ქალაქ ლამეში? შენ არ გაყარაულებ,  
ნუ გეშინიან!

— არ მაყარაულებ რა, ჩემი ფეხები! შენი რა გადასახადია?

— მაშ ილა მოვიკვდეს, თუ ილამ ამაღამ თვალი მოხუჭოს! რაც  
ის ივანეჟ გოგო ვნახე, მე ტკბილად აღარ დამიძინია.

— ჰოდა, აბა, ერთი მილაპარაკე!

— სად ვიყავ?

— აი მზღუდრს რო მიხვალ და თქვენებიანთ ტასიქო გოგომ  
რო გითხრა, ივანეჟ გოგო აქ არიო.

— ჰო, რო მიერდით მზღუდრობას, ექვსიოდ-შვიდი ბიჭი ვიყა-  
ვით, ჩევენებიანთ ვიოც იქ იყო. აბა, შენ ხო იცი, რო მე და იმას  
კარგა გვაქ შაწყობილი ხმა. ისე, სუ გუგუნით გავიარეთ სოფელზე,  
და მზღუდრშიაც სიმღერით მივედით. რო ჰნახო, დაგვინახეს თუ

არა ჩვენებურმა ბიჭებმა და ჩემეგვეგებნენ. გოგოებიც წამოვიდინ  
ჩვენენ და ყურება დაგვიწყეს. მერმე იმ დალოცილში ღმერთის  
სუ კაი ბიჭებს მოგვიყარა თავი, სუ დასანიშნი ბიჭები ვიყავით;  
მე, ჩვენებიან გიო, შინჯიყაანთ ყარამანი, ყანჩაანთ ბასძურა, რესტაცია! წ  
ზაქარია, იმედაანთ კოწია, გარსელაანთ ნინია.

### გ ვ ე ლ ა მ ი მ ე ბ ე ბ ე ბ ე

— ეი, რა სუ კაი ბიჭები შაპყრილხართ!

— მემრე იგეთი ჩაცმულ-დახურულები ვიყავით, რო ყველას  
თვალი ჩვენსე რჩებოდა. მე კიდე იგეთი გამოკანკლული ვიყა-  
ვი, რო!

— მითომ არ იცოდი გამოკანკლა რა!

— ჰო, რო მივედით, დაგვიწყეს ყველამ ყურება, ჩვენებიანთ  
ტასიკ იქა ყოფილიყო. დამინახა მე და ხელი დამიქნივა. მე მიველ  
იმასთან და მითხრა, ივანე ვოგო ქე არიო. ი გავიხარიან, მე გამი-  
ხარდა! მაშინვე წავედით, ჯერ ფერხული დავაბით. ცალ მხარეზე  
მე და ჩვენებიანთ გიო ვამობდით, მეორე მხარეზე კიდე ყარამანი  
და ზაქარია. კაცო, მე იგრე გაჩამიჩებული არა მინახამ რა, როგორც  
სხვა სოფლისანი იყვნენ გაჩამიჩებული. ბანსაც ვერ გვეუბნებო-  
დნენ ხეირიანს, ის ოჯახდაქცეულები! ჩვენებურები რო არ ჩაბმუ-  
ლიყვნენ, კიდევ ერთი ათიოდენი, შენი მტერი, ჩვენ შავრცხვებოდით.  
მერმე სულ ყველანი ჩვენ გვიყურებდნენ, ფერხული რო გავათავეთ  
და „პიო ტიტი“ დავიწყეთ. რო არც თამაშობაში გამოიჩინეს ფხა-  
ფოლადი ერთი უნდა გეყურებინა, როგორ დაბაჯბაჯებდნენ. ჩემმა  
მზემ და თავი არ მამიკვდება, თქვენი შაქარა კამეჩი იმათხე კარგა  
ითამაშებს. გაგიხარიან, რო ჩვენმა ბიჭებმა ქვეყანა ზედ შაიხედიეს!

— აბა რა, კოწიას თამაშობას დაიწუნებდნენ რა! მგონია, სუ  
წყალ-წყალა ჩიტივით დაცრიალებდა.

— კოწიამ, თორემ ჩვენებიანთ გიომ ხო დააკლო-და!

— ნუ გეშინიან, არც კი შენ ჩამორჩებოდი!

— მანამ კარგა არ დავიქანცენით, სუ ვმლეროდით და ვთამაშო-  
ბდით. გოგუები კიდე, ჩვენ ზემოდან ერთი ბექური იყო, იმაზე  
იდგნენ და გვიყურებდნენ.

— ივანე ვოგოც ხო იქ იყო?

— არა, ბიჭო, ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ვერსალ დავიზახე.

— მაშ ვერა პნახე?

— დაიცა ვითხრა-და! ჰო, რო გავათავეთ თამაშობა და მემრე  
გოგუებმა ბუზიკა დაუკრეს და თამაშობა დაიწყეს, ჩვენ ბიჭები

წავედით, მივწივ-მოვწიეთ გოგოები და ცალი მხარი დაიტესტეთ,  
ერთი კილაცა გოგო უკრავდა ბუზიეს. იმ დედ-მამაცხონებულმა  
სუ აატირა. გამოდიოდნენ გოგუები რიგრიგით და თამაშობდენ.  
მემრე გამოვიდა ივანეჭ გოგოც. გამოვიდა და რა გამუჯაჭედულ-ი  
ლანი უყან მიპყარა. თითქოს ალალმა წამოუქროფერ-ლეიტენაუ  
იგრე განუმდნენ ყველანი და ყურება დაუწყეს. მემრე ის ოჯახდაქ-  
ცეულები მამიბრუნდნენ და სუ მე დამიწყეს ყურება. ეი, შამრცხვა  
და რა შამრცხვა! ამოდენა ვარ და თავი დღეში იგრე არსად შამრ-  
ცხომია. მე თავი ჩავღუნე, იმან კი უფრო და უფრო მოუმატა.  
როგორც ისა თამაშობდა, იგრე ბეჭებზედ გადაყრილი ხუთი-ეჭვისი  
შოლტივით ნაწინავი უთამაშებდა. რო გაათავა თამაშობა, წავიდა  
და ჩემს პირდაპირ გოგუებში ჩადგა. ის მე მიყურებდა, მე იმას,  
იგრე გამიყარა თვალი თვალში, რო ბოლოს იგრევ მე შამრცხვა  
და თავი ჩავღუნე. სხვა გოგუებიც ბევრინი გამოვიდნენ მემრე,  
მაგრამ იმიპყანად კი ვერავინ ვერ ითამაშა. გოგუებმა რო გაათავეს  
თამაშობა, ჩვენი ტასიკო გამოვარდა და გვითხრა: ბიჭებო, ახლა  
თქვენ ითამაშეთო. აბა, მე ვიცოდი, თქმა არ მინდოდა, ყველაზედ

✓ წინ გავარდებოდი-ყე ციბრუტივით ვტრიალებდი, მაგრამ მაშინ კი  
რალაცა დამემართა, თქვენმა გამარჯობამ, ვერ გავძელე. მემრე  
ი გოგო იგრე აწიწინებდა ი ბუზიეს, რო იმაზედ თამაშობა  
მკვდარსაც კი მოუნდებოდა. კოწიამ ვერ კი მოიცადა და რო არ გავ-  
დიოდი, გავიდა და ჩამოტრიალდა. გაათავა და მე დამიკრა თავი.

— ჰაი, თუ შენც კი გამოიჩენდი, რაც იცოდი და არ იცოდი!

— ისემც ღმერთი გაუწყრება დუშმანს! რას ამბობ, კაცო, რა-  
ლაცა ღმერთი გამიწყარა სულობით ვერ მოვახერხე თამაშობა.  
მუხლები იგრე მეკეცებოდა, რო კინალამ არ წავიძეეცი. რო ენახე  
ხერხად არ მომდიოდა, გავნებე თავი და წავერივე, საცა ბიქები  
ჯგუფად იდგნენ. შავნეს ერთი ალიაქოთი, რა დეემართა, რატო  
ვერ ითამაშო. ჩვენ გიოს კი ეყურებინა იმიტვინ. თურმე, ნუ  
იტყვი, ძალიან ჰწყენოდა, რო მე ვერ მოვამგზავს თამაშობა. შუ-  
ბლი შაიკრაო და სუ იგრე შუბლშეკრული იდგაო. ჩვენებურმა  
ბიჭებმა რო ითამაშეს ყველამ, ჩვენი ტასია გოგო მოვიდა, წამავლო  
ხელი და მითხრა: რა დაგმართებია, შენი თამაშობა დუნიაზეა განთქ-  
მულიო და აქ რალა დაგემართა? წამო ითამაშეო. ბევრი ვიუ-  
არე, მაგრამ ალარ მემეშვა, მეც შევაფურთხე ეშმაკს და გავედი  
მეორედ. გავედი და მაშინ კი, გავიხარიან, მე თვალები დავაცეცი-

ბინე ჟველას. რო დაუარე და დაუარე, ბიჭები მიძახოდნენ იქიდამ: ჰა, შენია ილიაო! თურმე მიყურებდა ისა და სუ ლიშვილი მოსდიოდა პირზედ. რო გავათავე თამაშობა და, ვერ კი დავინახებ; ვინ იყო, ერთმა დამიძახა: ტყუილია შენიპთანა, რო ყურადღება მისთვის ემული ხარო". შველა შენ გქონდეს, მე ამა გამარტინული ციტილიცებ იყო, სწორედ იმის გვერდზედ ოქვა და იმანაც გაიგონა. შენ არსად გინახამს ივანეჭ გოგო?

— აბა, სადა ვნახმდი!

— ახ, ნეტავი ერთი ვაჩვენა, პწორელ ცილან ჩამოსული ანგელოზია!

— ეი, იგეთი ლამაზხა?

— აბა როგო განიშნო, კიმიანთ ბაბალე გოგოს ხო იცნობ?

— როგორ ვერა, იმასაც რო ვერ ვიცნობდე, მა ვიღას ვიცნობ?

— ჰო, სწორედ იმ სიმაღლეა.

— თითქმის ცოტადა ჰელებია შენ სიმაღლესთან.

— მე მაღალი ვიქნები, მაგრამ ის ძალიან მოხდენილია: მთვარესავით ბალრი პირი აქვ, წითელი, თურაშიაული ვაშლივით ლოუები, მაგის სიმსხო, უსურავაზივით დაგრეხილი კავები ჩამოჰკიდია. ბეჭებზე კიდე ოთხი შოლტივით ნაწნავი აყრია. შენ იმის წარჩები უნდა ნახო, თითქოს წალამი გაუქრამოო. შავი უშრევივით კიდე თვალები აქვ, მემრე გლეხურად ხო არ აცვია!

— არა?

— გლეხურად კი არა. შენ გლეხურად გეგონა?

— მაშა, კაცო!

— გლეხურად კი არა, თავადურად აცვია. შიგნით თეთრიანი ჩითის კაბა ეცვა, აი რუშიანს რო ეძახიან!

— აი ნაოჭასხმული?

— ჰო, ზემოდამ კიდე თავადური პოლეა. რაღაც კი ჰევიან სხვა, ტასიკომ მაპწავლა. დაწყევლა ლმერთმა!.. ენი წევრზე მადგინა. აგერ ბატონიანთ ნენესაც არ აცვია, კაცო, იგეთი.

— ი ივანეჭ გოგოს ხო ეცოდინება იმის სახელი?

— აბა, კაცო, იწყევლები. იმის მეტი კი ჰევიანია რამე! დიავ-ნის ცოლთან ყოფილა შაგირდად და რა იქნება იგეთი, რო იმას არ უპწავლებია. ჩვენი ტასიკო ამბობს, იმან ხო გლეხური ლაპარაკი არ იცის, სუ თავადურად სიტყვა-პასუხობით ლაპარაკობს. აი ჩვენ რო ვიტყვით ჰელუბი, ფეჭები; იმას ხო ეგრე არა ჰევიანია

იმისა პცოდინია ხელები და ფეხები. წიგნსაც იგრე კითხულობსო, რო  
კარგი დიაკვანიც ვერ წაიკითხავს იგრე. „უფალო“ და „მამაუჩვენია“  
დაისრულა და ახლა მოკითხვასა კითხულობსო. აბა ხელსაქმის ცუდული  
ნია კარგი, აი იგრე ჩახსაკრავებს დაპქსოვს და დაპწყრობილი უწყისე  
ზედაო, რო ყველა ხარათა ლირსო!

— ეეეი, რა მწავლული ყოფილა! ჩახსაკრავებშე როგორლა  
უნდა დაპწყეროს? არა ჰევანებია ჩვენ მწერალს, ქაღალდზედაც  
ძლივა პწერავს!

— ოპტატმა იცის-და!  
— საოპტატოც შენ მოგინდება ბევრი.  
— ბევრი რა, ერთ თუმანს არ დამჯერდება?  
— როგორ არ დაგვერდება, მეტი რაღა უნდა!  
— მივცემ, რა ჩემი ფეხებია, ვეღარ ამოვალებინებ? ვაქსოვინებ  
ჩახსაკრავებს და ვაყიდვინებ.

— ჩახსაკრავებშე პწერამს და ჭიბი ბოხჩა გუჭირდება!

— რა, ჭიბი ბოხჩა ეცოდინება?

— ერთი შამიკერვინე!  
— არ დაიჭერებთ, კაცებო, ამ დასაქცევს ფული ექნება!  
— იგრემც ჩემს მტერსა პქონდეს!  
— მა რად გინდა ჭიბი ბოხჩა?  
— ტალკვესი ვერაში შამინახამ.  
— ცოტა ძალუები გუავ, რატო იმათ არ შაკერინებ?  
— ვაჲ იმათი, ძალუები მე ვიცი!..  
— მაშ კარგი, შაგიკერვინებ.  
— ვინ გირიგებს?  
— ვინ უნდა მირიგებდეს, ილბალია და ჭისმათი!

— როგორ ილბალი და ყისმათი, მე რატო არა მაქვ მაგიქთანა  
ილბალი?

— ჭერ სუფსარქისის მარხვა არ შაგინახამ?  
— ვინ მამაცლის იმიპოვინ!

— აი, რო შაგენახა, ნამდევილათა პნახამდი შენ ილბალსა და  
ჭისმათსა. იმაზე მართალი არა ყოფილა რა. ახლა როგორ იყო:  
წლეულ ვიმარხულე. სუფსარქისობა რო თენდებოდა, იმ ღამეს  
აიღო დედაჩემმა ერთი სათითე ფქვილი და ორი სათითე მარილი.  
არივა ერთათ, გამააცხო კვერი და მითხრა: ეჭ შაჭიმეო და დაიძინეო,  
წყალი მოგწყურდებოთ და, ვინც სიზმარში დაგალევინებს, შენი

იღბალი ის იქნებაო. დავწექ, დავიძინე და რო მამწყურდა წალი, მაიტანა ერთმა გოგომ და დამალევინა. ავდექი თუ არა დაიღოთ, დედაჩემთა მკითხა: ვინ დაგალევინა წყალიო? რა ვიციოზეთქმი, ერთი ლამაზი, მაღალ-მაღალი გოგო მოვიდა და იმაზე ჭარბი მეტები. საიდან მოვიდაო, და მეც გავუშვირე ხელში! ბათ-ისტელშე მოვიდა-მეტები. დედაჩემთა შაპკივლა: უი, შვილო, ტასიკომ მელა-პარაკა, შარშა. მეშველიანთ ივანეპ გოგოს შეენახა სუფსარებისის მარხვაო და შენ ილას დაელევინებინა წყალიო. მე ტასიკომ დიდი ხანია მითხრა და შენ არ გეუბნებოდიო. ტასიკოსათვინ ეთქვა დედაჩემსა, რო მეც ისა ვნახე, და ეხლა ტასიკოა მაჭინეალი.

— მემრე, სადილად ვიპთან წახევედი ზლუდრიდამ?

— სადილად სუ ერთიანად ტასიკოსთან წავედით, ვინც კარგი მომღერლები ვიყავით. მაგრამ რა გითხრა, გავაჯერეთ იქაურობა. აბა, მეშველიანი ტასიკოს მეზობლები არიან, რო უყურო, მოპდგა ლობესთან იმოდენა ქალი და კაცი და სუ ჩვენ გვიყურებდნენ, როცა ვთამაშობდით და ვმღეროდით. მემრე ტასიკო მოვიდა და მითხრა: კარგია და ნუ დაწყვეტინე თვალები შენი ყურებითაო. მაგრამ მე უარესი ვქენ, კიდევ კი არ მეცეცებოდა მუხლები.

— ნეტავი შენ! ტყუილად კი არ არი ნათქვამი: ბედი მამეო და სანეხვეზე გადამაგდეო. მე არც ძმა გამამადგა, ძმარი ედინოს, არც ბიძა, არც ბიძაშვილი, არც მამიდაშვილი, არ ვიცი, ვის რა დავუშვე. ზოგს როგორი იღბალი აქე! აბა რამდენით მე შენზე დიდი გარ, კიდევ ვიქნები ხუთი-ექვსი წლით დიდი; ხან წავეკიდე, ხან გავუწყერი ჩემ ბიძებსა და ძმებს: თქვენ რო დაბინავდით და ზოგმა ქალებიც გაიპტურეთ, მეც ნუღა მაყურებინებთ, დამაბინავეთ-მეტები, მაგრამ ვერაფერი ვერ შევასმინე რა იმ ოჯახ დაღუპილებს. ყერ ვალი ვემართებსო, ვალს ველარ მივუმატებთ სხვა ვალსაო. აბა ერთი შენ მითხარი, იმათ რო თავი დღეში ვალი არ მაიშორონ, მე დაუბინავებელი უნდა დავრჩე? მე ვეუბნები, საცა ი თქვენი შვილების გაპტურებაზე აღებული ვალია, ჩემი საქორწინო ვალიც იქ იყოს-მეტები. მაგრამ შააგდეს ქვა და შაუშვირეს თავი, პირი ვერ დავაძრევინე იმ სახეარდალუპილებს!

— ბიჭო, შე რატო ეგრე ეხუმრები ვალს, იცი, როგორი კაცის დამღუპავია ვალი? ღმერთმა შენი ღუშმანიც ნუ ჩააგდოს ვალში და მემრე ჩარჩის ვალში! ვენაცვალე დედაჩემს სულში, რო იმან ვალი შამაჯავრა. სუ იმას ჩამჩიანებდა, ვალი კაცის დამღუ-

პავიაო, ანამცა და ანამც ვალი არ აიღო როდისმეო. ვალს უთხო-  
მო: „კარის ჭუჭრუტანიდამ შევძერებიო და კარებში ველარ გრო-  
ვიტევიო“. აგე, რა მოუვიდათ მამულაანთ. არ გასხვაუტერო უმუშესი ე-  
ცხოვრება, რა ცხოვრება ჰქონდათ? ვინა ჯობდა იმათ შეტყირების ერთ-ერთ  
იმათი ცხვარი და ძროხა მინდორს აბნელებდა. აბა ეხლა შაპხელე  
იმათ ნასახლარს, რასა ჰგავ? ვალმა არ ჩასცხო თავში!

— რას ამბობ, ვალმა კი არა, ვიღაცამ ჯადო უგდო. ჩვენებიანთ  
ისაკის არ აბრალებონენ, აღარ გახსოვს?

— ჯადომ ჯადოდ იმუშავა და ვალმა ვალად, ორივე ერთმა-  
ნეთშე მიჰყეა, თორე იმოდენა დოვლათი იგრე ანაპლულად  
გაქრებოდა?

— ჰაიტა, მე რო პატარაობაში იმათი მარილის ყორე მინახავს,  
მითქვამ ჩემ გულში, ნეტა რა ხარმა და კამეჩიმა მოზიდა ამოტელა  
ზღვა მარილი-შეთქი! იგრე მალე სად ჩაიყლაპა იმოტელა  
ცხოვრება!

— აბა ვალს ემაგრე ჰცოდნია, აი! ი ოჯახდაქცეული, ი არტემაა  
რალაცა, შაუჩხნდა ჩიჩილივით და იგრე დაანიავა პატიოსანი ოჯახი.  
ის ოჯახდაქცეული, თურმე ნუ იტყვი, მიეიღოდა, იმათას ღამ-ღამ,  
როცა საწვრილმანო დაჰქონდა, კარგსა სჭამდა, კარგსა სვამდა და  
ერთი ბეჭვა კევი რო მეეწიწენა ბალლებისთვის, დავთარაში ჰეჭ-  
რამდა. რასაც ფულსა შოულობდა, იმასაც იმათ ასესხებდა, თუნდა  
არა სჭირებოდათ. ატარა, ატარა, შააყენა უანგარიშო ვალი,  
შემრე წაუსვა ხელი და წაართვა. ეი, მე რო იმას უყურე ერთხელ  
პური წყები! ერთი დიდი ხევი იდგა მამულაანთ კალოზე, მის-  
დგომიდა შენი არტემა და, რო პწყამდა, განა ხელს, მელავს უხ-  
ვევდა, ის მელავგასახმობი! კაცს ცრემლები გაღმოსცვიოდა, რო  
დეენახა. თითქო ნაღდი ფულები დაუთვალია, ისე შეუბრალებლად  
ჰწყამდა, ის ოჯახდაქცეული. ვაპ, ვალის მყვარებელს კი.. დედა-  
ნემს ვენაცვალე სულში, რო იმან ეგრე შამავარა ვალი და  
მოჯამაგირობა, თორე ერთ ლუქმა პურსა ვჭამ დღეს ლვითით, იქნება  
ისიც აღარა მქონდა. ეხლა შე რო ამბობ, რატო ჩემი  
საქორწილო არ აიღესო, იცი, უფრო როგორ დაგაწვებოდა კისერ-  
ზედ? მე რო შინ არ მეპოვებოდეს შველაფერი და ვალის აღება  
დამჭირებოდა, იგრე უცოლშვილო დავდგებოდი და ვალს კი ჩემ  
სიცოცხლეში არ ავიღებდი. ჩემი თვალით შაგაყვარა ვალი! მე  
ახლა რო ვინიშნები, სუ ყველაფერი მზადა მაქვ. შამადგომისა ათი

დღის ნახნავი მაქვ და რა ღმერთი გაუწყრება იგრე, რო ღცი კოდო  
მაინც არ მამიგროვდეს. ჯერ ეხლაც მექნება კიდევ ძველი ოც  
კოდამდინ; აბა რალას შავჭამით ეხლა, საცა არი, ყანეჭურულებული  
ახლა კიდე გაზაფხულის მოსავალი? ვენახიც კატერი მაჭირულებული  
ღმერთმა ცა და ლრუბელი დაუმშვიდა, იმთენი მამივა ყველაფერი. .  
რო არამცუ ქორწილში მეყოფა, კიდეც გავყიდი. საკლავებიც  
ეხლავე მყავ დავალიანებული. ფულადაც სამ-ოთხ თუმნამდინ  
მექნება. როგო არ მეყოფა სქორწილოდ?

— მაშ, ეგ არი, გათავე საქმე რალა?

— არა, აბა ჯერ სად გავათავებდი, მაგრამ გათავებულივით  
კია. როგორც ჩვენმა ტასომ მელაპარაკა, „იგრე ჰყევებარ უველას  
გულში ჩავარდნილი, რო იმათ შენ მეტი არავინ უნდათო“. მე  
უფრო არავინ მინდა იმის მეტი და ვერც არავინ იმას ხელს ახლებს.  
სანამ ცოცხალი ვარ. იმათ დაუბარებიათ, რო უსანეთობას მოვალთ  
სახლის გასაშინჯადაო და პეტრე-პავლობას ნიშანი მოიტანეთო.  
უსანეთობამდის ალო გამოვა და მეც მოცლილი ვიქნები.

— შენ იგეთები მელაპარაკა, ჩემო ძმაო, რო მეც გამიტორთხა  
ძილი. ადე, ხარები აქმალოთ და საღმე კვლებში შავრეკოთ, ერთი  
კარგა მაინც დავაძლოთ, თუ ვერ დავიძინებთ.

მეხრეებმა დააძლეს ხარი, დაპყარეს ერთ მინდვრიანზე და  
თითონაც მიდეს თავები: ილიამ თავის შვინდა ხარზე და მეორემ  
თავის ჯეირანაზედ. სულ არა სძინებიათ ერთ საათს, ნამგლის პირ-  
სავით დალეულმა მთვარემ ამოაშუქა და დაუფრთხო უიმისოდაც  
დამტრთხალი ძილი ლამის მეხრეებს. უცბად წამოხტა ილია და  
დაუძახა ამხანაგს:

— ბიქო, გიგავ, ადე, გათენებამ მატანა!

ადგა მეორე ამხანაგიც, აშალუს ისევ ხარები და გააყოლეს  
გუთნისაკენ. მირეკეს დილა-ბნელზედ გუთანთან ხარი და დაუწყეს  
შებმა.

— ილავ, რა იღბალი გაქვ, შე დასაქცეო! — უთხრა ამხანაგმა. —  
დღეს შენი ხენაა და რანაირად არი დამძღარი ხარი, რა დღიურს  
გადაპყიმამენ.

ულელი ხარიღა ჰყავდათ შესაბმელი, როცა მოვიდნენ გუთნის-  
დედა და დღის მეხრეები. დღისის მეხრეებმა წნელები დასინჯეს  
და, საცა უნდოდა, ახლები ჩაგრიხეს. გუთნისდედა კი გაემართა

გუთნისაკენ და აასხა სახნის-საკვეთი. შეაბეს, დახედა გუთნისაკენ-  
დამ ხარსა და სთქვა:

— დაილოცოს თქვენი მშობლის ძუძუ, რა დამაძლარი ხარისხი  
აბა, რაი დაკორწილდი, მას აქეთია, სუ გუთნიდედოთი როგორც  
როგორც წლეულ დამაძლარი ხარი მოდის. იმირჩხა კი პირდე  
მინახამ.

— ილამ იცის-და! იგრე გაატარებს სარტყლის ტოლა კვალში,  
რო ერთ თავთავს არ მააწყვეტინებს! — წამოიძახა ერთმა დღისის  
მეხრემ.

— მაშ ხარები რო მე მაძლობენ, მე კი არ უნდა დავაძლო ეგი-  
ნი? — უპასუხა ილამ.

— აბა, ილავ, ნაზურგი შავკრათ, თუ ნაფევი მივაგდოთ? —  
დაუძახა გუთნისდედამ.

— ნაზურგი, ნაზურგი!

— აბა ვახსენოთ ღმერთი. ღმერთო, შენ შეგვეწი! — და გაისმა  
„ჰე-ჰე-ჰე!“

ცოტა ხნის შემდეგ ტოროლამაც მორთო თავისი დილის გალო-  
ბა. თითქოს ტოროლას ჩამოართვაო, შემოსძახა ილამ:

უხერხული გუთნიძედა  
მეხრეებს ემუქრებოდა,  
ცოტა მხენელი და მოესველი  
მაღალ ღმერთს ემდურებოდა.

სხვა მეხრეებმაც მიაყოლეს ბანი და შემდეგ ყიჯინა: „ჰე-ჰე-ჰე!“

## VI

### ო ს ტ ა რ ა ნ

სოფელში აბრია დიაკვანს „ძიან მწავლული“ ცოლი ჰყვანდა.  
თუ როგორი „მწავლული“ იყო დიაკვნის ცოლი ანასტასია, იქიდანა  
სჩანს, რომ, როდესაც აბრია, წიგნების კითხვის დროს, ან შეფერ-  
დებოდა, ან ტყუილს გაურევდა და მღვდელი ამაზედ დაუყვირე-  
ბდა, იქ მყოფნი დიაწყებდნენ ხოლმე: „ვაპ, სად არი ეხლა შენი  
ცოლი, რო საჩქაროზე არ გადააბულბულებს!“ ბევრჯელაც შელა-  
პარაუებულან და წამოუყენებიათ მრავალი საბუთები, იმისი სწავ-  
ლის დასამტკიცებელი: მხოლოდ მაშინდა გაჩუმებულან, როცა

ვასჯავრებიან, მართლაც-და როგორ არ უნდა ეწოდნათ აზასტანის  
სათვის „მსწავლული“, როდესაც მთელი სოფლის მანდილობათ  
მყითხველ-მწერალი ის იყო. მანდილოსანთაგან, რასკურთხული  
მამაკაცთაც პქონდათ გაგებული და, როცა დასჭირდათ უკერძებე  
სუქებისა ან სხვისა რისამე წაყითხვა და წაპეთხველი ან არავინა  
ჰყვანდათ, ან ისეთი ვინმე შეხვდებოდათ, რომელიც თავსა და ბო-  
ლოს ვერ გააგებინებდა, იტყოდნენ ხოლმე: „მაიტა ერთი იგრევ  
ტასის წაუღო, თორე... იგრე გადამიითხოს როგორც ლვდელა-  
მეტიმეტი პწავლისაგან სუ თავს იქნები!“

არც უნდა ყოფილიყო ანასტასია უცოდინარი, იგი იყო მღვდლის  
ქალი — ყველა შვილებზე უმცროსი. როგორც კოფანდარი, იგი  
ძრიელ საკვარელი და ნებიერი იყო დედ-მამისა და ყოველი სიკეთე  
მისთვის ემეტებოდათ. რაც იცოდა და არ იცოდა, დედამ ყოველი-  
ფერი გადასცა ანასტასის. წიგნის სწავლებაში კი მამაც ილებდა  
მონაწილეობას, ასე რომ ხუცურიც კი ასწავლა, პირდაპირ ხამო-  
ციქულოში, და რამდენჯერმე წააკითხა ეკლესიაში სამოციქულო  
სტუდო დღესასწაულებში.

არც აბრია იყო მდარე კაცის შვილი. აბრიაც მღვდლისა და  
დიდი ოჯახის შვილი იყო. როგორც სხვა ძმებს, ისე აბრიასაც.  
დედ-მამის დაუდევნელობით, არ გაძლებია სასწავლებლის კარები.  
იმისმა ძმებმა ზოგმა მონასტერში, კერძოდ მღვდლებთან, ისწავლეს  
საეკლესიო წიგნების კითხვა და კილც იშოვეს ზოგმა დიახოქობა  
და ზოგმა მთავარდიაკვნობა, აბრია კი დაჩიხა ამასაც მოკლებული.  
სოფელ N-ს მღვდელი ამავე სოფლის მცხოვრებელი იყო და  
სცდილობდა თავისი წინამოადგილის შთამომავლობა ისე გეენად-  
გურებინა, რომ ადგილის შემცილებელი აღარავინ ჰყოლოდა. ამი-  
სათვის არამცთუ ხელს უმართავდა აბრიას, ყოველ ღონისძიებას  
ხმარობდა, რომ აბრია სასულიერო წოდებიდგან გამოერიცხათ და  
გლეხეცაცად დარჩენილიყო. დასანიშნი იყო აბრია, როცა ანაბანიც  
კი არ იცოდა და სახლიკაცების ჭიბრობით ძროხაში, გუთანზე და  
ურემზე დადიოდა. იქნება სულაც „ტყე-მინდვრის“ კაცად დარჩე-  
ნილიყო, რომ აქეთ-იქიდან არ ეოჭვათ: თუ დიახოქობა არ იშოვნე,  
სასულიერო წოდებიდან გამოვრიცხამენ და ხარჯს შაგაწერენო.  
ამ გარემოებამ ძლიერ შეაფუცხუნა აბრია. ზოგიერთის მადლიანის  
კაცის შემწეობით ისწავლა ხუცური ანაბანა და მას აქეთ დაკითხი  
არ მოუშორებება: ხან ჭიბით, ხან გუდით ატარებდა თან და თავი-

სუფალ დროს კითხულობდა, ისწავლა ისე, რომ ბლალომიშვილი ტახტ-ტკიცებინა აბრია თავისიავე სოფელში დიახოქობის თანამდებობაზე და მიათხოვა ობლად დარჩენილი თავისი დეიდაშვილი ქართული და ერთი აბრიაც და აბრიას ძმებიც გაუყრელები იყვნენ თუმცა შემოწყვეტილი ბიძაშვილებთან. მხოლოდ აბრიას ძმები თავიათის ცოლ-შვილით სკეოვრობდნენ იქ, სადაც მსახურობდნენ; აბრია კი თავის ბიძაშვილებთან ერთად სკეოვრობდა. ოჯახი რძალთა მრავალი იყო. ყველა რძლები, ანასტასიას გარდა, გლეხეაცის შვილები იყვნენ და ამისთვის ანასტასია ირჩეოდა იმათგან თავისის ხასიათითა და ზექ-ჩვეულებებით. ანასტასიას ახსოვდა თავისი ვინაობა და ყოველთვის სცდილობდა არ დაემცირებინა არც თავისი შთამომავლობა და არც კაცის ცოლობა; ბავშვებსაც კი აგრძნობინებდა თავისი ქცევით, ვინც იყო. ანასტასიას ქცევა არ მოსწონდათ დანარჩენ რძლებს. მით უფრო, რომ ბევრს საქმეში, მაგალითად, პურის ცხობაში, წყლის მოტანაში, სამარგელში და სხვა „სათაყილო“ საქმეში იმათ-თან არ ეწეოდა უღელს. იმისი საქმე იყო ჭურჭლის დარცევა, თონეზედ თვალის დაჭრა, როცა სხვა რძლები პურის აცხობდნენ, და ტაბაყით პურის შეზიდვა. როდესაც კი უიმისოდ შეიყრებოდნენ ერთად რძლები, მოჰყვებოდნენ ხოლმე ტუჩების აპრუკვით იმის ჭორვა-კილვას.

— ი ჩვენი პეტენიკი (ასე უწოდებდნენ ანასტასიას) სადა ბრძანდება? — იკითხავდა ერთი.

— რა ვიცი, ქა, ძრიან კი ყვიტყვიტებს-და; იტყვი, მაგისი მოახლე იყოს ვინმე! — ჩამოართმევდა მეორე.

— ი, მენი კი დავაყარე მაგი თავსა და ჩავტიტე! რაო ახლა, ვინ არი მაგაზე ნაკლები, ან კაციშვილი? აქა-ლა, მეო-ლა დიაკვნიპ ცოლი ვარო, თავზე ბუზს არ ისვამს! — დაუმატებდა მესამე.

— რა ვიცი, ქა, უწინ ლვდლი ცოლებიც არა დიღობდნენ ემაგრე! — იტყოდა მეორხე.

— თუ დაარღვევს ჩვენ ოჯახს, ეგ დაარღვევს! — დაასკვნიდა მეხუთე. ბევრს სხვა უწმაწურობასაც ლაპარაკობდნენ ხოლმე ტასიაზე.

უფრო იმაზე მოსდიოდათ რძლებს ჭავრი, რომ ანასტასია არა ცხოვრობდა საზოგადო სახლში — რძლებთან ერთად. ისა სცხოვრობდა ცალკე მარანში. რამდენადაც ძლიერდებოდა ანასტასიას მიმართ რძლების სიძულვილი, იმდენად თვით ტასია მაღლდებოდა

კარეშე ხალხის თვალში. ყველა ანასტასიას ამართლებდნა, ყველა იმას ამბობდა, რომ ტასიას ლირსნი არ არიანო, იმისი ფასი იციანო. ამ შემთხვევაში ანასტასიას დიდადა შველოდა ის გარემონტი ბა, რომ წერა-კითხვა იცოდა და ამით დავალაანებული წერდის ხალხი. წერა-კითხვავე იყო მისი მიზეზი, რომ ყველა, კუთხის მქონე მოყრებოდა ქალი გასათხოვრად, ანასტასიასთანა გზავნიდა შე-კირდად.

მართალი რომ ვთქვათ, ანასტასია არ იყო ლირის რძლების კიცვისა. იმისი შეგირდები ოთხს იმდენს აეთებდნენ, რაც იმას თავის წილად საქმე შეხვდებოდა. სხვაც არა იყოს რა, სოფელში ანდაზა იყო: ღვდლიანთ (თუმცა იმათ სახლში მღვდლელი აღარ იყო, მაგრამ მაინც ისევ ღვდლიანთ ეძახოდნენ) ეზო-ყურეში ერბო აიკრიფებაო. ჩასავირველია, ეს სულ ანასტასიას შეგირდების უნარი იყო, ყოველ დილა-საღამოს პევილნენ შინ და გარეთ მთელ ეზოს. წყლის მოტანა, ცეცხლის ანთება შეგირდებზე იყო მინაბრე-ბული. გარდა ამისა, ყოველი რძალთაგანი, ნამეტნავად, ვისაც ჯვანი ედგა, ისე დაასაქმებდა შეგირდებს, როგორც უნდოდა.

თავისი საცხოვრებელი ადგილ-მარანი ანასტასიას ყოველთვის სუფთად და მილაგებულ-მოლაგებული ჰქონდა. ტუპკირები და გო-დრები ელაგა საწნახელში. მარჯვნივ კადელზე იყო გაწყობილი საჩუქრები, მაწაწურები და უკიდა ხაპირი და ყელიანი გოგრის ძაბ-რები; მარცხნივ ნახევარ ბაქანზე იყო გაშლილი ფარდავი; ფარდა-ვის თავში მარცხნა კედლის ძირზე ელაგა აკეცილი ქვეშავები. ძირს, ბაქნისა და კედლის კუთხეში, იდგა სკივრი; სკივრს ქვემოდ პატარა ხილის კიდობანი. სკივრსა და კიდობანს წინ იყო ხოლმე გაშლილი ნაბადი, რომელზედაც იჯდა ანასტასია საქმის დროს. იმას ქვემოდ სხდებოდნენ შეგირდები. მარჯვნა მხარეს კი არ ეკა-რებოდნენ არც ანასტასია და არც შეგირდები, რადგანაც ბლობა ზედაშეები იყო.

ანასტასია ასწავლიდა წერა-კითხვასა და ხელსაქმესა. შეგირდები ორ განკოფილებადა პყავდა ხოლმე განსაზღვრული. პირველ განკოფილებაში ირიცხებოდნენ გასათხოვარნი და სწავლობდნენ: „ანაბანას“, „უფალოს“ და „მამაო ჩეენოს“; ხელსაქმიდამ: სახის შეერვასა და ჩახსაჯრავის ქსოვას. მეორე განკოფილებაში ირი-ცხებოდნენ გათხოვილნი და სწავლობდნენ: „მოკითხვას“ და სწერ-დნენ ნახშირით ბეჭედდე: ხელსაქმიდან: ჰქონდნენ ყაჯრებს და

აკეთებდნენ გვირგვინებს. სწავლებაში ანასტასია არაფერს მოიპოვა  
ქალის პატრონისაგან, გარდა ძღვნებისა ყოველ ბეჭრიერ დჯებში  
და, როცა გათხოვილს ქალებს მოსაყითხი მოუვიდოდეს უზუღუდე  
ჯვარის წერის წინ იღებდა სანეფლოსაგან „საოცრებული ჩამისულ ა  
მანეთიდან ვიდრე თუმნამდინ.

ერთ დღეს, როცა შეგირდებმა მოიშორეს მოვალეობა სახლ-  
კარისადმი, მოუსხდნენ მარანში თავიანთ საქმეს. ამ დღეს მარტო  
შვიდი შეგირდი ქალი იყო. ორს მუხლებშედ „ანაბანა“ ედო, ერთი  
მისჯორმოდა აკვანს და კალთაზე უფალო ედო. შეოთხე ქალს ედო  
წინ ქარგაზე გაბმული წითელი მაუდი და ყაჯარსა ჰქერავდა.  
დანარჩენს სამს გეებათ ძაფები და ჩახსაკრავსა ჰქისოვდნენ. ერთი  
აწყობდა. ორი უბეჭვდა: ჩახსაკრავზედ იწერებოდა შემდეგი  
ლექსი:

კარ ჩახსაკრავი ლომისა,  
პუდამ მსურველი ომისა:  
უყაის თვისი გამარჯვება  
და დამარცხება მტერისა.

ანასტასიამ ჯერ ერთს წააკითხა „ანბანი“, მერე მეორეს. შემდეგ  
მიუახლოვდა აკვანთან მჯდომარეს და ამანაც დაიწყო: „უფალაო-  
უფალაო იესაო-იესო ქარაისტაევ-ქრისტე ლმაერთაო-ლმერთო!“  
ამნაირად წაიყითხა ბოლომდის დანარჩენიც: „სწავლა კეთილად  
მოუხდინე მხევალსა შენსა ეკატერინესა, რათა ისწავლოს წიგნი  
და წერვა, და გაქოს და გადიდოს უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.  
ყაჯრის მკერავს დაუწყო დონჯიანი კაცის სახე, ჩახსაკრავის მქსოვთ  
ასო „ლ“ და თითონ გავიდა თონეზედ, რადგანაც საცხობი ჰქონდათ.  
გასვლა ანასტასიასი და ჩახსაკრავის არევა ერთი იყო. ბევრი  
ეწვალენ, ყაჯრის მკერავიც მიეშველა, მაგრამ ვერა გააწყეს რა.

— იშ, ნეტავი მეც ეხლა ყაჯარსა კერამდე, ეგ ადვილია! —  
წამოიძახა ჩახსაკრავის მქსოვმა-დამწყობმა. როცა დარწმუნდა,  
რომ ვერას უშეველიდნენ წამხდარ საქმეს.

— შენ ადვილი გეგონება! — უპასუხა ყაჯრის მკერავმა.

— მა რატო შენც ჩემსავით მალ-მალე არ გერევა?

— იმისთვინ, რომ მე დიდი ხანია შაგირდადა ვარ და ვიცი,  
შენ კი გუშინ მოხველ. განა ეგრე მალე დაგაწყობინებდა ოსტატი  
ჩახსაკრავს. რომ არ გეესინგეთ რა! ეგრე მალე იმისთვინ დაგაწყო-

ბინა ჩახსაკრავი, რომ მანამ ხელს დაგდებენ, გაათავო — და ყაჯარი და გვირგვინი დაიწყო, რო ქორშილამდინ მოასწრო.

— ნეტავი შენი სიცოცხლითა და ბედნიერებით, ჭრებში რაფლუ ივრე მალე შავეერო ყაჯარიცა და გვირგვინებიც, რუსტული მარეე

— ივრე შამზრჩეს ძმა, შენ ტუუილადა გვონია, რო ყაჯრის კერვა ადვილიაო!

— იცი, ქალო, მაგას რაზე ვამობ? მე ეხლა გული გულის ალაგას აღარა მაქვს და თავბედისაც არაფერი გამეგება. ი გულ-კვდრის შვილმა, ჩემი გულიცა და ჰეჭვაცა და გონებაც იმან წაიღო!

— ივრე იციან ბიქებმა შენიპონანა ქილებისა!

— რა ჩემიპონანასი, შენ კი არა ჰყოფილხარ ამიპონა ცე-ცხლში?

— ყველას მაგიპონა წყალი დეესხმება ხოლმე, ჩემო მარო! მეც ისე გადამრივა სოსიას ნახვამ, როგორც შენ ილას ნახვამ.

— არა, რო არ შაიძლება, მე ადამიანს უყვარდეს ვინმე ისე, როგოც მე იმ გულმკვდარმა, — ნულარვე, — ჩამივდო გულში სიყვარული! ნეტავი ერთი დაგენახა, როცა თანა მღეროდა და თან უვ-ლიდა წყალ-წყალა ჩიტივით, სუ ჩლიქებზე დგებოდა, მემრე ივრე გამოკანკლული იყო, რო, იტყვი, პეწენივი თავადიშვილიაო! ნაბდი ქუდი გვერზე კოხტად მეეგდო, ბუზმენტმოვლებული თავთის პე-რანგის გულისპირი წითლად კი უღალანებდა! იგეთი ჩოხა-შალვარი და ახალუხი ეცვა, რო ადამიანი ვერ გაძლებოდა ყურებით. ი ბად-რივით პირზე კიდე შუქი გადაპდიოდა, იტყოდი, ახლა ამოსული მოვარეაო. მემრე, რაც სახელი მე მიყვარს, ისა ჰქეიან.

— ჩემსამაც ისა ჰქეიან, რაც მე მიყვარდა.

— ნეტა ყველას ეგრე უცბად ეკიდება გულზე სიყვარული, როგორც მე უცბად მემდომ?

— შენ ჯერ ცოტა გინახამ, ჯერ შენი ხო არც კია, დაიგულე შენად, სიყვარული მაშინა ნახე!

— მართალია, ჯერ საქმე არ გათავებულა, მაგრამ გულმა კი დანამდვილებით იცის, რო ჩემია და ჩემს იქით არსად წავა. ამ ქვირია ჩვენები მიღიან სახლის სანახავად; თუ ჩვენებმა თან არ მაიტანეს ბელგა, სწორზე თითონ მოვლენ და დამდებენ ხელს.

— რო არ მოხდეს, რას იზამდი?

— უი, უწინ დღე გამიქრეს, მაშინ ხო, საცა დიდი წყალია, იქ ვადავვარდი და დავიღრჩე თავი!

— აბა, მეც ემაგრე ვფიქრობდი აი, თუ სოსია არ მომხდარული,  
— ოპ, რა ძნელი ყოფილა სიყვარული!  
— აკი გითხარ, სიყვარული მაშინა ნახე, როცა ხელს დაგჭებს!  
როცა საღამ-საღამობით მოვა და უბითა და ჭიბიურებულებულ  
რასაც იშვივის და იპოვის, სიყვარული მაშინა ნახე! ჭრიშლებულებულ  
ისე ვეყვარება, როგორც ის. აი, ე ბეჭედი, — უჩვენა თითო ამხა-  
ნაგმა ქალმა, — ჩემს თავს მირჩევნია. როგორც სოსია მიყვარს,  
იგრე ეს ბეჭედი. როცა პირველად მამაჩემმა დაპატივა და მოვიდა,  
მაშინ მამიტანა და მას აქეთია არ მამიშორებია; მძინამ თუ მღვიძამ,  
სუ ხელზე მაქვ გაკეთებული. ამას რო უყურებ, აგრე მგონია,  
სოსიას უყურებ-მეთქი.

— ბელგაზე კი არ იყო ბეჭედი?

— ბეჭედი და რა ბეჭედი! კარგისაგან კარგი. იმას როგო გვი-  
შეტებ გასაფუჭებლად. სოსიამა სთქვა, სამი მანეთი მივეციო —  
ვერცხლისაა. ეს ბეჭედიც კი არ არი უბრალო, ამაშიაც სამი  
აბაზი მიუცია, მაგრამ ის სუ სხვა არი.

— რა თქმა უნდა, რო კარგი იქნება, რაკი ვერცხლისა ყოფილა!

— ბაღდადი კიდე! ერთი ვეებერთელა საბნის ტოლა არი!

— რა კარგი ყოფილა გათხოება, ნეტავი შენ, რო გული გულის  
ალაგასა გაქვ!

— როცა კი მოსულა სოსია, ცარიელი არ მოსულა — ხურჯინი  
გატენილი მოუტანია. მწარე ნიორი რა არი, მწარე ნიორიც რო  
მოიტანოს, ისიც თაფლია, ძალიან ტებილი ყოფილა ქმრის ლუკმა!

— ი, ღმერთი კი გაუწყრა და უამი შაუდგათ ამ უპატრონო  
დღეებს, რო ჭიაყელავდებიან!

— ნუ გეშინიან, შენც მალე მაიხდი ოფლს. ერთი ეგ არი, გა-  
თხვებისას ვერაფერს გაიგებ. გათხოვება იმან დაიკვეხოს, ვინც  
ალდგომას გათხოვილი მიჰკეგებია. რა ტებილი იყო წლეულ ჩემ-  
თვინ აღდგომა, რო იცოდე! დიდ შაბათს, ქერ შაბინდებული არ  
იყო, რო ჩემთა პატარა მაზლმა მოგვიყვანა კარებზე დატვირთული  
ცხენი. რა არ იყო ხურჯინში, როცა ამოვალაგეთ; ეს წითელი  
კვერცხიო, ეს ახალი ყველიო, ვინ მოპოვლის! რა უნდოდა თვალსა  
და გულს, რო შეგ არ იყო. ბატყანს კიდე თავი ჭიაფრით ჰქონდა  
შალებილი. მაგრამ მე სუყველას თავი დავანებე და მივვარდი  
შეკრულ ბოლჩას. გავხსენ, ქალო, და იგრე გაიხაროს შენმა გულმა,  
როგორც მე გავიხარე. ლამაზი, დახატული ბაშმაკები, კარგი ლამა-

ზი კოტიტკა, კარგი ჩითის საკაბე და ერთი კარგი თავსაქრავი. ამას  
რო მოვრჩი და, ჩემთა მაზლმა მამიტანა და მამცა ხელში გონი  
მიყრული ვეებერთელა კელაპტარი. სუ ყველანი კი ჩემ ტელაპტარის  
უყურებდნენ ევლოგიაზე. ჩემითანა კელეპტარი მარტოუზაფრულწელი  
ქალებს ეჭირათ.

### შემაგრება

— ღმერთმა ნუ დაულიოს ჩემი ცოდო ჩვენებიანთ ბაბალებს!  
იმას რო არ ვეძავებინე, აღებაშივე დამდებდნენ ხელს და შენ  
ჰუყურებინა მაშინ, ან როგორი მოსაყითხი მამივიდოდა, ან კე-  
ლაპტარი საალდგომოთ. აგრე იმობენ, რო ილიასთანა თავმომწონე  
ბიქი დედამიწის ზურგზე არ დაიბადებაო. სუ იმას ცდილობსო, რო  
ყველაზე მეტი და გამარჯვებული იყოსო. აბა ის რას მაყადრებდა  
უბრალო კელაპტარს, თუ ძრიან კარგისა არ იქნებოდა, მაინც  
ვაღამიხდის სხვანაირად. კინაღამ კი იმ გასაშავებელმა და შვილ-  
მკვდარმა, — ხელიც იმისკენ და პირიც, — ხელიდამ არ გამავდე-  
ბინა ილიას! თავისი დაშხამული გომბიო უნდა ეცკიდნა ი ლომივით  
ბიქიძოთვინე და დამიწუო მე ძაგება: ეს იგეთიაო, ეს იგეთიაო,  
თარაქამა არიო. რა უთარაქამე, ნეტავი შამატყობინა! ვაჟუაცი რო  
შეეხეჩოს, პირს არ მარილებსო, იგეთი უნამუსოაო. ეგრე ვეძა-  
ვებინე მართლა-და იმ უნამუსოს, ავრემუ დაცარიელებულა ის  
ვაჟიშვილებიდან და გაუშავდება იმას დაშხამული ქეთს გვირგვი-  
ნი! თქვენ, ეი, — მიუბრუნდა დანარჩენ იქ შსხდომ გოგოებს, —  
გაგაწრობთ და გაგაწყალებთ, თუ ვისმე ამბავი შიგიტანიათ!

— მართლა, ქა, და მეტისმეტად იცი, რო ვინც უნდა შამოგ-  
ხვდეს, პირს არ მარილებ!

— რა არი ახლა, რო არ გარიღები თავი რო არ ჩავლუნო და  
პირდაპირ შავხელო ვისმე, იმისთვინ უნამუსო გავხდებიო?

— უნამუსო კი არ გაპესები, მაგრამ ამბობენ, აშილიაო.

— რა აშილობა არი, ქა, თქვენი ჭირმეთ, რო თავს არა ვლუნამ,  
ვინც შამამხდება? თავის ჩაღუნა მაშინა მფერობს, როცა თავზე  
გადამხედია რამე და სირცხვილით პირი მეწვება. სოფიოთ თუ  
თავჩალუნული დადის, იმისთვინ არ აბულრავებს თავისზე მილეთ  
ხალხს! აგე იმასა პფერობს თავის ჩაღუნა და კიდეცა პლუნამს.  
აბა მე რა გადამხედია, რისთვის უნდა ჩავლუნო თავი?

— მაშ ვინც ვაჟუაცი შაპხვდება და თავს ჩაპლუნავს, ყველას  
ვაღამხედია რამე?

— ყველას კი არ გადამხედია, მაგრამ ან უნდა გადაპხედოდეს

რამე და პირი ერცხვინება, ან უნდა ულაშაზო იყოს და აღ კუნდა  
თავისი სისახიჩრე გააგებინოს ვისმე.

— ეგე, შენი პირითფე ჰოქვე! კიდეც ამაგას ამბობენ კველანი,  
რო სილამაზის ხმა აქვ დავარდნილიო, თავი მოპწოტუნ სუვი ნაჟადები  
თვინ არავის არიდებს პირსაო.

გრიგორი მარტივე

— ჰოდა, რად დავარიდებ, როცა ვიცი, რო არავინ არას  
მერჩის და მეც გული წმინდა მაქვ!

ამ სიტუკებზე მოასწრო ანასტასიამ, გაუსინჯა საქმე და რა ნახა,  
რო არავის არაფერი გაეცეობინა, მოუგრიხა ნორცი.

## VII

### ტ ი ს ძ ვ ი ლ ა ი

ერთს წისქვილს — მდინარე იორჩედ — წინ ულგა დიდი,  
„ქუდივით შაქრული“ ვერხვი; თითონ წისქვილსაც ვერხვისაგან  
მიუღია სახელი და პქვიან „ვერხვის წისქვილი“. დიდი ამაგი მიუ-  
ძლების ამ ვერხვს მოსაფქვავეთა წინაშე. ზაფხულობით, როცა  
ძვირდება წისქვილები, ამ ვერხვის „შავი ვრილო“ იფარავს მოსაფ-  
ქვავეთ მზის მწვავე სხივებისაგან: ბევრს მუშაქს ამოუქმენია  
თავისუფლად, ხანგრძლივის მუშაობის შემდეგ, და გამოუჭიმნია  
ტებილი ძილი ამ ვერხვის ქვეშ; თანაც ძილში დამტებარა იმისი  
მახვილი სმენა ფოთლების შრიალით, რომლითაც ვერხვი თითქოს  
მძინარეს ნანინანად ეუბნება იმის გულიდგან განუშორებელს  
ნატვრასაო:

შებას წელი რე აპრეივა,  
უცრსა ძეძუ, ხარსა ქედი.

ერთხელ, აგვისტოში ვერხვის წისქვილთან იდგა ოცამდის საფ-  
ქვავის ურემი. შუალდისას მოსაფქვავენი შეგროვილიყვნენ ვერხვ-  
ქვეშ, ზოგს ეძინა, ზოგი შეექცეოდა ახლად გამომცვარს ხმიადს  
და ივრის წყალს, ზოგნი, ახლად გამოლვიძებულნი ტებილის  
ძილისაგან, შეექცეოდნენ ყარფუზს. მხოლოდ შვილიოდ-რვა კაცს  
მოეყარნა ერთ ადგილას თავი: ზოგი მოკეცილი იჯდა, ზოგი მხარ-  
თეძოზე იყო წამოწოლილი, ზოგი პირქვე იწვა. პირები კი ერთმა-  
ნეთისაენა ჰქონდათ მიქცეული და საუბრობდნენ ჯერჯერით.

— ეი, კაცებო, თქვენმა გამარჯვებამ, რანაირად შამოგარდება  
ყე სიცხე! იტყვი, კაცს სული უნდა ამოპხუთოსო, — თქვა მოთ-  
მა.

— დაიწვა, დაიწვა, თქვენმა გამარჯობამ, ცა და ქვეშემურულებელი  
ჩამოაზოგა მეორებ და შემდეგ სხვებმაც ერთიერთმციფრულის გრამიერა

— ამბობენ, კაცებო, მთელ დუნიაზე ეგეთი გვალვაო.

— რატო ერთი ი ელია არ გამოუძღვება ლრუბლებს და არ  
მაიყვანს წვიმას, რო გაგრილდეს ცა და შევყანა!

— ი თხა ხო არ დაუვარდა?

— ან ის ოჯახდასაქცევი, ი ბებერი მაინც რატო არ დგება, რო  
ქარმა ქროლა დაიწყოს და იმან მაინც გააგრილოს დედამიწა!

— ოჯახი რო დეექცეს! ვაჲ, ერთი წამავლებინა იმისთვინ ხელი,  
ცოტა ჩვენებიანთ ბაბალეს ჭავრიცა მჭირს, იმი ჭავრსაც იმაზე  
ვიყრიდი... არ დაიგერებთ. ბიჭებო, ისიც ჩვენებიანთ ბაბალესავით  
ბალუშმი იქნება!

— მე კიდე იგრე გავიგონე, რო ე ამოდენა სიცხეები წარლვნი  
ნიშანიაო. გუშინწინ მინდვრიდამ მივედი შინ და ჩვენ დედაკაცებს  
მივასწარ ლაპარაკზე, რო სომხი ტერტერებს კარაბადინი გაუხ-  
სნიათო და უთქვამთო, რო წარლვნა უნდა მოვიდესო. ორი-სამი  
თვე ეგრე ეცხელებაო. მემრე ბამბას ითოვლებსო და ცამდინ  
ააგებსო. მეეკიდება ბამბას ცეცხლიო და სუ ერთიან გამოიხუსება  
შიგ ყველაფერიო.

— ხო დაილუპება მთელი დუნია?

— განა უწინ კი არ ყოფილა წარლვნა-რა?

— უწინ წყლითა ყოფილა წარლვნა და დადი წარლვნაცა ყოფი-  
ლა. ნოეპთვინ უბრძანებია ღმერთს, რო ერთი დიდი კიდობანი  
შაკარიო, შენც შიგ შადიო და ოთხფეხი პირუტყვიც და ფრინვე-  
ლებიც შაიყვანე სათესლედაო. ნოესაც შაუკრამ ვეებერთელა კი-  
დობანი, შასულა შიგ თავი ცოლ-შვილით და შველა ოთხფეხი და  
ფრინველები შაუყვანია, კამეჩი კი დაპერწყებია. მოვაჩდნილა  
ციდამ წყალი და მოუტივტივებია მაღლა კიდობანი. საითაც კიდო-  
ბანი მიქვინდა წყალს, კამეჩიც მიქლევდა თურმე უქან ცურვით და  
ეძახოდა „ნოე“, იმისთვინა როყინობს ეხლა „პოე“, რო ნოეს  
ეძახის.

— ეი, ბიჭო, ეხლა არ მოვედი გული ხმას, მართლა ნოე არ გა-  
მოდის!

— მა აქამდი არ იცოდი?

— ნოვე კიდობანი ეხლაც იგრევ ხელუხლებელი, ერთ დღე  
მთაზე დგა მარილეოთი გზაზე და იმ მთას გაუწყვეტელი ნიკული და  
ბურვი ახვევია; ძედამიანს ცერ შეუძლიან იმ მთაზე აფრენი ჭრისტიანი  
მა წმინდა ბერმა მოინდომა თურმე ასვლა, მარატე წრიული წრიული პ  
შუა გზას, დაპინებია და ანგელოზებს აუწევიათ და იგრევ ძირს  
ჩამოუტანია.

— ჰო, მეც მაგრე გამიგონია.

— ბიჭებო, რა გვეშველება, რო აქავე მოგვაპსწროს წარლვნამ?

— ეს ოხერი, რაღა ეხლა დაძირდა ე წისქვილები!

— რამ დაგაფეთიანათ, კაცები? აი შევირცხავთ კაცობი! ე მაგ-  
რე მალე უნდა შავეშინდეთ? ტყუილი ხმებია. ჩვენშიაც გავარდა  
წარლვნაზე ხმა. მასკვამ დედაქაცებს ეკითხნათ ჩვენი ღვდლი  
ცოლიძოვინ და იმას ეთქვა. რო მანამ „ჴ“-სა „ჵ“-ში არ მივალო,  
წარლვნა არ მოვათ.

— „ჴაე“ და „ჵ“ რაღაა?

— თარიღიათ.

— თარიღი რაღაა!

— მე კიდე აგრე გავიგონე, რო აი ანგლიჩანებმა რო რაღაცა  
მაშინა გადმოაგდეს, იმაჲ გამოჰყვა ეგეთი გვალვებიო.

— აი, ოჯახი დეექცათ. როგორც იმათ მთელი ქვეყნიარობა  
დალუპეს!

— ნეტავი მითხრა, მართლა არაფერი არ აბია შიგ?

— აბია კი არა, ცეცხლითა მუშაობსო.

— ეი, თქვენმა გამარჯობამ, ცეცხლით როგო მუშაობს?

— რა ჭკვიანი ხემწიფე ყოფილა, ვისაც ის მოუგონია!

— ჩვენი ხემწიფე უფრო ჭკვიანი არა ყოფილა. რო აი შესრებზე  
რომა გამმული, ის მოუგონია!

— ი რაღა არი, ნეტა მითხრა?

— ის ის არი, რო სასწრაფო წიგნებსა ჰეგიანიან იმით.

— აბა როგორ?

— ერთი რაღაცა არის ჰეპელასავითაო, იმაში ჩაპდებენ წიგნსაო  
და იგრე მოპეურცხლევსო, რო თვალს ცერ მოპეხობს კაცო.

— არ დაიგერებთ, კაცებო, თქვენმა გამარჯობამ, იმ დღეს მე  
დავინახე, ბუზიპ ტოლა ჩანდა და სუ ისე სრიკინ-სრიკინი მიპქონდა.

— კარგი თვალი უნდა, რო ის დაინახოს კაცმა.

— ჩემა მზემ და თავი არ მამიკედება, მე დავინახე.

— ყველაფერი მაიგონა ე ჩვენშია ხემწიფებ და ი სიკვდილი  
წამალი კი ვერ მაიგონა, — თქვა ერთმა ხნიერმა კაცმა.  
— რაც უფლის დაწერილია, იმას როგორ მაიგონებს ჩატარები  
— ხო უფლიდამ არი ნაკურთხი და რატომ ვერ მწიფებული იყენე  
— იმიტომ ვერ მაიგონებს, რო უფალს იქ უწერია: მავანი კაც  
მავან დროს უნდა მოკვდესო და აბა ხემწიფე როგო ამოპშლის, რაც  
უფალს დაუწერია.

— ნეტავი რომელი ხემწიფე უფრო ღონიერია?

✓ — ჩვენი ხემწიფიპთანა ღონიერს არავის ამობენ, სუ ბუინა-  
სავით გამოპყავ ჯირიო.

— რას ამბობ. ანგლიჩას ხემწიფეს ამობენ, ღრუბლითა  
ომობსო.

— ეი, ის ოჯახდასაქცევი, რა ღონიერი ყოფილა!

— აბა ცა და ღრუბლიც იმიტვინ შავეირა იმ სახარდალუ-  
პულმა, რო ღრუბლების ხემწიფეცა ყოფილა-და!

— ჰა! მავიპთანებისა მე მყითხოთ, ვინ არი ღონიერი და ვინ  
არა? — წამოიძახა ერთმა მოხუცებულმა. — ღონიერი ყენია და  
ხონთქარი ყენი რო ტახტიდამ დაიძერებაო, მზე და მოვარე დაბ-  
ნელდებაო; როცა ხონთქარი დაიძერება, მაშინ კიდევ დედამიწა  
იძრებაო.

— ჰა, დედა, აგე ღონიერები ვინა ყოფილან!

— რატო მალ-მალე დაიძერებოდა ე ხონთქარი!

— ხონთქარი წელიწადში ერთხელ დაიძერება ტახტიდამაო და  
ყენი კი სამ წელიწადში ერთხელაო.

— მაშინ იმ ოჯახდასაქცევმა განაყოფით ბასილამ მამატუუა?  
ქვეყნიარობა ერთ დიდ თევზზე დგაო. თევზს ბოლო პირიში უჭი-  
რავსო და როცა ბოლო გვეშვება პირიდამაო და იმი დასაჭერად  
შატოკდებაო, დედამიწაც ინძრევა მაშინაო.

— აბა, კაცებო, რა ოჯახი დაპქცევია, იმოდენა თევზს წყალი  
როგორ იმაგრებს?

— ბებიაჩემმა კიდე აგრე მითხრა, რო მზე და მოვარეს გველეშა-  
პები დაიჭერენ-ყეო და დააბნელებენ-ყეო. მანამ ძირიდამ თოფებს  
არ დაუშენენ, არ გაუშვებენ-ყეო.

— პოდა ყეენს ჯაჭვითა პყავ გველეშაპები დაბმული, და როცა  
აღგება, მაშინ ცოტა ხან აუშვებს-ყე და მაშინვე მზესა და მოვარეს  
მისცვივდებიან-ყე.

- კარგამც დაბმულები ჰყოლია, თორე ვინ იცის, აქამდინ არა  
დენჯერ ჩაჰყლაპამდნენ!
- თევზს კიდე ბოლო მაშინ ეშვება პირიდამ, როცა ზონოქარი  
ადგება-ყე ტახტიდამ.
- მე კიდე ისევ იქა ვარ. ის ოჯახდასაქცევი, რა მტკიცერს აქციება  
ბა ი ანგლიის ხემწიფეა ვიღაცა! მგონია, მაშინ მოჰყავ წვიმა, როცა  
ყანებს უჭირს.
- არა, პურით ჩვენი ხემწიფე დაპკრამსო და ფულით კი ისა  
სჯობიაო.
- საცა პური იქნება, ფულიც იქ არი.
- ნეტა, ბიჭებო, მჭადი სხვაგანაც იქნება?
- ჰმ, მაშ უმჭადო ალაგი იქნება? საცა გლეხი კაცია, მჭა-  
დიც არი.
- გლეხი კაცი რო არ გეეჩინა ღმერთს, ხო არც მჭადი იქნებოდა  
ქვეყნიერობაზე?
- ვიღათვინ იქნებოდა? წმინდა პური თავადებიპთვინ გაუჩე-  
ნია, ქერი პური — აზნაურებიპთვინ და მჭადი — გლეხი კაციპთვინ.
- დახე, იმ დასაქცევ ილიას, როგორი კარგი ყარფუზები  
უყიდნია!... — ამ სიტყვებშედ უველამ გაიხედა იმ მხრისაკენ, საიდა-  
ნაც მოდიოდა ერთი ახალგაზრდა გლეხი, რომელსაც აქეთ-იქით  
იღლიებში ეპირა ორი ყარფუზი.
- რა კარგება გიყიდნია, რა მიეცი? — ჰკითხა ერთმა მოსაუბ-  
რეთაგანმა, როცა ყმაწვილი გლეხი მოახლოვდა მათთან.
- თითოში რა გროში კი მივეცი და!
- დაიგერე, კარგებისაა.
- მაიტა, ერთი პირი გაგვასველებინე!
- ვერას გაიგებთ! აგე ბალი, წადით და გაისველეთ, ამ ყარფუ-  
ზებს სხვა პატრონი ელით.
- აი, შე დასაქცეო, შენც კი მიგიხარია ი გოგოპთან!
- არ მეყოფა? კინალამ არ დავპლექდი ამ ერთ კვირაში.
- ეგ იმიპთვინ მოვივიდა, რო გალმა არ წაიღე და აქ წამაიღე.
- კაცმა უველაფერი უნდა გამოპადოს. ვთქვი, იორში უნდა  
წავილო-მეთქი და სიტყვას ალარ გადაველ.
- რა გინდა, მოსაკითხისათვინ ხო მააპწარ-და!
- მოსაკითხისათვინაო! ერთი სიტყვით, მეწისქვილეებსაც და  
მოსაუქვავებსაც სუ დავხანჭლავდი, სამარიამობოთ რო ვერ

მამესწრო დაფქვა და მოსაკითხი გასაგზავნი დამრჩომოდა. შენ არ  
იცი, რო მე ილიას მეძახიან? — ყმაწვილი ბიჭი გაემზავნა კოთვ  
ურმისაკენ, რომელზედაც ფქვილის საცალოები ედო, ჩაწყო ცოებ-  
ში ყარფუშები და დაუწყო შესაბმელად მომზადებუნარცხული

— რა ყოჩალი ბიჭი ჩანს!

ბებლიური ეპი

— ყოჩალი და მაგრე!

— არა, ზედ ეტყობა-და!

— ღმერთმა დალოცოს მაგისი გამჭლის ძუძუ, ერთი სიტყვით,  
მთელ დუნიაზე არ დაიბადება მაგითანა ფოლადიანი ბიჭი!

რა გუთანზედაც ეგ ღამის მეხრედ უდგა, იმ გუთნი ხარი ვერ  
გაიგებს, რო გუთანში აბია.

— ეი, მე რო ეგ მინახამ, როგო უმარჯვებს ხარს ი ბალახს!  
როგორ ვიწრო კვალიც უნდა იყოს, იგრე გაატარებს. შიგ მთელ  
გუთნეულს, რო იტყვი ერთი ხარიაო.

— აბა, მელავმარჯვენაც მაგაპ შარჩხბა აი!

— გუთნიდედები სუ ერთმანეთს ეცილებიან და ჩხუბი მოპდით  
მაგი გულისათვინ.

— აბა რა თქმა უნდა, რომ ყველა გუთნიდედას კარგი მეხრე  
უყვარს!

— ღამეში სამ-ოთხჯერ თუ არ დააძლო ხარი, გული არ მოუსვე-  
ნებს, და გუთნიდედა ხო ვერ მიაპწრობს იგრე, რო მაგაპ გუთანი  
შაბული არა ჰქონდეს.

— ღმერთიც მაგიკთანა კაცს მოუმართამს ხელს!

— აყი უმართამს, ერთი ბეწვა ბალით დარჩა თბლად. მამისა  
არაფერი არა დარჩომია რა და თავისი მხნეობით იგრე მაიყვანა ✓  
სახლი, რო მართლა კარგა...

— ღმერთსაც უყვარს მაგიკთანა გამრჯელი კაცი და კაცაც!

— არა, ეტყობა ი ყველაფერში, რო ძალიან ფოლადიანი უნდა  
იყოს. ჰე, როგო ღაზათიანად გადაუტყლაშუნა ი შოლტი. ჰე, შეგრ-  
ჩეს ეგ მარჯვენა!

ამ ღამარაკის დროს, რომელიც სრულიად არ ესმოდა ილიას,  
შეაბა ურმები და გაუყენა გზას. მოსაუბრენიც დაიშალნენ. ზოგმა  
ხარები გარეკა საძოვარზე, ზოგი ადგა, უსაქმობისაგან დათენთილი.  
ცალი ხელით იქექებოდა, ცალი კი უბეში ედო და გასწიდა უაზ-  
როდ, თითონაც არ იცოდა, საით; ზოგი იქავე დარჩა, შავრაშ საუ-  
ბარი კი შესწყვიტეს.



ბუნება ახლად არის გაღვიძებული. შუადღე გადატესლების მიზანი  
N-დამ გამოვიდა და გაემგზავრა მრავლეთისაკენ ერთი დაყაჩრული  
კვიციანი ცხენი, რომელზედაც იჯდა შალწამოსხმული ყმაწვილი ქა-  
ლი. ქალს ფეხები უზანგოების თასმებში ედგა და ხელში ეჭირა სა-  
ბანში გახვეული ბავშვი. ყაჯარს ქვეშ, უნაგირის საწყვეტებში, იყო  
ჩაქრული პატარა ხურჭინი: ერთის თვალში ტანისამოსის ბოხჩა  
იდო, მეორე თვალში კი იდო ერთი შოთის პური და იდგა ერთი  
პატარა ჭიჭილა ლვინო — რძის ვახშამი. ცხენის ჭილავი ეჭირა  
ახალგაზრდა ყმაწვილ ბიჭს, მორთულს სამეფო ტანისამოსით,  
რომელიც უკან-უკან იხედებოდა და ესაუბრებოდა ქალს. ქალი  
ხანგამოშვებით იძახოდა: „რძეო, რძე-ო, წა-მო-დი, გიგიასა ჰშიან!“

როცა კარგად მოშორდნენ სოფელს, ყმაწვილმა კაცმა მიჰმართა  
ქალს:

— ერთი სიტყვით, ისე უნდა გამიზარდო ე გიგია, რო ლომი  
უნდა გამოიყვანო!

— მე რა გაგიზარდო რა! — უპასუხა ქალმა ლიმილით და ნებივ-  
რობის კილოზედ. — მე ძუძუსა და მოვლას არ მოვაკლებ და გაზ-  
და ლმერთზე ჰეიდია.

— ლმერთზე ჰეიდია, მაგრამ თუ შენ გეყვარება და კარგა მო-  
უვლი, ლმერთიც ხელს მოუმართამს.

— მარტო ჩემი ხო არ არი, რო მე მიყვარდეს? შენც უნდა  
გიყვარდეს.

— მე და არ მიყვარს! ჩემა მზემ და თავი არ მამიქვდება, ეჲ  
სამჭერ მაინც მინახამ სიზმარი. რო მითომ გიგია დღისი მეხრეთ  
გუთანზე ედგა.

— უი, იმ დღეს შავესწრობი?

— ჰაი თუ ლმერთმაც ხელი მამიმართა! იგეთი რამ უნდა გამო-  
ვიყვანო, რო ხეთმეტი ლამი მეხრეობა შეეძლოს. იგრე კი არ ვუზამ,  
როგორც მამაჩემმა მე მიყო, რო მჩხავანა კატაც არ გაუშვა ჩემ  
ბედობაზედ. ღვთით, ეხლა ყევარი ხარი მყავ. მინამ გიგიას მეხრე-  
ობა შეეძლება, ოთხ-ხუთ ულელ ხარ შავყრი. მაშინ ყველანი შემეხ-

ვეწებიან, რო შაუბა ხარები და გიგიაც მივაყოლო ლამი მეხრეფს; მე კიდე შინ დავტრიალდები.

— ეი, ეს უნდა ღამე ხარში ატარო და შენ კი შინ გაძაიძიონ? დიალ!

— არ გამოვიძინებ კი, შინა საქმეს გავაკეთებ.  დავბერდები, — უპასუხა ღიმილით.

— დაბერდები, თუ რაც მოგივა, მე იმას იგრე პატარას ვერ გავიმეტებ სალაში მეხრეოდ.

— როგო, შენ გვინია მე კი გავიმეტებ? მე ვამბობ, ისეთი უნდა გამოვიყვანო-მეთქი, რო დღისი მეხრეობა არ იყადროს და პირდაპირ ღამის მეხრეობა მაინდომოს თითონვე. მე განა დიდი ვიყავ, ღამი მეხრეობა რო დავიწყე-რა! მეც ხუთმეტ-თექვსმეტი წლისამ დავიწყე ღამი მეხრეობა.

— შენი საქმე სხვა იყო და ამისი საქმე სხვა არი. შენ არც კა გახსომს მამა და ამას, მამა ღმერთმა უცოცხლოს, რა იქვ გასაკირი?

— გასაჭირი კი არა გვაქვს რა, მაგრამ, მე ვიქნები, თუ ეგა, უნდა ერთ-ერთმა აუცილებლად ღამი მეხრედ ვიაროთ, ამიჭოვინ რო ხარები გვყავ და იმათი თავის დანებება და სხვის ხელში ჩაყრა არ იქნება. ხარები რო კაცმა უპატრონოდ სხვისა ხელში ჩაყროს, იმათი იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ხო გავიგონია, „ხარი სხვისა და სახრე ტყისაო“. პატრონი კი რო გვერთ ეყოლებათ, ბალასაც მიუმარჯვებს და ტოლის დადებითაც არ გაალახვინებს. შენ არ იცი მეხრეების ეშმაკობა!

— მეტი რა გამიგონია მამაჩემისაგან.

— ჰოდა ე მაგას გეუბნები, რო ეგრეო!

— ღმერთმა კეთილის ყურით გაიგონის! მამეულთიდამ მოპლე გამთ ჭიში და დედეულთიდამ. მამაჩემი არ არი, რო რაც გამოზღიულა, სულ გუთანი უკირამ.

— ეჭ, კაცი თვითონაც უნდა გამოვიდეს, თორე მამაჩემის თავისი სიცოცხლე მოვამაგირობაში დაულევნია, მაგრამ მე არც კი ვიცი, მოჯამაგირობა რასა ჰქვიან. მეც რო მამაჩემის კვალზე წავსულიყავ, ეხლა სხვის ხელში შამყურე ვიქნებოდი. მაშინ ხო ზედაც აღარ შამამხედავდი! — დაუმატა ღიმილით.

— მე კი შამოგხედამდი, თუ მამაჩემი შამამახედებდა. სუ იმას ამობდა: იგეთ ოჯაშში უნდა ჩავაგდო ჩემი მარიკოვო, რო, ვინიცო-

ბა არი, ქვრივობა ეწეროს და დაქვრივდესო, ვენახების ლობების  
შაინახონო.



## ურუვნული

— ეი, გამოჰქირა ამანაც!

— ო, გიგის სიცოცხლემ!

— მაშ მე რათ მამათხოვა შენი თავი, რა გადაჭიმულოს მაში მაქვს?

— შენ სხვა ხარ. შენიდამ რო მაკანკალი მოვიდა, დედაჩემი და მამაჩემი ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მე კი ჩუმად ყურს ვუგდებდი. მამაჩემმა იქვეა: მე არ დავარიდებ იმას ქალსაო. მართალია, ძირეული ოჯახი არა აქვსო, მაგრამ თითონ მხნე ბიჭიაო; მამაპაპისა არაცერი არა დარჩომია რაო, მაგრამ თავისი მხნეობით სახლში ყოჩაღავ მაიყვანაო.

— სწორედ მითახრი, შენ რა სთქვი მაშინ შენ გულში?

— რა ვთქვი? იგრე გაიხაროს პატარა ქმარ-შვილმა, როგორც მე მაშინ გამიხარდა.

— პაი თუ შენც კი მისვამ თავზე ქონს! — უთხრა ლიმილით.

— იგრე მართლა ღმერთმა მე შამარჩინოს პატარა გიგის თავი. როგორც მართალს მე ვამზობ! ქმარსა და შვილს ტყუილად დავიფიცამ?

— გეხუმრები, განა მართლა გეუბნები რა!

— განა არ ვიცი, რო მეხუმრები, მაგრამ ხუმრობასაც თავისი საბუთი აქვ.

ამნაირი ლაპარაკით შევიღნენ მგზავრები სოფელ მრავლეთში. რასავირველია, ამ მგზავრებში ყველანი იცნობენ ილია თვალია-შვილს თავისი მეუღლითა და ძით.

ილია თვალიაშვილმა, ოქროულის შვილმა დასდო ხელი ივანე მეშველიშვილის ქალს მართს, ანსატასის შეგირდს. „გადაიხადა ქორწილი, სანათლილებოდაც მოუვიდნენ მართს წესისამებრ ორის თვის უნახავი დედ-მამა და ნათესავები. მაგრამ მაინც ამათმა ნახვაშ ერ მოუველა სრულიად წყურვილი „სამშობლოს“ ნახვისა. იმის გულს იზიდავდნენ ს ადგილი და სწორ-ამხანაგნი, სადაც და ვის-თანაც გაატარა თავისი სიყმაშვილის დლენი და ყოველთვის ნატრობდა იმ წუთს, როდესაც იზამდა პირს სამშობლოსაკენ. ეს წუთიც დადგა იმისათვის ჭვარის წერის ექვსის თვის შემდეგ, როდესაც მისმა უფროსმა — დასანიშნად მომზადებულმა — ძმამ შემოუქენა ეზოში ორი შეკაზმული ცხენი იმის წისაყვანად სამშობლოში მოსა-

ლოგინებლად. იმავე დღეს სალამოზედ მარო იჯდა მშობლებთან და შეექცეოდა. მოკელა წყურვილი. დალოგინდა კიდეც და უკოლვაები, რომლის მომავალ ბედზედაც მოსაუბრობდნენ კუთხი-კუთხი ქმარი.

როცა მგზავრები შემოვიდნენ სახლის ეზოში, ლეილულა გაექანა, ჩამოართვა რძალს თავისი შვილიშვილი და შეარბებინა შინ. ოქროულა ძლიერ გახარებული იყო, ილის პირველად ვაეგი ეყოლა. სულ იმსა იძახდა, ახლა კი მოპხედა ღმერთმა ჩემ ილასაო, ძმასავით მეესწრება და ობლობას სულ დავიწყებინებსო. რაწამს გაიგო ოქროულამ. რომ მაროს ვაეგი ეყოლაო, მოამზადა ლოგინის ძლვენი და მესამე დღესვე გაემგზავრა ახლად მშობიარე რძლისაენ. ბევრი ჰკოცნა, ბევრი ეალერსა თავის პატარა შვილიშვილს, მაგრამ მაინც ვერ გაძლი იმის კოცნით და ალერსით ნახევარის დღის განმავლობაში. ამისათვის სახლში შეყვანის უმაღლე დაუწყო ბავშვს ხანგრძლივი კოცნა და ალერსი, როცა მოიოხა გვლი კოცნით, დაიწვინა კალთაზე, ააპყრო მაღლა ხელები და დაიწყო: „იი, მაღალო ღმერთო, შენ აჩუქე და გაუზარდე თავის პატრონს!... შენ გააფუფუნე ამ ფუზე-კარზე და მიეცი შენი წყალობა და გამარჯვება! შენ მიე მკლავში ლონე და ხელში ბარაქა, ჭანის სიმთელე და გულის სიმხარულე! შენ შემაპსწარ ამის ბედნიერებას და გადუქცივე ამის ლხინად, რაც ამის უბედურ პაპას ტანგვა და უსამართლობა გამოუვლია, და ამას შაკმატე იმისი დანაკლისი დღენი!“

## IX

### დაწევდა საკმისა

დროთა კითარების გამო მრავლეთში სასოფლო თვალსაჩინოდ გადიდლა. მთელი მამულიშვილების სახლ-კარი და ნახევარი საფუტკრისა სასოფლოს შეემატა. საფუტკრის მეორე ნახევარი კი არტემა არზუმანოვმა შემოლობა თავისთვის. მაშულაანთ სახლისა თითო ადლის სიმაღლე კედლის ნანგრევებიდა იყო დარჩენილი და შიგ ლამ-ლამე ზაფხულობით არტემას საკლავი ძროხები და ცხვრები ეყარნენ ხოლმე. მარნის კედლები, თუმცა ისევ ხელუხლებელი იყო, მაგრამ ვერი კი ზედ აღარ ედგა და ქვევრების გამოზიდვაში კარებიც ჩამოენგრივნათ. მარცხნა კუთხეში შიგნიდამ უკან მიშენებული ჰქონდა პატარა ქოხი, შამბნარით დახურული. ამ ქოხში

სცხოვრობდა არტემის ნათლიმა ზაქარია მამულაშვილი, რომელიც  
ერთადერთილა დარჩა თავის ეზო-ყურეში და სხვა თავისის ძეგლის  
და ბიძაშვილებისავით არ გადავარდა სხვაგან: იქნება იმისთვის,  
რომ თავის ნათლიას „სამადლოდ იოლას მიჰყვანდა“ უკანასკნელი მეტე  
საკლავებს დასდევდა და ოვეში იღებდა იმისგან სამ ჭარბის მეტე  
ჯით. წინანდელ პატარა დუქნის ალაგას არტემამ აშენა ორი  
თვალი ქვითყირის დუქანი. ერთ თვალში იყო ფარჩის დუქანი, მე-  
ორეში ბაყლისა და საწვრილმანისი. ორივე დუქანს არტემა თავი-  
სის ფულათ ამუშავებდა. რადგანაც არტემამ ბევრი ვენანი შეიძინა  
და დიდზერებად გადააქცია, ხილობის დროს ცოლ-შვილი მოჰყვან-  
და ხოლმე მრავლეთში: გაიხარებენ ყურძნით სავსე ვენანშიო. ამი-  
სათვის საჭიროდ დაინახა არტემამ სახლის აშენება და კიდეც  
ააშენა თავლაზედ ოროთახიანი ქვითყირის სახლი, ფართო აიგნით,  
და უკანაც ბალი გაუკეთა „საკულაოდ“. ეზოს გარშემო შემოაელო  
მაღალი ძეგვის ღობე და სახლის წინ დაღვა დიდი ალაყაფის  
კარები.

ერთს კვირა დღეს სასოფლოზე ჩეულებისაშებრ შეცრილიყო  
ხალხი. ზოგი იდგა გვეფ-გვეფად დუქან წინ, ზოგნი ისხდნენ, და-  
ფანტულად, იმ ხეხილებს ქვეშ, საბაც როდესლაც ელავა ფუტერის  
გაფები. ერთს ფურცელზედ, ნასაფუტრალშივე, გამობმული იყო  
ლურჯი ულაყი ცხენი და ხელს უსვამდა ერთი არტემის მოჯამაგი-  
რეთაგანი. თვითონ არტემაც იქავე იდგა და, ქმებით და ხელში  
კრიალოსნით, სიამოვნებდა ცხენის ჭიხვინით და მაღლა-მაღლა  
ხტუნვით. ამებად არტემა არ იქნებოდა ორმოცდახუთის წლისაზე  
მეტი. იგი საზოგადოდ მოხდენილა კაცი იყო. მსუქანი და მრგვალი  
პირისახე მოპარსული ჰქონდა, ულვაშები ქერა და პატარა, წარბე-  
ბიც ქერა, ცხვირი ზომიერი და თვალები ჭროდა. თავზედ ეხურა  
„კარტუზი“, წინ გაღმოწეული; მოკლე, თეთრიანი ჩითის ახალუხი  
ეცვა და ვიწრო შალვარი, კაჭებამდის ჩამოშვებული. წელზედ  
ერტყა იქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ქამარი და გულზედ  
საათი ჰქონდა გაკეთებული. ტანად წამოსადეგი იყო და ღიპის გა-  
დიდებაც შეპარვოდა ცოტათი. არტემა ძალიან ჭკვიანი და მოხერ-  
ხებული კაცი იყო. თუ წინად „რეტიანსა“ და „დაუპტვინეს“ ეძა-  
ხოდნენ, ეხლა დიდის მოწიწებით მიჰმართავდნენ ხოლმე: „ხაზეი-  
ნო“ ანუ „აღაო“. მხოლოდ ერთი ცედი ხასიათი დასწერდა  
ბოლოს და ბოლოს დროს: წრეს გადასული გულფიცხი იყო. ერ-

თადერთი მაღალი სიტყვა იყო საქმარისი, რომ ყბები შეჭრას გმიტვრივნა მთქმელის სიცოცხლის. არტემი არავის არ არწევდა, გადა ერთი იყო იმისთვის; სულია იწევბოდა, მწერალი, თუ უბრალი კაცი. მხოლოდ მამასახლის უთმობდა უკელაფერს. ძალიან მტკრპის მიზეული ლისთვის და პურ-მარილის პატივის ცემით, ძალიან მტკრპის მშექტების ბოდა ხოლმე, რომ უერთმანეთოდ პური კვამათ. აი ეხლაც არტე-მასთან იდგა მამასახლის თავის ამალით, სულიებით და იღლიაში დავთარამოჩირილ მწერლით, და ეხუმრებოდა, ელაზლანდარავებოდა, ხუმრობასა და ცხენის ყურებას მაშინ დაანებეს თავი, როცა არტემას სახლიდამ გამოვიდნენ და გასწიეს იმათექნ არტემას მეულ-ლე მაქთალინამ და ერთმა კნეინამ — სახურებით ხელში. მაქთალინას წინ მოუთამაშებდნენ ორი გიმნაზიურ ტანისამოსიანი გაერ-შეილი და ერთი პატარა ბავშვიც უკან ბიტს მიჰყვანდა. სახლის კარების გასაღები რომ გადასცა მაქთალინამ ქმარს, უთხრა:

— კნეინა მეპატივება ბალში და კიდეც „გავიგულავებთ“.

— ცარიელები კი არ მოხვილეთ, კნეინავ! — მიაძახა არტემამ, — ცოტა მსხალი წამოიღეთ!

— ბატონი ხარ! — სთქვა პასუბად კნეინამ.

ფიქრი და ვარამი დანარჩენის ხალხისა სულ სხვა იყო. ერთგან მეველე ედგა მოწინახედეს პირში და ამტყუნებდა; მეორეგან შეს-ჩინდნენ ერთმანეთს, რომ წელს სულადი ძალიან იაუად გაკვეთე-სო, მესამეგან გუთანხე ეთვლებოდნენ. ერთის სიტყვით, რამდე-ნიც გროვა იყო ხალხისა, იმდენი სხვადასხვანირი საგანი იყო საუბ-რისა. ერთს ადგილს იყო მეტად საინტერესო ბაასი. ამ ადგილს მოგროვილიყვნენ სულ ისეთი ბიჭები, რომელნიც იყვნენ ერთმა-ნეთთან შეკავშირებულნი მუშაობის სიყვარულით.

— კაცო, შე ოჯახდასაქცევო, ოთხი-ხუთი წელიწადია, სუ ჩემი მოდგამი იყო ე ილია, ეხლა რისთვინა გადამიბირე? — ეუბნებოდა ერთი გუთნისდედა მეორეს.

— კაცო, ან ოჯახ რიპოვინ მიქცევ და ან სხვასა? კაცია და გუნება! ილიას თითონ აღარ უნდოდა შენთან შათვლა და ჩემ გუ-თანხე შეეთვალა. შენა გვინაია, მე ძალად გამოვიყვანე? აი პეითხე, კარამც აქ არი. ილიავ, მე ძალად გამოვიყვანე, კაცო, ამიღამ?

— ძალად როგო გამამიყვანდი, ჩემი ქეიფი იყო და შევეთვა-ლე შენ გუთანხე! აბრიას არ ეყო, ოთხი-ხუთი წელიწადი სუ მავი გუთანხე ვედექ?

— ბიჭო, არა გრცხვენია, რო მაგდენი ამაგი შენიცა და ჩემიც  
გააცრუვე, შე ოჯახაშენებულო? რა დაგიშავე იგეთი, რო ემზოე  
ძვა მამაგდე?

— რა ვქნა, აბრი, ვინ ამობს, რო დამიშავე რამე? წელიწადი სუ შენთან ვხნამ და ვთესამ, სუ შენ ხო ჰერი ჩამოგატეს და  
დებოდი? მეცა ვთქვი, ახლა სხვაპთან შევეთვლები, ვნახოთ, რა იქნება-მეოქი. რა ვიცი, იქნება ბედი ახლა სხვანაირად დამიტრი-  
ალდეს!

— არა, ჩემო ძმაო, რაც უნდა ჰქნა, მე შენ თავს არ დაგანე-  
ბებ! არ ვიცი ამი ვაიძეერა თავის ამბავი, შაგაგულიანა და გაფი-  
ცენა ჩემიდამ.

— არ დაანებებ თავსა-რა, ონაობაა?

— ჩემა მზემ, ცოცხალი თავით თავს არ დავანებებ! თუ არადა,  
წილი უნდა ვყაროთ და ვისაც ერგოს, ერგოს!

— მოდი, მართლა, ერთი ყარეთ წილი! — წამოიძახეს ილასთან  
მსხდომმა ბიჭებმა, — და რაც გახდეს გახდეს!

— იქნება თითონ არ უნდა წილის ყრა! ილავ, ვყაროთ წილი,  
ყაბული ვაქვ?

— ჰყრით და ყარეთ, მე რა მენაღვლება!

— მე გავწყრები! — წამოიძახა ერთმა.

— არა, შენ მიხას დაუჭერ მხარს, აი გიო გაწყრეს!

— გიო კიდე შენ მხარეს დაიჭირს!

— მაშ, აი, ეს ღვთის კაცი გავაწყროთ. — წაავლო აბრიაშ ერთ  
ბიჭს ხელი.

მოქიშეც დასთანხმდა. ბიჭი გავიდა მობაასეთაგან, ორმოც  
ნაბიჯზე გადგა ~~ამატები~~ ზურგშექცეული, ორივე ხელები მაღლა  
აიშვირა, ერთი მოკურული, მეორე ტაშად გაშლილი. ერთი გუთ-  
ნისდედა ეუბნება მეორეს ჩუმად:

— თუ მუპტი ჩამოილოს, ილა იგრევ მე დამრჩეს, თუ ლავა-  
ში, შენ.

— აბა, ჩამოილე! — დაუძახეს გაბუტულს და იმანაც ჩამოილო  
ლავაში ანუ სილა.

— ოჟ, მიხას ერგო, მიხას! — შექნეს კიუინი: — მიხავ, ტომბახი,  
ტომბახი!

— რაჯ მაშინებთ, რა? ძლივ ჩავიგდე ხელში ერთგული ღამი  
მეხრე და თავ გავიხრი? ჩემი დღენი დატანჯული ვიყავი ღამი

მეხრეებისაგან, ის ოჯახდასტეცენი, შაპრეკამდენენ ბაქში-ხარს /  
თითონ კარებზე მოუწევებოდნენ. გათენებამდინ შიგ ეყარათ, გაფე-  
ნებისას მოპრეკამდენენ და ხარებს ფერდიფერდს უცემდათ შიძში-  
ლისაგან. აბა, მოდი და მშეირი გუთნეულით მოჩიჩიჭრა ჩატუშებული  
უღმერთოებს არც თავისი ენანებათ და არც სხვისა. ტოტუ-ქსექტული ეპ-  
გადამხედია, ეხლა უარს ვიტუვი ტომბაზე, რო ილია ხელში ჩა-  
ვაგდე! მაიტა, ილავ, ხელი, რო აღარ გამიმტყუნდები!

— ჩემი სიტყვა სიტყვა! როცა პირობა მოვე, კიდეც შევასრუ-  
ლებ! — უთხრა ილია თვალიაშვილმა და მისცა ხელი.

სიტყვას „ტომბაზი“ ყური მოპერეს სუდიებმა და მწერალმა  
და მიაშურეს ბასის ადგილისკენ. როცა გაიგეს, საქმე რაშიაც იყო,  
ჩავლეს მიხას ხელი და მიიყვანეს დახლოან.

— ემათ არაყი დაალევინე, გეურქ! — უთხრა დახლიდარს მიხამ.

— ფულა სტოიკაზე!

— საღამოზე მოდი კალოზე და პური წამოილე.

— რამითი ტრიცეტკა?

— რა ვიცი, ერთი იყოს თუ ორი.

— ორი ტრიცეტკა რამდენ ერთს?

— ყველას რომ მივყვე, სად წავა? ერთი საპანე არაყი არ  
მეყოფა.

— ყველას ვინ გეუბნება, აი ეს პატიოსანი კნიაზი ბბანდება  
აქა, სუდიები, მწერალი, ეს პატიოსანი ხალხი. სირცხვილი არ იქნე-  
ბა, რო ერთმა დალიოს და მეორემ უყუროს?

— ჲა და რა ვიცი, აბა რამდენისა ეყოფათ?

— ეგ ჩემზე მააგდე!

— ჩვენ კი დამალი ჩამოგვივიდა მაგდენ ლაპარაკში-და! —  
წამოიძახა „კინაზმა“, რომლის პასუხადაც დახლიდარმა მიართვა  
ყველაზედ უშინ რუმკით არაყი.

ამ გარემოებამ ილა მეტად აღტაცებაში მოიყვანა: რასა ლაპა-  
რაკობდა ანუ რასა შვრებოდა, თვითონაც არ ესმოდა. მხოლოდ იმას  
კი სცდილობდა, რომ ამხანაგებს არ შეემჩნიათ იმისთვის აღელ-  
ვება და მოუმატა ლაპარაკს.

— ე გუთნიჟედა ხო კარგი ვიშოვნე. — დაიწყო ილამ: — და გუშინ  
ჩ-ში წამოსასხამი იაფინგიც რომ მეყიდნა, ჩემს ბედს ძალია აღარ  
დაჰყევდა! ჰეი, თქვენმა გამარჯობამ, რა ვნახე ისა! ვაი, რო გიბე-  
ში ერთი მანათი არა მეონდა! კაცებო, ერთ კაცს ერთი იაფინგი  
ესხა, იგეთი, რო მართლა და თქვენი მოწონებული. მემრე, იცით,

როგორ აფასებდა? ორი მანათიო! იაფინჯი იჯეთი, რო რატო თუ —  
მეტ-ცამეტ მანათად არა ლირდა. ბევრი ვევდ გულში, მარჯომ... ასე  
იმ ოჭახდაქუეულ მამიდაჩემსა ჰქონდა იმ ხელად ფული. ვრთი  
მანათიც რო მგლებოდა ჭიბეში, ნამდვილად მანათად მოჭაჭურიშვილ ცალი

— რა ლეგრთი გასწყოომია, რო იგრე იაფადა სდომების კუნძული ეპე  
დება? — წამოიძახა ერთმა.

— უთუოდ ნაპარავი იქნებოდა, — წამოიძახა მეორემ.

— რა ვიცი, ნაპარავი იყო თუ რაც იყო, ორ მანათად კი ჰყიდ-  
და ახალ იაფინჯსა-და!

ამ სიტყვების შემდეგ მივიღა მასთან „კნიაზი“ და უთხრა:

— ილიავ, შენ იცი, რომ მე სახლი გამიტეხეს და „ვეპჩები“  
დამპარეს?

— რა ვიცი, ბატონო, მე არაფერი გამიგია.

— ხო იცნობ იმ კაცს, ვისაც იაფინჯი დაპქონდა გასაყიდად?

— როგორ ვერ ვიცნობ.

— მამასახლისო! — მიმართა „კნიაზმა“ ჭისკარებიდამ გამო-  
სულს მამასახლისს: — შენ ხომ მოგეცი განცტადება, — თან თვალი  
უყო, — რომ მე სახლი გამიტეხეს? აი, ეხლა ჩნდება ქურდი, ოქ-  
როულას ბიჭს უნახამ. ილიავ, აღარ გადაპსოვა, აი! ის იაფინჯი  
სწორედ ჩემი იქნებოდა.

— გადავთქვა რა იმისი შემეშინდება რა? დაიცა, ჩემ მეზობელ  
გადვუდები და სხვათა სოფლის კაცს მიღუდგები?

— ჰაი, შე დასაქუევო, ილიავ; ჩაიქე, რა სამოხრობლოს აიღებ! —  
უთხრეს აქეთ-იქიდამ.

— მაგავ რა აქვ, რო მე რა მამცეს! — წარმოსოვა ილიამ ისე,  
რომ „კნიაზს“ არ გაეგონა.

— შეშა-ფიჩხს ხო გამოგატანინებს მუქთად, თუ სხვის ვერას  
მოგცემს.

კიდევ ბევრი ილაზღანდარა ილიამ თავის სწორ-ამხანაგებთან  
და შემდეგ გახარებულმა ჭერ იმითი, რომ იმაზედ ცილაობა ჰქონ-  
დათ გუთნიდედებს საქვეყნოდ და მერეც იმითი, რომ თავის ნაბა-  
ტონარს ასიამოვნებდა, გასწია შინისქენ. ხალხიც მაღვ დაიშალა.  
უცილაშე დიდხანს დარჩა სასოფლოშე „კნიაზი“, რომელსაც მიპმარ-  
თა მამასახლისმა.

— „კნიაზო“ შაქრო, დღეს ერთადა ვჭამოთ სადილი!

— დაიჭერე. შენ დღეს მავისთანა კარგი არა გითქვამ რა.  
სადა?



— ან თქვენსა ან ჩვენსა.

— ჩვენსა ხელს ვერ მოგიწერ და თქვენსა კი ძალიან კავერი იქნება.

— საცა იქნება, ერთად კი უნდა ვისადილოთ ფრთხოების შეზერება რაღა საცა, მოდი და წავიდეთ ისევ ჩვენსა.

— ესი, ეგ მოგიხდა! — და დაედევნა „კნიაზი“ მამასახლისს.

## X

### მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ა ს

მშე კარგად გადახრილია. მამასახლისი და კნიაზი შაქრო სხელან მამასახლისის სასტუმრო ოთახში და შეეძლებან. თითქმის შუა პურის ჭამაში არიან შესულები, მაგრამ სუფრას კი არა ეტყობა რა. კაცი იფიქრებდა, ჯერ ხელი აზაფრისთვის უხლიათო, ისე გულუხვად იყო ყველაფერი სუფრაზე: თეთრი გამტკიცული პური, ბლომად დაჭრილი ყველი, ხიზილალა, დოში, ახალი ლოქოს მუქუფი, ცივად ინდაური, ერთის სიტყვით, რა უნდოდა თვალსა და გულსა, რომ სუფრაზედ არ იყო. კახურს ხომ რაღა თქმა უნდოდა.

მამასახლისმა აიღო ხელში ღვინით სავსე ჭიქა და სთქვა:

— ჸე, ეს ვიღასი დავლიოთ? ესეც ღმერთმა აღლეგრძელოს ის კაცი, რომელმა კაცმაც კაცს ხელი მოუმართოს!

— იშვ, ეგ რა კარგი სადლეგრძელო მაიგო... ღმერთმა აღლეგრძელოს!

— ჸენ, როგორც გეტყობა, ძალიან გულში ჩაგჭრია ოქროული: რძალი?

— ჸენ დამეხმარე და ერთი სადლობელივით მაქანებინე ისა.

— ქაჩალი აქიმი იყოს, თავის თავს მაირჩენდა! მე კი არ უკრა-ჭანებ კბილებს, რო ვერას გავხდი. ბევრი პატარძლების გემო გავიღე და ეგ კი ვერ ჩავიგდე ხელში! უიკოს ბიჭს, გზირია, ხო იცნობ, ვისაც მიუსევ, ცარიელი ალარ მოვა — ბერს მოლოზანს რო შეადგეს, იმასაც შააცდენს, იმასთან კი მაიღალა და პირი ვერ და-აქვრევინა იმ... იქნება კიდე მოვიგდებდი ხელში როგორმე, რო დედამთილი არა ჰყავდეს ისეთი ქვა-ძაღლი.

ვაძ, ის ქოფავი, ისა! რამდენჯერ დავეღრიჯე, ხან ფული ვაძლიე, ხან დავემუქრე, მაგრამ არა მეშველა რა. ის ძალლი ასე კი მეუბ-  
62

ნება: თუნდა ეხლავე ლუქმა-ლუქმა ამკუწოვო, მე ჩემს რეალისტი ჩიქილას არ მოვხდიოდ და ნამუსს არ გაუტეხამო. ან რა საყვარელია შენგან ეგაო, რო მაგასა ჰყადრულოფო.

— თოთონ რძალიც რო შობელძაღლია! ორჯერ ენაზე უძრავი უძრავი სალაპარაკოდ და ეთქვა: სწორედ იმედი გქონდეთ, რო ეს აა თავი და ან გვარი შევირცხვინოო. მეორედ კიდე გველანძლა კარგა და გვმეოგდო: მე მამასახლისისათვინ კი არა, თავისთვინ მამიყვანა ჩემმა პატრონმაო.

— ეხლა ხო ჩემ ხელთ არი. შენ მხარი დამიჭირე, ერთი ის ვაკოროთ მოსათელი ნაბაღივით. მემრე საცა წვრილი იყოს, იქ გაწყდეს!

— თუკი შემეძლება რამე, მაგაზე რალა თქმა მინდა!

— ოქროულას ბიჭი ხო ვერ გაპტეხამს იმ კაცს, ვისაც ნაბაღი ჰქონია გასასყიდი. მე მაგას ჩავიდებ ხელს. ჯერ აქ ვატოქოთ: როცა მოვიდეს შენთან, ისეთები ჩააბარე, რო გული გაღმოუბრუნდეს. ეგვე ჯერ ისე მოვახერხოთ. თუ აღარ იქნა და მაშინ „სულში“ უჩივლებ. მაგას დავაბრალებ ჩემი „ვეპშების“ მოპარეას, მაგას იქ ჩააბამენ და ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩება მაშინ.

— ბატონი ბრძანდები. აბა დალიო ერთი ეგ სტაქანი.

— ღმერთმა ღდლეგრძელოს ის კაცი, რომელიც კაცს ხელს გაუმართამს!

რადგანაც თავიანთის თვისისა და ტომის სადლეგრძელოები წინადვე გაათავეს და ღვინო კი ისევა სწყუროდათ, დაიწყეს სადლეგრძელოების მოგონება და თან შეპკვეხოდნენ ერთმანეთს: „ვინ ვისი გემო გაიღო“.

— მე შენზე გაცილებით ბევრი ჭაშნიკები მინახამ, — დაასკვნა ბოლოს მამასახლისმა.

რადგანაც მამასახლისის სახლში ფეხი შევდგით, ბარემ გავიცნოთ მამასახლისიცა და იმისი კარ-მიდამოც. ოცის წლის წინად გიგია მოსულიშვილი ერთ სომებს მოჯამაგირედ ეჭირა. ტყიდამ ვირებით შეშას აზიდვინებდა. სომხიდამ რო გამოვიდა, ერთ თავადიშვილთან, იმ დროს გავლენიან კაცთან, დადგა მოჯამაგირედ — მედუქნედ. მედუქნეობამ დიდი სარგებლობა მოუტანა გიგიას. გარდა იმისა, რომ ბოლოს დუქანი თავისთვის დაინარჩუნა, ძალზედ გამოიცადა ყოველიფერში. ოთხმეტის წლის წინად შევიდა მამულზე სოფელ მრავლეთში და დაიწყო მექომური ცხოვრება. შვიდის

წლის წინად გიგია ამოირჩიეს მამასახლისად და მას აქვთ მამასახლისობას არავინ შეცუილებია. მაშინ, როდესაც მოგვეცა ჩვენ უკარებენ თხვევა მამასახლისის გაცნობისა, იგი მესამე ყავლობაზედ იყო ამორჩეული. გიგიმ ძრიელი ნიჭი გამოიჩინა მამასახლის გაცნობის იმისი ცხოვრება წარმატებაში კი არ მიღიოდა, მიუტევდეს უფრო უკარებელ მამასახლისობაში გააკეთა ოროთახიანი ქვითიკონის სახლი, დიდრონის ფანჯრებით, ლამუთი და ფილაქნით დაფენილი, და ზემოდამ კრამიტი დაპხურა. მეორე ყავლობაზედ შეიძინა ერთი დიდი ზვარი, ეზოს შემოავლო მაღალი ლობე ჭის კარებით, დადგა ქვითკირის, კრამიტდახურული მარანი და შეაბა საკუთარი კუთანი. მესამე ყავლობაზედ დადგა ბელელი და სათონე, გაიჩინა ცხვარი, ძროხა და ლორი. იმისი ფიქრი ახლა საბძელ-კალიზედ იყო მიტეული. მესამე ყავლობაზედვე მორთო სასტუმრო ოთახი — გააკრა შპალიერი. მორთულობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ოთახისათვის, რაღანაც ბევრი მომსვლელ-წამსვლელი ჰყვანდა. გიგის პურ-მარილი მთელს მაზრაში განთქმული იყო და გუბერნიის ქალაქშიაც ჩააღწია იმისმა პურალობის ამბავმა. ერთი სირაჭი არ მოვიდოდა კახეთში ისე, რომ წინად იმასთან არ ჩამომხდარიყ. მთელი თავადიშვილობა მაზრისა წელიწადში ორჯელ მაინც ჩაუდებოდა ხოლმე სახლში და ატარებდნენ სანატრელს ღროებას. მაზრის უფროსიც ეწვეოდა ხოლმე გიგის სანდისხან. „ჩინოვნიკები“ ხომ იმისი ძალიან ხშირი სტუმრები იყვნენ. მასპინძლობა განთქმული იცოდა: იმის სუფრაზედ „ჩიტის რძეც“ კი გაჩნდებოდა ხოლმე. უფრო განთქმული იყო გიგის „ტომბასხები“ მამასახლისად არჩევის გამო. პირველს ამორჩევაში კი ვერ გააკეთა სანუკარი ტომბახი და მაშინ ვერც არავის იცნობდა მაგრე რიგად. მაგრამ მეორე და, ნამეტნავად, მესამე ამორჩევაში კი... ღმერთმა ნუ დავილიოთ! მომრიგებელი — შუაყაცი, მაზრის უფროსი თავისის აძალით, თავადიშვილები, რომელნიც დასდევდნენ უკან მაზრის უფროს ამორჩევების დროს, და მთელი სოფელი სულ გიგის ჩაუდებოდა ხოლმე სახლში. ჯერ არჩევანი არც კი იყო ხოლმე დაწყებული, რომ გიგის მარანში საში და ოთხი ქვევრი იყო მოხდილი და თანაც ეუბნებოდა გიგია ხალხს: ეს არს უნდა გემეგეთხოვოთ და უცელას დაგალოცინოთ. ის კი არა თუ, გამოთხვების მავირად, ისევ მამასახლისობას ულოცავდნენ.

რასაკვირველია, მისთანა ხარჯისა და სტუმარომოყვარე კაცი-

სათვის კარგი, სუფთა სახლი იყო საჭირო. ამ ამისთვის ამანა  
წინაპირებელადვე სახლი, ერთი ოთახი დანიშნა სასტუმროდ და მა-  
სამე მამასახლისობაში შპალიერიც გააკრა. სასტუმრო ღია ში  
შემსვლელს პირველადვე თვალებში ბუხარი ეცემოდა ჩატარებულ  
ქეთ-ქეთ იყო განჯინები, სადაც ელაგა თევზის კუთხული მისამართ  
ქილები და სუფრის მასალა — დანა-ჩანგალი, სალფეტები, თევშე-  
ბი და სხვა. მარჯვენა მხარეს იყო წალო, ქვეშავებით სავსე; წალოს  
წინ — ტახტი, ხალიჩებით დაფენილი; მარცნივ კედელზედ ეკიდა  
ერთი თოფი, შევერცხლილი დამბაზა, ხმალი და საძრავე. მეორე  
ადგილს ეკიდა წყვილი შევერცხლილი და ვერცხლის ჯაჭ-  
ვითვე გადაბმული ჭიხვი, სხვებს მოშორებით — იუხტის წალები  
და იმათთანავე ერთი თავი შაქარი. ფანჯარაში იღვა სამოვარი,  
ფანჯრის წინ სტოლი და კედლის ძირზედ გამშერევებული იყო ათი-  
ოდე ბალიშიანი სკამი. მეორე ფანჯარაში, ტახტის ბოლოს, ეყარა  
მამასახლისის დავთრები სამსახურისა და შინაურის საშმიტბისა.

თვითონ გიგიაც კარგი და წამოსაღევი ვაჟყაცი იყო. მძლალის ტანისა, მსხვილ მხარბეჭვიანი, მწითურის სახისა, შავი თმა-წვერი ჰქონდა, თუმცა წვერს ყოველთვის იპარსავდა, და შავთვალწარბა იყო. ტანზედ იცვამდა შავს პრუნელის დოშლულიანს ახალუხს, შავის ფოხონის შალის ჩოხა-შალვარს, თავზედ იხურავდა მაღალს, წითელს ქულს, და, რაც მამასახლისად ამაირჩიეს, სულ იუხტის წალებს იცვამდა. წელზედ ერტყა შევერტბლილი ქამარ-ხანჯალი. თუ გიგის ყელზედ მამასახლისის ჯაჭვი არ ექნებოდა გაკეთებული, უცნობ კაცს სირაჭი ეგონებოდა. არც იყეთებდა ხშირად ჯაჭვს. მართალია, წინაპირველ ამორჩევაში ყოველთვის ზედა ჰქონდა ჯაჭვი, მაგრამ მეორე და მესამე ყავლობაზედ, როცა ყველა უჯაჭვოდაც მამასახლისადა სცნობდა, აღარა კალრულობდა ჯაჭვის გაკეთების; იყეთებდა მაშინ, როცა საჭირო იყო. სხვა უიმისო დროს კი ჯიბით ატარებდა. ლაპარაკი ხალხში გიგიამ ხშირად არ იცოდა. ყოველთვის იმისა სცდილობდა, რომ თავი მაგრა დაეჭირა. ას კაცს რომ ეწივლა ერთად, მარტო ისმენდა ისე, თითქმ სხვა რას-მეზე ჰეფიქობსო და მომჩინეარს ყურადღებას არ აქცევსო. ერთხელ არ დაილაპარაკებდა და, თუ იტყოდა რასმე, უთუოდ იქ მდგომ გზირს დაელაპარაკებოდა. მაგრამ თუ თავის ჰამებაში ჩავარდებოდა, ან თავადიშვილის ყმაწვილებში, იმის ლხინსა და ხუმრობას საზღვარი არა ჰქონდა. ყველაზედ ხშირი სტუმარი გიგიასი „წინაში შავრო“

იყო. წელიწადში იმდენჯერ თავის სახლში არა სჭამდა პფრის შეკრის, რამდენჯერაც მამასახლისთან. მამასახლისიც ეფერებილა შექმნას, რადგანაც მერქანი, მარგილი, ჰიონ, შეშა-ფიჩის ბლომად უნდღოდა ყოველწლივ და შაქროც უფასოდ აძლევდა ნებამ რამისტერული ტყიდამ ესარგებლნა.

## XI

### ორიოზე სიტუა „პრიზ“ უარისადაც

თავადის შაქრო დიდებულიძის მამა დიდის ყმისა და მამულის პატრიონი იყო; ამისათვის შაქროს ძალიან კარგი ქარი უქროდა ბატონყმობის დროს. როგორც სიყრმის შეილი, იგი მალე ჩავარდა იმ ნეტარს ცხოვრებაში, რომელშიაც ცვივდებოდნენ, საზოგადოდ, შემძლებელთა თავადთა სიყრმის შეილები ბატონყმობის დროს. მისდა საუბედუროდ, სწორედ მაშინ მოასწრო შაქროს ბატონყმობის გაუქმებამ, როცა თავისის ყოფა-ცხოვრების სიტყბო ის იყო გაუკდა ძვალსა და რბილში. ორჯელ ძლივს მოასწრო შაქრომ მაყრიბა ოთხ-ოთხის ბიჭით და ხავერდის ქულაჯით. თუმცა არც შემდეგში ანებებდა თავს მაყრობას, მაგრამ შემდეგში როგორც ბიჭების რიცხვი მცირდებოდა თანდათან, ისე იმისი მორთულობა პკარგავდა წინანდელს ეშს. იმ ხანებში, როცა შაქრო ჩვენ გავიცანით, უბიჭოდაც დადიოდა მაყრად ნათხოვარის ცხენით, უფრო ხშირად ვლეხის ქორწილებში. ტანისამოსიც ერთი და იგრვე ეცვა, რაც შინ, ის მაყრობაში: უბრალო შალის ჩერქესეკა, ყაზახური ქუდი და უქუსლო ხარაზული ჩუსტები. ნეტარი ცხოვრება შაქროსათვის მოისპო იმას შემდეგ, რაც მან, მამის მინდობილობით, მიიღო ტფილისში სულ ის ფულები და თავის სწორ-ამზანაგებთან ერთად ცის გახსნას შეასწრო ტფილისის მეფიატონეები და საზანდარ-მედაფ-მეზურნეები. ბევრჯელ მოვლიდა ხოლმე უინა წინანდელის ნეტარის ცხოვრებისა და, ზოგი ბრაზმოსულობით, ზოგიც თავისის სურვილის დასაქმაყოფილებლად, გაუტევდა ხოლმე ნაყმევეებს „თავისებურად — უწინდებურად“, მაგრამ დროთავითარებამ ყველაფერი თანდათან მოათმენინა და დაავიწყა კიდევ. მხოლოდ აქომადე არ დაპვიწყებოდა თავისი ხავერდის ქულაჯა. ისე ცოცხლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ თითქმის ეხლაც ყოველის წუთს ზედ ეცვა და

ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ხელი არ ეხლო იმისთვის ჩინებული გისმე, რასაც კი შეეძლებოდა ქულაჯის გაჩირქიანება. გარდა ბოზბაშისა, ისიც იმისთვის გლეხეაცის ქორწილებში და ჟელურაში, სადაც კოვზი არ იყო ხოლმე, შაქროს ხელებს სხვა ატაქტიში ჩატარდა კარებია.

შემდეგი მომენტი

მამაპაპეული ქონებიდამ შაქროს კარგი წილი ერგო, როგორც მამულებისა, ავრეთვე ძროხებისა, ცხვრისა და სხვა ოთხფეხის საქონელისა. ყველამ ციის, რომ სისხლიან საქონელს ყოველთვის საფრთხე სდევს მრავალგვარი. ეს ყველაზედ უკედ უფრო შაქრომ იცოდა, რომ უეცარ ჭირს იმისათვის „ცეცხლზედ წყალი არ დაესხა“, აღგა და სისხლიანი საქონელი სულ ფულად აქცია. სულს ქვეშ კი უნდა სოქვას კაცმა, რომ ეს აზრი მარტო შაქროს არ ეკუთვნოდა—ამაში იმის მეუღლესაც ჰქონდა მონაწილეობა. განა არ იყო ეს აზრი საქები? ვული გულის ადგილს დაიდეს. შიში აღარიატისა ჰქონდათ და კნეინამაც, როგორც ქიიფსა და სიამოვნებას ჩვეულმა, ღროებაც გაატარა. მართალია, შემდეგში სკირდებოდათ ზან ცხენი, და ზან ცხვარი და სხვა, მაგრამ ამ ნაკლულევანებას მალე შეავსებდა ხოლმე შაქრო: ჰყიდდა მამულს და ყიდულობდა, რაც საჭირო იყო. მხოლოდ ის უყო მამაპაპე ცუდად, რომ მამულ-დედული იმდენი არ დაუმკიფა, რომ ჩამდენიც უნდა გაეყიდნა, თავის სიკოცხლეში არ გამოკლეოდა. მამულები შეუმცირდა ისე, რომ ერთი პატარა ვენახი დარჩა და ჩამდენისამე დღის სახნავ-ხათები მიწა და იმაზედაც, კერძო ვალებს რომ თავი დავანებოთ, „პრიკაზის“ ვალი იყო ბლომად. ერთადერთი წყარო ცხოვრებისა ტყედა ჰქონდა, თუმცა შაქროს ყველაზე ცოტა მონაწილეობა ჰქონდა ტყისა, მაგრამ ყველა მოქმედებშე ბევრსა სარგებლობდა ტყიდამ თავისის მოხერხებით.

შაქროს ერთი ცუდი ზნე შერჩა ბატონყმობის დღიდამ. იგი დაჩვეული იყო პატარაძლებში სიარულს და ბოლოს და ბოლოს ძალიან ძვირად უჯდებოდა ხოლმე ეს ჩვეულება. თავის ცოლ-შვილს მიტრეკამდა ხოლმე თავის სიმამრთან, რომელსაც ეტყოდა: ჩვენსას თქვენსა სქობიაო, და თითონ ნავარდობდა პატარაძლებში. ამ შემთხვევებში მამასახლისი მოკავშირეთა პყვითდა. უძვირფასები ადგილი შაქროსათვის სოფელში იყო არტემის დუქან წინ; თუ სადმე სხვაგან არ შევიტოდა, ყოველთვის აქა პნახავდა კაცი.



შემ ჩასაკლელად არის მომზადებული. მშექმნებული მსკუცებული დაწმენდილს დერეფანში სხედან ილიას დედა და ცოლი. ოქროულას გაუშლია წინ ფეხები, კალთაში ლობით უყრია და სჩურჩავს. ილიას ცოლს, მაღლა თავდახურულს, შეუმარყუშებია თავშე მოსახვევის წვერები, წამოუყრია წინ მაგის სიმსხო კავები, რომელიც ამჟობენ „დაეღავით“ წითელ ლოყებს, მიუზუდებია გულზედ აკანი და პატარა გიგიას ძუძუს აწოვებს.

— ი ბიჭს რა დაპმართებია, ქა! — წამოიძახა ოქროულამ, როცა დაინახა ილია შინათენ მომვალი. — რა გულხელი დაუკრეფია! ბიჭი, რა დაგმართებია, რატო იგეთი ფერი გაძევ, ავად ხო არა ხარ? — ჰქითხა ილიას, როცა დერეფანში შევიდა.

— ავად კი არა!

— მა რა დაგვმართა?

— ღმერთმა რო ამააგდოს შაქროს სახლი და კარი! მაინც ამოგ-დებულია, სულიათან უჩივლია, ილიამ ნივთები დამშარაო. წელან პოვეტრა მამცა მწერალმა.

ოქროულამ მარჯვენა ხელი ტუჩებზედ მიიღარა და წამოიძახა:

— იმ წინწალ გამქრალსა და კომლაბა ამოფხვნილს. შენ როდის დაპარე, ნივთები, რო შენ გიჩივლა?

— სახ-კარი რო ამოუწყდეს!

რამდენსიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ოქროულას ტუჩებიდამ ხელი არ მოუშორებია. რაც შეეხება მაროს, იგი ისე გადირივა ამ ამბავზედ, რომ არ იცოდა, სად იჭდა და რას აქეთებდა. ისე უგრძნობლად გადააჯანა აკვანი, რომ ძირს ტყაპა მოსძერა აკვანს.

— ადამიანო, შენ რაღა დაგმართებია? — უთხრა ილიამ. — რაზე დაპჩიჩებე ბალი?

ოქროულამ ტუჩებიდამ ხელი აიღო, ისევ ლობიოს დაუწყონურჩა და ცოტა ხნის შემდეგ ჰქითხა:

— როდისა ხარ დაბარებული?

— რა ვიცი, ენკენითვეში.

— ენკენთვეს ნუღა დახვდეს იმისი თავი და ტანი იმ ქოქ-გამქრალს შემეელია საფანელი?

— ის ოხერი, აპტყდა ი თითო ცხვირი და ალარ დემეჟსნა და  
ალარ დემეჟსნა, რაკი დავაპირე იმ საოხრო დღეს სოფელში გასულა  
მე ვთქვი, ი ჩხუბზე გადაივლის-მეოქი და კიდევ არ იქნა, არ ამებდა  
ხათაბალა! ნეტავი რამწამ კარებზე ფეხები გადადგი, ფეხი მერძეული გადა  
ხოდა და მე იმ დღეს სოფელში არ გავსულიყავ.

— რა გულს იხეთქიმ, შვილო, ნუ გეშინიან! შენ ხო არაფრის  
მქნელი არა ხარ და რას გიზამენ? სულის უამბე ცველაფერი დაწვ-  
რილებით. უთხარი, რა უნახამ კვლავ ჩემ ხელში-თქო, რო მაგისი  
ნივთები დამეპარნა-თქო, შაატყობინე ცველაფერი და მორჩები.  
სამართალი იმისთვინა ჰქვიან, რო სიმართლე გაარჩიოს ადამიანისა.  
ერთი ლაფი დადე იმას თავზე და პირში ჩალაგამოვლებული გამა-  
ისტუმრე.

— ეჭ, დედი, შენ კიდე მოპყვები-ყე ლაპარაკს! მე იმ სულში ვ  
წასვლა მეზარება. თავი დღეში ამოტოლა ვარ, და ჯერ არა ვყოფილ-  
ვარ, თორე, რაკი იქ მივალ, გავატყუნებ კი არა, ღდინსაც გავაგ-  
დებინებ!

— ჰოდა, თუკი გაამტყუნებ, წადი და გაამტყუნე, მაგაზე რაღა  
გაბოროტებს! გველაშაპები ხო არ არიან სულში, იქაც ხალხია! —  
უთხრა მარომ.

— იქაც ხალხია, მაგრამ, ერთი სიტყვით, ოცი თუმნის გადახ-  
და მირჩევნია, იქ წასვლას!

— რახა ე მაგრე გემკვლელება, შვილო, იქ წასვლა, წადი მამა-  
სახლისთან და შეეხვეწე! როგორმე მოგარიგოს. მიაგდე რამე თავში  
და ეგება თავი დაგანებოს იმ წინწალებამქრალმა.

— იგრე უნდა უყო. ეგვე დილაზე ჩავიდე და შევეხვეწო, თო-  
რე, რაც უნდა მიყონ, მე სულში ვერ წავალ.

— მამასახლისსაც უნდა დაპირდე რასმე, რო გულით მეეჭიდოს  
საქმეს.

ივარშმეს ცველამ ძალიან უმაღოდ და დაწვნენ დასაძინებლად.  
ინათლა თუ არა, ადგა ილია, დაიწყო სიარული და წავიდა მამასახ-  
ლისთან. ჭიშკართან დაპხვდა გზირი, რომელმაც შეატყობინა ილია,  
რომ მამასახლისს ჯერ ისევ ეძინა. ილა იჯდა კარებს გარედ და დაუ-  
წყო ლოდინი, მანამ გაიღოიძებდა მამასახლისი. კარებთან მოგრივდ-  
ნენ სხვა გლეხებიც, მამასახლისთან საქმისთვის მოსულნი. იქნებოდა  
ჩვა საათი დილია, ახალუხა, თავშიშველა, ტოლალებჩაშვებული,  
ქოშებით გამოვიდა მამასახლისი შინადგან თვალების ფშვნეტით და

გამოსწია პირდაპირ ჭიშკრისაკენ. უველანი ფეხზე წამოდგნენდა და  
სალამი მისცეს. მამასახლისი ჩამოჯდა კარებთან ქვაზედ და მატკი  
და რა ცეცხლი პაპიროზს, ისმენდა გაჩიმებული, რევ-უაკათ, გა  
საჩივარს, სამმა რო გაათავა საჩივარი. წადგა წინ ილა ტრაქიული მამასახლისო, ერთი საქმე მაქვ შენთან! ტრაქიული მამასახლისი მისხვდა რა საქმეცა პქონდა და უთხრა:  
— მაიცა, მემრე!

ილა უკანვე დადგა. როცა გაათავეს უველამ საჩივრები და წავიდ-  
წამოვიდნენ, მამასახლისი შევიდა შინ და ილიაც თან შეიყვანა.

ოქროულასა და მარის ილას გზისაკენ თვალები დააწყდათ. იქ-  
ნებოდა თორმეტი საათი, რომ მოვიდა ილა შინ, ძალზედ აღელ-  
ვებული.

— რა პქენი, შვილო? — პქითხა ოქროულამ.

— რა ვქენი, მე ვიცი იგრე დამიხლორთა გზები, რო იმან უფრო  
ბოლმა შამამახვია! „უგალონი“ საქმეა, მაგას არაფერი ეშველებაო.

რადგანაც ილას წინა დამეს არ სძინებოდა, დაწვა და დაიძინა. გავიდა ორი კვირა, ერთი კვირას დარჩა სასამართლოში გამო-  
ცხადებამდის. ამ ორი კვირის განმავლობაში ილას ორი გრიოშის  
საქმე არ გაუკეთებია. დადიოდა გულხელდაქრეფილი თხვრითა და  
გმინებით. უსაქმობისა და დარღისაგან თითქმის სულ ეძინა და  
ძილშიაც საცოდავათ გმინავდა. ჩამოხმა და დაედო სახეზედ ისეთი  
უვითელი ფერი, რომ გეგონებოდა კაცს, ორი და სამი წელიწადი  
უცივ-უცხელებიაო. ვინც შეხვდებოდა, ნამეტნავად თვისი სწორ-  
ამხანაგთაგანი, გულს უკეთებდნენ, არაფერი არა იქნება რაო.

— განა კი იქნება რამე, მაგრამ მე თავის მოქრასა ვჩივი: ვინც  
გაიგებს, რას იტყვის, როგორა უნდა შავხედო ვისმე პირზე!

ორი კვირის განმავლობაში ოქროულას სახლში არც ტკბილი  
პურის ჭია ყოფილა, არც ტკბილი საუბარი, არც ტკბილი ძილი,  
სულ ყველასთვის მწარე ნაღვლად გადაიქცა ეს ამბავი.

ერთ სალამოს, როცა ილას ეძინა და ძილში საცოდავად გმინავ-  
და, ოქროულა წავიდა მამასახლისთან, როცა დაინახა მამასახლისმა  
ოქროულა, ულვაშებში ჩაიცინა და შეიყვანა სასტუმრო ოთახში.

— შენი ჭირიმე, მამასახლისო, მიმცველე რამე, ლამის არი ი ბიჭი  
ხელიდამ გამემეცალოს! იგეთი გახდა ბოლმისაგან, როგორც უკი-  
თელი ფათალო. შევის კაბის კალთით ძლივს გამოვზარდე. შენ  
კარგად იცი, შენი ჭირიმე, რო ოთხის წლის ბალლი დამრჩა იმ უბე-

დურის დაბნელების შემდეგ. ოცდაექვსი წელიწადია მაგაზე // თავი  
დავდე, ვთქვი, არ გაუციებ მამის კერას-მეთქი, სოფლისათვისია  
გამოსადევი იქნება-მეთქი, არც სოფელს დაუკარგე ერთი ტოლი  
კაცი. ეხლა კი ლამის არი, მე თვალდამდგარს ნაღვტყაჩაში ჩატაჭე  
დან გამემეცალოს. ან რა კარგია, შენი კვნესამეც წერე და მუშად  
უსაბუთო საბუთით ერთი კომლი კაცი დევლუპოს? შენი ჭირიმე,  
აგრემც შენ ცოლ-შვილს უხარნია, მიშუამავლე ი შაქროჰთან! სა-  
სუდეთ ნუ გაუხდი საქმეს, რა ვიცი, ან მისცემს რასმე, ან გულს  
დაუდებს როგორმე, თუ სუდში არ ათრევს.

— ისეთ საქმეში გაუბამ შენ შვილს თავი, რო შველა ძალიან  
ძნელილა. უბრალო საქმე ხო არ არი. „უგალოვნი“ საქმეა. შენი  
შვილიც ერთი რალაცა მოუხეშავი კაცი ყოფილა, იმისათვინ კარგიცა  
და ავიც ერთი ყოფილა.. რამდენი კარგი დარიგება მივეცი, მაგრამ  
მე იმას ვერაფერი შევასმინე. იმას ისე პერნია, გუთანზე ვარო  
და გუთნიდედასთან მაქვ საქმეო.

— რა ქნას, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, განა შენ არ იცი,  
ტყესა და მინდორშია გაპილი. რა უნახო და რა გაუგონია, რო  
სად როგო უნდა ჰინქცეს? ტყის კაცია, შენი ჭირიმე, ძვირ გულს  
ნუ ჩაიდებ! როგორც იყოს, საქმე გაუთავე, ი კნიაზი შენ სიტყვას  
ყოველთვის გაიგონებს, ოღონდ უშველე რამე, აგრემც ჭირს მოგვამ  
და იხარებს შენი კარგი ცოლ-შვილი, და შენი ფეხთა მტვერი  
გახდება!

— განა ცოტას ვეხვეწები იმ ოჯახდასაქცევს, მაგრამ ძალიან  
უარზე დგა!

— რა ვიცი, იმ გასახარელს რა დაუშავა იგეთი, რომ მაგრე  
ცილში პწვამს?

— შენ წალი, ერთი ოთხიოდე თუმანი აშოვნინე, ვეცდები, რო-  
გორმე დაყიყოლიო, უთუოდ მოგარიგებ, თუ ოთხ თუმანს მამიტანს.

— სუდში ხო აღარ მოუხდება ი ბიჭს წასვლა?

— სუდში რიღასთვინ წაგა! არც შაქრო გამოცხადდება, არც  
ილია და სუდია ჩაშლის საქმეს.

— ოღონდ გაისარჯე და მოახერხე ეგ საქმე და მაშ ეს შავები  
ილაზე გამოვიცვალო, თუ იმანაც ვერ გადაგიხადოს სიკეთე.

— მე იმისი ახაფერი მინდა, ერთი კვირა ვენახის ფურჩინა  
მიშველოს.

— ერთი კვირა რა სათქმელია, ქა? ერთი კვირა კი არა, თუნდ  
სამი კვირა ამუშავე!

— წადი, წადი, აშოვინე შენ ოთხი თუმანი! დილაზე ჭრიანდეს  
და საქმეს უკეთელად აქვე გაუთავებ.  
— იხაროს შენმა ცოლ-შვილმა, როგორც ეხლა მე გახარებული  
მივალ შინ და ი ბიქსაც გავახარებ.

ილია ახლად გაღვიძებული იყო, როცა ოქროულმა ტკუმქულმა უქმუკ  
და უამბო ყოველი, რაც მამასახლისმა უთხრა. ილიას ცოტათი  
გულზე მოეშვა. მეორე დღესვე მიუტანა მამასახლისს თხი თუმანი  
და იმავე დღესვე დაადგა საქმეს და ორი კვირა სულ იმის საქმეს  
აკეთებდა. სანამ სასამართლოში წასვლის ვადა გავიდოდა, ილიას  
კიდევ შეში ჰქონდა გულში, როცა გაიგო, რომ შაქრო არ გამო-  
ცხადებულიყო სასამართლოში და მამასახლისმაც დაარწმუნა, რომ  
საქმე მოლად გათავებული იყო, ილიაც დამშვიდდა.

### XIII

#### გააჩლება დარღისა

ილიას არაფრად მიაჩნდა არც თხის თუმნის გაზახუა, არც  
მამასახლისთან ორ კვირას მუქთად მუშაობა, რაც გადაურჩა სასა-  
მართლოში გამოცხადებას. მიეცა უწინდებური გული, უწინდებური  
ფერი და მუშაობის ხალისი. იმისმა სწორ-ამხანაგებმაც, რომელ-  
ნიც სრულიად თანაუგრძნობდნენ, გადიყარეს დარდები და იმასთან  
ერთად გააძლიერეს ისევ თავიანთებური ლხინი. მხოლოდ ხანდის-  
ხან კი წავიდოდა ხოლმე ილია ფიქრში და წამოძახებდა უცბად:  
იმ ოჯახდასაქცევმა, რატო იგრე მიყო ი შაქრომ! კინალამ უსაბამო  
საბაბით არ დამწვა ალალ-მართალი კაცი!

გავიდა დრო და ხანი. ილიას დააეკიშუდა, რაც რამ მოხდა. შეექ-  
ცეოდა თავის ამხანაგებთან მაჭრით და თანაც იძახოდა: ჭამა-სმიაც  
მიყვარს და გარჯაცაო. გაპყვა ორ-სამ ნეფიონს მაყრად და „გაახარა  
თავისი ჭია“, წავიდა ჩვეულებისამებრ „ალილს“ თავისის სწორ-  
ამხანაგებით. ალებაც მხიარულად გაატარა. ალების ღამეს მოგროვი-  
ლი ძვლებიც თვითონ წაიღო ტყეში ყველივრის ორშაბათს, გადაპ-  
ყარა და დაიძახა: აპათ, ტყის ნაღირებო, თქვენი სარჩო და ამ  
წლის იმ წლობამდე ჩემ საქონელს პირი არ ახლოოთ! ყველიერმაც  
მხიარულად ჩიიარა. წმ. ორშაბათს დილით ოქროულამ გაუკეთა  
ჩიტებს ფაფა, დაუდგა ნატეხებით ლობეებზე და სთხოვა, რომ „ამ

წლის იმ წლობამდინარე პირი არ ეხლოთ ილიას მოსავლასათვეს  
თავებს საჩიხე დაურთო და სოხოვა, რომ იმის ბარე ყურესათვეს  
პირი არ ეხლოთ. ერთის სიტყვით, უკელანი უწინდებურად აჩვე-  
ინად იყვნენ. ისეთი უდარდელად და მხიარულად იყო ცალკეული კა-  
კინალმ პატარა ბიჭობა არ მოაგონდა და „თავი, თავი!“ სისინი კურ-  
გაქცია, მხოლოდ წმ. ორშაბათს ძლიერ მოღრუბლულის სახით  
ადგა ქვეშაგებიდან. ოქროულამ, რასაკვირველია, შეატყო ესა და  
ჰკითხა მიზეზი:

— ერთი ოხრული სიზმარი ვნახე წუხელ, — ასე მიუგო პასუ-  
ხად ილიამ: — და უთუოდ იმ ოხერი ცხვირივით ცუდად გადაივლის  
ესეც. უთუოდ კიდევ ხათაბალაში რაშიმე გავებმები.

— რა ვნახე? — ჰკითხა დედამ გულის ფანცქალით.

— ემაც ზევით, — შემოიტარა კეფაშე ხელი, — სუ მეეჭრათ  
ჩემთვინ და კიდევ კი ცოცხალი ვიყავ.

— უთუოდ წუხელ მარჯვენა მხარზე იწვებოდი, — გაუკეთა  
დედამ გული, თუმცა კი თვითონ ელდა ეცა, — და იმიპოვინ გინა-  
ხამ მაგითანა სიზმარი. მარჯვენა მხარზე როდი უნდა დაპწევ. ყველა  
ადამიანს ერთი ანგელოზი ჰყავ, ერთი ეშმაკი. ეშმაკი და ანგელოზი  
ერთმანეთს ებრძებიან. როცა მარჯვენა მხარზე დაწვება ადამიანი,  
ეშმაკი ერევა ანგელოზს და, რაც ცუდი რამ არის, იმას აჩვენებს  
სიზმარში ადამიანს. როცა ცაცია მხარზე დაწვება, მაშინ ანგელოზი  
ერევა ეშმაკს და სუ კარგ სიზმრებსა ცშინვას ადამიანი. ამას იქით  
ნულა დაწვები მარჯვენა მხარზე, თორე კიდევ ცუდ სიზმარს გაჩვე-  
ნებს ეშმაკი.

თუმცა ოქროულა სცდილობდა გაეკეთებინა ილიასათვეს გული,  
მაგრამ ვერაფერი უშველა-რა, ამ სიზმარმა ძალიან ჩააფიქრა  
ილია.

— რას უყურებ, შვილო, რატო არ გახვალ სოფელში, შენ ვინა  
და ყევნობა-ღლეს ამდენ ხანს შინ ჭრომა? — უთხრა ოქროულამ,  
როცა შეატყო, რომ ილია არ პირებდა სოფელში გასვლას.

— რა ვქნა, წასელა კი მინდა, მაგრამ იმ ოხერ სიზმრისა ძალიან  
მეშინიან. ვაკ, კიდევ ბალაში გავეხვიო!

— წადი, შვილო, ვირი მოგჭამოს დედამ! რაჩიგად დაგაშინა  
იმ კომლობაგამჭრალმა. წადი, უბრალოდ ხმას ნურავის გასცემ, ა  
უბრალოდ ნურაფერს ილაპარაკებ და ვინ რას გიზამს?

ადგა ილია და წავიდა სასოფლოსაჟენ. გავიდა თუ არა სასოფ-

ლოზედ, შეეჩესა წინ მწერალი და მიაჩეხა ხელში უწყვეტი აცის  
ნაცრის ფერმა გადაქერა პირისახეზე უწყების დანახვაზე, გვერდა  
ძერა დაწყო და სული შეუგუბდა. როცა მოიბრუნებული  
ჰქოთხა:

### ბებლიის მიერ

— ე რა არი?

— ეს გახლავს, შენი ჭირიმე, — უპასუხა მწერალმა, — ისა. რომ  
კნიაზი შაქროს საჩივრის გამო კიდე ვიბარებენ სუდში ამ თვის  
ხუთმეტში — დღეს სწორს უნდა გამოცხადდე.

— აյი იმ ულმეროომ აგრე მითხრა, ალარ წავალო. შენც ნუ  
წახვალო და საქმეს ჩაატარებს სუდია?

— რა ვიცი, ჩაატარებს თუ არა, კიდევ კი ვიბარებენ-და. ეხლაც  
თუ არ წახვალ, მემრე ჩაფრებით წაგიყვანებენ.

თქვენი მტერი დალონდეს, როგორც ილია დალონდა. დაიწყო  
სიარული და მივიდა მამასახლისთან. შესჩივლა თვისი მწუხარება.  
მამასახლისმაც უბრძანა:

— რამ შეგაშინა, შე ლაჩარო, შენა? სუდიას უთუოდ არ გაუ-  
გა, რო შინაურულად მოქმედელით. ნუ გეშინიან, კიდევ მე გაგი-  
კეთებ საქმეს. საცა იქნება და არ იქნება, მოვნახავ შაქროს და  
წიგნს მივაწერინებ სუდიასთან, რომ შინაურულად გაგითავა საქმე.

— ძალიან კარგი იქნება! შენი ჭირიმე, ერთი სიტყვით, ოლონდ  
ამ ხათაბალის მამარჩინე და, რა ვიცი, რა მაღლილა გინდა სხვა.

— აა ხეალვე შავუდგები საქმეს. არ ვიცი კი მალე ვიმოვნი, თუ  
არა, ვინ იცის, სად არი გადაქაჭულა? უპოვნელს კი არ გავუშვებ,  
მაგრამ ერთი ეს არი, მოვცდები, ამ კვირია მუშა უნდა დამეყენებინა  
ვენახში.

— აა, აქ არა ვარ! — ოლონდ ეგ საქმე მაახერხე და ამ კვირია  
მე შენ არ მოგშორდები. თუ მაშველიებ ვისმე, იგრე ვიმუშაო, რო!..  
თუ ახავის მამცემ და არც მე ამერევა მარტოს მუშაობა.

— კაცებს მოგცემ მაშ! შენ წადი ეხლა, საცა გინდა, და არხეო-  
ნად იყავ — უთუოდ გაგიკეთებ საქმეს. დილაზე კი მოუსვლელი არ  
დაპლე.

მამასახლისიდამ ილიამ პირდაპირ შინათკენ გამოსწია. როცა  
მივიდა შინ, უთხრა დედას:

— აკი გითხარ რო ოხრული სიზმარია-მეთქი. კიდე მიბარებენ  
ამის თაობაზე სუდში!

— უი, ნეტავი გამაქრო! მართლა? მა რა მითხრა ი წინწალ-

ამოწყვეტილმა და კომლგამქრალმა მამასახლისშია, რო  ლევინები! მაშ თოხი თუმანი რათ გამამართვა? ჭრი იყავ მამასახლისთან?

— როგორ არ ვიყავ.

— რა გითხრა?

— აგრე მითხრა, რო, საცა იქნება, ვიპოვნიო შაქროს, წიგნს მივაწერინებ სუდიასთანი და ეხლა კი მოჰშლისო.

ამ ამბავზედ ილიას, დედასა და ცოლს დარღი და ბოროტი ისევ გაუახლდათ. ილიამ მიდო იქვე დერეფანში კუნძხე თავი. მიეცა ძილს და სალამომდის განუწყვეტლივ ეძინა.

როგორც დაპერილდა მამასახლისი, კიდეც შეასრულა: გაანთავი- სუფლა „სრულებით“, როგორც არწმუნებდა, მაგრამ ილიას გული კი ისევ ჩაღაცას შემოჰკვნესოდა.

#### XIV

##### მომრიგიბალ სასამარელოში

წითელ მაუდგადაფარებულ სტოლს უკან ზის მომრიგებელი მო- სამართლე, სტოლის წინ, გძელს სკამზე, სხედან მომჩიგარნი, მოპა- სუხენი და საქმის მაძებარნი ვექილები. მოსამართლე შესდგომია საქმეს. გაარჩია რამდენიმე საჩივარი და დაიძახა შემდეგ: „თავადი ზაქარია პაატას ქე დიდებულიძე, ილია ზურაბის ქე თვალიაშვილი“.

გავიდა შაქრო და გაჟყვა გაფითრებული ილიაც, რომელსაც მისძახეს:

— რა იყო, ბიჭო, რაზე მოჰკვდი, განა შეგქამენ-რა!

— კნიაზო, თქვენ ქურდს რათა ჰფიარავთ? — ჰკითხა მსაჯულ- მა, — ქურდი კანონიერად უნდა დაისაჭოს!

— მე არა ვფარავ, ბატონო, თ აქ არ გახლავთ? მე ჩემი „ვეპების“ ფასი გამოვართვი და თქვენი კიდე თქვენ იცით!

— თქვენ რა მოპეარეთ ამათ? — ჰკითხა მსაჯულმა ილიას.

— არაფერი, შენი ჭირიმე!

— მაშ რას გიჩივის ეს კნიაზი?

— აი როგორ იყო, შენი ჭირიმე.

— ნუ გეშინიან, ყოჩალად ილაპარაკე! — წასძახეს უკანიდან.

— მე ჩ-ში გახლდით, შენი ჭირიმე: იქ ერთი იაფინჯამოსხმული

კაცი იყო და თქვა, რო ვინც ორ მანეთს მამცემს, ამ ჩემ იაფის  
მიეყიდიო. თურმე, ნუ იტყვით, იმ კაცს ხუმრობით ეთქვაზე მე  
მართალი მეგონა.

— ცოტა მოკლედ თქვი!

უროვნელი

— ჰო, მოკლედ მოგახსენებ, შენი ჭირიმე! თურმეში გადასცემი  
რობით ეთქვა და მე კი მართალი მეგონა. წამოვედი და მე კიდე  
ბიჭებში ვთქვი, ერთი კაცი ესე-ესე ახალ იაფინჯს ორ მანეთად  
ჰყიდდა-მეთქი. ეს ქნიაზიც იქა ბძანდებოდა. როცა მე ბიჭებს  
ვუთხარ, ამან მითხრა, მე დავკარგე ნაბადი და კიდევ სხვა ნივთე-  
ბიო, უთუოდ ჩემი იყო ის ნაბადიო, შამიტყუ რამეო. მეც ხათრ  
როგო გაუტეხამდი! წავედი იმ კაცთან და იმან აკრე მითხრა: ვის  
დაპკარგიხარო, რამ გაგაგირა ვიღაცა ხარო, შენთან კაცმა ვერ  
უნდა გაიხუმროსო? მოვედი და ქნიაზი მოვახსენე. აი აგრე იყო,  
შენი ჭირიმე! რა ვიცი, მართლა დაკარგა, არ დაკარგა, ან იმ კაცმა  
მაპძარა, მე არა ვიცი-რა, შენი ჭირიმე. აბა მე რას ვაქნევდი, რო  
მამეპარა, ეს დალოცვილი, რო მე მიჩივის? ერთი საწყალი მარტო-  
ხელი კაცი ვარ, ერთი წელიწადია მოვცდი და მოვიშრიტე — ბოლ-  
მისაგან ვეღარაფერი მიწამებია.

— შენ შინაურულად მოურიგდი ამ ქნიაზს?

— დიაღ, შენი ჭირიმე, ოთხი თუმანი მივეცი.

— მართლა მოგცათ, ოთხი თუმანი?

— დიაღ, ბატონო, ოთხი თუმანი მამცა!

— შენ რად მოურიგდი შინაურულად, რად მიეცი იოთხი თუმა-  
ნი, თუ არაფერი მოგრძავს ამათი?

— იმისთვინ გავუსწორდი შინაურულად, შენი ჭირიმე, რო მე არ  
მინდოდა აქ ხეტება და მინდოდა თავიღამ მემეცილებინა.

— მაგათ რო გაუსწორდი, ანლა კანონის უნდა გაუსწორდე!  
მიბრძანდით, ცოტა ხნის შემდეგ გემეგეცხადებათ.

შაქროც და ილიაც გარედ გამოვიდნენ. ერთი სწორ-ამხანაგთა-  
ვანი მოვიდა ილიასთან და უთხრა:

— ილიავ, მე იგრე ვითარგმნე, რო შენ გაგამართლებს აი!

— კაცო, რო მართალი ვარ, არ ვამამართლებს? მე აქ ამოსვლა  
მეზარებოდა, თორე! ზოგი რა ხასიათისაა, რო წამდაუწუმ მორბის  
აქ, არა პწყინდებათ, ნეტავი მითხრა? ჩემი ფეხი კი ლმერთმა აქ  
ნუღა დადგას!

შემდეგ მივიდა ილიასთან ერთი გაქნილი ვექილი და უთხრა:

— ქმობილო, რატო ატეაზი არა პქენ, რად უთხარი სულის,  
შინაურულად გაუსწორდით!

— ხო მართალი იყო; რაც მართალია, კაცმა სიმართლე უნდა  
ოქვას.

— მაგისთანა სიმართლე აქ არ გამოდგება, ჩეტეულმა ერთ-ერთ  
რა ვექილმა.

ცოტა არ იყოს ამ ვექილის სიტყვებმა ჩააფიქრეს ილია, თუმცა  
კი სრული იმედი პქონდა გამართლებისა. შაქროს კი ეჭირა ხელში  
პაპიროზი და არხეინად ბოლოთასა სცემდა.

მსაჯულმა გაათავა საჩივრების გარჩევა და დასასრულს წაიკითხა  
გადაწყვეტილება: ილიას გამოუცხადა რამდენისამე თვით საპატიმ-  
როში დატუსალება, ამასთანავე ისიც გამოუცხადა, რომ იმას შეეძ-  
ლო გაეტანა გარდაწყვეტილების პირი და საჩივრის გადატანა უმაღ-  
ლეს სასამართლოში. ამნაირმა გამოცხადებამ ილიას წელი მოსწყ-  
ვიტა, ცოტას მორჩა, გული არ წაუვიდა. შემოეხვივნენ „აღვაკატე-  
ბი“ და ურჩიეს საჩივრის გადატანა უმაღლეს სასამართლოში.  
ყოველი მათგანი დაპირდა ისეთ აპელაციის დაწერას, რომელიც  
ქვასაც კი გაქნეთქდა.

წამოვიდა ილია შინ, მაგრამ მუხლები კი ეკეცებოდა გზაზედ.  
შინ დაპსვლნენ გაწეწილი ცოლი და თავიორჩამოლალრული დედა,  
რომელთაც შეეტყოთ ილიას უბედურება იმის მისელმდე. გადაიტა-  
ნა ილიამ საჩივარი ოლქის სასამართლოში, თუმცა საჩივრის დამ-  
წერი არწმუნებდა ილიას, რომ იგი შეპევლად გამართლებოდა  
ოლქის სასამართლოში; მაგრამ იმსა აღარაფერი არა სჯეროდა რა.  
დაკარგული პქონდა ყოველი იმედი გამართლებისა, ჩამოხმა საცო-  
ლავად დარღისაგან, გახდა გულჩათხრობილი და აპყარა საქმეს გუ-  
ლი; მხოლოდ, რადგანაც ყანის მეა უყვარდა ძალიან, ყანის მეას კი  
შეუდგა და არც უნდოდა, მზად მოსული საჩირო დაელუპნა. კულან-  
დებურად თავისი ტოლი ბიჭები — მოკეცები აღარ წაუვანია,  
რომ „ებულრავნათ“ მეაში. იცოდა, რომ ბიჭები ყბას არ დააყე-  
ნებდნენ და იმას გისაგონადაც ეჯავრებოდა სიმღერა. მარტო თი-  
თონ დაღიოდა ყანის სამეცნად და ისე ჯიბრზედა მეიდა, თითქოს,  
ვისი ჯავრიცა სჭირდა, ყანაზედ ყრილობსო. დღეში ცხრასა და  
ათ თეულს არ ცდენდა, დააბინავა ყველა მოსავალი, მაგრამ გუ-  
თანზე კი ფეხი არ გადადგა. თავისი საყვარელი ხარები, რომელთაც  
მუჭით უგლეფავდა ბალას, საცა მოეწონებოდა, და ისე აქმევდა,

ჩაუგდო სხვის ხელში. სხვა საქმისათვისაც არ უხლია ხელი, ან იმაზე  
და ეძინა და ან მარცხენა ხელის ცერი ქამირში პქონდა—გვეტები—  
ბული, მარჯვენა ხელი უბეში ედო და ისე დადიოდა; თუ „სასოფ-  
ლოშე“ გავიღოდა, გამარტოვებული დაჭდებოდა ხოლმურაში უცლი-  
ებარებოდა. კველა იმის მნახველს გელი უკლებოდა უფრო შესაჭირო კრულვას უგზავნიდა შაქროს...

## XV

### შირებულება რაჭილისა

ახლად შებინდებულია. მამასახლისი ზის თავის სასტუმრო ოთახ-  
ში და რაღაცა მოუსვენრობა ეტყობა. ხან ადგება, ხან დაჭდება,  
ხან გარეთ გამოვა და თანაც პაპიროს ეწევა.

— რა ვქნა, რა იქნა აქამდის! — წამოიძახა მამასახლისშა, გამო-  
ვიდა გარეთ და დიდხანს უყურა ერთის მხარისაკენ. შაბრუნდა თუ  
არა შინ, შაქროც შეჰყვა და მიახალა პირში:

— ჩააბეს!

— მართლა? — ჰეთხა მამასახლისშა.— აი, შენ გიშველა ღმერთ-  
მა. სწორე გითხრა, მეშინოდა, არ გაანთავისუფლონ და ღმერთი არ  
გაუწყრეთ-მეოქი. მაშინ ხომ დაიცუშებოდა ჩვენი პლანი!

— თუკი მავრე გეშინოდა, რად შაუმოწმე სოფლის მოწმობა?

— მე არა შემიმოწმებია-რა! მე შინ ვიყავი დამალული, როცა  
მოდიოდა ჩემთან, და ეუბნებოდნენ, შინ არ არიო. იმის გამოისო-  
ბით, სხვებსაც არ ვეჩვენებოდი. უთუოდ სუდიები შეუმოწმებდ-  
ნენ. უშველა რამე იმან?

— ჰმ! რას ამბობ, გადმოუგდეს, ეს ახლა საქმირო აღარ აჩიხო!

— ეხლა ჩენ რა ვქნათ ჩვენი საქმისი? — ჰეთხა მამასახლისშა  
ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— დაიცა, ერთი, საქმე არა გაქვს? ლამის არი ქამარი და-  
მეკარგოს!

— ისეთი ვახშამი გაქამო იმაღამ, რომ ღმერთისა!

— ცოტა ყველი და პური მაატანინე, ვახშმობამდინ ვინ  
გასძლებს!

— ჩაი მზად არი, გოგო, ფილე? — დაუყვირა მოახლეს: — ჩაი  
მიიტა!

— ჩაის ხარჯსაც არ გაგიფუჭებ! შენ რაც ვითხოვ, იმ მითხოვანინე.

— ვოგო ფეფე, ჩველი და პურიც გამოატანე.

— ჲა, როგორ დავიტიროთ ეხლა საქმე? — ჰყითხს უკანასკნელი  
როცა მიირთმევდნენ ჩაის: — თავი და თავი ჭირი უძინებელი მეტებ

— ჰაი, დედასა.. ვის შეუძლიან ჩემ ცოლს უწიაშურად ხმა  
გასცეს, მანამ მე ცოცხალი ვარო! იცოცხლოს და იყუროს არშორ-  
კიდამ, როცა იმის ცოლს... — ამბობდა შაქრო და თან იყმინდებოდა  
კველითა და პურით.

— ମେ ଲାଗୁ ହୁଏ କ୍ଷେତ୍ରକାଳ ଲାଙ୍ଘନି ଲାଗୁ ହୁଏ!

— რას ვამბობ! ჯერ ერთი სამიოდ-ოთხი დღე დავაცადოთ, მა-  
იმგლოვონ. მემრე დავიშუოთ ერთ ღამეს სიარული, მივიდეთ, შა-  
ვამტვრიოთ კარები და...

— რას ამბობ? გინდა, აიქ ოქროულაშ ცულით დაგვხოცის! შენ კიდე ვერ იცნობ იმას! ან ცულით დაგვხოცამს, ან არადა ქვეყანის შავვიყრის ერთიანალ.

— ဒာမ် လာ ဒိုင်းတေ?

— იმასაც უნდა მოუხერხოთ რამე, ან უნდა დავიყოლიოთ როგორმე.

— ისლა მე დაუღუპე, შენ კიდე ეგ უნდა მაიგდებინო როგომე თავიდამ; ეხლა შენი ჭერია, მე ჩემი ვალი მოვიშორე.

— მე ამაზე შეტი კერ მაშივრნია-რა: უნდა გავიძრახო ვანმე, რო წაეკიდოს ოქროულას და იქამდინ მიიყვანოს, რომ ან დაკერას, ან გალანძლოს. მაშინ მე დავიბარებ, ან ნებით დავიყოლიებ, ან კომში დავამწუხავ და მაშინ...

— რაც გინდა, ქენ, უნდა მაისხლტუნო კი თავიდამ-და!

ბევრი სხვა საშუალებაც დაისახელებს, მოწამლვაც კი... ივანეშვილის  
და დაიძინეს იქანე. მეორე დილით შექრო თავის სახლში წავიდა,-  
მამასახლისი კი სასოფლოზედ გამოვიდა. უნდოდა გაევო ხალხის  
აზრი იღიას დატუსალებაზედ. სასოფლოზე ათიოდე კაცის მეტი  
არ დახვდა მამასახლისს, რაღაცანკ საქმის დღი იყო.

— საწყალ ოქროულას ი რა მოჰკვლია! — წამოიძახა ერთმა თითქო მამასახლისს უნდა შეატყობინოს ახალი ამბავი.

— რა? — ჰეითხა მეორემ, — იღა რო დაატესაონეს?

— ისაც ხო დატუსაღეს და ოქროულისაც ბოლმა შემოპწოლია გულზე და კვდება. წუხელ ლვდელმა აზიარა. ამბობენ, აღარ გადაჩინდათ.

ამ სიტყვაზედ მამასახლისს სიხარულისაგან გულმა  დაუწყო. შერე ვითომ-და ორაფერი იცოდაო, ჰყითხა:

- განა დაუჭერიათ ილია?
- დიახ, გუშინვე დაუტუსაღებიათ.
- ორეუ, საწყალი! ძალად არ გაიფუჭა თავში მიტუდის მიერა სთქვა მამასახლისმა.
- ძალად, ძალად, მე და ჩემმა ღმერთმა!
- არა, რა რჩოდა იმ უკეთერს? მშიერ თავიდიშვილთან რო იმეებს ლაპარაკობდა, არ ცოდა, რო ისე უზამდა? — წარმოსთქვა ისევ მამასახლისმა.

მამასახლისი დარწმუნდა, რომ იმაზედ ეჭვი არაფრისა არა ჰქონდათ და გულგახალვათებული დაბრუნდა შინ.

ოქროულამ ვერ გაუძლო ელდას და სწორედ იმის სწორზედ, რა დღესაც ილა დაატუსაღეს, გამოასცენეს სახლიდან დასასაფლავებლად. პირველი მოთადარიგე და სარისტის მიმცემი ქელებში მამასახლისი იყო. ყოვლის ლონისძიებითა სცდილობდა, დაემტკიცებინა მართლავის თავისი გულშემატეკივრობა, მაგრამ მოქმედება მამასახლისისა მხოლოდ უორცეცებდა მაროს მწუხარებასა.

— წიმო, შვილო, და შინ წაგიყვან! — უთხრა მაროს მამამ, როცა გაათავეს ქელები, — მანავდის გამოუშვებენ, იქ იყავ და, როცა გამოუშვებენ, ისევ მე მოგიყვან.

— აბა, რა ვენა, მამილო, როგო დავანებო აქაურობას თავი? მოსაგალი კიდე კარზეა მომდგარი, სად წამოვიდე? ან კიდე ვინ რას იტყვის, რო შვიდამდინ მაინც არ მოვიცალო და კარზე გამოვიდე?

— ეს დღი რო არ იყოს, ყოველთვინ მოგხელამდით, მაგრამ ეხლა ჩვენც საქმე გავქვა, ჩვენ შენოვის ვეღარ მოვიცლით და მარტო როგო უნდა იყო უკაცო ოჯახში, ან რა უნდა გააწყო? — უთხრა დედამ.

— რა ვენა, რაც იქნება, იქნება! ჩემი დედამთილი უფრო უწყალოდ დარჩომილა. მაგრამ საქმე საქმეზე მოუყვანია. მე ხო ისე საქმე არა მაქვ ჯერ გამხდარი.

გამოეთხოვნენ დედ-მამა, ნათესავები და წავიდნენ. დარჩა მარო მარტოლმარტო.

მეოთხე საღამოს შაქრომ გაიარა ერთ თავის ნაყმევის სახლწინ, გამოუძახა ნაყმევს და უთხრა: — შენ გოგოს ოქროულას ჩაძლოთან ნუ აწვენ ღამე, თორემ ძალიან ინანებო.

რაკი ესეთი დამუქრება შაქროს მიერ გავრცელდა ხალაში. გვია  
რავინ გაბედა ლამ-ლამე მაროსთან დაწოლა ამხანაგად.

ერთ ღმენს, როცა ყველას ეძინა და მაროს კი შიშტეჭული ცურული  
ჰქონდა გამფრთხალი, ვიღმაც კარი დაუკაუნა. მაროშ ცურული ჩატარება  
ურმა მომატყუაო, მაგრამ შიშისაგან კი სული შეუგუბდა ყელში.  
დააკაუნა მორედ, მესამედ. მარომ მოიკრიბა, როგორც იყო, ძალი  
და ღონე და ხმის კანკალით დაუძინა:

— ვინა ხარ, რას აკაკუნებ მა კარებს?

— კარი გააღე! — მოესმა გარედან.

— რიცთვინ უნდა გავაღო. ამ შუალამისას აქ რა ხელი გაქვ?

— გააღე და ვინცა ვარ გაიგებ!

— გაპწი, წეეთრივე, საიდამაც მოთრეულხარ, შე ასეთ-ისეთო,  
თორე მოელს ქვეყანას შენხე შაყური!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, კარი გააღე. თუ ჰევა გაქვ, თორემ  
ინანებ!

— აბა, არ გავაღებ, ერთი რასა იქ?

ამ სიტყვების შემდეგ კარებმა ჭავაჭუჭი დაიწყო. მარომ კი  
მორთო ცვირილი:

— ვინა ხართ. ქრიტიანები. მიშველეთ! — ყვირილზედ გამო-  
ვარდა ახლო მეზობელი კაცი.

— ჰაი, ჰაი, რა იყო, მარიკო, რა მოგივიდა?

— მამამთილო. მიშველე. ვაღაცანი მოთრეულან და კარებს  
ამტრევენ!

— დათიავ, რატო შენთვინ არ დაპდგები! ეხლა შენ ჰევა გაქვს,  
რო მაგოდენასა ჰყვირი? — კაცმა იცნო ხმა და მაშინე შებრუ-  
და შინ.

კარები შეამტვრიეს და შევიდნენ არხეინად. საბრალო მაროს  
კივილი ცასა სწვდებოდა, მაგრამ მიშველება ვერავინ გაბედა. ეს  
კივილი მაროსაგან პირველი და უკანასკნელი იყო. შემდეგში აღ-  
რავის გაუგონია იმისაგან კივილი.

## XVI

### საპატიო როში

ოლქის სასამართლომ დაამტკიცა გარდაწყვეტილება მომრიგე-  
ბლის მოსამართლისა და ილია თვალისველი სასამართლოს დარბა-  
ზიდამვე წაიყვანეს საპატიმროში. როცა მოუტანეს ილიას სატუ-  
სალო ტანისამოსი, ილიაშ უთხრა მომტანს:

— ეს როგორ უნდა ჩავიცვა, ხო შემჭიდა.

პასუხად უთხრეს:

— ნუ გეშინიან, აქ შიმოსვლა გაჭირდა, თორე, რაკე აქ შემო-  
ხველ, ყველაფერს შეგაჩვევთ.

ურარცხული

ილიამ გულიანად ამოიოხრა და დაიწყო ტანისამოსისა მარტინე  
როცა ტუსალებს თვალი გადაავლო, ილიას ცოტათი გვლნე  
მოეშვა ბოლმა და სთქვა თავისთვის:

„მაღლობა ღმერთს, რო ჩემშე არ ჩამოწყვეტილა მარტო სა-  
ლიმი და ბევრი სხვაც ყოფილა აქა. მაგრამ განა მე რომ უცე-  
ცხლოდ დამწვა იმ ცეცხლმოსაკიდებელმა. სხვანაც იქნებიან ჩემს  
დღეში?“

დიდხანს არ გასტანა ილიას გულდამშვიდებამ. იგი მივიდა  
პატარა სარქმელთან, რომლიდგანაც დაინახა ალაზნის ველი, და  
დაიწყო სლუკ-სლუკი. სლუკ-სლუკი ტირილად გადაექცა მაშინ,  
როცა იგრძნო, რომ შემოეხვივნენ უკანიდან პატიმრები და ცდი-  
ლობდნენ დაენახათ იმისი პირისახე.

— რა „ნეენა“ რამა ყოფილა! — წამოიძახა ერთმა პატიმარ-  
თავანმა.

— იზედი გადახდება, რო იამან! — დაუმატა მეორემ. თათარმა  
და დაპკრა ხელი ილიას ბეჭებზედ.

— იქნება იგრე გაგიტებეს აქაურობა, რო ძალით გაგდებდნენ  
და აღარ მიდიოდე! — უთხრა მესამე.

— მეეცათ, კაცო, რას ჩამეცეკიდენით ამ კაცს. რა გინდათ  
მაგისაგან? — სთქვა მეოთხემ.

პატიმრები კი მოსცილდნენ, მაგრამ ილია კი არ მოჰშორებია  
მთელ დღეს სარქმელს და არც იმისი თვალი გამშრალა ცრემლისა-  
ვან. ცრემლის ღვრითვე გაატარა ილიამ ლამეც, რაღაცაც მთელ  
ლამეს თვალზე ძილი არ მოსვლია.

მეორე დღეს, როცა გამოიღვიძეს პატიმრებმა და წამოიშალნენ,  
ზოგი ებლანძალავებოდა ერთმანეთს. ზოგი პირის დასაბანად  
მიჩრბოდა, ზოგი მღეროდა, ზოგი ყვიროდა: „პაჯან, პაჯან, სანიახში,  
ეინალ!“ (მობაითე ტუსალი). ილია შეპყურებდა გაცეტებული და  
პფიქრობდა თავისთვის: „თუ სულელები შემოურცენიათ აქ, არ  
ვიცი; თუ არადა, რა ყოფა აქვთ? თუ ესენი ჭკვიანები იყვნენ.  
ეგრე იმხიარულებდნენ ამ ჩასაძვრენ ალაგას?“

მოვიდა საღილის დრო. დაუკრეს საღილისა. ყველა მიეშურება

კერძის მისალებად, გარდა ილიასი, ის ამ დროს პატარა ფანჯრით  
გადაჟურებდა შეცლავ თავთავდასხმულ ყანებსა და ქართველ  
ალაზნის ველზედ. მივიღა იმასთან ერთი პატიმართავანი და  
უთხრა:

— მათ, შენ რო ემავრე ჰქნა, მშეორი მოკეცეტია ქუჩერება  
გამაართვი შენი „პორცია“ და პური ვამე! მარტო შენ თავზე ას  
მამხდარა ეგ ამბავი: აი, გადაჭედე, როგორი ჭოლა ვართ. მეც ვ  
ვ მავრე შენსავითა ვდირდობდი წინდაშინ, მაგრამ მე დარდით  
ვარა ვუშველე-რა ჩემ თავს.

— რა ვქნა, ეგ მართალია, — უბასუხა ილიამ: — მაგრამ მე  
ვანა ისა მწყინს, რო აქა ვარ-რა! მე ის მაწუხებს, რო უსაბაბო საბაბით დამიჭირეს. \*

— წალი, შენ გამაართვი შენი „პორცია“! ეგენი მერე ვილაპა-  
რაკოთ.

ილიამ მიიღო თავის კერძი და მიიტანა იმ პატიმართან, რომელ-  
მაც ურჩია კერძის მიღება და რომელიც იცნო თავის გულშემატ-  
კივრად; იმასთან სამიც სხვა იჯდა. ილიამ ამოიღო ერთი კოვზი  
წვენი, შეცვრიპა თუ არა, მაშინვე გულს დააზიდა, გამოლვარა ისევ  
პირიდან და სთქვა:

— თუნდა მამელათ, მე ამას ვერა ვჭიამ! — არც პურსა და  
ხორცის ახლო პირი და უთავაზა ყველაფერი ახლად გაცნობილ  
პატიმრებს. ილიამ დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი.  
ერთმა მათვანმა უთხრა:

— აი ეხლა კი მოხვედი იგეთ ადგილას, საცა გაიწვრონები და  
მაგრე ადგილად ველაზ წაგირგავენ თავს დანაშაულობაში. \*

— ლმერთმა დამიფაროს! ჭერ არას მქნელი ვაყავი, ეგრე  
მიყვეს, და რო დავაშავო რამე, ხო ცამბირი აქეთ დამრჩება!

— კიდეც ეგ არი, რო რავი გაიწვრონები, კბილს ველარავინ  
ჩაგიდებს, რაც უნდა „რაზბონიკობა“ ჰქნა!

— ლმერთმა დამიფაროს „რაზბონიკობიდან“! მაშ მკლავი მამ-  
ტყდეს, მკლავი, თუ მე მრუდად ხელი წამეტანებინოს, ან წავა-  
რანო რასმე!

— ეჲ, ჩემო ძმაო, ეს იგეთი სკოლაა. რო ბევრი შენითანა ბიჭი  
ვადაუკეთებია!

— ყველას თავისი თაბაუთი აქტ. კაცს რაც შუბლზე აწერია,  
ვერ აჰცდება — ფეხს ვერ აუქციოს. ალად ეგრე მეწერა და უნდა

ავიტანო. განა ის დალოცვილი ღმერთი ამას არ მაკმარებს,  
სულითაც არ დამტარგოს?

— აყი გუშნები, ეს იგეთი ალაგია რო, ანგელოზი რო არა,  
ანგელოზი რო შამოვიდეს აქ და ერთ თვეს დარჩეს, მარტი ცოტი წელი  
გადაიქცევა და აბა ხორციელი კაცი როგო გადაუშენება? — ეს მარტი ეპე

ილას ზიზლი მოსდომდა, როცა ეუბნებოდნენ, რო აქ სხვანაი-  
რად გადაპეტდებით. რა კაცი უნდა იყოს ის კაცი, ვინც მიმდევს  
მიმთანა საქმეს, რომელსაც გული არა სთხოვს? ის კაცი კი არა,  
ნადირი უნდა იყოსო, ამბობდა ხოლმე.

ილამ გაიცნო თანდათან პატიმრები. ძალიან აღარ დარღობდა,  
მაგრამ სასმელ-საქმელს დიდხანს ვერ ეჩვეოდა.

მეხუთე თუ მეექვსე საღამოს ილა ძალიან გაართეს თავისშა  
ახალმა მეგობრებმა, ზოგი თავის თავგადასავალს ლაპარაკობდა,  
ზოგი ლანდანდარობდა, ილია სიცილს ველარ იჭერდა ამ ხაღამო. იმ  
ღამესაც ტებილად დაეძინა, მაგრამ როცა გამოილვიდა, ძალიან  
დაღარდიანდა. მიზეზი იმისის დადარდიანებისა იყო იმ ღამეს ნან-  
ხი სიზმარი. იმას ეჩვენა სიზმრად შემდეგი: მივიდა ვითომ შინ  
კვირა დილით ღამის ხარიდან და ნახა, რომ იმის ეზოში შეყრი-  
ლიყვნენ მშენივრად დართულნი ქალი და რძალი. იმათში ერთა  
იმისი ცოლი მაროც, მაგრამ თავზე ჩიქილა არ ეხურა. გასწია  
გაჯავრებულმა შინისკენ, რომ ჰეითხოს დედას მიზეზი, და იქ  
უარესი ელდა ეცა — იმის სახლს კარები აღარ ება. ამის ნახვაზე  
ერთი შეხტა მძინარე და ძირს ტყაპა: მოსძრა და მაშინვე თვალები  
აჭყიტა. გათენებამდის თვალზე ძილი აღარ მოსცლია და სულ ამას  
იძახოდა:

— ეს ოხერი, ძალიან ცუდი სიზმარია, კიდევ კი არაფერი და-  
მემართოსდა! — თუმცა ამხანაგები უქარწყლებლნენ ამ სიზმარს,  
მაგრამ მაინც დარდი გაუახლდა ილიას.

ილია შეეჩინა ტუსაღების სასმელ-საქმელს და აღარც ისე დარ-  
დობდა, როგორც წინად. მხოლოდ თავის პატარა, ვიწრო სარქ-  
მელს თავს არ ანებებდა. რა წამსაც გამოილვიდა, მაშინვე  
მივიღოდა საჩქმელთან და აღვილს იჭერდა, რომ სხვას არავის  
დაესწრო იმისთვის. იცქირებოდა ხოლმე აღაზნის ველისაკენ,  
საიდანაც მოჩანდა ნაშრომ-ნავირნასულევი მიწის მუშათა და  
სიამოვნებდა იმით, მაგრამ ბევრჯელ სიამოვნების მაგივრად ყელში  
გული მოპჩენია და თვალებში ცრემლები, როცა მოპგონებია,

რომ უყურებს სხვის ნაჭირნახულევს და არა თავისის კურთქას აღ-  
ლას ილიამ შენიშნა, რომ რამდენიმე მომქალი მოსდებოდა ქერძო და  
ხალისიანად მკიდა. ამის დანახვაზედ ამოუჯდა გული და მარალი, მა-  
ხმით დაიწყო ქვითვეოთი. მოვიდა იმასთან ერთი ტერიტორიაზე და  
და უთხრა:

— კიდე მოგიარეს! რა იყო, რა მოგეჩენა, რო პატარა ბალ-  
ლოვითა სლუკ-სლუკუნებ?

— როგო თუ რა მეჩვენება! აგრე, გაიხედე, როგო ბუღრაობენ  
ჩემი ჰსწორ-ამხანავები ქერძი და მე კი აქა ვგდივარ! — უთხრა  
სლუკ-სლუკით ილიამ.

— ეჭ, საქმე გამოგლევია შენც!

— როგორ თუ საქმე გამომლევია? ცოლ-შვალი ჟელგადაგდე-  
ბული დავყარე, იმოდენა მოსავალი თავეგამოუბმელი დარჩა და  
საქმე გამამლევია! ვინ იქნება იმათი ჟურმგდებელი? ან ვინ მოუ-  
მკიოთ, ან ვინ გაულეწავთ, ან ვინ დაუფეხავთ, რა უნდა ჰქნან?  
როგო რასმე უნდა გამააბან თავი? ხო წავიდა და დამეღუპა იმო-  
დენა სარჩი!

— შენ დარდი ნუ გაქვ, დედაშენი არაფერს არას გააფუტებს.  
როგორც შენ იმას აქებ, მაგისთანა ფიქრებიღა უნდა გქონდეს!

— ეგ მართალია, დედაჩემი არაფერს გააფუტებს, მაგრამ მე  
რა ვქნა, რო ყანის მკისაოთვინ კბილები მიკაწეაწებს? პური ჭამა არ  
მამინდება ივრე, როგორც ეხლა ყანი მეა მამინდა!

ტუსალი მოსცილდა, თითონაც გული შეიმაგრა და უყურებდა  
თვალმოუშორებლივ მომქლებს. ხანდისხან, როცა ეშხვედ მოდი-  
ოდა, წამოიძახებდა ხოლმე: „დაპ-მოპ, დაპ-მოპ!“ რამდენიმე დღე  
იტანჯებოდა ამნაირად ილია, როცა უყურებდა მომქლებს, თუმცა  
კი ყოველ დღე უმსუბუქდებოდა იგი ტანჯვა, და ბოლოს იქამ-  
დისაც მიაღწია. რომ გულგრილად უყურებდა მომქლებს.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად ილია ურიგდებოდა თავის  
ყოფა-ცხოვრებას. გაეჩივა იგი პატიმრებში, გაიცნო კველანი და  
დაიწყო იმათთან ლაზლანდარობა. რადგანაც კარგი ხმა ჰქონდა,  
შეუდგა ბაიათების სწავლას. ისე გაერთო ტუსალებში, რომ, რო-  
დესაც გაიგო — ოთხი თვის შემდეგ თავის დატუსალებისა — დე-  
დის სიკედილი, იმდენი აზ უტირნია, რამდენიც იტირა მომქლების  
პირველ დანახვაზედ. ილია უფრო მომეტებულად ორ ტუსალს  
დაუახლოვდა. განუწყვეტლივ იმათთან იყო და ეს სამნი სულ

რაღაცას ჩაელაპარაკებოდნენ ერთმანერთს. სხვათა შორის მათ  
განვე სწავლობდა თაორულს ლაპარაკს და ბაიათებს. რა შეეხების  
იმათ ილია, რომ როცა ერთი იმ ორ ტუსალთაგანი + ქიზიელი  
ციმბირისაკენ გაამგზავრეს და მეორე — თათარი გააჭროტრუტჩემი ი  
საპურობილედან, ტირილით და წუხილით გამოეშუეთქმის მარება

## XVII

### ტკალზე

სოფელ მრავლეთში სულ სამგან გამოდიოდა წყარო. ზაფხუ-  
ლობით ერთს ამ წყალთაგანს ძლიერ ეტანებოდა ხალხი.  
რადგანაც ცივი იყო იყო და ახლომახლო ფურცლებიც ეფვა. წყალზედ  
მოსულნი სიცხის დროს ფურცლების ჩრდილს ეფარებოდნენ. რა  
დროსაც უნდა ყოფილიყო, — ზაფხულობით, — აქ კაცი ყოველ  
დღე ნახავდა ოციდან ოცდაათამდე მანდილოსანს და კოკებს ხომ  
რიცხვი არა ჰქონდა! წყარო პატარა ჩამოწანწყარებდა და გვიან  
მოერგებოდათ ხოლმე ჯერი. ამისათვის მანდილოსანთ ხელსაქმე  
მიმქონდათ წყალზე და მანამ ჯერი მოერგებოდათ, ხელსაქმობდნენ  
და თანაც შეექცეოდნენ ლაპარაკით.

ერთ სალამოს მოყყარა თავი რამდენსამე მანდილოსანს, ბებრი-  
დან მოკიდებული რვა წლის გოგომდე. ზოგს წინდა ჰქონდა ხელში,  
ზოგს — პაჭიში, ზოგს დასალიანდაგებელი ახალუხის კალთები.  
მომეტებული ნაწილი კი უსაქმოდ იყო.

— ვოზალაანთ საბედა წმინდა გიორგისაგან ქადაგად დაცემუ-  
ლა, — დაიწყო ერთმა, — და სუ აგრე უძახნინებია, რო ქვეყნიე-  
რებას დავწვამო; როგო გაბედესო, რო ახალ მელოგინეს ჩემი  
კარები გადმაალახვინეს!

— ვაღა მელოგინეს, ქა? — იყითხა ერთმა.

— ქა, მთა იმ მთას ეცა და შენ არ გაგიგია! — მიახალა მესა-  
მე: — ჩიჩაყავანთ მელიკოს ნაბიჭვრები ეყოლა და ლვდელმა  
ჯვარსა და სახარებას ქვეშ გამოჰკითხა წმინდა გიორგში, ვინ  
სტყუის შენთანაო?

— შეიღი არ მამიკვდება არაფერი არ გამივია!

— დიდი ხანია, საბედასა პპირდებიან ანგელოზები მკითხაობას  
და ლამის არი გაიკრას! — სთქვა მეოთხემ.

— რა ურიგო იქნება: ქა! ნეტავი აგრე იყოს-და? მათი შეს  
სამყითხაო რო გვქონდეს ჩამე, ფანიანში უნდა გავიძეცეთ! — სოდეა  
მეხუთემ.

ურუკუნელი

— უკანა მხარში, — დაიწყო სხვამ, — ერთ დადაუცულ უწყებელების  
რებია თავი ნათლიი ძმა...

— უმე, ჩალა ვქნა, ქა! — ჩამოართვა მეორემ, — რა ღმერთი  
გაპწყრომიათ, რაზე დაუქცევიათ კა და ძველნიერობა თავზედ!

— შეუყვარებია, დაორსულებულა და ორთავიანი უმაშვილი  
გაპენია. თითო თავზე თითო თვალი ჰქონია შებლის ალაგის და  
პირის მაგივრად კიდე ოლოლის ნისკარტი ჰქონას.

— ეგ ხო ეშმაკეული ყოფილა, ქა! — სოდეა მესამემ. — მა, განა  
ადვილია ნათელ-მირონობის დარღვევა-რა! — სოდეა მეოთხემ.

— მამასახლისი შამძიმდა, ამაღამ ვეღარ შაახწევს! — დაიწყო  
წყალზედ აბლად მოსულმა მანძილოსანმა.

— ქა, მამასახლისი ავად არი-რა? — იყითხა მეორემ.

— ეს ერთი კვირაა, ლოგინად არი ჩავარდნილი.

— რა გამოჰვარდნია? — იყითხა მესამემ.

— რა გამოჰვარდნია რა, დაითვრებოდა და გაცივდებოდა, —  
მისცა პასუხად მეოთხემ.

— დაითვრებოდა კი არა, ქა, — დაიწყო ისევ პირველმა. —  
ალას მოუსწვრია თავის ცოლზე და ხანჭლით დაუჭრია. დაჭრი-  
ლობას არ აჩენენ.

— უი, შარქვენა კი შაპრჩეს იმს, თუ მართალია! — სოდეა  
ერთმა ხანში შესულმა მანძილოსანმა: — მაგ სიყმე შევმა, რამდენს  
აქხადა ნამუსი? აღრე და მალე იყო სასიკედილო და გვიანა კვდება!

— ი ცოლი მეეულა. რო ჩარბეზანა ება საკლში. რაც დედამ-  
თილი მოუკვდა? — სოდეა კიდევ სხვამ.

— ცომი დეეკრას გულზე, კარგი სახელი იმან გამოიტანა! შე-  
პილწა და შამურდლა პატიოსანი სახლი და ი თვალმწონე ბიჭს  
კიდე თავი მოსჭრა ქვეყანაში...

— აյი კერა მაითხოვსო? ოქროულა მაგითანა იყო? ცოდო არ  
არი, რო ეგ ოქროულას ჩაძლია!

— ქა, რა ქნას იმანაც. იმ თვალგახეთქილმა. რო ძალათი  
მოქადეს ნამუსი!

— ოჲ, მარტო მამასახლისი კი არა, თუ მართალიც, ერთი ი  
შაქროც უნდა მიეყოლებინა თანა, რო კარგი მაშინ იყო! მაგათი

შიშით, ვეთაყვანეთ, ქა, ვზაზე ვეღარავის გაუცლია და რავინ დამდგარა მარტოკა.

— საწყალი, მე ი ბიჭი მეცოდება რა თავმომწუარებულები და ეხლა ბოლმისაგან თავს აღარ იცოცხლებს. გრიბლივება

— ვინ ჩახარა, ქა, ესე ჩქარა?

— ყარამანთან შალაპარაებულა და ყარამანს წაუყვედრებია: შე კახბის ქმაროვო. ამ სიტყვებს ჩაუქბენია და დაუწყია ზვერა. ცოლი მოუტყუებია, რო მოყვრებში მივდივარ, ამაღმ აღარ მოვალო, მაგრამ მობრუნებულა და ზედ მოუსწრია მამასახლისისათვინა. მამასახლისისათვინ ხანგალი უკრამ, ცოლი კიდე დაუბეჭნია კარგა და გაუგდია.

— ჰეი, შარჩქს მარჯვენა!

— მას აქეთია, აღარავის უნახამ ილია, არც დღე მოდისო შინა და არც ლამეო.

— თათრები დაუყონალებია და ყაჩალად აპირებს გაფარდნასაო. ამის შემდგე ლაპარავი სხვა საგანზე ჩამოვარდა.

## XVIII

### განკითხვა

სოფელ \*\*-ში ერთი შესანიშნავი ქურდობა მოხდა. ერთს შეძლებულს გლეხს დაპარეს მინდვრილან მოელი საქონელი, რა-მდენიც კი გააჩნდა თავის ბედობაზედ. საქმის გამოსარევევად მოვიდა სოფელში პოლიციის ბოჭაული და ჩამოხდა ერთ თავადი-შვილთან. თავადიშვილმა და მამასახლისმა ურჩიეს ბოჭაულს, რომ დაიბარე კეკელა (მკითხველი თითონ გაიგებს, ვინ იყო კეკელა) და გამოპეკითხე, იმ ღმეს, რა ღმესაც დაიპარეს საქონელი, „ბნელო“ ამასთან იყო, თუ არაო. ბოჭაულმა ეს რჩევა მიიღო და უბრძანა გზირებს, მამვეარეთ კეკელაო. იქ მყოფმა თავადის ქალებმა დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს და სთხოვეს ბოჭაულს, რომ ჩვენთან გამოპეკითხე კეკელასაო. ბოჭაულმაც დიდი სიამოვნება გამოაცხადა იმათი თხოვნის ვამო.

ერთი საათის შემდეგ გზირებმა წარმოადგინეს ლოყებდაჭარბ-ლებული კეკელა, რომელმაც დაუკრა უკელას თავი და დადგა ბოჭაულის წინ, საკითხველად მომზადებული.

— გუშინწინ ღამ შენთან ვინ იყო? — ჰეითხა ბოჭაულმა.



— ვინ უნდა ყოფილიყო? — მიუგო კიცელამ.

— ბნელო გუშინწინ ღამ შენთან იყო?

— აბა, რა ვიცი, ყმაწვილო, ბნელო ვინ არი! მე არ არ მარტინ ვიცი და არც სხვა.

— ჴა, სწორედა სთქვი, თორემ ხომ პხედავ ამ ჭირობის? ისეთ-ისეთი აგაყვანინო ბეჭედზედ, რომ სულ ცერცვივითა პხტოდე!

— რაც არა ვიცი რა, ყმაწვილო, რა მოგახსენო!

— არ მამახსენებ და ეს მათრახი თითონ გათქმევინებს! — ბოქაულმა დაუქნია მათრახი.

— რა ვიცი, ყმაწვილო, მე ბნელოს ვერ ვიცნობ! მართალია, მოდის ჩემთან ხალხი, მაგრამ მე ხო სახელებს არა ვკითხამ, ბნელო, ქვიათ თუ ნათელო.

— აი, გაგიწყდეს სახელი! — წამოიძახეს ოჯ მყოფმა თავადის ქალებმა.

— რო დავიძარო აქ, ვერ იცნობ?

— რა ვიცი, აბა როგორ ვიცნო? ზოგი ბნელა უკუნეთში მოდის.

— როგორ ვერ იცნობს, ტყუის! — წასჩურჩულა ერთმა თავადიშვილმა ბოქაულს, — დღისითაც მავასთანა გდია და ღამეც.

— მე მითხრეს, რო ბნელო დღისითაც მოდის შენთან.

— აყი წელანაც მოგახსენე, ყმაწვილო, მე იმათი სახელები არ ვიცი-მეთქი. მოდიან, მართალია, დღისითაც, ან კი რა საძრახია, ყმაწვილო, თუნდა დღისითაც მოვიდნენ. საყვაჩლობა თქვენ-გან არ არის მოგონილი?

— ეგ სახელგასაქრობი, რეებსა ლაპარაკობს! — წამოიძახეს ქალებმა სიცილით.

— რას იცინით, ქალო, — მიქმართა კეკელამ ქალებს. — თითქო თავშე ბუზი არ აგვირენიაო? არ ვიცი, საცა ყმაწვილს დაინახამთ, გამრიელი თათარიც რო იყოს. გაუყრით კი ხელსა და გაპუვებით ტყესა და მინდორში! — ქალებმა დაპერეს ტაში და ხარხარით გაიქცნენ.

— შენ ბევრს ნუ ჰყბედობ, თორემ ამ მათრახს ზედ და-გაწყვეტამ.

— ჩემი რად უკვირთ, ყმაწვილო, რო თითონ უარესები არიან?

— ხმა გაემინდე, კარგი! შაგიძლიან ეხლა წახვიდე და. როცა ბნელოს მოიყვანენ, შენც ისევ მოგიყვანენ.

სალაშობედი იმ სიხლის წინ, საცა ბოქაულები კარგი დღის დროებას ატარებდა, იდგნენ ბნელო და კეკელა, ხალხშემონველნა.

ბნელო ძალიან მოხდენილის სახისა და ტანისა უფრო ჭრულები და მსხვილ მხარბეჭიანი, სახე ჰქონდა ხორბლისფერებული უფრო მუშაობა, ზომიერი ცხვირი, მოკლედ გაყეთებული შავი წვერი და შავი ულვაშები; თავზედ ეხურა მაღალი, წითელი ქუდი, ტანზედ ეცვა შავი ბოგოზის შალის ჩოხა-შალვარი და შავი პრუნელის ახალუხი, მაშინით შეკერილი; ფეხთ ეცვა მაღალყელა, უჯუსლო ჩუსტები, წელზედ ერტყა შევერტბლილი ქამარ-ხანგალი. ერთი ფეხი წინ წელგა, ხანჭლის ბოლო ლაგებს შუა ჩაეტარებინა და ორივე ხელით ხანჭლის ტარს დაპბენოდა. სახე დამშვიდებული ჰქონდა, ისე რომ ერთი ბეწვა მღელვარება არ ემჩნეოდა.

ბოქაული გავიდა აივანზედ, რომელიც გადაჟყურებდა შეგროვილს ხალხს, თან გაპყვნენ ყმაშვილებიც ბარბარითა და უწმაწურის ლაპარაკით.

— აბა, მაიყვანეთ ილია თვალიაშვილი? — დაიყვირა ბოქაულმა გამოსვლის უმაღლეს.

— აქ გახლავარო! — მიუგო ბნელომ. — რას გვიბრძანებთ, ბატონო?

— შენ აი რას გიბრძანებ: შენ უნდა შემატყობინო ნამდვილად, სიმართლე უნდა მითხრა, თორემ ხომ იცი ჩემის მათრახების ამბავი: გიშინწინ ღამ საღ იყავი?

— რადა გნებამთ, ბატონო?

— შენ არავინა გეითხომს, რათაცა მნებავს! მე შენ გიბრძანებ, მითხრა სწორედ, საღ იყავი?

— შინ გახლდი, საღ უნდა ვყოფილიყავ?

— სწორედა თქვი!

— სწორედ არ მოგახსენებ! მართლისთვის ვინ რას მაძლევს, რო ტყუილი ვილაპარაკო?

— ნუ ჰეიბამ კი, სწორედა თქვი!

— აკი სწორეს მოგახსენებთ: მე არსად არა ვყოფილვარ, შინ ვიყავ.

— მაშ შენ ე მაგ დედაქაცთან არა ყოფილხარ გუშინწინ ღამ?

— რასა ბრძანებ, ბატონო, მე ამ დედაქაცს ვერც კი ვიცნობ!

— მაშ შენ რა სთქვი, — მიუბრუნდა ბოქაული კიკელას, — ჩემთან იყოვო?

— აბა, დედაკაცო, როდის ვიყავი შენთან? — მიპვანდა ლო, — გიცნობ, მიცნობ, რო ტუუილად გითქვამ!

— რას ამბობ, კაცო, ვის დაპერვიხარ? მე როდის უთხარი, ჩემთან იყო-მეთქი? რა ვიცი, ვინა ხარ, საიდამ მოპსუტარდი 13 წელი

— აი, ბატონო, მე თუ ამასთან ვყოფილვარ! ეს ჭერა-ქეს სულეიპა დაკაცი, მე ამისი ცნობა თავი დღეშიაც არა მქონია.

— მაშ რადა თქვი, ჩემთან იყოვო?

— აბა, უმაწვილო, როდის მოგახსენე, ჩემთან იყო-მეთქი? მე აგრე მოგახსენე, რა ვიცი, ბევრნი მოდიან. მე იმათ ვერ ვიცნობ, ბნელო ჰქვიანთ თუ ნათელო-მეთქი.

— ეს არა ყოფილა? — ჩასძახეს უმაწვილებმა და მიუთითეს ბოქაულზე.

— რა ვიცი, ყოფილა თუ არა! იქნება ეგეც იყო და მე ვერ ვიცან.

ამ სიტყვებმა გამოიწვია ხანგრძლივი ხარხარი. დაჩუმების შემ-დეგ ჰქითხა ერთმა უმაწვილმა:

— რატო სანთელს არ აანთებ, როცა მოგდიან საყვარლები და ისე არა პხალილობ მათთან?

— სანთელი რად გვინდა, უსანთლოდ კი ვერ ვიხადილებთ-რა? სანთელზე ხალილობას თქვენა ხართ დაჩვეულები.

— კარგი, ნუ მოჰყე დილანდელივით მიქარვას! — შეუჭყივლა ბოქაულმა, — შენ ასაც გვითხამენ, ის ილაპარაკე!

— აპა, ის გავჩუმდები, თუ ძალად არ მალაპარაკებენ!

— ჸა, თქვი, იყო ბნელო თუ არა?

— არა, უმაწვილო, არა ყოფილა!

— მაშ რად მამატყუე?

— აბა, როგო მოგატყუე, უმაწვილო, მე ხო დანამდვილებით არ მითქვამ ჩემთან იყო-მეთქი!

— ეგა ტყუის! მაშ აქ რად დაიარება, თუ მაგასთან არ და-ლის? — სთქვა ერთმა ხნიერმა თავადიშვილმა.

— შენც აქ დაიარები. მაშ შენც ჩემთან დაპირიხარ? — მიუგო კეკელამ.

ეს სიტყვები კი არ აპატივა ბოქაულმა. იმისის ბრძანებით გადაუჭირეს ოთხიოდ მათრახი და გაისტუმრეს შინისკენ.

ბნელო ისევ იქ დარჩა. ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰქითხა ბოქაულს:

- ბატონი, რისათვის მიბარებდით? მიბძანეთ, უძლოთ!
- ჴო, დაგიგვიანდება, ვეღარ მასწრობ. რომ საფრანგულული ლოერო რამე! — უთხრა ბოქულმა.
- განა არა, ათასი რამ შაგირთმევიათ ჩემთვის ხელიდაშ!
- შენი რაზბონიკობა ყველამ იცის!
- არც არავინ იცის ჩემი რაზბონიკობა და ვერც არავინ და-ამტკიცებს რასმე! რა პნახეთ ჩემ ხელში! რო ეხლა ამ შაყრილ ხალხში აბიდას მაძლევთ?
- გაჩიტდი, თორემ მაგ ენას დაგიდუნებ, შე საციმბირევ. შენა! შევყანა შენ დაპლუპე და შენ ხელში რა ნახეს?
- ვერც ენას დამიდუნებ და ვერც ხელს მახლებ!
- ამას უყურეთ, კიდეც მიყვირის! შე უბედურო, ვერა ჰედავ ჩაგ ჩაფრებს? რომ უბანო, ხო ზურგზე ტყავი აგიძრეს!
- მე ჩაფრებისა კი არა, ღმერთისაც არ მეშინიან! ჩემი ხანგა-ლი აბაზს ილებს, საცა ესა მაქვს, იქ ვის შეუძლია თათი დამაჭიოს!
- შენ ვისი იმედი გაქვს, მაგრე თამამად რო პლაპარაკობ?
- ვისი იმედი უნდა მქონდეს? მე მაქვს სიმართლის იმედი და მემრე ჩემი მკლავისა.
- შენი თავის გახეთქამ, მეტად კი დახვალ სიმართლის გზაზედ!
- ყმაშვილო, ან თავს რაზე მიხეთქამ, ან აბიდას რაზე მაჭმევ?
- ✓ ასე როგორევარ სისხლზედ? მიბრძანე, რა საქმეზეც დამიბარე და გამანებე თავი!
- მე შენ დაგიბარე იმაზე, რო ბეჭაშვილს რო საქონელი და-პარე, უნდა მოჰრეკო!
- ჰმ! მეც არა ვთქვი, რისათვინ მიბარებენ-მეთქი!
- აბა ნუ მოჰრეკამ და მე გაჩვენებ შენ!
- მიბრძანეთ, სადა გყავთ და, ბატონი ბრძანდებით, მოვრეკამ!
- როვორ თუ სადა მყავს! მე კი არა მყავს; შენ დაიპარე. უნდა მოჰრეკო!
- ჴოდა მასწავლეთ, სადა მყავს დამალული?
- მე რა ვიცი, ეშმაქმა იცის შენი თავი და ტანი!
- თუკი ის იცით, რო მე მოვიპარე, ის კი არ იცით. სადა მყავ დამალული?
- ახ, ნეტავი ეხლა კი ძირს ვიყო და მე გაჩვენებდი. როვორც უნდა ლაპარაკი!

— ბატონი, ეგ შენი ფლბალია, რო ძირს არ ბრძანდების! — დახე ამ მ.....ს, როგო არ მეპუება! გამიშვით, ერთი. მაგრა  
ჩემი მათრახები ჯერ არ უნახა!

ბოქაულმა გაიწია ძირს, მაგრამ არ გაუშვეს. ურარცხული

— წალი, კარგი, ხომ ჰერდამ გადაკრულშია! — უფრო მატერიელ  
ვილებმა ბნელოს.

— როგორ შეუძლიან წავიდეს! მანამ არ მეტყვის, სად იყო იმ  
დღეს, ან აზ იკისრებს საქონლის მოპარვას, ეგ აქედამ ფეხს ვერ  
მაიცვლის. ისეთ გომში უძახო, რომ წუმპეში ყელამდინ იფ-  
ლებოდეს!

— ბატონი, თქვენ ძალათი უნდა მაკისრებინოთ ქურდობა? გომში კი არა, ანთებულ საკირეშიაც რო ჩიამაგდოთ, მაინც იმას ვერ  
მაკისრებინებთ, რისაც მქნელი არა ვარ. კულავ რა გინახვთ ჩემ  
ხელში, ან თქვენ, ან სხვას, რო ეხლა ბეჭაშვილის საქონელი დემე-  
პარა?

ბოქაულმა ლაპარაკი გააბა.

— ჴა, ყმაწვილო, ღამითხოვეთ, საქმე მაქვე! კრიაზთან უნდა წა-  
ვიდე, — უთხრა ბოქაულს ბნელომ, ცოტა სიჩქმის შემდეგ.

— მითხარ, სად იყავ გუშინწინ ღამ და დაგითხოვ, — უთხრა  
მორბილებით ბოქაულმა, რადგანაც ბნელომ კრიაზი დაასახელა.

— მე სიმართლე მოგასხენეთ, ბატონი, და თუ არა გჯერათ,  
წავალ და კრიაზიდამ მოვიტანთ მოწმობას, რომ გუშინწინ ღამ კრი-  
აზთან ვიყავი მთელი ღამე.

— მაშ წადი და მე თითონა ვკითხაშ კრიაზს, თუ მატყუებ კი,  
ვაი შენი ტყავის ბრალი!

— რაც უარესია, ის მიყავით, თუ მტყუანი გამოვდგე.

გაბრუნდა ბნელო და წავიდა. ბოქაული და ყმაწვილები მოუსხ-  
დნენ ისევ განახლებულ სუფრას.

## XIX

### თაყოფი პატიშროგისა

შემოდგომა. კარგა ხნის შებინდებული იყო. პირველი ხარისხი  
მთვარისა და შეებულიყო დასაცლეთისაკენ. ალაზნის ველზე, ერთს  
პატარა ტყის კორომში, რომლის შუავულშიაც იყო პატარა ყალთა-  
ლიანი, სძოვდა შეკაზმული ცხენი. ცხენის მოშორებით, ტყის პირ-

მი, ეძინა თოფ-იარაღში ჩამჯდარს ცხენის პატრონს. ძოვნის მიზობ  
ცხენმა შეჰქრუტუნა და ამით გამოალვიძა კურდლლის ძირითადად  
თავისი პატრონი, რომელიც მძინარევე ფეხზე დადგა. მოიფშებიტა  
თვალები და შეპხედა ცხენს. ცხენი თავისითვის სძოუფრჩულურისუკა  
მაშინ მოხდა პატრონი, რომ ცხენმა ჩვეულებისამეტყუფლურისუკა  
ნა ძოვნაში და არა რ-სამე დანახვაზედათ. მაინც ამის შემდეგ აღარ  
დაუძინია ცხენის პატრონს, რადგანაც მთელი ძილი კიდეც დაის-  
რულა. მხოლოდ წამოწვა მსახ-თეძოშედ და თვალი გაუშტერა  
მოვარეს, რომელიც ხანდისხან იმალებოდა პატარ-პატარა ღრუბლის  
ნაწყვეტებში. შეერთებული კრიჭინი კალებისა და ცხენის ხრამა-  
ხრუმი სმენას უტყობდა. ამ ვარემოებამ ასიამოვნა, და ვგონებ.  
პირველად იგრძნო ასეთი სიამოვნება მას შემდეგ, რაც უშესება  
მიიღო მომრიცებელ მოსამართლისაგან. ამავე ვარემოებამ აუშალა  
ფიქრი წარსულ ცხოვრებაზედ. თვალწინ წარმოუდგა ის დრონი.  
როდესაც ჰყაულობდა თავის პატარა ვენას და სტებებოდა ამავე  
კრიჭინა-კალების კრიჭინოთ. თვალწინ წარმოუდგა თავისის ღამის  
მეხრეობის ის დრონი, როდესაც ვუთნის ხარს აძოვებდა კარგს  
ბალახში და თვითონ, წამოწოლილი განხე, სიამოვნებით უგდებდა  
ყურს ხარების ფშვინით ბალახის ძოვნას, რომელიც ბევრით  
განირჩეოდა ცხენის ხრამახრუმისაგან; მოაგონდა ის მოვარიანი  
ღმევები, როდესაც მისი „ბულა“ პარიკო ეალერსებოდა აკვანში  
მწოლიარე პაწაწინა გიგიას; მოაგონდა თავისის ყმაწვილობისა ყო-  
ველივე, რასაც კი ესიამოვნებინა იმისთვის. სული შეუგდებდა,  
გული ყელში მთებჯინა და ცრემლები თვალებში მოაწვა. შემდეგ  
თითქოს მაჭრის ქვეყრმა მომხეთქი ხარქველსაო, ისე ერთბაშად  
გადმოსცვივდა მუშტის ტოლა ცრემლები და მოპყა გულამოსკვ-  
ნილს ქვითინს. ყოველივე, რასაც კი ესიამოვნებინა ეს კაცი, წარ-  
მოიდგინა და დაიტირა თვითეულად და უსიტყვოდ, თითქოს პირ-  
ველად ეხლა ეთხოვება ცველა ამაებსაო. ამნაირმა მისმა მდგომა-  
რეობამ საათზე მეტი გასტანა; როცა მოიოხა კული ტარალით.  
წამოდგა ფეხზედ, ხელის ცერები ქამარში ჩაიწყო და ვაიხედ-  
გამოიხედა. მივიდა ცხენთან, თავი აუხსნა ფეხიდან და დაუწყო  
თვალებსა, ყურებსა და ფაფარზე ხელის სმა ისე ნებივრად, თით-  
ქოს ქვეყანაზედ ამის მეტი აღარაფერი დარჩენოდა ხაყვარელი და  
მხოლოდ იმისაგან მოელოდა ნუგეშისცემს. მობრუნდა ისევ  
თავის ადგილის, წამოწვა, ერთი საშინლად ამოიოხრა და წარმოსთქვა:

— ოპ. ღმერთო, შე დალოცვილო! რა შეგცოდე იგეთი, რო უგრძე  
დამტანჯე? მე ჩემ ყმაწვილობაში არ მახსოვეს, რომ ულფლო რაზე  
ჩამედინოს და, თუ ჩემმა დედ-მამამ შეგცოდეს რამე, მე რათ მა  
დევინები.. რა გინდოდა, შე დალოცვილო, იგრევ ის ილა კულტი-  
ლიუავ!... რაღა ვარ ეხლა, ან რაღა კაცობა მეთქმის? ცოტა ჭრის უძრავი  
რა მყავ და შვილი; გულშემატკიფარი და მოკეთე მე აღმიშ შამილუმა ეს  
ქვეყანაზე, გარდა მტრებისა! ჩემი სახლ-კარი სახლ-კარს აღარა  
ჰვავს და მამული მამულს, სასაფლაოც კი დაკარგულა ჩემთვინ!  
✓ გზათა უკან წანწლში უნდა ამამივიდეს სული და, საცა ამამივა.  
ძალლივით იქვე უნდა ჩამფლან მიწაში... ოპ. ღმერთო! განა იქნე-  
ბალა საღმე ჩემშე უბედური ადამიანი? განა ექნება კადევ ვისმე ეპ-  
რე არეული ცხოვრების გზა, როგორც მე? განა ეხლა არა მჯობიან  
გოგოლაანთ კუტო. რომელსაც მშეადის ლუქმა ენატრება, მაგრამ ყვე-  
ლას კი იმისთვინ გული შესტევია! სასაფლაო მაინც არ იქვე დაკარ-  
გული ჩემსავით.. დავნენებო ამ ძალლ-უმაღურ ცხოვრების თავი და  
მიყვო იგრევ წინანდელ ცხოვრებას ხელი. რის პატრონმა? ვინდა  
მაბაადია და რაღა მიქვავია? მუშაობაზე გული აღარა მაქვ, სვინდისი  
მე აღარა მაქვ და ცოდო-მაღლი... ვინ უცის რომელ ღამი მეხრეს  
ივატირებთ ამაღამ. რა უნდა მექნა მე, რო ჩემთვინ დეეტაცნათ  
კოტა და შეინდა? თავსლა ვიცოცხლებდი მაშინ?! განა ამისთანა  
დღეში არ ჩაიგარდება, ვისაც ამაღამ ჩევნ ხარებს დავტაცებთ? სად  
წავიდა წინანდელი ჩემი გული? იგრევ როგო გამიქვავდა, რო ამის-  
თანა უღმერთო საქმეებს მაქნევინებს!... ეპ. დაილოცს, ღმერთო,  
შენი სამართალი! შე დალოცვილო, ამისთანა ბედი და იღბალი რაღა  
მე მარგუნე მოელ დუნიაზე? რო აღარც გული მაძლევს ნებას,  
დავანებო ამ ძალლ-უმაღურ ცხოვრებას თავი! წელან მეცოდებოდა.  
ის, ვისაც ამაღამ ხარებს დავტაცებთ. ეხლა ვინალაზე მამდის გუ-  
ლი, რო ეგრე დაიგვიანა. სად არი ის ოჯახდასაქცევი აქამდინ, რო  
ჩქარა არ ავატირებთ ვისმე! ყველანი მთელი დუნია ურევია ჩემ  
გაუბედურებაში და კველას ჯავრი უნდა ამოვიყარო!

არ გასულა ორი წუთი ამ სიტყვების შემდეგ, რომ გაიგონა  
ცხენის ოქარაოქური და მაშინვე დაიწყო მომზადება. მინამ ცხენს  
დაპლაგმავდა, თავს წამოადგა ერთი ცხენოსანი, იაფინჯმოსხმული,  
და შესძახა: „გედახ!“ ბნელოს ხმა არც კი ამოულია. შეჯდა ცხენზე  
და ორივემ მოჰქონდეს, გაპქუსლეს ალაზნისაკენ.



აბანოებთან, — ტფილისში, — ერთის სახლის მამაკანური მოვაკე, პირად, აქა-იქა იყო ჩამოფარებული ფარდები. აიგუშე შეყოილიყვნენ ქალაქის ბიჭები და ატარებდნენ „შარმანქაზე“ დროებას „საზოგადო“ ქალებთან, რომელთაც წაეკრათ თავზე თეთრი მოსახვევი და ძალაზე დაეპარხლებინათ ლოყები. ერთი ამ უკანასკნელთაგანი მოეყუდა მოაჯირს და ჩამოიძახა ქუჩისაჟენ:

— ბნელო, ბნელო. შე შედრასაბნელებელო! აბა, თუ ბიჭი ხარ და მკლავში ღონე გაქვ, აქ ამობრძანდი, როგო გავისტუმრო! იგრის ხიღზე დამიბრიყვე განა? აბა მობრძანდი, თუ ბიჭი ხარ, და აქაც ხელი მახლე! ოჰ, ნეტავი ეხლა კი შენი თავი ხელში ჩამიგდო ამ გვლგაცხარებულზე და თუნდა ჩემი დღე გააქრო! მე ვიცოდე, როგორც უნდა გადახდა.

ამ სიტყვებით მიქმართა თავისმა „ბუკლა“ მარიკომ ბნელოს, რომელიც ეინალისთან ერთად მოდიოდა ბორჩალოდან, სადაც გაესალებინათ დაპარული საქონელი.

მარიკო გააგდო ილამ სახლიდან მას შემდეგ. რაც მამასახლისა მიასწრო ზედა, მარიკო სცხოვრობდა დედ-მამისთან, მაგრამ არ ც ესენი აყრიდნენ კეთილს იმ ყოფაქცევისათვის, რომელიც იმან ძალა-უნებურად გამოიჩინა. რომ განთავისუფლებულიყო დედ-მამის კიცხვისაგან, მარიკო გამყვა ერთ მედუქნე სომებს სიღნაღმი და იქიდამ გაემგზავრა ტფილისში. სიღნაღელმა ბიჭებმა დიდის ყოფით წაიყავნეს მარიკო ტფილისში, დაიქირავეს საყუთარი ფურ-გუნი, მორთეს ცხენები ზიზილ-პიპილებით, მიიწვიეს საკუეთესო მეზურნები და გაუდგნენ გზას. როცა ივრის ხიდის დუქანში შეექცეოდნენ დუღუჭებე, საიდანლაც გაჩნდა ბნელო, ვეფხვის სისწრაფით მიჰვარდა მარიკოს და წაუშინა მათრახები თავსა და პირში. მანამ შიშისაგან თავზარდაცემულნი გონის მოვიდოდნენ, ზოგიერთ მოქეცეფეთაგანსაც მიარტყა მათრახები. შემდეგ გამოვარდა, შეჯდა ცხენზედ და მოჰკრა ცხენს ქუსლი. აი ეს გარემოება ჩაჰყვა მარიკოს ჭავრად და იმისთვის ჩამოსძახა აივნიდან ზემოხსენებული სიტყვები, რის პასუხადაც ბნელომ ერთი შეპხედა, მიაფურთხა და გაუდგა კვლავ თავის გზას.



ერთ ლამეს სოფელ მრავლეთში დიდი ალიაქოთი იყო. უფრო მცირებული  
დაღიოდნენ კარდაკარ და კომლზე კაცს ეძახოდნენ სასოფლო სუსტადნენ,  
რადგანაც მეორე დღეს უნდა მოსულიყვნენ მაზრის უფროსი და  
მომრიგებელი-შუამავალი ფრიად საჭირო საქმეზედ.

გათენდა დღე ხალხმა მოიკრიბა თავი სასოფლოზედ. მობრ-  
ძანდნენ ისინიც, ვისაც მოელოდნენ. ხალხი შეჯგუფდა.

— ილია თვალიაშვილი აქ არის? — დაიძიხა მომრიგებელმა-  
შუამავალმა.

— აქ გახლავართ! — მისცა პასუხად ბნელომ და წარსდგა წინ.

— მთელი მრავლეთის საზოგადოება ითხოვს მთავრობის წინა-  
შე, — დაიწყო მომრიგებელმა-შუამავალმა, — შენს გადასახლებას  
სოფლიდგან, რადგანაც მთელი სოფელი გააცივე.

— აბა, როგორ გავაცივე, ბატონო, — უპასუხა ბნელომ შეურყევ-  
ლად, — რა უნახამო ჩემ ხელში?

— გვაჩვენებ. რო ვნახოთ? — წამოიძიხა რამდენიმე გლეხ-  
კაცმა.

— უნახავთ რამე თუ არა, საზოგადოებას ასე ჰსურს და მთავ-  
რობაც ვერ იტყვის ამაზედ უარს, — სოქვა მომრიგებელმა-შუამა-  
ვალმა და მიპართა ხალხს, — გსურთ ილია თვალიაშვილის გადა-  
სახლება?

— გვსურს! გვსურს! — დაიგრიალა ხალხმა ერთხმად.

ამ სიტყვებზედ კი ილიას ფერი წაუვიდა, გულმა ძეერა დაუწყო,  
თვალები დაუწყლიანდა. ამოიოხრა გულიანად და სოქვა:

— ეჲ, თუ აქ ვერ ამოვიყარე ჭავრი, საიქიოს მოვთხოვ პასუხს,  
ვინც მე ეგრე საქმე გამიხადა!...

შეადგინეს ეს განაჩენი და იმავ დღეს წაიყვანეს ბნელო საპა-  
ტიმროში.

P. S. იქნება მკითხველმა ისურეოს პატარა გიგის ხვედრის  
გაგება? ჩვენც არ ვიცით, უთუოდ თვითონ იჩენს თავს როგორმე.

## პრიაშვილი

ა მ ა მ ა მ

I

ერთ დილას თავადი ასლან შვენებაძე საშინელი სანახავი იყო. მუდმივი მეცადინეობით დაბუჭუჭებული ახლად ჭალარაშერთული თმა სულ ერთიანად აქტურდგნოდა; შუბლი ისე შეეჭმუპნ-ზე-  
ნაოჭებინა, რომ წარბები ერთმანეთს გადაპიპმოდნენ და ყალბზე-  
იდგნენ. ერთგულად და კოკბად ნაგრეხი ულვაშები ერთმანეთს  
აღარ უდგებოდნენ და აბრეშუმივით წვერიც აჭაგროდა. თვალე-  
ბი უცნაურადა ჰქონდა დაფირჭვლებული და მთელ პირისახეზედ  
მოსდებოდა ალმული გულში ალგზნებული ცეცხლისა. ამ ცეცხ-  
ლის სიძლიერებს იმ ზომამდე მიეკუთხა ასლანის გულისთქმანი, რომ  
მთლად შეეპყრო მისი გონებაც, მხედველობაც, სმენაც და თვით  
მოძრაობაც.

თავადი ასლანი დიდი არშიყი იყო ჩაცმა-დაბურვისა და მტკი-  
ცედ ადგა წესს — არ გამოედგა ფეხი თავისი საწოლი ოთახიდან  
ურიგოდ ჩაცმულს. ამისთვის ძნელია გამოსაცნობად, თუ როგორ  
მოეპყრობოდა იგი თავის თავს, რომ დაენახა სამოსელი თავისი და  
ამასთანავე უაზროდ ხეტიალი სახლის აიგანზედ. უცხოს ვისმე კი  
რომ შეეხედნა ამ დროს, უთუოდ ჭკვაზედ შეშლილობას დასწამებდა  
ამ დარბაისელ თავადს.

თვით მეუღლე თვისი — კნეინა სალომე გავეირვებული შეპყუ-  
რებდა ასლანს და ეუბნებოდა: „ყმაწვილო, რასა შერები! აბა, რა  
საყადრისია, რომ ფიქრსა და დარდს ეძლევი! ირაკლისა ფფიცავ,  
უთუოდ გამოვნინებ! ისეთ საპოვნელას დავპირდი, რომ თუნდ  
ქვესკნელშიაც იყოს შთანთქმული, უპოვნელს არ გაუშვებენ“.

მრავალჯერ სცა კნეინამ ამნაირად ნუგეში, მაგრამ ყოველივე

ამაო იყო. თავადი გართულიყო ჩაღაც გამოურკვეველ ბუზუნეშე  
და სრულებით არ ესმოდა მეუღლის სიტყვები. ამ გარუმოება  
თავისი გავლენა იქნია კნეინაზედ და ისიც დაუსრულებელ ფიქრებზე  
მიეცა, რის გამოც ეერ შენიშნა, როგორ ჩაქჩა და მთლაჭაჭრებზე  
და სამოვარი, რომელსაც მოსჯდომოდა გვერდით.

შეიძლება მარტივი და გამოსახული

ვინ იცის, როდის მოელებოდა კნეინას ფიქრებს ბოლო, რომ  
ბედზედ ამ დროს უცბად ოთახის კარი არ გაღებულიყო და კნეი-  
ნას ყურებს არ გაეგონა: „რა ამბავია, მამაჩემი რად არის გაჭავ-  
რებული?“ ამ კითხვამა და კარის რახუნმა გამოაფხიზლეს კნეინა  
და მისმა გულშა სიამოვნებით დაიწყო ძეგრა, რადგანაც მისი თვა-  
ლები უცხო სანახაობას სცვრეტდნენ: კნეინას წინ ედგა ერთი თვის  
წინათ შინიდან გასული და ახლა მოულოდნელად შინევ დაბრუ-  
ნებული პირმშო ირაკლი; და ისიც თვალშეუჩეველ და ზედ გა-  
მოსრუტულ გიმნაზიურ ტანისამოსში კი არა, არამედ ჩერქეზულ  
ჩოხასა და ძვირფას იარაღში გამოწყობილი.

შვილის დანახვაზედ დაუპატიჟებელი ღა უსიამოვნო ფიქრები  
მოსცილდნენ კნეინას და მის გულში მოგებებული შშობლიურია  
გრძნობანი ტებილ ალერსად გადაიქცა, რომელმაც მიაღწიო ირაკ-  
ლის ყურებამდინ. მაგრამ დაამთავრა თუ არა კნეინამ კოცნით იგი  
ალერსი, ამობიცრით წარმოთქვა: „უბედურება გვეწია, შვილო,  
უბედურება!“

## II

მიზეზი „უბედურებისა“ იყო ისა, რომ თავადმა ასლანშა დაპ-  
კარგა წინა დღეს „ძვირფასი“ კრალოსანი. მიზეზის მიზეზადაც  
გახდა ასლანისავე მეთაურობით და მასპინძლობით გამართული  
მეჭლისი.

საზოგადოდ, თავად ასლანს ძლიერ უყვარდა კეთილი ცხოვრე-  
ბა. ამისთანა წრის ხალხს კი ანდამატივით იზიდავდა ალაზნის  
პირზედ გამოქვიმული მუხა „მახარე“. უხსოვრის დროდან ეს ხე და  
მისი უზარმაზარი ტოტებით დაჩრდილული, მწვანით მოსილი ყალ-  
თალიანი ზოგისათვის სევდის გამქარვებელ, ზოგისათვის კი სია-  
მოვნების გამაორეცეცებელ საგნად და აღვილად გადაქცეულიყო.  
ძვირად მოიპოვებოდა მთელ მხარეში იმისთანა კაცი, რომელსაც

არ გაეტარებინა რამდენიმე წეთი მაინც მთელ თვეის ნიციოფილ  
ში ამ მუხის ქვეშ და არ ეგრძნო მისი გამამხნევებელი და წევე-  
ზებელი ძალა.

არ ვიცი, თვით მუხასა ჰქონდა ის თვისება, თუ კარის მომავლებ-  
ვანებულ და ოლელვებულ ვნებათა ბრალი იყო, ეს კინ, სის „ჩა-  
ხარე“ სხვადასხვა სახით წარმოუდგებოდა ხოლმე კაცის გონიერის  
თვალს.

როდესაც მეხრებისაგან გაჯავრებული და განრისხებული  
გუთნისდედა წამოწვებოდა გულალმა ამ ხის ქვეშ და შემოავლებ-  
და თვალს მის ტოტებს, რომელიც, თითქო განგებ, იწევდნენ  
განჭედ, რომ უფრო მეტი ხალხი დაეტიათ და დაეფარათ თავის  
ქვეშ სიცხე-პაპანაქებისაგან, მაშინ ეს მუხა ქვეშ მწოლიარეს  
თვალში გარდაიქცეოდა ხოლმე გამოყდილ გუთნისდედად და  
თითქო ჩვენ მწოლიარეს იძლევდა დარიგებას, იყავი მეხრე-  
ების მფარველი და კეთილის ჩამონებელი და არა მრისხანე  
უფროსიო.

მწყემსის თვალში „მახარე“ მოალერსე დედად იხატებოდა და  
ისევე ტკბილად და მოსვენებით იძინებდნენ იმის ტოტებქვეშ.  
როგორც პატარაობისას დედის უბე-კალთაში ჩახუტულები.

„შავთა დროთა“ მეფობაში „მახარეს“ ქვეშ იკრიბებოდნენ მა-  
მულის სიყვარულით გამსჭვალული გმირნი. მტრის თვალების  
ასახვევად შეკრებულებას სარჩულად დროების გატარებას და  
ქეიფს უდებდნენ, შედეგად კი უთუოდ შეთქმულობა და მტრის  
წინააღმდეგ გაფიცვა მოპყვებოდა ხოლმე. „მახარე“ ეხატებოდათ  
თვალშინ ლრმად მოხუცებულ და პატივცემულ მღვდელმთავრად,  
რომელიც ისმენდა ყოველი ყანწის შესმის წინ გულმხურებულებ  
წარმოთქმულ ლოცვას საქართველოს ალდგენისათვის, აღამაღლებ-  
და ყოველ ამას უზენაეს არსებისადმი, უკურთხებდა მათ მცერ  
დაწყებულ საქმეს მისი სახელით, ვინც დაგვიდო მცნებად მოყვა-  
სისათვის თვეის დადება.

როდესაც გამეფლნენ დრონი მშვიდობისა და მყუდროებისა,  
მაშინ კი ესევე „მახარე“ გარდაიქცა მის ტოტებქვეშ მოქეიფე-  
თათვის პატივცემულ და უძლეველ თამაღად, რომელსაც, თითქო,  
ეჭირა ხელში დიდი ჭიბვი, გადადიოდა ალავერდს უფრო გამოჩე-  
ნილ მსმენელთან და თანაც შეპთავაზებდა თართის გემრიელ  
ლუკმას.



ახალი თაობის მისაზიდველად და მისატყუებლად მუხის ფინი-  
სების დაერთო, რასაკირეველია, ის გარდმოცემაც, რომელიც წინამდებრე გ  
მათი თვით დაუდგრომელსა და დაუწყნარებელ უფროშორისულება  
ცეკოლნენ ამ ხის ქვეშ, ამისათვის წინაპართ პატივსადებლად და  
მოსაგონჩად მუხა „მახარეს“ ქვეშ დროების გატარება მყუდროე-  
ბაში მცხოვრებელმა ახალთაობაშ წესად და წვეულებად გარდა-  
აქცია.

უოველი წარჩინებული და თვით წინაპართა პატივისმცემელი  
თვადი და აზნაური თავის თავს მოვალედ პრაცხდა, როცა კი შე-  
საძლებელი იქნებოდა, გაეტარებინა აქ დრო.

აქ, ამ მუხის ქვეშ, შემდეგ დროების გატარებისა, შეითქვა და  
შეიფიცა შაბ-აბაზის წინააღმდეგ, სხვა გმირებთან ერთად, შესანიშ-  
ნავი გმირი ადამ შევენებაძე, რომლის შთამომავალი იყო ასლან და  
რომლის სახელითაც იგი ყოველთვის ამაყობდა. და აბა ასლანს, ამ  
უმაგალითო პატივისმცემელს წინაპართა, როგორ არ გაეტარებინა  
„მახარეს“ ქვეშ დროება და ისიც მაშინ, როცა გარემოება ხელს  
უწყობდა. გავაჩათა წვეულება და აი ამ წვეულებას მოჰყევა ის „უბე-  
დურება“, რომელმაც ესრეთ დიდს საგონებელსა და საფიქრებელში  
ჩაედო ასლან და მისი მეულლე.

მეგლისი, გმართული „მახარეს“ ქვეშ, დასრულდა დოლით.  
მით უფრო აღტაცებაში მოიყვანა მონაწილენი ამ დოლმა, რომ იგი  
უცბად და მოულოდნელად იყო გამოწვეული.

როცა ყმაწვილები წესხდნენ ცხენებზედ, ეს იყო მეგლისის და-  
წყების მესამე დღის ნაშეადლევს, და გამოვიდნენ ალაზნის ჭალები-  
დან შინისაკენ წამოსასვლელად, მათ თვალშინ გადიშალა ვრცელი  
და ტრიალი მინდვრები. ამათ დანახვაზედ ერთმა ყმაწვილთაგანმა  
წამოიძახა: „ყმაწვილებო, მამა არ წამიწყდება, კაი წესები ჰქონიათ  
უწინ ჩვენ მეფეებს! ვისთვისაც მამულის მიბოძება პსურდათ, შეს-  
ვაძლნენ თურმე ცხენზედ და უბრძანებდნენ — გააჭენეო. ისიც  
ვააჭენებდა მამულის სიგანეზედ და, საღამლინაც ცხენი იჭენებდა.  
მთელ მამულს სიგრძე-სიგანით მიუბოძებდნენ“. თითქმის მთელმა  
ყმაწვილებმა ინატრეს ასეთი წესების დაბრუნება და შემდეგ ასტე-  
ხეს ბაასი მაზედ, თუ მათში ვინ უფრო მეტ მამულს მიიბოძებდა  
ამისთანა წესების წყალობით. ბაასმა იქამდინ მიაღწია, რომ საჭი-

რო გახდა საქვით დაემტკიცებინა ყველას თვისი სიმართლე, სხვისა სიმტკიცე და დაძრეს ყველამ ერთად ცხენები.

ის ადგილ-მამული, სადაც ცხენებმა პირველად დათქარჩუნებს, ოდესმე თავადს ასლანს ეკუთვნოდა, ახლა კი სხვა ჰელუატებს უნდა ინი სეული მამული მაღლე გალიეს ყმაწვილებმა და ტრდულებების ეპე მეორის, მესამის და, ვინ იცის, რამდენ სხვის მონაწილეობაში. ბევრი მათგანი მაღლე ჩამორჩია უკან და ბოლოს დოლიც გათავდა. როცა შეიკრიბნენ ერთად, ყველამ ერთხმად აღიარა გამარჯვება ასლანისა. მაშასაღამე, იგი ყველაზედ მეტ მამულს იბოძებდა, უწინდელი წესები რომ ყოფილიყო ახლა, ანუ თვითონ ყოფილიყო უწინ; როგორც მან, აგრეთვე სხვა ყმაწვილებმაც მხრები ჩამოყარეს და საყველური დაიწყეს ახლანდელ დროზედ, რადგანაც ამნაირი წესები აღარა ჰქონდა.

#### IV

თავადმა ასლანმა ვერ გაიკო, როგორ ამოუგარდა ჭიბიდან კრიალოსანი დოლის დროს და ვერც მოიკითხა იმავე ღმეს. მხოლოდ შეუაღამის შემდეგ გამოეღვიძა და თათქოს გულმა შეუტყოო, გასინჯა ჭიბე. რა ნახა, რომ ჭიბეში აღარა ჰქონდა კრიალოსანი, წამოვარდა მაშინვე ლოგინიდან და მეულლეცა და სხვებიც ფეხზედ დააყენა.

იქნება ზოგიერთმა ძლიერაც გაიკირვოს და გაქვიცხოს კილეც ასლანი, როცა შეიტყობს, რომ დაკარგული კრიალოსანი გიშრისა იყო და, მაშასადამე, არა ლირდა შეწყებად. მაგრავ მოდი და აბა გავამტკიცნოთ ასლანი მაშინ, როდესაც ამ გიშრის კრიალოსანს შევრი იმისთანა თვისება და ლირსება ჰქონდა, რომ ძვირად უნდა ჰლირებდა.

უპირველესი ლირსება კრიალოსნისა იმაში მდგომარეობდა, რომ მარცვლები მისი იყო მეტად შნოიანი და ზომიერი და ისე ხელოვნურად გაკეთებული და შეზავებული ერთმანეთთან. რომ სრულებით არ ეტყობოდათ სიღიღ-სიპატარავე, როცა ძაფზედ არ იყვნენ ასხმულნი. ხოლო როცა ასხავდნენ ძაფზედ, ერთი ბოლოდან მეთრისკენ სიწვრილე დასდევდა. მეორე ლირსება კრიალოსნისა იყო რა, რომ მარცვლების ჩიცხვი განსაცვიდურებლად იყო შემდგარი. როცა ასლან ათამაშებდა ხელში კრიალოსანს, ორ-ორ წყვილს

ჩაგდებდა, თუ სამ-სამს, თუ ოთხ-ოთხს, თუ ექვს-ექვსს, აუტ-  
ნაკლები არ გამოდიოდა. მაგრამ ყოველი ეს მის გარეუან ლირუბა  
შეაღენდა და თითქმის არაფერი იყო იმ სხვა ლირუბასთან, რომე-  
ლიც კეშმარიტად შესანიშნავად და ძვირფასად ჰპრესტენი უჭირდებოდა  
კრიალოსანი შესანიშნავი და ძვირფასი იყო თავისი წარწერის მქონე.

ბევრჯერ გადაქცეულა ასლანის კრიალოსანი ლაპარაკის სავნად  
სამეჭლისო ყრილობაზე. ისეთი ყრილობა როგორ იქნებოდა, რომ  
ყოველ მის წევრს ასლანზედ ნაკლებად სცოდნოდა კრიალოსნას  
ისტორია, რასაკირველია, ასლანისავე წყალობით, მაგრამ, მიუხე-  
დავად ამისა, ყოველი ყოველოვის და ყოველგან გულმოდვინედ  
უგდებდა ყურს ასლანის ნამბობს კრიალოსანზედ.

ნამბობიდან ჩანდა, რომ კრიალოსანი ინდოეთიდან იყო მოტა-  
ნილი და პეტრი ნაბოძები ასლანის პაპის პაპის შარმაზანს თვით  
მეფე ერეკლესაგან, რომელსაც თან ახლდა ინდოეთში. თავდაპირ-  
ველად კრიალოსანი შესდგებოდა თურმე მარცვლების ისეთი რიცხ-  
ვისაგან, რომ ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი და ექვს-  
ექვსი წყვილი უმეტ-ნაკლებოდ ჩაიგდებოდა, და ამასთანავე იყო  
გრძნეული. ამ უკანასკნელი თვისების დასამტკიცებლად ასლანს  
შემდეგი გარემოება მოჰყვანდა: ერთხელ თურმე კრიალოსანის ერ-  
თი მარცვალი გატყდა და იმდენს ეცადა მისი პაპა ქაიხოსრო, რომ  
იშოვნა მივარებული მარცვალი; თვით მარცვალში ორმოცდაათი  
ბაჯალლო მისცა, ხოლო ვინც იშოვა და გაურიგა, იმას კარგი საჭ-  
დომი ცხენი აჩუქა.

როგორც გრძნეული კრიალოსანი მფარველი იყო შეენგბაძეთ  
ოჯახისა, აი ამისათვის ჰყავდათ მის მამა-პაპათ დიდძალი ყმა და მა-  
მული. ცხენის ჭოება, ცხვრისა, ძროხისა და ლორის ფარებს ხომ  
ანგარიში არა პეტრი. ახლაც კი ახსოვდა ასლანს სიზმარივით ოჯახ-  
ში მოსული ურემი, ურემზედ ყველი და ერბო, და ცოცხლად  
წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ ბაკებში მოთამაშე აუარებელი  
ბატქნობა და ხბორობა ძუძუდან მოშორების შემდეგ.

## V

კრიალოსანის ისტორიას ასლან უთუოდ შეუკავშირებდა ხოლმე  
მოთხოვნას თავის პაპა ქაიხოსროზედ, ამან ჩაუნერგა მას გულში  
სიყვარული და თითქმის თაყვანისცემა კრიალოსანისადმი.

მთელ ქვეყანაზედ მარტო სამი ძვირფასი და საყვარელი გავარი აჩსებობდა ქაიხოსროსათვის — ასლანის სიტყვით. უსენი იჯერებოთ ასლანი, კრიალოსანი და ჩოხატაური ზეარი.

რავი ასლანმა ტიყტიკი დაიწყო, პაპას გვერდიდმა მარჯვენაზე მოუდის  
შორებია არც დღე და არც ღამე. შინ იყო ქათხოსტენი პრეზენტის ქადაგზე  
გვერდზედ ცელქობდა და თამაშობდა; წავიდოდა ცხერისა და  
ძროხის დასათვარით ელებდა, მისი საყვარელი შვილიშვილიც სა-  
კუთარ ცხენზედ იჯდა და გვერდზედ მისდევდა; ჩოხატაურ ზვარში  
იქნებოდა ქათხოსრო, ასლანიც იქა ხტოდა და ნავარდობდა პეპე-  
ლებისა და სხვა მწერების ჰერაში.

როცა სტუმარი მოუკიდოდა ქაიხოსროს, უცხო იქნებოდა თუ ნაცნობი, წარჩინებული თუ უბრალო მოვდავი, პირველად თავის შეილიშვილს წაუყენებდა და ეტყოდა: აი ჩემი ასიკ, რომელიც თავის ღროზედ დაამშვენებს ჩენ გვარს თავისი სახელით და მოელი საგვარეულოს სასიქადულოდ გარდაიქცევაო; ისეთ ნიშნებსა ვხედავ ამაში, რომ თავისი ვაჟეა ცობით ბევრად გადაჭირდებს შერჩაზანს და თვით ადამიაცაო. იმეორებდა ასლან სიტყვასიტყვით პაპის ნათქვამს. აი ეს ნიშნები მომავალი ვაჟეაცობისა და სიღიძისა იყო მიზეზი, რომ პაპის ასე გადაჭირდებით უყვარდა, ანგივრებდა და ვვერდიდანაც არ იშორებდა ასიკოს. მხოლოდ ამ უკანასკნელ გარემოებას ის მოჰყვა შედეგად, რომ ასლან სრულებით ვერ იცნობდა სიცოცხლეში მშობელ მამას და არც სიკვდილის შემდეგ იგონებდა მის სახელს, თუ ნათქვამის დასამტკიცებლად არ დაიღიყავდა: მამაჩემი არ წამიტყოდგიბაო.

ქათელის ძლიერ გონიერამშეტიანი, შორსგამშვრეტელი და მომჰირნე კაცის სახელი ჰქონდა გავარულილი, როგორც მტკიცებდა ასლანი. ერთი კი შეენიშნა რამე ღირსება აღამიანში და ეთქო; ერთი კი მოენდომებინა რამე, თორემ ყოველი მისი ნათქვა-  
მი და სურვილი სისრულეში მოვიდოდა.

თავისი მომცირნეობით ქაიხოსრომ დიდალი მამულები შეიძინა. ამ მამულებში ყველაზე ძლიერ ჩოხატაური ზვარი უკვარდა, რაღაც ყველაზე ძლიერ უკვარდა. შრომა და ჭაფა ამ ზვრის აშენებაზე დასკირდა. შრომამაც არ ჩაუარა ტყუილად — მთელ მხარეში ამ ზვარმა თავისი მარნით პირველი ადგილი დაკირა. იმდენი დრო და დღენი თვისი სიცოცხლისა სახლში არ გაუტარებია ქაიხოსროს, რამდენიც გატარა ჩოხატაურ ზვარში. რა გამოიუწეველ

სიამოვნებას ეძლეოდა მაშინ, როცა კრიალოსანით ზელში გადა თავის შექმნილ ზვარში კალის ბრძოსავით მოდებულ, ბევრით მოწოდებულ ყმებს და აძლევდა თადარიგს, ვის რა, უარესე უტუშის გაეკეთებინა, ანუ რა სიტყვებს შეეძლოთ გამოხატულ გრაფიტებს ეს სიამოვნებისა მაშინ, როდესაც ის მოკეცავდა ხალიჩაზედ, დაებჯინებოდა კალთაში ჩადებულ მუთაქას, აათამაშებდა ხელში კრიალოსანს და უსმენდა ჩუხჩის საწნახელიდან მაჯის სიმსხოდ ჩამონადენ ტკბილისას და ამ ჩუხჩებთან შეწყობილ ამოძახილს ქვევრისას და სიმღერას უურძნის მწურავებისას. მისი მხედველობა კი ამავე დროს მიეკუროთ თავისეუნ ტკბილის შადრევებს, რომელიც ამობუყბუყებდნენ დულილში შესულ საესე ქვევრებიდან. აბა რა სიტყვები გამოხატავდნენ ამ დროს ქაიხოსროს სიამოვნებს, თუ არ ჩიკ-ჩიკი კრიალოსნისა!

ეს თესება კრიალოსნის მარცვლებისა ძლიერ აღრე და ადვილად შენიშნა ასლანმა და მაშინვე სულით და გულით შეიყვარა კრიალოსანი. ბევრჯერაც გამოსტაცებდა ხოლმე პაპას ხელიდან და ძისებურად ათამაშებდა ხელში. მხოლოდ მაშინ ბევრად დიდი იყო და ამისათვისაც კი ცხოვრებაც დიდი ჰქონდათ.

საკვირველია, რომ ასლან თავის დღეში იმას კი არ ასახელებდა, თუ ვის ხელში ანუ რა გარემოებით შემცირდა რიცხვი კრიალოსნის მარცვლებისა.

## VI

ასლანს ყველა პატიოსან და დარბაისელ კაცად იცნაბდა. ღვთის წინაშე, ეჭვ გარეშეც იყვნენ ეს ლიზებანი მისნი, ჟავრამ, ზრდილობით მასდიოდა, თუ თავმოყვარეობა არ აძლევდა წეპას, ბევრს საყურადღებო გარემოებათ სტოვებდა უფეხელს. ვაგალათად, თავის დღეში კრინტს არ დასრუავდა ხოლმე მასზედ, თუ როგორ გამართლა მან მოლოდინი პაპისა; არც მასზედ, თუ რაგორ ააშენა ქაიხოსრომ ჩიხატაური ზვარი, ან რად ერქვა ზვარს ასეთი სახელი, ეს უკანასკნელი კი პაპის სიყვარულით და პატავისუმით მოსდიოდა. ხოლო თქმა არ უნდა, ამ მმავს ცოტა-გულადც არს უფრო შექი მოეფანება, თუ დავისახელებოთ იმ გარემოებათაც, რომლებზედაც ასლან გაჩიმდებოდა ხოლმე.

ქაიხოსრო ისეთნაირად იყო გატაცებული მამულების შეენის ფიქრით და სურვილით, რომ თანამედროვეთაგან „დაუღგრამე-

ლი" და „გატაცებული“ კაცის სახელი დამისახურა. მართლაც არა,  
იჯდა თუ იწვა, ეღვიძა თუ ეძინა — სულ იმასა ფიქრობდა და  
ცდილობდა, როგორ მოპოვებინა ბლომა და საუკეთესო უშემდეგ  
დები. იგი არაფერ საშუალებას არა ჰშოვავდა: უმოტყუცულეს  
იქნებოდა თუ ძალადობა, სამართალი თუ უსამართლობა, ამისთვის  
სულ ერთი იყო, უთუოდ ჩაიგდებდა ხელში იმ მამულს, რომელ-  
საც კი თვალსა და ყბის დაადგამდა. ამისთანა თვისებით და ხერ-  
ხით დიდალი მამულები შეიძინა ქაიხოსრომ — თითქმის მთელი  
საგარეულო „ცარიელზედ“ დასვა. ჩოხატაური ზვარიც ამ წესით  
შეიძინა. ჩამოართვა ჭერ თავის ყმას ჩოხატას, — მეტი სახელი  
იყო, — ვენახი, შემდეგ ნელ-ნელა შემოუერთა გარშემო მდებარე  
ვენახები. სამზღვარი ზვრისა გასწია იქამდინ, სადამდისაც სურვი-  
ლი ჰქონდა; შემოაელო გახს მაღალი ძეძვის ლობე და ააშენა შიგ  
ისეთივე უზარმაზარი მარანი, როგორი უზარმაზარიც თვით ზვარი  
იყო, და დაუძახა სახელად ჩოხატაური.

ბევრი სხვა ზერებიც შეიძინა ქაიხოსრომ, მინდვრებიც, ტყე-  
ბიც, მაგრამ ჩოხატაური ზვარი მთელი მისი მამულების თვალი  
იყო და ამისათვისაც უყვარდა იქ ყოფნა.

ასლანის შესახებაც სრულად გამართლდა ქაიხოსროს წინას-  
წარმეტყველება. მართალია, ასლანმა არ მოიხვევა დიდება მითი,  
რითაც ისახელეს თავი იდამ და შარმაზან შევნებაძეთ და არც  
მოითხოვდა მისგან ამას დრო მისი, ხოლო რასაც კი მისი დრო  
მოითხოვდა, ყოველიფერში პირველი იყო. გიმნაზიამიერ დაიმსა-  
ხურა ასლანმა ლომის სახელი თავისი გმირობით. მთელი მოწაფე-  
ნი გიმნაზიისა მის წინაშე ქედს იღრუელნენ და მისი შიშით თრთო-  
დნენ, რადგანაც არაერთ გადაჩენილოდა მათში ისეთი, რომ ცხვირ-  
პირილან სისხლი არ ედინა. გამოვიდა ცხოვრებაში და ყოველგან  
და ყოველიფერში პირველობა დაიკირა. ცხენზედ ასლანზედ კარ-  
გად ვერავინ ჭდებოდა, ტანთ ამისთანად შინიანად და ძვირფასად  
ვერავინ იცვამდა, ქალებს ამაზედ კარგად ვერავინ ვერა ჰკავალ-  
რობდა და ათამაშებდა. ლვინის სმაში და სიმღერაში ხომ აბა ვინ  
გაბედავდა მასთან შეჯიბრებას. ამის მეტსაც არას ითხოვდა მი-  
სი დრო.

თუ ვინმე თავხელი გაპედავდა მასთან ფეხის გაწვდენას, საკ-  
მარი იყო, დოინჯი შემოეყარნა და მიემართა: „შენ იცი, მე ვინა  
ვარ? იქნება შენ ჭერ არ გაგიგონია აღამ, შარმაზან, ქაიხოსრო

შეენებაძეები? მე იმათი სისხლი მიცემს ძარღვებში, აი!“ ეს სიტუაცია საყმარისი იყო, რომ მოკამათეს ხმა ჩაეყმინდა.

საზოგადოდ კი ასლან დიდი პატივის მცემელი იყო თვისი წინაპრებისა და მათი სახელისა. და ყოველთვის, როდესაც უკანასკნელი როება მოითხოვდა გვარის გაჩაღებას და გამოჩენას, ჰქონდა სახელებდა ადამს და შარმაზანს, როგორც გვარის დამამშვენებელთ გმირობით და მამულის სიყვარულით და ქახოსროს, როგორც ოჯახის გამაძლიერებელს ქონების შეძენით.

## VII

თავადი ასლანის ერთ საუკეთესო და საქებურ თვისებას ის შეაღენდა, რომ იგი თავგამოდებით ცლილობდა ღაეცვა წმინდად ოჯახის ლიჩსება და პატივი და ის წეს-ჩვეულებანი, რომელიც იყვნენ მასში დამყარებული წინაპართაგან. ისევ ის სტუმართმუყარეობა და პურადობა; ისევ ის გულგახსნილობა და უკეთა; ისევ ის სიღიადე და სიბრწყინვალე, რომელიც ამშვენებდნენ და თლაშალლებდნენ უწინ ფახს, ხელუხლებლად და შეუმცირებლად ჰსუფევლნენ მაშინაც, როცა ფახს განაგებდა ასლან. მამასაც კი გადააჭარბა ამ შემთხვევაში ასლანმა. სამართლიანად ამბობდა ხოლმე ხშირად: „რა კაცი უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც ვერ მოუხერხებია ლიჩსეულად დაცვა თვის წოდებისა! თავადიშვილი ვიყო და თავადიშვილობა კი არ მეტყობოდეს, აბა, რაღა თავადიშვილი უნდა მეტების! ეხლა სიკოც თავადიშვილი ვითომ! რად უნდა კიდეც კნიაზობა, საცინელი ის არის-და! ჩაიცვამს, ბატუნო, პაპის ნაცვამს ქუსლებდაგრეხილს წალებს, წამოისხამს სიცხე-პაპანაქებაში გაქუცულ იაფინჯს, რომ ეგება დაგლევილი ახალუხი და წალები დაუფაროს, გაქუცულსავე ქუდს გადმიიტანს თვალებზედ, ათითქო არ უნდა თავისი თავი თვითონვე დაინახოსო და ჩაიკლის ბაზარზედ ქალაქში, — ვითომ და სასყიდელი აქვს რამე, — გიბეში კი თაგვები უთამაშებენ. ბაზრის ბიჭებმაც იციან ესა და უყვირიან, განგებ: „ყმაწვილო, აქ მობრუნდი, რა გნებავს?“, თუმცა დიდი ხანია იმას ყმაწვილებში წილი აღარ უძევს და სამარისავენ ერთი ფეხი გადადგმული აქვს. აბა, სიკოსავით რომ თავი გავიხადო, ჩემს სიცოცხლეს სიცოცხლელა ერქმევი მაშინ ლირსილა ვიქნები ვატარო კიდევ შეენებაძის გვარი?!“

სიკოს გარდა სხვებსაც ბევრს გადაპრავდა ხოლმე მათჩახებს

და პეტერბავდათ მასზეც, რომ გარემოება და შეძლება ნებაა დათ დაეცვათ თავისი თავის და ოჯახის ლირსება, მაგრამ ვისი დაუდევრობით კი ამცირებდნენ და ამდაბლებდნენ გვარაცხალი აჯახსაცა.

როგორც სურვილი და ლტოლვილება პქონდა ბრძოლაშემსახულება ცისა, ისე გარემოებაც და შეძლებაც ხელს უწყობდნენ ასლანს. ქაიხოსრომ ხომ დიდალი მამულები შეძინა ოჯახს, მაგრამ მთელი მის მიერ შეძენილი მამულები უბრალო რამ წერტილად ვოჩიხდა იმ მამულებთან, რომელიც პქონდათ ნაბოძები მეფეებისაგან ადამის, შარმაზანს და სხვა შესანიშნავ გმირებს შევენებაძს გვარისას ერთგული სამსახურისათვის. თუ სრულიად არა, ნაწილი მამულებისა მაინც ასლანს ერგო. პირდაპირ ქაიხოსრომ მხოლოდ შემოუერთა, რამდენიმე ნაპერი, უწინ მოგლეჭილი იმ მამულებადან გაყოფ-გამოყოფით.

ბატონყმობა ახალი გადავარდნილი იყო, როცა ასლანის მამა, ერთადერთი ძე ქაიხოსროსი, მის სიკედილის შემდეგ მფლობელი გახდა ამოდენა მამულ-დედულისა. ბატონყმობის გაუქმებამ, ცოტა არ იყო, ხელი შეუშალა ასლანის მამას მამულების მოვლა-გაეთებაში. იმოდენი გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა, რომ სხვა რამე საშუალებით წაეყვანა რიგიანად ოჯახისა და მამულის საქმე და ამით აეცილებინა ერთისათვისაც და მეორისათვისაც უკან დაწევა. ჩაიკი „ბრძანებამ“ დაპყარება თავისი ძალა და მისი აღვილი ფულმა დაიჭირა, მამულების შემუშავება და მოვლა იმდენად გაძნელდა, რამდენადაც ფული ბრძანებაზედ ძნელი გასალები იყო. ამისათვის თითქო გახტეტდა ასლანის მამა და აღარ იცოდა, როგორ გასწვდო-მოდა ამოდენა მამულს. ვერც ცოტას აკეთებდა ბევრის მომღომე და ბევრიც ისევ გაუქეთებელი რჩებოდა. მამულები აოხრდა, რამდენიმე ზვარი გავერანდა, შემოსავალმა იყლო და ოჯახსაც მოკალ-და უწინდელი სიბრწყინვალე. მხოლოდ ამაზედ უარესობისაგან დაიხსნა მამულიც და ოჯახიც ასლანის მამის ჩქარა სიკედილმა და თვით ასლანის მფლობელად გარდაქცევამ.

## VIII

თავადი ასლან კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, როცა ვამა გარდაეცვალა, რომ სამწუხარო გავლენა და შედეგი არა პქონდა მასწედ მამის სიკედილის შეტყობას, დედამ გამუღავნების წერილ-

თან ერთად გაგზავნა კრიალოსანიც: რადგანაც იცოდა, რომ ასლანი  
იყო ძლიერ უყვარდა. მართალია, ასლანმა მსხვილ-მსხვერი ცოტბ-  
ლები ჩამოჰყარა წერილის წაკითხვაზედ, მაგრამ მაცე შეაშა,  
როცა კრიალოსანი დაინახა და დარწმუნდა, რომ თაფქარი ფრიჭლები  
ხნის მოლოდინი და სურვილი შეუსრულდა.

ის დღე იყო და ის, ასლან ხელიდან აღარ უშვებდა კრიალო-  
სანს, თუ არ მაშინ, როცა პირთან ან ლუქმა, ან ღვინის სტაქანი  
მიჰქონდა, და ან როცა ეძინა. სხვა უიმისო დროს კი ეჭირა ხელში  
და შეეჭერდა მისი მარცვლების „ჩიკ-ჩიკით“. უეჭველია ასლან  
გააგრძელებდა სწავლას გიმნაზიაში და სამაგალითოდაც შეასრუ-  
ლებდა კურსს, რომ გავეთილების დროს ნება ეძლიათ მისთვის  
მასწავლებლებს კრიალოსანის ხელში ჭრისა და თამაშობისა.  
რადგანაც არ აძლევდნენ ამის ნებას, ადგა და თავი დაანება გიმნა-  
ზიას. — თუმცა დედა ემუდარებოდა: გააგრძელე სწავლაო, — და  
თავისი ადგილი დაუცალა უმცროს ძმას, რომელიც ჩქარა გიმნა-  
ზიაშივე გარდაიცვალა. ასლანს შესმენილი ჰქონდა, რომ ვითომც  
ამისმა პაპა ქაიხოსრომ თავისი ალალი უფროსი ძმა მოწამლა და  
მოკლა იმ განზრახვით, რომ კრიალოსანი თვითონ ჩერებოდა მამი-  
საგან სამკვიდროდ. ხანდახან ასლანს უწამლავდა სიამოვნებას ის  
ფიქრი და შიში, რომ ვაითუ ძმას მისთვისაც დაეყენებინა ასეთი  
დღე კრიალოსანის გულისათვის და ამისთვის არაუსიამოვნოდ  
დარჩა ის გარემოება, რომ ძმამ თავისი სიკედილით დასტოვა იგი  
ერთადერთ მფლობელად კრიალოსანისაც და მამულ-დედულისაც.

მართალია, ასლან ყმაშვილი და გმოუცდელი იყო, როცა იმო-  
დენა მამულის მფლობელი გახდა, მაგრამ განსაცვიფრებელი უნა-  
რი და ნიჭი გამოიჩინა ცხოვრებაში. როცა დაათვალიერა თავისი  
სამკვიდრებელი და დაინახა სატირელ მდგომარეობაში არა მცი-  
რედი ნაწილი მისი, მოისახრა, რომ ბევრით უმჯობესი იქნებოდა  
მამულების გაეკეთება მამულებისავე შემწეობით. ამ მოსაზრების  
განსახორციელებლად ასლანმა გადასწყვიტა გაეყიდნა უხეირო,  
აობრებული და უსარგებლოდ გადაქცეული მამულები და მათი  
ფასით დანარჩენი მამულებიც შეემუშავებინა და აღყვავებინა,  
და სახლისათვისაც დაებრუნებინა უწინდელი სიბრწყინვალე, რო-  
მელიც მას ჩამოაცალა მისმა მამამ თავისი უხერხულობით, თუმცა  
მოლად სისხლიანი საქონელი ინაცვალა.

გაყიდა ასლანმა ჭერ ერთი სრულიად უსარგებლოდ გადაქცე-

ული ნაკერი მამულისა. ამ მამულში აღებული ფული სულ და  
ლის მოწყობაში და „არსებაში“ მოსაყვანად მოუნდა. ასე თუმ,  
ჩქარა დასკირდა მამულების დასამუშავებლად მეორე აოხრებული  
ნაკერის გაყიდვა. მხოლოდ აქ კი ერთმა მოულოდნერიც გამოიწვევა  
ტყვარენილმა გარემოებამ შეუშალა ხელი. არამკურტკის მშენექნებულ  
ამ გარემოებამ მეორე მამულში აღებული ფულები, პირიქით, სხვა  
მამულების გაყიდვაც მოითხოვა.

თავადმა ასლანმა შემთხვევით ნახა კნიაქნა სონა, რომელიც  
ძლიერ მოეწონა და მშობლებმაც სიხარულით მიათხოვეს მას,  
როგორც შეძლებულ თავადიშვილს. ქორწილის გადახდა ორივე  
მხარეს ძლიერ ეშურებოდათ, მხოლოდ ფულზედ იყო დაბრკო-  
ლება. ასლანს არა ჰყოფნიდა ის ფული, რომელიც ნაღდად შეესწ-  
რო ხელში დანიშნის დროს. ამისთვის იძულებული შეიქმნა ორი  
აოხრებული ნაკერიც დაერთო ზედ უკავი გაყიდულთათვის. მაგ-  
რამ რას შეატყობინებდა ეს ოთხი გაყიდული იმოღენა მამულ-  
დედულს. იქნება დიდი ყველის კვერეულს კი დაეტყოს ოთხი პა-  
ტარა და თხელი ნაკრის ათლა და ასლანის მამულებს კი ვერაფე-  
რი შეატყობინა ოთხი აოხრებული ნაკერის გაყიდვამ.

## IX

თავადმა ასლანმა ცოლის შერთვის შემდეგაც არ უღალატა  
თავის განჩრახვას და გარდაწყვეტილებს, პირიქით, უფრო ენერ-  
გიულად შეუდგა მათ შესრულებას. მართალია, დედა არ ურჩევდა  
მამულების გაყიდვას და ხანდისხან კიდეც ეწინააღმდეგებოდა,  
მაგრამ მაგიერად მეულე უწონებდა ამისთვის ქცევას და ეს უკა-  
ნასკნელი უფრო ნაყოფიერად მოქმედებდა მასზედ, ვიღრე წი-  
ნააღმდეგობა დედისა.

სადაც კი დაეტყობოდა მამულს ნიშანი აოხრებისა, მაშინვე  
მოსთლიდა უსარგებლო ნაწილს და გაპყიდდა. საკვირველი კი  
ეს იყო და ოვითონ ასლანსაც ძლიერ უკვირდა, რომ ასეთ უვარ-  
გის მამულებს კიდევ ვინმე ყიდულობდა. ამ გარემოებას აწერდა  
კრიალოსნის ძალას, როგორც გრძნეულისას. მისი მარცვლები შე-  
ცოტავდნენ — მაშასადამე, უნდა შემცირებულიყო მამულის რაო-  
დენობაც. ღვთისა წინაშე, ხერხსაც კი ხმარობდა ასლან მუშტრე-  
ბის შოვნაში. როცა შეატყობდა რომელსამე მამულის ნაწილს

გასაყიდად მომზადებულაო, მაშინვე გამართავდა „მახარე“ მოძიება/ქვეშ წვეულობას. ყმაწვილებს გარდა, ეპატიუებოდა იმჟაცი, ცეცი  
ვისაც უნდოლა მამულის თავზედ მოხვევა. აქ, რაკი შევიღოდნენ  
სმაში, ჩამოვარდებოდა ლაპარაკი მამულზედ და ლხიჭუასუ ციცაული  
ლის გაყიდვის საქმე ერთად გათავლებოდა ხოლმე. ტრიბუნის მოძიება/

კარგა მამულებს ჰყიდდა თავადი ასლან ყოველ წელს, მაგრამ  
მათი ფასიდან ზოგს წინადევ აღებულ ვალში უპერდნენ მყიდველ-  
ნი; ხოლო რასაც იღებდა ნაღდად, ისა და სალი მამულების  
შემოსავალი არც კი ჰყოფნილა სახლისა, თავის თავისა და ცოლ-  
შვილის იმ წესზედ და რიგზედ ყოფნისათვის, რიციც ღირსი და  
ჩვეულნი იყვნენ. ეს იყო მიზეზი, რომ მამულების შესამცავებ-  
ლად და ასაყვაებლად ასლანს ფული აღარ ჩაიგდოდა და თავის  
სურვილს უერ ისრულებდა. ერთის მხრივ ამ გარემოებას სარგებ-  
ლობა მოქმედა თავადისათვის: მას არ ელეოდა და, რაც მეტი  
დრო გადიოდა, უფრო და უფრო უბევრდებოდა გასაყიდი მამუ-  
ლები.

ბევრი უსარგებლო და გამოუსადევგარი ნაწილები ჩამოეთალა  
ასლანის მამულებს, ვიღრე ჯერი ჩოხატაურ ზვარზედ მიღებოდა. ბოლოს, ამაზედაც მიღვა ჯერი. კაცმა კი სულ ქვეშ უნდა სოჭვას,—  
და ასლანიც კარგადაც ჰერძნობდა ამას,— რომ ჯერ ეს ზვარი არ  
იყო გასაყიდად მომზადებული, მაგრამ აქ სხვა გარემოებამ შეუწყო  
ხელი. ერთმა მდიდარმა და წარჩინებულმა პირმა იმდენი თუმანი  
შეაძლივა და დაუთვალი კიდეც ამოგდებულ ზვარში, რადენი ვა-  
ზიც არ იდგა შიგ, ჩოგორეც ამტკიცებდა ასლან. ამ ზერის ბედ-  
ილბალი ძლიერ მალე გადასწყდა: ასე რომ „მახარე“ მუხას ქვეშ  
წვეულობის გამართვა არც კი დასჭირებია ასლანს. მიიღო ბლომა  
ფული და ადგილიც მალე გამოუჩინა. მხოლოდ დად სინანულში  
კი ჩავარდა, რომ ამისთანა მუშტრები მამულისა აღრევე არ გამო-  
უჩნდნენ და უკვე გაყიდულ მამულებშიაც ასეთი კაი ფასი არ  
აიღო.

## X

ასლანს ხმა შემოესმა, ვითომ ჩუსეულში თუ საფრანგეთში, შემ-  
დგარიყო ფულის პატრონების ამხანაგობა საქართველოში მამულე-  
ბის შესაძენად. ამ ხმამ დიდი იმედები გაულვიძა გულში ასლანსაც  
და მის მეუღლესაც. მეუღლენი ხშირად ფიქრობდნენ და ბჭობ-

დნენ ერთად მთელი მამულების გაყიდვაზედ, ფულის ბანკში ჭარბი ნისა და მძიმი საჩემებლით უფრო გამოჩენილად ცხოვრისტაზედ.

— ჰა, სონიჩა, დაეტევა ამ ოთახში ორმოცდათი ათასი თუ მანი? — მიპართავდა ხოლმე მეუღლეს ასლან, რაც კულტურული რებლა მარტოდმყოფობაში თავის ოცნებათ და კრისტიანული წესის თავაშით შედიოდა მის ოთახში: — თუკი აბეჩხარ ჩინხატაურ ზეარში იმოდენა ფულები მომაყარეს, რა მამიჩემის სალოცავები გაუწყრებათ, რომ მთელს ჩემ მამულებში ორმოცდათი ათასი თუ მანი არ მამცენ?

— ოთახი არ მინდა, ჩემი კამოდი აავსოს შენმა ორმოცდათი ათასმა თუმანმა, — მიუგებდა ხოლმე კნეინა გულის ფანცქალით, ვაითუ დამთანხმდესო, რომ მარტო კამოდში ჩავა ორმოცდათი ათასი თუმანიო. და ამ სასიამოენო ლაპარაკის დაწყებიდან გათავებამდინ კნეინას ხელში შერჩებოდა ხოლმე ნახევარი დასტა სითამაშო ქალალდისა, რომლის გაშლაც ჯერ ვერ მოესწრო.

— ჰმ, ბანკიდან ერთბაშად გამოტანილ საჩემებელს კი დაიტევს შენი კამოდი! ორმოცდათი ათას თუმანს წელიწადში, სულ ცოტა, ათას ხუთასი თუმანი საჩემებელი ექნება. შენ ეხუმრები ათას ხუთას თუმანს?

— ეგ უკეთესი! არ გვიტორს თუ?

— ნუ გეშინიან, დუშა, ყველა საჭიროებას დავაკამაყოფილებ, ღმერთი მოწყალეა... დასწყეველის ღმერთმა, ერთი რაღაცა უცნაური სიზმარი ვნახე წუხელ, — ჩაურთო ასლანმა ერთის დიდს ჩვეულებრივ საუბარს, — ვითომც მოგრჩი მამულების საქმეს, მივიღე ფასი მთლად და უნაყლელოდ. დასტა-დასტად ეწყო ფულები ქალაქში დაქირავებული სახლის ზალაში და ის იყო ვაპირობდი ბანკში წალებას. მივედი პირველ დასტასთან ასალებად და უცბად ხელიდან არ გამისხლდა! გაფრინდა კარებისკენ და აპყვენ ამას სხვა დასტებიც. ხან ერთი ველემი, ხან მეორეს, ხან მესამეს, მაგრამ, შენც არ მომიჯვდე, მე ვერაფერს გავხდი, სულ ერთიანად კარში გამომიფრინდნენ. გამოვვარდი მეც ქუდმოგლეჭილი გარეთ, შევიხედე მაღლა და დავინახე, რომ მთელი დასტები მინდვრის ბატებივით მიჰქროდნენ ცას და მიურინავდნენ კავკასიონის მთებისაკენ. მე კი ვყვირი, ერთი ვაი-ვაგლახი გამაქვს, მაგრამ წავიდნენ, გადაფრინდნენ მთებს იქით. ოჳ, რა ტანჯვაში ვიყავი, რომ იცოდე! და რანაირად გამეხარდა, როცა გამომელვიძა და დავრწმუნდი, რომ სიზმარი იყო!

— ნუ გეფიქრება, ჩემო კარგო, კვირაძლის სიზმარიდ ამ წელი,  
ან ცრუიო! — სოქვა კნეინამ, თუმცა კი შიშმა მის გულსაც ლრჩხა  
დჟეშეც.

— ეჭ, რისა უნდა მეფიქრებოდეს! სიზმარსაც დაგეჭულებული წერიერა  
თუ? ერთი ხელში ვიგდო ფულის დასტები და როცა მე ისინი გა-  
მიღრინდნენ, მაშინ თავიანთი დაიკვეხონ!

— ახლავე კი იცოდე, ჩემო სიცოცხლევ, რომ ყველაზედ უწინ  
კალიასკა უნდა გაყიდვინო.

— შენ სხვა რამე იფიქრე და მოიგონე, სონიჩქა, თორემ კალი-  
ასკა არაფერია. მე თვითონ მომივიდა ეგ ფიქრი დიდი ხანია და  
ცხენებიც ახლავე შევათვალიერე.

— ეგ უპირველესი საჭიროება არის, ჩემო ძვირფასო, — ამ-  
ბობდა სიამოვნებით გამსკვალული სონა, — რაკი ქალაქში ვიცხოვ-  
რებთ, უკალიასკობა არ შეიძლება.

— კალიასკას რომ ყველაზედ უწინ ვიყიდი, მაგას თქმა აღარ  
უნდა. სხვაც არა იყოს რა, ჩისვლა აღარ ვინდა ქალაქში! მაგრამ  
შენ ეს მითხარ, ჩქარა იქნება თუ არა? ქალალდი რას ამბობს?  
ის ოჯახქორები რომ არსად არ გაჩნდნენ. რაღას უყურებენ აქამ-  
დინ და არ მოდიან, თუ მოსასვლელები არიან?

— მეც გაკვირვებული ვარ, რომ აქამდინ იგვიანებენ! ისე არ  
გავშლი ქალალდს, რომ ფული არ მოვიდეს და თანაც არ მოპყვეს  
გულის წაღილის სისწრაფით ასრულება.

თითქო ამ სიტყვების შემდეგ კრიალოსნის მარცვლებს სიმძიმე  
ემატებოდათ, ისე მაფიოდ და მაგრად ისმოდა მათი „ჩიკ-ჩიკი“.  
ხოლო ეს უკანასკნელი პრევდა სიამოვნების ზარად გადაქცეულ  
ასლანის გულს, და სიტკბოებით გაბრუებული წარმოსთვევამდა  
ხოლმე:

— დროზედ დავაბოლოვო ერთი ჩემი საქმეები და დავეხწიო  
მოდენა ხათაბალას!

— ჩემი ფიქრიც სულ ეგ არის, შენმა სიცოცხლემ, ასიკო!  
შრომობ, ამდენს იტანჯები და ხელში კი არაფერი გიჭირავს. დედა  
მოუკვდეს, აქამდის ვერ შეგვისრულება ირაკლის სურვილი. რო-  
გორი შემოდეგილია საწყალი ყმაწვილი ცხენისთვის და ორმოცი  
თუმანი ერთად ვერ მოვიგდეთ ხელში; რომ მიგეცა იმისთვის და  
თავისი მოწონებული ცხენი ეყიდნა.

— ბევრი მოვითმენია და ცოტაც მოვითმინოთ, დუშიჩქა! ერ-  
თი ველირსო ჩემი გულის წაღილის შესრულებას და თუ თქვენ

ქ შემდეგში ნირილა მოგაკლოთ და დაუყოვნებლივ არ უავისობდა ხოლმე კოველი თქვენი სურვილი, ასევე მოგიყვდეს!

— რა არის ერთი, შენი ჭირიძე, რომ წამდაუწულის დროის მოგიყვდეს, ასევე მოგიყვდეს! ხომ იცი არ მიატესი და უკუცა ბის გავონებას მე მხოლოდ თუ ვამბობ, იმისთვის, რომ მამულების ქონას ბევრით უმჯობესია მათი ფულად გადაჭევა.

— აბა, მაგას რაღა ლაპარაკი ეჭირვება! სწორედ გითხრა და სეტყვისა და გვალვის შიშილა მექნება! რამ დამაბერა ასე აღრე, — უჩვენებდა თავის ქაღარაზედ, — თუ არ მამულების ფიქრმა და დარდმა, გვალვას დაიკერდა, მე უნდა მეფიქრნა, უმოსავლოდ არ დავრჩე-მეთქი; მოიღრუბლებოდა, გული მე მიუაწყალებდა: სეტყვა არ მოვიდეს, ცარიელი არ დავრჩე-მეთქი.

ამ სიტყვებს მოპყვებოდა ხოლმე სონას მხრით რწმუნება და ფიცილი მასზედ, რომ ასლან სრულებით უსაფუძვლოდ ეძაბოდა თავის თავს ბებერს; რომ მას ისევ ახალგაზრდა ყმაწვილებში ედო წილი ყოველისფრით. და მოპყვებოდნენ ლაპარაკს მასზედა, თუ როგორ შეხვდნენ პირველად ერთმანეთს და როგორ შეირთეს ერთმანეთი.

## XI

ასლანმა გადასწყვიტა უთუოდ გაეყიდნა მთლად თავისი მამულები, მხოლოდ ელოდა იმისთანა მდიდარ მეშტრებს, რომელების მოსვლის ამბავიც მას შემოესმა და რომელთაც შეეძლოთ მისი მამულების ერთიანად შესყიდვა. რაკი მამულები გასაყიდად გადასდო, მათ შემუშავებაში და გაუმჯობესებაში ფულების დახარჯვა ასლანის მხრით სულ სისულელე იქნებოდა. ამისთვის განიზრახა უფრო სასარგებლო საქმისთვის მოეხმარებინა ჩოხატაურ ზეარში ალებული ფული. ეს სასარგებლო საქმე იყო შემოქლება და შემცირება დროსი, რომელიც ახანებდა და აშორებდა მისი გულის წადილის შესრულებას.

ასლანმა კარგად იცოდა, რომ დროს შემოქლება ისე ჩქარა და ადვილად არაფერს შეეძლო, როგორც ლხინსა და ქიოფობას. ამისთვის მოპყვა და სადაც კი შესანიშნავი დროსგასატარებელი ადგილი ეგულებოდა, ყველგან წვეულება გამართა. ღვთისა წინაშე, ჩოხატაურ ზეარში ალებული ფულიდან თავის ირაკლისაც ბლომად უწყალობა: საწყალი ყმაწვილი, მამიკლეს იმ ოჯახებმა უჩიტლებმა, — იტყოდა ხოლმე ირაკლიზედ, რომელიც იმ ცოტა ხანში გამოიყვანა

გინაზიის მეორე კლასიდან. — მივეცი ხუთიოდ-ექვსი ფერი და გუთხარ: წადი და სადაც ვინდა, იქეთვე და შეძლოდა, რაც გმინაზიაში დაგაყლდამეორი.

### ერთვენდა

თავადი ასლანს მხარეულებას უფრო ის აძლევდებული მომენტებას წინადევ გრძნობდა სიტყბოს იმ ნეტარ ცხოვრებისას, რომელიც მას მოელოდა მამულების გაყიდვის შემდეგ. ხოლო რომ თავისი სიხარულისათვის მიეღწევინობინა უაღრეს აღტაცებამდინ, დროების გატარებანი დაგვირგვინა უმაგალითო მეჯლისით „მაბარეს“ ქვეშ. ამ მეჯლისში პირველად გამოამჟღავნა სხვა ძვირფას თვისებასთან ერთად ღირსშესანიშნავი თვისებაც, რომელიც მხოლოდ მარტო მის კუთვნილებას შეაღენდა კაცთა ნათესაობაში. სამი დღის ვანუშვარელ სმაში გულშრეულად, პატიოსნურად, დაუზარებლად და დაუღალავად შეასრულა მოვალეობანი გულუხვი მასპინძლისა, თადარიგიანი თამაღისა, მომღერალთ რიხის მიმცემისა და მოთამაშეთა სულის ჩამდგმელისა. ნეთუ ამგვარი მოქმედების ჩადენა შეუძლიან ყოველ მომაკვდავს და იგი არ არის ხელი მხოლოდ მარტო დიდბუნებოვან კაცისა? ეჭვი არ არის, ბევრი სხვა დაძინებული და დამალული თვისებაც გამომჟღავნებოდა. შემდეგისათვის და მარტოდმარტო აშ ზევე გამომჟღავნებული თვისება არ დაეღებოდა საშლერად ასლანს აღტაცებულ სიხარულს, რომ ბედს არ ემუხოლა და მეჯლისი შემდეგ კრიალოსანი არ დავარგულიყო. ამ გარემოებამ კი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ასლან და ჩაუმწარა სრულიად რაც რამ სიამონება ენახა ან უზინ და ან აბლა.

მოღალეს ქმარმა ცალკე და ცოლმა ცალკე მოსამსახურები და მწყემსები, — რომელთაც სამწყემსოები დაუდინდათ იმ მინდვრებში, სადაც უმაწვილებს დოლი ჰქონდათ, — კრიალოსნის ქებნაში, მაგრამ ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგო.

სრული ერთი თვე ასლან იმისთანა მდგომარეობაში იყო, რომ კაცი ვერა სცნობდა. შემდეგში კი ცოტათი გადაცვდო გულიდან დარღდები. მაგრამ რა მიეცემოდა თუ არა ტკბილს ოცნებას, როგორ იცხოვრებდა მამულების გაყიდვის შემდეგ. უცბად მოაგონდებოდა კრიალოსანი, შედგებოდა, თუ ბოლთასა სცემდა, და თუ იჯდა, წამობტებოდა, შემოქერავდა ტაშს, წაივლებდა თმაზედ ხელს, დაიქშენდა საშინალად და წამოიძახებდა: „ვაიმე, ჩემო კრიალოსანო!“ კრიალოსანი კი, ვინ იცის, ცხენის ფეხით ჩაიფლა ასლანისაგანვე გაყიდულ მამულში და ისიც სხვა სიმდიდრესთან ერთად ჩაიმარხა გულში მამულმა ახალი მფლობელის ვადასაცემად.

## ნავარდობა

I

ძობი

ქოხი, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, თავისი აეტულებით არ ეკუთვნოდა ქოხების წრეს — არც ქოხად უწოდებდა ვინმე, სოფლად რომ ყოფილიყო. იგი წამოსუპულიყო რამდენსამე ეშ-სინად გამოჭიმულ ორსართულიან ქვითკირის სახლებს შორის, რომელიც ამაყად გადაჟურებდნენ მაღლობიდან მთელ ქალაქს, რომელ ქალაქს სახელს არ ვაცხადებ, რადგანაც მნახველი მცირებიდანაც გააგებს და ვისაც არ უნახავს, იმისთვის არც საჭიროა სახელის ცოდნა.

ქოხი ქალაქის იმ ნაწილში იმყოფებოდა, რომელიც რამდენისამე ხნის წინათ ცალკე სოფელს შეადგენდა, ახლა კი გადაქცეულიყო ქალაქის ნაწილად და ქალაქის ფერის მიღებას შესდგომოდა: ძველი სოფლური სახლების აღგიღზე აღმოცენებულიყვნენ ახალი, უფრო ხშირად ორსართულიანი ქვითკირის სახლები ისეთ გეგმაზე აშენებული, რომლის მხგავსნიც თვით შუაგულ ქალაქშიაც კი ძირიად მოიპოვებოდა. მკონია შეურაცხყოფა იქნებოდა ამ სახლებისა, ბეჭიაშვილის შენობისათვის რომ სახლი დაგვეძახნა.

ქოხი უკანიდან წინ იყო წაქანებული ისე, რომ შეგ შემსველელს თავი უკვე სახლში ჰქონდა შეყოფილი მაშინ, როდესაც ჯერ ფეხები არ გადატანა კარის დირეზე. რასაკვირველია, დიდი ხნის დანგრეული იქნებოდა იგი, თუ წინადან ბოძები არ ჰქონდა შეყვნებული. ქერი ქერიბას და კედლები კედლობას აღარ უშერებოდნენ ქოხს; ჩალა, რითაც დახურული იყო ქერი, ისე გასცემოდა, რომ მუკნები ნახევრამდის ჩანდნენ და ზოგან ციცნათელებიც ჩადონდა, კედლებსაც აქა-იქ ქვები გამონგრეოდა და ზოგან ძონძები და

ზოგან თივა ჰქონდათ დაწურთული. დერეფანს ორი წყვილი კავშა  
შერჩენოდა ჩალით დაწურული, თითქმის აღლ-ნახევარი უცარი და  
საყვავე და ლაჭნები გასწეოდა წინ.

ქოჩი პატარა იყო, მაგრამ მოზრდილი და ყალთალიანი ეზო კი  
ჰქონდა წინ. აქა-იქ დარჩენილი ნამარგილავები ამზადებული იყო და იქნება ხეხულის მატერიალური ეზოები მეზობლად მყოფი სახლებისა, ახლა კი გამხდა-  
რიყო დიდყურა და ხმამაღალა ცხოველთ საძოვრად და საოხარი-  
ოდ. ეზოს ნაპირზე ჩაუდიოდა საქალაქო გზა. ყველა მიმავალ-  
მომავალი ამ გზაზე გაიგონებდა ყოველთვის კარებგამოხურული  
ქოხიდან საფეიქრო ყდის ჩახარუხს.

## II

### კომლი ანანი

კომლი ანანი, იგივე ფეიქარი ანანი, პატრონი იყო ამ ქოხისა.  
ანანი ბუნებით კომლი იყო. თავისი მახინჯი აგებულების შესაფე-  
რად და სახერხოდ ეცნო ფეიქრის ნელობა და ისევ ქალობაშივე  
შეესწავლა იგი ხელობა.

ხელობის ცოდნამ ტყუილად არ ჩაუარა. მოქალაქე მიხა ბეცია-  
შვილმა, რომელსაც ვირით საფელ-სოფელ ხამები დაჰქონდა გასა-  
სყიდად, ორჯერ-სამჯერ იყიდა ანანოსაგან ხამები და ძლიერადაც  
მისწონდა მისი ნაქსოვი ხამები. როცა გადაუშლიდა ხოლმე მუშ-  
ტარს ანანოსეულ ხამებს, რაღაცა იდუმალი სიამოვნება უმშვალავ-  
და გულს და ოვითონაც ვერ გამოერკვია: საქონლის ღირსება იყო  
ამისი მიხეზი, თუ სხვა რამ უხილავი ძალა. მხოლოდ იმას კი კარ-  
გადა გრძნობდა, რომ ანანოსეული ხამები გასაყიდად არ ემეტე-  
ბოდა, თუმცა კი პირველადვე ამ ხამებს გადაუშლიდა ხოლმე მუშ-  
ტარს.


ერთხელ, გაზაფხულის პირზე, როდესაც უკანასკნელი ნაჭერი  
ანანოსეული ხამებისა გაყიდა, მიხა ერთი სოფლიდან მეორე სო-  
ფელში მიემგზავრებოდა დანარჩენი ხამების გასასაღებლად. გზის  
ნაპირები პატარ-პატარა ტყის კორომებით იყო მოცული. სრულიად  
თავისდა გაუგებრად მიეიდა მიხა ერთი კორომის პირში, მოწყვიტა  
რამდენიმე თხილის ფოთოლი, დაიდო თავზე და ქუდი ზემოდან

დაიხურა, რაღვანაც თავში სიცხესა გრძნობდა, თუმცა და მარტინი და  
ლიანი იყო და არა ცნელოდა. მუხლებიც ისე ეკეცებოდა, თუმცა  
რამდენიმე დღე და ღამე დაუსცენებლავ უვლიაო. არც ფრთხო ეს-  
მოდა რამე, ვერც თვალითა ჰქედავდა, თუმცა წინამდებრების უძველე-  
სი რეზაციაც და თვალებიც საღი ჰქონდა. რამდენიმე უმიტაურებელი უძვე-  
ლებას „გამარჯვებას“ ეუბნებოდნენ, მაგრამ თითქოს აქ არაფერი მმა-  
ვიაო, ხმაც არავძისთვის გაუცია — მოძრაობდა, როგორც მაქანა.  
თითქოს მისი სიცოცხლის ძალა ანანსეულ უკანასკნელ ხამის  
ნაჭერს გაჰყვაო.

ის სოფელი, საღაც უნდა გაესაღებინა დანარჩენი ხამები, ისე  
გაიარა, რომ სრულებით არ გაუგია: ვერ გამოაფხისლეს ვერც ძალ-  
ლების ყეფამ, ვერც მუშტრების ძახილმა, რომელთაც უნებლიერ  
უპასუხებდა — არა მაქვსო, მაშინ, როდესაც რამდენიმე ნაჭერი  
ხამი კიდევ ედო ხურჭინში. სოფელს რომ გასცილდა, ისევ თავისდა  
შეუმწენევლად პირი იმ სოფლისკენა ჰქონდა, საღაც ანან ეგულე-  
ბოდა და მხოლოდ მაშინ გამოფხისლდა, როცა მიუახლოვდა სო-  
ფელს. ძალიან ეამა მიხას, რომ ანანოს სოფელს მიახლოვებოდა  
და მაშინვე გადაწყვიტა, მისულიყო და ეყიდნა მისგან ხამები. ახლა  
გონიერ იყო მოსული და ძლიერ გაუკვირდა, რომ თავშე ქუდქვეშ  
თხილის ფოთლები ეფარა. იფიქრა: ვინ მიხუმრა, ისე რომ ვერ გა-  
ვიგო, გზაზე არა მძინებია და არაფერიო. ფოთლები გადაყარა და  
გულის ფანცეალით და პირმცინარი სახით უახლოვდებოდა სო-  
ფელს. სოფლის მისაგალში, გზის პირად, ერთი ღიდი კაკლის ხე  
იდგა. მიხამ დაინახა: კაკლის ხეზე ორი გვრიტი ზის, ერთი ლულუ-  
ნებს, მეორე კი ჟელუელაობით გავა ცოტა გამზე და ისევ მიუახ-  
ლოვდება: ხან ერთ მხარეზე გადაფრინდება, ხან მეორეზე და თა-  
ვის ქნევით ხანდისხან იძახის: „და!.. და!..“

ამ გვრიტებმა შეძყრეს მიხას ყურადღება. წამოწვა კაკალქვეშ  
გულალმა და შერით შეპყურებდა მათ. მანამ გვრიტებმა არ შემოპ-  
ქრეს ფრთა ფრთას და არ გასრიალდნენ მხოლოდ მათთვის ვრცელ-  
სა და შეუზღუდავ სამყაროს სხვა მხარეს, მიხამ კაკლის ქვეშიდან  
ფეხი არ მოიცვალა. მაშინ კი ადგა და გაუდგა ისევ თავის გზას,  
ოღონდ პირდაპირ ანანოსთან არ მისულა ხამების საყიდლად, რო-  
გორც წინათ შვრებოდა. მეზობლისას მივიდა.

მეორე დღეს მოელი სოფლის სალაპარაკო ისღა იყო, რომ მიხამ  
მეხამე ანანოს „ხელი დასდოო“.



საქონწილოდ მიხამ მამაპაპეული სახლის მაგივრად წერილი სახლი, რომელსაც ჩეენ „ქოხი“ ეუწოდეთ. მართალიც უსაკრიტიკულია ახალ ნაწილში მიხამ სახლის მხარდაშეარ გამოიჭიმა კიდეც რამდენიმე სახლი ქალაქის გემოვნებაზე აშენებული, მაგრამ მიხამ კი ისევ სოფლური გემოვნების სახლი ააშენა, რადგანაც იმდენი შეძლება არა ჰქონდა, რომ გამკლავებოდა მეზობლებს. არც კი დიდადა ჰქონდა მიღრეკილება ქალაქურ ცხოვრებისადმი. თავისი ხელობის წყალობით მომეტებული ნაწილი სიცოცხლისა სოფლად გაატარა მიხამ, ამისათვის სოფლელი ხალხი უფრო უყვარდა, ვიღრე თავისი მეზობელი ქალაქეელები. ქორწილშიაც სულ სოფლელები და თავის მეზობელთაგანაც იმისთანა ხალხი ამოიჩინა მაყრებად, რომელნიც მარტო სახელით იყენენ ქალაქელები.

თუ რანაირი ქორწილი გადაიხადა მიხამ, ან როგორი შთაბეჭდილება იქონია ამ ქორწილშა ანანოშე, თვით ანანოსვე დაუუგდოთ ყური. იყი დიდი სიამოვნებით უამბობდა უკელას, სანამ პირში სული ედგა, ქორწილის ამბავს. „შაბათი დღე იყო, — იწყებდა ხოლმე ანანო, — მს იყო მზე ჩაღიოდა, შავხედეთ და შემოაჭინა მხარობელმა ეზოში ცხენი და ცხენდასხენ დაცალა თოფი. მამაჩემმა გამოაჩიბენინა ჯამით ლვინო. მხარობელმა დაცალა ჯამი და მიანარცხა კედელს. აუხვიეს მხარი ბალდალით, ხელში სავსე ხელადა მისცეს და გაქუსლა ისევ უკან. მე კი მაშინვე ოსტატონ გამაჯანეს. ჩვენებისა და ოსტატიანთ სახლებშუა ერთი მეზობლის სახლი იდგა, ასე რომ, ოსტატიანთ ეზოდან ჩვენების ეზო მთლად ჩანდა. მთელი უბნის გოგოები ჩემთან მოგროვდნენ: იმ წელიწადს მთელი უბნიდან მარტო მე ვიყავ გათხოვილი. მივდექით ლობესთან მთელი გოგოები და დავიწყეთ ყურება. რომ მოუახლოვდა ნეფემაყრიონი ჩვენების სახლს, მიხამ შავენა ცხენი ეზოში. ისე შვენოდა, ისე შვენოდა ის ცხონებული, რომ თითქოს კაი სოვდაგარია... გოგოებმა დამიწყეს ხუმრობა: მიხამ მაგივრად სხვა ვიღაცა მოსულა შენს წასაყვანადაო... მეორე დღეს — კვირა დილით, ჯერ ისევ არ მოვერთე ასტატს, რომ შევხედოთ და გავარდა თოფი და იქავ ასტატიანათ ეზოში შევქმნა ჰყივილი ქოსმენმა ბურვაქმა. დავაცადოთ ცოტა და მევვარე ექვსი მაყრით შემოვიდა ოსტატიანთ

დერეფანში და დაიწყეს სიმღერა-თამაშობა. დაუა-ზურნებს დატეჭა  
ნდომებოდა საწყალს, მაგრამ მაშინ სულ გაფანტულები ყოფი-  
ლიყვნენ თავიდისა და დიდი ვაპრების ქორწილებში. მომოთხეს.  
შემოვიდა მეჯვარე, მისცა ოსტატს ერთი ბაჯალლო აქტის დიდების შე-  
ყავარი შამაკერინა, რომ მართლა საქებელი. მდადათ ჟირის მცირებულება  
შინიდან და გაგვიძლვნენ წინ მაყრები სიმღერით. ორ მაყარს კა  
მოკლული პურვაკი ეჭირა ხელში. შამიყვანეს შინ. სახლის მარ-  
ჯვენა მხარეს ჩამომუშერიერებულიყვნენ ნეფე-მაყრიონი ხორავით  
სავსე სუფრას. რა? არა ებადა რა მამაჩემს თუ! ძალიან ძალშე შეძ-  
ლებული ოჯახის პატრონი იყო... იქ, ქა, სად წავიდა უწინდელი  
დრო! ებლა ხიზილალს ცეცხლი ეკიდება, უწინ მამაჩემის ოჯახში  
ჯამებით დავიღდგამდით ხოლმე. უოველწლივ სამ ურემს პგზავნიდა  
სალიანში. მოკედა მამაჩემი და ყველაფერი თან გაპყვა... პო! იმას  
ვამობდი — შემიყვანეს და მამისვეს გვერდით ყელმოლერებულ  
მიხს... მართლაცდა ის სულით განათლებული ისე შეენოდა და ისე  
გამოცვლილიყო, რომ ვეღარც კი ვიცანი... იქ, ნეტავი იმ დღეს!..  
ყველანი იმას იძახდნენ, ნეფე ძალიან შეენის, ვაჟი გაუჩნდებათო...  
დავაცადოთ ცოტა ხანს და წამოიშალნენ მაყრები. ავდექით ჩვენც.  
ხელსახოცაბმულები წავედით კარისაკენ. გამოვედით გარეთ. დაყა-  
ჯრული ცხენები მზად იყვნენ. შამსვეს სადედოფლო ცხენზე... შავდა  
მიხაც, დაცალს თოფი და შამოსძახეს მაყრული. ჯვარის საწერი  
იმ დღესვე მოეშორებინათ და მღვდელმა აღარ დააგვიანა: მივედით  
თუ არა ეკლესიაში, მაშინვე გადავწერა ჯვარი. როცა გაათავა  
ჯვარის წერა, სოქვა მღვდელმა: — აბა, ნეფევ, მიულოცე დედო-  
ფალსაო. მიხამ მოიწია ჩემქენ, მაგრამ მე გაუსტლტი ხელიდან და  
კარისაკენ გავექანე და ის კი სახტად დარჩა. ხალხმა ატეხა ერთი  
სიცილი და ალაქოთი... იქ! ნეტავი იმ დღეს!.. ეხლანდელი გოგოე-  
ბიც იზამენ ამაში!.. გამოვედით საყდრიდამა, შეგვსეს თუ არა  
ცხენებზე, გვარდა თოფი და შემოსძახეს მაყრული. როცა მივედით  
ჩვენ ეზოში, კიდევ დაცალს თოფი. ჩამიყვანეს ცხენიდამ და შა-  
მიყვანეს შინ. მარჯვენა მხარეს გაშლილი და მომზადებული იყო  
ჩვენოვის ბალიშები. დაჯდა მიხა ბალიშე ყელმოლერებული. მი-  
ვუჩეხე მეც გვერდით, მეც განაყოფი გოგო მამისვეს გვერდით.  
მაყრები შაქეცელნენ, მიხა კი იჯდა გაბუტული, პირის გასახსნელს  
ელოდა. მაყრები უყვიროდნენ მამაჩემს: ნუ მოგვიყალ ნეფე შიმში-  
ლითაო! მოვიდა მამაჩემიც, აავსო ღვინით ვერცხლის ბალია, გვა-

დღეგრძელა, დაგვლოცა ნეფე-დედოფალი, დაცალა ბადია, დაგვით-  
გა წინ და გადავკოცნა ორივენი. მერე დედაჩემი მოვითა და დაგვ-  
ლოცა, მე დამკოცნა, მიხას კი გვირგვინის ტოტები დაუკოცნა. მისი  
შემდეგ მიხამ დაიწყო პურის ჭამა. ერთმა მაყარმა აჯისქ ლური იქ-  
ბადია და დაიწყო: „ნეფე-დედოფალი ილოცება — უკანას მეტები და და-  
დაილოცება — ღმერთო გამიჭრევინე მტერზე მოქნეულს მეალათ,  
წუ გამომილევ სახლში მეომარსაო და ვაეყაცსაო, მინდორში  
მხენელსა და მთესველსაო, თონეში პურის მცხობელსაო, ღაწორში-  
ნებულ ვაუსა და გასათხოვარ ქალსაო, ქვეშავებში....., თონეში  
კუტებსაო, გოდორში ფქვილსა და ქვევრში ლვინოსაო, ორმოში  
პურსა, ქერსა და ფეტვსაო, გომში, ბოსელში ხარ-კამეჩისა და ფურ-  
საო, ფარებში ცრკვარსა, სალორეში ღორსაო, საქათმეში ქათამსა,  
ბატსა და ინდაურსაო, კერას უკან მარილის ყორესა, უუნიულებში  
ყველის გუდებსაო, დაულოცე მარჯვენა მუშავაცსა, ქედი საქონელ-  
საო... ეჯიბ-ნეფეს გაუმარჯოს!“ და მიაწოდა მიხას ბადია.

როცა თვალცრუმლიანი მე და დედაჩემი გაგვაშორეს ერთმა-  
ნეთს, შამსვეს ცხენზე, შაჯდა მიხაც, დაცალეს თოფი და შამოსძა-  
ხეს მაყრული. გზაზე, საცა ქათამს, ბატს, ან ინდაურს დაინახვ-  
დნენ, გაუწვდიდნენ თოფს მაყრები, ხოცავდნენ და მოქმინდათ  
თან. ვინც გზაზე გვხვდებოდნენ, მაღალი ხმით გვიყვიროდნენ: ეჯიბ-  
ნეფეს გაუმარჯოს!

კარგა შაბინდებული იყო, როცა შინიდან მობრუნებული შახა-  
რობელი მოგვევება საესე ხელადით, შამფურზე აგებული მწვადი-  
თა და ლავაშით, და დაგვძახა: მოვდივარ ნასიბით, თან მამაქვს კაი  
ამბავიო! ამამბაში სოსანამაც — ძმაშ მითხრა: გოგო, ანანო, პე-  
დავ, აგერ მაშხალა აანთესო... ისე ამიძერდა გული ამ სიტყვების  
გაგონებაზედ, რომ არც ნიშნობაში და არც ჭვარის წერაში არ  
მასვლია ისე. ეზოში რომ მივედით, ჩამოგვახტუნეს ნეფე-დედო-  
ფალი ცხენებიდან და მაყრებმა დაუშინეს თოფები მაშხალას. ოცი  
თოფი მეტი გავარდა, მინამ მაშხალას ჩამოაგდებდნენ. ვინც მაშხა-  
ლა ჩამოაგდო, იმან მეორე დღეს საჩუქრად ხილი მიიღო. ჩამოაგ-  
დეს თუ არა მაშხალა, კარზე მოგვევება დედმამიანი ვაჟი და შარ-  
ბათით დაგვაბერა. მერე შემოგვიძლვნენ შინ მაყრები ამოლებული  
ხანკლებით და დაწყეს სიმღერა: „ჭვარი წინა, ჭვარი უკან, ნეფე-  
ლოზო, შინ შემოდი“. შემოგვატარეს დედაბოძს და კერას სამჭერ-  
აი, ამ დედაბოძზე კაქლით სავსე საღულარი ეკიდა. ერთმა მაყარმა

დაპერა ხანგალი სადუღარს, კავალი ძირს გაიშალა და დასტუკი: ამდენი გაუიშვილით! აი, ემანდ, — უჩერენებდა ანანი სილომ მაემზალებინათ ჩერენთვის ბალიშები. ბალიშებზე გაწოლია ყო შაქარაანთ ივანე, რაღანაც დედმამიანი იყო. როცენტები და დამაჯდომად და ივანე კი არ ადგა, მეჯვარემ უზალუზულურულურა თა ვაშლში და შეაძლია, მაგრამ ივანე კი არ ადგა. მეჯვარემ უზალ-თუნიანის მაგიერ აბაზიანი გაუკეთა ვაშლში და შეაძლია, მაგრამ ივანე არც მაშინ ადგა. თავისი მამა დასძახოდა: არ ადგა, შვილო, მეჯვარეს ბევრი ფული აქვსო! მაყრები კი იძახოდნენ: ნეფე-დე-დოფალი ნუ დაგვიზოცეთ ფეხზე დგომითა! მანამ ორაბაზიანი არ გაუკეთა ვაშლში და არ მისცა, არ ადგა... მოვიკეც თუ არა ბა-ლიშე, მოიყვანეს და ჩარექაანთ მიხავა კი ჩამისვეს კალთაში და დამძახეს: ესეთი ბიჭი მოგცეთ ღმერთმა! ისეთი ფუნთუშა და თეთრი იყო, რომ სანატრელი, ეხლა რო დაშხამულსა ჰგავს.

მეორე დღეს ზოგიერთი მაყრები ადრე შაიკრიბნენ და დაი-წყეს სიმღერა სამზარეულოში. განგებ ისეთი სამზარეულო გაეკი-თებინა ცხონებულს, რომ მართლა კარგი. ჩვენთან შამოვიდა დედმამიანი და გაგვალეიძა. მიხამ ჩაიცვა, დაიდგა გვირგვინი თავზე და გავიდა კარში. მანამ მე მომრთავდნენ, ნეფე-მაყრიონი მოიპა-ტიეს მეზობლებმა და განაყოფებმა — შუადღემდის დადიოდნენ სტუმრად. როცა დაბრუნდნენ, რა არ მოიტანეს თან მაყრებმა! ეს ბურვაკიო, ეს ქოსმენად ნამყოფი თოხლიო; ქათამსა, ბატსა და ინდაურს ხომ ანგარიში არა ჰქონდა — ეხლაც იზამენ ასე?! — ხილით კიდევ ჩოხის კალთები ჰქონდათ საკე, უბე-ჯიბეებში რომ აღარ ეტეოდათ... იმ!.. სად წავიდა, თქვენი ვირიმეთ, ქა, უწინდე-ლი დრო და წუთისოფელი?! ჰოდა იმას ვამბობდი, შუადღემდის სულ სტუმრად დადიოდნენ, ხან ერთთან, ხან მეორესთან... იმ!.. ცეტავი იმ დღეს! შუადღის შემდეგ მობრუნდა ნეფე მხლებლებით და დაიწყო დაბმა და მაღლა ჩამოკიდება იმ მაყრებისა, რომლებმაც დაიგვიანეს და რომელიც სადილის დროს მეჯვარეს ვაშლსა სტა-ცებდა ჯერიდან. მინამდის ჩემ ხელსახოცს არ მიიტანდნენ პატიე-ბის ნიშნად, არ აპატიებლნენ ხოლმე. სადილობისას დაიწყეს ზღვნების მორთმევა. აღგებოდა მეჯვარე და დაიძახებდა: „მავანსა და მავანს მოურთმევია ერთი საპანე ლვინო, ფეხდაფეხ საკლავი თავისი ნამცხვრით, ღმერთმა აშენოს!“ და ყველანი დასძახებდნენ: „აშენოს, ააშენოს!“

მშვედი რომ ჩამოარიგეს, დაიწყო გადასალოცის შეგროვება  
მეჯვარემ: „მავანსა და მავანს მოურომევია ერთი ბაჯაჭონ იქნება,  
ღმერთმა ააშენოს!“ და ისე კველანი დაძახებდნენ „ააშენოს!“  
გადასალოცს სათამაშო მოჰყვა. იღვა ჩემ გვერდზე მჯდომარეობული  
ითამაშა და დამიკრა თავი. ავდექი მეც და დავიწყებ კულტურულები  
მეჯვარე ჩადგა შეაში, ეკირა ხელში ვაშლი და სათამაშოში გად-  
მოლოცილ უზალთუნებს უკეთებდა შიგ. ორი ვაშლი ისე აავსო,  
რომ კედვა აღარ ჰქონდათ.“

ეს ამბავი ისე არავის ასიამოვნებდა, როგორც თითონ ანანოს.  
იმისთვის თითქო ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ამ ამბავს, —  
ნამეტანვად მაშინ, როდესაც სხვადასხვა უბედურებათა გამო სისო-  
ჭარეკეთილებას ეძლეოდა, — როგორც პერსა და წყალს. ამი-  
სათვის დაუზარებლივ და უნაკლოდ უამბობდა იგი ყოველს, ვინც  
უნდა ყოფილიყო მასთან, როცა საფეიქრო ყდას უჭდა. უგდებდა  
ვინმე ყურს მის ლაპარაკს თუ არა, ამისი დარდი არა ჰქონდა.

#### IV

##### ახალი ცვალილები

ეხლა ეძახოდა ანანო სახელს თავის გარდაცვალებულ ქმარსა,  
თორემ წინათ, სიცოცხლის დროს როგორ გაბედავდა ამას. ან ვინ  
რას იტყოდა, რომ სახელი დაეძახნა? — მთელი ქვეყნის სასაცი-  
ლო გახდებოდა.

მიხას სიცოცხლის დროს, თუ მასზე უამბობდა ვისმე რამეს.  
ანანო სახელის მაგიერ რომელსამე ნაცვალსახელსა ხმარობდა, მა-  
გალითად: „ჩვენი ვაჟაცი ხომ არ დაგინახავთ?“ — ჰყითხავდა  
ხოლმე მეზობელს. როცა თვით მიხას მიმართავდა ხოლმე უცხო  
პირების ყოფნის დროს, ხმარობდა სიტყვას ბატონო, მაგალითად:  
„ბატონო, შეშა გაქერი“. ხოლო როცა მარტონი იყვნენ „ქას“  
ხმარობდა: „სად მიხვალ, ქა?“ შემდეგში კი, ნამეტნავად წყრომისა  
და გაჯვრების გამოსახატავიდ ხმარობდა სიტყვას აზაშიანოს: „ადა-  
მიანო, ერთი ი ბიჭს მიჩედე“.

ქოჩწილის მესამე დღეს, ესე იგი სამშაბათს, მიხამ ფეხი იბ-  
რუნა. ქოჩწილის ხალხი, იმათ გარდა, ვინც მიხას თან გაჰყვა,  
წავიდ-წამოვიდა. პატარძალთან მარტო მიხას ერთადერთი დაღა  
დარჩა თავისი პატარა შეიღებით. ეს დღე და ღამე ანანოსათვის

განუქარვებელ ტანჯვის წუთებად გადაიქცენენ. მართალია, მწოდს  
არ უზიარებდა თავის შავ ფიქრებს და ვერც გაპპელავდა / ამას  
სირცხვილით, მაგრამ მოსვენებას კი არ აძლევდნენ ასეთი ფიქრები:  
„ვაითუ გზაზე ან ცხენიდან ჩამოვარდეს, ან შავმთხვეს, რამენა  
ვითუ ამაღამ მომეტებული ლვინო დალიოს, საბანი ჭარბი და კარი და  
და გაციცდეს. რაღა ვენა მაშინ?“ თანაც წყევლიდა გულში — იმ წყევლას  
ულებას, რომლის ძალითაც მიხა მოშორდა მას.

იმ დღეს ანანოს ნაწილი არ უნახავს და არც ლამე თვალზე ძილი  
მოსვლია. გულის ფანცქალით მოელოდა იგი მეორე დღეს, რომელიც  
თითქოს მის გამოსახავრებლად არა თენდებოდა. ინათა  
ძლივს. ანანო მაშინვე წამოხტა ქვეშაგებიდან, ჩაიცვა ტანთ, და-  
გავ-დაწმინდა სახლი და ეზო, მიალაგ-ზოალაგა ყოველიფერი. კი-  
დევ დაეძებდა სხევა რაიმე გასაკეთებელ საქმეს, რომ გართობოდა  
და ამისობაში მიხას მოსვლამდე გაევლო დროს ჩქარა და შეუმჩ-  
ნევლად. მულისა რომ არა რცხვენებოდა, მოელ დღეს, სანამ მიხა  
მოვიდოდა, კარში იდგებოდა და იმის გზისაკენ ყურებაში დააღა-  
მებდა. მაგრამ არ უნდოდა მულისათვის გაეგებინებინა, რა ჯოფო-  
ხეთი ტრიალებდა მის გულში, ან რა თანაგრძნობას გამოუცხა-  
დებდა მული, რომელსაც აბლა სრულიად დავიწყებული ჰქონდა  
თვის მიერ გამოვლილი ამგვარივე მდგომარეობა. ამისათვის ანანო  
მოიგონებდა ხოლმე რასმე, გამოვიდოდა გარეთ, გაახედავდა  
იქით, საიდანაც მიხა უნდა მოსულიყო, და ისევ შემობრუნდებოდა  
შინ.

მიხას გულშიაც არანაკლები ცეცხლი ტრიალებდა, თუმცა ხან-  
დისხან იგი ცეცხლი ნელლებოდა წითელი ლვინით. მიუხედავად  
ამისა, ნებიერად და მხიარულად გაატარა მიხამ სამშაბათი ღლუ  
და ლამე სიღედრ-სიმამრთან. მეორე დღეს კი დანაკრებასაც კი  
აღარ უცადა, ისე ეშურებოდა შინ წასკლას. მხოლოდ როცა სი-  
მამრმა ლიმილით უთხრა: სიძე ბატონო, არ გაგიგონია, დილის  
საუზმე ცოლის მზითეგსა სკობიაო? — უარი ვეღარ სოქვა საუზ-  
მეზე. საუზმის შემდეგ მიხა ლვინით გაელენთილი თავისი ჰილებ-  
ლებით წამოვიდა შინისკენ. გზიდან ყველანი თავის სახლებში  
წავიდ-წამოვიდნენ გარდა მეჯვარისა. როცა მიხამ და მეჯვარემ  
ცხენები შეაჭერს ეზოში, ანანო ის იყო შებრუნდა შინ, მათი გზი-  
საკენ ყურების შემდეგ. თქმა აღარ უნდა, რომ სიხარულით გული  
აუქროლდა ანანოს, მაგრამ მაინც ვერ გაბედა შინიდან გამოსვლა

და მიგებება, მით უფრო, რომ მულის გარდა ახლა შევწინას  
ყოფნაც უშლიდა ხელს.

ანანო გაახარის მიხას შინ მშვიდობით დაბრუნებამ, მაგრამ სა  
მი დღის შემდეგ სიხარულის აღგილი მის გულში ისტურულქებული  
ტანკვამ დაიჭირა.

შევიღნენ თუ არა მიხა და მეგვარე, უკანასკნელი მიესალმა  
ანანოს: „გაგახაროს ღმერთმა, ნათლიღედაგ!“ რის საპასუხოდაც  
ანანომ თავი დაუკრა, ხოლო მიხამ მიპარითა: „აბა, ერთი გვაქაშე  
რამე“. ამ უჩვეულო სიტყვების წარმოთქმა, ცოტა ას იყოს, უხერ-  
ხულად ეჩვენა მიხას, მაგრამ იმ ფიქრმა, რომ ახლა ჰყავს ისეთი  
ვიწმე, ვისაც მალიმალ მიპართავს ასე, გული გაუნათლა და დაუ-  
ყოვნებლივ გამოეხატა ამისი ნიშანი სახეზე. როცა მიხას დამ  
მოუტანა ტაბაკით ჰური, ხახვი, კაკალი და ხელადით ლვინო, მიხამ  
უთხრა მას: „გვიგო, შენ უნდა დაიცადო აյ ერთი კვირა მაინც,  
თორემ მარტოკა დარჩება, მე ქორწილში ვარ დაპატიჟებული“. ამ  
სიტყვების გაგონებაზე, თითქოს აღუღებული წყალი გადასხეს  
თვაზედაო, ისე ჩაიფერფლა ანანო, მაგრამ რას გაწყობდა, წესი-  
სა და ჩვეულების წინააღმდეგობა არ შეიძლებოდა.

როცა მიხამ ფეხი იბრუნა, მოყვრების განაყოფთ დაპიპატიჟეს  
ქორწილში მაყრად როგორც სიძე. უარის თქმა ვერ შესძლო და  
სამი დღის შემდეგ ისევ დატოვა ანანო მარტოდ და გაუდგა მოყვ-  
რების სოფლის გზას. მაყრად მიხა თავის სიცოცხლეში არსად  
ყოფილა და არც არაფერი გაეგებოდა რა მაყრობისა, ხოლო თა-  
ვის ქორწილში ცოტაოდნად გამოიცადა და გარდა ამისა, რადგანაც  
სანეფო ტანიამოსი ეცვა, სულ გამოცვლილიყო და თითქმის ყვე-  
ლა მაყრებს ის ამშვენებდა. ანანო ძალზე სწყევლიდა გულში თა-  
ვის სანეფო ბაბაშვილს და იმ ჩვეულებას, რომლის ძალითაც  
თვითონ არ შეეძლო დასწრებოდა ქორწილში და დაპნატროდა თა-  
ვის მშობლებსა და ნათესავებს, რომელნიც მიხას უცემროდნენ  
მთელ იმ დროს, სანამ ქორწილი გათავდებოდა.

დაბრუნდა მიხა ქორწილიდანაც მშვიდობით და უვნებლად,  
წავიდა ანანოს მულიც, დაჩინენ ცოლ-ქმარი მარტოდმარტო. ახლა  
კი მიეცა თავისუფალი დრო და შემთხვევა გამოეხატათ და ეჩვე-  
ნებინათ ერთმანეთისათვის ყოველგვარი თვისებანი და ნიშანი  
ტკბილი და კეშმარიტი სიყვარულისა.

მაყრობის შემდეგ მიხას სრული ოთხი კვირა შინიდან ფეხი  
არ გაუდგამს, თუ გავიდოდა ბაზარში რძამე საყიდლად. ერთ

საათსაც არ იგვიანებდა. მაგრამ ეს ოთხი კეირა ბევრით მოუკიდა  
სწრაფადგადასული ეჩენა ორთავეს, უფრო კი ანანოს, კოდრე  
ოთხი დღე, რომელიც გაატარეს უერთიერთმანეთოლების უფლება  
მობრუნებისა და მაყრობის დროს. ოთხი კეირის შემდგავრცხულ  
ლად მიხა ერთი დღით შავიდა მახლობელ სოფელში, სადაც ხამები  
წაიღო გასასყიდად: საღამოს ისევ დაბრუნდა შინ. ეხლა ანანოს  
ჟელის ყოფნა აღარ უშლიდა, რომ მთელი დღე მდგარიყო კარზე.  
მიხას გზისაც ეყურებინა და მოსკლის დროს მიპერდებოდა. შემ-  
დეგშიც, თუ მიღიოდა საღმე მიხა, ყოველთვის საღამოთი ისევ  
ბრუნდებოდა შინ.

ნათლილებობის შემდეგ, როცა დეჭ-მამამ ინახულა ანანო, მი-  
ხამ მოუმზადა მას საფეიქრო ყდა, ანანომაც ჩამებიდა ორმოში ფე-  
ხები და დაუწყო ყდას რახარუხი. ამის შემდეგ მიხამაც დაიწყო  
ხან ერთი, ხან ორი ღამის გათვება სხვაგან, რადგან გაჭრობისა-  
თვის აუცილებელი იყო ასე ძეცევა. ანანოც დღისით განუწყვეტლივ  
მუშაობდა, ღამე კი შრომის შემდეგ ეძლეოდა ტებილ ძილს და,  
თუმცა ყოველთვის ფიქრობდა მიხაზე, მაინც წინანდელ ტანკვას  
არა გრძნობდა მის განშორების გამო. რაც დრო და ხანი გადიოდა  
ანანო უფრო ეჩვეოდა მარტოობას.

## V

### კალოზი

მზე ჭერ არ ჩასულიყო. ორი პატარძალი მისღვომოდა კალოზე  
დაყენებულ გალეშილი ყანის დიდ ვორებს და დაჭაბრებით ანი-  
ვებდნენ. გორები გაენახევრებინათ, მეტანაკლებობა გორების  
დანარჩენს არ ეტყობოდა, მაგრამ პატარძლები კი ებაასებო-  
დნენ ერთმანეთს: არა, მე ცოტალა დამტჩა, მე გაჭობეო, -- არა  
მეო, და თანაც სიცილით სარღოდნენ ნიჩბებს შალლა.

— აბა, ვინც ქალია და მზის ჩასვლამდე გაათავებს თავის კო-  
რა! — სთქეა სახლის გამათხოვარმა ქალმა, რომელიც პლტის  
ხვავში იდგა და თან უსურავებდა ხვავს, თანაც აცხავებდა.

— გორები ჭერაც არ გავვინახევრებია და მზე კი ერთ შუბის  
ტარზე ძლიერს იქნება, აბა როგორ მოვასწრებო მზის ჩასვლამ-  
დე! — წამოიძახა ერთმა იმათვანმა.

— აბა, ქალობაც ის იქნება, რომ მზის ჩასვლამდე მოასწროთ

განიავება, — გამოეპასუხა სიცილითვე მესამე პატარძალი, როდე  
ლიც კარაპნის ცოტა მოშორებით, კალოს პირზე დაიტრანსფერდა  
ცეცქლზე შემოდგმულ საჭმლის ქვებს.

— მაშ ქალი ას ვინები, საბედავ, თუ მზის ჩატურებული ნუსაკი მოვწმინდო ჩემი გორა! — სოენა მეორემ. — აბა, ცატოლებული ლოს მოუდექი, ქალი! ბოლო გამოვანიავოთ, თორემ დაგვიმძიმდება. — მიადგნენ ბოლოს გამოიხავებას.

ამავე დროს რამდენიმე ფეხშიშველა და თავშიშველა პერანგა გოგო-ბიჭები დარბოლნენ ხვავის წვერში და ეთამაშებოლნენ შხულით ჩამონადენ ხორბალს, ხან წაერქოდნენ ხოლმე ბზეში და ნიაკ ზელ მათხე გარდაპერონდა ბზე.

კალოს პირზე — დასავლეთით — წამოჭიმული იყო დიდი,  
ფრთე მოქცეული ძნისა, რომლის ჩრდილიც პეტარავდა კალოს  
ნახევრამდის. ჩრდილში წამოწოლიყო მხარ-თერზე ოჯახის  
უფროსი, რომელსაც ჩატლების — შვილების და ძმისწულების  
ცოლების — დაგაბრებაზე სიამოვნებით აღსავსეს, თუმცა მათი  
საუბარი კი არ ესმოდა, განუწყვეტელი ლიმილი გამოპახატოდა ტუ-  
ქებზე და თანაც სანდისხან უკითხდა გოგო-ბიჭებს: „ბიჭებო, თქვე  
ანცემ, დადექით, აღარ მასცენებთ ე ბზეს ნუ რევო!“, მაგრამ  
ისინი თავისს არ იშლიდნენ.

— გამარჯობა შენი, გიორგი! — დასძახა ოჯახის უფროსს თავ-  
სე წამომდგარმა სტუმარმა.

— აა გავიმარჯოს, ნათლიაჩემო!.. სადა ხაჩ, ნათლი, რომ აღარ  
ჩანხარ?.. ნისიები მაინც აღარ გავონდება? დაილოცოს ლვის  
მაღლი და სამართალი: ისეთი კეთილი თვალით გადამაიხედა წელს  
ჩევენერენ ღმერთმა, რომ ქვრივი და ობოლი თავის ქვრივ-ობლობას  
ვერ შაიტყობს. ვაჭრებსაც ხომ მომდერავს არ გამუოფებთ.

— არ იცი, ნათლიმამ, რო ლმერთი ქვრივ-ობლებსაც და  
ჩეენ — ვაჭარ ხალხსაც თქვენი, მეშა და ვამზრელი ხალხის ხელით  
ვვიგზაუნის სარჩის?! თბოლი არა ვარ, ჩემი ნათლიმამ, მეც ჩემი  
მრომითა და ვარჯითა ვცხოვრობ, მაგრამ თუ შენი ღვთისაგან  
დალოცვილი მარჯვენა გუთანს არ ეცლება, მე ჩემი ხამები კუჭს  
და გამიძლებენ.

— მაგას რაო მებობ, ნათლი!.. ღმერთს ერთიერთმანეთის წამ-  
ლად გაუჩერნივართ: მე კხნავ და ვთესავ, რომ მეც მაძლარი ვიყო  
და სწვევ ვისაზრდოვო, შენ კილავ ხამებს მაწვდი, რომ ტანთ

საცმელი ჩივიცეა და ისე შევეძიდო შავ მიწას. როგორ შემ ჩემ არ  
ვოდ არ გარგიხარ, ისე მე უშენოდ. შენ რო არ მოგქონდეს, ხამება  
და არ მიცვლიდე ჩემ ნაჭიროფლარში, მე სად მედეჭირ ჩუქრები  
მეებისათვის?!. აյი ვამბობ, ყველანი ერთიერთმაშემტბლა წმიდაშე და  
დაუსახივართ ღმერთსა.

ამ ლაპარაკში მიხამ მოხადა ვირს ხურჯინი, რომელშიაც საცა-  
ლოები ელავა.

— კაშნიკი ხო მოიტანე, ნათლიაჩემო? — ჰეითხა გიორგიმ,  
როცა მიხა მოუჯდა მას გვერდით.

— კარგი კაშნიკიც მოვიტანე, ჩემო ნათლიმამ, და კაი ერთი  
წყვილი ხალათიც.

— აი, გოშველა ღმერთმა.. აბა კაი სააგაშენოსაც შენ მიიღებ!..

— ღმერთმა ააშენოს შენი ოჯახი, ისე კი მაყლია რამე შენი  
ოჯახიდან, რა?!

— არა, ჩემო ნათლი, ხომ გაგიგონია, სესხსა და ვალს უნდა  
მოუხაროდესო.

— აი დალოცა ღმერთმა თქვენი მშობლის ძეძუ! ყოჩალ, პა-  
ტარა ნათლიდედებო! კარგა ანიავებთ მა გორებსა და კაი ლეშქა-  
შებიც მოვიტანეთ: კაი კევი მოვიტანეთ და ისეთი ნემსები, რო  
თავისთვად ჰყერავენ, — უთხრა მიხამ პატარძლებს, რომელთაც  
პასუხად ჩუმი, გულწრფელი ხარხარი ასტეხს.

მიხა და გიორგი შეექცნენ ლაპარაკით, რომლის საგანიც უფრო  
მოსავალი იყო, თანაც სიმოვნებით უყურებდნენ პატარძლების  
ერთგულ მუშაობას. მათ წრეს თანდათან ემატებოდნენ მინდვრი-  
დან დაბრუნებული სახლის კაცნი და შვილი.

როცა დაბინძდა, კალო მთლად მოწმენდილი იყო: ბზე მიწე-  
ული საბძელში, ჯელლი კალოს პირზე გატანილი, მხოლოდ ბარა-  
ქიანი პურის ხევიღა იდგა კალოზე. ბავშვები ისევ იმავე სახით  
დაზიანდნენ კალოზე ხევის გარშემო, ხან კაკლის პირად დაერთ-  
ვილი ქვის ყორედან კალოზე გასაგრილებლად გამოსულ ბაყაყებს  
დასდევდნენ ერთამულით და ერეკობდნენ კალოდან, ხან მფრინავ  
ციცინათელებს, მანამ არ დაიქანცნენ ისე, რომ პირდაპირ ქვეშა-  
გებში ჩაცვივდნენ და მიეცნენ ტკბილ ძილს.

ერთმა დასანიშნმა ბიჭმა კალოს ხარი გარეკა ღამე საძოვნელად,  
დანარჩენი მოიყარეს თავი და ელოდნენ მთვარის ამოსვლას.  
კ მთვარემ ამ საღამოს პირველად დაივახშმა. მთვარის ღავახშებამ

მისცა ყველას, მამაკაცთა და დედაკაცთაც შემთხვევა ცოტაოდან  
არაქათი აზოელოთ განუწყვეტილი დღიური შეჩობის შემდეგ. მათი  
ივანშებდნენ, მამაკაცი შემოჰვეოდნენ მიხას და პერთავლება  
სხვა სოფლების ავსა და კარგს, დედაკაცები კი გარდა უზარტულებელი  
ლისა, რომელიც საჭმლის ქვაბს დასტრიალებდა და უციურესწორებულე  
მზადებაში იყო, ზოგი მოსწოლოდა კალოზევე გაშლილ ქვეშაგებ-  
ში დასაძინებლად გაწოლილ ბავშვებს. ზოგი კარაპანში მიძყუდე-  
ბოდა ჩვილი ყმაწვილის კვანს და თვლემით აწოვებდა ძუძუს.  
ხოლო ჩვენი ნაცნობი პატარძლები, როგორც ჯერ ისევ უშვილოე-  
ბი, და სახლის გასათხოვარი ქალი გამსხდარიყვნენ განზე — კალოს  
პირზე და ლაპარაკობდნენ თავიანთვის სრულებით სხვა საგანზე  
და თანაც ხარხარებდნენ გულიანად, ისე კი, რომ არავის უშლი-  
ლნენ.

მთვარემ დიდხანს აღარ დავვიანა, „ამოვიდა და განანათლა  
ქვეყანა ბნელი“. ყველანი კალოზე ჩამომწყრივდნენ, ჩამოამწყრივეს  
ხონჩები და დაიწყეს ვახშის შექცევა. სამი-ოთხი ლუკა რომ  
შეკამეს, გიორგიმ აიღო საღვინით ლვინო, მიხას მოტანილი და  
დაიწყო: „ღმერთო დიდებულო, შენა სწყალობდე აქა მბრძანე-  
ბულსა, გაგიმარჯოთ, გაგახაროთ“, და გულიანად იწაფა საღვინე.  
როცა მოიხსნა პირიდან საღვინე, ტუჩები დაიტყბანურა და წამო-  
იძახა: „იშვ!.. დაიღოცა შენი გამჩენი!.. კაცი ვაზის ძირში უნდა  
ჩაკედეს!“ და გადასცა საღვინე მიხას, რომელიც გვერდით ეჯდა.  
ასე, ამნაირად ჩამოირიგა ყველამ საღვინე. ზოგი მამაკაცთაგანი  
რმეორებდა გიორგისაგან წარმოთქმულ ჩამოლოცას, ზოგი კი ასე  
ილოცებოდა: „ღმერთო დიდებულო, გაგიმარჯოთ, გაგახაროთ!“  
ხოლო მანდილოსნებთაგანს იმათ მიაწოდეს ლვინო და ისიც ჭიქით,  
ვინც დედამთილის ხარისხით იყვნენ. იმათ კი დალოცვის მაგიერ  
პირვარი დაიწერეს, თავი დაუკრეს მამაკაცებს, ცოტაოდნად პირი  
გვერდზე მიიბრუნეს და ისე დალიეს.

ვახშამზე ყველანი ისევ ისხდნენ და შეექცეოდნენ მიხას მოტა-  
ნილ ლვინოსა და სათალს, როცა ის პატარძლები, რომლებიც გო-  
რებს ანიავებდნენ, ადგნენ ვახშიძან, მიუდგნენ პურის ხვავსა და  
დაიწყეს ვახვავება. სახლის ქალი კი უსურავებდა. მანამ სხვები —  
უფროსები ადგებოდნენ ვახშიძან, პატარძლებმა გაათავეს ვახ-  
ვავება. მათმა ქმრებმა და მაზლებმა კიდე მიუყენეს საცალოები,  
ტომრები, გაავსეს და შეზიდეს კარაპანებში. ამის შემდეგ ყველა-

ნი მიეცნენ ძილს კალოზედევე. ხოლო მიხა გავიდა კალოს ნაპირზე  
ქვებს ყორებს ახლო, სადაც მისი ვირი ება და ჭელლა ხელმიდა ვა  
იშალა ქვეშ საცალოები, ხურჯინი ყორეზე მიღო და ზედ თავი  
დადო, ზემოდან კი საბანი დაახურეს ნათლიდედებმა ურარიცხული

ბიბლიოგრაფია

VI

თავადი ჯილავილების

უცელას, ვისთანაც კი პქონდა მსცლელობა თავის აღებ-მიცემო-  
ბის წყალობით, მიხა ძლიერ უყვარდა და თითქმის უცელასთან ისე  
იყო, როგორც შინაური, მაგრამ ისეთნაირად დაშინაურებული,  
როგორც ჯილაშვილების ოჯახში, არსად არ იყო. როგორც ნათელ-  
მირონი და ამასთანავე უწყინარი და „პატიოსანი კაცი“, — ასეთი  
სახელი პქონდა მიხას დამსახურებული. — მთელი ჯილაშვილების  
ოჯახში ძლიერ პატივცემული იყო. თვით მიხაც დიდად პატივსა  
სცემდა მთელ ოჯახობას და დიდადაც ჰსიამოვნებდა იმ წესით,  
რომელიც ერთხელ დამყარებულიყო ოჯახში და სუფევდა ყო-  
ველთვის. ჯილაშვილების ოჯახი ისეთი ოჯახი იყო, რომლის მიბაძ-  
ვა უცელა სხვა ოჯახებისათვის დიდად სასარგებლო იქნებოდა,  
მაგრამ არა რომელიმე ოჯახი არა ჰგავდა, თუმცა კი ყოველი ოჯა-  
ხი დამხაროდა მას.

მთელ ოჯახს ჯილაშვილებისას შეადგენდა ექვსი ალალი ძმა თა-  
ვიათი ცოლ-შვილით. დიდით პატარამდე კაცით დედაკაცისე  
ოჯახში იქნებოდა არა ნაელებ ორმოცი სულისა, ხოლო ამოდენა  
ხალხი მოქმედებდა ისე, როგორც ერთი კაცი.

ოჯახის უფროსად უცელანი პხედავდნენ უფროს ძმას გორგის.  
რომელიც იყო გუთნისდედა. მას ეკითხებოდა სახლში საზოგადოდ  
ყოველისფერი და კერძოდ გუთნისა და მიწის მოსავლის საქმე.  
მეორე ძმას — მიხას ეკითხებოდა ვენახის საქმე: შემუშავება, ყა-  
რაულობა მისი ყურძნის მოწევის დროს, ქვევრების გამზადება,  
დაქრეფა და დაწურვა ყურძნისა. ვაყიდვა და შინ მოხმარება ღვი-  
ნისა. მესამე ძმა — ივანე მეცხვარე იყო და მასშედ იყო დამოკი-  
ცებული ცხვრისა, მატყლისა და უცელის გაყიდვა, თუ შინ მოხმა-  
რება. მეოთხე ძმას — სოსიას მიბარებული პქონდა ხარ-ურემი და  
მისი საქმე იყო ძნის მოტანა და შეშა-ფიჩნისა, ხორბლის დაფქვა,

ჰარილზე, ქირაზე და სალიანში თევზზე წასკლა. მეხუთე ჟამ  
სკიმონა მეღორე იყო და ორის საქმეც ეკითხებოდა, სკიმონი  
წყალობით ყოველთვის აღებაში ორ-ორი და სამ-სამი დაკლული  
ორი ერთად იყო ხოლმე ჩამოყიდებული ჯიღაშვილებტერ წარმოშენები  
მახედვე იყო ნათქვაში და სიმღერაშიც კი ხმარობდნენ! ჭრის განვითარების სკიმონი  
სკიმონასა გუდით ფული მოქმედიანი იყო. მეექვე უმცროსი ძმა —  
ზაქარა მეძროხე იყო. მისი კითხული იყო, როდემდის უნდა ეწვე-  
ლათ ფურუბი და ორის გაეტანებინათ ფურუბისათვის თან ხპოვ-  
ბი, რომ დათამამებულიყვნენ, ან გასაყიდი, ან შინ დასაყლავი იქ-  
ნებოდა რამე სიბერის გამო... ძმები ერთმანეთს ხმას ისე არ გას-  
ცემდნენ, რომ არ დაემატებინათ: „ბიჭო, შენი კირიმე“. მაგალი-  
თად: „ბიჭო, შენი კირიმე, ერთი ურმის შებმა მიშველე“; „ბიჭო,  
შენი კირიმე, ერთი ღვინო ამაიღ“ და სხვა.

ექვსივ ძმა ცოლშვილიანი იყო და მათი ვაკიშვილები, შეძლე-  
ბისდაგვარად, ვინ რომელი საქმისათვის აღმოჩნდებოდა გამო-  
სადევი და სასაჩვებლო, ეშველებოლნენ თავიანთ მამა-ბიძათ,  
როცა მუშაობის ასაჭი მოდიოდნენ. სამი სახლის შვილი დაქორ-  
წილებული იყო და მათი ცოლებიც შველოდნენ დედამთილებს,  
როცა ეს უკანასკნელი კვირაში იდგნენ.

ყველა რძლები — ძის ცოლები ჯერჯერობით აკეთებდნენ ოჯა-  
ხურ საქმეს მთელი კვირაობით და ამსა ერქვა „კვირაში დგომა“. ერთი რძალი მთელ კვირას ცომსა ზელავდა და პურს აცხობდა,  
მეორე რძალს კი ამავე დროს საქმელი უნდა ეკეთებინა, წყალი  
ეზიდა ვიჩებით და თავის დროშე სადილ-ვაჭმი და სამხარ-  
საუზმე ემზადებინა. დანარჩენ ოთხ რძალს ამ კვირის განმავლობა-  
ში შეეძლოთ თავიანთი კერძო საქმე ეკეთებინათ. თუ რაიმე საჩ-  
ქარო საქმე არ იქნებოდა, როდესაც ყველის ხელი და დახმარება  
იყო საჭირო, როგორც მაგალითად საფქვავის მომზადება, კალი,  
რთველი, თესლის მომზადება და სხვა რამ ამგვარი. სახლის ქალე-  
ბისა და პატარძლების მოვალეობას კიდევ ის შეადგენდა, რომ  
უნდა შეშველებოდნენ კვირაში მდგომ ძალუებს, თუ დედამთი-  
ლებს.

როგორც ძმებში გიორგის ეკუთვნოდა პირველი ხმა და პატი-  
ვი, აგრეთვე მის ცოლს სალომეს ეძლეოდა უპირატესობა რძლებ-  
ში. როცა იგი კვირაში იდგა, ყველა რძალი ეშველებოდა და  
უმსუბუქებდა შჩომას, მხოლოდ მისი ვანსაკუთრებული მოვალე-

ობა იმაში მდგომარეობდა, რომ ვისაც უნდა გაეკეთებინა სახით.

✓ იმს უნდა გაერიგებინა.

ჭილაშვილების მრავალი ხელი და ერთი პირი და მოქმედება თითოთ საჩვენებელ მაგალითად იყო გადაქცეული. შეინჩისული ერთი გული, რომელიც ტრიალებდა მთელ მრავალზეც უძლიერ ში იყო მიზეზი მისი, რომ იგი ოჯახი, ჩატ დრო გადიოდა, უფრო და უფრო წარმატებაში შედიოდა და ყოველი მისი წარმომადგენელი გრძნობდა თავის თავს ნეტარ ცხოვრებასა და ყოფაში. სიმღიდიდრისა და ტებილ ცხოვრების ჩხა ჭილაშვილების ოჯახის ბევრ სხვა სოფელშიც პქონდა გავარდნილი. ამისი მიზეზი კი უფრო მიხა იყო. სადაც კი დარჩებოდა ღამით, ყველასთან და ყოველთვის ჭილაშვილების ოჯახის ამბავს და ქებას ლაპარაკობდა.

## VII

### უპირატორია პირველი

შეაღმე კარგა ხნის გადასული იყო, როცა მიხას გაეღვიძა და ჯერ არ გამორჩეულიყო ძილიდან, რომ მარჯვენა საფეოქელზე ხელი მოისვა. ხელის მოსმა და სიმწვავის გრძნობა ერთი იყო მეორედ რომ მიიტანა ხელი, შეამჩნია, რომ კანი პატარად, კოპიჭ-სავით ამოსჯდომობდა. მიხამ ყურადღება არ მიაქცია, იფიქრა, კო-ლო მიებრნდათ, და საკუ მიდო თავი დასაძინებლად, მაგრამ თვალზე რული აღარ ეკარებოდა, სიმსიცნე კი სასწრაფოდ ეზრდებოდა, კანი ძალზე უცხელდებოდა და გრძნობდა საშინელ სიმწვავეს. ბოლოს იქამდისაც მიაღწევინა ტევილმა, რომ ვმინვაც კი და-წყებინა.

ჩავარდა თუ არა ცაში ნათელი, გიორგიმ გამოილვიძა, წამოდგა ფეხზე, დაამთქნარა, ჩაახველა ხმის ამოსაწმენდად და ღაიძახა: „აბა, ბიჟებო, ადექით, გათენდა!“ მის ხმაზე და უველანი, ქალებიც და ბავშვებიც კი წამოიშალნენ და დაიწყეს ტანთ და ფეხთ ჩაცმა.

— რასა ჰემინავ, ნათლი? — შესძახა მიხას, გმინვას რომ მოჰკრა ყური.

— რა ვიცი, კაცო, მიებინა რამებ, თუ რა? ე საფეოქელი დამი-სივდა და მეწვება უდიერად. შეუთი წუთს თავიდან ფეხებამდე ისე გამწვავს, თითქო გახურებულ შანთებს მიტრიალებენ ამ ტანში.

მისა იმ განზრახვით წავიდა კალოებზე. — კალოები სოფტის  
მოშორებით იყო. — რომ აეკრიფა პური და ქერი თავებს ნისკებ-  
ში, მოეყარა ამაგბისათვის თავი ჯილდვილების კალოებზე და უკარგრი-  
ერთად წაელო შინ, როგორც მუდამ წერს ჩვეულებრივი მუსიკურული კუ-  
ამისათვის ისე პქონდა ნათვეამი ანანოსათვის. ორი ჯ ცამი კვრი-  
მოუკვიანდებოდა კალოებზე.

ანანო მიხს წასკლის შემდეგ ერთგულად ჩაუქდა საფეიტროს, მაგრამ ჩაღაცა მოუსკენრობა ეტყობოდა, თითქოს მიხს წასკლა დაედარდა, გული შემოკვენესოდა როგორლაც და უწევებდა, სულს, როცა წარმოუდგებოდა, როგორ გაჭიაყველდებოდა ორი-სამი კვირა მიხს მოლოდინში. მართალია, ხშირად ხდებოდა, რომ სამ კვირაზე უფრო მეტ დროსაც ჩნდებოდა ხოლმე მიხს სოფლებ-ში, მაგრამ ანანოს არც ერთხელ არ უგრძესია ასეთი შეშფოთებული თავისი მღვიმეარეობა მიხს მოშორებით, როგორც ეხლა. მიუხედავად იმისა, რომ მიხს სულ ორი დღის წასული იყო, ანანო მეორე დღესვე მოუსკენრად ნატრობდა მის დაბრუნებას და ისეც დაიმედიანდა კიდეც თავისი ნატრის შესრულებაში, რომ საეჭვოდ აღარ მიაჩნდა. მალიმალ გამოდიოდა გარეთ და იყურებოდა იქი-კენ. საიდანაც მიხს უნდა მოსულიყო.

მიხას წასკვლის მეორე დღე ღამდებოდა. რავი საყმაოდ დაბ-  
ნელდა, ანანომ თავი დაანება საფეიქროს, გავიდა დერეფანში, და-  
უძახა თავის სანდროს, რომელიც მეზობლის ბიჭებთან კოჭაობას  
თამაშობდა, მიიქცია პირი მიხას გზისაკენ და გულხელდაკრეფილი  
იყურებოდა. წამოერთა ხშირბინდი. ანანო შებრუნდა, შეიყვანა  
სანდრო, აანთო კრაქი და ის იყო უნდა ისევ ჩაჯდომოდა საფეიქ-  
როს, რომ ხმაურობა შემოესმა: „მაამო! მაამო!“ ერეკება ვილაც  
ხარებს. ამ ხმაურობაზე გავიდა ანანო გარეთ. დაინახა, რომ ურემი  
პირდაპირ მისი სახლისაკენ მოდიოდა. ურმის დანახვაზე ანანოს  
გული აუფანცქალდა შიშმორეული სიხარულისაგან. ოლონდ ის  
ეოცა, რომ მიხა სულადით დატვირთულ ურემშე წინ არ მოვიდა,  
არც ის ეჩვენა უაბბოდ, რომ მეურმე ძრიელ ჩუმალ და მოღუნე-  
ბით, გულწათხრობით ერეკებოდა ხარებს. რაღაც იდუმალი ხმით  
დააკენა ურემი და თავის ამხანაგს დაუძახა: აბა მოღიო! თითონ კი  
ისე შეიტა, თითქოს არ იცოდა, რა ეჭნა. როცა რამდენიმე წუთის  
შემდეგ გამოერევია, ჩამოხტა ურმილან, მივიდა ანანოსთან, რო-  
მელიც დერეფანში იდგა ისე. თითქოს გაჭვავებულათ და უთხრა:

— ნათლი ჯალაბო, ნათლია ავად გახდა და მოვარანეს! —

— როგორ თუ ავად გახდა! — შეპკივლა ანანომ და ეცარემ, სადაც მიხა ქვეშაგებში უგუშნოდ მდებარე დაჭხვდა. ურავრეული ანანოს კივილი ცისა სწვდებოდა. კივილზე მეტყველების უყოფა კაცებმა და მამაკაცებმა მოიყრეს თავი, ჩამოიღეს ურმილან ცოცხალ-მკედარი ავადმყოფი და შეიტანეს შინ.

მეურმემ უამბო გულშემოყრილ ანანოს, როგორ გახდა მიხა ავად. ანანომ მაშინვე აფრინა ერთი მეზობლის ბიჭი ექიმბაშ დედაკაცთან. რომელიც შინაური წამლებით სწამლობდა.

ნაბა თუ არა მმ დედაკაცმა შესივებული და წითლად ავარვა-რებული საფეთქელი ავადმყოფისა, მაშინვე სოქვა, მორიელის ნაკ-ბენიაო, აფრინა სწრაფად იგივე მეზობლის ბიჭი თავის სახლში: «გაიქა, გუნაცვალე, ჩვენსა, კოგოს უთხარ, თახჩაში რო პატარა ჭიჭილა დგა ის გამომიგზავნე-თქო, აბა, მალე!»

წაუსვა ექიმმა მიხას საფეთქელზე ზეთი, რომელშიც მკედარი მორიელი იღო, მორიელიც დაადო ნაკბენარზე. მაგრამ გვიანდა იყო: მიხამ მმ ღამესვე განუტევა სული.

ბევრი იხვეწი ანანო: სანდროს მამავ, — სახელს არც ტა-რილში ახსენებდა, — ნუ გვანებებ თავსა, ლვთის ანაბრობაზე ნუ გვტოვებო, მაგრამ მიხამ არ შეისმინა მისი ვეღრება.

ჭერ ისევ კალოზე, რა წამს უნახეს მიხას შესივებული და ჩა-წითლებული საფეთქელი, დიდით პატარამდე დაფაცურდნენ ჯილა-შეილის ოჯახში: დაუწყეს წამლობა. ცისაც რა გაეგონა და მო-გონდა მორიელის და გველის ნაკბენის წინააღმდეგ — ორში ერთ-სა სწამლობდნენ. მაგრამ ვერაფერი უშველეს. როცა ურემზე დააწ-ვინეს შინ წასალებად, მაშინვე გამოუტჩეველ სიცხეში იყო მიხა და უველას საეჭვოდ მიაჩნდა მისი მორჩენა. ამისათვის ჯილაშვილე-ბის ოჯახი მოუთმენლად ელოდა სოსიეს დაბრუნებას. დაბრუნდა იგი და მოიტანა მიხას გარდაცვალების ამბავი. ჩაზედაც გოორგიმ წამოიძახა:

— ოოვაზ! — და შემოპქრა ხელი ხელს. — რა გამოუვარდა საწყალს ასე ანაზღეულად!

— ჩვენ მაინც არ ვავხდომოდით მიზეზად იმ საცოდავს. — სოქვა მეორე ძმამ.

მანდილოსნებმა მეხლებში წაიშინეს და მოსთქვამდნენ: „უი, უსაწყალი, რა ანაზღად გამოუვარდა ი სიკვდილი, ქა!“ პატარძლებმა

յո, հռմլեմից յալու Շէցավճեն մեօրուլաւ, Շամսայ Շաբահանակ  
Տօպուլո და մოքյզեն նազլուանաւ մօխաւ ճանճենեბաւ.

Մեռու դղյա գոռջով քագրեծոն Շրեմի և սուլածու հաց թիսաւ  
շրջեծու նուսամո, յրտո Տապալո գյեզուլո დա յրուր Շաբահանակ  
Շեսմիցաւ დա ցացչացնա անանու. տանաւ դաւալա Տիպուշ: Ռիշայը  
լազեծամց ոյ քարիենուլուկ, հռմ քաքմահեծու ցապելուր յուլ  
ոչածեւ.

## VIII

### ՑՈՒՌՈՒ ՇՈՒՐ

Տրուլո Շցուր Շյուլովածու ցարարյս Ծյծուլաւ մօխամ დա ան-  
նօմ, մերց Շլու Շետրուլեծա ալաւ պալու Շյուտուուլմա.

Մօխա ար ոյս մանցպաժամանց Ծյծու մոցեծոն Անրունու դա արց  
ցուլուծու ամս. ոչո Նցուլու մետլու տաշուսա დա անանու նամ-  
հումի ხամեծ Տուլածի: յրտո ցագափրուլո ցասո Վյոնճա, պայլամ  
ուրու յս ցասո, արց յո ցագափրուլեն եռլումյ, մօխու մոցեծ մետ-  
լու ու ոյս, հռմ հռցա Տուլածու ամլեզճեն եռլումյ ხամեծմո.

Վ յունից „Տացաշենու“ Ծայպրու եռլումյ Ցոցո լութիս, Ցոցո որ  
լութիս დա Ցոցո մոմերյելուլսաւ. Խանգուսեան Տարցելունմաս ոմա-  
մուաց եցազճա, հռմ ხամեծմու ալեմելու Տուլածու յաս ցամու Վյոնճա.  
Տամյալո հուցեցու յո գուրու մոցեծ արս Վյոնճա. Ցացրամ հացա  
Վյոնճա, Ծյծուլաւ Տիպու տացու անանուտան յրտաւ დա արաւուրու  
ար ցագափենատ մատ ցագափեն Եյտուուլուսա დա արց յրտման-  
տուս. մետլու որչու յո ցագիան Շցուլեծու Տուլունուտ.  
Շցուր Շլու ցանմացլունմա ու Տուլ սամու ցացումյուն ցուլուտ. որո  
մատցան ցագազումա ոմենցուրմա, Տուլու Տուլու յո անանու  
ոմլաւ լացուրու մօխամ.

Անանու Շցուլեծու Տուլուն Վյոնճա, հռմելու ցագափենը  
յշրու-ուերունմաս քրուս, Ցացրամ Տամյանմա ու ցագափեն պայիս,  
հռցուր չուրամցուլու ոչածո: Ցեմա պերու, տու ցյեզուլո, տու  
սեցա համ, Տուլ չուրամցուլու պայնացնուն դա անանու նայսուց ხ-  
մեծսաց ու ունու տացու ոչածմու մալուն պայնուն մոմերյեն ցամաւ, այս  
հռմ, տություն արց յո ցացչա անանու յշրու-ուերունման Բար-  
մոմցահու նազլուլեցնեն, ուշմբա տացու մօխաւ պայցը Եյտու ոց-  
նեմեծ դա Տագուրածաւ մօխու Տագուրածու դա Ծյծու Վյոնճա.

სანდროს ისე ნებივრადა ზრდიდა ანანო. რომ ბევრითაგან და უკედრება „პრყვისო“, როს პასუხად რტყოდა: და რა კენა, თქვენი ჭირომეთ, ქა! მზე მაგაზე ამომდის და ჩამდის და ეგვიპტი გავანებივრო, მა რა შავი ქვა ვჭნა!“ ურარენალი

რვა წლისა შესრულდა სანდრო და ჯერაც ასამშენებლებს მცენებებს და. თუმცა ქალაქში წესად იყო მიღებული სანდროზე ბევრად პატარების მიცემა შეგირდად. როგორც უნდა გასძლოს დედის გულმა, როცა წარმოიდგეს, რომ ჩემ სანდროს პატარა ბეჭებში ოსტატი ჯოხებს ურტყამდეს.

მხოლოდ მაშინ მიიყვანა ანანომ სანდრო შეგირდად ხირაზთან, როცა თორმეტი წლისა შესრულდა იგი. ანანო ფიქრობდა: ჰარაბის ხელობა სასარგებლო ხელობაც არის და არც ისე გზათა უკან მოუხდება ტანტალი, როგორც საწყალმა მიხამ გზათა უკან ტანტალში მიაბარა უფალს თავისი ტქილი სული. სანდრო, რომელსაც დიდი კოკებით შეეძლო წყლის ზიდვა ოსტატის სახლში და კიდეც ეზიდებოდა, იღებდა კვირაში ექვს შაურს „შეგირდანას“, იმდენსავე, რამდენსაც მისი რვა წლის ამხანავი, რომელსაც არ შეეძლო არც წყლის ზიდვა დიდი კოკებით, არც იმდენი სხვა საქმე გაეკეთებინა ოსტატის ოხახში, რამდენსაც სანდრო აეთებდა. მართალია, ეს ამხანავი სჯობდა სანდროს მითი, რომ უფრო გაძელვითა და მკვირცხლად მიჰვარდებოდა ხოლმე მუშტას, დაუწყებდა ხელზე კოცნას „შეგირდანა გვაჩუქეო“ და მუშტას წასვლის შემდეგ ღიმილით ჩაუდებდა ხოლმე ხელში ოსტატს, რომელიც ასე შეგროვილი ფულიდან კვირის დამლევს — შაბათობით ურიგებდა შეგირდებს „შეგირდანას“, ხოლო თუ მეტი რამ დარჩებოდა, თავის-თვის იღებდა ჯიბეში. ვაი შეგირდების ბრალი, თუ მოხდებოდა ისე. რომ „შეგირდანის“ მისაცემი ფული უნდა გაეღო ოსტატს თავისი ჯიბიდან, მაშინ „შეგირდანის“ გაცემას თან ჯოხები და დედ-მამის შეკურთხება მოჰყვებოდა ხოლმე: იმდენი ვერ იშოვნეთ მთელ კვირაში, რომ თქვენ „შეგირდანას“ ჰყოფნიდათ.

სანდროს არ მოსწონდა თავისი ყოფაცხოვრება ოსტატთან, არაფრად ეჭაშნიერებოდა გვერდებსა და ბეჭებში უსაბაძოდ ჯოხების ზამპაზუმპი. ყოველ საღამოს შესჩიოდა დედას: დღეს ოსტატმა ხუთ-ექვსჯერ გამომარტყა ბეჭებშით; კოკა გამიტყდა წყალზე — ცალკე უღმერთოდა მცემა, ცალკე მთელი კვირის „შეგირდანა“ დამიჭირაო. ანანოს ამეების გავონებაზედ გულმუცელი ეხრუკი-

ბოდა, მაგრამ რას იზამდა, როცა შეგირდობის წესრიგი ასეთი  
იყო — ოსტატეაცებიდამ ესმოდა: შეგირდი კარგ ოსტატად გახს  
მოჰყავსო. ანან უკეთოვის გულს უკეთებდა, მაგრამ ჰინტერ  
სანდრომ ნახევარი წლის მეტი ვერ გაძლო ოსტატთან. ქართველი ის  
გადაჭრით განუცხადა დედას: გინდ მამკლა, ყელი ატეპული ეს  
იმას ვირჩევ და ოსტატთან კი ალარ წავალო. ანანმ სუადა ჯერ  
მოალერსებით დაცულებინა იგი წავლაზე. ალერსით რომ ვერას  
გახდა, ხვეწნა დაუწყო. ამითაც რომ ვერაფერი გააწყო, ახლა თა-  
ვი შეაბრალა და წარმოუდგინა თვალშინ მისი უნუგეშო მომავალი,  
თუ რამე ხელობას არ შეისწავლიდა. სანდრო კი შედგა ცოდ  
უარზე და ბოლოს ახანობაც თავი დაანება. ის საშუალება, რო-  
მელსაც გაჯავრებასა და წყევლა-კრულებს ეძახიან და რომელსაც  
ზოგიერთი მშობლება ხმარობენ თავისი შვილების მიმართ, ანანს  
ეძნელებოდა და არც უხმარია.

დაანება თავი სანდრომ ხარაზის ხელობას. დარჩა შინ მთელი  
ერთი წელიწადი. /ერთი წლის შემდეგ ახლა მჭედელთან მიაბარა  
უდამ, მაგრამ სანდრომ ვერც მჭედელთან იტანა შეგირდობა: რამ-  
დენსამე თვის შემდეგ გამოსტუდა დედას: ისევ ხარაზთან მიოჩევნია  
შეგირდობა მჭედელთან შეგირდობასო. მთელი დღე ჩემი ფეხი არ  
ჩაიხრება, სულ ფეხზე ვდგავარ და საბერველს ვებერავ და კვერსა  
ვცემ. თუ ცოტა ხანს შევდექი როგორმე კვერის ცემაში, ან  
დავგვანდი, მაშინვე გახურებულ მარწუხს წამომიაქებს ხოლმე  
თავშიო. გამგზავნის კიდევ შინ ან წყლის მისატანად, ან სხვა რა-  
მისთვის, იქ ოსტატს ცოლი ლანძლვითა და წყევლით მიღებსო. გინდა ისევ ხარაზს მიმაბარე, ან სხვა ხელობაშიო და მჭედელთან  
კი ალარ წავალო. ალარც წავიდა სანდრო არც თავის ოსტატთან და  
არც სხვა მჭედელთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ ანანმ დალაქს მიაბარა სანდრო. და-  
ლაქთან უფრო მომეტებულ ხანს დარჩა, მაგრამ დალაქობაც ვერ  
ისწავლა, რაღვანაც გულიანად არ აღევნებდა თვალყურს ოსტატს,  
როცა იგი ან თავსა ჰკრეჭდა ვისმეს, ან პირსა ჰპარსავდა, მაგაში  
სისხლის გამოშვებისა ეშინოდა კიდევ, ამისათვის ოსტატმა თვა-  
თონვე გააგდო, თუმცა სანდროს, სწორედ უნდა სოქვას კატა, ან  
უნდოდა გასვლა.

დალაქის შემდეგ ანანს აღარსად მიუყვანია სანდრო. ალარც  
დრო იყო შეგირდობისა თვრამეტ-ცხრამეტი წლის ვაკეაცისთვის.

ანანოს გულს ეყრებოდა, რომ ასეთი უცოდინარი და უაღმია  
შვილი გამოიუვიდა. ეს თავისთვის იყოს. კოქის თამაშიაბას მეტეჭა  
და ხშირად სოხოვდა დედას ოფლით ნაშოვნ ფულებს, რომ კოჭის  
თამაშიაბაში დადგებული ვალები გადაეხადნა. ეჭურუში ცრულები  
მოპარა სამი აბანი. მის შემდეგ კი ისეთ ადგილში მოტები მისე  
ნო ფულებს. რომ სანდრომ ვერასვზით ვერ მიაგნო.

მხოლოდ ერთ სალამოს გახარა ძლიერ სანდრომ დედა. მოვი-  
და შინ თუ არა, მიმართა ანანოს:

— დედიჯან, მე და მელქაანთ აღალომ ერთმანეთს პირობა  
შეივეცით ხეთ-ხუთი მანეთი გამოვილოთ, საწვრილმანო ვიყიდოთ  
და სოფლებში ვატაროთ. აღდვომა მომავალია. კი მოვებასა ვნა-  
ხამთ, ვირიც თავიანთი მოპყავს აღალოსა.

— შენ კი გენაცვალოს დედაშენი, შვილო, — უთხრა ამის  
გამგონე ანანომ, — აი მაგისთანა ამბებით გამოხარე ხოლმე-  
ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ჩემ დაობლებულ სანდროს.  
ღაუმატა ნათქვამს და აღაყრო ზეცას ხელი.

## IX

### იტერაჟარი

ღიღი ოთხშაბათი ღამდებოდა. სოფელ მ...ს ეკლესიის ზარი  
წევედა დიდ ხუთშაბათის მაზიარებელ ხალხს ეკლესიაში. მღვდე-  
ლი, რომელსაც ის იყო გაეთავებინა აღსარების თქმევინება. თავ-  
შიშეელა, გასპეტავებული თეთრი თმითა და წვერით, მარტო კაბის  
ანაბარა ბოლოსას სცემდა ეზოში და თანაც გაღამყურებდა ფერ-  
დობზე შემოფენილ ჯგუფ-ჯგუფად ეკლესიისაეკნ მომავალ საზია-  
რებელ ხალხს. წინ მოდიოდნენ მამაკაცები, მათ მოშორებით უკან  
თეთრ მანდილებში გახვეული დედაკაცები. როგორც მამაკაცთა  
ჯგუფში, ისე დედაკაცთა ჯგუფშიც ერივნენ ყმაწვილი ბიჭები და  
კვერცხი. ორთავე ჯგუფს ხმამაღალი საუბარი ჰქონდათ, ხოლო  
საგანი საუბრისა სხვადასხვა იყო. მამაკაცნი გაპყურებდნენ გამწ-  
ვანებულ მინდვრებს და შესჩიოდნენ ერთმანეთს: დალოცვილი  
ღმერთი წვიმას იღარ იმეტებს ჩვენთვისაო. ჯეგილებს ყვითელი  
ფერი დასცემთ უწვიობისაგან! ბიჭები ერთმანეთს პირობას  
აქლევდნენ, ლოცვის შემდეგ დავათთოთ კიაკოკონა და ვიხტუნაო-  
თო, თორებ ამოწვა დაგვეკებება მკათვეში და მკაში დაგვიშ-

ლისო. მანდილოსანთ იმაზე ჰქონდათ ბაასი, თუ რა მოგვიახლო  
შოსცდა ზარებას ტასია. ზოგი აბბობდა სიზმარი უზახვესო — ზო-  
გი — ერთი წყვილი შაბათ-კვირისა სეფისკვერის მეტისა არა  
ჰქონდა აღებული და იმაზე დაიშალა ზიარებათ. ურა 136 ელი

— ქოდა, ქა, ჩემი პალიკ არ ეზიარება ხოლმეტმიტკას ჭყაფა  
ლი სეფისკვერი მაინც არ აიღო და იმოდენა დედაგაცს უნდა მიე-  
ღო წმინდა საიდუმლო ერთი წყვილი სეფისკვერით?! — წარ-  
მოსთქვა ერთმა მანდილოსანშა.

ვინ იცის კიდევ რას ასახელებდნენ ამ გარემოების მიზეზად.  
გოგოები კი ერთმანეთს შეჰქვეხოდნენ: მე დედაჩემმა ისეთი სა-  
უურეები მიყიდა საალდგომოდ, რომ ბატონისთ ქალებსაც არ ექ-  
ნებათ ისეთით. — ამბობდა ერთი. მე კიდე ისეთი ბეჭდები მიყი-  
და დედამ, თითქოს ნატვრისთველები უსხდესო, — იკვეხოდა მეო-  
რე. ცველა თავისას კვეხულობდა და აქებდა. თქვე საწყლებო,  
თქვენა, თქვენთვის ძვირად მოუყიდნიათ. ეხლა გააიაფეს და კარ-  
გი საწყრილმანოც გამოიჩინეს... ეხლა ჩემსა არიან მეწვრიმა-  
ლეები. დედაჩემმა მითხრა, ისეთ საყურეებსა და ბეჭდებს გიყი-  
დით. რომ მთელ სოფელში არავის ჰქონდესო, — იკვეხოდა კიდევ  
ერთი. თუმცა კი გულნატკენობა ეტყობოდა, რომ ჯერჯერობით  
არაფერი ჰქონდა ნაყიდი.

ზარის რეკვა ჯერ არ შეწყვეტილიყო, როცა ცველა ვენახში  
თავსა და ბოლოში და შეა წელში ძეიაყელდა ზეცისაკენ თეთრად  
და სწორე სვეტებად ბოლი, რომელიც რაც უფრო მალლდებოდა,  
ტრიალით განივრდებოდა, მერე ქუჩებოდა ერთ ადგილას, სქელ-  
დებოდა და ეძლეოდა შევი ღრუბლის ფერი. შემდევ ბოლის და-  
საწყისში უცბად იელვებდა ცეცხლის ალი და ძლიერდებოდა  
ჭიაყოფნა.

სოფლის წვრილფეხობა, რომელთაც ვერ შეეძლოთ დასწრე-  
ბოდნენ ვენახებში დანთებულ ჭიაყოფნებს, ზრიამულით უცემა-  
დნენ გაძლიერებულ კოცონს, გულის ფანცქალით მოელოდნენ  
შისი ჩასვლას, რომ სახლების ეზოებში აენთოთ და თუ თვითონ  
ვერ იხტუნებდნენ ალზე, დიღრონებისათვის მაინც ეცემინათ და  
გარშემო ერბინათ.

როცა სოფლის წვრილფეხობა ასე გულისფანცქალით მოელო-  
და მზის ჩასვლას, ორი მეწვრილმანე, რომელთაც ჩამოეხადნათ  
საწვრილმანო ერთი სახლის დერეფანში და რომელთაც შემომხვე-

ოდა ბლომა მუშტარი, გულისავე ფანტალით შეჰყურებონან  
უფრო ერთი მათგანი — ჩამავალ მზეს, რომელსაც შეკვეთით  
იგი ერთი: „შე დალოცვილო მზევ, რა მიგარბენინებს უტრე შეკუპება  
ცოტა მოიცადე. რომ ლვოისაგან დალოცვილ მუშტრებინან უტრე შეკუპება  
ლო მთელი საწვრილმანო, რა იქნება, დაგვაცალო“. შესრულების გა-  
ტაცებით იძახოდა: „აი, გავათავეთ, იაფად საწვრილმანო, იჩქა-  
რეთ!..“ და თანაც უჩენებდა მუშტარ დედაკაცებს ხრიკებს, ლი-  
ლებს, ნემსებს, კოშის ძაფებს, საყურებებს, ბეჭდებს, ლილას, სა-  
პონს, მძივებს, ინს, გუნდას... ამაზე მეტი სხვა კი აზაფერი  
ჰქონდათ. მუშტარი კი იმოლენა ეხვეოდა, რომ აღარ იცოდა, საით  
მიერედნა, როცა ეძახოდნენ და სთხოვდნენ ამა თუ იმ საქონლის  
ჩვენებას. ის ამხანაგი კი, მზეს რომ აჩქარებას საყვედლურობდა,  
იდგა მუშტრის წრეში ჩუმად; ერთ ხელში კალათა ეჭირა კვერ-  
ცხებით სავსე, მეორე ხელი ვირის კისერშე ჰქონდა გადადებული.  
ვაჭრობაში სრულიად არ ერეოდა და უფრო მებარგულეს ჰგავდა,  
ვიდრე ამხანაგს.

შისი თხოვნა მაინც არ შეისმინა მზემ და თავის დროზე ჩაეს-  
ვენა თავის სავარებელში. წამოეწია არემარეს ხშირბინდი და გაძ-  
ლიერდა ჭიაკოვნები სახლის ეზოებშიც. დაწყეს ალზე ხტომა.  
კისაც შეეძლო. მალე მეტვრილმანებიც ჩაერიგნენ, რადგან  
საწვრილმანო აალავს და ლამის გასათვად იქვე დარჩნენ. სადაც  
საწვრილმანო ჰქონდათ გაშლილი.

როცა ჩაქრა ჭიაკოვნები, ასტყდა ტაშტების ელარუნი და  
სახლების შემოფარგვლა, რომ კულიანები ველარ მიქარებოდნენ:  
ფეხზე ბაწარმობმულ ბიჭს ეჭირა ხელში ტაშტი, რომელსაც ჭიბს  
ურაბუნებდა. ბაწარი ეჭირა ხელში გოგოს, რომელიც ბიჭის კვალს  
ნაცარს აყრიდა და ასე უვლიდნენ სახლს გარშემო.

## X

### მოკლე ვინაობა

აღალოს წინაპარნი დიდი ხნის გადმოსულნი იყვნენ ყარაბაღი-  
დან ქალაქ საწინლაში. აღალოს მამას მელიქს ქალაქის ერთ მიუ-  
რუებულ უბანში ჰქონდა პატარა მიწური სახლი თრი ნაბიჯი  
ეზოთი. სხვა აზაფერი გააჩნდა თავის ბედობაზე და ვერც ცოლ-  
შვილის რჩენას შესძლებდა, თუ თავისი მოქმედება და მნეობა

ქალაქში დაეტრიალებინა და ოსტატური ღონისძიების მომზადებით  
სოფელში არ გადაეტანა იგი მოქმედება.

გამონახა მელიქმა ისეთი კეთილსიმყოფელი, რომელმაც საკუ-  
ნა ხუთმეტიოდე მანქოთ და ამ თანხით დაიწყო ვაჭრუჭა შეუფლებელი  
ვაჭრობის მეობებით ცხოვრობდა და აცხოვებდა კურუჭურუჭა შეუ-  
მხოლოდ ვერც ერთ სოფელში ვერ მოიყიდა მუდმივი ბინა. თუ  
ყოველ წელს არა, ორი-სამი წლის შემდეგ უსათუოდ აშლილა  
დუქანს ერთ სოფელში და გადაკენდა მეორეში იმ მოსაზრებით,  
რომ მეორე სოფელში უფრო კარგ მოვებას ნახავდა. არც ერთ  
სოფელს კი არ სტოვებდა ისე. რომ წასვლის შემდეგ ნისიები არ  
დაენარჩუნებინა.

აღალო შვიდი წლისა იყო. რაცა პირველად წაიყვანა მამის  
სოფელში — ლუქანში ოვალის დასაცერიად, როდესაც იგი საქმის  
გამო თავს ანებებდა დუქანს. მაგრამ აღალო ისე მაღლ მიხვდა მა-  
მის ვაჭრობის წესს. რომ სრულიად შეუცდენლად ვაჭრობდა  
უმისოდ, არც კი ისეთი რთული და გაძლიერებული ვაჭრობა  
ჰქონდა მელიქას, რომ მის შვილს გასჭირებოდა შეგნება ვაჭრობის  
შინაარჩინა. სულ ათი-ოთხომეტი თუმნით ატრიალუბდა მთელ  
თავის ვაჭრობას. ეს ფული საქმარისი იყო, რომ ყოველნაირად  
შეშუდი, რასაც კი სოფელში ჰქითხულობდნენ, ჰქონდა ულევლად.

მელიქა რომ გარდაცვალა, აღალთ თორმეტი წლისა დარჩა. ხოლო დახელოვნებული კი იყო ვაჭრობაში და უშიშრად შეეძლო გაეძლიერებინა მამისაგან დაწყებული საქმე, მაგრამ დედამ ას ურჩია და შეილმაც აალაგა დეკანი. რაც რამ დარჩა დაუქანში მელიქს სიკეთილის შემდეგ, ზოგი მაშინვე ფულად აქცია მისმა ქვრივმა მარმარამ, ზოგი შეინახა — მაგალითად. საწვრილმანო და შეუსრულა თუ არა წესრიგი თავის მიცვალებულს. მიიამხანავა ერთი თავისავით ქვრივი დედაკაცი, ამოიდო ილიაში პატარა ყუთი საწვრილმანოთი და გაუდგა თავის ამხანავით სოფლებს, სა-დაც წინათ ქმარი ვაჭრობდა. მარმარა თან საწვრიმალოთი ვაჭრობდა, თანაც ქმრის ნისიებს ჰკრეფავდა. ქვრივ-ოხრის ცოდო და დაბრივება არავინ ინდომა: კისაც რა ემართა, ზოგი აძლევდა, თუ შეეძლო. ზოგიც თამასუქებს უწერდა. ძველი, ქმრის ღრმის, თამასუქებიც გააახლებინა და ის პატარა ყუთი. რომლითაც საწვრიმალო წაიოო სოფლებში, გააქსო თამასუქებით.

აღალო მარმარიტ ბაყალთან მიეკუთხა. ბაყალმა იგი მას ჩა-

უენა დახლში, მაგრამ ორი წლის შემდეგ რაღაცა ყალბობა  
ღალატი შეამჩნია და დაითხოვა. მა გარემოებამ სუ გრძელება  
ხელი, რომ შემდეგში აღარავინ გაიკარა ახლო. უსაქმიბის გამო  
აღალომ ყომარის თამაშობას მიჰყო ხელი და ძლიერად შრისტონებული  
კოჭი. ამ თამაშობაში გაიცნ სანდრო. რომელთქმის უსაქმი  
თამაშობდა და ყოველთვისაც უგებდა ფულს. სანდრომ და აღა-  
ლომ, როგორც მეგობრებმა და კოჭის თამაშობაში ამფსონებმა,  
შეადგინეს ამხანაგობა და გაღამშეყვიტეს ატარონ სოფელ-მოფელ  
საწვრილმანო და ივაჭრონ. ამისთანა გადაწყვეტილებით ძლიერ  
კაახარეს თავიანთი ქვრივ-ოხერი დედები.

## X I

### ვარალი ჯარისილი აჩხანაში

დიდ ოთხშაბათს სწორედ ათი დღე შესრულდა. რაც აღალო  
და სანდრო შინიდან გავიღნენ სავაჭროდ. დიდი ალიაქოთი შეუდ-  
გათ დედებს შვილების შინიდან გასტუმრების წინ. შეიყარნენ  
ორივენი ერთად ანანოს სახლში, გაფაციცებით ვშველოდნენ შვი-  
ლებს საწვრიმალოს ჩალაგებას და თანაც ევედრებოლნენ ღმერთს:  
„ღმერთო, შენ გადასწერე პირვერი, ღმერთო, შენ მიეცი შვი-  
ლობის მგზავრობა და მოგება, ღმერთო, ორი ობოლი მიეკედლა  
ერთმანეთს და შენ მოუმართე ხელი“... და სხვა ამგვარებს შეს-  
თხოვდნენ ღმერთს. უფრო ხშირად ანანო ულოცავდა გზას და  
ევედრებოდა ღმერთს მათ მშვიდობიან და ჩქარი დაბრუნებას, რად-  
განაც სანდროს შინიდან ქალაქებარეთ გასვლა პირველი შემთხვევა  
იყო. აღალოს დედა კი მაგრე რიგად არა სწუხდა შვილის მოშო-  
რებას. იგი დიდი ხანია შეჩევეული იყო ამას. იმაშიც დარწმუნებუ-  
ლი იყო, რომ აღალო კეუს არ წააგებდა, როგორც მეწვრილმა-  
ნეობაში კარგა ხნის გაწვრითნილი.

უველავერი ვერ გაასაღეს მეწვრილმანებმა, დარჩათ კოდევ  
გასასყიდი ცოტ-ცოტა ყოველნაირი შეშუდისა. ამისაც მეორე  
დღეს გაასაღებდნენ, რომ დარჩომილიყვნენ სოფელში. რადგანაც  
აღლებომა ახლოვდებოდა, აღარ მოიცადეს და დილა ადრიანად დიდ  
ხუთშაბათს გაუდგნენ გზას. სანდროს მოწყინა მეწვრილმანობა  
და გულით მიეშურებოდა შინისაკენ.

გაიარეს მეწვრილმანებმა კარგი გზა. ერთ ადგილის მოწყობისა  
და შევენიერი მობიბინებული მწვანე ბალახი. ჩამოხადეთ ვის სა-  
პალნე, თვითონ ისაუზმეს, ვირი ბალაბზე მიადეს.

— აბა ერთი ვიანგარიშოთ, აღალოვან, რა გვაქვს როგორც უკა-  
უთხრა საუშმის შემდეგ სანდრომ.

შემდეგ მოგვიარეობა

ფულები, რასაც ვაჭრობდნენ, სულ აღალოსა ჰქონდა შენისუ-  
ლი. მოილო უბის ჯიბიდან ქალალდისა და თეთრი ფულები, შავი  
ფული კი ხელსახოცში გამოკრული ჯიბეში ედო. დაიწყო თველა.  
დათვალა თექვსმეტი მანეთი და ცნრა შაური კაპეიკ ნაელებ. დათ-  
ვალეს კვერცხებიც. თუ გაპყიდდნენ, სამ მანეთს კვერცხში ამოიღე-  
ბნენ. სამი აბაზისაც გამომცხვარი პური ჰქონდათ. გაუჟიდველი  
საწვრილმანოს ფასიც გამოიანგარიშეს იმის კვალობაზედ, როგორ  
ჰყიდდნენ, და ისიც რთხი მანეთისა გამოვიდა. რასაც სჭამდნენ ათი  
დღის განმავლობაში, მა სხვა იყო. ანგარიშის შემდეგ ამხანავებმა  
ერთმანეთს სიამოვნებით შექსედეს და თქვეს: „ბიჭოს! კა მოვება  
ვნახეთ!“ და აქვე გადასწყვიტეს დანარჩენ საწვრილმანოსათვის  
მიემატებინათ კიდევ და აღდგომის შემდეგ წასულიყვნენ ღრეო-  
ბებში სავაჭროდ. გამომცხვარი პურისა და კვერცხების გაყოფა შინ  
მისვლამდის გადადეს. ფულის გაყოფა კი ეხლავე მოინდომა  
სანდრომ.

— ცარიელი ჯიბით ხომ ვერ მივალ შინ? რას შეტყვის დე-  
დახები! — უთხრა აღალოს, როცა მან ურჩია ფულიც შინ გავი-  
ყოთო. აიღეს ჯერ ხუთ-ხუთი მანეთი თავნი. როცა ჯერი მიდგა  
სარგებლის გაყოფაშე, აღალომ თქვა:

— წესი და რიგია, რომ ვიჩსაც წილი მივცეთ... რამდენი შივ-  
ცეთ ვიჩსა?

— რას ამბობ, კაცო, ვიზს რა უნდა მივცეთ! — წამოიძახა  
სანდრომ მრისხანებული, — შინ რო დაგეგდო ვირი, საჭმელი არ  
მოუნდებოდა?.. რამდენი აბაზის თივა და ქერი დასტირდებოდა?..  
თუ არადა რატომ მაშინვე არ მითხარ? რა დიდი საპალნე მაგის  
ეკიდა, ზურგით ვერ ვატარებდათ, რა?!

— ვა, თვისი საჭმლის ფასს შეშა-ფიჩხის მოტანით მაინც არ  
აიღებდა, შინ რომ დამეგდო? ვინ რას იტყოდა, ზურგით რო გვე-  
ტარებინა საწვრილმანო? თუ არადა მთელ წილს ხომ არა ვთხოუ-  
ლობ, ჩემთ ძმაო, დღეში ორი შაური მივცეთ...

— რის ორი შაური! — შეკეცირა სანდრომ, — თუ ვინდა, აი

- ✓ ორი აბაზი და რვა გროში რო არი ბუჩული, ის აიღე, არადა მოგცემ.
- არადა, მივიდეთ შინ... ერთ ღვთის კაცსა ვკითხოთ და კო-  
კორც იმან გადაწყვიტოს, ისე მოვიქცეთ. რამდენსაც ურაშურუშები  
მივცეთ. დანარჩენი მოგებაც შინ გაუყოთ თანამწორუშებიც და მის ე
- სანდრო უარზე შედგა. უნდოდა უსათუოდ შინ მოგებული  
ფულით მისულიყო და მეტი გზა რომ არა პქონდა, ვირისათვის  
დათანხმდა ორი შაურის მიცემაზე დღეში. მოგებული ფულიდამ  
აღალომ ვირის წილად ერთი მანეთი გადადო. დარჩა ხუთი მანეთი  
და ორმოცდაოთხი კაპიკი, რომელიც შეაზე გაიყვეს.
- მოდი, კოჭი გავიგოროთ. მანამ ვირი დაისვენებს. — უთხ-  
რა აღალომ სანდროს.
- სანდრო სიმოვნებით დაჰყევა.
- დაწყეს ყომარი. ჯერ სანდრო იგებდა. მერე კი გაუბრუნდა  
კოჭი და აღალოს მოსდიოდა თამაშობა. სანდრომ წააგო შეიდი  
მანეთი. როცა შემდეგ ამას მოერგო ჯერი და ყარა კოჭი, ერთი  
კოჭი ისე დაჯდა, რომ არც ალჩუ იყო, არც თაფი. სანდრო ამტკი-  
ცებდა ალჩუამ, რადგან ამით იგებდა. აღალო კი ამტკიცებდა  
თაფიამ. იორო ამ უკანასკნელმა კოჭი, დაარტყა სადაო კოჭს ისე,  
რომ თაფად გაღმოტრიალდა. შენ არ დაარტყა კოჭი ისე, რო-  
გორც უნდოდაო, — უთხრა სანდრომ. შეკუვნენ ამაზე. აღალომ  
გულმოსულზე უთხრა: „ეი, ბიჭო, კეკას მოდი, და!..“ სანდროს  
მაშინვე აემდვრა გული, როცა აღალომ ვირის წილად ერთი მანე-  
თი გადადო. ფულის წაგებამ გულის ამღვრევა უმატა და ახლა. როცა  
ეს სიტყვებიც მიემატა ყოველ ამას, ვეღარ შეიმაგრა თავი,  
ეცა ვეფხვივით აღალოს, ამოიდო ქეეშ და წაუშინა თავ-პირში.
- აღალო დიდხანს გონს ვერ მოვიდა. რა ხდებოდა იმის თავს.
- ✓ როცა იგრძნო ცემა-ტყეპა და დაითავხელა, დასწვდა სანდროს  
მელავში, უკბინა და ისეთი ყვირილი დააწყებინა. რომ იმის ხმა  
ცასა სწვდებოდა. სანამ ყელში არ წაუჭირა ხელი, აღალომ არ  
მოაშორა კბილები მის მელავს. სანდრომ გაანება თავი აღალოს,
- J იტაცა მეორე ხელი ნაებენ ადგილზე და გამწვავებულმა დაიწყო
- ✓ ხტუნვა და ხელაკვნა ტანისა. აღალო კი წამოხტა, გადგა განზე და  
დაუშინა ქვა. სანდროს აინუნშიაც არ მოსდიოდა ქვის სროლა.  
იმას ისევ ნაებენზე ედო ხელი, ტრიალებდა ხვლაკვნით ერთ ადგი-  
ლას და ყვიროდა: ვამე, დედავო! ხოლო, როცა მოხვდა ერთი

ქვა ბეჭებში, მეორე თავში, ხოლო მესამე ქვა ჩაეცა კვერცხებით  
საკუნძულო კალათში, მაშინ კი გამოეყიდა აღალოს. რომელიც ხან გარ-  
ბოდა, ხან უბრუნებდა ქვას და ესროდა, დაიჭირა, ისევ ამთაც  
ქვეშ და შეუბრალებლად წაუშინა მუშტები. ეხლა ველაზე მუშტები და ლუკები  
ხა აღალომ კენა, მხოლოდ პირისახეს ჰლადრავდა დურკუნის მუშტები  
როდა: მიშველეთ, მკლავსო! ვინ იცის, როგორი ბოლო ექნებოდა  
ამ ჩხებს, აღალოს ბედზე ერთ მგზავრს რომ არ გამოევლო იმ  
გზით, ძლიერ იხსნა მან მთლად დაბეგვილი აღალო გააფორებულ  
სანდროს ხელიდან.

ჯერ კოჭის თამაშში და მერე ჩხებში ისე გაეპარათ სანდროსა  
და აღალოს დღე, რომ როცა მგზავრმა მოჩხებრები გამვეღა-  
მზე ჩასვალზე იყო, გზა კი დიდი ჰქონდათ გასავლელი.

კარგა ღამე იყო გასული, როცა შინ მოვიდნენ. სანდრომ  
კვერცხები მიატანა შინ, რადგანაც კალათას ის ატარებდა, აღალომ  
კი დანარჩენი საწვრილმანო და პერი წაიღო — ყველა ესენი  
ვირს ეკიდა.

როცა ანანომ კრაქის შექნე დაუნახა სანდროს გასისხლიანე-  
ბული და დაკაწრული პირისახე, გულის კანკალით ჰქითხა: რა მო-  
გვიდა, შვილო, სისხლი რათა გაქვს თავ-პირზეო. სანდრომ დაწვ-  
რილებით უამბო თავისი თავგადასავალი. ანანო ისმენდა და ხა-  
მეშ-ხამეშ იშენდა თავ-პირში მუშტებს.

მეორე დილით, წითელ პარასკევეს, აღალოს დედას დაეჭირა  
ხელში ნახევარი გამომცხვარი პერისა, მოვიდა ანანოსთან და  
მიესალმა: „დილა კარგად ყუთნისა“. პარუხად ანანომ მხოლოდ  
უერად შექმნედა. მარმარამ ამას ყურადღება არ მიაქცია და გააგრ-  
ძელა: „აი, ანანო, სანდროს წილი პერები მოვიტანე. კვერცხებიც  
გავუყოთ ახლა“.

— რა კვერცხები უნდა გიყო? — შეუტია ანანომ. — იმოდენა  
უუღზე ხელი დააბანინა შენმა ბიჭმა, დარჩენილი საწვრილმანო  
აქა გაქვს და კვერცხებსაც მოსტირი. შე უნამუსო?

— როგორ თუ კვერცხებს მოვტირი! მოვტირი კი არა, ჩემი  
შეილის ოფლა ვთხოულობ.

— იმოდენა ოფლიდან რო დაცალა ჩემი ბიჭი, ის არავერია?

— დაცალა რა, მეტი იღლ წილში, თუ წამორთვა? ან იქნება  
აჩქა? კოჭი მოუგო აღალ-მართლად და გამოართვა: მა რად  
შეაწევდა! საწვრილმანოს, როგორც შაოთქვენენ. გაუყოფს, სხვა  
რაღა გინდა, რას დავობ?

— ისე ალალმა ლმერომა იმას უშეველოს, როგორც იმან /ასულად მოუგო!

- ✓ — დედაკაცო, რამ გაგაგიქა და გაგაცოფა? ლმერი ქვეშ რად  
მიგდებ შეილსა, რა დაუშევებია განა? უროვნელი
- ✓ — დედას რომ მოუკვდეს და თვალებიც იმას ჰუნტუზიშიც მიუჩ  
შენ მშედასაბნელებელ ალალოსა! პირში ჩალა გამოვლო ჩემ  
სანდროსა იმ პირგძასაშავებელმა და რა დაუშევებიაო, ქა!.. დამიხეთ  
ამასა!..

— დედასაც შენი შვილი მოუკვდეს და თვალებიც იმას დაუდ-  
გეს და შენც, თუ კარგია!.. რას ემართლები ჩემ შვილსა. შე ასეთ-  
ისეთო!.. მე უნდა ვჩიოდე, რო ბიჭი ცემით კინალამ მოკლა და  
შენვე ხარ დიდი გულითა, შე გაგლეჭილო?! შენი შვილი რო ბე-  
ღოვლათი იყოს და უბირი, ჩემი ალალ რა შეაშია? რათ ეთამაშა  
ეგ შენი დოყლაპია კოჭი, როცა შნო არა აქვს, ჰა?! შე შვილ-  
მკვდარო და გულშევდარო!

შეჰყუნენ ამაზე და კარგა გამოლანდეს ერთმანეთი. მაინც არ  
დაანება ანანომ კვერცხები. სამაგიეროდ საწვრილმანოდან კუთვ-  
ნილი წილი დამსუთეს სანდროს.

ამის შემდეგ ანანო დაუსრულებელ ფიქრსა და საკონებელში  
ჩავარდა. სანდროს მომავალმა გაუცრუვა იმედები, დაუმძიმდა  
გული. მარმარას სიტუვებმა გული დაუღარა. „ბედოვლათია, ბე-  
ღოვლათი, უსაქმერი დოყლაპია! რა ვენა, რა წყალს მივცე ჩემი  
უბედური თვეი“, — სწუხდა ანანო და ეს წუხილი მით უფრო  
მწვავდებოდა, რომ უწინ სანდროს მომავალზე რო ფიქრობდა,  
რო ხედავდა მის უიბლობას, თავს ინუგეშებდა ხოლმე — ვინი-  
ცობაა სანდრო უსაქმოდ დარჩებოდა და ცხოვრების უნარს ვერ  
გამოიჩინდა, ჯილაშვილების ოჯახით იმედოვნებდა; ის ხომ მუდამ  
მშობლიურ ზრუნვას არ იყლებდა ანანოს ოჯახს. იხლა კი დაირღვა  
ის სასიჭადულო მამაპაპური ოჯახიც, განიავდა უცნაურად, მოუ-  
ღოდნელად.

## XII

მიზანი ივახის არავ-დარევისა

რაი გეგენამ, მეოთხე ძმის ვაერშვილმა, თავზე ხელის მოსმა  
შესძლო, იგი ჩააგდეს, როგორც ჭილაშვილების ოჯახს პქონდა და-  
წესებული, საქმეში, მაგრამ რასაც კი მიანდობდნენ მას, ყველა

საქმეში გვენა ცულლუტობას იჩენდა. ბევრი ფიქრისა და ტექნიკური შემდეგ მამაკაცებმა ერთხმად დასასვენეს, რომ თუ ხადვერ გამოიყენდა გვევანა, ისევ ცხვარშია და მიაჩინეს მესამე ძმეს ივარება. შეცხვარეს. არც მოტუზულდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მარტინი და არ რას უამბობდა ძმებს:

— გვევანა ღმერთს მეცხვარედ გაუჩენია. როცა ფარა გაშლილია მინდორის და სძოვს, არც დაჭდება თავის დღეში, არც ზურგს შეაქცევს როდისმე ფარას. დაეყულება კომპალს და ისე შეპყურებს ფარას, წუთით არ მოაშორებს თვალსა.

ივანეს ქებამ გაახარა ცველანი, მომეტებულად კი დედ-მამა, რომელთაც გვევანას ცულლუტობა და ყალთაბანდობა წინათ გულში ლახვარივით ესობოდათ. ახლა ის გაუხდათ სამშუბაროდ, რომ გვევანა დიდ უურადლებას იქცევდა თავის თვესა და ჩაცმა-და-ხურვას.

მთელი ოჯახობა, კაცი თუ დედაქაცი, დიდი თუ პატარა, ოჯახის ხარჯით იცვალ-იხურამდა, ამისათვის მათ ტანსაცმლის ერთგვარობა ეტყობოდა. ბევრჯელ მოხდებოდა ხოლმე ისე. რომ დაქორწინებულ სახლიშვილს ჩოხა-შალვარი არ ეცვა, ჩიხის მაგიერობას ახალ ახალუხშე ჩატყული ძეელი ახალუხი ასრულებდა. ჩოხა-შალვარი კი მიაჩნდათ მოსაჩრთავად რომელისამე შესანიშნავ შემთხვევისათვის ან დღესასწაულისათვის.... ჩვეულებრივ გლეხურსა კმარობდნენ. არცთ ყველას ჰქონდა თავ-თავისი ჩოხა-შალვარი. ვისაც ჰქონდა, იმისით იოლას მიღიოდნენ უქონლებაც — ერთმანეთისას იცვამდნენ. მომეტებული ნაწილი სახლიშვალებიც ბევრჯერ აღდგომასაც კი უჩიხოდ მიკებებიან, მაგრამ მაინც ამითი გული არა სტკენიათ. სამაგიეროდ სხვა უსაჭიროები სამოსი ყველას უხვი და უკლებელი ჰქონდა. არც არავინ ზრუნავდა, შეეძინა უსაჭიროების სამოსსხე ზედმეტი და მოხდენილი სამკაული. არც არავინ უკრავდა წისხლს ჭილაშვილების ოჯახის წევრებს უბრალო ჩატყა-დახურვისათვის. ერთადერთი გვევანა იყო. რომელიც არ ემორჩილებოდა ოჯახში მიღებულ ჩაცმა-დახურვის წესს. იმას უყვარდა უოველთვის ჩოხა-შალვარში გამოპარანტვა. ჭრელი წინდებითა და საცვეთებით მოჩინვა და გვერდზე ნაბდის ქუდის მოგდება. პატარა მეშით გადაკრული საკეცი სარკეც უოველთვის ჭიბეში ედო და ხშირ-ხშირად იყურებოდა შიგ. ერთგულად იგრეხდა კირნებსა და მობუსუსებულ ულვაშებს.

გეგენას არაფერი დამაბრკოლებელი მიზეზი არ უკერძებოდა  
სურვილის ასრულებაში ჩაცმა-დახურვის შესახებ. მეცხვარე მისი  
ძლიერ განებივრებული ჰყავდა და ყოველთვის უცრად უფლება  
დილს. ისე არ ჩატარებდა თრიალეთიდან თბილის უტბჭესწერუშებ  
გეგენასათვის ახალი ჩოხა-შალვარი, საცვეთები, ან სხვა რამე, რა-  
საც კა მოინდომებდა გეგენა, არ ეყიდნა. ერთხელ თითბრის  
წვრილი ლილებით მოჭედილი ქამარი იყავდა. მოურთო ჩანთით,  
სამლით და ჯერნის ფეხის ტყავის სამარილეთი, რომელსაც ჩა-  
მოყიდებული ჰქონდა მმავრებასხმული თასმები.

ივანეს საბუთი ჰქონდა, უარის უთქმელად იესტულებინა გე-  
გენასათვის ყოველი მისი გულის წადილი. „იმისათვის მიყვარს  
✓ გეგენა, — მამოდა ხოლმე იყი, — რომ, აბა, ხო რა კოლიზი ბიჭია,  
მაგრამ დაიძრება თუ არა დოლი, მანამ სულ არ გაიწმინდება. კაც  
რო ზედ შააკვდეს, პირს არ დაებანს. ერთ რამეთა ღირს იმის უკ-  
რება, როცა ბატყანი დაერევა ხოლმე ცხვარს: იქედან იქ (ანიშ-  
ნებდა ხელით) ისკრის ბატყანს დედასთან. რომელი ბატყანი რომე-  
ლი ცხვრისა არის, იმან იცის. მთელი ფარის ცხვარს ისე იცნობს,  
თითქმ ერთი ცხვარია. დღის სავალზე სცნობს თავისი ცხვარს.  
ბევრჯელ დაგვსხელტომია რამდენიმე სული ცხვარი და გარეულა  
ნამგლად მდგომ ცხვრებში. რაწამ დაუთვალიერებია საღამოთი  
ფარა. მაშინვე მოუკითხავს მავანი და მავანი ცხვარი მაკლია,  
წასულა და შორიდანვე უჩვენებია, აგრეთა ჩემი ცხვარი სადა  
დგასთ. როცა სერი გაუსინჯავთ, მართლაც ჩვენი სერისა გამომ-  
დგარა“.

✓ ასე მართლულობდა ივანე თავს, როცა ძმები საყვედების აძ-  
ლევნენ გეგენას განებივრებისათვის. მხოლოდ გორგი კა ეტყო-  
✓ და ამ თავის გამართლებაზე „ომ!.. მაგრა კოხტაობა მეცპირულე-  
ბა, თორმეა“...

გეგენა საუკეთესო მაყრად ითვლებოდა და არც ერთი ქორწი-  
ლი არ მოხდებოდა უიმისოდ. მის სოფელში იქნებოდა ქორწილი,  
თუ სხვა მახლობელ სოფელში, მაყრად ის უსათუოდ უნდა ყოფი-  
ლიყო. თუ ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ქორწილი მოხდე-  
ბოდა, მექორწილებს ცილობა ჰქონდათ ხოლმე გეგენაზე. მომეტე-  
ბულ ნაწილად უფრო მეჯვარედ იყო ხოლმე, ვიღრე უბრალო მაყ-  
რად. მთელი სოფლის პატარძლობა, ისინც კა, ვის მეჯვარედაც არ  
ყოფილიყო, გაგიჟებრლი იყო გეგენასაგან დანათლიავებაზე. თუ

შეიღს ნატრობდა ვინმე — მარტო შეიღის ყოლის კი არ მატონდა  
გაგენას დანათლიავების ნატრასაც დაყოლებდა. მიკომაც ჩა  
რომ ბლომად ჰყავდა ნათლიდედები და ყოველ ახალ წელზე აღია-  
ვალი ძლვენი მოსდიოდა. ძლვენზე აუცილებლად წილადში უწესებე  
ყოფილყო. იმდენი წინდები უგროვდებოდა, რომ პლატიში მისი  
ჰყოფნიდა მთელი წლის განმავლობაში და სხვასაც ბევრს ური-  
გებდა ფეშქაში. ასეთი გარჩევა ყოველის ფერში გაგენასათვის ა  
არა პშერდათ სხვა სახლის შეიღებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ  
როგორც ოვალ-ტანად გაგენა ყველა მათგანსა სჭობდა, ყოველი  
სიკეთის ღირსიც იყო, მისიათვის ყველანი უყურებდნენ მას სიყ-  
ვარულისა და არა მეშერნის თვალით. დღისაც და პატარასაც.  
კაცსაც, დედაკაცსაც საკეთებურად ჰყავდათ და პირზე ეკერათ:  
“ჩვენი გაგენა და ჩვენი გაგენა”.

არც გასათხოვარი გოგოები უყურებდნენ გაგენას გულგრი-  
ლად. ისე ქალს არა პეითხავდნენ საქანელაზე ქანაობის დროს,  
როცა ქვეშ გაუძვრებოდნენ. ერთ გინდაო, რომ პასუხად არ ეთქვა:  
ჯილაანთ გაგენაო. გაგენას ეს არ რჩებოდა გავგებარი და უფრო  
და უფრო უმატებდა სარკეში ცეკვას და კიკინების და ულვაშების  
გრეხს. იცვამდა უფრო შნორანად გამოჭრილს და შეკერილს  
ჩიხას. წითელ სათავიან შალვარს და ბუზმენტებით მორთულ  
შულისპირიან მერდინის პერანგს. ხოლო. როცა ჩაიცა ყარაჩო-  
სელად: აქლემის უელის ჩიხა-შალვარი, შემოირტყა წელზე ვერ-  
ცხლის მომსვავსებული ქამარ-ხანგალი და დაიხურა წითელი  
ცხვრის ტყავის მაღალი ქული, ხომ სტულად შეიცვალა და ერთი  
ათად უკეთესი გამოჩნდა. ბევრი ლამაზი გოგო გამოელოდა, უუ-  
რო სწორად ნატრობდა, გაგენას თავისად. გულში ყველა ფიქრიაბ-  
და: ნეტავი რაც ქვეყანაზე გასათხოვარი ქალები არიან, კველანა.  
ჩემს მეტი. გასწყდნენო, რომ გეგენა მე დამტჩესო, და თუ ჩემი  
არ იქნება, ნურც სხვისა გახდებათ. ყველა ნატრობდა გაგენას  
თავისოფენის. მაგრამ ნატრია მხოლოდ ერთს შეუსრულდა დანატჩე-  
ნების სამწუხაროდ და გასაბრაზებლად.

ჯილაშვილების ოჯახში მიღებული წესით ჯერ გაგენას არა  
პეინდა ცოლის წერთვის დრო, იმაზე უფროსი ორი კიდევ სხვა  
იყო დასაქორწინებელი და როცა დრო მოუვიდოდა, მაშინაც  
ოჯახს უნდა ამოერჩია მის საცოლოდ ოჯახშვილის ქალი. მაგრამ,  
როგორც სხვაფრივ ირჩეოდა იმისი მდგომარეობა ოჯახში, ისე  
ცოლის შერთვაშიც გაირჩა.

ორი წელიწადი უკლდა გეგენას იმ ჰაბაქს, რა პოვალი მშობლები დაქორწილდნენ. როცა იგი მეჯვარედ იყო ერთ-კორწილში, ჯვარდაშერილი ნეფე-დედოფალი რომ დაბრუნდა უკლდები სიიდან, გაეგნამ გააეთა, როგორც წესი იყო, ხის ქლერიკაზეც არა ერთ-ერთ ნაზუქში, რომელიც ცალკე ტაბაკზე იყო ხილთან ერთად, სამსავე წვერზე გაუკეთა ვაშლები და დადგა ტაბაკი ნეფე-დედოფალის წინ. მერე გადაავლო თვალი ხალხს და დაინახა, რომ დედოფალთან ერთი ლამაზი და კოხტად ჩატმული გოგო ხის, ხელები კალთაში დაეწყო ერთმანეთზე და შეპყურებდა გე-გენას თვალმოუშორებლივ. ეს მაჩტო გეგენამ კი არა, უკელაპ შენიშვნა. გადაავლო გეგენამ თვალი სხვებსაც და შემდეგ ისევ იმ დედოფალთან მჯდომარე ლამაზ გოგოს გადაპხედა და თვალი თვალს რომ მოპხედა, გოგომ ისე ნაზად და მოხდენილად ჩალუნა თავი, რომ გეგენას გულს მაშინვე სიყვარულის ნაპერწერალი ეცა და ალი მოსდო, როგორც კარგად მოხარშულ აბედს. მას შემდეგ რამდენსაც შეხედავდა გოგოს, ყოველთვის თვალი თვალს ჰედებოდა, რაღგანაც გოგო სულ მას უყურებდა, და რაკი შენრას დაიჭირდა, ისევ იმავე სინაზით და მოხდენით ჩალუნავდა თავს. გეგენას ჩავარდნილ ალს კი ავარგვარებდა, ისეც აღმურმოდებულ გეგენას დავთრებს უბნევდა.

✓
 წამოვიდა შინ ნეფიონი. გეგენას არც გული მოსდევდა შინის-კინ, არც ფეხები. მაყრები ამჩნევდნენ ამას და ეუბნებოდნენ: ჩეტყობა, შენ ი დედოფალთან რო გოგო იყდა, ძალიან დაგოდაო. — ახ, იმას კი ვენაცვალე ჯეირანის თვალებში! ერთი იმის ლოცვები კი დამაკბეჩინა და თუნდ მამკლა! — უპასუხებდა მაყრებს გეგენა.

### XIII

რეს პონია

შაშვიანთ კონია მოსული ტანის და ძლიერ ეშხიანი ქალი იყო გლეხის კვალიბაზე. ეშხსა და პერს უფრო იმითი იმატებდა, რომ ყოველთვის სუფთად ჩატმულ-დახურული გამოდიოდა ხალხში. მისი ჩატმა-დახურვა ძლიერი იჩიეოდა სხვა გლეხი დედაკაცების ჩატმა-დახურვისაგან. ამ მხრიց კონია უფრო შეათანა ვაჭრის

კოლს წააგავდა, ეიდრე ხელთუყარი და მარტოხელი ბლობადას  
კოლს, როგორიც მისი ქმარი ნოდარი იყო.

თავისა და ახლომახლო სოფლებში ხომ ყველას ენახა და ჭრია  
ლა იცნობდა კონის, მაგრამ შორეული სოფლელნი კი იცნობდნენ გადასტურის  
ვას დღეში თვალით არ ენახა, ისინიც კი იცნობდნენ გადასტურის  
ბევრი უნახავთავანი, როცა შეპხედებოდა სადმე, მაშინვე გაივლებ-  
და გულში: შაშვიაანთ კონის რო იტყვიან, ეს უნდა იყოსო და  
არც სცდებოდნენ.

კონისი ყოველ ნაცნობს ერთსა და იმავე დროს კიდეც ეში-  
ნოდა, კიდეც ეხათრებოდა და თვალის დასანახავადაც ეჭავრებოდა.  
რომელ ყრილობაშიაც კონია მოჰყებოდა, იმ ყრილობის თავი ის  
იყო. მარტო ის ლაპარაკობდა, როგორც ენაწყლიანი დედავაცი,  
სხვანი კი განიმებულნი ყურს უგდებლნენ, მოსწონდათ თუ არა  
მისი ლაპარაკი, მის არც თითონ დაგიდევდათ და ვერც არავინ  
სხვა ვინმე შეპხედავლა ამის თქმას.

თუ მოხდებოდა ისე, რომ საზოგადოებაში კონიასთან ერთად  
სხვა დედავაცებიც იყვნენ თავიანთი ქმრებით და იმენტენ მის  
საუბარს, რაც უკადრისი და მანდილოსნისათვის გამოსათქმელად  
შეუფერებლად ეჩვენებოდათ, მაშინვე შეპხელავლნენ ხოლმე  
ქმრებს ისე, თოთქოს თვალებით ეტბნებოდნენ: ეს სანაცილე, უნა-  
მუსო და ლეჩაქზე ლაფდასხმული რას მიეღ-მოედებათ.

კონის პირში ვერავინ ვერაფერს უბედავდა, პირს უკან კი  
ძლიერ სწერდნენ და გაპქონდ-გამოქვნდათ, ეს იყო მიზეზი, რომ  
ყველა იცნობდა მას. ეინ მოსთვლის, რამდენი საბუთი არ ჰქონ-  
დათ მის დასამტკიცებლად. აი როგორი იყო ხალხის აზრით კონია:  
კაცებს ერთშივებოდა და, რომ უფრო მოსწონებოდა ვისმე, ძალზე  
იგლისებოდა ფერ-უმარილით. მთელი სანინღანის სომხობა ხელში  
ჰყავდა ჩაბლუჭული და თავის ჰყავაზე ათამაშებდა, რასაც მოს-  
თხოვდათ, უარის უთქმელად და უფასოდაც კი აძლევდნენ. თუ  
უნამუსოდ არ იქცევა ვისმესთან, ან მისი მამიდა-პაპიდაშვილები  
აჩიან, ან დედიდაშვილებიო, დანარჩენებთან კი რას დაგიდევს.  
დერციკ კოსტუას, ვისთანაც ვაკიშვილი ჰყავს შაგირდად, რო-  
გორც ცოლი ისე ჰყავსო, ბიჭიცა და გოგოც იმისგან ეყოლაო.  
როცა სოფელში ჩუსები იდგნენ, ძალიან სწყალობდნენ კონის —  
აյრ აქედან ეძახდნენ „რუს კონიას“. ნოდარს არ მოსწონდა მისი  
ყოფაქცევა, ბევრიც უშალა, სიტყვით რო ვერა უშველა რა და ვერ

დააშლევინა, ცემა დაუწყო, მაგრამ კონიამ მონუსხა იგი და ისე  
დაადგუნა პატიოსანი ახალგაზრდა, რომ წყიპურტი რო ეკრა ჩასმე  
მაშინევე გადაიქცეოდა, და ახლა რაც უნდა, იმასა შემოწერა ცტელეფ  
იყო ხალტის საერთო აზრი კონიაზე.

კონიას ქალი კიკე, ანუ, როგორც თითონ კონია ეძახდა, ეკა,  
ძლიერა ჰგავდა დედა როგორც თვალად ისე ყოფაქცევითაც. თა-  
ვისი კეპლუცობით და თამამი ქცევით ბევრს დასანიშნ ბიჭს  
აუგერა გული ეკამ და ბევრისათვის გახდა სანატრელი და სალა-  
პარაკო საგნალ. ბევრი სიმღერებიც გამოუთქვეს მას, რითაც  
უფრო მოაწონებინეს თავი და მოამატებინეს სააჩშიყო და სა-  
მკლეცო საშეალებათა ხმარება.

ეს ეკა იყო ის ქალი, რომელმაც გააბა სიყვარულის ბადეში  
გვხენა, მაგრამ თვითონაც კი გაება იმავე ბადეში.

## XIV

### გ ა ფ რ ა

გულზე დამული დალი ეკას ნახვით გეგენას არ უმოელდე-  
ბოდა; იგი უფრო და უფრო უწყლულდებოდა და იქამდის მიაღ-  
წევინა ბოლოს, რომ გამოუტყდა თავის საკუთარ ბიძას, როგორც  
ეძახოდა ივანეს: თუ კონიას გოგოს მითხვე, ხო რა კარგი, არადა  
ცოცხალი არ მინდა ჩემი თავი, მოკვდე მირჩევნია, თავს ჩამო-  
ვისრინბ, კლდეზე გადავისჩენბიო. ივანემ რჩევა-დარიგება და-  
უწყო:

— რამ მოგაფოქრა ეგა?!. დაანებე მაგ ფიქრებს, რა შენი სა-  
კადრისია კონიას ვოგო; ვერა ხედავ ვისი შვილია? არ გავიგონია:  
დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო? ან ავი ხე კეთილ  
ნაყოფს არ მოისხამსო, დაგლუპავს ეგ ლედაკაცი და ჩვენც ზედ  
მიგვაყოლებს, თორემ...

მაგრამ გეგენას აბა რა დააჭერებდა, პირიქით, ივანე დააჭერა  
ეკისრა შუამავლობა ოჯახის წინაშე.

როცა ივანემ უამბო ძმებს გეგენას სურვილი — ითხოვოს ეკა,  
გორგო შეხტა და შემოტრიალდა:

— როგორი ჩემ ოჯახს აი იმ უნამუსო დედაკაცს კონიას შემო-  
ვალახვინები! ქმარი მონუსხა, დააღუნა და დაამონავა, სიძეს რა-

რაკი გოორების პირიდან უარის თქმა ამოვიდა და ვერც წინ  
წაუვიდა ვინმე იმის სიტყვას, გეგენამ სრულიად შეიცვალა ხა-  
სიათი და ყოფაქცევა. გახდა საშინელი ამაყი და გულჩათხრობი-  
ლი. ცხვარს უწინდებულად ერთგულად აღარ უვლიდა, თავის სა-  
კუთარ ბიძას ივანეს ხშირად წაეჩინდებოდა ხოლმე, გაუწყრებო-  
და და ფარას დასტოვებდა, შინ წავიდოდა, შინ ეტყოდნენ რასმე,  
იქ დაუწყებდა ყვიტყვიტს, გაუწყრებოდა შინამყოფებს და ისევ  
ფარებზე წავიდოდა, მაგრამ ცხვარს მაინც ყურს არ მოუგდებდა.

გეგენს იღბალს მოჰყვა, თუ განგებ თვით გეგენამ მოახერხა, იმ წელიწადს დოლი დაზარალდა. ივანემ ეს გარემოება იმით ასწავა, რომ გეგენა ერთგულად ალარ უვლიდა ცხვარს და ლმერთ-მაც ხელი აიღოო.

მოვიდა დრო. ცხვარი მთაში წასავლელად გამზადეს. გეგენამ უარი თქვა მთაში გაყოლაშე. ამ გარემოებამ ძლიერ შეაფიქრიანა და დააღონა ივანე, რადგან სხვა ბიჭების იმედი მაგრე რიგად არა ჰქონდა. ძმებსაც აუხსნა ყოველი მოსალოდნელი ხიფათ-ზარალი ცხვრისა, თუ გეგენა არ გაჟყვებოდა მას. მეტი ვზა არ იყო, დასთანხმდნენ ყველანი, თუმცა ვიორგი ძლივდლიობით დაიყო-ლიეს, და გამოუტადეს გეგინას, რომ სანამ მთიდან ჩამოვიდოდა, დანიშნავდნენ.

გულდამშვიდებული გაჟყვა გვეცნა ცხვარს თრიალეთხე. კარგა  
იცოდა, რომ რაյი გიორგის პირიდან ერთხელ პოობა ამოვიდა, ის  
აღარ გადასთვეამდა თვის სიტყვას. თვისი საქუთარი ბიძა გზაზე  
არწმუნებდა:

— მანამ შინ ყველს ჩამოვიტანთ, დაგნიშნავენ, შენ ხაორიგა- ვ  
ნი იყავ, ცხვარს კარგა მიხედოთ.

მართლაც ამიბრუნდა თუ არა ივანე შინიდან ყველების ჩატანის შემდეგ, სასიამოვნო ამბავი აქარა გვეცნას:

— მანამ ჩავიდოდი, ნიშნობა გეგენავებინათ, ამა, რიშანი  
და გადასცა საკოლის დაქსოვილი ჩახსაფრავები.

ამავე წელს. შემოდგომაზე ჭილაშვილებმა სამი ჭილაშვილები  
დაიხადეს ერთიერთმანეთზე. ჯერ ორი გეგენაზე უტყიშთხილები ეპუნ  
შვილები დააქორწილეს, მერე ვაგონს ქორწილიც გადაიხადეს.

ჭილაშვილების ოჯახიდან გეგენა პირველი იყო, რომელმაც  
შზითევს გარდა ხეთი თუმანი ფული იღლო ქრთამად. სხვა რძლები  
გაძლიერებული ოჯახიშვილები იყვნენ და მზითევის მეტი არაფერი  
მოუტანიათ თან. არც თავიანთ ქალებს იძლევდნენ ჭილაშვილები  
სხვა რამეს გარდა შზითევისა, არც სხვილან თხოულობდნენ.  
კონიამ კი მზითვის გარდა ხეთი თუმანი ქრთამი და პირის გასახს-  
ნელი ვერცხლის ქამარი მიართვა სასიძოს. ჭილაშვილების ოჯაში  
დადგებული წესით გადასალოცა და სათამაშო დედოფლისა სახლ-  
ში უნდა დახარჯულიყო საერთოდ, რომ სათავნო არავის გაეჩინა,  
რადგანაც ჩატანა-დახურვა და ყოველისფერი ხარჯი სასახლო იყო.  
ამ წესის ძალით გეგენას ქორწილში აღებული გადასალოცი, სა-  
თამაშო და ქრთამიც საერთოდ უნდა დახარჯულიყო. მაგრამ კონიამ  
თავი გამოიდო და არც ქრთამი, არც სათამაშო არავის დაანება,  
რადგანაც ორივე თვითონ იგდო ხელში, გადასალოცი კიდევ ხომ  
სახლისა არისო...

ეს არაფერი. თვითონ პატარძალი — გეგენას ცოლი — არა  
კალრულობდა მამამთილების წინდა-ქალამნის დახდას, და ავდარ-  
ში იმათი დასველებული ფეხსაცმელის გაშრობას და დაფუშვნეტას,  
როგორც სხვა პატარძლები შვრებოდნენ ამას. წყალზე წავლასაც  
თავილობდა. არც სხვა შესაფერ ნაქმეს ეტანებოდა მაგრე რიგად.  
კალოზე ხომ ვერასგზათ ვერ გაიკვანეს. ამასაც როდი დასკერდა.  
დედას მისწერა: თუ დამისნი ამ ჯოჭოხეთიდან, ხომ კარგი, თუ  
არადა ჩემ თავს ავუტებ არამესო. დედამაც წაიკვანა თავისთან და  
პირი აღარ აქნევინა ჭილაშვილების ოჯახისკენ.

როცა ეკა ჯერ ისევ ოჯაში იყო, გეგენა ბევრჯელ დაანებებდა  
ფარებს თავსა და სიდედრთან მიღიოდა, რაკი ცოლიც იქ დაიგუ-  
ლა, უფრო მოუხშირა სიდედრთან სიარულს. წავიდა ცხვარი მთა-  
ზე. ივანეს უნდოდა ყველი გეგენასათვის გამოეტანებინა, როგორც  
ახლადვარდაწერილისათვის. რადგანაც ამან უარი განაცხადა, ისევ  
ივანემ ჩაიტანა ყველი. მხოლოდ, როცა აბრუნდა მთაში, გეგენამ  
შესჩივლა: ოთხი სამმოვლილი ჭედილა და რვა თოხლი უგოშოდ

დამეკარგაო. ივანემ დაიჭერა. ჩამოვიდა მთიდან ცხვარი. ამას  
ხშირად იკარგებოდა ხან ჰედილა, ხან თოხლი, ხან შექი. ამ და-  
ნაკარგებზე გეგენა ხან რას ამბობდა, ხან რას: უგმშოდ ტაიკარგაო,  
მგელმა მომტაცაო, სხვის ფარას თუ შეერია და ვერ ჭრის მარტივი იყვნებოდა. ივანე უოველთვის იჯერებდა, მაგრამ მალე მთხრობეს ჭრის მარტივი იყვნებოდა. რომ მთაზე და ბარშიაც გეგენა ჰყიდდა ცხვრებს და ტყუილად  
იძახოდა დამეკარგაო. ეს ივანეზე წინათ გეგენას ერთმა ბიძაშვილ-  
თაგანმა გაიგო და აცნობა უველს. თურმე სხვა მეცხვარე ბიჭების  
მორიდებით მოსხლეტავდა გეგენა ცხვრებს, გაურევდა მონამღლე-  
ების მეზობლად მდგომ ფარას, მერე მეცხვარენი თავიანთ ცხვრებ-  
თან ერთად გეგენას შემოპარებულ ცხვარსაც ჰყიდდნენ და ფულს  
გეგენას აბარებდნენ. ივანეს ჯერ არა სჭეროდა ეს ამბავი, მაგრამ  
შემდეგში დარწმუნდა ძალაუნებურად.

ჭილაშვილების ოჯახში ჯერ ისევ მაშინ დაიწყო უსიამოვნება  
და აყალმაყალი, როცა კონიამ დედოფლის სათამაშო ფული არ  
დაანებათ სახლში დასახარჯად. ჩვენ რაღა დასაბრიველები ვართ? ჩვენ  
წავართვეს ჩვენი სათამაშო და სახლში დახარჯეს, მაგას კი  
ვერ შეპკადრესო, — ამბობდენ ეკაზე დანარჩენი პატარძლებიც და  
დიდი რძლებიც, გარდა ნამდვილი დედამთილია, რომელსაც პირ-  
ში აკონებდნენ და უსაყვედურებდნენ, თუმცა არც იმას მოსწონ-  
და არც რძლის ყოფაქცევა და არც შეილისა და მძახალი ხომ  
თვალით დასანახავადაც ეჭავრებოდა. მაგრამ გაჩუმებული იყო და  
ხმას არ იღებდა. ნაკლებად არც იმაზე იყვნენ ამღვრეულები, რომ  
არაფერს კადრულობდა ეკა და ბოლოს თავიც გაარიდა ოჯახსაც  
და უველაფერი კი მზად მისდიოდა. ესენი კი აქ ოჯახის საქმეში  
ჯანს იწყვეტდნენ. გამომეღავნდა გეგენას ონები და ახლა უფრო  
ალელდა ოჯახი და აყაყანდნენ პატარძლები. ახლა უველა იმასა  
ცდილობდა, სასახლო რამე ჩაეჯიბდა და მიეუჭნა თავისითვის. საფქვავს წაიღებდა ვინმე წისქვილში, საცალოებს კუნტულებს  
უცალიერებდა. ჰყიდდა ფქვილს და ფული ცოლთან მიქვინდა.  
ქირაზედ წავიღოდა ვინმე, ქირიდან ჩაჭიბავდა ნაწილს თავის-  
თვის, მეცხვარე გაპყიდდა ცხვარს ან მატყლს, არა მცირე ნაწილს  
თავისითვის ჭიბავდა. აგრევე იქცეოდნენ მელორე და მეძროხენი.  
ერთი სიტყვით, უველას გაკვრა-გამოკვრაზე ეჭირა თვალი და ხე-  
ლი. ორი წლის შემდეგ უველამ, დიდმაცა და პატარამაც სათავინ  
გაიჩინა, უველა სათავინო საქმეს მინდევდა. საოჯახო საქმე კი უკან

რჩებოდა და უკულმა მიღიოდა. წრფელი სიტყვები: „ბეჭი მეტა  
ჰირიმე“ ძმებში აღარ ისმოდა, მათი ადგალი ახალმა ციტაცია  
დაიკირქს: „კაცო, მე რა ჩემი ფეხები, ყველას ჰირის ჟანარელული  
ვარ, რომ ყველაფერი მე ვაკეთოჩი!“ თუნდაც არაფერებრაზე მუშაობის ერთ  
ნათ. საღმ-საღამოობით უწინდებურად აღარ იყრიდა მთელი  
ოჯახი თავს და აღარ შეექცეოდა ტკბილ ვაზშის. ამლა აქა-იქა  
უზარმაზარ სახლის კუპილებში ისბრნენ ცოლ-ქმარნა. ცოლი  
ქმარს შესჩიოდა ძალლუმაღურობას და „სხვათა სამსახურში  
ტანგვა-წვალებას“ და უმტკიცებდა გაყრის სარგებლობას და სი-  
კეთეს. ზოგი რა პერსა სჭამდა, ზოგი გაურაზე ლაპარაკობდა.  
ოჯახი შეირყა, ერთობა თავს აღარ იჭერდა, იგი დიდი ხნის გამჭრა-  
ლი იყო. მხოლოდ გიორგი იყო გადახარიხებული და ეუბნებოდა  
ყველას: მანამ მე პირში სული მადგა, ვერ გაიყრებით, როცა თავს  
აჩვაფარებ, მაშინ, რაც გინდათ, ისა ქენით.

ოჯახის არევ-დარევამ ყველაზე ძლიერ გიორგის განმრთელო-  
ბაზე იმოქმედა. დარღისაგან აღარც სჭამდა, აღარც სვამდა; სა-  
შინლად ჩამოყენოთლდა, დადიოდა ყოველთვის გულხელდაკრეცი-  
ლი და მწარედ გაიძახოდა: „აკი დამძლიეს და დამიყოლიეს იმ  
ძეძუძალლის ნაშობ-გაზრდილებმა. კაცო. წმინდა და სათაყვანე-  
ბელი განძი ჩემი სახლისა ოჯახის ნამუსი შემომილახეს, გამიუპა-  
ტიურეს, დამირღვის, დამიქცის!.. ნამუსი იყო ჩემი ოჯახის  
სულისჩამდგმელი, ნამუსი გვატრიალებდა და გვამოქმედებდა  
ამოდენა ხალხს, როგორც ერთ ადამიანს, ნამუსი იყო ჩემი ოჯახის  
სიმდიდრე და სახელი, განა სხვა რამე!.. აი ეს ნამუსი გაქრა, წა-  
ვიდა და აბა რაღა აბოგინებს ახლა ოჯახსა?.. დამერღვა, დამელუ-  
პა ოჯახი!..“ ასე შესჩიოდა ხოლმე გიორგი მათ, ვინც თანავრძნო-  
ბით და გულმტკიცნეულად ანუგეშებდა და ცლილობდა მის გამხნე-  
ვებას, გულის გამაგრებას, და თან მწარედ ამოიოხრებდა, არც კი  
ატყობდა, რომ თვალებშე ცხარე ცრემლი მოქეოდა და ვერც  
მალავდა ამას.

ივანე ხმას ვეღარ ილებდა, არავის აღარ ელაპარაკებოდა. არც  
სხვები სცემდნენ მას ხმას, რაღვანაც ოჯახის უბედურების მიზე-  
ზად მასა სოვლიდნენ.

ოჯახის არევ-დარევის შემდეგ გიორგიმ ოთხი წლის მეტი ვე-  
ლარ იცოცხლა და სიკვდილის წინ დასტოვა თითქმის გალატაკე-  
ბული ოჯახი. აუხსნეს თუ არა სული, მეორე დღესვე ჭილაშვილები

გაიყარნენ შვილ კომლად. გეგენა დედ-მამასაც დედასახლდა.



XV

იმაჲი ილაიდის

საქართველო  
განარჩევის  
მინისტრი

სანდრო თავის ყოფაქცევით გულს უხეთქავდა დედას და სანეგეშის არაფერს უქადა მომავალში. აპყვა თავის სწორ-ამხანაგებს. მათთან ქეიფობდა. ყომარს თამაშობდა; ფსონსა და კოჭში წაგებულ ფულს კი დედას ართმევდა ან ჰპარავდა. ერთორიგად სწორ-ამხანაგები დაპნატროდნენ კიდეც. რო იგი უშრომოდა შოულობდა ფულებს დროს გასატარებლად. ისინი კი თავის შრომათ აღებულ ფულებსა ხარჯავდნენ.

ანანო დიდი ჩხებისა და მუხლების გამოთქვეფის შემდეგ იძულებული ხდებოდა. ეძლია სანდროსათვის საჭირო ფული. მაინც ახერხებდა თავისი ნაშრომ-ნაოფლარი ფულების ნაწილი გამოეკრა ძონებში და გადაემალა სადმე საიმედო კუნცულში იმ იმედით. რომ სანდრო როდისმე მაინც მოვიდოდა კევაზე და მაშინ ეს ფული კეთილად გამოადგებოდა მას. მაგრამ რაც უფრო გულით მოელოდა საცოდავი დედა ამისთანა დროს, იმდენად სანდრო მეტ სასოწარკვეთილებაში აგდებდა მას თავისი უგვანო ყოფაქცევით.

ბევრი იმათვანი, ვისაც ანანო შესჩივლებდა ხოლმე თავის დარღს. ეუბნებოდა:

— ქა, აბა ცოლი შერთე, ეგებ გონჩე მოვიდეს. ზოგს ცოლი ეტყვის, ზოგს სიმარტი და გონჩე მოვა.

თათონ ანანოც ასე ფიქრობდა და ამისათვის გაჩალდა მაჭანკლობა. პირველი ორი ოჯახიდან, რომელთაც მიუგზავნა მაჭანკალი, უარი მიიღო, მესამე კი დაწყვა. ეს ოჯახიც ანანოსავით ქვრივთხერი იყო, ერთადერთი ქალი ჰყავდა და რასაც შოულობდა და პირველობდა, ქრთამ-მზითვად უმზადებდა და უნახავდა მას. მართალია, არა ერთი ცუდი ხმა ჰქონდა შესმენილი სასიძოზე. მაგრამ როცა სასიდედრო შეეკითხა ამის შესახებ მაჭანკალს, ამ უკანასკნელმა იმდენი ქნა, რომ მთლად გაუფანტა ეჭვები.

— რას ამბობ, ქა! ვის მოუკორებია ეგეთები? ცოდო არ არის სანდროზე ცუდი რამ ითქვას?.. ორთან თუ სამთან ვაჭრობაში

წილი უძევს. თვალად და ტანად კარგი ნუ დაგილიოს ღმერჩევა  
როგორი კარგიც ის არის, ხასიათით ხმ ასა თქმა უნდა... უპ-  
რობის უნარი კარგი აქვს და აბა მეტი რაღა უნდა მოეთხოვოს,  
თქვენი ჭირიმეთ! მერე, როგორი შემომტანია ოჯახში! მარტინი ჭირი ი-  
ს დაგიხვევია ხელშე. რო ამ იმ მარმარას აღალომ ტუშტუშტმისმა ეპ-  
ცარიელშე დასვა, განა მარტო სანდროს უყო მაგისთანა სეირი?  
სანდრო კი ალალ-მართალი ბიჭია და აბა რა გასაკირველია, რაც  
აღალომ უყო სანდროსა, სხვებს უფრო ისეთი სეირები უყო იმ  
პირქუშმა, რო თმა ყალხშე დაგიდგება, რო გაიგო... ქვეყანა  
N საკირველებიდან გამოდის, ჯერ მიწას არ ამოჰვლეჭია ის არ-  
გასაშვები და რაებას სხადის!.. უწინ რო დღე გაუქრეს. აბა, როცა  
დავუკაცლება, მაშინ ხმ ქვეყანას ამოავდებს!.. ქა, დედაკაცო, ხმ  
იცი, ვისი ნაშობია და ვისი ძუძუ უწოვია?! თინგაზ მარმარას განა  
არ იცნობ?.. ისე კარგი ჩემ მოკეთეს და შეიღებს მიეცეს, როგო-  
რი კარგიც სანდრო არის...

— აბა რა ვიცი, ქა!.. არ ვიცი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ,  
ჯერ გოგო თორმეტი წლისაც არა მყვდა, როცა მაჟანყალი მო-  
მიგზავნეს და იმას აქეთა ილაპი წაიღეს... ისეთი ოჯახიშვილები  
მთხოვდნენ, რომ ლირსიც კი არა ვართ არც მე და არც ჩემი  
გოგო, მაგრამ ზოგს უარს ვეუბნებოდი, ზოგს — არც ჰოსა და არც  
არას. მეცოდებოდა საცოდავი, ჯერ ბაშვობაში იყო, ხმდ...

— ქა, ახა ვაგლაბ მე, ოჯახიშვილებს ქალაქელს ადრი?!

— ცარიელმა ქალაქელობამ რა ქნას, ჩემო მაიაგ!.. კაცი თა-  
ვად უნდა იყოს, თორე ქალაქშიაც იცხოვრებს და სოფელშიცა...  
სახლიც უნდა პეგვდეს ქალაქელისას, აბა რას ქალაქელია, რომ  
სახლი იმას არა აქვს და კარი!..

— თუ საწყალი მიხას დასცალებოდა აქამდის, შენ ნახავდი,  
როგორი სახლიც ექნებოდა. მაგრამ რა გაეწყობა. ყისმათი მი-  
თხახი!.. სიკედილს წინ რა დაუდგება... მაინც, შენ როგორა გვონია,  
განა ანანოს ფულები არა აქვს? შენ ვერ იცნობ კიდევ კარგად.  
თუ როგორი დედაკაცია. კარგა ფულები აქვს იმას მიკუჭული.  
მაგრამ არ უნდა ჯერ სანდროს გამოუჩინოს, მანამ ცოლს არ  
შეირთავს... დააქოჩილებს და მაშინ ფულებსაც გამოუჩინს და  
სახლსაც იმშენებს. თუ არადა, ხმ იცი. რა ბარაქიანი ეზო  
აქვს იმის სახლს? რო დათქვას ნახევარ ეზოს გაყიდვა, დღესვე  
დაუთვლიან ას თუმანსა... რა დაემართება, ასი თუმნით რიგიანი

სახლი რომ ვერ აშენოს!... არა, ახლა რა უჭირს სახლია? ჩენ  
ისა თქვი — სახლში იყოს რამე... 

— ვინ იცის ახლა, სახლშიაც არის რამე, თუ არა?

— აკი გეუბნები, დედაკაცო, ანანოს კარგა ბლომატურაშეც ჰუშავი  
ლი-მეთქი, მაშ, რას უშერება, იმოღენა ხამებს რო პლიტლიც ჰქონია  
როგორ არა აქვს! გეუბნები — კარგი მე მომცეს ღმერთმა, კარგ  
საქმეს მე გირჩევ შენ... თუ არა ვგერა, მშვიდობა მოგცეს. შენ  
ქალსაც მისცეს და სანდრისაც: ეგ შენ შენი ქალით და აქეთ ჩვენ  
ჩვენი ვაკით... ის კი მაკვირვებს შენი, რო ქალაქელს ოჯახიშვილს ა  
მაჯობინებ... არა, თითონ შენც რო არ აღებ-მიცემობდე (ნართსა  
ჰყიდდა სასიდეტრო) და არ იცნობდე აღებ-მიცემობის გარემოე-  
ბას, მაშინ კიდევ პო, გასამტყუნარი არ იქნებოდი... აბა, ქა!  
აღებ-მიცემობის კაცის საქმე კარგა იცი, შენ თითონ გიდგა ფეხი  
შეგ. ისიც იცი კარგა. რო შენმა ქალმა არც კი იცის ქალი როგო  
შეგვეოს და ოჯახიშვილზე გათხოვებას უპირებ... რა გულმა უნდა  
გაგიძლოს, რო დაინახავ შენი შვილი კალოს ანიავებდეს, ან გუთ-  
ნის ჯერი მიპქონდეს?. სად აღებ-მიცემობის კაცის ხელში სუფ-  
თად ცხოვრება, სად ჭუჭყიან ოჯახში მაზლებისა და მამამთილის  
ტალახიან წინდებისა და ქალამნების გაშრობა-ფშვენეტა.

— აბა რა ვიცი, მეც ვერა გამიგია რა თავბედობისა!.. აკი  
ვამბობ, ქა! მე ჯერ გასათხოვარი არავინა მყავს... რა ხანში შესუ-  
ლი ესა მყავს, რო დავეშურო გათხოვებას!.. ერთადერთი ხმის  
გამცემი ეგა მყავს და გათხოვებას დავუჩქარო. მე რაღა ვწნა, ვიღა  
მყავდეს გვერდით, ვინდა გამცეს ხმა!

— ე მაგრე მეტყოდი, დედაკაცო! ქა! შენ სულ არა გდომებია  
მაგის გათხოვება და ამდენს რაღას მყაბდებდი?

— გათხოვება როგორ არ მინდა, მაივ, მაგრამ გული მეთანალ-  
რება, აღრეა ჯერ!

— თინავ, დამიჯერე, დედაკაცო. კარზე მომდგარ ბელ-ილბალს  
ხელს ნუ აუქნევ, ნუ უკარგავ შენ შვილს კარგ ბეღს, თორებ  
მერე ინანებ ბევრსა, მაგრამ გვიანდა იქნება... სანთლით რო ეძე-  
ბო, სანდროზე უკეთესს საქმროს ვერ უშოვნი შენ ქალსა. მძახ-  
ლებიც ერთმანეთის შესატერი ხართ, მიეკადლებით ერთმანეთს:  
შენ ნართს დაართავ, ანანო ხამს მოქსოვს!.. ვიცი, სანდრო არ  
დაგაყენებს აქ, თავისთან წავიყვანს... მაშინ აღარც მარტოობა  
შეგაწუხებს: სიძესა და ქალის ბედნიერებას თვალით უყურებ და

მეტი რაღა გინდა? სხვა სიძე კი, სანდროს გარდა, აბა-  
გიშამს!

— რა ვქნა, ჩემო მაიც, ბევრიც რო მელაპარაკო, ამა მე  
ვერც პოს გეტზვი და ვერც არას. უნდა ვიფიქრო, სტილურ უფრი  
შეა, საღლესხვალით ხო არაა?

### შეიტყოფილება

ამ უკანასკნელი სიტყვებით მაჭანკალს იმედი მიეცა.

— აბა ფეხს ვინ გატერს, ქა? უნდა იფიქრო, ვა რა.. იფიქრე,  
ვენაცვა, იფიქრე კარგა და ამ დღეებში კადევ მოგაეთხავ.

გამოეთხოვა მაია თინას და მიაშერა ანანოს:

— საქმე ხერხად მიდის, ანანო. — განუცხადა, როგორც კი  
წელგა ფეხი ოთახში, — ოღონდ სახლი დაგიწუნეს.


ანანოს გაუხარდა, იმედი მიეცა, მაგრამ სახლის დაწუნებამ კი  
გული დაუხანჭლა.

— არიქა, გაისაჯე, მაიც, ეგების საბოლოოდ მოაგვარო საჭ-  
მე, — შეეხევშა ანანო.

ორჯელ კადე დასჭირდა მაჭანკალს ქალის პატრიონთან მისვლა.  
ვიღრე საქმეს სასურველ ბოლომდე მიიყვანდა. ანანოს თითქას  
შეუსრულდა გულის ნამდომი: ცოლის შერთვაზე კეთილად იმოქ-  
მედა სანდროზე, მართალია, ხელობა ვერაფერი ისწავლა სანდროში.  
ამისათვის ერთ აღვილზე ვერ გამოდგებოდა და არც უნდადა  
უოფნა, მაგრამ ნაკვლად ამისა ჩაოჩობას მიძყო ხელი და კალვაც  
ერთგულად და მარჯვედ ალიშ-კელიშობდა, იყიდდა რასმე და  
ხელდახელვე ჰყიდდა ცოტაოდენის მოგებით; ხან დედის მოქსოვი-  
ლი ხამები დაპქრინდა სოფლად გასაყიდათ, ხან თევზაობდა ალა-  
ზანზე, ცოლსა და ქვრივ-ოხერ დედასა და სიდედრს ხომ ახარებ-  
და თავისი საქმიანობით და თითონაც აღტაცებაში მოიდიდა,  
როცა ხელავდა თავისი შრომის ნაყოფერ ბოლოს. ნამეტნავად  
კარგ მოგებასა ჰხედავდა თევზის ჭერაში და ყიდვაში და კიდეც  
შეიყვარა გულით ეს ხელობა.

ანანოც თავისი მძახლით და რძლით დაუღალავად მეშაობდა და  
რაჯი დაინახა სასურველი საქმის მსვლელობა. შეუდგა თავისი  
დიდი ხნის წადილის სისრულეში მოყვანას. სანდროს გაუმქლავნა,  
რომ მას დიდი ხანია ჰსურდა ისეთი სახლის აშენება. როგორიც  
ორსა და სამს საწინლაპის მოქალაქეს მოეპოვებოდა: გამოუტყდა  
კადეც, რომ ამისათვის ჰქონდა მას გადადებული საქმაო ფული.  
მისივე რჩევით სანდრო შეუდგა ნელ-ნელა მასალის მოპოვება-

შეძენას. იყიდა ჯერჯერობით ერთი ურემი ქირი, რამდენიმე ათა  
სი აგური, რამდენიმე ასი ქრამიტი და სხვა. თვითონ შენობის  
დაწყებასაც ახლო მომავალში აპირებდა.



საქართველო  
გვირჩევის მინისტრი

## XVI

### გამოფაიზლება

ჯილაშვილების ოჯახის დარღვევაშ დიდი გულშემატკიცრობა  
გამოწვია როგორც სამშობლო სოფელში, აგრეთვე იქ, სადაც კი  
ხმა და სახელი ჰქონდა გავარდნილი ამ ოჯახს. ყველგან აღიჭურვ-  
ნენ წყევლა-კრულვით გეგენას წინააღმდეგ, რადგანაც ამასა  
სთვლიდნენ ოჯახის დაღუპვის მაზეზად. მართლაც, ოჯახი ძირია-  
ნად დაინგრა და დაიღუპა. ორი წლის შემდეგ არც ერთ განაყოფს  
ნატისუსალი აღარ უდიოდა. ძმებიდან ერთადერთი ივანელა დარ-  
ჩა ცოცხალი; ორი წლის განმავლობაში სულ დაიხოცნენ სხვები,  
მარტო ბიჭბუჭებიღა დარჩნენ და ისინიც უკიდურეს სიღარიბეში  
ჩაცვიდნენ. ცოცხლად გადარჩნილი ცვანეც ყოველ წამს ნატ-  
რობდა სიყვდილს, ისეთ გაჭირვებაში იმყოფებოდა. ამასთანავე  
სვინდისი ჰქონდნიდა, რომ ოჯახის დარღვევაში ამასაც არა მცირე  
შონაწილეობა ჰქონდა. თავის ოდესლაც საყვარელი ძმისწული  
გეგენა თვალით დასანახვადაც კი სტულდა, თუმცა კი გეგენა  
ამაზედ დიდად არა სტუხდა, არც ის მოსდომდა ფიქრად, თუ იგი  
იყო დამნაშავე ოჯახსე დატეხილ უბედურებისა. არც ხალბის  
წყევლა-კრულვას აქცევდა უურადლებას, თუმცა პირში იგინებ-  
დნენ, თითქოს აქ არაუერი შემოჰყოლია. მოიგდებდა გვერდზე  
ქუდს, კოხტად ჩაცმულ-დახურულა, უშტვენდა განუწყვეტლივ და  
ასე დაყალაღანობდა უდარდელად და თავშეუდებლად ატარებდა  
ლროს გეგენა, მანამ შესწევდა ოჯახიდან გამოყოფილი სარჩო, რო-  
მელსაც კონიას მეოხებით კარგა ბოლო გაატანა. მხოლოდ ერთი  
გარემოება კი ვერ გადაუჩა შეუმჩნეველი — იქნება ესეც ძალა-  
უნებურად მოხდა — იგი ამჩნევდა, რომ რამდენიც მცირდებოდა  
მის მიერ მოტანილი სარჩო, ამდენად ცივდებოდა მისდამი ალერსი  
ცოლისა და სიდედრის მხრივ. ბოლოს იქამდისაც მივიდა საქმე,  
რომ კონიამ დაიწყო ხმის ამაღლება, რაც მოისწავებდა უფროსო-  
ბის დაჩრდებას სახლში. აქ, ცოტა არ იყოს, გეგენა ჩაუფიქრდა

V

თავის მდგომარეობას და ველაზ შეიმაგრა თავი, არ წარმოიქცეა  
სასოწარევეთილებით: „ვაი დედიჩიჩმის ღმერთსა! მარ, მე გეგენა  
არა ყოფილვარ, რაღა!“ და ასტყდა სიძე-სიდედრს შორის დიდ  
ბრძოლა, რასაც ჩხუბიც მალე მოჰყვა. თითქოს ამჟამაში კუნძული  
გამოაყრევინა გეგენას ყურებიდან ბამბა და მის შემცირებულმა მარ  
ლიბრი გადახადაო. მხოლოდ ამ ჩხუბის შედეგად შემოესმა ის,  
რასაც წინათ ხალხი აგრძნობინებდა და კი არ ისმენდა, ახლა მო-  
ეწენა ის, რასაც უყურებდა და კი ვერ ხედავდა. ახლა გიციმა მის  
ყურებში და აღარ სდუმდებოდა წყველა-კრულვის ხმა, რომელსაც  
წინათ ყურადღებას არ აქცევდა; ახლა წარმოუდგა თვალშინ თა-  
ვისი გასცლეპილი ბიძაშვილები და ლვიძლი ძმები, აქეთ-იქით  
რომ იყვნენ მოჯამაგირებად დაქაქესულნი: უწინ ამათი სურა-  
თები ისევე სწრაფად პქრებოდნენ მის მხედველობიდან, თუ შემ-  
თხვევა მიეცემოდა მათი ძალუნებურად დანიხვისა, როგორც  
წყვდიადში ელვის სინათლე. ახლა კი საითაც გაიხედავდა და რა-  
საც უყურებდა, ყველას გფარებოდა ზედ ყვითლად ჩასივებული  
სურათი მისი ოდესილაც მოსიყვარულე ბიძა ივანესი, და ამ სურათს  
მოჰყვებოდა ხოლმე მოელი წყება სურათებისა, რომელნიც დაე-  
კავშირებინა ერთმანეთთან ჯილაშვილების ოჯახზე დატეხილ უბე-  
დურებას.

მაინც საბოლოო და სრული გამოფხიზლება გეგენასი გამოაწვია  
შემდეგმა შემთხვევამ:

ერთხელ იანვარში, საღამო ხანზე გეგენა ცხენით მოღიოდა  
ცხერილან შინისაკენ. რაღანაც სუსტიანი ნიავი მოსისინებულა,  
გეგენას ნაბადი წინ მოეგდო და ასე ჩათბუნებული მოლილინებდა.  
გზაზე წამოეწია ივრის წისქვილებიდან მომავალი სალევავის ურე-  
მი. ურემს რო მიუახლოვდა, შენიშნა, საყევარზე მჯდომი ათი-  
თორმეტი წლის ბიჭა, რომელსაც წემოსხმული პატარა ნაბდის  
ძველა ძლიერილობით უფარავდა ნიავისკენ მიბრუნებულ ზურგს.  
პირისახე, წინდის ყელებსა და ნიუხების ტოტებ შეა ტიტოლად  
დარჩიმილი წვევები და თითქმის ნიდაყვებამდე გაშიშვლებულა  
მკლავები სიცივისაგან ძალზე დაპლურჯებოდა და ცხვირზე ცინგ-  
ლი შეპყინოდა. თითქოს ყოველი სიძარე დაივიწყაო ბიჭმა, როცა  
დაინახა ურემს მოახლოვებული გეგენა, შესცინა მას ისე, რომ ამ  
სიცილში იხატებოდა სიხარულიც, სიყვარულიც და თითქმის რა-  
ღაც ტებილი იქედიც. გეგენა ძლიერ გააკვირვა ამნაირმა უცნაურმა

სიცილმა. როცა მეურმეს „გამარჯვება“ უთხრა და ბიჭს დატუმზა:

- ბიჭო, ქიტელავ, შენა ხარ?!
- მე ვარ, — წაილულულა სიცივისაგან გათოშილ მაშტაზე და დამხარდა, გაკვირვებით შესძახა:
- აქ რას აკეთებ, ბიჭო?
- დედაშენმა მოვამაგირედ დამიყენა, — უპასუხა ქიტელას მაგირ მეურმემ.

— შე უღმერთო, ჩააცვაშიდი რასმე მაინც, ხო ხედავ იყინება.. მცვეალი რო ეცეს, ხო გადაიტანა საცოდავი!..

— უღმერთო რაში ვიქნები!.. ზოგსავით რა ოჯახი გამიღარულავს და დედ-მამა და მმები ღვთის ანაბარაზე დამიყრია, რა? — მიუვო მეურმემ. — თუ არადა ერთი ბეჭო ბალლში ხუთ მანეთის ვაძლევ წელიწადში, ჯერ ორი თვეეც არ გაუთავებია და ნახევარი ჯამაგირი კი წალებული აქვს; ნიუხავ-პერანგი კიდე ცალკე ჩივაცვი... მეტი რაღა უნდა? ჯერ ამისიც არ გამოუთავებია და...

ამ სიტყვებმა ისე დაუშხამეს გეგენას გულ-მულელი, რომ ხმა ვეღარ ამოილო. მოჟრა ცხენს ქუსლი და გაშორდა ურემს, თუმცა მეურმის უკანასკნელი სიტყვები მაინც სრულიად გაიგონა:

— თუ მაგრე გული შეგტეიოდა ან ძმაზე და ან სხვაზე, ყურს რატო არ უგდებდი ან არადა შენ არ დაღუპე ძმაცა და სხვაცა?!

დიღხანს მიღიოდა გეგენა მდუმარედ, ბოლოს ვეღარ შეიკავა თავი და წამოიძახა:

— მე დავღუპე ის იმოდენა ოჯახი, მე, სხვამ არავინ!.. მართალია... მაგრამ.... დალუპვა თუ შევძელი, აშენებას კი ვეღარ შევძლები?.. რა ღმერთი გამიშურება, რო მარტო სიავეკაცე შემეძლოს და სიკეთე კი არა!.. მე დავაქციო ოჯახი და მევე უნდა ავაყენო ფეხზე, ავაშენო... — ისეთი იმედითა და რწმენით წამოიძახა ეს სიტყვები, თითქოს ფრჩხილის ტოლა დამაბრუოლებელი სიძნელენიც კი არ ელოდა მას მისი განზრახვის შესრულებაში.

შივიდა შინ გეგენა აჩუთუ განაწყენებული, აჩუთუ მხიარული. როცა ცხენი დააბინავა და შევიღა ოთახში, მხურვალედ დაკოცნა სახლის იმედი და გამამხიარულებელი ვაჟიშვილი ლევანა, ხელები გახურებულ ბუხარს მოუფიცხა და როცა ყველანი შემოუსხდნენ ბუხარს, სიდედრს მიჰმართა:

— მე ერთი რამ მოვიფიქრე და არ ვიცი, შენ რას იტყვი.

— რაო? — შეეკითხა კონია უფროსის კილოთი და მკვახედ.

— მინდა დედაჩემი გადმოვიყვანო აქა და ი ბრკებსაც მუხუ-  
ლო, თორე ქვეყანა ხო მიღულებს ქვას ქვაზე და ახლა შეი გამწერ  
მოვდივარი: მტერი არ უზამდა იმას, რაც მე ჩემსავე ოჯანს და საიც/  
როგორ ოჯასს უბედურება დავმართო.

— ეგდა მაკლდა! — შეპყივლა კონიამ. — სწორი მუშაობის მისა  
ნის შენახვისა და უზრების თავი მაქვს.

— შენ ვინ გეხვეწება, შეინახეო!.. იმათი შემნახველიც მე ვარ  
და თქვენიც!

— განა არა, შენი ცოლ-შეილი არ არის, რომ ვანცებში გამო-  
წყობილი დადას! ახლა ისინიც ამკადე ზურგზე და აშენდება ოჯახი!

გაიმართა მწვავე შელაპარაკება ამ კილოზე და რაც უფრო  
გრძელდებოდა იგი, მით უფრო ცხარე ხასიათი ეძლეოდა, ნამეტნა-  
ვად კონია უფრო და უფრო უმატებდა ხმას. შეპყვნენ ერთმანეთს  
ამნაირად და ძლიერ მაგარი ჩხუბი კი შემოერიათ. ამ ჩხუბიდან  
გამომდავნდა, რომ ყოველი გაგონილი თუ ნახული გეგნას  
გულში, მისდა უნებურად და გაუგებრადაც, ჩაწოლილიყო და და-  
გუბებულიყო დიდ ბოლმის ტბად. ახლა ამ ჩხუბში გადმოხეთქა  
გარეთ ბოლმამ. ბევრი რამ წაყველრა სიღედრს გეგნამ, ბევრი  
ცოდო შეაყირა ამ დღემდის რო მიაწევინა მას, მაგრამ კონიას  
ვერაფერი შეასვინა. ის სიძის სიტყვებს სრულებით არავითარ  
უურადლების არ აქცევდა და თავისტა გაიძახოდა და ბოლოს ასე  
დაამთავრა დავა:

— რას ჩამაცივდი, კაცო, და? აღარ დამეხსნები? აგე გზა და  
აგე შენ, გასწი და წადი სიითაც გინდოდეს!.. გინდა დედასთან  
იცხვორე, გინდა სხვაგან, ჩემ სახლ-კარს აღარ დამანებებ?

გაცეცხლდა გეგნა ამ სიტყვებზე, წამოვარდა. დასტაცა ხელი  
ჭოხსა და ერთი თუ ორი ხან სიღედრს დასცხო და ხან ცოლსაც  
უთაქა, რაკი დედას ესარჩილებოდა. ნოდარი კი შეპყურებდა ამ  
ამბავს, ილიმებოდა და თან გულში აქეზებდა კადეც სიძეს: „დედა  
ვაცხონე შენი და მამა!.. დაკა მაგ უნამუსო ძალლსა, დაკა!.. ადრე  
უნდა დაგეწყო, შენ კი დაგიგვიანდა, ჩემი ცხოვრება შესანსლა და  
ახლა შენ მოგდგა, გარე ესა!“

მეორე დღესვე დაპკრა კონიამ ფეხი და ეკას ოსტატან გაიქცა,  
კონიას გაქცევას გეგნამ არ ათხოვა უურიც, ახლა ვაუჩინდა ერთი  
საზრუნავი: ცოლის წერთნას მიჰყო ხელი, გამოჭეკეს თავის ჭკვასა  
და ნებაზე. რაკი სიღედრი შინ არ ჰყავდა, ეს საქმე აღვილი შესას-

რულებელი იყო მისთვის, მით უფრო, რომ ნოდარჩაც შეარი მისტრა. ისიც არიგებდა შვილს, დედის გზას ნუ გაჟყვებიო. გეგენა კი ყოველ ლაპარაკსა და დარიგებას ეკასაღმი მუდამ არარტიქტულია.

— მე კაცი ვარ და ქული მხურავს. თუ შენი ქცევის შეშემსახულება შელახე და შეარცხვინე, მაშინვე ხანგლის წვერზე აგავებ, მერე რაც უნდათ, მაყონ, დარდს აღარ გავწევ, ჩემსას კი უსათუოდ შევასრულებ.

პირშერცხვენილი კონია ვეღარ პბედავდა შინ დაბრუნებას. სიძეც არაფერს უთვლიდა დაბრუნებაზე. პირიქით, ისე აჩვენებდა თავს, ვითომ ძლიერ მოხარულიც იყო კონიას გაშორებით. მხოლოდ მაშინ დაბრუნდა შინ, როდესაც გეგენა მთაზე წავიდა, მაგრამ ქალიშვილში დიდი ცვლილება შენიშნა. კონიამ იგრძნო და სრულიად დაჩრდენდა, რომ მის უფროსობას და თავის ნებაზე ქცევას ნიადაგი გამოეცალა „ფეხთა ქვეშილან“. მეტი გზა არ იყო, უნდა დამშორჩილებოდა გარემოებათა მსვლელობას, მით უფრო, რომ ვაჟიშვილიც მტრუნებდა დედას და სიძეს ამართლებდა.

## XVII

### ახალი ასპარეზი

გეგენა ვაყრის შემდეგ ახლა პირველად გაძყვა ცხვარს მთაში. ქვემდი სულ შინ იყო უსაქმურად. იშვიათად ავიღოდა ცხვარში ზევლის თუ ბატყანის მოსატან-მოსაყვანად. ამ ხნის განვითარებაში ყოველიფერი, რაც ოჯახიდან ერგო, ან ქრისტიანობის აილო, გამოელია. დარჩა მხოლოდ ერთი ცხენი და ორმაციოდე სული ცხვარი, რომელიც დაზიარებული ჰყავდა სხვათან. უწინ იქნება ფიქრადაც არ მომსვლოდა, რათ იცხოვერებდა მის შემდეგ ცხვარიცა და ცხენიც რო გაეყიდნა, მაგრამ ახლა, როცა გონზე მოვიდა და გამოფხიზლდა, არამცუუ შეაფიქრიანა ამ საყითხმა, უწინდელი ჭილაშვილური ოჯახის ალდგენაც კი განიზრახა. ამ მიზნით მან დაასკვნა და არჩია შინ უბრალოდ ცუდაობას თავისი ცხვარი მიეყენებინა ვისთანმე და თითონაც თობლებზე დასდგომოდა. რასაკვირველია, ამ საშუალებას იგი საქმარისად არა სთვლიდა თავისი განხრახვის სისრულეში მოსაყვანად და სულ იმის ფიქრში იყო, თუ

რა გზას დასდგომოდა. და ასეთი გზა მოულოდნელად ფიქტური გადაეშალა წინ.

მთაში გეგენას შეპხედა ძეელი ნაცნობი ზოյ. ქართველი რწმუნებული ყიდულობდა ცოტ-ცოტაობით საკლავ ცხვრებს ჭრილებულებულ ყალბა ციდათ. ჯილაშვილების ცხვარშიაც ბევრები ეყიდნა, ახლა კი თვალსაჩინო ჩოდრად გადაქცეულიყო, მსხვილფეხა საქონლით მოვარედ. ზოქს და გეგენას ძლიერ მოსწონდათ ერთმანეთი — ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ თვალ-ტანადობასა და სიყოჩა-დეში, თუმცა ზოკი ბევრით უფროსი იქნებოდა გეგენაზედ. ორივეს ძლიერ ესიამოვნათ შეხვედრა დიდი ხნის უნახავობის შემდეგ.

როცა გეგენამ უამბო დაწვრილებით თავისი გარემოება, ზოქმა დიდი სიამოვნებით მდიამხანაგა ივი. გეგენამ გაყიდა ცხვარი და ფულს ჩავიდა სამხანაგოდ. მართალია, სამხანაგოდ ჩასული მცირე თანხა გეგენას სრული ამხანაგის უფლებას არ აძლიერა, მაგრამ ზოქმა არ უკითხა და წინაპირებულადვე კარგი მოვება აჩვენა, რამაც ძლიერ წააქეშა გეგენა და სულით და გულით მოეციდა ივი საქმეს.

ამხანაგები ერთმანეთისათვის ძლიერ სასარგებლონი გამოდგნენ. თუ ზოქმა ფულით მისცა გეგენას შემწეობა, სამავიეროდ, გეგენამ გააჩვია ზოკი ისეთ ადგილებში, სადაც მას წინათ დეხი არ დაედგა, და ამით გაუფართოვა ვაქრობის მოედანი. სამხანაგო გაქრობა ერთორრად გაცხველდა და სულ მოკლე ხანში გეგენაც ფულის პატრონი გახდა. სამი-ოთხი წლის შემდეგ თვით მიასაც შეეძლო ზოქის დაუხმარებლად ვაქრობის წარმოება, მაგრამ გეგენა ძვირად აფასებდა მის ამხანაგობას და არც კი ვაუკლია გულში ამხანაგობის დარღვევები: ამხანაგი ნუ გძულო, საშოვარი ნუ გშერსო, — მიპართა ერთხელ გეგენამ ზოქს, როცა ურჩია მას იხალი პირის ამხანაგად მიღება.

გეგენას ყველაზე უდიდრად ანანო სწყევლიდა ჯილაშვილების ოჯახის დალუპისათვის. მაგრამ როგორც სხვის არაფერს არ აქცივდა ყურადღებას, გეგენას არც ანანოს წყევლა მოსდიოდა წინათ იინუნში. თუმცა მის ყურამდის აღწევდა ყოველთვის. იმ წყევლამ შეაპარა მაინც მის გულს შიში. ახლა, როცა მას გაელვიდა სურვილი, თუ უნდოდა უკვე დაქცეული ჯილაშვილების ოჯახის აღდგენა, მასთან ერთად უნდა აღედგინა მფარველობითი წეს-ჩევეულება ანანოს მიმართ. ამ განზრახვით მივიდა ივი ანანოსთან, აუწერა

თავისი აწინდელი მდგომარეობა და ის საშუალებანიც, რათაც მდგომარეობა მდინარეს.

— მე შენთანაც, როგორც მიაპაპეულ ოჯახის დაქვემდებარები, დიდი დანაშაული მიმიღვის. ღმერთმა ხომ იცის, რომ მეტად მის მიზანი თალის გულით ვამბობ. მინდა ეხლა მაინც ჩაერეცხს მის მიზანი შეული. მე ჩემ ამხანაგს მოველაპარაკე სანდროზე: მინდა ეგეც ჩავაძა საქმეში. ჭერეჯრობით ვფიქრობ ჩიბნად — მოვამავირედ მოვიყვანო ჩვენთან, როგორც ჩემი ძმა ქიტელა ვყყავს. მაგრამ იმისი ჯამაგირი რა იარას გაგიმთელებს; დარწმუნებული ვარ, შენ ფული გაქვს, მოიტა, მანდე ის ფული, მომეცი... გაძლევ თავდებად მაღლა ღმერთსა და ძირს დედიმიწა, შენ ფულს ჩემს ხელში საფრთხე არ ექნება და არც დაგევარება, გარდა იმისა, რომ კაი მოგებას გაჩვენებ... მე ფულს იმისათვის კი არა ვთხოვ, რომ მითომ ჩვენთვის საჭირო იყოს, მე მინდა შენ გასცევებლო. თუ ეს ასე არ იყოს, ასე არ მინდოდეს, ცოლ-შვილი ამომიწყვიტოს ღმერთმა, — დაამთავრა გეგენამ თავისი აღსარება ანანოსთან.

ანანოს ძალიან გაეხარდა გეგენას წინადალება სანდროს შესახებ, მაგრამ ფულის მიცემაშე კი ბევრი იყოვნანა. ბოლოს ძლივ-ძლივობით გაბედა, ორი თუმანი ხელების კანკალით და გულის ფანქალით გადასცა მინც.

ჭამა-სმა და ძილიც გაუმწიარდა ანანოს, მანამ ჩოდრობის ყავლი გაუვიდოდა სანდროს. ვინ იცის, რამდენაირ ფიქრებში წავიდოდა ხოლმე საბრალო, ელირსებოდალა კიდევ თავისი ფულების ნახვას, თუ არა? გაერთობოდა ამისთანა მწარე ფიქრებში და მთელი საათობით შეაჩერებდა საფეიქრო ყდას, ვიდრე მდის მძახალი არ გამოიყვანდა ფიქრებიდან. მაგრამ სხვა წუთი დაიწყო ანანოსათვის მას შემდეგ, რაც გათავდა ჩოდრობის ყავლი. მოუბრუნდა შინ მშვიდობით სანდრო და მოუტანა უკვდავად თავისი ჯამაგირი. გეგენამაც ათი თუმნის მაგიერ ხუთმეტი თუმანი ჩააბარა. სიხარულით ფეხზე არ იდგა, არც ცხადლივ ეგონა ეს — ეგონა სიზმარში იყო. ვერც იმაში გამოერევია, სიზმარში მოელოდა თუ ცხადლივ მომავალ გაზაფხულს, როდესაც უნდა დაწყებულიყო ჩოდრობის მეორე ყავლი. ხოლო როცა დადგა ეს დრო, მაშინ კი იგრძნო, რომ ცხადლივ გადასცა გეგენას მთელი თავისი ფულიანობა — ოცდახუთი თუმანი და თანაც დიდი ლოცვა-კურთხევა და ნატვრა-სურვილი გაატანა. ანანო სრულიად დაემყარა გეგენას პატიოსნებას და დამედებული

იყო, რომ კიდევ ნახავდა კარგა დიდ მოგებას. არც გაუცილება  
იმედი. ამჟამად ანანომ ორმოცი თუმანი ჩადო თავის შველ ზე-  
დუქში. როდესაც წარმოიდგენდა, რომ ორი წლის გარშემოყოფაში  
სანდროს ჯამაგირის გარდა, რომელსაც საჭიროებული გადატანილება  
ხარჯავდა სახლში, შეიძინა იძღენი, რამდენიც მთელ თავის სი-  
ცოცხლეში ძლივს შეაგროვა, წამოიძახებდა ხოლმე ცისკენ ხელე-  
ბის აპყრობით: „ვენაც უფალე უფალსა, ახლა კი გადმომხედა თავი-  
სი მოწყალე თვალით!“. მის გულს სიხარულით ძაღაძუგი გაჯეონ-  
და, როცა დაიწყო ოცნება სახლის აშენებაზე:

— ძლივს არ მისრულდება ნატერა!.. ახლა ფიქრი აღარ არის,  
სახლის აშენება აღარ გამიჭირდება. ეს, შე საცოდავო მიხა, ნერა  
გეცოცხლა აქამდის, რომ შენც შესწრებოდი ამ დღეს და გაე-  
ხარა.

სახლის უწინ გათვალისწინებული გეგმა გათამაშებულმა ანა-  
ნომ შესცვალა. ახლად მოსახრებული გეგმა სახლისა ბევრად გა-  
ნიჩრეოდა იმ გეგმიდან, რომელიც ოცი თუმნის ხარჯს იხილავდა.  
მაგრამ არც ეს ახალი გეგმა გამოდგა სრული და ვერც განხორცი-  
ელდა: რამდენადაც იზრდებოდა ანანოს ზანდუქში ფულის რაოდე-  
ნობა, იძღენად ფართოვდებოდა გეგმაც ასაშენებელი სახლისა.  
სისრულეში მოყვანას ყველანაირი გეგმისა უშლიდა ყოველ წელს  
გატაცებული ვაჭრობა, ვაჭრობას კი ახალისებდა საარაյო მოგება.

თუ სადამდრის მიაღწია ანანოს ბედმა ფულის შოვნაში, იქიდან  
ჩანს, რომ ძველ-ძველი, სრულიად დავიწყებული ვალებიც კი  
უნალდდებოდა.

ერთხელ სანდრომ შემოუტანა მას ხუთი მანეთი და უთხრა:

— იცი, დედილო, ეს ხუთი მანეთი ვინ მომცა?

— ვინა, შვილო?

— დილას ბაზარში დავდიოდი. ენახოთ, ვიღაცამ უკანიდან  
მხარშე ხელი დამკრა, მოვიხედე, უცებ შევკრთი, იმან კი გამიღიმა  
და მითხრა: „გამარჯობა შენი, სანდრო, ველარა მცნობ?“ მე თავი  
გავაქნიე. „ბიჭო, აღალო ვარო. ან რაღას მიცნობ, რამდენი ხანია  
ერთმანეთი აღარ გვინახავსო... პაზირ გაჯავრებულიც იყავი ჩემშე  
და რაღას გეხსომებოდი!.. უნდა შეგირიგდე, ძმაო, პარამ კაცს  
არაფერი შეერჩნია... პალალი სჯობნებია და მეც ამ გზას დავადექი  
ექლაო... გახსოვს, ჩემთან შენი ხუთი მანეთი დარჩაო—გაუყოფე-  
ლი საწვრილმანისიო?.. ძმობას გეფიცები, მოსეენებას არ მაძლევს

ის ხუთი მანეთი..., თი, ძმავ, ჩაიბარე შენი ჰალალი დალორ  
მამაქეჩა. მე არ გართმევდი, მაგრამ ალარ მამეშვა...

სანდროსა და აღალოს მმხანაგობა რომ დამთავრდა ჩეცების...  
შემდეგ, აღალო აღარსად ჩანდა: ცამ ჩაყლაპა თუ ტერიტორია ჭურუ  
პირი, ირავინ იცოდა. სანდროსაც სიზმარივითოდა ახსოვდა ჩაფურუ-  
შული მეწვრილმანიბის ამბავი და როცა უცაბედად შეეჩება აღა-  
ლოს ბაზარზე, ერთბაშად გაახსენდა მისი ვერაგობა, მაგრამ აღა-  
ლო ისეთი სიწრფელით ნაონბდა წარსულს, რომ სანდრომ დაუჯე-  
რა აღალოს პატიოსნებას, გული გაუხსნა და გამოჰკითხა მისი ამ-  
ბავი.

— ექ, მახლას; იალლიში ვქენ მაშინ. ძალიან... რა დაგიმალო,  
შენი მეამიტობა რო ვიცოდი, განგებ გავიამხანავ ვაჭრობაში, ამ-  
ფსონი კი არ მინდოდა, უფასო დამხმარე... ვთქვი, შენზე კარგს  
სხეს ვის, ვიპოვნიდი... გამოვიტუდები ყომარშიც მუდამ გატუუ-  
ლებდი... ერთის სიტყვით, ძმაო, პარმობაზე ვიდექი რაღა... შენ რო  
გაგლლიტე, მეშინოდა კიდევ არ ჩამიღდოს ხელშიო... შენი ძალა  
რო ვიწევნიე, აბა არ შევშინდებოდი! ჰოდა, პარმად ნაშოვნი ფუ-  
ლი ჩავიღე ჭიბეში და თავი ვკარ ქალაქისაკენ... სად არ ვიყავი, რა  
არ გადამხდა, რა გზას არ ვადევ, მაგრამ არ იქნა, ხეირი ვერ ვნახე.  
ვთქვი, თუ ეს სულ სანდროს ხუთი მანეთის ბრალიაო, წავალ  
შინ, დავებრუნებ ვალს... ბედად მექვაბიანთ ყრუ თინას გადავე-  
ყარე გზაზე... გამოვეითხე აქაურობის ამბავი; შენი მიამბო, წარმა-  
რებაში წავიდაო, პალალი ბიტია და პალალად მუშაობსო... ჰაი დე-  
დასა! — ვიტუქრე, ნახე როგორ წარიმართა მისი ბედი, და როგორ  
დღეში ვარ მე-მეთქი... არუთინამ ჩემი საქმე რო ვაიგო, აღარ  
მომეშვა, დამიღექ დუქანზე და აგაშენებო... ვთქვი, მოდი, ამასაც  
ვიდი-მეთქი, ჰოდა მას აქეთია იმასთან ვიყავი... მოელი ჭარ-ბელა-  
ქანი მომატარა, სული ამომილო, მერე იყო, რაღაცა ყალთი მომი-  
დო იმ ოჯახდასაქცევმა, ამომქრა ჭიტლაყი და ცარიელ-ტარიელი  
გამომაგდო... ისევ დავკარგე ტყუილ-უბრალოდ დრო, მე ახერი  
მოვადოდი შინ, რა მინდოდა, აქამდის ჩამოვირეცხავდი სინდისს,  
დაგიბრუნებდი ვალსა და დავადგებოდი შენსავით პატიოსნ გზას...  
შენმა ხუთმა მანეთმა მიყო ყველა ეს უბედურება, ვიცი; ახლა მინ-  
და ბედი ვეხსნა, რაც რომ გამოვცადე, პერა ვისწავლე, ვიცი რა  
ძნელია ქაცს ულანაშაულოდ და უბრალოდ რო იბრივებენ... ასე,  
ჩემო სანდრო, მამატა ჩემი უხამსობა. დაივიწყე ივარა აღალო...



ახლა სიპარმეს ზურგი შევაქცირ და ჰალალ კაცობაზე დადგენი

დაათავა თავისი თავგადასავალი აღალომ.

ამის შემდეგ სანდრო ძალიან ხშირად ხვდებოდა აფაზურულული მელიც კარგა ხანს უსაქმოდ დაიარებოდა და მუდამ შეტყოფისაც და დროს, რომ ვერსად ვერ უშოვია ადგილი და ვერც სხვა რამ საქმე.. იქმდის მივიდა საქმე, რომ სანდროს შეებრალა აღალო, რამდენ-გერმე შინაც კი მიიყვანა სადილად. ანანოს ისე გაეხარდა ხეთი მანეთის დაბრუნება, რომ იმანაც კი დაივიწყა აღალოს და მარ-მარას ვერაგობა და გულობილად მიიღო აღალო. აღალო ხშირად გამოპყოთხავდა ხოლმე სანდროს ჩოდრობის ამბავს და ერთხელ თავის მხრივ დაწვრილებით უამბო თავისი მუშაობის შესახებ კარ-ბელაქანში.

— ძალიან ქვეყანაა ჭარ-ბელაქანი, მდიდარი მხარეა, თქმა არ უნდა... კარგა ხენი მიცხოვრია იქ და ყოველი კუთხე დამიკლია ისე, რომ მთელი ჭარ-ბელაქანი ხელისგულივით ვიცი... რა გინდა, ძმაო, რას მოიკრთხავ ისეთს, რო იქ არ აშოვებოდეს და მერე რამდენი და რა იაფი... რასაც ხელს დაადებ, სულ ჩალის ფასად გიფასე-ბენ... კაი ფულებს იგებენ, ვინც იქ გავა სავაჭროდ... ჩაიქცა ფუ-ლით მექვაბიანთ არუთინა... მეც კი გავიმართებოდი წელში, ძავ-რამ... უბედურს ქვა აღმართში მოწევაო... სწორედ მაშინ მიგდო არუთინამ ჩანგალი, როცა ის-ის იყო გავიჩრეხ საქმე. შენ ყისმათი თქვი და.. მიკვირს, რატო თქვენ, ჩოდრები არ გახვალო იქით. აბა იქა აქვთ ჩოდრებს გასავალი, აი! რამოდენა სისხლიანი საქო-ნელია იმ ოხერში, ჰამაც ოხრადა ფასობს!.. იქ დაბანდებული ფუ-ლი თავნის ერთისამად და ოთხადაც ამოიღებს ხელად. მახლოს!.. თანხა არა მაქვს.

ამ ლაპარაქმა უსარგებლოდ არ ჩაიარა. გვეცნასთან პირველ შეხვედრაზედევ სანდრომ უამბო აღალოს ნალაპარაკები. გვეცნამ გადაწყვიტა, უთუოდ გაჩვეულიყო იმ საზღაპრო უცხო მხარეს მომავალ ჩოდრობასვე. აქამდის კი საქონელი უფრო ბორჩალოს მხარედან მოსდიოდათ.

დადგა ჩოდრობის დროც. მოვიდა ზოკი მოსესა. გვეცნამ გააც-ნო თავისი განზრახვა ჭარ-ბელაქანის შესახებ. ზოკი დიდი სიამოვ-ნებით დაეთანხმა. დაადგინეს მიუმატონ სავაჭრო მოედანს ჭარ-ბელაქანიც და დაიქირავონ აღალო გზისა და ადგილების მაჩვენე-ბელ-გამყოლად.

აღალოს ძებნა დიდხანს არ დასჭირდათ. სანდრომ უმალ მოპ-

გვარათ და რაც შეაძლიეს მას ჯამაგირად, დიდის სისმოვნებით დასთანხმდა. მისკლისთანავე მიიქცია აღალომ თავის ახალ აღვრის განსაკუთრებული უურადღება ერთგულებით, გამჭრიაჭმებულ ტაქტი ვიზუალით და თავაზიანობით. ისეთი თავგამოდებით გვამუშავებულ თავის ყონალებს აღალო, ასე იაფად გამოკვრიდა ჟამგან საქონე-ლი, რომ თვით ზოქმაც კი თითი მოიკავა მასთან.

რაც დრო გადიოდა, უფრო მეტ ერთგულებას იჩენდა აღალო და მეტ ნიღბამაც იმსახურებდა აღებისას. ბოლოს ისე დარწმუნდნენ მის პატიოსნებაში და ისე მიანდეს გული, რომ თვით იმას აძლევდნენ სავაჭროდ გამგზავრების წინ ას-ას და ორას თუმნობით ფულს, რომ მას ევლო ხან სანდროსთან ერთად, ხან კი მარტოეას იმ ადგილებში, სადაც თვით ზოქი ან გეგენა ვერ მიდიოდნენ. ნავაჭრ საქონელს რამდენსამე სულს ერთად ვზავნიდნენ დანიშნულ დაგილას. აღალო ისეთის პატიოსნებით ასრულებდა ამისთანა მონდობილებებს, რომ განციფრებაში მოჰყავდა თავისი მრწმუნებელი.

ერთი გარემოება კი აკვირვებდა ზოქსაც და გეგენასაც. აღალომ კარგად იცოდა, რომ სანდრო გარდა ჯამაგირისა იღებდა კარგ მოგებასაც — სარგებელს იმ ფულიდან, რომელიც მიცემული ჰქონდა ანანოს სამხანაგო წესით ზოქისა და გეგენასათვის, თუმცა ესენი არა საჭიროებლენ ამის ფულში. აღალოსაც მისცეს ასეთი წინადაღება, რაკი არ უნდოდათ მისი მოშორება, წახალისებაც და გულმოლგინებაც ჰქონდათ მხედველობაში. შაგრამ მან ცივი უარი განაცხადა. და: დედაქემი რიღათი ვაცხოვრო, ფული რო თქვენთან დავაბანდოო, ან რა მრჩება ხელშიო. ამასცე გაიძახოდა მაშინაც, როცა ჯამაგირი გაუდიდეს ისე, რომ სანდროზე სამჯერ მეტს იღებდა. აღალო მუდამ სავსებით იღებდა დანიშნულ ვადაზე თავის ჯამაგირს და მიჰქონდა დედასთან სახარჯოდ, როგორც ამბობდა და არწმუნებდა თავის აღებს, თუმცა ისინი არაფერს ჰქითხავდნენ.

ჩიოდრობის მესამე წელიწადი გავიდა, რაც აღალო ზოქსა და გეგენას დაუდგა მოჯამაგირედ. ჩიოდრობის გათავებისას აღალომ გამოუცხადა თავის აღებს, რომ იგი მომავალ ჩიოდრობაში აღარ აპირებს მათთან დადგომას, რადგან პსურს ისეთ საქმეში ჩადგომა, რომ აქეთ-იქით ტანტალი აღარ დასჭირდეს და ბინას მოეკიდოს. აღებს არ ესიამოვნა აღალოს გადაწყვეტილება, დაპირდნენ ჯამა-

გირის მომატებას, მაგრამ აღალომ გადაწყვეტილი უარი განაცხადა და და სამუდამოდ გამოემშვიდობათ.



ეროვნული  
ბიბლიოთი

XXIII

ზედაპირ ჩოდილისა

სანდრო ის აღარ იყო, ვისაც როგორი ენაზა ყმაშვილ-ბიჭობაში. ახლა კაცი იყო და ყველა კაცადაც იცნობდა, ყველა პატივისა სცემდა და თანაც უკვირდათ, რომ „ჩიტირეკია“ სანდრო დინა, დარბაისელ კაცად იქცა. მართლაცდა სანდროს დარბაისლად ეჭირა თავი და ბედნიერადაც გრძნობდა თავს. მხოლოდ ერთი რამ უმშარებდა ხანდისხან აწყვოს გეონს და მომავალზე ტკბილ ოცნების—შეილი არ უჩინდებოდა და ეს გარემოება გადაეფარებოდა ხოლმე სევდის ლრუბლად მის გულს. მაგრამ ბოლოს ბედმა თითქოს აქაც გაულიმა: სევდის ლრუბელი შეუცვალა უტყუარი იმედის ცხოველყოფილ სხივად. სიამოვნებით აძგერებულ გულს ვეღარ იმაგრებდა, რომ რამე გარეგანი მოქმედებით არ გამოეხატა მომავალი ბედნიერების გრძნობა, როცა პერდავდა, რომ მისი კეთილმორჩმუნე მეულლე თანდათან სისრულეში მოდიოდა და ამით უმოკლებდა ახალ ახსებას ფარულად ყოფნის გადას. ახლა სანდრო აღარ სთვლიდა თავის ცხოვრებას და სიცოცხლეს უსაგნოდ და უმიზნოდ. ამისათვის ერთგულად შეუდგა სახლის საქმეს. რასაკირეველა, უფრო ანანოს რჩევითა და სურვილით დაუწყო მომატება წინათ დამშადებულ სახლის მასალეს, რომელიც თითქვის უვარებისად გადაქცეულიყო. იყიდა ისევ კირი, მოიტანა ქვიშა, ქვა და აგური იმდენი, რომ თავს ასდიოდა ანანოს პირეელ გეგმის სახლსა, მაგრამ რადგანაც ამ დროისათვის პირვანდელი გეგმა მასალისა რამდენჯერმე იყო შეცვლილი სახლის ზრდის ხანით, მოპოვებული მასალა სახლის მეოთხედსაც ვერ გასწვდებოდა. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ აბრკოლებდა სახლის შენებას. ახლა შეძლება იყო დანარჩენი მასალის შექენა აღვილი საქმე, დამაბრკოლებელ მიზეზად მომავალი ჩოდრობის მოხალოვება იყო. დედა-შვილს გადაწყვეტილი პქონდა, უთუოდ მომავალი ჩოდრობის მოთავების შემდეგ ზესდგომოდნენ სახლის საქმეს და ინავე წელს ერთბაშად გამოექიმდო სახლი. თუ ახლა მოიპოვა სანდრომ სახლის მასალა, იმრტომ

რომ შემთხვევამ მოიტანა, პირიანად და იაფად შეეძინა. სანდრო  
ახლა ყომარის თამაშს აღარ ეტანებოდა ძველებურად თავისუფლო  
დროს. მცი დროს ტარება იმაში გამოიხატებოდა, რომ გულას-  
მით ადევნებდა თვალყურს ყოველ მოელენას და გაზუმოებას. ქანკა  
ზოგადო ცხოვრებაში, კერძოდ კი ვაჭრობის სარბივში შემოწმობის  
გებლობდა ყოველ ხელშემწყო შემთხვევით.

ანანო სიხარულით ცათაფრენას ეკადებოდა ცალკე მითი, რომ  
სანდრო კაცად გადაიქცა, ცალკე მითი, რომ დიდი ხნის სურვილი  
და ოცნება უსრულდებოდა, ხორციელდებოდა. თუ რა ძლიერი  
იყო ეს სიხარული მისი, აქიდან ჩას, რომ ხანდისხან არანოს სი-  
რულში კოჭლობა აღარ ეტყობოდა, ისე სუმბუქად დახტოდა, რო-  
გორც ფეხშართალი. ახლა საფეიქრო ყდასაც აღარ უჯდა განუ-  
შევეტლავ. თუ ჩაუჯდებოდა ყდას, მხოლოდ გართობის მიზნით და  
ისიც მაშინ, როცა აწმყოს ბეჭნიერებით გაბრუებული თვალს გა-  
დაულეცდა: წარსულ ცხოვრებას და მიაწმევდა იმ ნაღვლიან  
ფიქრს, რომ მის დიდ ბეჭნიერებას ვერ ხედავდა და იზიარებდა  
მისი აშ განსვენებული „ტებილი მიხა“. აღარც სანდროს სიდედრი  
ეტანებოდა აგრე ჩიგად თავის საქმეს—ნართის დართვას. ისიც  
თუ აიღებდა საქმეს, მხოლოდ გასართობად და არა საჭიროების  
დასაჭიროფილებლად.

გვეხვდა ჭილაშეილი ხომ ქვეყნის სალაპარაკო განდა და თითოთ  
საჩენებელი. მისთვის გვარი ახლა სულ უმნიშვნელო იყო: ყვე-  
ლა მას იცნობდა როგორც „გვეგენას“. ეს სახელი მარტო მას ეკუ-  
თვნოდა და მარტო იმას იცნობდნენ „გვეგენად“. თუმცა ამ სახელს  
ბევრი სანე მამაკაცი ატარებდა.

ამხანაგობა მეტად ბეჭნიერად ვაჭრობდა. გვეგენამ ვერც კი  
იგემა, რას პქვია ზარალი. პირიქით, სახარაკო მოგება შევდებოდა  
ხოლმე და მისი ქონება სწრაფად და თვალსაჩინოდ იზრდებოდა.  
ყველა იმს გაიძახდა: რა ვარსკვლავზე დაბალებულა, რომ ა:ე  
უცემ ყელამდის აივსო ფულითო. მართლაცდა სულ ექვსი თუ  
შეიძიო წლის განმავლობაში მოიხვეჭა მჟღარი, ფულიანი კაცის  
სახელი. საწინლანში გვეგენამ წამოჭიმა მშვენიერი სახლი, გაიჩინა  
ცხვარი, ძროხა, მიჰყვა ხვნა-თესვას; ნაღლადაც მცირედი თანხა  
მოიტოვა მხოლოდ. მთავარ თანხას კი ვაჭრობაში ატრიალებდა.  
სახლში ძლიერ პურადი, სტუმართომოვარე მასპინძელი იყო, რო-  
გორც შინაურთათვის ისე გარეულებისათვისაც. სრული კმაყოფი-

ლი იყო თავისი ცხოვრებისა და, მაშასადამე, ესეც თავის თაგა  
ბედნიერად სთვლიდა. მხოლოდ სიღედრსა და ცოლს არ ანებდა-  
რებდა, რაც მოინდომეს ამათ და მოსთხოვეს მას სარჩოს შეძენის  
დავარად. გვენა მათ მომეტებულ ნაწილად შებძლშექრულებული იყო  
ბოლა, დაახლოვებას ერიდებოლა. მაგრამ დროვამო შემდგა. კი მშენებე-  
ლი თად მოხდებოლა, რომ გვენა, როგორც ბავშვი, ისე ეთამაშებოლა  
და ეხუმრებოლა სიღედრსაც, ცოლ-შვილსაც. სიღედრმა და ცოლ-  
მა მარტო იმაში გაიმარჯვეს, რომ დედა და ძმები არ მოაყვანინეს  
მას თავისთან, თუმცა კი გულითადად ჰსურდა ესა. სხვა რიგად კი  
შემწეობას აძლევდა. დედასაც და ძმებსაც, მიუხედავად იმისა,  
რომ ძმა ქიტელა თავისთან დაპყავდა ჩიდრობაში და კარგ ჭამა-  
გირსაც აძლევდა.

რასავეირველია, ამგვარი შემწეობა ძლიერ შორს იყო გეგენას  
მიერ განზრაბული დახმარებისაგან, ოღონდ გასავეირველი ის იყო,  
რომ რაშდენადაც უდიდებოლა გვენას საშუალებანი ქველმოქ-  
მედებისათვის, იმდენად ვიწროვდებოლა ამ ქველმოქმედების ას-  
პარეზი. ეს გარემოება უთუოდ იმას უნდა მოწეროს, რომ გეგენა  
ქველობის სურვილს მეტოქე აღმოუჩინდა. რა დასავიწყარია ის გა-  
რემოება, რამაც აღუძრა გეგენას ქველმოქმედების სურვილი, რა-  
ნაირად დაუწყო ქენჭნა სცინდისმა, როდესაც მის თვალწინ გადაიშა-  
ლა შედეგი იმ უბედურებისა, რომლის მიზეზადაც ის გახდა და  
ხალხის თვალშიც ითვლებოდა, ხოლო თითონ შეიგრძნო მხოლოდ  
მაშინ, როდესაც სიცივისაგან გათოშილ ძმას ქიტელას შეხვდა ივ-  
რის გზაზე და მეურმემ გაუბედა პირში მხილება ჭილაშვილების  
ოჯახის ღალაპევისა. მაშინ აღუძრა მას წრფელი სურვილი დალუპე-  
ლი ოჯახის აღდგენისა, მაშინ შეცვალა ვაჟკაცურად გეზი თავისი  
ცხოვრებისა და პირნათლადაც შეუდგა გაუცემებული საქმის გა-  
მოსწორებას. მაგრამ საქმის გამოსწორებისათვის საშუალებების  
გამოიძებნაში დაუპატიჟებლად, მისდა გაუგებრად, იქნებ უნებლი-  
ედაც აღიძრა მის გულში სრულიად სხვა მიმართულების, ქველ-  
მოქმედების საწინააღმდეგო სურვილი — სურვილი ფულიანი კა-  
ცის სახელის მოხვევება.

ეს გრძნობა წინაპიროველად მკრთალი იყო გეგენას გულში,  
ბუნდოვანა, მაგრამ რანდენი დროც გადიოდა და მისი ჭიბე იქსებო-  
და, იმდენადევ იზრდებოლა ბუნდოვანი სურვილი ფულიანი კაცის  
სახელისა და იპყრობდა მის არსებას, იმონებდა. ისიც უნდა ითქვას.

Հորչել եանի ցացենա Շյըթիկոլու մէ սպառաւրս ցրմենծամ, հոգախաց  
օսածհածես, մացրամ զեր դատրցենա ոցի, პորովու մէ ցրմենծամ բա-  
խածնա շաբախմայմելուն սարցուլու և ծոլու և ձարիու կալու ելու/  
և առ տու սրուլուած առ ճահրուուլու կը տուլո լուրուա բայց իշխանական լուրուա առ առինցուլու և ս լունց ցածուալու մաս. ճափուցուուլու կը լուրուուրի մասը բացենա ցացենա ցածուուն մատացալու հոգրուուն մոցենա մտլու զալու-  
զած իշեն սածլոյցաւրեն օսածիահրեծլու, ստորու սննդա թամոցայցեն զուենի մցըլու ոչածո, տու պայլա յիշուու զեր մոցուրու տացն, հոմ պիտի լուրու եալութմիւացալու ոչածո ացայցեն, ու մանց դաշայցեն միատ  
սայմես, հոմ պայլա մ տացուտացած ուրեցուրու ոչածոնցուրուա և  
ոչածու մցըլու յիշեատ. տու յիշու թլու մոցենա առ յսուուատ միուս-  
տուու, մեռու թլու մոցենա զալուզած մեսամեսա և միատ յո զուենի թամոցայցեն միուս. — ու ամենուն ցացենա, մացրամ սայմանուս ուր մուն  
չունենի հասուլուու „մոմացալու թլուն“ մոցենա, հոմ մուսու զալուզա-  
ցարենի պորի սայցուլումոյմելու պայլու ելու ելու գարեն. գարենի  
պորի յո ամեյամա լուրա-մեյենու ելու ելու լուրա և լանահին չունամու-  
զածնի եոմ ոյիշրու ալուն ուր. լուր-մուլուսամու, լուրա-մեյենուսամ-  
մու սուցահրուլու ուրու թրյուլու և մէուուրու կայմուրու առ վյունու ցա-  
ցենա ցալուտան, հոգուրիսաւ პուլուած մուն չունենի հասուլու ուրու.  
պիտի լուրու պուլու մցունու ուրու թանուսամուսու հապաւսաւ յո տացու լանցեն. յիշուանցուն մուսգուու յո տու մէ ոյիշրու, հոմ մաս սպիրալու  
թանուսամուսու յարցած սպիրալուն, մելու ցամուսալուննու.

ზოგი მოსესას დაწვრილებითი გარემოება არავინ იცოდა, გარდა იმისა, რომ იგი ყველას დიდი ფულის პატრიონად მიაჩნდა. ყველა პატივსა სცემდა და ნატრიობდა მასთან დაახლოებს, როგორც გეგენა იყო დაახლოებული, მაგრამ იგი ყველას განხე უვლიდა და გარდა იმ პირებისა, რომელთაც გეგენა სანდო კაცებად დაუსახელებდა, ახლოს არავის ეკარებოდა.

ამ გარემოებაში იყვნენ ჩოდრები, როცა ისინი, აღალოს მიღების შემდეგ, მეოთხედ გაემგზავრნენ პირდაპირ ჭარ-ბელაქანში. როცა მოსესა-ზოუი მოვიდა თავის ქვეყნიდან, აღალო უადგილოდ დადოოდა და ჩოდრები იმდენად შეუჩნდნენ მას, რომ ისევ თავის-თან მიიყვანეს. შინავე გაიყვნენ ამხანაგები სამ გუნდად იმ აზრით, რომ როცა მოვიდოდნენ დაინშნულ ადგილს, სხვადასხვა მხარეს წასულ-წამოსულიყვნენ და ევაკრათ ცალ-ცალკე. მოსესა და გიგანტს ერთ მხარეს უნდა წასულიყვნენ, გეგენა და სანდრო მეორე

მხარეს, ხოლო ალალო მარტო, მესამე მხარეს. სავაჭროდ წარალები  
ფულიც, რასაკვირველია, გაინაწილეს, ახსენეს ღმერთი და გაუზი-  
ნენ გზას.

## XIX

# უროვნეული გებულის მიერთება

გაორგებაშული უპაჟირია

იმ დროს, რა დროსაც აბავი ხდებოდა, ჭარ-ბელაქანში მიმა-  
ვალ მგზავრს, თუ მოისურვებდა დასვენებას, შარავზილან უნდა  
გადაეხვია ნაპირისაკენ, გაევლო თოფის სროლის მანძილზე გაყა-  
ფულ-გაშიშვლებული აღგილი — აქ ოდესლაც ტყე იყო, ხოლო  
ლეკიანობის დროს გაიკაფა, რომ გზის პირად ტყეში ჩისაფრებულ  
ლეკებს არ ეხოცათ გზაზე მიმავალ-მომავალნი. ახლა კი გზიდან ორ-  
სავე მხარეს ისე იყო დაშორებული ტყე, რომ როცა ამ მანძილს  
გაივლიდა მგზავრი, შევიდოდა ხშირ ტყეში, ხოლო რადგანაც შიგ  
ტყეში მოუხერხებელი იყო დასვენება, — იმისათვის კი არა, რომ  
შტრისაგან იყო შიში, რადგან ამლა სრულიად დაშვიდებულნი  
იყვნენ ლეკები და აღარაფრის შიში არ იყო, ხოლო ხშირ ტყეში  
სიცხე-პაპანაქების დროს მგზავრი სულს ვერ იბრუნებდა, —  
ამისათვის ექტდა იგი ყალთალიანს, უოტა ოდნად მაინც მინდვრიან  
აღგილს და კიდეც იყო ისეთი აღგილები, რომელნიც მგზავრს  
ანდამატივით იზიდავდნენ თავისკენ. ამისთანა აღგილები ბლომად  
იყო და არის. ოღონდ ერთგან ძლიერ დიდი კი არა, მაგრა დღესაც  
ქოლგასავით შეკრული მუხა იდგა. ამ მუხას გარშემო შემოტარგ-  
ლული ჰქონდა ბარაქიანი მინდორი ბარდებით წრეშემოვლებული  
ისეთი გასაოცარი სასწორით, რომ თითქოს განვებ კაცის ხელით  
გაუკეთებით და არა შენებას უმოქმედინაო.

ერთ მაისის დილას წყნარი ნიავი სასიამოვნოდ აშრიალებუა  
ჭერ ისევ ნორჩ ფოთლებს გაშლილი ქოლგის მსგავსი მუხისას. ამ შრიალს ხანდისხან უერთებდნენ თავის ტებილ ღულენს შეხაზე  
შემომჯარი ქედნები და გვრიტები, რომელნიც ფრთების ტლაშა-  
ტლეშით ისევ მაღა გასრიალდებოდნენ ხოლმე უფრო უკეთეს  
მხარეს. გარშემორტყმულ ბარდებშიც ბულბულებს და ზანდრიკო  
ჩიტებს მოერთოთ კიტკი-გალობა ღვთისადმი გულწრფელი საცის-  
კრო სავედრებლად და ბუნების სიმშვენიერის შესამკობად. მხო-

ლოდ მათ ჰანგზე გალობას არღვევდნენ უშნო ყრანტალით ყოჩა  
ნები, რომელიც დასტრიალებდნენ მუხას: ხან ზედ სხვებოლწენ,  
ჩაქირებულებდნენ ქვეშ, მხოლოდ ძირს ჩაფრენას და დასხდომს  
რაღაც შიშის გამო ვერ პბედავდნენ. ყორნებს მაღლა ტრადულებადა  
სვავების ხროვა და თანდათანი ტრიალით უახლოვდებოდნენ. მუხას  
წვერს. ამ უკანასკნელთ მიიჩიდეს მეძროხე ინგილოს ყურადღება,  
რომელსაც წინადღეს ძროხა დაპქარეოდა. იფიქრა: უთუოდ ნა-  
დირმა შეკამა და სვავები იმის ლეშს დასტრიალებენო, და გამოსწია  
ამ ადგილისაკენ. მუხას რომ მიუახლოვდა ინგილო, ერთ ადგილს  
გაშეშდა, პირისახეზე ნაცრისფერი გადაედო და შიშისაგან ენა  
ჩაკვარდა. კარგა ხანს იყო ასე გაშეშებული, მერე უცებ მოტრი-  
ალდა და ისე მოპკურცხლა, რომ გაქანებული ცხენიც ვეღარ დაე-  
წეოდა. იმავე სალამოს „ზ“-ზან მოვიდა პოლიციის ბოქაული ჩაფ-  
რებით, რომელთაც წინ მეძროხე ინგილო მოუქლოდა მუხისაკენ,  
ოლონდ თვითონ ვეღარ გაბედა ახლო მისვლა, შორიდან მიუთითა  
ადგილზე და თვითონ გაფითრებული გაშეშდა.

მიუახლოვდნენ თუ არა ბოქაული და ჩაფრები მუხას, იხუვლეს  
მუხის ქვეშიდან უავ-ყორნებმა და აფრინდნენ ზევით. საზარელი  
სურათი წარმოუდგათ ბოქაულს და მის მხლებლებს: მუხის ქვეშ  
ხუთი მოკლული კაცის გვამი ეყარა. გვამები დედისშობილად გა-  
ტარულებულნი იყვნენ. სახე მიხდილი და მიეცეული პქონდათ და  
ძალზე გაბერილიყვნენ, თვალები დაჩიჩქნილი ყორნების მიერ და  
სხეულებიც ნაჯიჯნი. ყოველ სხეულს აჩნდა სხვადასხვა ჭრილო-  
ბა თოფის ტყვიით და ზოგიერთს ხანგალიც პქონდა დაკრული. და-  
ხოცილთა ცნობა შეუძლებელი იყო თვით მახლობლებისათვისაც  
კი, მხოლოდ ბოქაული ეჭვით მიხდა, რომ ეს დახოცილები იყვ-  
ნენ მისი კარგი ნაცნობი ჩოდრები მოსია-ზოკი და გეგენა თავიანთი  
ბიჭებით. კანონიერად გასინჯვის შემდეგ სხეულები მიწას მიაბა-  
რეს.

მანამ ოფიციალურად მიიწერ-მოიწერებოდნენ აქეთ-იქით და  
გამოაცხადებდნენ ამ მკვლელობას, ხმა კიდეც გავარდა ყველგან.  
შეიტყვეს და თავში წაიშინეს როგორც ანანომ, სანდროს ცოლმა  
და სიდედრმა, აგრეთვე აღალოს დედამ და გეგენას ცოლ-შვილმა,  
სიდედრმა და ნამეტნავად დედამ. არავის მათგანს ეჭვი არა პქონ-  
დათ ამ მწარე ხეედრისა, რაღვანაც დახოცილთა რიცხვი ეთანხ-  
მებოდა ჩოდრების რიცხვს. მწუხარებას ჭირისუფლებს ის გარე-

მოება უფრო უორეცებდა, რომ მკედრებიც კი სამუდამოდ /გადა/ დარგეს და საფლავების ჩახვასაც ვერ ეღირსებოდნენ — ანანი /გადა/ წუხარისა და სიავეცობისაგან გავაპასებული მიესია პლალი /დე- დას და, ნება რო მიერათ, კბილით ლუქმა-ლუქმა დაჯუჯუჭრებ შეუძლია / შეილმა გაადგმევინა, შე გავლეჭილო, ფეხი პარ-ბუჭტეშეს / შეზეული რემ ისინი თავისთავად არ დაიწყებდნენ იქითენ ვაჭრობასო და არც ამ უბედურებას გადაეკიდებოდნენ! მარმარა პირიქით ანა- ნის აყვედრიდა: შენმა შეილმა გამიუბედურა ჩემი ალალო, იმას რო არ შეაღმევინებინა მათ ამხანავობაში ფეხი, ან ეხლა არ ჩა- მოჰყიდებოდა, წამო-წამოდიო, ჩემი ბიჭი დლესაც ცოცხალი მეყო- ლებოდაო! არ მოასვენა იმ არგასაშვებია, ვით არ გაუწვა ლმერომა, ამ გაზაფხულზე, მანამ დაათქმევინა და მიიკვანა თავიანთონაო! სწუხდნენ გეგენას სიდედრიც და ცოლიც, მაგრამ იმათი მწუხარე- ბა ბევრად განირჩეოდა დედის მწუხარებისაგან, რომელმაც ორი შეილი და მათი საფლავებიც ერთად დაკარგა. რაც შეეხება სან- დროს ცოლსა და სიდედრს, ესენი ორგვარ სიმწარეს განიცდიდნენ: ცალკე სანდროს სიკვდილი უნდა აეტანათ, ცალკე ანანის შხამიანი სიტყვები. სიმწუხრისაგან თავდავიშებული აანო მივარდებოდა ხოლმე მძახალსა და რძალს, ეჩხებებოდა უმიზეზოდ და სანდროს სიკვდილსა და თავის გაუბედურებასაც იმათ აბრალებდა. ორმო- ცამდინ კი მოითმინეს, ორმოცის შემდეგ კი აუხსნეს თუ არა სანდროს სული, დაიწყეს დედა-შეილმა სიარული და ისევ თავის ქოხს შეაფარეს თვეი.

ანანისაც მთელი ორმოცი დლე შინდან ფეხი არ გამოუდგამს. იმისათვის აღარც ჭამა იყო და აღარც სმა: იჯდა და გამუდმებით ტიროდა ხან სანდროს, ხან მიხას, რომლის მოგონებაც გაუახლა შეილის დალუკვამ. მაგრამ დრო თავისს არ იმლიდა: გადიოდა და ანანის მწუხარება მიპქონდა თან. რაյო შეუმსუბუქდა სიმწარე და ცოტაოდნად გული გაუგრილდა, ანანი ჩაუჭდა ისევ თავის ყდას კარგამოხურულ ქოხში და დაუწყო ჩახნი, მაგრამ სადღა პქონდა უწინდელი გული და ხალისი! ჩაქრავდა ორჯელ, სამჯერ საფეიქ- როს თუ არა, მცეცემოდა დაუსრულებელ ფიქრებს და თანაც ჩა- მოსდიოდა მწუხარებისაგან მოტეხილ და დანაოჭებულ ლოყის თავებზე მდუღარე ცრემლი. გული ეთუთქებოდა, როდესაც დათ- უენებდა თვალწინ სანდროს შეგირდობის დროს:

— რათა ვტანგავდი მე ასეთ-ისეთი სხვისა ხელში? რათ ვამწა-

ჩებდი და ვაწყევლინებდი ისე უდიერად, როცა დაშავებული რის  
მეს? რატომ პირი არ მევსებოდა მიწით და ენა არ მიღუნდობოდა,  
რომ აღარ ამომეთქვა მასზე წყევლა! დედის ლოცვაჭარი უფრო  
სო და წყევლა წყევლაო, რად მავიწყდებოდა მე უფრო უძრავი უფრო  
თუ ჩემმა წყევლამ იმოქმედა და ამისათვის დამეცა მე პირშავს  
თავზე ცა და ქვეყანა!

უფრო მწარე ფიქრებში და მოთქმაში ატარებდა დროს ყდანა-  
თან მცდომი ანანო ეიდრე ქსოვდა და ხშირად დაურთავდა ხოლმე:  
„რაღაში და რისთვისლა მიდგა ეს ძალლის სული!“ მინც სრულიად  
არ ვაჩდებოდა სასოწარეკეთილებაში; მისი ფიქრები თავდებოდა  
ნუგეშისმცემელი იმედით, რომლის სხივი ათბობდა და აძგერებდა  
ანანოს დაკოდილ გულს სიცოცხლისათვის. ეს ცხოველმყოფელი  
იმედი იყო მოლოდინი შვილიშვილისა, რომელიც ჯერ არსად იყო,  
მაგრამ მის სიცოცხლის და სცყვარულის საგანს კი შეადგენდა. მხო-  
ლოდ ხანდისხან ის გარემოება აფექტებდა, რომ ვაითუ გაუფრ-  
თხილებლობის გამო ან მუცელი წაუხდეს, ან ძნელად შობოს და  
შშობიარობის დროს აუტყდეს რამე ბაეშესაო. მაგრამ ეს ფიქრებიც  
მალე მოსცილდნენ თავიდან, რადგან მისი რძალი მალე დალოგინ-  
და და ვაჟი ეყოლა.

— ახლა კი მომისევნა ცოტათი გულმა, — ამბობდა ანანო,  
როცა ეყოლა შვილიშვილი ვაჟი და სახელად მიხა უწოდდა.

მანც მწუხარებამ თავისი დალი დაასვა ანანოს, უდროოთ დაე-  
ტყო სიბერე და მოუძლურდა. სახე აუნაოჭდა და წელში მოიხარა.  
ახლა სახლის აშენებისათვის აღარა სცხელდა და არცა ფიქრობდა  
იმაზედ. მხოლოდ მისი სახლ-ქნი, თითქოს იგრძნოო, რა უბედუ-  
რება დაატყდა თავზე მის პატრიოს და თანაუგრძნობსო მას, პატ-  
რონსავით წამოიკავა წინ და ნელ-ნელა შედიოდა იმ მდგომარეო-  
ბაში, როგორიც ვნახეთ ამ მმის პირეელ თავის აღწერაში. სანდ-  
როს მიერ მომზადებულმა სახლის მასალამ სრულიად უსარებ-  
ლოდ ჩაიარა ანანოსათვის: ცოტაოდენი აგური და კრამიტი კი გა-  
ყიდა ნახევარ ფასად, დანარჩენი კი ვერაფერი გამოიყენა. დამიწე-  
ბულ კირსა და ქვიშაში დიდყურა ცხოველებმა დაიწყეს გორაობა  
და მეზობლის ქათმებმა ფუტნაობა.

## ლ ა დ ი ტ მ

### I

კნეინა ბაბალე ძლიერ ხშირად ეტყოდა ხოლმე ტკბილი ალერ-სით თავის ცუგრუმელა ლადიოს: „ნეტა, როდის იქნება, ჩემმა თვალებმა დაინახონ მაგ შენ პაჭაჭა მხრებზე გადაჭიმული პელა-ტები!“

რამდენჯერ შეუთამაშებია მხრები სიამოვნების ნიშნად ამ სი-ტყვების გავონებაზე აწ განსვენებულ თავად ზაქარიას! თანაც გა-მოუღია პირიდან ჩიბუხი, მიუბჯენია მისი ტარი ნიკაპის მარჯვენა გვერდზე და კნეინის სიტყვებისათვის დაუმატებია: „ეჲ, ეხლა დავქვეითდით, ჩემო კარგო, თორეშ ერთ დროს უწარჩინებულესი გვარი ყოფილა ჩვენი გვარი. განსვენებული პაპაჩემი იორამ, შე-სანიშნავი მხედარობთავარი ყოფილა მეფე ერეკლეს დროს. რო-გორც მამიჩემისაგან გამიგონია, იმას სიმამაცესა და მოხერხებაში თავის დროზე ვერავინ სჭობდა თურმე; ეხლა რომ იყოს, სწორედ ღერერალ ატინფანტერის ჩინამდის მიაღწევდა... აჲ, დროს რა უთხრა, დროს, რომ ეხლა აღარაფრად გვაგდებენ, აღარც ჩვენ და აღარც ჩვენს გვარსა და გვარიშვილობას! უწინ სულ სხვანი ვყო-ფილვართ!.. მაგრამ, ფიქრი არ არის, იტყვიან ხოლმე, მამა-პაპის ნიჭი და უნარი, თუ შვილზედ არა, შვილიშვილზე გადავაო. ვინ იცის, ის ქვეყანა ამქვეყნად არ იქცევა; ნათქვამია: წინანი უკან, უკანანი წინაო. იქნება ტრო იყოს, რომ ჩვენი ლადიკო ისეთივე შესანიშნავი და წარჩინებული კაცი დადგეს თავის დროზე, რო-გორიც იყო პაპაჩემი იორამ, და დაამშევნოს ჩვენი გვარი და აღმალლოს ისევ მისი ღირსება და მნიშვნელობა. ჩამომავლების სისხლი თავისას არ დაიშლის და არ დაჭეარგავს, თავის ძალას: ჩვენ შვილში იქნება თუ შვილიშვილში, პაპიჩემის ვაჟკაცობა ერთხელაც იქნება იფეთქებს, თავს იჩენს!“

— ეს რა ლვთის წყრომა მოგვევლინა, თქვენს გამარჯვებას! კაცების სულითა და გულით შვილის გაზრდა გსურდეს და ვე ვა ზარდო, ამაზედ მეტი უბედურებალა გინახავთ საღმერდი მარტინი და ხოლმე თავადი ზაქარია, როდესაც, დიდის ტექსტის მიმდევად შემდეგ უას ეუბნებოდნენ შვილის მიღებაზედ კორპუსში.

— ოთხი სავსე ფურუნი ყმაწვილეაცობა გადავრეკეს რუსეთში და დაგვარიგეს აქა-იქ კორპუსებში. არც ხარჯო, არც ბორჯო, არც ხევწნავ, პირიქით, თვითონ ეხვეწებოდნენ ჩვენს პატრიონებს: შვილები მოგვეცით, დაგიზარდოთო. ეხლა შენ თვითონ ეხვეწები. არც ხარჯსა ჰზოგავ, არც შრომას და სასწავლებლის კარს კი არ უღებენ შენს შვილს! მოდი და ამისთანა დროში ან შვილი გამოზარდე, ან შენ იცხოვრე!

— ახ, სად მქონდა ეს ჭკვა და გამარჯილება უწინ! განა შევცდებოდი და გამოვვარდებოდი კორპუსიდან, რომ ახლანდელი ჭკვა და გამოცდილება მქონდა! ჩემი ნაამხანაგარები ეხლა სულ პოლკოვნიკები და ლენერლები არიან... ზედაც აღარ მიყურებენ მე!.. მაგრამ ღმერთმა დასწუკევლოს ეშმაქი! თუ ერთი შეუჩნდა კაცს, ის შეჩვენებული უთუოდ არ გადაარჩენს უფათერაკოდ არა, რას ჩამათლიდნენ, ან რა ჩირქი მოეცხებოდა ჩემს გვარიშვილობას, მუეკის (აფიცრის) შვილები რომ მსხდარიყვნენ ჩემთან ერთად. ან რა საწყენი და სათაკილო იყო ჩემთვის ისა, რომ მასწავლებლები ერთნაირად და განურჩევლად გვეპყრობოდნენ თავადის შვილებსაც და მუეკის შვილებსაც. ეს ოხერი, მაშინ რატომ არ მომდიოდა თავში ამისთანა ფიქრები!.. გამოვვარდი კორპუსიდან, გამოვიქეცი შინ. ასე მეგონა, როგორც ბატონი მობის დროს, ყოველთვის გულუხვი, ულეველი სარჩო-საბადებელი მექნებოდა; მეყოლებოდა მრავალი ყვა-მოსამსახურე და კორპუსში შეზღუდულსა და მონურ ცხოვრებას შინ თავისუფალი ცხოვრება და დროების გატარება ვარჩიე. მაგრამ... სახტად არ დავრჩი!.. სამსახურში რომ ვყოფილიყავ, ეხლა ჩემს შვილსაც უთუოდ მიიღებდნენ კორპუსში.

თავადი ზაქარია იძულებული შეიქვნა თვისი ლადიკო სასწავლებელში მიებარებინა თავისისავე ხარჯით. ამ გარემოებით მა-

ინც გულს არ იტეხავდა იგი და მშპობდა: „თავი ცოცხალი / ჩა  
შინდა, თუ ჩემი ლადიკო კაცად არ გამოვიყვანე! ყოველ ღონისძიება  
ძიებასა და საშუალებას ვიხმარ და ჩემს ლადიკოს კი უთუოდ  
კაცად ვაქეცევ!“ ამით, რასაკირველია, იმისი თქმა არ უწიფერდეთვალი ვადს, რომ თვით იგი, როგორც უსწავლელი, ვისუმიცილებული იქ იყო.

მის სიტყვებს ეს აზრი არა ჰქონდა, თორემ აი თვით დამამტკი-  
დელი საბუთიც.

თავადი ზაქარია ხშირად ესწრებოდა ხოლმე სხვადასხვა წვეუ-  
ლებას, სადაც მაღალ საზოგადოებასთან ერთად ბლომაც იყვნენ  
იღრეთვე „ჩინოვნიკობა“, ანუ ოფიციალობა არათავადაზნაურიც. თუ  
სუფრაზედ მიპატიუება და აღგილების მითავაზება მასპინძლის  
მიერ, ანუ საღლეგრძელოების წარმოთქმა წვეულებაში ხდებოდა  
სტუმართა პიროვნული ლირსების მიხედვით და არა წოდებრიო-  
ბის კვალად, თავადი ზაქარია ძლიერ თაკილობდა ამას და ნაწყე-  
ნად რჩებოდა.

წყენასა და უკმაყოფილებას პირველში იმით აცხადებდა იგი,  
რომ, ვიღრემდის ლაშათიანად არ გადაქრავდა ლვინოს, იჯდა გა-  
ნიუმებული და იმის პირიდამ „ლმერთმა გადლეგრძელოს“ მეტი  
არაფერი ამოდიოდა. ხოლო, რაკი შეუჭდებოდა თავში ლვინო, —  
ეს კი ხდებოდა დაახლოებით იმ დროს, როცა მის საღლეგრძელოს  
დალევდნენ ხოლმე, — ერთი აუბამდა სიმღერას და მას ვეღარა-  
ვინ გააჩუმებდა. ანუ, თუ სიმღერის გუნებაზე არ იყო, თვისებრ  
შეურაცხყოფილ თავადთაგანს დაუწყებდა იგავით ლაპარაკს:  
„ენიაზო, (აქ სახელს დაატანდა მოსაუბრისას), ხომ არაფერი  
გაგიგონია ჩვენს თავადობაზე? თავადობის ლირსება ხომ არ აგვყა-  
რეს? როგორლაც აბუჩად გვეკიდებიან და ალარაფრად გვაგდებენ.  
იქნება ჩვენ ძარღვებში აღარა სუემს კეთილშობილური სისხლი?!“  
ანუ სხვა ამისთანა კითხვებს მისუემდა თავის მოსაუბრეს და თანაც  
იღიმებოდა დაცინვის გამოსახატველად.

საზოგადოდ, თავად ზაქარიას ლაპარაკის საგანს ამისთანა  
შემთხვევაში შეადგენდა საყვედურის გამოთქმა წოდების შელახ-  
ვის გამო. და მსმენელებადა და მოსაუბრედაც ჰყვანდნენ ყოველ-  
თვის მარტოდმარტო მისებრ შეურაცხყოფილი. სხვები კი ყურ-  
საც არ ათხოვებდნენ მის ლაპარაკს, რადგანაც იცოდნენ მისი ასე-  
თი ზნე-ჩვეულება.

რაც თავი შეესწავლა, თავადი ზაქარია ჯერ არ დასწრებოდა  
იმისთვის წევეულებას, სადაც მისი თაემოყვარეობა, როგორც  
ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელისა, არ შელახულიყო. მხო-  
ლოდ ის კა ზეც კი სჭირდა თავაძს, რომ მალე აფრიკულშემოტკე-  
პეთი შეურაცხყოფა, და არც ერთხელ არ განუცხადებოდა ერტე-  
რომელსამე საგანგებო წევეულებაში წასელაზე. თუმცა წინათვე  
დარწმუნებული ყოფილა ყოველთვის, რომ უთუოდ შეურაცხყო-  
ფილი დაბრუნდებოდა იქიდან. უკატავად გახლავაზო, რომ გა-  
ვაგრძელეთ საუბარი იმაზედ, რის თქმაც სახეში არა გვქონდა, რ  
მაგრამ სიტყვამ მოიტანა.

#### IV

ღიას, ბატონო, თავადმა ზაქარიამ შვილი სასწავლებელში  
მისცა.

როგორც ხელმოყელე თავადიშვილს და მცირე მამულ-დელუ-  
ლის პატრიოტს, ზაქარიას ძლიერ უშირდებოდა თავისი ლადიკოს  
შენახვა. ძაგრამ ქვეყანას პირზედ ტყავს აძრობდა და შვილის შე-  
ნახვს კი ნირს არ უცვლიდა. თვით ლადიკოსაც უსრულებდა ყო-  
ველგვარ სურვილს და თანაც ეუბნებოდა: „ისწავლე, შვილო,  
ისწავლე კარგად! ისეთ სასწავლებელში მიგაბარე, სადაც სულ  
თავადისა და ტახტის აზნაურიშვილების ყმაწვილები სწავლობენ.  
ჩემსავით მუეკის შვილები კი არ მოგისხდებიან გვერდთ, რომ  
რაიმე შეურაცხყოფა იგრძნო და სასწავლებლის თავის დანებება  
გაიფიქრო!“

მხოლოდ ულმობელმა სიკვდილმა მოაკლო ადრე და მალე  
ლადიკოს მამის მზრუნველობა.

ლადიკო დედის ანაბარა დარჩა, მაგრამ კნეინა ბაბალემ არ გა-  
დაუხვია მეულლის მიერ ამორჩეულ შეილს აღზრდის გზას. პირიქით,  
კნეინა უფრო მეტად იყო მოწადინებული, რათა ლადი-  
კოს კარგად ესწავლა, მიეღო შესაფერი განათლება და უთუოდ  
„ვოენში“ შესულიყო. ადრეული დაქვრიცებაც კი არაფრად ჩაგდ-  
დო ბაბალემ და არც აგრძნობინა შვილს მამის სიკვდილი, ვიდრემ-  
დის მიიღებდნენ საზოგადოების ხარჯზედ. მიიღეს და მაშინ უფრო  
გაუადვილდა კნეინას დაეკმაყოფილებინა განებივრებული ლადი-  
კოს მრავალგვარი სურვილები. ბევრჯერ დაუღამებია და გაუთე-

ნებია კუნინა ბაბალეს მშეერის მუცლით (უკაცრავად აქ სიტუაციას ხმარებასათვის), ანუ გადაუვლია ცარიელ პურზედ. ლადიკოსთვის კი არაფერი მოუკლია იმ ტქბილის იმედით, რომ შეკულებული ზღაურებდა ყოველივე გამოვლილ ნაკლულევანტებიც ლერწიშიც კოფიცირის ჩინსა და ხარისხს მიიღებდა.

## V

ლადიკო ძრიელ მარილიანი ბავშვი იყო და პატარაობიდანვე დედ-მამის სიამაყეს შეადგენდა. მაგრამ უფრო აღტაცებაში მოიყვანა იმან მშობლები, როცა პირველად დაბრუნდა სასწავლებლიდან, ცხრა თვის უნახაობის შემდეგ. ახლა იგი დედ-მამის თვალში სრულიად გამოცვლილი ანუ გარდაკეთებული გამოჩნდა. ამეა-მად ლადიკოში მშობლებმა შენიშვნეს ის ლირსებანი და სასიქადუ-ლო მოვლენანიც, რომელიც წინათაც იყვნენ მასში, მხოლოდ შეჩერებული თვალი მშობლებისა ვერა ჰქედავდა მათ; და განა მარტო პირველ მოსელაზედ? შემდეგშიაც ყოველთვის ნათლად ეცნოდა, რომ ლადიკო, რაც ღრო გადიოდა, სასწავლებლიდან „განკარგებული“ ბრუნდებოდა.

პირველსაც დაბრუნებისას სასწავლებლიდან ლადიკომ სა-მართლიანად დაიმსახურა „პატარა კავალერის“ სახელი, დიდ-ხანსაც შერჩა მას ეს სახელი. როცა იგი ათამაშებდა თავისზედ ორჯერ და სამჯერ ხნიერ კნიავნა კნეინებს, თვით თავადი ზაქა-რიაც ერთი ეს არის დედამიწას ფეხებს არ აშორებდა, თორემ მთელის ტანით კი ცმუკავდა და თამაშობდა. ახლა ჩაეგხედნათ მის გულში, რა ხდებოდა! ან დაგნახათ მის ძარღვებში სისხლი რო-გორ მოძრაობდა!

მაგრამ თამაშობა ლადიკოსი ვის ეკადრებოდა მისსავე წერია-ლა ხმით სიმღერასთან კნიავნების წრეში! რა გავლენას ახდენდა მისი სიმღერა მსმენელებზე, ამის ნიმუშად შეიძლება გამოგვადგეს ის გარემოება, რომ თვით აშ განსვენებულმა თავადმა ზაქარიამ დიდის მეცადინეობით შეისწავლა საყმაწვილო სიმღერები და იგიც გატაცებულის სიამოვნებით დასძახოდა ლადიკოს, როცა იგი „კნიავნებთან“ მღეროდა.

როგორც სიმღერის, აგრეთვე თამაშობის ნიჭი და უნარი ლა-დიკოს, შთამომავლობის კანონით, გარდაცემული ჰქონდა მამისა-

გან. განსეინებული თავადი ზაქარია ერთი საუკეთესო მომღერალი  
მოთამაშე და ლვინის მსმელი იყო თავის თანამედროვეთა შორის.

## VI

ერთონია  
ბეჭდურის

ვიდრე თავადი ზაქარია ცოცხალი იყო, იმისი ხათრით თუ სხვა  
რამ მიზეზით, ლადიკო კარგად სწავლობდა. ერთხელ კი დარჩა იმავე  
კლასში, მაგრამ ის უდანაშაული იყო იმაში: როგორც თავადი ზა-  
ქარიაც დაარწმუნა, მასწავლებლები გადამტერნენ და ცუდ ნიშ-  
ნებს უსხამდნენ.

მამის სიკვდილის წელს, როდესაც ლადიკომ კარგა შესამჩნევად  
უკლო სწავლას, მესამეში ახლად იყო იგი გადაყვანილი. სწავლაში  
ჩამორჩენის მიზეზი ლადიკოს სიზარმაცე კი არ იყო! სულქეშ  
უნდა ითქვას, რომ იმას სწავლისათვის დრო არა რჩებოდა, ანუ  
სრულიად არა ჰქონდა. როდესაც ლადიკოს ამხანაგება კლასში  
გავვეთილებს გატაცებით ყურს უგდებლენენ, ის ამ დროს ფიქრითა  
და გონიერით ეთამაშებოდა რომელსამე ყმაწვილ ქალს. გამოიგო-  
ნებდა სრულიად ახალს მიმოხვრას და ონს (ფიგურას) თამაშო-  
ბისას, ჩითაც მოჰყვანდა მაყურებელი აღტაცებაში და იძენდა მათ-  
გან ტაშის კვრისა და ქება-დიდებას, რასაკირველია, ფიქრითვე,

გათავდებოდა კლასში გაკვეთილები. ისადილებდა ლადიკო,  
შეპყრიდა ყმაწვილებს და გამართავდა ეკროპიულ ცეკვა-თამაშო-  
ბას, სადაც თვით მოთავეობდა. თუ საკმარისს მსურველო ვერ  
იშოვნიდა, ჩამდენსამე თანამოაზრეს მაინც უთუოდ იშოვნიდა და  
გაეჭიბრებოდა მათ ლეკურში: ვინ უფრო დიდხანს ითამაშებდა.  
ასე ატარებდა ლადიკო გაკვეთილების სასწავლებლად დადებულ  
დროსაც, და აბა საიდანლა გამოეძრინა კიდევ სხვა დრო გაკვე-  
თილების მოსამზადებლად?

მხოლოდ კნეინა ბაბალე ლადიკოს სწავლაში ჩამორჩენის პი-  
ზეზად პირველში ასახელებდა მამის სიკვდილისაგან გამოწვეულ  
დარღდს. როცა ლადიკო იმავე კლასში დარჩა და ვერც მეურე  
წელსა სწავლობდა, მასწავლებლების გადამტერებას აწერდა.

— როგორ წარმოვიდგინო და ან ვინ დამაჯერებინებს, —  
ამბობდა კნეინა ბაბალე, — რომ ჩემი ლადიკო კარგად არა სწავ-  
ლობდეს?! სიმღერაში გინდა თუ თამაშობაში, ყველა თავის ტოლ-  
სა და თავისზე უფროსებსაც სჭობნის. ვერ იმას წინ ვერავინ

გადაუარა, ყველას გადაუჰიბა. მოუფიქრებელსა და წარმოოდნენ გენერს ფიგურებს გამოიგონებს ხოლმე თამაშობაში და სწავლაში კი ჩამორჩია? აბა რომ არსადა თქმულა და გაგონიფაქტომოშერტე არას მიზეზი, თუ უჩიტლები არ ემტერებიან?

ამასვე იმეორებდნენ კნეინა ბაბალეს გულშემატკიფარნი და ლალიკოს დამები, თვითონაც ხომ კვერს უკრავდა.

## VII

ზოგი კნეინა ბაბალეს თხოვნამ, ზოგი მმართველთა და მასწავლებელთა ბაბალესადმი აღძრულმა სიბრალულმა, ზოგიც ძალდატანებამ გასჭრეს: ლადო მეოთხე კლასში გადაცოცდა.

ლალოს უწინდელ ფიქრებსა და საგონიერებელთ მეოთხეში ახალნი მიემატნენ. თავისუფალ დროს, ე. ი. როდესაც იგი ან არა ტანცაობდა, ან ლეკურს არ უვლიდა, ბევრსა ფიქრობდა და ძლიერა წუხდა მასზედ, რომ მის უკეთეს ნამეტნავად ლეკურს, შეგირდული ტანსატელი აუშენობდა. მისი მეცადინეობა და ზრუნვა ახლა, მომეტებულად, იმაზე იყო მიქცეული, თუ როგორ აეცილებინა თავიდან ეს უსიამოვნო ნაკლულევანება. „მე ჩემი თამაშობის შესაფერად, — ფიქრობდა იგი, — უთუოდ უნდა მეცვას ჩეზოსთანა შემკობილი ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯალი კი არ მინდა იმისი; ქამარ-ხანჯალი ნიკოსი მომწონს. სპილოს ძვლით შეპერდილი ქამარ-ხანჯალი ნიკოსი, ხმალი შაქროსი და ჩოხა-ახალუხი ჩეზოსი ძლიერ მომწონან და ძლიერ კარგადაც დამშვენდება თამაშობაშიაც და ისეც; რად მინდა თავი ცოცხალი, თუ ამისთანა ტანისამოსში და იარაღში არ გამოვეწყე!.. ჯერ ერთი დავალწიო თავი ამ ჯოგოხეთ ადგილს!... პო, ერთი ილიკოს ცხენისთანა ცხენიც და აბა ვაშიჩლა გადამიაროს ვინმემ წინ! მესტები და ჩევოლვერი კი არაეისი ეომწონს, არც ფაფახი. მესტები მე ისეთები უნდა შევაკერიონ, რომ ჯერ არაეისა სცმოდეს იმისთანები. ფაფახიც სულ სხვა ყაიდისა უნდა შევაკერიონ და სხვა ყაიდაზე უნდა დავიხურო“.

## VIII

ერთი სურვილთაგანი ლალოს ძლიერ მალე შეუსრულდა. რადგანაც პირველსავე წელს მეოთხეში სრულიად არას სწავლობდა.

ცოტა ამაყობასაც იჩენდა, წლის დამლევს გამორიცხეს მოსწოდეთა სიიდგან. ამგარად „დააღწივა ლადომ თავი ჭოჭოჭო აღვილს“. დანარჩენი სურვილიზე კი უფრო ძნელად კურიფლებული ბოლენ.

შინ მისვლის უმალვე, გამორიცხვის შემდეგ, ლადომ გიძირო მოსწავლის ტანისამოსი და სტყორცნა კუთხეში. ხოლო დედას სასტიკად მოსთხოვა ისეთივე ტანისაცმელი, როგორსაც სხვა ყმაწვილები ატარებდნენ.

შვილის გამორიცხვამ და ნამეტურად მისმა ქცევამ მოუსპეს კნეინა ბაბალეს ყოველივე იმედი და ოცნებანი მის მომავალზედ და ჩააგდეს იგი უკიდურეს სასოწარევეთილებაში. ხშირად ემდერებოდა, ეჩხუბებოდა შვილს, სიმწუხარისისაგან ბევრჯერ კადეც სტიროდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ლადო მოიყრებდა ყურს და, თუ არ ტანისამოსის შესახებ, სხვანაირად ხმას არა სცემდა დედას. ლადოსათვის ისე მოეძულებინა თავი მოსწავლის ტანისამოსს, რომ იგი რჩებოდა შინიდამ ფეხი არ გამოედგა სრულიად, ვიდრე ამ ტანისამოსით გამოსულყო საზოგადოებაში. ეზოშიაც კი ან მამის ნაცვამი ძველი ჩოხით გამოდიოდა, ან მამისეულივე იაფინჯით.

შვილის მიერ დაუინებულმა მოთხოვნილებამ, ერთის მხრით, და მშობლიურმა სიყვარულმა, მეორეს მხრით, მაინცდამაინც დასძლიეს ბოლოს კნეინა ბაბალეს: იგი შეუდგა ლადოს სურგილთა განხორციელებას, მხოლოდ ეს არის, ხელმოკლეობა მეტაზუშლიდა დაუყოვნებლივ საქმის სისრულეში მოყვანას. შეუკრინად ახალუხი, როგორიც ლადოს უნდოდა, უყიდა უბრალო ქამარი, დროებით, რასაკვირველია; შეუკეთა მესტები და ფაფაზი თეთი ლადოსაგან გამოგონილი ყაიდისა. ფაფაზი შემდეგი ყაიდისა იყო: თეთრი მაუდის წოწლოტინა ცა და ვიწრო შიპი შავი და გრძელი ბეწვიანი ტყავისა. პირველ ხანებში მხოლოდ ესენი მოუხერხა ლადოს კნეინა ბაბალემ თავისი მცირედი საშუალებით; ჩოხა-ჩერქესების მოპოვება ვეღარ შესძლო მათთან ერთად. ასე რომ, სამი-ოთხი თვე ჩოხობას მამისაგან დატოვებული იაფინჯი უწევდა ლადოს. მიუხედავად ზაფხულის სიცე-პაპანაქებისა ლადო სიამოენებით წამოისხამდა ხოლმე იაფინჯს და დადიოდა როგორც სამშობლო სოფელში, აგრეთვე სტუმრად სხვაგანაც. ორჯერ-სამწერ ლეკურიც კი ჩამოუარა იაფინჯით დღეობაში.

თითქმის ორი წელიწადი მოანდომა ლადომ თვეის მოჩინეა-  
მოკაზმვას იმ წესზედ, რა წესითაც იყვნენ ჩატარებული დღის დასა-  
სხვა ყმაწვილ-კაცები. მხოლოდ ეს არის, ნიკოსიაშვილი კავკასიის  
ლი ვერ შემოიჩინა! ვერც შაქროს ხმლისთანა ხმალი ჩამოიკიდა.  
ცხენი ხომ ბევრად უკან ჩამორჩებოდა არამცუ მარტო ილიკო-  
სას, ბევრი სხვა ყმაწვილის ცხენსაც. ეს საგანი ისევ ოცნებას  
შეაღენდნენ ლადოსათვის.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ არც კნეინა ბაბალეს, არც თვით-  
ლაცოს არ დაუშურებით გაყიდვა საუკეთესო სახნავი მიწებისა. რომლებზედაც კი მიუთითეს ფულის პატრიონებმა, დიდი სიამოვ-  
ნებით დაუთმეს. მხოლოდ მუშტრებმა ძრიელ ყელმოტებილად  
დაიჭირეს: არ მისცეს იმდენი, რამდენც საჭირო იყო ლადოსა-  
თვის, შეესრულებინა სავსებით თვისი სურვილი. მაგრამ ლადო  
გულს არ იტეხავდა. იგი დაიმედებული იყო, რომ შემდეგში თავი-  
სი გამჭრიახობითა და მოხერხებით იშვინიდა, როგორც სხვა  
ყმაწვილები შვრებოდნენ ამას, საშუალებას და სახსარს გულის  
წადილის შესასრულებლად. რომ იგი გაიმარჯვებდა ამამი, —  
საშუალების მოპოვებაში, — და კიდევაც გადააჭარბებდა დანარჩენ  
ყმაწვილებს, მტკიცედ იყო დარწმუნებული და მცირეოდენი  
ეპვიც კი არ გაუვლია გულში; პირიქით თვისი გამარჯვების ნიშნებს  
ახლავე ხედავდა. ბევრმა ყმაწვილთაგანმა მიჰბაძა მას: დაიხურა  
ბევრმა მისი ფაფახისთანა ფაფახი, ბევრმა მათგანმა ჩაიცვა მისი  
მესტებისთანა მესტები, ბევრმაც გადაიღო მისგან ცეკვა-თამა-  
შობის მიმოხვრა-მანერები.

ეს გარემოება კნეინა ბაბალესაც კი უკეთებდა გულს. „რა  
ვქნათ, რომ ვერ ისწავლა ჩემთა ლადოკომ! — ამბობდა იგი, — თუ  
ცხოვრებაში სახელოვანი კაცი იქნება, მეტი რალა მინდა! უკელა  
სახელის გულისათვის იბრძვის და ცდილობს. გერ ეხლავე სახელი  
გაითქვა და თუ ღმერთმა დიდი დღე მისცა, იქნება ბევრი რამ  
სხვა კარგიც გამოიგონოს და სახელოვანი და სასარგებლო კაცი  
იყოს თავისითვისაც და თვისი მოძმისათვისაც. უკელა ყმაწვილებ-  
ზედ უმცროსია და უკელანი კი ეხლავე მაგასა პბაძავენ და მაგისა-  
განა სწავლობენ“.



ლადოსაგან შემოღებული ორიგინალური ფაფახი წარმოუდგენელის სისწრაფით გავრცელდა ყმაწვილებში. მიუხედავის მიზანი, მთვით ფაფახის მომგონა კი ვერასგზით ვერ შედგეს მოწმისქმნება და ფეხი „ყმაწვილთა წრეში“. მიზეზი ამისა ის არ იყო, რომ ლადო ვერ გამოეწყო ჯერ ტანისამოსით, იარალით და ცხენით, როგორც პქონდა ფიქრად, არა. მართალია, იგი ამ მხრივ ბევრ ყმაწვილთა-განს ჩამორჩენოდა, მაგრამ უფრო მომეტებულს კი სპარბობდა ყოველისფრით; და თუ ვერ შედგა ფეხი „ყმაწვილთა წრეში“, ამის მიზეზი სულ სხვა იყო.

ლადოს ჯერ ბევრი საგმირო ზნე-ჩვეულებანი აკლდა კიდევ, რომ ნამდვილი წევრი გამხდარიყო ყმაწვილების „წრისა“. ციკა-თამაშობა, რაშიაც უფრო დახელოვნებული იყო ლადო, „წრეში“ შესულ ყმაწვილთათვის უკვე გაცვეთილი, უარყოფილი და, თითქმის, სათავილო ზნე იყო. ამისათვის ლადოს მთელი ყმაწვილები „კრასნი დევიცას“ ეძახდნენ და მეგობრულად, ანუ კაცურად, იმას ხმას არავინა სცემჲა. თამაშობაშიაც მას მხოლოდ „წრეს“ გარეშე მყოფი ყმაწვილები პბაძავდნენ.

„ყმაწვილთა წრის“ ყოველ ნამდვილ წევრს ლადო გაბუებული ჰყვანდა. თუ გაერეოდა იგი მათში, ან უურადლებას არავინ აქცევდა, ან პირში დასტინოდნენ. „აი, გამოხსელეს მაგისი და ცლილი ჯიხვი!“ — იტყოდა ხოლმე ლადოს წინ განთქმული ლვინის მსმელი ყმაწვილი ლევან. „მაგისი მოქნეული ხმლის ჭირიმე!..“ — იტყოდა ხოლმე ნიკო, რომელიც სულ ხმალ-ხანჭალზედ იყურებოდა. „არა, შენზედ ნაკლებ დაბლვრიალებს თვალებს და შემოიფანტავს მტრებს თუ!“ — დაუმატებდა ნიკოს სიტყვებს მისი ყოჩალობის მოაჩვიყე და ცბიერი სოსო. „იცით, ყმაწვილებო, რა გითხრათ? გუშინ აი, ამ შაქრისაგან მიცემული ბილეთებით ხუთმეტი ურემი შეშა-ფიჩისი მოპქონდათ თურმე საზოგადო ტყიდან. დაცემია ამ ხუთმეტ ურემს ერთი აქ მყოფი ყმაწვილთაგანი, — თანაც თვალი უქნია ლადოსაკენ, — მის დანახვაზედ მეურმეებს გული დაპქეთქიათ და მწყრის ლაპრებივით ტყეში დაფანტულ-დამალულან. ამ ყმაწვილსაც დაურეკნია მთელი ხუთმეტი ურმის ხარი და კამეჩი და მოურეკნია შინ. სანამ თითო სულში თითო მანეთი არ წაურთმევია, არ დაუნებებია საქონელი პატრონები-

სათეის", — იტყოდა ხოლმე ხუმარა და უდარდელი გრედა  
ასტყვლებოდა დაუსრულებელი ხარხარი.

შოველ ამ დაცინვას ლადო გულში იხარშავდა.



ეროვნული

გენერალური

XI

უმაწვილების მიერ არად ჩაგდება, დაბრიყვება და სასაცილოდ  
იგდება ნაღვილს უსიკებდა ლადოს. მაგრამ გადასწყვიტა ეცნობე-  
ბინა უველასათვის თავი; დაემტკიცებინა უველასათვის; თუ იყო  
იყო ანუ რა შეძლო, და შეუდგა იმ ზენ-ჩვეულებათა მოპო-  
ვებას და შეძენას, ურომლისოდაც იმს აღვილი არა ჰქონდა ყმაწ-  
ვილთა საზოგადო კრება-წრეში.

უწინარეს ყოვლისა ლადომ ღვინის სმის საქმეს მოსციდა ხელი.  
მხოლოდ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ხელმძღვანელადა და  
თანამოზიარედ ამ საქმეში ვინმე ყმაწვილთაგანი გაეხადნა. მათ  
„წრეს“ სრულიად მოქმორდა დროებით. უნდოდა თავისთავალ,  
სხვისა დაუხმარებლად, მიელწია მიზნისათვის. მაჩტოდ იქნებოდა,  
თუ ხალხში, შინ იქნებოდა, თუ მეჯლისში, სადაც ყმაწვალთა  
„წრილგან“ არავინ დაესწრებოდა, ლადო თავდაუზოგველად და  
შეუბრალებლად სვამდა ღვინოს. ბევრჯერ ეკიდა ხოლმე თავდარმა  
და დედის ხსენი ზემოთ ამოსდიოდა. დედაც ხშირად უშლიდა ამის-  
თანა საქციელს, მაგრამ ვერც ტანჯვა, ვერც დედის დაშლა გავლე-  
ნას ვერ ახდენდნენ, იგი შეურყევლად მიისწრაფებოდა თავისი  
მიზნისაკენ.

ლადო დარწმუნდა, რომ მიზანს მიაღწია: რიგიანად შეეძლო  
ღვინის დალევა. იხლა მხოლოდ საჭირო იყო გამოეცადნა თავისი  
თავი როგორც ღვინის სმაში, აგრეთვე ღვინის სმასთან შეკავში-  
რებულ ჭირვეულობაში. შემთხვევაც მალე მიეცა. მეზობელ სო-  
ფელში დღეობა იყო. დღეობაში შეყრილ ყმაწვილთა გუნდს  
სრულიად არ მიეკარა ლადო. არც წასულა იგი სტუმრად იქ, სა-  
დაც მოელი ყმაწვილობა წავიდა, რასაკვირველია, დაუპატივებ-  
ლად. ეწვია თავის მამის ნაყმევს, რომელსაც გლეხკაცების მეტი  
არავინა ჰყავდა სტუმრად.

მასპინძელმა ლადოს სტუმრობა დიდად პატივსადებლად მიიღო  
და ამისათვის სული და გული წინ გადაუშალა. კათ დროება გაა-  
ტარა ლადომ. გადაჟრა ღვინო, როგორც უნდოდა და რამდენიც

უნდოდა. მაგრამ ლვინო ძრიელ მალე მოეკიდა. თვისი შეღება რაზე რომ რობა სხვებს დააბრალა. მეტი შემომაპარეთ და დამათვერეთ. დაიწყო ერთი ყვირილი, ლანძლვა, გინება. წამოვარდა სუფრიდვან და დაუძახა მოსამსახურე ბიჭე — ცხენი მომგვარეობაში შექმნა სადებლად წამოიშალნენ სუფრიდვან სხვა სტუმრებიც ჭრა კუმისეპ ვიღნენ გარეთ გასაცილებლად. შეჯდა ძლიერდივობით ცხენშედ და რალაცას ფიქრობდა. მიუახლოვდა ამ დროს მასპინძელი, დაუკირა ცხენს საღავე და დაუწყო ლადოს ხვეწნა: „ბატონო, გთხოვთ, ნუ წაბრძანდებით. ცხენმა არაფერი გაწყინოთ; აქ მოისვენეთ, გამოფხიზლდით და ისე წაბრძანდით“. ამის პასუხად ლადომ არტყა და არტყა მათრახები მასპინძელს. ცემა-ტყების დანახვაზედ მანდილოსანთ წივილ-კივილი შექნეს. ხოლო ლადომ მასპინძელს თავი მიანება, შევარდა ცხენდაცხენ მანდილოსნებში და აბლა იმათ დაუშინა მათრახები. ეს კი ვეღარ მოითმინეს სტუმარ-მასპინძელთ. მისცვივდნენ, ჩამოილეს იგი ცხენიდამ, შეუკრეს ხელფეხი, რადგანაც უძალიანდებოდათ, და დადეს ტახტზედ სახლის დერეფანში. ლადო ულონობისა და სიავეკაცისაგან მეტოვათ ლმუოდა. მოლოს, როგორც იყო, დაშოშინდა. შემდეგ დაიძინა. შუალამისას გამოჰტხიზლდა და გაიპარა შინ.

ლადო ძრიელ წუხდა და ეშინოდა, არავის ყმაწვილთაგანს არ გაეგო ეს მისი ამბავი.

## XII

სხვა ვინმე ყოფილიყო ლადოს ალაგას, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა. ლადომ კი პირველშივე საქმის დაცარვით გულიც არ გაიტეხა.

გამონახა ერთი ლვინო-არაუში გამოსულ-გამოჟღენთილი, ყალალანა, ახალგაზრდა კაცი და დაიკირა იგი მოსამსახურე ბიჭად იმ პირობით, რომ ესწავლებინა ბატონისათვის ლვინის სმა. ბიჭი სწორედ ისეთი გამოადგა, როგორსაც გულით ეძებდა. რასაც შოვობდა და პოვობდა ლადო, სულ ლვინო-არაუშე აქრობდა. ისხდნენ ბატონი და მოსამსახურე და ჰსვამდნენ განუწყვეტლივ და დაუსვენებლივ.

ახლა კი ნამდვილად გამოიგეეა ლვინის სმაში და ყმაწვილებსაც მალე დაანახვა თავისი უნარი. ახლა იგი აღარ მოერიდა ყმაწ-

ვილებს და უშიშრად დაესწრო წვეულებაში, სადაც ყმაწვრუ-  
კაცობას თავი მოეყარა. გაიმართა სმა. ყურადღებას აჩლაც კი რო-  
ვინ აქცევდა ლადოს. მაგრამ იმას ერთი ცვარიც არ ჰაუტლია  
მიირთმევდა ლვინოს ძალაუტანებლივ სევე, როგორც სხვანი  
ძალატანებით. აი, იცვლო ჭიხვი თამაღმა — ლეგანშა ფიჭუებ-  
უსუნთქებლივ და, რომ უფრო ეშხი მიეცა თავისი მარქმედები-  
სათვის დამსწრეთა თვალში, ალავერდს გადავიდა ლადოსთან.  
ლადომ წარბიც არ შეიხარა. ჩამოართვა ჭიხვი გულადად და ისევე  
უსუნთქებლივ დაცალა, როგორც ლევანმა. საზოგადოება —  
ყმაწვილეკაცობა გულის ფანტალით მოელოდა ლადოს დამარცხე-  
ბას, დამზადებული იყო მასხარად ავდებისა და გულიანი ხარხარისა-  
თვის, მაგრამ ჩარხი სხვა მხარეს გადატრიალდა. ნაცვლად დაცინ-  
ვისა, ტაშის ცემით და ვაშის ძახილით დააჭილდოვეს მისი გამარჯ-  
ვება. ხოლო ლევანმა ესეც არ აქმარა: აღტაცებით აღგზნებული  
წამოხტა სუფრიდგან და ტკბილად გადაპოვნა ლადო.

ეს გარემოება გახდა ლადოსათვის პირველ ნაბიჯად „ყმაწვილ-  
თა წრეში“ ფეხის შედგმისა: მეჯლისიდან ყველაზე ფხიზელი  
ლადო დაბრუნდა. ძრიელ დიდხანს დარჩა ყმაწვილების სალპა-  
რაკო საგნად ლადო და მისგან გულადად დაცლილი ჭიხვი.

### XIII

ლადოს ლეინის სმაში გამარჯვებას ზედ მოჰყვა მეორე საგმირო  
ზეც — სმაში კირვეულობა და ჩხუბი. ახლა ვეღარავინ შეპბე-  
ლადა მას ხელ-ფეხის შეკერას. ლომის გაბედულობით და ვეფხვის  
სისწრაფით მიღიოდა იგი მტერზედ. წამოჭარხლებული პირისაჩით  
და სისხლმორეული, ბლვრიალა თვალებით ლადო მამაცურად  
ატრიალებდა ხმალ-ხანგალს. ვისა პქონდა სასიკვდილოდ გადადე-  
ბული თავი, რომ წინ დასრგომოდა! მომეტებულად გაითქვა სახე-  
ლი, დაიჭირა პირველი ადგილი „ყმაწვილთა წრეში“ და გახდა  
სათაყვანებელ კერპად მაშინ, როდესაც დაამარცხა ხმალ-ხანგალ-  
ზედ მაყურებელი. ამაყი ნიკო.

თვალსაჩინო, ანუ უდიდეს წყაროს მთელი ყმაწვილების ცხოვ-  
რებისათვის — დროების გატარებისათვის — შეაღგენდა „ბი-  
ლეთებში“ აღებული ფული. ყოველი ყმაწვილი აძლევდა, გლეხ-  
კაცი იქნებოდა. თუ სხვა ვინმე თავისუფალი წოდების კაცი, ანუ

ვაჭარი, ბილეთებს, გამოეტანათ საზოგადო ტყიდან შემატები, ანუ რაიმე ხის მასალა. მავრამ მითი რა იარა გამრთვლებოდა? რა პირს მოსწმენდავდა ეს ყმაწვილთა მრავალვარ საჭიროებას, თუ მას ზედ დართული არ ექნებოდა სხვა საშუალებებიც ეწყლეს დართულ საშუალებად ხმარობლენ შემდეგს: ერთი კურულებულებულ ნი აძლევდა ვისმე ბილეთს, ახდევინებდა ღირებულ ფასს; მეორე გადალობებოდა ამას წინ ტყეში, არა ყაბულდებოდა სხვისაგან მიცემული ბილეთით და ახდევინებდა თავისთვის უფრო მეტს, როგორც „ქურდულად“ შეპარულს ტყეში. ხშირად ერთი და იგივე მეურმე ძიულებული ხდებოდა სამი-ოთხი ყმაწვილისათვის გადახეადნა ჯარიმა ტყეში „ქურდულად“ შეპარვისათვის. აბა, რა იოლას წავიდობლენ ყმაწვილები მარტო „ბილეთების“ ფასით, თუ ამისთანა ზედდართული საშუალებაც არ ექნებოდათ ფულის მოსაპოვებლად!

მომეტებული ნაწილი ყმაწვილებისა ყურადღებას არ აქცევდა იმ გარემოებას, რომ მის მიერ მიცემულ ბილეთს სხვა აბათილებდა. ესენი იძახოდნენ: მე რა მენაღვლება, თუ სხვაც ისარებლებს, მე ხომ ჩემი ვეიღო. ზოგი კი თავილობდა ამას და ყრილობდა მოწინააღმდეგის ჯავრს: ან იმითი, რომ თვით იგიც აბათილებდა მეტოქის ბილეთებს, ან კიდევ ჩეუბს აუტეხავდა, როდესაც შემთხვევა მიეცემოდა, და შეურაცხყოსათვის სამაგიეროს უხდიდა.

#### XIV

ერთხელ ლადომ მოაწრო საზოგადო ტყეში ცხრა ურემს. ნებართვა მიცემული ჰქონდათ ნიკოსაგან. მისი ბილეთები არ მიიღო ლადომ და მოსთხოვა მეურმეებს დაქმაყოფილება, როგორც „ქურდულად“ ტყეში შემოპარულთ. მეურმეებს ვერაფრით შეეძლოთ დაქმაყოფილება. ლადომაც საქონელი დასტაცა და, მანამ სულზე ათ-ათი შატრი არ მიართვეს შინ, არ დაანება საქონელი.

ეს გაიგო ნიკომ; ძლიერ ითავილა და მეტისმეტად შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავი. ლადოს თვალს დღარ უმართავდა. თუ ლაპარაკის შემთხვევა მიეცემოდა მსათან, ცალყბივ ელაპარაკებოდა. გულში კი ჰქონდა გადაწყვეტილი, ჯავრი ამოყეარა თავქედი მოქიშვისა. მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა. შემთხვევამაც დიდების არ დაავვიანა. ერთ წვეულებამი, როდე-

საც გვარიანად გადაპკრეს, ნიკოს აეშალა ბოლმა შეურაცხუროსა  
და წაკეინჯლავა ლადოს ჭერ სიტყვიერად და მერე საქმიანობა.  
ეცნენ ერთმანეთს მოქიშპენი და დატრიალდა ხმალ-ხანგალი. შეუ-  
დარებელი მამაცობთი სცემდნენ ერთმანეთს და წამრატებელი ლომი  
სისწრაფით იცდენდნენ თავიდან მოქნეულ იარაღს. მცირებულ საჭარბელოს  
და, ან ვინ დარჩებოდა დამარცხებული, პირველში ძნელი იყო  
სათქმელად. ბოლოს ბედმა ნიკოს უმტყუნა. ძრიელ ცუდი დღე  
დააღვა. უმჯობესად სთვლიდა იგი, დედამიწა გამსქდარიყო და შიგ  
ჩავარდნილიყო, ვიდრე ცოცხალსა ცვლო ამქვეყნად. განა მარჯ-  
ვენა მკლავის ღრმა ჭრილობა აწუხებდა და აფიქრებდა ნიკოს? სრულებითაც არა. იგი იმის თავილობდა, რომ ვიღაცამ, ქვეყანაში  
ახლად გამოვარდნილმა, ასე დაამარცხა, აქამდის სათაყვანებელი  
გმირი უველის თვალში, დაამცირა და დაამდაბლა.

დამარცხება მაშინვე აგრძნობინეს ყმაწვილებმა ნიკოს. შე-  
მოხვივნენ ლადოს. მართალია, სიტყვით ჭერ არაფერს აცხადებ-  
დნენ, არ მოინდობეს ნიკოს ერთბაშად გაწბილება, მაგრამ თვალე-  
ბითა და სახის გამომეტყველებით კი აღილებდნენ გამარჯვებულის  
ვაჟაცობას.

ამ გარემოებამ ძრიელ გაათამამა და გააამაყა ლადო და გაპხა-  
და იგი მოთავედ, ანუ, უკეთ ვთქვათ, ძარღვად მთელი „წრისა“. ხოლო ნიკო, პირიქით, დამარცხებამ ძრიელ დააქვეითა. იქამდისაც  
მოვიდა საქმე, რომ გამარჯვებული მეტოქის მაქებართა და მალი-  
ცებელთა გუნდში ჩაღვა.

## XV

რაკი აქამდის მიაღწია უტანისამოსოდ, ლადო ახლა აღარა  
ცდილობდა უწინდებურად ჩაცმა-დახურვაზედ; ახლა მას უტანი-  
სამოსოდაც ყველა სცნობდა. პირიქით სცდილობდა, რაც კი შესაძ-  
ლებელი იყო, უბრალოდ ჩაეცვა და დაეხურა. არც მაგრერიგად  
ბედაურ ცხენზედა ჭდებოდა.

მისი სანაქებო თამაშობა ახლა აღარავის ყურადღებას არ  
იქცევდა, რაღვანაც ფხიშელი, როგორც რაინდი, არა კადრულობ-  
და თამაშობას; სიმთვრალის დროს კი მასხარული მიხერა-მოხვ-  
რით და ფეხების ხლავნით მარტო ახარხარებდა მაყურებელთ.  
აღარც მისი მშვენიერი ხმითა და კილოთი ნათქვამი სიმღერა გაუ-

გონია ვისმე. ლვინო-არყის უზომოდ სმამ გაუფუჭა, სრულია  
წაართვა ხმა. როდესაც ლაპარაკობდა, ყელში ხრინავდა და თუ  
შექეიფიანებული მოიძინებდა „მრავალუამიერს“, ანუ სხვა სიმღე-  
რას, მელა-ტურის ხავილს მოაგონებდა კაცს.

ურარცხული

სამაგიროდ ყოველ მისა იგი მეტისმეტად კრისტეტჩა- ჩქიშიერებ  
მითი, რომ პირველობდა იმ „წრეში“, რომელიც მას პირველად კვალ-  
ში ჰყლავდა და თითქმის არც კი ჰსურდა მიეღო თავის წევრიად.  
ყოველი მოქმედების გეგმის შემდგენი და საქმის დამწყობი მოელ  
„წრეში“ ლადო იყო. ვინ იქნებოდა ისეთი თავხედი, რომ მის  
წინააღმდეგ წასულიყო?

მოისურვებდა ლადო, მაგალითად, ცხენის ჭირითს გზატკე-  
ცილშედ, ანუ მახლობელი ქალაქის ქუჩებში, სადაც ბლობა ხალხი  
იარებოდა, ვაი იმის ტყავს, ვინც არ მიპაძივდა! თუნდაც რომ  
გაესრისხა ვინმე ამ ჭირითის დროს, არ დაგიდევდათ. ანუ შე-  
ვარდებოდა კარგად გაზარხოშებული სადმე ბალ-ვეჩერებში, თუნ-  
დაც მიწვეული არა ყოფილიყო, ამიღილებდა რევოლვერს და  
ღაუშენდა დარბაზის ჭერს. ვინც იქნებოდა მასთან ყმაწვილთაგა-  
ნი, იმასაც უთუოდ ესევე უნდა ჩაედინა, თორემ ძვირად დას-  
ვაძლდა. ერთი სიტყვით, ყოველი „საგმირო“ საქმის დამწყები და  
აღმასრულებელი ლადო იყო.

ხანდისხან ისეთ საოცარ რამეს გამოიგონებდა, რომ ყველა  
მისი თანამოაზრენი განცვიფრებაში მოდიოდნენ. შეპხაროდნენ და  
შეპნატროდნენ მის დიდ ჭევა-ბუნებას. ხოლო ვინც მას არ თანა-  
უგრძნობდა, არ იყვნენ მისი თანამოაზრენი, ისინი სულითა და  
გულით ნატრობდნენ რაიმე გზით მის თავიდამ მოშორებას.

## XVI

ერთ დღეს მთელი ყმაწვილკაცობა, ლადოს მეთაურობით, რა-  
საკვირველია, გვარიანაც შეზარხოშებული მოდიოდა მეჯლისიდან  
შარაგზაზედ. მოდიოდნენ ყველანი ნელა, ცხენებს არ აჩქარებ-  
დნენ, რადგანაც თვით ლადოს ნაბიჯით მოპყვანდა ცხენი. ყველა  
მას შეპყურებდა და ელოდა მის განკარგულებას. დარწმუნებული  
იყვნენ, რომ ლადო უამბოთ არ იყო გაჩუმებული, ხმაგაკმენდილი:  
იგი ფიქრობდა რაიმე უწნაური და მოულოდნელის გამოგონებას.  
ამძმოვის, თუმცა ლაზლაზდარობდნენ ყმაწვილები, მარც გაფა-

ციცებით თვალყურს აღევნებდნენ წინაშძლოლს, რომ ერთობოთ  
მანეთს არ ჩამოჩენოდნენ.

— ვაი თქვენი პატრიონის ბრალი! — წამოიძახა ლადომ დადინ  
ენის სიჩუმის შემდეგ. ამ სიტყვების თქმა და ყმაწერებული წერტილი  
მება და სმენად გარდაქცევა ერთი იყო. ხოლო ლურჯობის ქავეჭმულ  
ლა: — თქვენი მშობლებიც იტყვიან, შეილები დაეზარდეთო!  
აფსუს, რომ დედამიწასა პლახავთ! სწორედ ხელით სატარებლები  
ხართ ყველანი. ნეტავი, ერთს ვისმე მაინც გამოეჩინოს თქვენში  
თავი ან ფიქრით, ან სიტყვით, ან საქმით ყველაფერი მე მიხდება  
თავში საცემად, სულ მე და მე! ერთიცა ვნახოთ, მე აღარა გყე-  
ვართ, რა უნდა ჰქნათ? ან საქმე არ გინდათ, ან ცხოვრება არ გინ-  
დათ? რო არ ვიცი, რა ხალხი ხართ! ამა ერთმა ვინმე გამოიგონეთ  
ისეთი საქმე, რომ შეუძლეთ ამ საქმეს და ტყუილ-უბრალოდ ღროს  
არა გვარევდეთ!

არასოდეს არ მოუმართავს ლადოს ყმაწერილებისათვის ასეთი  
გაყიცხვის კილოთი. ამისათვის ვერ გამოერევიათ, თუ რას მოას-  
წივებდნენ ეს მისი სიტყვები. ლადონ გაჩუმდა. ყმაწერილებიც გაჩუ-  
მებული მისდევდნენ აქეთ-იქიდან და პირში შეკყურებდნენ.

— გნა ტყუილად ვამბობ რა, — დაიწყო ისევ ლადომ, — არა-  
ფერში ვარგიხართ! კიდევ მე უნდა ვიცე თავში და საქმე გამოვი-  
ჩინოთ! სახელი და დიდება მოვაპოვებინოთ!.. რა ვეშეელებოდათ.  
ნეტა, მე რომ არა გყავდეთ, როდისა ყოფილა ასე დაწინაურებუ-  
ლი და სახელვანთქმული კეთილშობილი ყმაწერილება, როგორც  
ერთა თქვენ ჩემს ხელში ხართ გამოჩენილნი!.. იცით. ყმაწერილე-  
ბო. — განაგრძო ეშეში მოსულმა ლადომ. — ისეთი რამ მოვი-  
ფიქრე ამ წუთში. რომ გამოჩენილ ფილოსოფოსსაც არ მოუვა-  
თავში ამისთანა ფიქრი! — ყმაწერილები უფრო სმენად გადაიქც-  
ნენ. — იცით, ეხლა ჩვენ სად მივდივართ? ჩვენ მივდივართ  
სოფელ ოჩხეში. უნდა მივეხტეთ ასატურას და მოვტაცოთ ქალი.  
ყველამ კი იცოდეთ, მოსაქრელი თავი არა მაქვს. ვერ პირეელად  
ეს იცოდეთ თქვენ. რომ. რაკი დავთქვი ასატურას ქალის მოტაცება,  
უთუოდ კიდეც შევასრულებ ჩემს განზრახვეს. მე ზოგიერთ ქალა-  
ჩუნა, უთავებოლო და უხასიათო ყმაწერილსვეთ შეა გზიდან ნელ-  
ვარიელი არ გამოვბრუნდები. მეორე და უმთავრესიც ესა. რომ მე  
არ ვიყადრებ ქალის მოტაცებას იმ წესით, როგორც ზოგიერთ  
ყმაწერილს ჩაუდენია. არა, მე ტურასავით მიპარეით ან მოტყუცებით

ქალის მოტაცებას არ ვიყადრებ. მე ქალის მოტაცება უნდა მოგზადოს იმგვარად, რომ ჯერ არც არავის ჩაედინოს, არც არავის ენახოს, არც არავის გაეგონოს. მე მაგალითი უნდა ვაჩვენო, ჯველას გზა გაუკვალო და ვასწავლო ეს საგმირო და სავაჭიშტო უძრეს ეს რაღა ბევრი გავაგრძელო: როგორც ამ წუთში ვჭრებ და ჩატარებულ მოუმზადებლები, პირდაპირ უნდა დავეცეთ! როგორ თუ დავეცეთ! დავეცეთ კი არა, მივიღეთ სიმღერით, ყიყინით, სწორედ ისე, როგორც ნეფე-მაყრიონი, და წამოვიყვანოთ ქალი. მიგალო თუ არა ეზოში, ორი ყმაწვილით შევალ სახლში, ავიყვან ქალს უცრებებონიოდ ხელში და წამოვიყვან. თუ ხმა ვინმემ ამოილო და წინააღმდეგობა დამიწყო, იმ ორმა ყმაწვილმა უნდა გასცეს პასუხი: იძრონ ხმალ-ხანჯალი და სულ დავთრები დააფანტვინონ.

ყმაწვილები თანდათან ეშხზე მოდიოდნენ და თითქმის უველავ აღტაცებით გამოაცხადა სურვილი, შეცყოლოდა სახლში.

— ქალს, — გააგრძელა ლადომ, — ბატყანივით ცხენს წინ შემოვიდებ და გამოვწიოთ უკანვე არხეინად. ვაი იმის ტყავს, ვინც უკან გამობრუნებისას ცხენს გამოაჩქარებს და აფიქრებინებს ვისმე, რომ ეშინიანთ და გარბიანო! როგორც არხეინად მივალო, ისევე არხეინად, აუჩქარებლივ უნდა დავბრუნდეთ. იქიდან პირდაპირ შავი ტყისაკენ გავწევთ; ბინდობამდის კვირაცხოვლის დანგრეულ საყდარს მივატანთ. ერთ-ერთი ყმაწვილი, თუნდ სოსო, მღვდელთან უნდა წავიდეს. უთხრას კი, რომ ოხერ ფულებს წავიწყდი და ათოუმნიან ბილეთს მივაკრამ და სულ კუნტრუშით გამოიქცევა. ამაღამვე ჯვარი უნდა გადავიწერო. ცოტა ხანს იწუხებენ პატრიონები და განუმდებიან. ქალს კი რა ძალა აქვს! დავასხდეთ მერე ასატურას ფულებს და ვეწიოთ ქეიფი მე ფულები მინდა ასატურასი, თორემ... მამა უცხონდა, იმისი გომბიოსათვის მიძღის გული! აი, მე ეს მოვიფიქრე ამ წუთში და კიდეც შევასრულებ. დედა შეერთოს ცოლად, ვინც უკუ დგეს! — დაასკვნა ლადომ.

თანხმობა მის წინადაღებაზედ ყმაწვილების მთელმა გუნდმა აღტაცებით „ვაშასა“ და „ურას“ ძაბილით და ფიცის წარმოთქმით გამოაცხადა. ხოლო სიმღერის ყოველთვის დამწყობმა რეზომ შემოსძახა: ჩაუხდეთ და ჩაუხდეთ, ასატურას ჩაუხდეთო... მაგრამ ლადომ შემთხვევის შესაფერად უფრო სცნო დაეწყოთ სამგზავრო სიმღერა: სწორედ ს, რომელსაც მათი მამა-პაპანი მღეროდნენ

მტრის წინააღმდეგ ლაშქრად მიმავალნი. თვით ლადო შეკვეთ  
ყმაწვილებიდან გადმოვიდა ნაპირზედ, რადგანაც ძრიელ დანერ-  
რეული ხმა ჰქონდა და ბანის მიცემითაც კი დაამახინებდა ყმაწ-  
ვილების მწყობრად და ეშჩიანად ნათქვამ სიმღერაში რა ერთ-ერთ  
გებული მომენტი

## XVII

საგმირო ლექსების მწყობრად სიმღერამ მთლად მოხიბლა მომ-  
ლერალნიც და მსმენელნიც, — ყველანი გმირებად გარდააქცია.  
ერთ მუჭა ყმაწვილეაცობას შეეძლო ამეამად პასუხი გაეცა უთვა-  
ლავი მტრისათვის. სიმამაცესა და გულადობაში ამ წუთში არც  
ლადიკო ჩამორჩებოდა მამის პაპას იორამს, და არც სხვა ყმაწვი-  
ლები თავიანთს მამაცსავე წინაპრებს.

გულადად და მხიარულად მიღიოდნენ ყმაწვილები თავის გზა-  
ზედ განზრახული საქმისათვის. მაგრამ „ღმერთმა დასწუყელოს  
ეშმაკი“ და მისი ფათერაკი, როგორც განსვენებული თავადი ზაქა-  
რია იტყოდა ხოლმე. საიდამლაც გამოსტყვრა ერთი მგზავრი. მო-  
დიოდა ფეხით ლადოს პირდაპირ. მოუახლოვდა თუ არა ყმაწვი-  
ლებს, ქუდმოხდილმა სალამი მისცა: ყმაწვილებს გაუმარჯოსო;  
ხოლო ლადომ ცხენი ზედ მიაგდო მგზავრსა და შესძხა: ჩამოდექი,  
გზა მომეციო. „აბა, ყმაწვილო, საით ჩამოგიდგე, ხევში ხომ ვერ  
გადავვარდები? ხომ ჰქედავ, შე დალოცვილო, ხევია. ცოტა იქით  
მიაყენე ცხენი“, — მიუთითა ყმაწვილებისაკენ. „ეს ასეთ-ისეთი  
პასუხსაც იძლევა!“ — წამოიძახა ლადომ. იძრო ხანჯალი, გად-  
მოიწია ცხენიდან, დასცა მკერდში და ზურგამდის გაახედა.  
მგზავრმა ერთი კი შეჰქივლა: ვაიმე მომკლესო — და გაკმინდა ხმა.

მოულოდნელმა „ფათერაკმა“ ყმაწვილებს ლხინი და ქეიფი  
ჩაუშალათ. სიმღერა შესწყვიტეს; თითქოს, კიდეც შეკრონენ.  
ცხენდაცხენ შემოეხვივნენ გარს და სულგანაბულნი უცემოდ-  
ნენ, როგორ აბარტყუნებდა ხელებსა და ფეხებს მომაკვდავი.  
დიღნანს იღვნენ ასე — ვიღრემდის მომაკვდავმა სული არ განუტევა  
და ხელ-ფეხის ბარტყუნი არ შესწყვიტა.

სიჩუმე ისევ ლადომ დაარღვია, როცა ხანჯალი ცხენის ფაფარ-  
ზე გაწმინდა და ქარქაშში ჩაავი:

— ეს რა გვიყო ამ ასეთ-ისეთმა?! რა საქმე ჩამიშალა! — თქვა  
და უსიამოვნოდ გააფურთხა.

აჩ გასულა სულ ორი წელიწადი მას შემდევ, ლადოს ას საქმის /  
გამო აძყარეს ყოველგვარი ღირსებანი და გაგზავნეს ციტერნშეცული //  
ლადო დიდ უსიამოენებასა და უკანასკნელობას აჭრებით კუთხიერ //  
ინა ბაბალეს თავისი შეუფერებელი ქცევითა და შრეშეტერის.  
მაგრამ დედის გული მაინც ვერ ითმენდა და ძლიერ ბევრი ცრემლი  
დაპლვარა თვისი ლადიკოს გულისათვის. როგორც კნეინა ბაბალე,  
ისე სხვანიც მრავალნი ძლიერა სწუხდნენ, რომ ლადიკოს შეემოხვა  
ეს „ფათერაჟი“ ერთი ფეხით წინ, ვიდრემდის გამოვიდოდა ახალი  
კანონი.

ერთადერთი იმედილა ძულდგმულებდა მწუხარე დედის. ეს  
იმედი მდგომარეობდა იმაში, რომ იგი სთხოვდა თავადაზნაურთა  
ქრებას, რათა ამას შუამდგომლობა გაეწია წინაშე მთავრობისა და  
მისი დასჯილი შვილი დაებრუნებინათ სამშობლოსათვის.

## ქ დ ნ ი ს ღ უ ღ უ ნ ი

წმინდა თევდორე,  
შენ ხარ მოწიმე!  
ხოხობს უთხარა,  
მომცეს ჩემი ფრთვე.  
(ლეგენდა გაგონილი კახეთში)

### I

ისეთი უსარგებლო მდინარე, როგორიც ალაზანია, ქვეყნიერობაზედ არ მოიპოვებაო, — ამბობენ კახეთ-ქიზიუში.

მართლაცდა ალაზნის წყლით ერთი თვალი წისქვილი არსადა ბრუნავს, არც ირწყვის საღმე ერთი ციდა ნახნავ-ნათესობისა. სარგებლობის ნაცვლად დიდი ვნება და ზარალიც კი მოუტანია ალაზნს კახელებისათვის.

ოდესმე მრავალი სოფელი ყოფილი გაშენებული ალაზნის ორსავ ნაპირზედ. ამენად კი მოსჩანან მარტო მათი ნაშთები. ნაკლებად არ უნდა ყოფილიყო ამ სოფლებში შესანიშნავი ხუროთმოძღვრების ტაძრები. ამას მოწმობენ ხშირი, ზოგან დიდრონ ყორეებად გადაჭიდეული, ზოგან კი მთლიანად გადააჩინილი კედლები.

ალაზანმა ძლიერ იცის მოდიდება გაზაფხულობით, რაცა მოებზედ თოვლი იწყებს ღნობას, და წვიმიან ამინდებში. აღიდების დროს წყალი ნაპირებს გადაპლევავს ხოლმე. სტოვებს ატეხილ ჭალებში, რაც რომ უსუფთაობა მოაქვს თან; იხრწნება ყველა ეს და სწამლავს ჰაერს. ეს კიდევ არაფერი, ალაზანი მეტისმეტად მდორედ მოდის. ზოგან, რაც გინდა ახლო იდგე ნაპირთან, არ გემის ხმა, ისე მდუმარედ მოდის წყალი. ზოგან კი ისმის ხმაურობა მისი, მხოლოდ ეს ხმაურობა არ გაფხიზლებს, არა გმატებს სიცოცხლის ძალას და გამჭრიახობის უნარს, როგორც ზღვა ანუ

ჩქარი და შეუილა მღინარე თვისი მოძრაობითა და მძლავი  
ზეირთების ხმაურობით. როგორც მდემარება, ისე უნდოლი ხმაუ-  
რობა ალაზნისა რაღაცნაირ სიღუნეს ჰქონის კაცის მოელ სხეულში, მოძრაობის ხალისს უკარგავს თვის მაყურებელს და მუდმევრე ტულ-  
ლისაკენ იზიდავს. ძილი და სუნთქვა მოშხამილი პარტიული ტულურების თილს დააყრის კაცს?

შემჩნეულია, რომ ვინც თავის ცხოვრებას მომეტებულ ნაწი-  
ლად ალაზნის ახლო ატარებენ, როგორც მავალითად, მწყემსები,  
სნეულდებიან გამუღმებული ციებ-ცხელებით და უდროოდ ესალ-  
მებიან წუთისოფელს. ეჭვი არ არის ამ ციებ-ცხელებამ გაანადგურა  
ალაზნის ნაპირებზედ იმოდენა სოფლები.

## II

ერთ ნასოფლარში აქამომდე დარჩენილა დაუნგრეველი დიდი  
ტაძრის კედლები და თალი საკურთხევლისა. მხოლოდ ორგან-  
სამგან, საძირკვლილამ დაწყობილი თავამდე, შუაზედ გაურღვევიათ  
კიდლები უშეელებელ კაქლის ხეებს და გაჭედილან შიგ ისე, თით-  
ქოს განგვე მოუშენებიათ აქეთიძით კედლებით. საკურთხევლის  
თალზედ ამოსულა ბროწეულისა და ლელევის ბუქები. ნაეკლე-  
სიარის შუაგულში კი გამჯდარა ნანგრევების ყორეზედ მსხვილი  
და ხევსოყიდებული ფესვებით უზარმაზარი თელის ხე, რომელ-  
საც მაღლა წვერამდე შეპხვევია ვეებერთელა სისქის უსურვაზი.  
დანარჩენი ადგილი ნაეკლესიარისა დაფარულია გაზაფხულობით  
და ზაფხულობით ანწლითა და იმერული საფერავით. ამ ნანგრე-  
ვებს უწოდებენ წმინდა თევდორეს საყდარს.

ნასაყდრალის ყოფილ ეზოში ტოლად და ხშირად დგანან თვა-  
ლუწვდენელი თელის, მუხის, მურყნისა და ბოკვის ხეები. ეჭვი  
არ არის, წმინდა თევდორეს მაღლს დაუცავს დაუნდობელ გადაჩე-  
ნისაგან ეს ტყე, რომ ჭერ ცული არ შეპხებია.

ამ დაცულ ტყეში ზაფხულობით მრავალი ქედანი იყრის თავს  
და ლულუნებენ, ანუ, ხალხის გაღმოცემით, შესთხოვენ წმინდა  
თევდორეს ხოხობთან შუამავლობას, რათა დაუბრუნოს მან  
„ფრთე“.

## III

ვინა ყოფილა წმინდა თევდორე? — სპარსეთის რომელსაღაც  
ყაენს ისე შეუმუსრავს ქართველების პოლიტიკური, ზნეობრივი

და ეკონომიკური ძლიერება, რომ აღრავისა სწამდა თურმე ღია ცი ლმერთი და ოლარც სამშობლო. ბლომად იყვნენ თურმე ღია ცი მსახურნიც და მეომარნიც. განსწავლელნი მღვდელმთავრებაც და გამოჩენილი მხედართმთავრებიც. მაგრამ ყველა ეჭურა წესაცდულობა ქრისტიანები და ქართველები ყოფილან, საქმით ჭრის საჭრელოები გებლობის მოტრფიალენი და მონანი მაპმადიანობისა.

გადარჩეულებისა და გადაგვარების სენს ერთადერთი კაცი გადარჩენია. ეს კაცი იყო ვინმე თევდორე. ამან დაუწყო მხილება ყველას უშიშრად და დაუზოგველად. მისი ქცევა და მოქმედება არავის მოეწონა და პირველადვე მახლობლებმა და ნათესავებმა დაუწყეს დევნა.

#### IV

როგორი მკაცრი და დაუფერებელი ყოფილა თევდორე ყველასთან, შემდეგიდამ ჩანს: ერთხელ მივიდა თურმე მღვდელმთავართან. ამ უქანასკნელმა ჰკითხა: საით გიხეტიალია, იმბის ეშმაკო. თევდორემ უპასუხა: შენსა ტანადობასა ვიახელ, შენი უდასტურესი ვერ გიახლებიო.

— ჴაი, შე შეჩერებულო და წყეულო, შენა! — შეცყირა მღვდელმთავარმა, — თვით შენა ხარ სატანაცა და ოუდაც! გასწი, დამეკარევ ახლავე იქედამ და თვალით აღარ გამეცადო როდისმე, შე მძოვრო და წამწყმედო ქვეყნისავ, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!

შემდევ ამ ამბისა სასულიერო მთავრობამ ურწმუნოდ აღიარა თევდორე, სამოქალაქომ კი სამშობლოს მტრად და მოღალატედ; ბოლოს ოჩივემ ერთად დასახეს იგი ფრიად მავნებელ პირად, როგორც სარწმუნოებისა, ავრეთვე სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ამისთვის ყველას აეკრძალა თევდორესთან დაახლოება და რაიმე საქმის დაჭრა.

#### V

თევდორე თავისას არ იშლიდა: ამხელდა ყველგან და ყველას ბიწიერებაში. თვისი ამგვარი მოქმედებით საშინელი მძულვარება გამოიწვია მთელს ხალხში — თვალის დასანხად შესძაგდა იგი ყვე-

ლას. მაგრამ სიძულვილი და „სულელი თევდორეს“ ძანილი რაოდი აქმარეს, — მოქმედებითაც დაუწყეს შეურაცხოფა. დასტოდნენ, სცემდნენ, პლანძლავდნენ და, ვინ იცის, რას არა სჩაზორდნენ მის დასამცირებლად. იგიც იძულებული გახდა შეუწყვიტეს მარტინ ლი კავშირი ხალხთან, გამორებოდა „სოფელს“, ჯერ მავალ ტექსტების რებინა ტყისათვის და დაახლოებოდა ნადირთა და ფრინველთ.

ალაზნის ჭალაში ერთი ბარდი ამოირჩია თავის საცხოვრებელ ადგილად და აქ იწყო მხურვალე ლოცვა, რათა უფალს გამოეფიზლებინა მისი მომენი მომაკვდინებელი ზნეობრივი ძილისაგან. თევდორე არ იყო ხელდასხმული შსახური ღვთისა, მაგრამ მისი ლოცვა-ვედრება ისეთი მადლიანი და ძლიერი იყო თურმე, რომ ნადირნი და ფრინველი გულმოდგინებით ისმენდნენ ამ ლოცვა-ვედრებას და თვით უსულდგმულო ხეებიც კენჭეროებს იხრიდნენ, როცა იგი ლოცულობდა.

## VI

დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც თევდორე განდევნეს „სოფლიდგან“. ფუფუნებისა და მონობაში მყოფთ არაფერი არ ინტერესებდათ სხვა, რაც მათ პირადს სარგებლობას არ შეეხებოდა. მხოლოდ ერთმა საკვირველებამ კი უნებლიერ მიიქცია ყველას ყურადღება. ბნელს, უმთვარო ღამეში ალაზნის პირად ერთი და იმავე ადგილიდამ აიმართებოდა ხოლმე სვეტი ნათლისა და ბრწყინავდა, როგორც მზის სხივი.

ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ გაიგზავნა რამდენიმე გამოცდილი კაცი ამ მოჩვენების ადგილობრივ გამოსაკვლევად. როცა იმ ადგილს მიეიღნენ, გაგზავნილ პირთ გადაეშალათ თვალშინ მნათარი სურათი: სენაკიდ გადაქცეულ ბარდში ასვენია შარავანდელით მოსილი სხეული. ბარდის გარშემო წამოსკუპებულან დათვები, მგლები, ტურები, ჩამოყრილ ყურები და ნაღვლიანი თვალები მიეჩერებით განსვენებულისაკენ. მათთავე ახლოს დგანან ირმები და შვლები; დაუცემეტიათ ყურები და ყელმოლერებულნი გადაიყურებიან ბარდში გაევირვებული თვალებით. ხოლო მაღლა ხეებიღან სხვადასხვა ჰანგზედ დაპგალობენ, დაპჭიკვიკებენ და დაპლულენებენ გარდაცვალებულს ფრინველი.

ამ სანახაობაში ისე არ გააკირვა მნახველი, როგორათაც იმ

გარემოებამ, რომ შარავანდელით მოსილი სხეული „სულიერი“ თევდორესი გამოდგა და თითქმის ზიზღით წამოიძახეს რუთ სმენა „ვინ სულელი თევდორე და ვინ წმინდანობაო!“

## ეროვნული

## გიგანტები

### VII

თევდორეს გვამს დასაკრძალვად მრავალი სამღვდელოება შეიკრიბა და მოაწყდა ყოველის მხრიდან აუარებელი ხალხი. თვით მღვდელმთავარმაც ისურვა ეპატიებინა თევდორესათვის მის მიერ მიყენებული შეურაცყფა და ამის ნიშნად დაესწრო ანდერძის აგებაზედ.

ასე იყო დაწყობილება: ანდერძი უნდა აევოთ იმავე ადგილს, სადაც გარდაიცვალა თევდორე; მხოლოდ შემდეგ წაესვენებინათ მასრობელ ეკლესიის ეზოში. მაგრამ დაწყობილების სავსებით შესრულებას ერთმა საკვირველმა გარემოებამ შეუშალა ხელი.

გათავდა ანდერძის აგება. დაწესებულ დროს მღვდელმთავარი მიუაწლოვდა გვამს და მოემზადა ამბორისათვის. აი სწორედ ამ დროს უცბად გაირღვა დედამიწა, შთანთქა გვამი და ყველასათვის შეუხებელი და უხილავი შეიქმნა.

### VIII

ნათლის სვეტი არა ჰშორდებოდა იმ ადგილს, სადაც თევდორე ცხოვრობდა, მიიცვალა და შთანთქა მისი გვამი დედამიწაში.

ანდერძის აგების დროს მომხდარმა სასწაულმა გამოაფხიზლა ყველანი. დაუკვირდნენ თავიანთ თავს, შეიგნეს თვისი სიმდაბლე სულისა და ზნეობრივი სილატაკე და შეუდგნენ თვის გარდაქმნა-გადაქეთებას: სულის ამაღლებას და კეთილშობილურ გრძნობათა მოპოვებასა და შეძენას. ამას კი შედეგად მოპყვა განთავისუფლება სპარსეთის მონობისაგან.

მაღლიერმა შთამომავლობამ იქ, სადაც განისვენებდა გვამი თევდორესი, აშენა მშვენიერი ხუროთმოძღვრების ტაძარი. გალიჩება გარშემო ტყე და გაშენდა მის ნაცვლად დიდი სოფელი.

### IX

ეკლესიას დღისით მზის შუქი ანათებდა, ლამე კი თევდორეს საფლავზედ მდგომი სვეტი ნათლისა.

წირვა-ლოცვა განუწყვეტლივ სრულდებოდა, მლოცვებითაც

ყოველთვის გაჰედილი იყო ზოლმე ეკლესია, რადგანაც უკვე მხერიდან მოეშურებოდა მრავალი სასოებით მავედრებული.

ქვეყანაც აყვავდა სათნოებით, მყუდროებით და გულუნებით მაგრამ საბოლოო და დაუსრულებელი არაფერი ყოჭმული მხერი ის ლად და არც იქნება როდისმე. გამოაშეარავდა საქუტყვათული მას რამდენსამე, და რაც უფრო განსაკუირეველი იყო ყველასათვის, წარჩინებულ პირთავანს რაღაცა უხილავი ძალა არ უშვებდა ეკლესიაში. მისითანა პირთ ხალხმა დაწმა სამშობლოს ღალატი და ორგულობა. ამ გარემოებამ ყველანი დააფრითხო: ვისაც არაფერი ხინჯი არა ჰონდა გულში სამშობლოს წინაშე, ისიც კი ვერა ბედავდა ეკლესიაში შესვლას; ვისაც გული წმინდა არა ჰქონდა, ის ხომ შორს გაურბოდა ტაძარს. შემცირდა ეკლესიაში მოსიარულეთა რიცხვი, ბოლოს თვით მისი მოსამსახურებიც კი ველარა ბედავდნენ ეკლესიის კარგბზედ ფეხის გადაბიჯებას.

მცხოვრებლებმა იწყეს ნელ-ნელა სოფლიდამ სხვა ადგილის გადასახლება; ბოლოს სრულად დაცარიელდა და აოხრდა იყი. ნათლის სვეტი გაპერა ეკლესიაში. საქართველოს ისევ მონობის (სპარსეთის) ქარიშხალმა დაპეროლა.

ტაძარი დაინგრა და ნასოფლარზედ გაშენდა ახლანდელი ტუ-

## X

ერთხელ, იმ დროს, როცა წმინდა თევდორე განდეგილად ცხოვრობდა ალაზნის ჭალაში, მის თვალშინ ხოხობსა და ქედანს შორის სწარმოებდა ერთგვარი შეთანხმება.

თურმე უწინ ხოხობს არც გრძელი ბოლო აშვენებდა და არც ქოჩირი. ისეთივე კუდრაჭა და გალოკილი თავითა ყოფილა, როგორც ახლა ტყის ქათამი და კაკაბია. ამ უკანასკნელთავან მხოლოდ იმითი იჩიეოდა, რომ ხეზედ ჭდებოდა. ხოხობს ძლევრ უშნოდ მიაჩნდა თავისი თავი სხვა ხეზედ მცხოვრებელ ფრინველებთან შედარებით. ღიღად თაკილობდა უშნოობას და ბევრს ფრინველს უყურებდა შურის თვალით.

ნამეტნავად იტაცებდა ხოხობის გონებას და შურს უორკეცებდა ქედნის გრძელი ბოლო და მოხდენილი ქოჩირი. სულითა და გულით ნატრობდა, რომ ერთ წუთს მაინც გამოასხოდა მას ქედნის ბოლო-ქოჩირი.

სილამაზის ტრფიალი და შური არ ასევენებდნენ ხოხობს. ბევრი იფიქრა რა საშუალებით დაპატრიონებოდა ქედნის უზურუშებულება განას და ბოლოს შეუდგა საქმეს. დაუახლოვდა ქედანის შეცვეკესტება სა, ისე მოხიბლა თვისი მოჩვენებული გულწრფელობით, რომ ყოვლის უარის უთქმელად ათხოვა ხოხობს თავისი ბოლო და ქოჩორი დროებით.

ერთიცა და მეორეც ხოხობს უნდა დაებრუნებინა პატრიოსა-  
ფის მკათათვეში. ქედნის გულის დასამშეცდებლად ხოხობმა იქვე  
ახლოს მდგომი და ზეცისადმი ხელებაპყრობილი წმინდა თევდო-  
რე დაასახელა პირობის თავმდებად. ფრინველთაგან კი მარტო გუ-  
გული დაესწრო ამ პირობის მოწმედ.

თევდორეს არაფერი გაუგია მათი პირობისა; გუგული კი ყურს  
უგდებდა მოლაპარაკებას, გულ უბრაზდებოდა ქედნის უპერობა-  
სა და ხოხბის გაიძვერობაზედ, მაგრამ ვერ მოახერხა, გაეფრთხი-  
ლებინა უბედური ქედანი. როცა ამ უკანასკნელმა გადასცა ხოხობს  
თვისი საუნჯე და თვითონ გატლეკილი დარჩა, მაშინ კი ვეღარ მო-  
ითმინა გუგულმა: შამოჰერა ფრთა ფრთა, გაფრინდა და დაცინების  
კილოთი დაიძახა: „მკათათვე, მკათათვე! ხა, ხა, ხა“!..

ბევრი მკათათვე გავიდა მას აქედ, ხოხობს ფიქრადაც არ მოს-  
დიოდა თვისი პირობის შესრულება. მხოლოდ ძრიელ კი ეშინიან  
ახლაც, არ ჩაიხელონ საგმე ქედნებმა და არ წაართვან ძალით ის,  
რაც გაიძვერობითა და მოტყუებით შეიძინა. ამისთვის ზეზედ აღა-  
რა ჭდება ხოხობი. ზამთარში, სიცივის დროს თუ შეკდება ხე-  
ზედ, — ჭადგანაც დარწმუნებულია მაშინ, რომ ქედანი თბილ  
ქვეუნებშია წასული, — თორებ სხვა დროს ბარდებილგან არ გა-  
მოჰყოფს ხოლო თავს. მინდვრადაც იშვიათად გამოდის, მხოლოდ  
უთუოდ შამბებში იმალება.

თუ როდისმე მეძებარმა ძალმა ააფრინა ხოხობი შამბებილგან  
და მონაღირის თოფს ცოცხალი წაუვიდა, საცა ჩამოეშვება, თავს  
ან ბუჩქებში, ან ხშირ ბალახებში წაჟყოფს, ბოლოს დამალვას კი  
არა ცდილოს. ყველა მონაღირე ქედნისაგან მისეული პეონია ბო-

ლოს და ქოჩორის დასაგლეჭად და ფიქრობს: „ქოჩორი-მაინც შე-  
ვირჩინო, თუ ბოლოს წამართმევენო“.

მაგრამ ტუშილად ეშინიან ხოხობსაო: ქედანი ძლიერ, უფრო უფლებული გა-  
ვაუბედავი, გულუბრყვილო, უთაური და მინდობილუ მუშაველიშვილი  
არამეთუ იმისი დაბრუნების უნარი და შნო არა აქვს, რაც წინად  
ხოხობისთვის უთხოვებია, არამედ, პირიქით, ნისკარტიც რომ მო-  
აქამოს ვინმემ, ხოხობი იქნება თუ სხვა ფრინველი, შეიძლება ხმაც  
არ ამოიღოს. არც იმოდენი გამჭრიახობა და მოხერხება აქვს, რომ  
სხვა მტერი მიუსიოს ხოხობს, როგორც იმასა ჰგონია და შიშობს.  
ქედანს თვისი იმედი და სასოება მარტო წმინდა თევდორეს თავ-  
დებობაზედ დაუმყარებია და ეხვეწება: „ხოხობს უთხარი, მომ-  
ცეს ჩემი ფრთვო“. გაივლის დრო და უამი. ესეც მოსწყინდება ქე-  
დანს და აღარც წმინდა თევდორეს შეაწუხებს თავისი თხოვნითაო.  
მუგული კი ახლაც, როცა დაილება გუგუს ძახილითა და მოაგონ-  
დება, რანაირად შეაცდინა ხოხობმა ქედანი, გაფრინდება საითმე  
და თანაც დაპძახებს: მკათათვე, მკათათვე! ხა, ხა, ხაო!.. — დაამთავ-  
რებდა ხოლმე ასე, განსვენებული კნეინა, ვისგანაც მაქვს გავონი-  
ლი ეს ლეგენდა.

## გ ა მ ი ლ ა ვ დ ა

(მცირები რაზ ამავი)

— ჩემო ქალო, შინა ხარ? მოდი ერთი ვეამბორო მაგ შენს თურაშაულ ლოყების!..

— დაიცა, მღვდელო, სირცხვილია!.. რო დაგვინახოს ვინმემ, რას იტყვიან?!.

— რა უნდა თქვან! ქმარი ცოლსა ჰერცინისო, სხვა რა უნდა თქვან? რა უკანონობას მე ჩავდივარ!

— უკანონობას კი არ ჩადიხარ, მაგრამ რაღა დროს ჩვენი კოც-ნევენა არის, დაბერდით, ალარ შეგვშვენის.

— რატომაც არ შეგვშვენის, რაო?.. კიდევაც ვჭობივარ ახლან-დელ ჭელებს, რაშიაც უნდა გამეჯიბრნენ: თუნდ გაქცევაში, თუნდ ჭიდაობაში, თუნდ კიდევ შეილების!..

— ტყუილია მაგ დალოცვილი ნუნუასთან! უენისაც ენას ამიაღმევინებს და გაზაფხულის მერცხალივით ააჭირების.

— რატომაც არ ვაჭირებიებ! ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი: ქარგი გვაჭამეს, კაი გვასვეს, სამი მანეთი წინ გასაძლოლი ჭიბეში ჩამიღეს და გამომისტუმრეს. შენ ხომ არაფერი დაგილევია დღეს და რას დამენაძლევები, შენ ჩემზე უარესად აგაჭირები, ისეთი რამ შეგატყობინო

— მე ვერაფრით ვერ ამაჭირებიებ.

— მაშ მაიტა ხელი!..

— დაიცა, კარგი! მართლადა არავინ დაგვინახოს, სირცხვილია.

— შენ თითონ შენი ნებით მამიშვერ მაგ ფუნთუშა ლოყებს, თუ შეგატყობინებ იმ ამბავს, რამაც ასე აატოკა ჩემი გული სიხა-რულით და ამაჭირები. მაგრამ მანამდის არ დავილლები შენი კოც-ნით, არაფერს გეტუვი.

— შენი ნება არის. ნურაფერს მეტყვი, მხოლოდ ერთხელა და

ორჯერ არ დაგვიცდია, რომ მაგისთანა აღტაცებით ყიშაროს  
უთუოდ სამწუხარო არ მოჰყოლია. არ ვიცი, რა გაქვს სასიხარული,  
მაგრამ მე კი გულში მეშინიან.

— ტუშილად გეშინიან, ჩემო... ჩემო... აბა როგორი ქართველი არ  
ჩემო სულის კოლოფო! ხომ იცი, როგორც კოლოფში მუჭვები აშენებ  
ჩასდო და დაპყეტო, სწორედ ისეა შენში ჩემი სული ჩაკეტილ-  
ჩაბეჭდილი.

— კარგი, მეყოფა მაგოლენა თავის მოქონეა და ალერსი!

— რის თავის მოქონეა! მე ებლა ისეთ მდგომარეობაში ვიმ-  
უოფები, შესაძლებელი რომ იყოს, ხელს მოვეკილებდი, ამოვაძრობ-  
დი ჩემს სულს და ფეხთა ქვეშ დაგიიუნდი...

— ჰო, კარგი, მჯერა ყველაფერი!.. მითხარი ეხლა, რაც სათქ-  
მელი გაქვს..

— აბა მოიტა, ჯერ დავილალო შენი კოცნით.

— კმარა, მღვდელო! სიჩუქეილია!..

— აი ეხლა გატყვი დლეს ბლალოჩინმა გამიმულავნა, რომ კა-  
მილავკაზე წარგადგენო.

— მართლა? ოჲ, მადლობა შენთვის, ღმერთო! ძლიერს არ  
ეღირსა ჩემი ყურები ამ სასიამოვნო ავბის გაგონებას!.. როდის  
იქნება, ერთი თვალითაც ვნახო!

— ნახვითაც მალე ნახავ... რო გითხარ, სასიხარულო ამბავს  
გიტყვი-მეტეი მაშ, მოიტა კიდევ დამატებით!..

— ჰო, ეგ კარგი, ბლალოჩინმა წარგადგინა. მერე იქ? იქიდანაც  
წარგადგენენ? საქმე იქ არის!

— კიდევ ეგ მიხარიან, რომ იქიდანაც წასულა წარდგენა. ეხლა  
წინ აღარაფერი უდგა — მერმის, ემ დროს კამილავკიანი მღვდელი  
ვეყოლები.

— თუ ჩემებრივ ეცოდინებოდათ შენს უფროსებს, კამილავკა  
კი არა, ეხლა დიდი ხნის დეკანოზიც უნდა იყო.

— სად არის: კითხული და სამართალი, ჩემო კოკობო ვარდო!.  
ოცდახუთი წელიწადია მღვდლადა ვარ და ამ ხნის განმავლობაში  
ბედენიებისა და სკუფის მეტი არაფერი ჯილდო არა მაქვს რა,  
მაშინ როდესაც ჩემს ნაამხანაგარებს გული ოჩდენებით აქვთ სავ-  
სე. დიდი უსამართლობა და უცოდო-მადლობა ტრიალებს ჩეენს ✓  
უწყებაში. მე კიდევ რა მიქირს! რამდენი არის ჩემზე უფრო დიდი  
ხნის ნამსახური, რომ ჯერ სკუფიაც არა აქვთ.

— შენ სხვა ხარ! როგორც შენ ასრულებ საღმრთო წილებს, როგორც შენ ერთგულად ლოცულობ ხემშიფისა და ქვერანასა თვის, რომელი მღვდელი ან დეკანოზი მოიმოქმედებს ამას!

— განა ტუუილს ამობ. რითა მჯობარ ის ჩემი მხრისძვრებული ან სხვები, ვისაც გული ორდენებით აქვთ საესე? შემორც-შრომის უდა ვერც მთავრობისადმი ერთგულებაში ისინი წინ ვერ წამივლენ. მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მთავრობის თვალშინ არიან, თავიანთ მოქმედებას თვალით აჩვენებენ მთავრობას და კიდეც იღებენ ჭილდოებს. მე კი აბა, როგორ დავანახვო აქედამ ჩემი ერთგულება!... აქ შეამავლად, ავისა და კარგის გადამცემი მთავრობისადმი ბლალობინი უნდა იყოს. მაგრამ ბლალობინიც იმასა ცდილობს, რომ იმაშე დაწინაურებული არავინ იყოს მის საბლალობინოში, თავის მეტოქედ არავინ გახადოს მთავრობის თვალში. თუ კარგ რამეს ხედავს სხვაში, ან გაჩიმებულია და არ აცნობებს მთავრობას, ან თეორის შევად აჩვენებს. ეხლაც მიკვირს, როგორ წარმადგინა. მაგრამ, მგონია, სინდისმა შეაწება.

J

— ეხლა კი მაინც ნამდვილია? როგორდაც მეუპირულება.

— არა, ეხლა წინ აღარაფერი უდგა. ისე მეგულება ეგ საქმე, რომ თითქმ თავზე მეტუროს კამილავეა.

— ღმერთო, შენ გადმოგვხედე კეთილის თვალით! ხო რა გაჰქიმებაში ვართ, როგორ გვემძიმება სამ-სამი შევილის შენახვა ჩვენს ხარჯზე, მაგრამ სამი შევილი რომ ერთად მიეღოთ სახელმწიფო ხარჯზე ისე არ გამიხარდებოდა, როგორც მაგ ამბავმა გამახარა.

— მაშ უამბოდ დაგიკოცნიდი მაგ ფუნთუშა ლოყებს?

— ძლიერ გული მტკიოდა, რომ დაჩაგრული იყავი. გუშინდელ გამოსულ ლაწირაკებს კამილავები წამოუსკუპებიათ თავზე და ჩამოუკანტურებიათ გულზე ოქროს ჯვრები, შენ კი, ამდენი ნინი ერთგულად ნამსახურს, კამილავეაც არა გქონდა.

— ღმერთი მოწყალეა. აქამდის ჭირდა საქმე, თორემ ეხლა, რაყი კამილავეს მივიღებ და პატივი და ღირსება მომემატება, აღვილად შესაძლებელია მთავრობასთან დაახლოება... უნდა ვეცადო, ვინმე, მთავრობასთან დაახლოებული კაცი, მოვიპოვო, დავიმეგობრო, მაშინ აღარაფერი გაჭირდება, მაშინ პირდაპირ იქიდაშ უბრძანებენ ბლალობინს — წარმადგინოს შემდეგ ჭილდოზე, აბა ნუ იქადრებს და ნუ წარმადგენს მაშინ!

ასე მუსაიფობდნენ მღვდელი მამა იოსები (გვარი დამავიწყდა,

დასწეულოს... ენაზედ მაღვა და ველარ კი მომიგონია) და მისი მეურა  
ლე ფოფოლია ნინო.

ტკბილ მუსაიფს მაღვე ტკბილი ძილიც მოჰყვა. რა დიდად არ-  
ამოვნებდა ფოფოლია ნინო, რომ შესძლებოდა ეცეირა მიმართული  
მეულლისათვის!... წამდაუწუმ მამა ოოსებს სიამოვნებინ და მიმართული  
ეხატებოდა ტუჩებზე; ღიმილს ხანდახან მოსდევდა ზმუქუნაზ გრუმ  
დაქცეული სიცილი. ყველა ეს იყო გამოწვეული სასიამოვნო სიზ-  
მრით, რომელსაც სკვრეტდა მამა ოოსები თვალების მოხუჭვის  
უმაღვე.

სიზმარი ალბათ დიდხანს გაგრძელდა, რადგანაც, რაც ესიზმრა  
მამა ოოსებს, იმის ცხადლივ შესრულებას დიდი დრო უნდოდა.  
ხოლო ბოლოს და ბოლოს ტუჩების ღიმილი წარბებისა და პირი-  
სახის ჭმუნვად შეეცვალა, სიცილის ზმუქუნი — შფოთვად და  
იმდენი იშტოთა, რომ სულ ოფლში გაიწურა. დასასრულს, რო-  
გორც იყო, მოიკრიბა ძალ-ლონე და ისე დაიყვირა: თქვე შეჩერე-  
ბულებო, რაზედ დამღუპეთო, რომ ფოფოლია ნინო შიშისაგან ფეხ-  
ზე წამოვარდა და გააჭურა თვალები. მამა ოოსები ძალშე ქშინავ-  
და, ხოლო ფოფოლია დიდხანს უგუნურად იცეირებოდა. ძლივ-  
ძლივობით მოვიდა გონჩე და მიმართა მეულლეს:

— რა იყო, მღვდელო, რა მოგვიდა?

— ოქ, ოქ, ოქ!... დამაცადე ერთი! ოქ, გმადლობ შენ, უფალო,  
რომ სიზმარი იყო და არა სინამდვილე!

— რა ნახე, შენი ჭირიმე, რა იყო?!

— რაღა რა ვნახე!.. თუმცა სიზმარი იყო, მაგრამ მაინც საში-  
ნელება რამ ვნახე.

— გული დაიმშვიდე, გენაცვალე, და მიამბე ერთი, რა ნახე!

— ვითომც მომსვლოდა კამილავეა, ბლალოჩინმა შემატყობინა  
მოწერილობით. წავედი ქალაქში, შევაკერინე თერთმეტ მანეთად  
შშვენიერი, შვინდისფერი ხავერდის კამილავეა და წარგულექი ამ  
კამილავეით ეგზარქოსს, მისი ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მი-  
მიღო მეტისმეტად წყალობის თვალით, მეითხა: რატომ დაუგვია-  
ნებიათ შენთვის ჭილდოების მოცემაო, მე შემომესმა შენზე, რომ  
ძლიერ კეთილსამედო მოძღვარი ყოფილხარო. შენისთანა კეთილ-  
სამედო პირები ყოველთვის თავ-თავის ღროშედ უნდა იღებდნენ  
ჭილდოებს, რომ უფრო წახალისდნენ და ერთგულნი იყვნენ მთავ-  
რობისაცა და ეკლესიისაცა. მიბორა ლოცვა-კურთხევა და გამო-

მისტუმრა. ჩემზედ კაი აზრები ჩაეგონებინა იმ დაახლოების პირს, ვისაც ვთომ მე დაუუახლოვდი—გავიხადე მეტაბრაც, მა თილის მყოფად. მოვედი შინ. დავიხურე კამილავკა და გვევინ მომილოც და მითხარი: რა ძლიერ გიხდებათ. მილოცაში წრტკლები ბიც — მტრებიც და მოკეთენიც. არ გამოსულა ბურთლის და გვევინ ეკლესიაშიც კი არ მხერებია კამილავკა, წამოწოლილი ვარ დერე-ფანში მუთაქაზედ. ვნახოთ, ჩემნა ბავშვებმა მორთეს ყვირილი: იმანარენს რა ლამაზი ჩანახი უყიდნიათ. გამარბენინეს შინილან კამილავკა, ეცნენ ეზოში დაგროვილ ქვიშას, დაუწყეს კამილავკით აწყვა. მინდა გავუჭავრდე, დავუყვირო... ხმა ვერ ამომილია! ისე გახადეს ის მშვენიერი კამილავკა, რომ სულ გაასაძაგლეს! ესეც როდი აქმარეს, გამოსჭრეს ძირი, რა კარგი გორგოლა არისო და დაუწყეს გორება, უძირო კამილავკა კი მარგილზედ ჩამოაცვეს. მე ვწუხ, ვტოკავ, მინდა ავდგე და ბრაზმორეულმა ყველანი მარგილზე ჩამოვაცვა ისევე, როგორც იმათ კამილავკა, მაგრამ ადგილიდან ევრ დავძრულვარ... იცი, რა ტანჯვაში და ვაი-ვაგლაბში ვიყავი? გმადლობ შენ, შემოქმედო, რომ სიზმარი იყო და არა სინამ-დვილე!

— უიმე!.. ნეტავი გამაქრო! ეგ როდი არის კაი სიზმარი!..

— ე კამილავკას ხომ ვეღარ გამიბრუნებენ და სხვა, რაც ენე-ბოს ღმერთს, ის იყოს ჩემთვის.

— მეც კამილავკაზე მეშინიან, თორემ სხვა რისა უნდა მეში-ნოდეს?

— არა, კამილავკა, როცა ბლაღოჩინი გამოტყდა და მითხრა. რომ იქიდამაც წავიდა უწმინდეს სინოდშიო, ვითომც ხელში მვე-რია...

გათენებამდის ოვალი აღარ მოუხუჭავთ არც ქმარსა და არც ცოლს. გააბეს ლაპარაკი სხვადასხვა შინაურ საქმეებზედ, მაგრამ ბშირად ისევ კამილავკა ხდებოდა ლაპარაკის საგნად. მათი ნალა-პარაკევი რომ სავსებით აიწეროს, ამბავი ვრცელი და მოსაწყენი გამოვა, ხოლო, რაც კამილავკაზე ჩაურთეს ლაპარაკში, იმის კი მო-ვახსენებთ საზოგადოდ, ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ სად და რა ფე-რი ხავერდისა უნდა შეკერიყო კამილავკა. ერთხმად გადაწყვიტეს. რომ არ შეიკეროს იგი იმ ფერისა, რა ფერისაც მამა ოსებმა ნახა სიზმარში... ჩამოთვალეს ისინიც, ვისაც ეამებოდა ინ ეწყინებოდა მამა ოსების კამილავკით დაჯილდოება. მხოლოდ, როგორც იმათი

ანგარიშიდან გამოღიოდა, თითქოს არავის ეამებოდა ასჭრი ფაქტიურება მისი.

სიზმარში მიღებული შემაძრწუნებელი შთაბეჭდილებარ კრისტენი ლიად გაუქარწყლა და დაავიწყა მამა იოსებს ლაპარატებზე და გუნებაზე და აბრძანდენ. შემა იოსებს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ცხადლივაც შესაძლებელი იყო რაიმე უსიამოვნების ნახვა და გამოცდა.

სწორედ ამ მოულოდნელობის ბრალი იყო, რომ უკიდურეს აღმფოთებამდის მიაღწივეს ცოლმაც და ქმარმაც, როდესაც სინამდვილითაც დაატყდათ თავს უსიამოვნება. საღილს ემზადებოდნენ. საზოგადოდ, მამა იოსებს არ უყვარდა და ძლიერ იშვიათადაც სადილ-ვაბშობდა შინ. მომეტებულ ნაწილად რაიმე წესის ჟესრულების შემდეგ, ანუ უამისოდაც ვისთანმე შეექცეოდა. მნაირ შექცევას უფრო სასიამოვნოდ და სასარგებლოდ სთვლიდა, ვიდრე შინ პურის მირთმევას. ამ დღეს კი სულით და გულით ნატრობდა, არაფერი გამოვარდნოდა ისეთი — არავის მიეწვია რაიმე წესის ჟესრულებლად. დღეს სურდა უსათუოდ შექცეოდა საღილს თავის ნინოსთან მუსაიფში. ნინოც, რასაკვირველია, შეუდგა ნოყიერი სადილის თადარიგს. ემზადებოდნენ სადილის მირთმევას. სწორედ ამ დროს მოევლინათ, სრულიად მოულოდნელად, თავისი ქალიშვილი ლიზა, მოწაფე ტფილისის საეპარქიო სასწავლებლისა. მისი უდროოდ მოსვლა სახლში როგორლაც ეპირულა მშობლებს. ბილეთის საშუალებით და თვით ლიზას ნალაპარაკევიდან შეიტყვეს, რომ მოსწავლე ქალებმა „ბუნტი“ მთავრობამ და მთავრობამ დაითხოვა ისინი სახლებში წასასვლელად ახალ განკარგულებამდე.

— ვაიმე, კამილავეაც და თავო დაღუპულო! — წამოიძახა მამა იოსებმა ხელების ერთიერთმანეთზე შემოკვრით და სასოწარკვეთილებით, როცა შეიტყო, რაშიც იყო საქმე. — ეხლა ხომ ცუდად შემნიშნა მთავრობაშ. შენ გამოისობით, შე ლეთისაგან შეჩერენებულო და წყეულო, ხომ აღარ მომცემენ კამილავეას! ჩაზე გამაშავე უფროსის თვალში. შე იუდის კერძო, და დამიკარგი კამილავეა!

— მე რა გიყავი, რა ვქნა?

— ის მიყავი, რომ კამილავეა დამიკარგე, კამილავეა! გესმის, თუ არა, შე შეჩერენებულო ძლიერ გავაძელვინე, წარვალგენინე

თავი, რეები აზ ჩავიდინე, რომ ჩემი შემესრულებლი და შენის ქცევითა და მოქმედებით ცეცხლზედ წყალი დამისნი!

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს მთელი ის უარისტო უზებელი მოხდა სასწავლებელში, მარტო მე ჩამედინოს, უწერ შეაფრთხილები კუოფილიყო? მთელი მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას საქმეში და მე როგორ ჩამოვარჩენილიყავ სხვასა?

— რატომაც ვირ ჩამორჩებოდი, შე წყალო, თუ შენ კეთილი სული გიდგია და ადამიანობის გცხია რამე!.. რომ არსად გამიგონია ამისთანა ღვთის წყრომა და უბედურება საქრისტიანოს შესარცხვენად! ეს პირველი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანაშედ. რომ ლაშირაკმა გომბიოებმა მაგისთანა უწესობა და უღმერთო საქმე ჩაიდინონ!

— ჩერ გაიგე მიშეზი, რამ გამოიწვია ჩვენი „უწესობა“ და მერე თუნდ უღმერთო დაუძახე, თუნდ სხვა რამე.

— გვიგო, მე ვიცი, ქეთევან დედოფლისებრ მოწამეობის გვირგვინს დაიმსახურებთ თქვენი ლვაწლით, თქვენ ნუ მომიჯვდებით.

— აბა სწორედ ჩვენ გვეუთვნის იმისთანავე მოწამეობის გვირგვინი და უფრო უდიდესიც: ჩვენ არა ნაკლებ ქეთევანისა ვიტანჯებით, და ვიტანჯებით არა მავმადიანთაგან, არამედ მათგან. ვისაც მიაჩნია თავისი თავი ქრისტიანობის უპირველეს და ნამდვილ წარმომადგენლად!

— გაუმინდე ხმა, შე ჩეჩენებულო! მომეტებულად ნუ მალელვებ, თორებ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!

— რისთვის უნდა გავემინდო ხმა? რასაცა ვგრძნობ, იმის თქმას ვერავინ დამიშლის! სასწავლებლად კი არა, სატანჯველად მიგყავართ მშობლებს იმისთანა სასწავლებელში, სადაც ჭალათები გვადგანან უოველ წუთში თავს. გვატანენ ძალას, ვილოცოთ და ვევედროთ ღმერთის უცხო, გაუგებარ ენაზე; სულსა და გულს კი არაფერი ეცხობა ლოცვისა — მხოლოდ ამისთანა მოქმედებით იქამდის მიყენებართ, რომ სულითა და გულით გვაძულებენ ღმერთსაც ზა სარწმუნოებასაც, სადაც ჩაგვჩიჩინებენ უოველ წუთს. რომ მარხვის ჭამა ცოდვა არისო, თვით ამისი ჩამგონებელი კი, ჩვენ თვალწინ, იქავე, ჩვენს სუფრაზე შეექცევიან კატლეტებს და ბიუშტექებს; ჩვენ კი ამავე ღროს ლობიოთი და ზეთით გვხეთქავენ: სადაც ხმა ვერ ამოგვიღია ჩვენს სამშობლო ენაზე ისე, რომ

არ დაგვიყვირონ: ძაღლის ენაზე ნუ ლაპარაკობთო! მანამ სასწაულებელში წავიდოდი, ღმერთიც მიყვარდა და მარხვის გატავა ცოდვად მიმაჩნდა, ეხლა კი ოლარც ღმერთი მწამს და ოლარც მოხვა მიმაჩნია რადმე. ქრისტიანობის წარმომადგენელურა, როგორც ელმზრდელი ხომ ისე მძულან, როგორც შავი ჭირი! გეგმა იმარტინა

— შე ღვთის პირისაგან წყეულო და შეჩვენებულო, როგორა ჰბედავ ენის დატოვებას ან ღვთის შესახებ, ან შეს უფროსებზე!.. ვინ მოგვა შენ უფლება განსაჯო მოქმედება უფროსებისა?

— ეგვ., მღვდელო, გენიშნა თუ არა ჩემი სიტყვები? აյი გეუბნებოდი, რომ არ არის საჭირო მაგისი სასწავლებელში გავზავნა-მეთქი. რა გინდოდა მუხლის ძირის მჯდომოდა და, რაც ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადევი იყო, მესწავლებინა რა შავ ქვად ვაქნევდი მაგის სწავლას? იმოდენა ფული ფულად დაილუპა. უწინ დღე გამიქრეს, არა, ამას უნდა გაუქრეს, ამ უნამუსოს. შენც რომ გევნოს რამე — კამილავა აღარ მოგცენ, ხომ ელდამ გამათვაი არა მე რომ სასწავლებელში არ მისწავლია. ვერ დავზარდე ამოდენა შვილები?!

— თუ ასე მეცოდინებოდა, მე მოვუხერხებდი მაგას!.. ახ, მართლადა რატომ არ დაგიჯერე და მექათმედ ან მებატედ არ გავზარდე! კაი მამა მაშინ ვიქნებოდი.

— მე მექათმეობა და მებატეობა მირჩევნია გონებითა და ზნეობით დამახინჯებას!

— ეს სახელგასაწყვეტი რეებს მიედ-მოედება?!.. რატომ მუცელში არ გამიწყალდი. შვილო. რომ ავცილებოდა ეს უბედურება და შეწუხება?

— ახ, რომ არ ვარგანან თქვენი უფროსები! უნდა დაეწვინეთ სათითაოდ და როზვით სისხლის ნაკადულები გამოედინათ თქვენი... აა მაშინ იყო კარგი! თორემ დაგარიგეს სახლებში დედ-მამის შესაწუხებლად... მე უნდა ვყოფილიყავ თქვენი უფროსი, რომ სულ სათითაოდ მეთრევინეთ კიწიწებით. სანამ სული ამოგვრებოდათ!..

— განა არ შევიძლიან ჩემზედა სცადო? ქრისტიანობის პირველ ხანებში არ იყო, რომ მშობლები თვითონ ხოცავდნენ თავის უმწეო ქრისტიან შვილებს, რათა მოეგოთ გული თავისი წარმართი მეფისა და რამე ჭილდო მიელოთ მისგან? შენც ასე მოიგე გული მთავრობისა. რადგანაც გეშინიან რომ კამილავას აღარ მოგცემენ.

— ჩაიგმინდე ხმა, სახელგასაწყვეტო!.. — და აქ უდიდესობრივი  
მოითმინა ფოფოდია ნინომ, მიპვარდა ქალს, სტაცია ნაწიავში ხდია  
და დაუწყო უდივრად ცემა.

დიდ საგონებელში ჩავარდა მამა იოსები: იმედი უკავშირდებოდა  
მიღებაზე ხან უღიძმდა, როცა წარმოიდგენდა, რომ ამაგრებელი უკავშირდებოდა  
ბისა უკვე გაგზავნილი იყო სინოდში, ხან უცრუვდებოდა იმ ფიქ-  
რის გამო, რომ ვაითუ უწმინდეს სინოდში დამატებითი ქალალდი  
გაგზავნონ და ამოამლევინონ სიიდან, რაღანაც მისმა ქალიშვილშა  
მიიღო მონაწილეობა „ბუნტში“, ხოლო უფრო იმედიანობდა,  
ვიდრე უიმედობდა.

ეს ამბავი უკვე დამზადებული მქონდა და ვაირებდი გამეზია-  
რებინა იგი მკითხველისათვის, რათა თანაგრძნობა გამომეწვია  
მათში შეილის მიერ შეურაცხყოფილი მშობლებისაღმი, როცა გა-  
ვიგვე, რომ მამა იოსებისაკენ გაემგზავრა თურმე იგეთივე დანა-  
შაულობისათვის, რისთვისაც ქალიშვილი ლიზა, მისი ვაჟიშვილი  
სამსონი — მოწაფე ტფილისის სასულიერო სემინარიისა.

არ ვიცი, როგორ იმოქმედებს მამა იოსებზე და მის მეულეზე  
ეს მეორე თავს დატეხილი უბედურება, მხოლოდ ერთი რამის  
თქმა კი შეიძლება სინამდვილით: მამა იოსები ამ მეორე თავზარ-  
დამცემი ამბის შემდეგ კი დაპქარგავს სრულიად იმედს კამილავ-  
კის მიღებაზე. ეს გარემოება ძლიერ სამწუხარო გახლავთ და, არა  
მცონია, მკითხველთა შორის აღმოჩნდება ისეთი ვინმე გულქვა,  
რომ თანაგრძნობა არ გამოუცხადოს უღირსი შვილებისაგან გამწა-  
რებულ და მთავრობის თვალში გაშავებულ მშობლებს. ამ ამბის  
გამოქვეყნების მიზანიც იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველებში  
თანაგრძნობა მოვუპოვოთ შვილების მიერ შეურაცხყოფილ მშობ-  
ლებს.

## პრიგადარის მღვდელი

(გ გ გ გ გ გ)

I

„მადლობა შენთვის, ღმერთო, თუ საღმე ხაჩ! რა დრო მოიყვანე, შე დალოცვილო. ოპ! რამდენს მოუშხამე ტკბილი ცხოვრება და ჩაუგდე კოვზი ნაცარში! ხოლო მათ ნაცვლად რამდენი მოსწივე მოულოდნელად ბედს და გადაუშალე წინ უხვი სუფრა!.. მე და მღვდელი? სიზმარში კი მომელანდებოდა მღვდლობა? რომ ეს დრო არ დამდგარიყო და უწინდელი მღვდლობა იყოს? ეხლა ანაფორა მაცვია! სიზმარი ხომ არაა — ცხადია! აბა, რო იტყვათ: წინანი უკანაო და უკანანი წინაო, სწორედ ეხლა ხდება ნათლად და სინამდვილით: მეც მღვდელი, ჩათლუაც მღვდელი, ისიდორეც მღვდელი!

„ახლა რამდენი ისწავლა ამ საცოდავმა ისიდორემ? ეს „უჩილისიაო“, ეს სემინარიაო, ეს აკადემიაო — ბოლოს ისევ მღვდელი, როგორც მე და ჩათლუა... ახ, ჩათლუავ, შე პირძალლო, ნეტავი ერთი ამ საათში აქ მომიგდო შენი თავი, რომ თავითუეხამდე ვა... დაგლოյო!... შენ გამაბედნიერე, თორემ მე ფიქრად კი მომივიდოდა როდისმე, რომ მღვდლის ანაფორას ჩავიცვამდი? მართალია, ხანდახან ვოცნებობდი მთავარდიაკვნობაზე, მაგრამ მიუწვდომლად ვთვლიდი ამ ოცნებას. კაცი ცხოვრებაში ჩაებას, ლვინოს ტუჩი მოპეკიდოს, სხვისა ჭირშიაც და ლხინშიაც ერთნაირად ეწაფებოდეს ნუნუას და მხიარულად, სიამოვნებით დროს ატარებდეს და სწავლა-მომზადებისათვისლა მოიცალოს და მოინდომოს?!. რაც მთავარდიაკვანი, ის ფსალმუნჩიკიც... რისთვისლა უნდა ავიტყიო აუტყივარი თავი, მაგრამ როცა ჩათლუამ ჩაიცვა ანაფორა მღვდლისა, მაშინ კი ღვთის წყალობა გაქვს, მე სიმშეურნებ შემახურა!

„როგორ, ჩათლუამ რომელი სემინარიის ან „უჩიტოსის“ კატეგორია ბი გადალახა? ან რითა მჯობდა მე? პირიქით, მე იმას ყოველთვის ვკობნიდი. მართალია, ის უფრო ბევრგან არის ნათურულ ფრთხილში მაკებული და საერისკაცოც უცელაფერი ესმის, უწევსულეყულე კ სიოში კი მე ყოველთვის ვცალავდი და ღლესაც ვკობნივარ. თუ კაცია და წინ წამივლის ან კითხვაში, ან გალობაში! მღვდლისათვისაც ესენია საჭირო. თავის ღლეში მე იმის ჭვეშ არ დავრჩომილგარ და ეხლა ცოცხალის თავით გავუშვებდი მე იმას ჩემზე წინ? იმის ჭიბრზედ მოვკიდე ხელი მოშზადებას. თორემ... მოვკიდე და კადეც მივაღწი საწადელა!

„მოძლევით-მოძლეარი რომ მეიოხავდა ხოლმე, შერი და მტრობა ხომ არა გაქვს გულშიო. არა, შერი რომ არა მქონოდა, ამ ადგილს მივაღწევდი? რათ უნდა იყოს შერიანობა წინააღმდეგი ან ლვოსათვის, ან კაცისათვის, როცა მან გამაეთა, კაცად მაქცია!

„იგ არის, ბევრი დამტებარჯა მღვდლობის შოვნაში. მოშზადებაში ამაძრო ბევრი, მაგრამ, რა ვუყოთ, უიმისობაც რო არ შეიძლებოდა — ფეხი შიგ ედგადა! კიდე ღმერთმა უშველოს ჩვენ ამხანავებს. თორემ „პრილავარშიც“ ბევრს ამაგრებდნენ. თუმცა კი. სწორედ რო ვთქვათ. არც ისე ბევრია ჩემი დანახარჯი. აბა ისიდორემ იანგარიშოს, რამდენი დაეხარჯათ მის შშობლებს „უჩილიჩაში“, სემინარიაში, აკადემიაში; მის დანახარჯთან ჩემი სათქმელიც არ იქნება. განსხვავება კი მე და ისიდორეში რა არის? — ისიც მღვდელია. მეც მღვდელი... შარცხვეს, ვინც იმაზედ ნაყლებ აუგოს მიცავალებულს ანდერძი! ის ქალაქის მღვდელია და მე სოფლის? მე ბატონი ვიქნები ჩემი მრევლისა და ის კი მონაა თავისი მრევლისა. ეს არაფერი? აბა მიყუროს, როგორ საჩქაროდ ავაყენო ჩემი დანახარჯი მრევლის კისრიდან! ისიდორე ხომ ვერ მოესწრება ამას! მართალია, შეღავთი ავუთქვი მრევლს „პრილავარის“ შედგენის დროს, მაგრამ ეს არაფერი, გრი ჩავდგა ფეხი მრევლში: იმისი ცოცხალო იციან, მკვდარს საით უზამენ თავს, — ამხანავები იქ მეყოლებიან, თუნდაც რო შევასრულო ალთქმული. რასა ვკარგავ? მაინც იმაზედ ხო ბევრით მომეტებულს ავიღებ. რასაც პრიჩეტნიკობაში ვიღებდი.

„მერე რაც მეკუთვნოდა. იმასაც ხომ სრულად არ მაძლევდა ჩემი მღვდელი... ჰო, აბა მიყუროს ეხლა ჩემმა პატიოსანმა მღვდელმა! რაო? რას ვამობ? ჩემმა პატიოსანმა მღვდელმაო?

რის მღვდელია ის ეხლა ჩემი? — მღვდელი კი არა, ნაშენება-  
რია! ერთი კი დავსტკბები და... საცა წვრილია, იქ გაწყდეს, თუ  
ვერ ვასროლინო კულით ქვა და ვერ წამოვსკუპდე მდის, ადგრძელებულ  
მაშ, მე ბიჭი არ ვიწერბი!

ასე ფიტრობდა და ლაპარაკობდა თვისთვის ერთ-ერთ ჩატვა-  
სიან სასტუმროს ოთახში სალამოს ლოცვილან დაბრუნებული იმ  
დღით ახლად ნაკურთხი მღვდელი მაქსიმე ქერეჭაშვილი.

## II

მაქსიმე პირველ ცოლთან დაბადებული ვაჟიშვილი იყო შტატ-  
გარეშე პრიჩეტიინის (შემდეგ გადასახელებულ „პსალმუნჩიკაზ“)  
იოსებ ქერეჭაშვილისა.

ვიდრე მდის მაქსიმეს დედა ცოცხალი ჰყავდა, მამაც, მისი  
სიყვარულით მოსდიოდა. თუ ცოლის ხათრით ან შიშით, ყურად-  
ლებით ექცეოდა მას, რაღვანაც საშუალება არ აძლევდა ხელსა და  
ლირსს, რომ სასწავლებელში მიეყვანა იგი, თვითონ მამა შეუდგა  
მის აღზრდას და გულმოდგინედ აწავლიდა უამნ-დავითნს, ხოლო,  
როცა დაქვრიცების შემდეგ მეორე ცოლი მოიყვანა და მასთან  
ეყოლა სხვა შვილები, მაქსიმეზედ სრულიად გული აიყარა და  
მიანება თავი. მაქსიმემაც უამნ-დავითნს მიანება თავი და დაწყო  
გარეშარობა.

ჯერ სამშობლო საფელში დახეტიალობდა უსაქმერად მაქსი-  
მე, მერე იქით სოფლებში გაეჩვია, ბოლოს ტფილისისაკენ გამოს-  
წია. აქ პირველადვე, რეინგზის ლიანდაგზედ უბრალო მომუშავე-  
თა წრეში მოჰყვა. მაგრამ მუშაობა ლიანდაგზედ, ცოტა არ იყოს,  
სამძიმოდ ეჩვენა. მალე დაანება თავი და ერთ საყაბოში მივიდა  
ბიჭად. ეს საქმეც ვერ პჰოვა მაქსიმემ თავისი ბუნების შესაფერად,  
ისევ ეკლესის „სტოროვობა“ ირჩია და იშოვნა კიდეც სქეთი  
ადგილი ერთ-ერთ ტფილისის ეკლესიაში. „სტოროვის“ ყოფა-  
ცხოვრება უფრო მყუდროდ ეჩვენა მაქსიმეს და აქედან ფეხი  
ალარსიით მოიცვალა. აქ ხელი მიჰყო ისევ მამაპაპურ საქმეს —  
უამნ-დავითნს. შრომამაც არ ჩაუარა უნაყოფოდ. „ფსალმუნჩიკაზ“  
ეგზემენი დაიჭირა და „გამწესებულ იქმნა“ შტატის ფსალმუნჩი-  
კად ისეთის ერთ-ერთ მიყრუებულ „პრიზოლში“, ხოლო მისმა

ბედმა ისე იმუშავა, რომ ექვსი თვის შემდეგ დაიცადა და გადასცა სოფელ გვემულში, სადაც გადაიყვანეს ისე შტატის ალგილზე /

ახალ მღვდელს ვერ შეეწყო მაქსიმე კარგად — ცხრაშეს მჟავა ვერასგზით ვერ მოახერხა. მეტადრე ახალმა მოძრაობამ შეუშალა ამაში ხელი და ენა მუცელში ჩაუგდო მღვდელს. მაქსიმე კი პირი ქით უფრო წააქეშა და გაათამამა ამ მოძრაობამ მღვდლის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაქსიმემ თავისი თავი სოციალ-დემოკრატიდ გამოაცხადა. მალე ცოლიც შეირთო და ამით უფრო მოიკრიბა ძალ-ღონე მღვდელთან საბრძოლველად. რადგანაც ცოლში პოვა წრფელი თანამოაზრე და მედგარი მომხრე უკვე ატეხილ ბრძოლაში.

ცოლი მისი მღვდლის დარჩომილი ქალი იყო. როგორც თვითონ ქალი არწმუნებდა მაქსიმეს, ბევრ სემინარიელს უთხრა მან უარი, ხოლო ეხლა მაქსიმე მერეპაშვილზედ გათხოვდა იგი მისთვის, რომ მხოლოდ შენ დააკმაყოფილე ჩემი წარმოდგენა ქმარჩედაო, — უცნებოდა ხოლო ხშირად ცოლი ქმარს.

ერთმანეთი მათ გაიცნეს მიტინგებზედ. ქალმა პირველმა მოიწონა მაქსიმე და მისი „მიმართულება“ და პირველადაც მან მისცა წინააღმდეგა ცოლ-ქმრობაშედ: შეერთებული ძალით უფრო ნაყოფიერად ვიბრძოლებო დაჩაგრული ხალხისთვისაო, — ეს დაუმატა მან, რაცა გამოუმეღვნა თავისი გადაწყვეტილება საქმროს. ჯერისწერაც აღარ დაავავანეს, თუმცა სასძლო იმ აზრისა იყო, რომ ჯერისწერა სულ მეტი იყო, არაფრეს ნიშნავდა, ვერც ვერაფერს მოუმატებდა მათ და ჯვარდაუწერლადაც მტკიცე ცოლქმრული კავშირი ექნებოდათ, მაგრამ თვით მაქსიმეს სამსახურისათვის შეუძლებელი და კანონიერად შეუწყნარებელი იყო ჯვარდაუწერლობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეულლების უმალვე მღვდელზედ მიიტანეს ძლიერი იერიში, იმისათვის საბუთიანი მიზეზი და ბასალაც პქონდათ ხელთ, სამღვდელოთ კრების გადაწყვეტილება: მიეცეს პსალმუნჩიკებს მესამედი შემოსავლისა, ნაცვლად მეოთხედისა. ომი საჩივრით დაბოლოვდა, რომელსაც მოჰყვა შედევრად მაქსიმეს უადგილოდ დათხოვნა, მაგრამ ზოგი სიმამრის მეცადინეობით, ზოგი ნაცნობების დახმარებით, ზოგიც თვით დათხოვ-

ნილის განუწყვეტელი თხოვნების წყალობით, ორი თვის შემდეგ  
მიღებს იგი უკანვე სამსახურში და ისევ ასეთში გამოწვეული



ჭერ სრულიად დათხოვნა ადგილიდან, მერე ისეჭმისას შემდეგ  
დაკარგვა ადვილი ასატანი და მოსანელებელი არ იყო „დაჩაგრუ-  
ლების მფარველთა და მათი ინტერესების დამცველთათვის“, მაგ-  
რამ აუშთოთებლად მიეგებნენ და სულის სიმშვიდით აიტანეს ეს  
განსაცდელი. მიზეზი ამისა, მონია, ის უნდა ყოფილიყო, რომ  
მათ ახალ ყვავილობაში დატყდათ თავს ეს განსაცდელი და ნე-  
ტარება ახალ ყვავილობისა უსიამოვნო გრძნობათ აღარ აძლევდა  
ადგილს მათ გულში. მართალია, ხანდისხან კი ეწვეოდათ ხოლმე  
მათ დაუპატივებლად შემაძრუნებელი ფიქტები, მაგრამ ერთი-  
ერთმანეთის გამხნევებით მალე გაპუანტავდნენ ხოლმე ამისათანა  
ფიქტებს და უმალ აღიცსებოდნენ იმედით უკეთეს მომავალზედ.

იმედის განხორციელებამ მოლოდინს უსწრო. აქ, ოსეთში,  
შეიტყო მაქსიმებ, რომ მისმა „სტორიეობაში“ ნაამხანავარმა და მე-  
გობარმა ჩათლებმ (გამოცვლილი სახელია) ისარგებლა იმ დიდი  
წყალობით, რომელიც მოუვლინა სამღვდელო კრებამ თავისი  
დაღვენილებით (მთაერობის მიერ დამტკიცებულით) სამრევ-  
ლოებს — ამ უკანასკნელთა სახარებლოდ და საბენიეროდ.

ჭერ დათხოვნილი არ იყო მაქსიმე სამსახურიდან, როცა მას  
შეხვდა ერთხელ ჩათლუა, და სალამის შემდეგ მიჰმართა:

— ბიქო, მაქსო, ჩვენთვის რომ ცა გაიხსნა, შენ არ იცი? ამას  
იქით მრევლმა თვითონ უნდა ამოიჩიოს და მოითხოვოს  
მღვდელად ვინც უნდა.

— მერე შენ რა მოგეცხობა?

— რას ამბობ, ეი!.. ჩვენ ჩავიქეცით ძველი ბოგირებივით, მაშ!..  
გადავიცვათ ანაფორები და ვიქეიფოთ!

— სწორედ ოქროს ლაგნით მოგართმევენ, აი!.. გასუნებინებენ  
კი, საწყალო, მღვდლის ანაფორისათვის.

— შენ ნახავ, თუ არ მასუნებინებენ!

— განა არა, ჩააბულბულებ ეგზამენიაში ლვოსმეტყველებას!

— ლვოსმეტყველება რა ეშმაკად მინდა? რაც საჭიროა, ჩავა-  
ზულბულებ კი არა, მეტსაცა ვიქმ. არა, ფეხებს კი არ მომ..... რომ

არ ჩამაბულბულებინებენ. ე სემინარიელებმა ხომ ბოიკოტი არ  
მოუწადეს მღვდლობას? დაგვრჩა ბურთი და მოუდანი ჩეკენ/  
ჩენს მეტი ვზა რომ აღარა აქვთ, მოდი და ნუ ჩამაბულბულებინე/  
ბენ და ნუ მაჟურობებენ!

უროცნებული

— ნეტავ თხა იყოს, ტყუპი მაიგოს!..

შეიძლება მართვა

— ბიჭი, საღა ხარ? თვალს რატომ არ გაახელ და ყურს არ  
გამოიბერტყავ? სოფელს ისე გაურბის ყველა ნასწავლი ხალხი,  
როგორც ჭირს. ჩენთვეის კი, რომ ვთქვათ, განა გასამტყუნარნა  
არიან? რამდენი ხარჯი მოსვლიათ, რამოდენა ტანჯვა და ვაი-ვაგ-  
ლახი გამოუვლიათ სწავლის შეძენაში! გიჟები უნდა იყვნენ, რო  
სოფლად გამოვიდნენ. აქ რაიმე საქმესა და სამსახურს შეუდგნენ  
და გამოვლილ ტანჯვის კიდევ ტანჯვა დაურთონ. მე რომ მათ  
ადგილას ვიყო, მე კი გამოვდგამდი სოფლად ფეხსა? შენ არ  
მომიკვდე! არა, საღ სოფლელ ტეტებთან ჩინინთ თავის ქალის  
აგდებინება და საღ განათლებულ საზოგადოებასთან დამოკიდებუ-  
ლება, განათლებულ სწორ-ამხანაგებთან მუსაიტობა და ბასი კა-  
ზინეტში იმავე სოფლის საქმეებზედ? საღ მქვდრების მარხვა და  
საღ კაბინეტში ჭდობა და იქიდამ სოფლის ყურის გდება და  
პატრონობა, როგორც დაწესებულია ეს ნასწავლი ხალხისათვის? იმაშედ ადვილი რა არის, რომ იჯდე შენთვის კაბინეტში, თვალით  
არა ჰქედავდე შავ დღეში ჩავარდნილ სოფლელს, ყურით არ  
იმენდე მის ტანჯვა-ვაებით კვნესას, მხოლოდ წარმოდგენილი  
გქონდეს, რომ სოფელსაც და სოფლელსაც შავი დღე და ტანჯვა  
თავს დასტრიალებენ. ექებდე და მით უფრო სასტიკად და თავგა-  
მოდებით ჰყიცხავდე ამ უბედურობათა მიზეზებს, რომ იყი, შენ  
თავს ამ კიცხვით მცირე ოდენადაც არ შეკმბლალავ, რადგანაც სო-  
ფელზედ შორსა ჰდგეხარ და პირადად არათერი კავშირი და და-  
მოიდებულება არა გაქვს მის ავკარგიანობასთან.

მეტი რაღა ბედნიერება გინდა, რომ ადგენდე შენთვის პლა-  
ნებს მაზედ, თუ როგორ შეიძლება დახსნა სოფლისა გაჭირვებიდ-  
გან. მოსპობა მასში ყოველგვარი ბოროტებისა და უწესოებისა და  
გაბედნიერება მისი. და თანაც დარწმუნებული იყო, რომ უებარი წა-  
მალი აღმოუჩინე სოფელს ჭირ-ვარამისაგან განკურნებისათვის.

შენმა გაზრდამ, თუკი ავიღებდი კალაშის ხელში, ისე ავაყვა-  
ვებდი სოფელს ყოველგვარი სიექთით, ისეთ ბედნიერებას ვწევდი  
მას, რომ იმას იქით აღამიანის სურვილი ვეღარ წასულიყო. რო-

კორა გვინდა, ძნელია განა, ავიღო კალაში და გავაჰულო / აკ  
ძრიელ მომიხდება და სასარგებლოც იქნება ჩემთვის, რომ მომ-  
დეს, თუნდაც საღმე მივარღნილ სოფელში, კაი ორსართულიანი  
სახლი, მის გვერდზე გადაჭიმული ბარაქიანი ზვარიშვილის წევი ॥  
ფართო, ყალთალიანი და სუფთა ეზო, ეზოში იდგეტ ჭირული ქარტის ეპ-  
ხე, ვიჯდე მის ქვეშ ჩრდილში და ბატონქაცურად ბელში კრიალო-  
სანის თამაშობით ვემუსაიფებოდე და ვესიყვარულებოდე ცოლსა  
და შვილებს (თუმცა კი ვიცი, შვილები არ დამიდგებოდნენ სოფელში, თუ განათლებას მივცემდი). ეს უფრო ადვილი და სა-  
სიამოვნო საქმე არ იყო ჩემთვის, ვიღრე დღისა და ღამის გატეხვა.  
ეგზამენიისათვის მომზადება და თავში ცემა? იქნება სახლიც ვი-  
შენო, ზვარიცა და სახნავ-სათესიც ბევრი მოვიპოვო თავის დრო-  
ზედ, მაგრამ კიდევ რამდენი შრომა, ტანჯვა და ვაი-ვაგლახია მი-  
სათვის საჭირო ეგზამენის დაჭრის გარდა?

ეჭ, ჩემო მაქსო, თვალი მიავლ-მოავლე აქეთ-იქით, რომ კარგა  
უაინახო, რაც ჰქონდება ქვეყნიერებაზედ და... საცა ნაკლები შრომია  
საჭირო, იქ დიდი გილდოც არის დაწესებული ამისთანა შრომი-  
სათვის და ნასწავლი ხალხიც, როგორც ჭკვიანები ამ მცირე შრო-  
მასა და დიდ გილდოს ელტეიან ყოველთვის.

— შე დასაქცევო, შენა, შენ რომ სწავლა მიგელო საღმე, რა-  
მიშეილს იოლად ჩაპირავდი!

— ვისაც შნო და უნარი აქვს, საითაც მიიხდ-მოიხედავს,  
ყოველგან სწავლისა და ქედის შეიძენს, — არ იყო, ცოტა თავმო-  
წონებით წარმოთქვა ეს სიტყვები ჩათლუამ და გააგრძელა: —  
ჟო, იმას ვამობდი, რამდენი მაგალითი ვიცი, რომ თითო სოფლი-  
დამ ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი და ზოგან მეტიც, არიან ზოგი სემინა-  
რიაგათავებულები. ზოგი ვემნაზიელები, ზოგიც მაღალსასწავლე-  
ბელ დასრულებული, რომ ქვა მიუგდით თავისი სამშობლო ✓  
სოფლისათვის და ქალაქებში სხედან. კი ნუ გვინდა გულის წყრო-  
მით ეპიბოლე მათზე ამას, არა, პირიქით მაღლიერი უნდა  
ვიყვნეთ მათი, რაღგანაც მათ ამისთანა ქცევას პირდაპირ ჩვენი  
ბედნიერება მოსდევს. მართლაც და რა იქნებოდა ჩვენი ყოფა,  
რომ ყველა ნასწავლი და განათლებული კაცი სოფლიდან ქალაქში  
არ გაჩოდეს?! ხო შიმშილით უნდა მოწყვეტილიყო ჩვენისთანა  
ხელმოკლე და უსწავლელი, უდიპლომო კაცი. ეხლა კი, იცი, ჩვენ  
ხელში გადმოდის სოფელი. სახელითაც და სახრავითაც ჩვენა

გერჩება ხელმძღვანელობა სოფლისა, ჩვენ ვხდებით დოქს სოფლის  
ბატონი და პატრონი მისი... ხუმრობა? რამდენი ასი და ასასი  
ადამიანის სულიცა და ხორციც შენ ხელში უნდა უყოს, მეტი კი  
რაღა გინდა? ჩვენც ყოველგვარი მეცადინეობა და გამოვიდების უნდა  
უნდა გამოვიჩინოთ და მაგრად დავიჭიროთ ჩვენი ზაქემე, ამაგრეს  
ლილამ აღარ გამოვეცალოს კარზედ მომდგარი ბედ-ილბალი.

✓ — ეგ კველაფერი კარგია, მაგრამ რომ ამბობენ: ეშმაკებს  
ლვინო ასასად ჰქონდათ და ტიკებს კი ალბობდნენო. შენი საქმე  
სწორედ ასეა. ჯერ ეგზამენია არ დაგეჭერია, მრევლი არ გიშოვნია.  
მღვდლად არ უკურთხებიხართ და შენ კი ისე ლაპარაკობ, თითქოს  
ანაფორაში იყო გამოწყობილი და პრიხოდში იჯდე. კარგი, ვთქვათ  
ეგზამენია დაიჭირე, მრევლი? რომელი მრევლი ამოგირჩევს ან  
მოგითხოვს? ვინ გიცნობს და სად ვიცნობენ, რომ ამოგირჩიონ  
მღვდლად?

— ვამე, შენ კიდევ ბავშვი ჰყოფილხარ! ცნობა რა საჭიროა?  
ეხლა საქმე მარტო ფულშე არის დამოკიდებული, ფულის საქმეა  
კველაფერი: რომელ მამასახლისაც კი დავანახვებ ოცდასუთიანს.  
გაჭირდა, ხუთოუმნიანს, საქმე გაჩარჩულია!

— თუნდ ათიც დაგეხარჯოს, რა ზარალი გექნება, თუკი მოა-  
ხერხებ?

— მოვახერხებ კი არა, სულ იორლით წავიყვან საქმეს, შენ  
მიყურე! ვაჭრობა ველარ გავმართე, თუ გაჭირდა საქმე? რასაც  
ეხლა იხდიან მღვდლის სასაჩვებლოდ, იმის ნახევარსაც რომ დავ-  
ჭერდე, რა წაგებაში ვიქნები? რომელი მრევლი არ დამყაბულ-  
დება ამაზედ? სულ თამაშობით მომიწერენ ხელს პრიგავარზე!

როცა ჩათლუამ სიტყვა საქმედ გადააქცია, მაქსიმე მაშინ კი  
აღარ იქნებულობდა მღვდლობის მიღებაში და საქმეც სულ სხვა-  
ნაირად დაიწყო. ჯერ განაჩენი იშოვნა მრევლიდან და მერე  
ეგზამენის საქმეს შეუდგა.

#### IV

მღვდლობის მოულოდნელად შოენამ ძილისაგან აღადგინა თუ  
წარმოშობა სრულიად ახლად, მხოლოდ მაქსიმეში იჩინა თავი  
გრძნობამ თავისი ლირსების განდიდებისამ. ეს იყო მიზეზი, რომ  
მოსვლის უმაღვე შეეცადა დაუჭირა მრევლთან ისეთი განწყობი-

ლება, რომელიც მოუპოვებდა ნდობას, სიყვარულს და ჰატია  
ხოლო ამ მიზნის მისაღწევად დაიშვი ხშირად სასოფლოზედ  
მოსცლა და ამხანაგური საუბრების გამართვა მრევლთან. საუბრები  
ბის საგანს ყოველთვის შეადგენდა იმ პარტიის მოძღვანელების დროის  
მელ პარტიისაც მამა მაქსიმე აკუთვნებდა თავის თაქში:  მეტად და დაბულება და დაახლოება მრევლთან იქამდის გულწრფელი იყო,  
რომ მაქსიმე მღვდელი არ უკადრისობდა სოფლის დუქანშიაც კი  
პურას გატეხასა და ღვინით ყელის გასველებას სამრეველოს იმ  
წარმომადგენლებთან, რომელიც მას თავის შემცველ თანამო-  
აზრებად და მომხრებად მიაჩნდა.

ვერ ისევ განჩიენის შედგენის დროს ბევრნი, ვისაც არ ენახათ  
და ვერ იცნობდნენ მაქსიმეს, ასე ლაპარაკობდნენ: „ნეტა ვინ  
იქნება ი პრიგავარის მღვდელი?“, „აკაც, რატო ისეთი უნდა  
იყოს პრიგავარისა?“, „პრიგავარით მღვდლის მორჩევა რატო  
არსად გამიგონია?“, „მენახირეა თუ მეველე, რო პრიგავარით  
ვარჩევთ?“, „უთუოდ, კაცებო, ის სხვა ყაიდისა იქნება, რაკი  
პრიგავარით ვარჩევთ. ალბათ ახლანდელ მღვდლებს არ ეგვანება“.  
ასეთი და მრავალი ამგვარი სიტყვები ისმოდა შეყრილ ხალხში,  
როცა განაჩიენს ადგენენ მაქსიმეს შესახებ. ამისათვის გასაკირ-  
ველი არ უნდა იყოს, რომ ინტერესითა და დაკირვებით ათვალიე-  
რებდა მაქსიმეს ზოგიერთი იმ იმედით, რომ „პრიგავარის“  
მღვდელს უთუოდ სხვა რამ განსაკუთრებული ნიშანწყალი უნდა  
ჰქონოდა.

ხოლო ვინც იცნობდა მაქსიმეს, ისინი პეკირობდნენ: როგო  
გამოცვლილა ხარებაო (გამოცვლილი სახელი მაქსიმესი), არ იყო,  
თავში ვუფაჩუნებდით ყველანი, ახლა კი სიტყვასაც ვერ შექმნ-  
დავს კაციო.

მართლაც, რასაც ლაპარაკობდა მაქსიმე, ხალხი უსმენდა პირ-  
ველად ხმის ამოულებლად, ვერ უბედავდნენ სიტყვის შებრუნებას, ანუ  
ნათქვემის განსილვას. მაგრამ რამდენიც დრო გადიოდა,  
იმდენი ეჩვეოდნენ, ხოლო ერთ დღეს, როცა მაქსიმემ დაიშვი  
თავისებურად საუბარი, ალარც კი აცალეს მას და აქეთ-იქიდან  
მიყარეს დიდი ხნის მოგუბებული პასუხები მაშედ, რაზედაც  
ესაუბრნა მათთან.

— არა, შენ რო ამბობ, ღვდელო, — უთხრა ერთმა, — ყველა-  
ფერი საერთო იქნებაო, ევ როგორდაც ვერ გამიგია... დაიცა, მე

ვიმუშაო, ოფლი ვღვარო და ძეწყიამ კი, რომელიც მუშაობა ჲს  
გაურბის, როგორც შავ ჭირს, უნდა მოიკეცოს მზა სუფრაზე და  
შეექცეს? იქნება რაც კი კერძი იყოს სუფრაზე, თვითონ ზეწყიამ  
მიიჩოთვას და მე კი მარტო ნახარ-მახალები გადმოშეკრულ ველზე

— მაშინ ძეწყიასთანა უსაქმური და ყალაღანზე დალაშეკრულ  
იქნება, — მიუგო მაქსიმემ, — მაშინ ყველამ უნდა იმუშაოს.

— მწყემსებიც ხომ უნდა გვყვანდეს მაშინ, რომ სახრით  
შიგრექონ ხოლმე, როცა მუშაობის დროა, სამუშაოზე და როცა  
პამის დროა — სუფრაზედ, როგორც მეცხვარეები ცხვრის ფარას  
ერექციან?

— პირუტყვებად უნდა გადავიქცეთ, მაშ, არ ეტყობა? თუ არც  
სახლი გვექნება საკუთარი, არც კარი, მეტი რაღა დაგვრჩენია?  
როგორც მშიერი მგელი დაწანწალებს და საცა მოხდება, იქ  
მიეგდება, ჩვენც ისე ვიქნებით, აქ რაღა ლიდი გამოცანა უნ-  
და?!

— აბა პირუტყვებსა და ნადირებს სწორედ ეხლა ვევეართ, —  
უარმოთქვა მაქსიმემ ცოტა ალელვებისა და გაჭირვების კოლო-  
ნედ, — რადგანაც არც განათლება გვაქვს და არც თავისუფლება!  
მაშინ კი ყველა განვითარებული და თავისუფალი იქნება და ისე  
ზოქცევა, როგორც უჭობს და უნდა.

— აბა, მეც სწორედ მანდა ვარ, ის თავისუფალი ვიყო, ძალას  
არავინ მატანდეს მუშაობაზე, ცოლ-შვილი არ მიტიროდეს, მზა-  
მზარეულად მოგვდიოდეს ყველაფერი: საჭმელიც, სასმელიც, ტა-  
ნასამოსიც, ფეხსაცმელიც მეცა და ჩემს ცოლ-შვილსაც და გიყი  
ვიქნებით, რო ვიმუშაოლა?

— ესეც რო არ იყოს, მუშაობაც არის და მუშაობაც! როგორ  
გინდა შეუფარდო ეხლა მეთათვის დღეში დღილით საღმომდის  
წაკუზული მუშაობა მომკლისა და ამავე დროს ჩრდილში მოსვე-  
ნებით მუშაობა, თუნდა ხარაზისა ან დურგლისა? ვიღა ვიყი  
მოიძღმებს ყანის მკასა და სხვა საძნელო საქმის გაკეთებას?  
ყველა ადვილსა და სასიამოვნო საქმეს მიეტანება.

— რო, ვთქვათ არც უსაქმური და ყალაღანა ხალი იქნება  
მაშინ, არც საძნელო საქმეს დაერიდება ვინმე. ყველანი იმუშავე-  
ბენ. ზოგი რო საღი ჭანის პატრონია და ბევრის გაკეთება შეუძ-  
ლიან და კალევაც გააკეთებს, ზოგი კიდე რო სუსტია და არ  
შეუძლიან ლილი საქმის გაკეთება და ჭამა-სმით კი ბევრ საღ

ადამიანს აჭობებს, ან ზოგს რო დიღი ცოლ-შვილი პყავს და ზოგ  
კი არავინ — ბრალი არ იქნებიან ასეთი ხალხი?

— მაშინ ცოლ-შვილიც ხომ საერთო იქნება! ვამე, თუთო,  
ჩვენისთანა უსახური და უამი კაცი იქნება მაშინ საბრალო კულტურული  
ეხლა თუმცა ლამაზი ბიჭი არა ვარ, მაგრამ მკლავში ტანტეტემკეტე  
და მუშაობის ხალისიც გულში. ცველა გოგო გამომყვება ეხლა  
ცოლად. რომელი კაი გოგოს მშობლები მეტყვიან უარსა? შანახვა  
შანიძლიან ცოლისა. მაშინ კი ე გოგოებიც ხო თავისუფლები იქ-  
ნებიან; ხო აღარც ჯვრისწერა იქნება მაშინ, როგორც ამობენ, და  
გიურ ვინ იქნება, რო მე და შენისთანა უმსგავსებსა და ულამა-  
ზოებს დაუკდეს და შეპყუროს? ისევ ე ოჯახქორი ძეწკიასთანა  
ხალხი იქნება მაშინაც მოგებაში.

— თქვენ ისე გგონიათ და ლაპარაკობთ, — დაიწყო ისევ მამა  
მაქსიმემ, — რომ თითქოს ეხლანდელი ხალხი იქნება მაშინაც. მა-  
შინ სულ კულტურულად განვითარებული ხალხი იქნება და იმას,  
რაზედაც თქვენ ეხლა ჰბაასობთ, სრულიად ალაგი არ ექნება ცხოვ-  
რებაში. და თქვენ თუ შეუძლებლად მიგანიათ და ვერ წარმო-  
გიდგენიათ სხვანაირი ცხოვრება, ეს სულ იმისგან ხდება, რომ  
ეხლა შენ-ჩემობასა ჰყევხართ შებოჭილი, მაშინ კი შენ-ჩემობა  
აღარ იქნება. კულტურასა და სოციალიზმს სულ სხვა ძალა აქვს:  
ისინი გაანადგურებენ სრულიად ამ შენ-ჩემობას.

— თუკი ჩვენც აღარ ვიქნებით მაშინ, მაში უურებს რაღათ  
გვიშედავს ეს ესე და ეს ასეო?

— არა ი კულტურა არის თუ რაღაც ცოციალიზი, ე დედამიწა-  
ზე ძლიერი და ძალვოვანი ხომ აღარ იქნება? ე დედამიწა ყველა  
ბალაბბულახსა და ხესა და ხეხილსა ზრდის და ლალას აძლევს  
ერთნაირად. მაგრამ აბა, აი ის მსხალი მოგლიჭე ძირიან-ფესვიახად  
და იმის ადგილას, საცა იმას ფესვები აქვს, სწორედ იქ, ტყემალი  
ჩარგე, მსხალს მოისხამს, თუ ისევ ტყემალსა? იმისი არ იყოს,  
კაცის გულს რა შაპცვლის ისე, რო შენ-ჩემობა არ იყოს, ჩემი  
შენსას არ მერჩივნოს და აქედამ ჩხუბი და დავიდარაბა არ იბადე-  
ბოდეს? ცხვარი ხომ პირუტყვია და ყველაზე მშვიდი საქონელი,  
აბა, დამშეული ფარა პირეუე თივზე. თუ, რომელიც კი მათში  
ღონიერია, რქა არ ამოჭერას უღონოს და არ გააგდოს ის და მისი  
ადგილი თითონ არ დაიჭიროს. ერთნაირი გუნებისად რამ. უნდა  
გადაქმნას მთელი ლუნია ხალხი ისე, რომ ერთმანეთი არ დაჩაგ-

რონ, ერთმანეთს არ პბრიყვობდნენ, არა სტაცებლნენ. მესმის /  
ძმავ, ეგა და რა ვქნა, ვერ ვიკრები ჰო, ისევ თუნდიმ ხელ უკრ-  
როთ: ერთნაირი მსხალი ასხია? აგე, ზოგი როგორუც კუნძულუში  
ლია წითლად, რა თამამია, ზოგი კი როგორი კუნძულუში მისურც  
კებული... ე ხის ღერო ხო ერთია და ყველა თავის ნაყოფს ეგ  
იძლევს ღალასა და საზრდოს და ეგეც კი უსამართლობასა შვრება  
და ნართაულობას ეწევა! თუკი ხე მაგისა შვრება, ადამიანებში  
იმოიფხერება ნართაულობა და შენ-ჩემობა?

— შორს რად მიღიხარ, მახარე? ერთი დედ-მამის შვილები  
ვერა ვრიგდებით ერთმანეთში: ერთმანეთს თავ-პირს ვამტრვეთ  
უბრალო რამ საქმეზე და იმოდენა მილეთი ხალხი როგორ უნდა  
მორიგდეს ერთმანეთში?

— მართალია, შენი სიტყვა, გლახავ, მაგრამ, რა ვიცი, იქნება  
ჩეენ არ გვესმოდეს და მართლა კაი რამე იყოს ი ცოციალობა.  
ე ცეცხლი ხო ღვთის გაჩენილია და ჩეენთვის ძრიელ საჭირო და  
სისარგებლო. ხელები რო დაგაძრება, მიხვალ ცეცხლთან, გაით-  
ბობ და გიამება. მაგრამა, აბა პატარა ძუძუმწოვარა ბავშვს მიანე-  
შე თავი ცეცხლთან. გეექანება პირდაპირ ცეცხლში და თუ სულ  
არ დაიბუგა, ხელებს მაინც ღაიწვამს. იმისი არ იყოს, იქნება  
მართლა კარგი იყოს ი ცოციალიზა თუ რაღაცა და ჩეენ არ ვიცით  
იმისი მოხმარება უცოდინარობის გამო. ვინც თავდაპირველად ის  
გამოიგონა, ტყუილად არ მოიგონებდა, თუ კარგი არ იყოს...

— ეჲ, რას ამბობ, პეტრე, ე ახალი ხალხა რაღაცა ჩეენ აბუ-  
ჩად გვეკიდება და გვატყუებს! აქანდა წიგნი და წერა არ იციანო,  
ჰერნიათ, ყველაფერს, რასაც ვეტყვით, დავაჭერებინებთო. რაც  
შეეყნიერება გაჩენილა, შენ-ჩემობისაგან ხდება, თუ სხვა რისაგან-  
მერ, უსამართლობა ყოფილა, არის და იქნება და ცოციალები არიან  
ვიღაცა, ისინი როგორ მოსპობენ უსამართლობას? ან ვინ გამოიგო-  
ნებს ისეთ რამეს, რო საწყალი გლეხი კაცი თავის გაჩენის დღეს  
არა სწყევლიდეს?

— ყველა-ყველა, კაცებო, და მართლა ე შეეყნიერობა რო  
გადაბრუნდეს, ყველაფერი შეიცვალოს და ამოიფხერას, ნეტავი  
მითხრა, ე კაჭიტელა ლანძლვა-გინებას მოიშლის თუ არა?

— შე... — შეუურთხა ჯაჭიტელამ მოქმედს, — რათ უნდა და-  
გივიწყო ლანძლვა-გინება? შე... ე შენ ყველა და პურს შეექცევი  
და ზედაც წითელ ღვინოს მიირთმევ, გეუბნება ვინმე, ნუ ჭამ და

ნუ სვამი, ჭამა-სმა დაივიწყეო? ძეწყია რომ თვეში ათ წუკად ფარაონის საცმელს პსკვეთავს ციპა-თამაშობაში, ვინ ჰქითხავს და გრძელის თამაშობას? კუტალა რომ იშოვნის თუ არა ორიოდე გროშსა და ქალაქს გარბის, რომ თრიატებში აბნიოს შავი/წილი/ შაგროვილი გროშები, ყილის უდებს ვინმე, მაგას, ჭურულებულები რო?... ჩემი ცველი და პური, ჩემი თამაშობა, ჩემი თრიატები ლანძღვა-გინება არი; კუტალს გუნება თრიატებს მოითხოვს, ჩემი გუნება ლანძღვა-გინებას. კუტალა თავისი სიამოვნების გული-სათვის შავი დღით ნაშოვნ გროშებსა პხარგავს, მე კი არაფერი მექარჯება სიამოვნების მისალწევად... მე რა მენაღვლება, თუ შენ გეწყინება, რო გაგლანძლო, შენი დედის სულის კლიტის გასა-ლები... მე ხომ მიამება და ჩემ ჭიას გავახარებ.

კაჭიტელას სიტყვებმა მთლად არივ-დარია ხალხი და ამის შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი ისეთ რამეებზედ, რის აღნიშვნა აღარა ლირს...

\* \* \*

ამ საუბრის შემდეგ უცბად შეიცვალა მაქსიმე მრევლის თვალში. ცველა ის ღირსებანი, რასაც მრევლი აწერდა მაქსიმე მღვდელს თავის წარმოლენაში, ჩამოეცალნენ მას და დარჩა იგი იმად, რაც იყო სინამდვილით. ახლა იგი ცველასათვის მარტოდმარტო „პრი-გავარის ლვდელიღა“ იყო. მის სიტყვისა და დარიგიბას ყურს არაენი ათხოვებდა, ცველა აბუჩად ეკიდებოდა. ეს კი მაგრერიგად საწუხარი არ იყო მაქსიმესათვის. რომ შემდეგ ამ გარემოებას მატერიალური ზარალი არ მოპყოლოდა. განწერებულებას თავის ნებით აღარავინ აძლევდა და თითონაც ვერა სთხოვდა, რადგანაც წინაღვე შემოილო ასეთი დაწყობილება მრევლში. ხოლო სურვილი შემოსავლის გაზიდებისა, რომელიც უნდოდა განგებ მოეძინებინა თავისში, არ იმონებდა და მოსვენებას არ აძლევდა მას. დიდ საფიქრებელს მიეკნენ ცოლ-ქმარი. ხშირად ჰქონდათ ხოლმე ბჭობა — რჩევა მასზედ, თუ როგორ უშველონ და მოუარონ ამ საქმეს.

რასაკვირველია, ფოფულიამ ისარგებლა ამ ხელსაყრელი შემთხვევით, რომ გამოეთქვა ქმრისათვის თავისი გულის წყრომა მასზედ, რომ ამ უკანასკნელმა მარტო იყისრა ხელმძღვანელობა

მრევლისა და არა მისი თანამშრომლობით და დახმარებით. ასე უთუოდ ნაყოფიერი იქნებოდა და რასაც არასოდეს არ მოკიდებოდა ისეთი არასასურველი შედეგი. მაგრამ მაინც ხამაგრეონ ას გადაუხადა ცოლმა ქმარს: პირიქით, თავისი რჩევა მრავალი მტკიცებული ძლიერ დაეხმარა გაჭირვებული მდგომარეობიდნ. ერთხელ კუთხის დაცვაში.

ბევრი ბჭობისა და ფიქრის შემდეგ გადაწყვიტეს სისრულეში მოყვანა მაქსიმეს თავისი მუქარა სოფელ გვემულის მღვდლის შესახებ. გარდა ამისა, რომ ამით ამოიყრილნენ ჯავრს თავისი ერთ დროს მჩაგვრელისას, მრევლშიაც კარგში ჩაჯდებოდა. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასაც მალე შეუდგა მამა მაქსიმე. ბევრი აღარ ახანა, დაიწყო სიარული და მივიდა სოფელ გვემულის მმართველებთან. მართვა-გამგეობა სოფელ გვემულისა ამ დროს სამი ახალგაზრდა სოფლელის ხელში იყო.

## V

ოსიკო (იოსებ ყაითმაზაშვილი) ორი წლის ბავშვი გაცყვა თავის დედას, გათხოვილს მეორე ქმარზედ მეზობელ სოფელში. როცა ოსიკო მოიზარდა, მამინაცვალმა სასოფლო სკოლაში მისცა — ჩემი სულის გულისათვის კაცად ვაქცევ ობოლ-ოხერსათ. ოსიკო-მაც შეასრულა სწავლა სკოლაში და იმავე სოფლის მიყიტანთან მივიდა შეგირდად. ხოლო არ გასულა დიდი დრო, რომ მიყიტან-მმარინაცვალმა ისევ მიყიტანთან მიყვანა ახლა სამარი ქალაქში. მაგრამ არა თავის ხელობას არც აქ უდალატა, იქიდამაც მალე გამოაგდეს.

ამის შემდეგ ოსიკო მამინაცვლის სახლში დატრიალდა როგორც „ნაწარწევლი“. გარდა ვაჭრობისა, სხვა არაფერ შრომასა და საქმეს არა სთვლიდა იგი თავის შესაფერისად და საკადრისად. ხოლო რაფი ვაჭრობის ასპარეზზედ ოჩველ ფეხი გადაუბრუნდა და აღარსად იღებდნენ, იმყოფებოდა უსაქმოდ. უსაქმობამ კი აიძულა დაახლოებოდა რომანულ ნიადაგზე თავის ახალგაზრდა ძალუას — ბიძის ცოლს (მამინაცვლის ძმის ცოლს).

ოსიკოს ამისთანა საქციელმა დიდი სიმწარე მიყენა მამინაცვლისაც და დედასაც და ოჯახიც საშინალად ააღელვა. აღელვდა მთელი სოფელიც, როცა საქვეყნოდ გამომჟღავნდა და გამოაშეა-

რავდა ეს მშპევი: ჩადგანაც ოსიკოს არავინა სთვლიდა, სლუქე წინ  
ოჯახის უცხოდ და ყველანი უყურებდნენ როგორც ნიშანები  
შეიღს ოჯახისას.

ამ მშპის შემდევ ასიკო გამოსდევნეს ოჯახიდანაც და ქართული და  
დანაც. იგი დაბრუნდა თავის სამშობლო სოფელში, მაგრამ მარტინი უკავებდა მარტინი  
მწერლობა ჩაიგდო ხელში. მაგრამ აქაც დაეცარა საქშე: ვერ გა-  
მოდგა იგი მცოდნედ თავისი თანამდებობისა და ნაშილის ბოქაუ-  
ლის განკარგულებით იძულებული იყო, სხვისათვის გადაეცა ეს  
თანამდებობა. მეტი გზა აღარ დარჩენდა: ბიძებს — მამის  
ძმებს — დაეტავა და აუშალა დავა თავის მონაწილეობაზედ. ✓  
შეყელთებულმა ბიძებმა შეისყიდეს მისი მონაწილეობა და ჩააბა-  
რეს ფულად მისი კუთვნილი. ✓

ერთი კარგად მოიპრანეა ოსიკო ბიძებისაგან აღებული ფულით  
და „გაუსვა ხელი“, როგორც სოფელში ამბობდნენ, გოგოებსა და  
პატარძლებს. ისე გაიგეშა და დახელოვნდა ამ საქშეში, რომ მი-  
სათვის არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენდა არც ტყეში და არც  
ვენახებში, არც სახლებში, როცა დაიგულებდა სახლს უკაცურად.  
პატარძლებისა და ქალწული ქალების ხელში ჩავდება, ვინც კი  
თვალში მოუვეიდოდა. თითქოს ბედიც ულიმოდა ამ საქშეში. თავის  
დღეში წინააღმდეგობას თუ ართანხმობას ვერა ჰპოვებდა ვერა-  
ვისში და არც არავის გამოუტანებია, რომ ძალადობა იხმარა  
მაზედ. მიზეზი ამისა უთუოდ ის იყო, რომ, თუმცა ოსიკო არ იყო  
ბუნებით ლამაზი, მაგრამ ჩადგანაც გამოიპრანეა კარგ ტანისამოს-  
ში და განვებ თავსაც ილამაზებდა, მაინც „ლამაზ ბიჭად“ ითვლი-  
ბოდა გოგოებისა და პატარძლების თვალში. ბევრი სხვა ყმაშვილი  
ბიჭიც გაგეშა ამ ხელობაში. ზოგი პირდაპირი ხელმძღვანელობით.  
ზოგიც მიხედულობით და წამხაძობით გაუხდა მიღდვარი. ისე  
მიეჩვია და გაუადვილდა პატარძლების გულისათვის სახლებში  
შეკრა და შევარდნა, რომ შემდეგში უპატარძლო და უქალწულო  
ქალის სახლებსაც ესტუმრებოდა ხოლმე. თუმცა კი ესეც აუცი-  
ლებელ საჭიროებას შეადგენდა მისთვის. მას უნდოდა დროების  
გატარება თავის სწორ ამხანაგებთან და ამღსონებთან, რომელთა  
რიცხვიც, რაც დრო გადიოდა, მით იზრდებოდა. ჩაცმა-დახურვა-  
საც ხომ ვერ უღალატებდა, ყოველ მისათვის კი საჭირო იყო  
საშუალება და აი სწორედ საშუალებათა მოსაპოებელ წყაროდ  
ოსიკომ გაიხადა სახლების, მარნებისა და საქაომების ტეხვა-

გაქურდვა. შემდეგში ეს წყარო საშუალებათა მოპოვებისა გააფიქტოს თოვა და გაადიდა მით, რომ თვისი მოქმედება გადაიტანა შეზობების სოფლებშიც. ერთი სჩტყვით, ოსიკომ სულ ცოტა ხნის გამავალობაში სოფელს გააგონა და დაანახვა ის, რაც თავის ფლეჭურული ვის არც ყურით გაეგონა და არც თვალით დაენახა. ერთ-ერთ გამოცდა თუ ზოგიერთი ახალგაზრდა და ყალაღანა ჭაბუკი თანაუგრძნობდა ოსიკოს და იდეალიდ ჰყავდათ დასახული იგი და მისი ქცევაც, ძველი ხალხი და მომეტებული ნაწილი ახალგაზრდობისა (რომლებიც უფრო ტყესა და მინდვრებში აღმებდნენ) გულამლვ-რეულნი უყურებდნენ ოსიკოს და ბრაზი მოსდიოდათ, რომ იგი დაუსჯელად აუპატიურებდა პატარძლებსა და გაუთხოვარ ქალებს და რყვნიდა ახალგაზრდობას. ბევრჯერ სასოფლოდაც ყოფილა ლაპარაკი და რჩევა მასზედ, თუ რანაირად ეშველათ საქმი-სათვის, მაგრამ ლაპარაკი და რჩევა ხალხისა ასიკოს ბედზე ყოველთვის უშედეგოდ თავდებოდა.

ხოლო ბოლო დროს სოფელს აკვსო მოთმინების ფიალა, მთან-დინა სასოფლო კრება და დაადგინა განაჩენი, რომლითაც სთხოვ-დნენ სოფლის მცხოვრებლები მთავრობას, ოსიკოს გადასახლებას სადმე შორ ქვეყანაში. მაგრამ ოსიკოს ბედმა აქაც იმუშავა: და განაჩენი აჩც კი იყო ხელმოწერილი სოფლისაგან, რომ უცბად დაპტერა ახალი მოძრაობის ქარიშხალმა და ამ ქარიშხალმა კი სულ სხვანაირად დატრიალა ჩარხი ცხოვრებისა საზოგადოდ და ოსიკოსი კერძოდ.

## VI

ჟ ყასუმა (ყარამან ბაქრაძე) მეცხვარე მამაშ პატარაობიდანვე წაიყვანა ცხვარში. მინდა ახლავე შევაჩიონ მწყემსობასაო, — ეუბნებოდა იგი ცოლს, — ისევე მწყემს კავს თუ უდგია ეხლა სული, თორემ აბა რა ყრია ხვნა-თესვაში. ჩაპყირკიტიმს კაცი შავ მიწას, ებრძეის, ჭანსა და ღონეს იგდებინებს და ხელში კი არაფუ-რი უჭირავს. აი თუნდ ჩემი სახლიყაცები ივიღოთ ამის მაგალი-თადაო. მართალია, სამწყემსოსაც კი სდევს ხანდისხან ზარალი, მაგრამ თავის დღეში ისე არ დაზარალდება მწყემსი. რომ ჭოხი ვ გარეუხოს და მაინც შავი მიწის მომუშავეებს არ აჯო-ბოსო. ჭანისა და ღონის დაზოგვა და შენახვა კიდევ სხვა არის;

მწყემსი მუდამ ყალალნად დაღის ჯან-ლონელასვენებულიო. მეტ-  
რეც ესა, მწყემსი მთაზედ რომ მიღი-მოდის, ბევრ ავსა და კარგა-  
ქხედავს, ბევრი ავი და კარგი ესმის, თვალს ახელს, გულს არ-  
ლებს. იღვიძებს, იფხიტებაო, ვაჭრობას ეჩვევა და გამწყოფულებეს. ✓  
იძენსო...

ათი წლის ყარამანი მამამ მთაზე აიყვანა. იგი ძლიერ ანახებ-  
და მამას და აღტაცებაში მოჰყავდა თავისი ცქვიტი და მოხერხე-  
ბული ქცევით სამწყემსოს მოვლაში. „ეს წუწუქის შვილი უთუოდ  
ყოჩალი ვინმე გამოვა! აბა შეხედეთ, თავისზედ უფროსსა და გა-  
მოცდილ მწყემსებს არაფერში ჩამოუვარდება“, — ამობდა  
ხოლმე მისი მამა მეტისმეტი სიამონებისაგან გამოწვეული ღიმი-  
ლით. მხოლოდ ხანმოკლე იყო მისთვის ეს სიამონებიანი ღიმილი.

ერთ ზაფხულს, როცა მამამ ყველი წამოილო მთიდან, ყარამანმა  
რამდენიმე თოხლი გაყიდა, მხოლოდ მამას, როცა იგი დაბრუნდა  
მთაში. დაუმალა — უთხრა, ნაღირმა მომსხლიტაო. მამამ მაინც  
შეიტყო ოინი და კარგადაც მიამევა. ჯერ ლაშირაკია, მიწას არ  
ამოგელეჭია, ეს ჩაიდინა, როცა წამოიჩრდება, ხო სულ ხელი და- ✓  
მაბანინა სამწყემსოზედაო, — შეპსჩიოდა თავის ამხანავ მეცხვა-  
რებებს. ყარამანმა კი ისეთ შეურაცხყოფად მიიღო მამისაგან ცემა,  
რომ შეორე დღესვე, როცა სხვა მეცხვარებთან ერთად ცხვარი გა-  
რეკა ბინიდან საძოვარზე, ჰერა ქუსლი და გადავიდა თუშ მეცხვა-  
რების ბინებში. მთიდამ ბარში თუშების ცხვარსვე ჩამოჰყეა, მეც-  
ხვარეობას თავი ანება; სახლშიაც აღარ მისულა, წავიდა და ერთ  
თავადიშვილს მეძროხედ დაუდგა.

თავადს მეძროხებებად მომეტებულ ნაშილად თარაქამა თათრე-  
ბი ჰყვანდა. ამათ დაუახლოვდა და დაუმეგობრდა სულითა და  
გულით ყარამანი, რომელიც „ყასუმად“ მონათლეს. ამხანავების  
შემწეობით ყარამანმ ისე შეისწავლა თათრული ლაპარაკი, რომ  
თათრებში ვერ არჩევდნენ. მათივე საშუალებით გაეცნო ბევრ სხვა  
თათრებაც ყაზახ-ბორჩალოში. ამ გაცნობას კი მოჰყევა შელევად  
გამუდმებული ქურდობა ცხენებისა და სხვა ოთხფეხი საქონლისა,  
როგორც სოფელ გვემულში, აგრეთვე მის მეზობელ სოფლებ-  
შიაც. ყასომამ ყველა ამ სოფლებში გაიჩინა აგენტები. აგენტების  
მოვალეობას შეადგენდა მოპარვა სოფლად ოთხფეხისა და გადა-  
ცემა ხელში ყასუმასათვის; ეს უკანასკნელიც მოაქცევდა ხოლმე  
მოპარულ საქონელს ყაზახ-ბორჩალოში. ღიღძალი ცხენი და სხვა

ოთხფეხი საქონელი გადარეკა მან ამ მხარეებში, როგორც ყავაში  
ლო სოფლიდამ, აგრეთვე სხვა სოფლებიდამაც თავისი მშობლი  
მამაც კი არ დაინდო და მისი ცხენებიც უძინა ბორჩალოში

✓ გააცია ყასუმამ ქურდობით მთელი მაზრა და უცხადეთ უწყება  
ფელი გვემული. ყველამ იცოდა აშკარად, ვინც იყო მეტობებში, უქმებულ  
შიღდიოდა ნაპარავი საქონელი გასასალებლად, მაგრამ ხელჩისაჭი-  
დი საბუთი არავისა ჰქონდა, რომ ყასუმაცა და მისი ამხანავებიც  
პასუხისებაში მიეცათ. მხოლოდ ბევრი კი, დამკარგავი საქონლისა,  
მიმმართავდა ხოლო ყასუმას და სოხოვდა, რასაკვირეველია, დიდი  
საპოვნელის დაპირებით, რომ მოენახა დაკარგული საქონელი, რა-  
საც ძლიერ აღვილად პოულობდა იგი.

ყასუმა ისე გაეჩინა თათრებში ცხოვრებას, რომ რამდენსამე  
წელს თავის სამშობლო სოფელში ფეხი აღარ დაუდგამს. მაშინაც  
კი არ მოვიდა სოფელში, როცა მამის სიკვდილი შეიტყო. ხოლო  
მამის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ხანდისხან მოსვლა სოფლად,  
მაგრამ ისე რომ, არც მას იცნობდა ვინმე სოფელში პირადად (იც-  
ნობდნენ როგორც გამოჩენილ ქურდს) და არც ის იცნობდა  
ვისმე (გარდა თავისი ავენტებისა, რომელიც არ აჩნდნენ სა-  
ხალხოდ მასთან ნაცნობობას), იარებოდა ორი-სამი დღე სო-  
ფელში ყულივით და შემდეგ ისევ მიემგზავრებოდა „თავის“ თათ-  
რებთან. ბოლო დროს ცოლიც შეირთო; მოიყვანა თავის სამშობ-  
ლო სოფელში, მაგრამ ვერც ამ გარემოებამ მოაშინაურა და მოაბ-  
რუნა იგი სოფლისაკენ. ცოლი მისი ცხოვრობდა დედამთიოთან  
და მაზლებთან, თვითონ კი ორ-სამ თვეში ერთხელ თუ ეჩვენებოდა  
მას, ისიც ძლიერ ცოტა ხნით.

ცოლის ბერდა იმუშავა, თუ ყასუმას უბედობამ, ამ უკანასკ-  
ნელ წელს შემოაკედა ერთი თათარი. მოკლულის ნათესავებმა  
გადასწყვიტეს სისხლის აღება და მოსაკლავად დასდევდნენ. სიკვ-  
დილისაგან გადასარჩენად ყასუმამ გადასწყვიტა სოფლისათვის  
შეეფარებინა თავი და მისათვის დაბრუნდა სოფელში სამუდამოდ.  
ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ახალი მოძრაობა დაიწყო.

## VII

მიხა ბერეაშვილს ტფილისიდამ ცოლისძმა (მეერვალი) ეწვია  
სტუმრად. თუმცა დაც და დის ქმარიც ხელს უწყობდნენ მას ეტა-  
რებინა „ქალაქური დროება“ რაცხან მათთან სტუმრად დარჩა, მაგ-

რამ სტუმარი მაინც არ იყო კმაყოფილი მასპინძლებისა და ნავარდის  
ნავად მათი „ცხოვრებისა“ მით უმეტეს, რომ ვერავინ უშენესების  
ამფსონად დროების გატარებაში.

სარჩო გაბადიათ და მოხმარების შენ კი არა გაქტარი წერტილი  
ნებოდა ხოლმე იგი სიძესა და დას, — თუ თქვენ ატეჭუშეჭირი უშენეს  
თქვენი ქონების მომარებისა, შვილები მაინც ისე უნდა გაპზარ-  
ლოთ, რომ იმათ მაინც მომარინონ ჰქვიანურად თქვენი სარჩო-  
საბადებელი და განათლებულად იცხოვრონო. ამისათვის შაქრუა  
(უფროსი ვაჟიშვილი მიხასი) მე უნდა წავიყვანო ჩემთან და ჩემებუ-  
რად, ქალაქის ყაიდაზედ და გემოვნებაზედ უნდა გავზარდოვთ.

დაი მისი თანხმობას აცხადებდა ამაზედ, ხოლო სიძე დიდ უარ-  
ზე იდგა და ეუბნებოდა:

— რას ამბობ, კაცო? ერთი-ორი წელიწადიც და ბიჭი მეხრეო-  
ბას შესძლებს. მხარში ამომიღვება და როგორც ძმა, ხელს დამახ-  
მარებს და შენ დაგანებები? ან ეხლა რო ეგ ქილაქს გამოვგზავნო,  
ე ხბორები და ცხვრები ვიღას მივამარო? სხვა კაცი დავიკირო  
მათ მოსავლელად? აბა, რა ჰქვა. აქ ჩემთვის დამხმარებელი ხელი  
საჭირო იყოს და მე კი ის სხვას დავუთმო — ნემსზე ძაფის აგება ას-  
წავლეთ-მეთქი?..

— აბა რო არ გესმის, რასაც ლაპარაკობ, — უთხრა ერთხელ  
ძლიერი წყენის კილოზედ ცოლისძმამ, — დიდი რამ გვინდა შენი  
პური და ლვინო და ორიოდე ჯანდაცი საქონელი! განა ცხოვრება  
მარტო იმაში მდგომარეობს, რომ თავზედ საყრელი პური და ლვი-  
ნო გქონდეს, გაძლე, მიწვე და მიიძინო? ეკრე ხო პირუტყვებიც  
ცხოვრობენ! და აბა რითი გაიჩინეთ თქვენი ცხოვრება პირუტყვი-  
ბისაგან? კაცმა სანთელზედ პური არა ჭამოს, თვეში ერთხელ მა-  
ინც სწორ-ამხანაგთან დროება არ გაატაროს, მთელი წლობით ცა-  
რიელი პურით იყოროს მუცელი, ან მარტო ნივრითა და ხახვით  
იყროლოს პირი, მთელ თავის სიცოცხლეში დაფაზურნის ხმა ვერ  
გაიგონოს, ამისთანა ცხოვრებას ცხოვრებას ვეტვვი? ნემსზედ  
ძაფის აგებას რომ სასაცილოდ იგდებ, მე სწორედ ამ ნემსს შავ-  
ყურებ... კვირის კვირობამდის ვმუშაობ, ხანდისხან იქნება დრო  
შემხვდება პურის ფულიც ვერ ავიღო! მაგრამ რასაც მე სწორ-  
ამხანაგებთან ერთ დროებას გავატარებ შარმანკით ან დაფაზურ-  
ნით, მთელ შენ სარჩო-საბადებელზედ არ გაეცვლი ამას!.. აბა ჩა-  
მოდი ქალაქში, როგორი ბამბასავით თეთრი და ბუმბულვით რბი-

ლი პური გაჭამო და ლალივით წითელი ღვინო გასვა! თანაც ჩემთ  
გემრიელი საჭმელები მოგიტანო, რომ მარტო იმათმა უკრძა-  
ძლოს!

— მე ი შენ ნაყიდ თეთრსა და რბილ პურს, გემრიელუ ნაჭელები  
ლებს და ლალივით ღვინოს ჩემი მოყვანილი გულტუტუტის მდგრა-  
ვამხმარი პური, ჩემი დედაკაცის დათესილი მწარე ნიორი და ჩემი-  
ვე მოყვანილი კუაპურტა ღვინო მირჩევნია.

— ჰოდა, ამა, რო არ გესმის ცხოვრების გემოვნება, მეტს რას  
იტყვი?

ბევრჯერ ჩამოვარდებოდა ხოლმე სიძე-ცოლისძმაში ამგვარი  
ლაპარაკი და მიხაც თანდათან მარტედებოდა, ბოლოს კიდევაც  
დათანხმდა და შაქრუა წაიყვანა ბიძამ ქალაქში, რათა ესწავლებინა  
ხელობაცა და „განათლებული ცხოვრებაც“.

შაქრო ბიძამ მიიყვანა შეგირდად იმ სამკერვალოში, სადაც  
თვითონ ქარგლად იყო, ხოლო საცხოვრებლად თავისითანა ჰყვანდა.  
შაქროს ძლიერ ედარდებოდა პირველ ხანებში. მისი სული და  
გული ყოველ წამს მიფრინავდნენ სოფლისაკენ. მხოლოდ სხეუ-  
ლი არ მისლევდა მათ.

შეუდგნენ მის წრთვნას (ბეჭებში ჭოხების ტყაპუნს) და უფრო  
გაუტკბილდა და გაუძვირდა ის ადგილი, სადაც აქმდის უდარდე-  
ლადა და უტანჯველად რბოდა. ფიქრითა და გონებით იგი სულ  
თავის ხბორებთან იყო. თუ დაინახავდა საღმე მწვანე ბალახს,  
მიიძარებოდა უჩქმრად, გმოჰგლეჭდა და იტყოდა: ეს ჩემ ნიშა  
ხბოს უნდა შევუნახოო. ამისთანა სიზმრებს ხომ ხშირად ჰედავდა:  
ვითომც მოსულიყო ისევ სოფელში, გაერეკა ხბორები საძოვარ-  
ზედ. აი დაერივათ ხბორებს ბუტული, აიშვირეს კუდები და ეცნენ  
ზოგი აქეთ, ზოგი იქით. გამოუდგა შაქრო მათ მოსაგროვებლად,  
მაგრამ ვერც კი მოასწრო შეგროვება მათი, რომ შახტა, გამოელ-  
ვიძა და შეაჭყიტა თვალები ნესტიან სარდაფის კედლებს.

ხშირად დაულერია შაქროს ცხარე ცრემლი და გათენებამდის  
თვალი არ მოუხუჭავს. როცა შეუდარებია სოფლად განვლილი  
ცხოვრება აწინდელ ცხოვრებისათვის—თვისი ჭოხების სიმწვავით.  
ერთხელ გაქცევაც კი დააპირა სოფელში. ნახა შემთხვევით ნაც-  
ნობი სოფლელები. რომელთაც ურმები ჩამოეტანათ ქირაზედ. არც  
კი იყოყმანა შაქრომ, პირდაპირ დაედევნა სოფლელებს და გამოკ-  
ევა შინ. მაგრამ ბიძამ დროზედ შეიტყო, გამოედევნა და დიდის

ტირილითა და მწუხარებით დაბრუნა შესა გზიდან უკინვე. ასეს  
შემდეგ ბიძა უფრო სასტიკად ეპყრობოდა, თვალს აღარ აშორებდა,  
რომ სოფელში არ გაპქეცეოდა.

შაქროს ანუ შაქრუს „წრთვნას“ ერთგულად შესრუჩებულ შემდეგ  
ლანი — როგორც ბიძა და ოსტატი, აკრეთვე სხვა ქალების უკინვე  
მაგრამ ხელობის შესწავლაში წარმატება არ ეტყობოდა. ამის  
მიზეზად, რასაკირველია, ასახელებდნენ მის სოფლურ ტეტიაო-  
ბას. მართალია, შაქრუს მოსამსახურეობას კარგად ეწეოდა, მაგრამ  
ოსტატი მაინც უკმაყოფილო იყო ხოლმე მასზედ, იგი ხელობითაც  
არ ასარგებლებდა შაქრუს და ყოველთვის საყვედურით ცხირს  
უხვრეტავდა მის ბიძას — ეს რა გაუთლელი, ოგანი ვირი მომიგ-  
დე დუქანშიო. საყვედურის ასაკილებლად შაქრუს გამოიყვანა  
ბიძამ სამკერვალოდამ და ალაფთან მიიყვანა — იქნებ იქ უფრო  
ივარგოსო.

გაიგო თუ არა მამამ შაქროს გამოყვანა სამკერვალოდან, ისევ  
სოფელში დაიბარა. მაგრამ ბიძამ ასე უთხრა შაქროს: „ჩემი ცო-  
ცხალის თავით არ გავიშვებ მამაშენთან: ძლიერ დაგახშივე მამაშენ-  
საცა და სოფელსაც, რომ ქვეყნიერობისა გაგევო რამე და ეხლა  
ისევ სოფელში გაგიშვებ?“

ალაფთან, თითქოს, უფრო ფხიტი გამოიჩინა შაქრომ, მხოლოდ  
ბოლო ვერ გაატანა — ალაფიდანაც გამოვიდა, ახლაც დაიბარა მამამ  
სოფელში, მაგრამ ახლა თვით შაქრუმ არ მოინდობა სოფელში  
დაბრუნება, რადგანაც ქალაქი უკე გაუტკბა. რამდენადაც უხეი-  
რობა და უგულისყურობა გამოიჩინა შაქრუმ ხელობის შესწავ-  
ლაში, იმდენად შეუსაბამო ნიჭითა და უნარით შემკობილი აღ-  
მოჩნდა იგი ბიძის ზნე-ჩერულებათა შეთვისებაში: შარმანკაზედ  
ქუჩებში ფაიტონით სეირნობაში, ძმა-ბიჭებთან დროების ტარე-  
ბაში, დუქან-პადვლებში თუ საროსეიბო სახლებში და სხვა  
ამგვარ სასიქალულო მოქმედებაში. შაქრუმ თუ არ გადააჭარბა  
ბიძას, უკან ქრ ჩამორჩია. სწორედ ძმა-ბიჭების რჩევა-დარიგებით  
დაანება თავი ალაფს და შეუდგა დამოუკიდებელ ვაჭრობა-მოქმე-  
დებას: დაიდგა თავზე თაბახი, ხოლო რომ შესაძლებელი ყოფილი-  
ყო მისთვის, დროების გატარებაში გაფლანგული თანხის ყოველ-  
თვის შევსება ანუ ერთბაშად მოპოვება, იგი შეუდგა ეგრეთ წო-  
დებულ „ხელსაყრელ“ საშუალებათა შესწავლა-შეთვისებასაც:  
შეისწავლა ჯიბგირობა და ყომარბაზობა.

შაქრუას ქალაქის გამოჩენილ ბიჭებში უკვე საპატიო აღმოჩენა ეპირია, როცა პირველად ესტუმრა დედ-მამას სოფელში. ძლიერ გაეხარდათ დიდი ხნის უნაბავი შვილის დანახვა, მაგრამ სულითა და გულით კი ვეღარ იცნეს ერთმანეთი შვილმა და მუსტაკის ერთ კვირაში სრულიად მოპებეზრდა შაქრუას სოფელში მომდევნობის წარმატების შემდეგ კი მოდიოდა ხოლმე შაქრო სოფელში, მხოლოდ ყოველთვის ცემა-ტყეპით იძულებული მამა აძლევდა ფულს და ისტუმრებდა ისევ ტფლისში.

ბოლო დროს შაქრომ მოუხშირა სოფელში სიარულს „თანხის“ მოსამოვებლად, ალბათ იმ მიზეზით, რომ უკანასკნელ ხაებში ვერ მისდიოდა საქმე სასურველად: ლილახანა გაუცვდაო — ამბობდნენ მისი ძმა-ბიჭები. ვერც ერთი იმათვანი, ვინც ამ გულსაკლავ სიტყვებს მოურიდებლად პარში აგონებდნენ, ვერ წაუვიღოდა შაქრუას წინ დროს გატარებაში ან სხვა საქმეში. მხოლოდ უბედობა მისი იმაში მდგომარეობდა, რომ აღარც ერთი ხელობიდან აღარა ჰქონდა წინანდელი სარგებლობა. ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა მისი ცხოვრების ჩარხი, რომ მის ბეღზე ახალი მოძრაობა არ დაწყებულიყო.

როცა ტფლისში აქა-იქ დაიწყო „ზაბასტოვკები“, შაქრუას გაუცვა თავში ფიქრმა: „მოდი, წავალ სოფელში და მუშა ხალხს „ზაბასტოვკებას“ ვასწავლი. პამ საწყალი ხალხი მადლობელს დამჩრება, პამაც მამიჩემის ჯავრს ამოვიყრიო. ის მა..... მამაჩემი რო აშშავებს მუქთად ხალხს და ჩემთვის კი გროშს არ იმეტებს, თუ არ მიგამევავ ლაშათიანად, მითომ რაო? მივუსიო ერთი ძალ-ლებივით მუშა ხალხი! მაშინ წავიდეს და ირიკავოს“. ფიქრი და შესრულება ერთი იყო.

გაიგეს სოფელში შაქრო მოსულაო და გაიძახოდნენ: მიხას ზურგი აქვავებია და შეილიც მაპსევლიაო. ხოლო შაქრო ორი-საში დღის შემდეგ გამოვიდა სასოფლოზედ და დაიწყო ზოგიერთ ახალ-გაზრდა ბიქს „ზაბასტოვკაზე“ და „ბოიკოტზე“ ლაპარაკი. ზოგს პეუაში მოსდიოდა მისი ახალი სწავლა, ზოგი კი არ ეთანხმებოდა. „არა, თუ მე ოთხი აბაზისა და მანეთის ნაცვლად რვა აბაზია და ორ მანეთს მოვითხოვ სამუშაოს პატრიონისაგან, ისიც ხომ ჩვენგან ორი მანეთის მაგივრად კოდში ოთხ მანეთს მოითხოვსო და იქავე არ წავა? გიუი ხომ არ იქნება ჭირნახულის პატრიონი, რომ ძვირად

დაუგდეს კოლი და იმან კი ერთი ორად იაფად გაყიდოს? მართო  
სიავეცელა შეგვრჩება, სხვა კი არაფერი!“. „არა, თუ ჩემი მავი  
უცირს ვისმე და არ დავეხმარები, მეც რომ გამიჭირდება, უცირდება  
დამეხმარება სხვა. მაშინ რაღა ადამიანობა და ცხოვძეს, უცირდება  
ჩვენი?“. ასეთ პასუხებს აძლევდნენ შაქრუას მის ჟანტურის უცირდება  
დარიგებაზედ. მომეტებული ნაწილი სოფლელებისა კი დასკინო-  
და: თავზე წნელი შოუჭირეთ, კეუა არ დაეფახტოსო. ორიოდეჯერ  
კიდეც გატყიის. ამის შემდეგ კი ხელი აიღო სოფლელების სწავ-  
ლა-დარიგებაზედ და ისვე ტბილისში დააპირა დაბრუნება, მაგრამ  
იმ დროს საფელ გვემულში გაჩნდნენ ახალი მოძრაობის აგიტატო-  
რები, რომელთაც ხელი შეუშალეს შაქრუას განზრახვის შესრუ-  
ლებაში.

## VIII

არამცუ მარტო სოფელ გვემულში, მთელ მაზრაშიაც კი  
ყასუმა, შაქრუა და ოსიკო „ყველაზე გამოფხილებულად“ სცენეს  
აგიტატორებმა, უფრო მეტიც: აღტაცებაში მოდიოდნენ მათი  
„მახვილი“ და „გამჭრიახი“ მოსაზრებით ახალი სწავლის შეთვისე-  
ბაში, უკვირდათ, რომ სადღაც, მიყრუებულ სოფელში, ამისთანა  
განვითარებული და მომზადებული ახალგაზრდანი აღმოჩნდნენ და  
მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდათ, რადგანაც ასეთი ძვირფასი  
თანამშრომელი მოიპოვეს ახალი სწავლა-მოძღვრების გასავრცე-  
ლებლად. რასაკვირველია, ყველაზე მომეტებულ წარმატებას უწი-  
ნაშარმეტყველებლენ სოფელ გვემულს, როგორც პირდაპირ სა-  
მოქმედო ასპარეზს ახლად შეძენილი მოძღვრებისას.

ეს სამი პირი წინათ ვერც კი იცნობდნენ ერთმანეთს. მხოლოდ  
გაგონილი თუ ჰქონდათ რამე ერთმანეთზედ, თორემ სხვა კი არა. რაიმე გარემოებას არ მიუცია მათოვის შემთხვევა პირადად გაც-  
ნობისა და დაახლოებისათვის — მით უმეტეს, რომ სრულიად სხვა-  
დასხვა მიმართულებისა და მისწრაფებისანი იყვნენ. ხოლო საზო-  
გადო „ერთობის“ საქმის სამსახურმა და „დაჩაგრულთაღმი გულ-  
შემატეივრობაშ“ დაუახლოვა ისინი ერთმანეთს. მართალია, ვი-  
ტორისტობმა მოსთხოვეს სამთავეს მტკიცედ დაახლოება ერთმანეთ-  
თან და შეერთებული ძალით მოქმედება, მაგრამ თუ თვითონაც  
არ შეეგნოთ აქედამ წარმომდგარი სიკეთე და საჩვებლობა, ისე

მციდროდ და გულმოდგინედ არ დაუახლოედებოდნენ ურთმანების, როგორც ეს ნამდვილად და სავსებით მოხდა მათ შორის.

აგიტატორებმა მისცეს მათ ინსტრუქცია მოქმედებისაშემცირდება მოშორდნენ სოფელ გვემულს სრულიად დაშვიტკებულის გადასაცემა და მათ შემდეგი დამდედებული მასზედ, რომ უიმათოდაც იქ საქმე სასურველად წავიდოდა. ინსტრუქციის უპირველეს და უმთავრეს მოთხოვნილებას (მუხლს) შეადგენდა შემდეგი: „რომ დაციმორჩილოთ შთელი სოფელი და რომ იაროს ჩვენ სიტყვასა და ნებაზედ, ყოვლის უწინარეს საჭიროა შიში მიცემთ სოფელს. თუ შიში არ ექნებათ დიდიდან პატარამდე და კაციდან დედაკაცამდე ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. შიშისათვის კი ძლიერ ნაყოფიერი ნიაღავია იქ, საღაც უვიცობა ჰსუფევს. მაშასადამე, ოქვენთვის არ შეადგენს მაგრე რიგად სიძნელეს დაპნერგოთ და დაამყაროთ სოფელში შიში. უვიცობა ხალხისა და მასთან შიში. აი რანი და ვინ არიან ჩენი ძლიერი მოკავშირენი ჩვენს მოქმედებაში. თუ თვით თქვენ ვერ ითავებთ, მისცემთ ხალხს შიში და ამისათვის თქვენ არ შეგწევთ ძალი და ღონე და გაბედულება, შეგვატყობინეთ და მაშინ ჩვენ გვეცოდანება. ისეთ ტერორისტებს გამოგიგზავნით, რომ მთელ სოფელს ძილი დაუფრთხონ, მხოლოდ თქვენი მოვალეობა მაშინ იმაში გამოიხატება, რომ აჩვენოთ მათ ყველა თქვენი წინააღმდეგი და საშიში, მავნე პირები“.

ახლად დაახლოებულ და დაკავშირებულ მოღვაწეთა შორის ყასუმაშ, როგორც უფრო ბუნებით ჭიკვიანმა, პირველობა იგდო ხელში, რაზედაც ამხანაგებიც თანახმანი იყვნენ და არ ეწინააღმდეგებოდნენ. იგი საგუბერნიო ამომრჩევლების რიცხვშიაც მოჟვა, როდესაც პირველ სახელშიცო სათათბიროს დეპუტატებს ირჩევდნენ.

სოფლის მცხოვრებლებმა პირველად აბუჩად და სასაცილოდ იგდეს თავისი „გულშემატკივარნი“ და მოკეთენი, თუმცა კი აგიტატორებმა მთელ შეყრილ ხალხს გამოუცხადეს, რომ ჩვენ ბადლად ამათა ვტოვებოთ სოფელში და ამათ გაუგონეთ და დაემორჩილეთ ცველანი და ცველაფერშიო. გამოჩენდნენ ორიოდ-სამი იმის-თანა თავზედ ხელალებულნიც, რომელთაც არც დაირცხვინეს, არც მოერიდნენ და პირში გააგონეს ხმამაღლა და გულის წყრომით მიმართული მთელი შეყრილი სოფლისაღმი ამნაირი სიტყვები: ქურდა, ბოზმა და ჯიბგირმა რა ხელმძღვანელობა უნდა გაგვიწიოს.

და რა სიკეთეს უნდა მოგვაწიონო, რომ ჩვენი გზის მაჩვენებლად  
და დამრიგებლად გამოღიანო. მაგრამ როცა ამ სიტყვების მთქმელ-  
ნიც და ოთხიოდე სხვა პირადი თავისი მტრებიც კუჭარებული  
ტერორისტებს გასტუმრებინეს საქიოს, მაშინ კი უმდგრად უკარ  
ჩაუვარდა მუცელში. მათი შიშით ძრწოდა მთელი სოფელი და  
ყურმოკრილ ყმად გაუხდა.

აი ამ სოფლის მმართველთ მიჰმართა მღვდელმა მაქსიმემ.

## IX

ღამეა. ფეხის ხმა მისწყდა. სოფელ გვემულის დუქანში, ცალ-  
კი ოთახში სხედან ყასუმა, ოსიკო, შაქრუა და მღვდელი მაქსიმე.  
„დრო მოველათ ხელათა და ვატიროთ სავსე ხელადა“ — იძახდა  
შაქრუა, როცა მედუქნე დასდგამდა ხოლმე სუფრაზე ახლად მო-  
ტანილ ღვინით სავსე ხელადას. აქ შეიკრიბნენ ეს მოღვაწენი უკვე  
დაწყობილი სასოფლო საქმის დასაბოლოვებლად, ღვინით ყელ-  
გასველებული უფრო კარგად მოვილაპარაკებთ საქმეზედაო.

ყველანი კარგად იყვნენ შეზარხოშებულნი. საღლევრძელოები  
გამოელიათ, ღვინის სმა კი ჯერ არ გაეთავებინათ.

— ერთი მითხარ, თუ ი შენი ღმერთი გიყვარს, მამათ ხარებ, —  
მიუბრუნდა შაქრუა მაქსიმე მღვდელს, — მართლა გაკურთხეს,  
თუ მკვდარი მღვდელი გაცარცვე საღმე და იმისი ანაფორა ჩაიცვი  
და ატყუებ ხალხი?

— ატყუებს კი არა, ჭორია! — დაუმატა ოსიკომ, — ნაკურთხი  
იყოს, არ იყოს! შენ ის გასინჯე, თავში უყრია რამე თუ არა?

— განა არა, შენ კი გამძიმებს დიდი კევისაგან თავი! — მღვე  
ნარება მღვდელმა.

— არც მამძიმებს და არც მღვდლობას ვჩერობ.

— სოციალ-დემოკრატობას ხომ ჩემობ? ხალხს უქადაგებ!

— უქადაგებს, მე ვიცი, რამიშვილობა არ გასწიოს! — ჩამო-  
ართვა სიტყვა შაქრუამ.

— რა ჩემი ფეხები გინდა, რომ რამიშვილობა გავწიო, თუ-  
დაც შემეძლოს რამიშვილობა? მე ფეხებზე მკიდია პროლეტარიაც  
და ბურჟუაზიაც! ჩემი პროლეტარია და ბურჟუაზია ჩემი სურვი-  
ლი და ქეიცვა. თუ სოციალ-დემოკრატობას ვჩერებულობ, მხოლოდ  
ჩემი ჭიის გასახარებლად და სასიამოვნებლად. დღეს სოციალ-

დემოკრატია არის ჩემთვის უფრო სასარგებლო, ხვალ ლისტი გავხდები, თუ ჩემთვის ის უფრო სასარგებლო იქნება. მე ღრივისა და გარემოების ბატონი ვარ და თქვენ რაც კი დამისახეთ, შენ, ეი, მამაო ხარებ, უზრები გამოიძურულა ჩემის ეს ღრიო რომ არ შეგვსწრებოდა, ჩენ ეს სამნი და შენ მეოთხე ეხლა აქ ვისხდებოდით? ან ციმბირში უნდა გვეთხარა თავვებივით სოროები, ან ტყესა და ღრეში უნდა გვეხეტიალნა ნაჟირებივით. ხისა და კლდის ამოფარებას არა სჭიბდა, რომ სოციალ-დემოკრატიას ამოვთარებოდით? და ეხლა როგორ დაგვთარა იმ დალოცილშა! სოფლის ბატონ-პატრიონებად, ხელმწიფებად გვაქცია და აბა, თუ არა შენსავით გირი და სულელი არა, ჭივიანი კაცი გაუშვებდა ხელიდან ამისთანა შემთხვევას?

— თქვენ კი პო, მაგრამ მე რა მჭირდა საციმბირო ან ტყე-ღრეში სახეტიალო?

— ჰაი გიდი ჰა... შენა გვონია, ვერავინ გიცნობს. ი ისებს რო სულზე თვრამეტ-თვრამეტი შაური დაჭრულ, სახელმწიფო მიწებს მივაცემინებ თქვენთვისაო, შენა გვონია, ისე ჩივლიდა, ეს ღრიო რომ არ იყოს!

— მაშ, კარგი და შენც სუ და მეც სუ!

— ყველა ყველა, მაგრამ იმ მა... მღვდლობა როგორ მოგცეს? — მიმართა ისევ შაქრუამ, — მე სწორედ გითხრა, ორ დავარდნილ ვირსაც არ მოგანდობდი! მათ კი მთელი სოფელი მოგაბარეს!

— ნემი შენ გითხარი, გული მოგიკალო, — შეუბრუნა მაქსი-მემ.

— კარგია, ამხანაგებო, დაანებეთ თავი აყალმაყალს, რა ღრიოს მაგისთანების ლაპარაკია! — ჩაერია საუბარში ყასუმა, რომელიც აქმოის გაჩუმებული ყურს უგდებდა სხვების ბაასს, — ჰაზირ საქმეზედ ვილაპარაკოთ? ეს კაცი საჩუბრადა და გასაბიაბრუებლად კი არ მოსულა, — საქმისათვის მოვიდა! გაეგება რამე თავის თანამდებობისა, თუ არა, ეგ თეოთონ იცის და იმათ, ვინც მღვდლობა მისცა. ეგ ჩვენი საქმე არ არის. ჩვენი საქმეა, მოუხერხოთ როგორმე ამ კაცს ჩვენ სოფელში გადმოსვლა.

— ფულების საქმე არ არის?! — წამოიძახა შაქრუამ, — არ დაპარაჯავს და ისევ იქა ბრძანდებოდეს, საიდანაც მოსულა.

— დახარგვა რომ არ მინდოდეს, არც ხმას ამოვილებდი, ვინ არ

იცის, რომ ეხლა უფულოდ აღარაფერი კეთლება და მერე მისამართა  
საქმე.

— ერთი მითხარი, იქიდამ რად გაგდებენ? — ჰეთხა ლისტომ.

— არ მაგდებენ კია, მე თვითონ მინდა წამოსვლა. ურარცხული

— არა, მე გავიგე, პატარძლებზედ მიატანესო, ეჭვიტურიშვერ ე  
დაუეცეს და იმისათვის გამორჩის პრიხოდიდანა.

— შენ კიდევ სულ პატარძლების მცვალი გადგა!.. ვერ დაი-  
ვიწყე ე პატარძლები?

— გემო იმათშია და კაცმა რო ძინი დაივიწყოს, რალა უნდა  
ახსოვდეს?

— კარგია, კაცო, დაანებეთ თავი მაგ უბრალო ლაპარაკს, ჯერ  
საქმეზედ ვილაპარაკოთ და ვიფიქროთ და მერე რაზედაც გინდათ,  
ილაპარაკეთ, — თქვა ისევ ყასუმამ, — ეს კაცი ათ თუმანს იძლე-  
ვა ჩვენ გასამრჯელოს, რას იტყვით?

— მე იმას ვიტყვი, — წარმოთქვა შაქრუამ, — რომ ათი თუმანი  
ძლიერ ცოტაა. კაცის თავზე ხუთ-ხუთი თუმანი მაინც აღარ უნდა  
მოგვცეს? ამაზედ ცოტა როგორდა იქნება...

— ხუთმეტი თუმანი იმისათვის არ მიმიცია, ვინც მღვდლობა  
მოაცემინა ჩემთვის და ღმერთი არ არის, რომ თქვენ ეხლა მეტი  
გამომართვათ?

— შენ ღმერთს ტყუილად ეჭიდები, ის შენ ვერაფერს გიშვე-  
ლის, ისევ ხუთმეტი თუმანი დათვალე, მღვდელო, ხუთმეტი თუ-  
მანი! ხუთმეტი თუმანი ცოტაც არის ამ საქმისათვის, თუ არადა ვერ  
იყენებ აქ გაღმოსვლას.

— შენა გვონია ძრიელ სახარბიელოა ე თქვენი გვემულის  
სამრევლო? მე ჯიბრის კაცი ვარ, მინდა, რომ მაგ მღვდელს კუდი  
მოვაძეუბინო აქედამ, რადგანაც ჭავრი მცირს მაგისი და სამაგი-  
როს გადახდა მინდა, თორემ ეხლა უკეთესი პრიხოდი მიჭირავს.

— ჰოდა აბა კიდეც ეგ არის ძნელი საქმე!.. თუ ცოტას დაგ-  
ჭერდნენ ისინი, ვინც პირველად მოაცემინა შენთვის მღვდლობა,  
იმათ გასაკეთებელიც ცოტა ჰქონდათ. იმათ მოითხოვეს ცარიელ  
ადგილზედ, რაც ადვილად გასაკეთებელი და მოსახერხებელი საქ-  
მე იყო, ჩვენ კი ორნაირი ჭაფა გვიძევს წინ: ჭერ უნდა დავაცარიე-  
ლოთ ადგილი, ახლანდელი მღვდელი უნდა აებარგოთ აქედან, —  
ეს ერთი საქმე, მერე უნდა მოგითხოვოთ შენ — ესეც მეორე. ორთ  
განაჩენი უნდა შევადგენინოთ სოფელს. მომეტებული ჭაფაა ესა-

თუ არა? თუ ჯაფაა, უნდა დაკმაყოფილება ამ ჯაფას. თუ არა? ეს  
სადაც წინათ მოგითხოვეს მღვდლად, მარტო ერთხელ დასჭირდათ  
განაჩენის შედგენა... იქ თუ ათი თუმანი დაგაძრეს, აქედან თუმანი იქ  
უნდა გადაიხადო, მაგრამ ხუთ თუმანს გხათობთ, უწერ, შეწერ, იყოს  
იყოს ხუთი თუმანი, მხოლოდ ხუთმეტ თუმანსა გრძნებულ არს  
მაგირ. რას იტყვი?

— რას ამბობ, კაცო, მაგოდენა ფული ვინ მომცა?

— მაშ, რა უყავი ისებილამ აღებული ფული? ასი თუმანი და-  
აძრე ისებს და ფული ვინ მომცა?

— ასი თუმანი კი არა, ათასი სულ ოცდაოცექვსმეტი თუმანი  
მოვაგროვე და ისიც მღვდლობის შოვნაში დამეხარჯა. შენი მტერი,  
რომ არ მომეხერხებინა ამ ფულების შოვნა! საიდამ და რით ჩავიგ-  
დებდი ხელში მღვდლობას, თუ ეს ფული არ შემსწრებოდა!

— ეხლა კიდე სხვა რამ მოახერხე და ჩეენთვის იშვინე!

— აბა, ხუთმეტი თუმანი ძვირია... ახლანდელ პირობში გან-  
წესებულებას სრულად და უნაკლულოდ ვიღებ, როგორც უწინ ყო-  
დილა. აქ კი, როგორც ყასუმა მიღებს პირობას, უნდა ნაკლებს დავ-  
ჭერდე მრევლს ყოველისფერში და აბა საიდამ და ან როდისლა  
აეინაზლაურებ ამ ხუთმეტ თუმანსა?

— ეჭ, შენც ქათამივით ორი ფეხი გბმია! პირობის დადება სხვა  
არის და ასრულება მისი კიდევ სხვაა. შენი პირობა ახლა არის  
საჭირო, რომ სოფელს თვალები ავუბათ და ავუხვიოთ, დავარ-  
წმუნოთ ყველანი. რომ შენი გაღმოსვლით სოფელს შეღავათი ეჭ-  
ნება და ვაკისრებინოთ ახლანდელი მღვდლის გაძევება. აა რისოვის  
არის საჭირო შენი პირობა... რავი გაღმოხვალ და ფეხს ჩაჰდგამ  
პირობში. შენი ნება და ჩეენი ნება არ არის? საითაც გვინდა,  
თავს იქით ვეზამთ სოფელს.

— თუ მაგ პირობას მომცემთ, რომ ერთი წელიწალი კი პო,  
საცა უნდა იყოს, მეორე წლიდამ შემეძლება ალება ყოველგვარი  
განწესებულებისა სრულიად. უნაკლულოდ, ბატონი ბრძანდებით,  
ხუთმეტ თუმანზე თანახმა ვარ.

— აბა. მაშ მოიტა ხელი და ხელადა სველი!

— დახეთ ამ დასაქცევს. როგორ ამტვრევს ლექსებსა! ვნახოთ  
თუ შენ მელექსეთ არ გამოჰვევე!.. — უთხრა შაქრუას ისიკომ.

— იქნება ლედახტორადაც გავხდე! შენ რა გვონია? დამაცა,  
ჩერ დავბრუნდე ისევ ქალაქში!

— განა აპირობ ისევ ქალაქში? — ჰქითხა მაქსიმე.

— საქმე არა გაქვს?.. რა წაიყვანს ქალაქში? გრუ ქართველი წავიდა, ჩემ სახლს ესა სჭობიაო... თუ წავიდა და ლეღანტორობა დაიწყო, მე ვიცი, ისეთ რამეს კი დამწერავს, რომელიც მის გეეს, — მიუგო თხიუმო.

— ქვასაც გავარღვევ და ამ ხარებასაც ტყავს გავაძრობ, თუ წვენი ყურმოჭრილი მონა არ გახდება.

— მართლადა, მამაო ხარებ, შექრუა არა ტყუის, რომ ხუთმეტი თუმანიც ცოტა არისო, — უთხრა ყასუმამ, — ხომ იცი, რომ მამა-სახლისსაც გული უნდა დაუდოთ, თორემ უიმისოდ მხარს არ მოგვაბამს.

— კაცო, აქ არ ვიქნები, ხომ არსაღ გავიქცევი?.. განა სხვანაი-რად ვერ გადავიხდით კიდევ რა?!

მხოლოდ ერთი ჩემი წადილი შემასრულებინეთ.

ასე გაათავეს სასოფლო საქმეზედ მოლაპარაკება.

## მარა ქრისტიფორი

(ამბავი)

### I

— ეჭ, ნეტავი შენ, დედაჩემო, საქმე არა გაქვს!.. გააძამ და-  
უსრულებელ ქაღაგებას და გაჩუმება აღარ იცი.

— შენ ბევრი რამ გენალელება, შეილო!. უნდა იცოდე, რა ტანჯვა  
და ვაი-ვაგლახი გამომივლია; ან ეხლა რა ცეცხლი ტრიალებს  
ჩემს გულში. მაშინ აღარ იტყოდი მაგას. შენ ასე გვონია, პოლიმ-  
პრიალები მელაგოს ზანდუქში და შენსავით ყოველთვის მაძარი  
ვიყვნეთ! აბა, ნუ მიეღოთ სახელმწიფო ხარჯზედ და ჩვენი დღე  
გდგომოდა შენცა! მაშინ ვნახავდი, როგორც არ იქადაგებდი ჩემ-  
სავით.

— შენზედ გაჭირვებული, დედაჩემო, ათასობითა და ათიათა-  
სობით მოიძოვება ქვეყანაზედ! მე მინდა ყოველ გაჭირვებულს  
დაეხმარო; შენ კი მარტო შენსკენ მეწევი.

— შეილო! ის ათასობით და ათიათასობით გაჭირვებულები  
როდი უვლიდნენ და ასუქებდნენ იმ ინდაურს, ბლალოჩინს რო მი-  
ვართვი! მანამ ყოჩივით ინდაურმა თვალები არ დაუბრმავა, სიღა-  
რიბის მოწმობა ერ დავალწივე, რომ სახელმწიფოდ მიეღოთ. რა  
შევი ქვით მომეცა გზა ან შენთვის, ან იმ ბიჭებისათვის, თუ ასე  
არ მოვქცეულიყავ? ჯერ საცოდავი მამიშენის სიცოცხლეშივე  
ვიტირდებოდა მარტოდმარტო შენი შენახვა; ის მოკვდა, შამომტა-  
ნი სახლში აღარავინ იყო, რა თვალწიყალი უნდა გამედინა? ის რო-  
ვორ უნდა დაივიწყო, უბედური დღისა მხარზე შაგისვამდა ხოლ-  
მე და ისე მიჰყავდი სასწავლებელში, ცხენის ქირაობის ილაჭი რო  
არა ჰქონდა.

— მერე, შენა გვონია დავივიწყე, ან შემდევში დამავიწყდება  
იმისი მაგი?

— ჯერ დავიწყებული მგონია და! კაცმა დღეს-ხვალ აუტის  
უნდა დაასრულო; პეკა და ფიქრი ეხლა შენშია — შენსე დღიდა ართა  
ვარგა და შენზე პატარა. შენ კი გაიძახი: თქვენ არა, სხვას, თათასა  
და ლექს უნდა ვუშველო და დავეხმაროვო. ამაზე მეტი ფასტიშული ვა  
გაგონილა!.. მე ჯანი და სული გამვარდეს, იმ ბიქებჲყულ ლექტონტეკე  
გზა მისცათ, ამ ცოდვიშვლის ჩა ვუყო? გოგო გასათხოვარია და  
ჯერ ამის ბედობაზედ ძონდი არ არის გადახვეული!

— დედანიერო, მოთმინება იქონივე ცოტაოდენი! დამაცადე,  
ერთი ველირსო სემინარიის კედლებს თავი დავალწიო და მაშინ მე  
ვიცი: შენც მოგხედავ და გიპატრონებ, ევასაც გზის გამოვუჩენ  
და ბიქებსაც ყურს მივუგდებ.

— გზის გამოჩენასაც თავისი თაბაუთი აქვს. განა ეხლა კი და-  
ერთდება ვინმე ე გოგოსა? ოღონდ კი დავთქვა და როგორც თაფლს  
ბუზი, ისე დაეხვევიან სულ კარგი და კარგი ოჯახის შეილები. რამ-  
დენმა მამიგზავნა კაცი, მაგრამ უწინ დღე გაუქრეს, თუ თავის გა-  
ნის კაცს არ ჩაუვარდება ხელში!.. გულსაც სწორედ ეგ მიკლავს,  
რომ ყველას შველა შეგიძლიან და საქმით კი არ გინდა უშველო.  
იმოდენა შენი ამხანაგები ასრულებენ კურსსა; იცნობ, გიცნობენ,—  
აიღე და ერთ-ერთს მიათხოვე შენი და, თუ ამისათვის გზის გამო-  
ჩენა გსურს.

— დედავ, შენ არ ჩამიჩინებ ყოველ დღე: სამას-ოთხასი  
თუმნის მზითევი თუ არ მოგცეს, არაეისი შერთვა არ გაძებდოვო?  
ვინ ახერი და სულელი იქნება, რომ შენი ქალი კი ცარიელ-ტარი-  
ელი წაიყვანოს?! რითა ვარ ან მე ჩემს ამხანაგებზე მეტი, რომ  
მარტო მე ვიყო ღირსი კაი ქრთამ-მზითვიანი ქალისა, და ან რა ღირ-  
სება აქვს შენს ქალს ისეთი, რომ ეს კი ცარიელი წაიყვანოს ვინ-  
მე?

— აბა, სწორედ მაგისთვისა ვდომობ შენთვის სამას-ოთხას  
თუმნიან ქალს. აიღე კაი ქრთამი და მზითევი; თუ სულ არა, ნახე-  
ვარი მაინც დაუთმე შენ დას. ვნახოთ, წაიყვანს ვინმე თუ არა!.. ვინ-  
და დაერიდება მაშინ? თუ ამისათვის გზის გამოჩენა გსურს, აი ასე  
შეგიძლიან მოიქცე. მარამ... კარგა პირი მომარიდე! გენიშნა?

## II

— ერთი მითხარი, სოსიქო, შენთვისაც განკითხვის დღედ გარ-  
დაიქცა საზაფხულოდ სოფელში ყოფნა? მაგრამ შენ ჩა ვიჭირს,

მამა გუავს სახლში უფროსად; აესაც შეასმენ და კარგსაც. და შემოგველას აშოროს დედავაცის უფროსობა და მასთან შეუძლებლება.

— რას დამნატრი, ჩემო ძმაო! თავისუფლად ხომ დაელაპარა-  
ქები მაინც დედაშენს! მე კი იმასაც მოკლებული ვარ. ჭრისწილული ვ  
უნდა ჩაიყენონ ხოლმე, როცა მამასიმთან ერთად ვჭრი და ვისტერებ

— რა დაგმართებია, კაცო! არა გრცხვენიან, რომ მაგას ამბობ? ბალი ხომ აღარა ხარ, ეხლა კაცი ხარ! რისა უნდა გეშინოდეს, ან გეხათრებოდეს?

— კაცი ვარ, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ და სამარცხვინოდ,  
გრძელები, როგორც გულითად მეგობარს, ისე მაქვს მამასიმის ში-  
ში და მოკრძალება გამჭდარი ძვალ-ჩილში, რომ სულ ერთიანად  
დავიბნევი ხოლმე და თავს ზარი მეცემა, როცა ის მელაპარაცება  
რაზედმე.

— სწორედ უბედურება ტრიალებს ჩვენს თავზედ. დიდი ბორ-  
კილია ჩვენთვის ეს მოხუცებული ხალხი! წარმატებისა და განვი-  
თარების შემაფერხებელ მთად ძველი თაობაა!.. კაცო, ამტეხია  
დედასიმი: თუ მღვდლად არ წახვედი, რამწავ კურს დაამთავრებ,  
ქვეყანა დაიღუპება.

— მამასიმი არ არის, რომ მთელი ქვეყნის შველასა და ხსნას  
მარტოდარტო მღვდლობაში ჰქონდა!

— შენა გვინია ან დედასიმს ან მამაშენს ქვეყნის დარღი აწუ-  
ხებთ? სრულებითაც არა. დედასიმს ქალი კი გაუთხოვე, ისიც  
უთუოდ სამღვდელო პირს მიეცი და იმას „ქვეყანა და ქვეყნის  
საქმე ფეხებზედ ჭიდია“ თუ, ვინიცობა არის, ჩემი და სამღვდე-  
ლო კაცზე ვერ გათხოვდა, ის სწორედ მაშინ დაიღუპება მთელი  
ქვეყანა დედასიმის ფიქრით. ამისთანა უბედურება რომ არ მოევ-  
ლინოს ქვეყნიერებას, ჩამდახის ყურში მახმალის მტრედივით: მდი-  
დარი კაცის ქილი უნდა შეიჩით ცოლად ეხლავეო და მღვდლად  
მკურთხოვო. სწავლის დამთავრებასაც აღარ მაცდის.

— შენ ჩაგდახის, ჩემო ქიტე, მარტო დედაშენი და შეგიძლიან  
კიდეც არ შეასრულო მისი ჩაძახილი. მე კი მიბრძანებს მამასიმი და  
ვერც გადავალ მის ბრძანებას.

— ფურ, შენ კაცობას კი რა უთხრა! კაცი ვიყო და ან მამამ,  
ან დედამ, ანუ სხვა რამე გარემოებამ შემაცვლევინოს ჩემი აზ-  
რები და გამხადოს მოღალატედ ჩემი იდებისა! რა პატიოსნებაა  
ვიკისრო ის საქმე, ანუ თანამდებობა, რაც ჩემს გულს არ ეცხობა,

ჩემი აზრების წინააღმდეგია? რა ვიცი, იქნება შენ ჯერ არა გრძელეს შედგენილი ცხოვრების იდეალი და გეგმა საზოგადო ისა-რეზჩედ მოქმედებისა. თუმცა, გამოტეხილს გეუბნები, მე შენებ სულ სხვა აზრი მქონდა შედგენილი. ახლაც კი მწამურებელი ჩვეულებების დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა არა რაშეც უშმისტესებელი შემთხვევითი გარემოებამ, არამედ კეთილშობილურმა სურვილებმა და მისწრაფებამ. მე ყოველთვის ის იმედი მანუგეშებდა, რომ სამოქმედო სარბიელზედ მარტო არ მომიხდებოდა გამოსვლა, რომ შენც მხარს მომცემდი და რაღას შეეძლო შეფერხებინა ჩვენი, ორის, ერთი ფიქრებითა და აზრებით გამსჭვალული მუშავის მოქმედება... მე კი ისევ მტკიცედ ვადგევარ ჩემს განზრახვას; სიკვდილის მეტი ვერაფერი შემიშლის ხელს მის განხორციელებაში. შორმეს მტლად უნდა დავედო და თავი გავსტირო მის კეთილდღეობისათვის — ამ, ჩემი აღთქმა, დევიზი ჩემი მოქმედებისა.

— აღთქმა, ეპვი არ არის, ძრიელ მოსაწონია და ჩემთვისაც სანატრელი, მხოლოდ ძრიელ მემნელება მისი განხორციელება.

— შენ, ჩემო სოსიქ, წინათაც განა არა გაცნევდი სკეპტიკობას? ახლა კი სრულიად დამარწმუნე ამაში. შენ ეპვის თვალით უყურებ ჩემს გადაწყვეტილებას. მაგრამ, მაში, ბიჭი არ ვიყო, თუ შენცა და სხვასაც არ დაგანახვოთ და საქმით არ დაგიმტკიცოთ, რის გაკეთება შესძლებია თავგანწირულ მამულის შვილსა და მოყვარის მოტრიფიალეს.

### III

სწორედ განვებამ მომიღლინა ამისთანა სამსახური; სოფელში მასწავლებლობა, ტრიალი იმ ხალხში, რომელიც უმეტესად საჭიროებს შენს დახმარებასა და შევლას. თვითონ ეს გარემოებანი გიშლიან თვალწინ სამოქმედოდ ფართო ასპარეზს.

ბედნიერადა ვთვლი ჩემს თავს. მე კი პოო.. მაგრამ რაჩიგად შეხტება და შემოტრიალდება დედაქემი, როდესაც გაიგებს ამ ამბავს. წვითა და დაგვით გამოგზარდეო. მე იმისაგან მოველოდი: გაათავებს კურსს, შეირთავს ორას-სამას თუმნიან ქალს, ეკურთხევა მღვდლად, იქნება მის ბლალოჩინობასაც შემასწრობდა ღმერთიო. ე, გოვისაც გზას გამოუჩენდაო. იმან კი გამიცრუა ყველა იმედებიო... გააბამს და დასასრული აღარ ექნება მის ამისთანა

წუწუნს. მაგრამ მე საქმე არა მაქვს იმის წუწუნდან. ჩემს  
სმენას ატკობს მხოლოდ იღუმალი ხმა მოძმისადმი მრვალეობისა  
და მთელი ჩემი არსება ემორჩილება მის ძახილს. თვალშინ მოდგა  
შარავანდედით მოსილი იღეალი მოღვაწეობისა, მისი ჟანტი ცეცხლი  
მითბობს. გზას უკეთ შედგომილი ვარ; ერთი ბიჭის უმატესობაზე კეცე  
კი ამ გზიდან შეუნდობელი შეცდომა და მომაკვდინებელი ცოდვა  
იქნება ჩემთვის. ჩემს იდეალს ერთ წუთსაც არ მოვაშორებ თვალს.  
იგი, როგორც მოგვთ ბეთლემის-ვარსკვლავი, წინ გამიძლვება და  
მეც მივყვები მის კვალს.

ამაზე უკეთესი ასპარეზი ჩემის აზრების განსახორციელებლად  
ფიქრადაც კი წარმოუდგენელი იყო ჩემთვის; სად არის ისეთი  
აუცილებელი მოთხოვნილება ინტელიგენტთა შრომისა, თუ არა  
სოფელში? ჩემი ფიქრით, ყოველი გულშემატკიცარი თვისი ქვეყ-  
ნისა და მსურველი მისი სასიქადულო მომავლისა სოფლად უნდა  
მიისწრაფოდეს. იქ არის საჭირო ცოცხალი სიტყვა, ნაყოფიერი  
მოქმედება. ამისათვის მე ყოველთვის სოფელში მიმიწევდა გული,  
მაგრამ იმ ფიქრს, რომ მღვდლად წავსულიყავი, ვერ ურიგდებოდა  
და არც რადისმე შეურიგდება ჩემი აზრები. ან რის გაკეთება  
შემეძლო მღვდლის ხარისხით? გარდა მკვდრების მარხეისა და  
ტაბლების მირთმევისა? ახლა კი უტყუარი ნიადაგი მაქვს გონებით  
ბნელსა და უვიც ხალხში მოვფინო სხივი სწავლა-განათლებისა, —  
ასე ესაუბრებოდა თავის თავს ქრისტეფორე, როცა იგი კურსის  
დამთავრების შემდეგ სოფელში სამინისტროს სკოლის მასწავ-  
ლებლად დანიშნეს.

#### IV

— მამაო, ლედელო, „უჩიტელი სულელი ხო არ არი?“ გოგო-  
ბიქებზედ ის უფრო გადარეული ჩანს. ამ დღეთ სულ ბავშვებთან  
ფუნდრეულობს და ეთამაშება. ბურთაობასა და ჩილიკობას მე კი  
ვერ ვასწავლიდი, ეგ რო არ ჩამოეთესლებინათ აქა და მაგდენა  
ჯამაგირს არ ვაძლევდეთ?

— ეგ რომ სულელი არ იყოს, ჩემო ვაბრიელ, ანაფორას ან  
მღვდლობას წიბლსა პერავდა? მღვდლობას უჩიტელობა და მასთან  
შეულლებული შიმშილ-სიმწყურვალე მდგობინა. ამას პკვიანი კაცი  
ჩიადებს, თუ არ სულელი? აბა, პკვიანი და პატიოსანი კაცი, ჩემო  
ვაბრიელ, სოფელში ვამოიქცევა, და ისიც უჩიტელად? მღვდლობა

კიდევ სხვა არის; მღვდლობას სულ სხვა პატივი სდეჭნ ჟავუანი, ქალაქშიაც და სოფელშიაც... ახ, სადა ხარ, შე ოხერო, ვევა? ვის იშტაი აქეს და ვის ფლავი უდგია? მე უნდა მქონდეს, მყერეს უფლება, რომ მომენტარებინა ჰყვიანურად. მაშინ გაცემულ უწერეს მიუკავშირს. ამ გაცივებულსა და გაწყალებულ სოფელს კი ორა ჩამოვაბერდებოდი, პირდაპირ ქალაქში ამოვყოფდი თავს.

— ეი!.. განა ისეთი ვინმეა ი უჩიტელი?

— როგორ თუ ვინმეა? კურსშესრულებული პირველი რაზ-რიადისა. მაგისთანებსა არქიელი ფოლნოსით მიართმევს ხოლმე საუკეთესო მრევლს. ეგ კი ჰქონა პნაყავს. გამაიქცა სოფელში მასწავლებლად და ცხრა მჭადაანთ საბას მეგობრათა და ამხანა-გათ გაუხდა!

— ქვეყანა ემაგრე ლაპარაკობს, სწავლულით და აბა, რაღაში ეტყობა ი სწავლა?

— არ ეტყობა იმისათვის, რომ სულელურად უჭირავს თავი.

— ეგ თუ ჰქვიანი იყოს, იმედებს ჩაიდენდა, რასაც შერება?

— აქ თითონა კვდება შშიერი, იქ, როგორც გამივონია, დედა და დაი ეხთოუებიან შიმშილით და სხვას კი წყალობას ურიგებს; ი ბიჭებს ზოგს პერანგი უყიდა თავისი ფულით, ზოგს ქალამანი, ზოგს რა და ზოგს რაო. როგორც არი ნათქვამი, შინ რომ ბალებსა პშიოლეთ, ტაბლას გარეთ რა ხელი აქვსო.

— მაგას, ჩემო. კაბრიელ, უქეუობასთან უღმერთობაცა სკირს. თუ მაგას ღმერთზედ სასოება პქონდეს, ღვთის სამსახურს გაექ-ცეოდა და კაცის სამსახურს შეუდებოდა?.. რამდენი ხანია აქ არის და კერ ეკლესიაში ფეხი არ შემოუგვამს, არც ხომ ჩემთან მოსულა! თუმცა მოვალე იყო გამომცხადებოდა, როგორც სულის მოძრვას. იქნება დაპატიჟებას ელის? მამა უცხონდა, კაცებს ვაახლებ, მობრძანდი-მეთქი!

— შე დალოცვილო, შენა, შენ ის კი არ გაგიგია, რანაირათა გლანძლავთ და გასარიელებთ ე ღვდლებსა? მუქთა ჲამიები და ქვეყნის დამღუპველები არიანო. ეგ რო აქ დიღხანს დარჩეს და ემაგრე ილაპარაკოს, მთელი ქვეყანა უღმერთოდ გადაიქცევა.

— კაი გითხარ!.. თუ იგი უღმერთო არ იყოს და ღმერთი სწამ-დეს, მღვდლებზედ, რომელთა ზედაც მაღლი უფლისა გარდამავალ არს, ცუდი რამ უნდა ილაპარაკოს? მე ბევრმა სხვამაც მითხრა ეგა

და არა მჯეროდა. შენი სიტყვა კი როგორც ჭეშმარიტი ჰლორქეფე  
სი, აბა, როგორ არ დავიჭერო? მე უთუოდ ბლალოჩინს მოვალე-  
ნებ ამას.

ეროვნული

V

გებულისა

— აბა, შვილო, დავიჭდა თუ არა ჩემი ჭკვა! განა მე შენთვის  
ცული მინდოდა და მტრობით ჩაგხიჩინებდი მღვდლად წასულიყა-  
ვი? რამოდენა დრო დაპკარე ტყუილუბრალოდ! ვისა და რისთვის  
შეალივე შენი ჯანი და ლონე? ეს გოგოც ესე დარჩა თავგამოუბმე-  
ლი, ან კი რა შავი ქვით გამოვაძამდი თავს? მე არაფერი მებადა და  
შენი ჯამავირი კიდევ მარტო შენც ვერა გყოფნიდა. შენ კი ასე  
მარტმუნებდი, რომ რასაც მასწავლებლობაში ჯამავირს აიღებდი  
წელიწადში, არა რომელ დიდ მრევლში არ იქნებოდა იმოდენა  
შემოსავალი.

მე მაშინაც გეუბნებოდი და ახლაც გაგიმეორებ, რომ თვითურ  
შენს ჯამავირს, ოცდახუთ მანეთს, არ შეაძლო იმოდენა ბარაქა გა-  
მოელო, რაც ორს აბრამის ტაბლას შეუძლიან. აი, როგორი ბარა-  
ქიანი და დერიტვიანია მღვდლის შემოსავალი! გაგონილსა და მო-  
გონილს ხომ არ ვამბობ, მღვდლის ქალი ვარ და დიაკვნის ცოლი  
ვიყავი. აი რისთვის ვიყლავდი თავსა და ვიწყალავდი გულს! შენ  
კი დავეუინა და გაიძახოდი: არ მინდა მღვდლობაო, მე მდაბიო  
ხალხს უნდა შევწირო თავიო. იმ მდაბიო ხალხმა კი არ ინდომა  
არც შენი გატაცებული სიყვარული, არც შენი სამსახური. გიჭირა  
პანლური და შეურაცყოფით გამოგისტუმრა. განა ცოტა დარდი და  
ვარამი მაჭამა შენმა დალვრემილმა, ჩაფიქრიანებულმა სახემ? დანა  
პირს არ გაგიხსნიდა, ისეთი გაბოროტებული იყავი. შენა გვინია  
მე ვერა ვერდნობდი იმ ტანჯვა-ვაებას, რაც შენ გულში ტრიალებ-  
და მაშინ? მაგრამ ღმერთს მადლობასა ვწირავ ჩემი ცოდვილის  
პირით, რომ ასე მოჰქდა. ღმერთმა ავიხილა თვალები და დაგანახ-  
ვა ცხოვრების სინამდვილე, ახლა მგონია შეიგენი, რომ საჭირო  
იყო გეცნო შენი თავი და შენიანები.

რაյი ღმერთმა გაღმოგვხედა თავისი მოწყალის თვალით და  
წალმა დატრიალდა ჩვენი ბეღის ჩარხი, ახლა აღარაფერი მიშავს,  
ვითომც ერთ დღე შავი არ მინახავს. მართალია, აქამდის ტყუილ-  
უბრალოდ იშრომე, მაგრამ არც ახლა არის წასული დრო; ახლაც

შეგიძლიან კეთილად მოაწყო შენი საქმეც და ჩვენიც... ღ დეკანზე  
კიდევ შემოუთვლია: ჩემი ქალი შეირთოსო და ყველაფერში და-  
ვეხმარებით. მე მასმენინებდნენ: ძლიერ არის დაბეჭდებულება გვი-  
მდვდლობას კი არა, დიაკვნობასაც აღარ მისცემენ. ტრადიციული ეს  
გული მისცედობდა, სანამ პრინცეს მოგვცემდნენ. რა ვიცი, როგორ  
იქნება კიდევ საქმე! მეშინიან არაფერი გიმტროს ვინმემ კიდევ...  
ღ დეკანზი გავლენიანი კაცია; დიდად საჭიროა შენობის იმისთანა  
კაცის დახმარება. სხვაც არა იყოს რა, სასახელოა იმისთანა კაცის  
სიმამრობა. მართალია, დარჩომილი ქალია, მაგრამ ხნიერი არა ყო-  
ფილა. არც თვალად-ტანად უჭირს რამე თურმე. ქრთამი კი სამასი  
თუმანი ნაღდი აქვს მზითევს გარდა. მე ეს კარგად ვიცი, სამასი  
თუმანი, შვილო, ხუმრობა არ არის. ამ ფულით ე ცოდვიშვილსაც  
მოიშორებ და ღმერთი მაღლად მოგწევს, შენ საქმესაც რიგიანად  
მოაწყობ. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ნათქვამია. ფული რაკი  
გექნება, ყველაფერს ადვილად შეისრულებ. უკეთეს პრინცესი  
გადასვლას, ანუ, ღმერთო, კეთილის ყურით გაიგონე, ბლალონინო-  
ბის შოვნას ძრიელ აღვილად მოახერხებ ფულების საშუალებით.  
ქრისტეფორე ახლა აღარ ეწინააღმდევებოდა ღედას, ხოლო თავ-  
ჩიქინდრული და გაბუებული უსმენდა.

## VI

— დასწუევლოს ღმერთმა, კიდევ არ მეწვევნენ მტანგველი  
ფიქრები.. როგორ დავალწივო თავი ამ მრავალრიცხვან ჭალა-  
თებს? როგორ ჩავაჩუმო, ნეტა, ქეჩნა სეინდისისა?.. იმ ორ-სამ  
დღეს თოთქოს დავიწყებას მივეცი ყოველივე; აღარაფერი მომსე-  
ლია ფიქრად. მაგრამ, რა, გონება კი აღარა მქონდა, რალა ფიქრი  
და მსჯელობა შემეძლო? თუ ის სადილი, ის გამუდმებული ღო-  
თობა არა, უთუოდ ტყვის ვიკრავი საფეხქელში. ჩემს ერთად-  
ერთ მხსნელად გამოუთქმელი ტანგვისაგან ტყვიაღა მიმაჩნდა.  
მხოლოდ იმ ღოთობამ რალაცა სასწაულებრივი გავლენა მოახდი-  
ნა ჩემზედ, ჩემს აზრებზედ: გასწყვიტა ის ძაფი, რომლითაც ჩემი  
მტანგველი და უსიამოვნო ფიქრები იყვნენ გადაკინძულნი...

ოჲ, რა სისაძაგლეა დაქარგვა ყოველი ადამიანური ღირსებისა  
და თვისებისა, რაც სიმთვრალეში მოსდის კაცს, და დამზგავსება  
პირუტყვისა!.. მაგრამ რას იზამ, როცა ჩაგითრევენ ბახუსის თა-

ყვანისმცემელნი თავის წრეში, მეტი გზა აღარა გაჭვის, უძრა  
უთუოდ დამორჩილო ბედს... ვაი, ჩემი კეთილშობილური მარე-  
ბო, მისწრაფებანი უნდა დაგთმოთ, გამოვეთხოვოთ სამუდამოდა?..  
ეს მომავალი დამიმზადა ბედმა? მეც იულიან განტვრტებული  
უნდა წარმოვსთქვა სასოწარკვეთილებით: შენ ჭრისას უკეთესებ  
სოფელო, ცხოვრებავ, დღიური ლუკმის საჭიროებავ?..

ოჲ, რა ტარტაროზული დაცინვა გამოიხატა თამადის სიტყვებ-  
ში! „ვითარცა ცათა შინა ანგელოსნი ჰხარობენ მოქცევისა ერთისა  
ცოდვილისასა, ეგრეცა ჩვენ დღეს ქვეყანასა ზედა ვიხარნით მოქ-  
ცევასა შენსასა ჩვენდა. და ვითარცა უძლები იგი შვილი მოეგო  
გონსა თვისსა და მოიქცა მამისალმი თვისისა, ეგრეცა შენ, მომა-  
ვალო ქრისტეს მიერ ძმაო ჩვენო, მოეგო გონსა და მოიქცეცი  
მაღალ-ღირსს მამისა ჩვენისა დეკანოზისალმი, რომელი არს ბურ-  
ჯი და სიმტკიცე მართლ-მადიდებელი უკლესისა, ამისთვისცა  
ვიხარვით ჩვენ ყოველნი უმცროსნი ძმანი და მორჩილნი მისნი“. ამისთანა დაცინვასა და დამცირებას შესძლებს და მოიგონებს მხო-  
ლოდ ანგელოზი და მსახურნი ბელზეულისა.

საზიზლარია, საზიზლარი ის წრე, რომელსაც შეადგენენ იმის-  
თანა პირნი. მაგრამ რა გაეწყობა? გარემოებამ ძალაუნებურად  
უნდა ჩაგრძელონას ამისთანა წრეში. ნუთუ ადამიანის ბუნება  
ისეთი ცვალებადია, რომ ყველაფერს რაც კი მოიპოვება შენში  
ჩეთილი, დასთმობ, დაპკარგავ და გახდები თანამგზავრი თუნდ იმ  
„პატიოსან“ მამა თამაღისა, რომელიც იჯდა გაუნძრევლად მთელი  
ორი დღე და შეუსვენებლივ ისხამდა მუცელში ღვინოს? და რაც  
უფრო გასაკვირველი და ჩემის შეხედულობით საზიზლარია,  
აქებენ, თითქმის თაყვანსა სცემენ ამისთანა პირს. ჯერ არც ერთი  
გამოჩენილი მამულის შვილისათვის არ შეუსხავთ ისეთი ქება-  
დიდება, როგორითაც ყოველთვის აჯილდოვებენ ღვინის სმაში  
განთქმულ პირს. (თუმცა არ შეიძლება მართლაცა და კაცმა არ  
უწოდოს გმირობა იმ გარემოებას, რომ მთელი კვირა იჯდე ერთ  
აღგილს გაუნძრევლად და ჯერზედ თითო ჩაფ ღვინოს ჰსეამდე).

ვნახოთ, დღევანდელი დათრობა როგორლა იმოქმედებს ჩემ-  
ზედ. აშეარა არის, დღესაც ძრიელ ძალას დამატანენ და დამალე-  
ვინებენ. ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, წამიკითხავს ხოლმე  
ფიდო მღვდელი, როცა მომაწვდის თეფშედ დადგმულ ოთხს  
ღვინით სავსე სტაქანს.

ლამის არის გასტრას ფილო მღვდლის „წამალმა“: თუ გინდა, რომ სრულიად მოიგდებინო თავიდგან კაეშანი, რომ უკურნებელი სულთა მოგონებათა წყალობით დაუდვია გულმრავალი შექმნავ ბინა, ერთგულად და ერთ სულად შეუდევი თაყვანის ცემასა წმინდისა ამისა ზედაშიშასა: ვინაიდგან ესე არს წამალი უებარი, გამკურნებელი ყოველთა სენთა, ვითარცა ეგრეთცა სულიერთაო. მართლაცდა თითქოს, ლოთობის შემდეგ, ისე ხშირად აღარ მეწვევიან ხოლმე შემაძრწუნებელი ფიქრები. ცვლილებას დიდსა ვხედავ ჩემში, დღეს, ნამეტნავად, უფრო თავისი უფლად და მოსვენებითა ვკრძნობ ჩემს თავს; სჩანს, მართლა, ვკურნები.

მაგრამ დახე სოფლის გაუტანლობას! მის უკუღმართობას! რაც წინად მიმაჩნდა გონებრივი და ზნეობრივი სისალის, სიმრთელის ნიშნად და საფუძვლად, რის შეძენასაც შევალივე ჩემი ჯანი და ღონე, ეხლა იგივე მიმაჩნია სწრე, რომლისაგანც ვცდილობო განკურნებას. ნუთუ ჩემს ცხოვრებაშიაც უნდა დადგეს ისეთი ხანა, როდესაც ვსჭიდე თუნდა ისე, როგორც ჩემი სიმამრი — უველასაგან პატივცემული დეკანოზი. ყოველი ეგ, რასაც შენ კეთილშობილურ აზრებსა და მისწრაფებათ უწოდებ, არის მხოლოდ უნაუკოფო თცნება, — შედეგი ჭაბუკის სისხლის მღელვარებისაო, — მიმტკიცებს იგი ყოველთვის წარბშეუხრელად, — და ნუთუ სიძნელეს უნდა შეადგენდეს შენთვის ოცნებათა დათმობა, რომელთაც სინამდვილესთან არა რაიმე კავშირი არა აქვთო. როგორც ღვთისმეტყველების მცოდნეს, მამა აბრაამის მაგალითი ყოველთვის თვალწინ უნდა გედგეს და გამხნევებდეს ამ შემთხვევაშიო. უბრალო მღელვარებაც კი არ დასტყობია მას, როდესაც ღვთის ბრძნებით მსხვერპლად სწირავდა თავისს ერთადერთ ძესაო. აბა, შეადარე, რა დიდი განსხვავება არის მის მიერ ჩადენილ სინამდვილესა და შენს ოცნებათა შორისო. თუ მკითხავ, ვის ან რას უნდა მიუტანო შენ შენი თცნებანი მსხვერპლად, გეტყვი, — ღვთის სამსახურსაო.

საითქენ მითითებენ მამანი? — რაც დიდის მეცადინეობითა და შერომით შევიძინე ნეტარს ჩემს ყმაწვილკაცობაში, და რაც შეადგენდა ჩემს გონებითსა და ზნეობითს საუნჯეს, ყოველი ეს ახლა, ორთავე მამათა რჩევა-დარიგების თანამად, დათრობის საშუა-

ლებით უნდა გამოვფხიქო, გამოვგავო ჩემი არსებიდან და, როცა  
გორც უსუფთაო რამ გადმოვყარო გარეთ; საგველათი უნდა ჩა-  
მოვბერტყო ჩემი არსების ყოველი კუნკულიდან. ჩატავ, წიტურული  
ლიც კი აღარ დარჩეს მთელ ჩემს არსებაში. კუნკულიც კარგი  
ვთქვათ, ამისათვის კიდევაც უებარია ფილო მღვდლის „წამალი“  
ვგრძნობ მის „გამაკურნებელ“ ძალის. მხოლოდ სრულიად გან-  
კურნებისათვის, ესე იგი, მანამ სეინდისი ჩემი მთლად არ ჩაჯდება  
სისაძალისა და სიბილწის აბლაბულები, როგორც აბრეშუმის ჭია  
თავის პარტი, მაინც დიდი დროა საჭირო. ვიღრემდის უკანასკნე-  
ლი ფერფლი აბლაბულისა არ გადაეფარება და არ ჩაქრობს სრუ-  
ლიად მისუსტებულ ბჟურვას სინდისისას, არა მგონია მე დავკარ-  
გო ნიჭი გრძნობისა. ნეტა, რა ყოფაში ჩავვარდები, როგორ პირის-  
პირ შევხვდები ჩემს ამხანავებს?.. სიტყვით, ვიცი ისინი ვერაფერს  
გამიბედავენ, მხოლოდ სახითა და მისი გამომეტყველებით კი,  
ბევრს რასმე მაგრე მაგრძნობინებენ. ახლავე თვალწინ მიდგა იმათი  
ირონიული ღიმილი. კიდეც ეს ღიმილი იქნება სწორედ უსაშინე-  
ლესი სატანჯველი ჩემთვის; იგი სრულიად გაანადგურებს და  
დასთრგუნავს ჩემში თავმოვარეობასა და ყოველგვარ აღამიანური  
ლირსების ნიშან-წყალს... განა მე კი ასე არ მოვიქცეოდი სხვისა  
იდგილს რომ ვიყო? ეხლა ხომ, თითქმის, ნახევარი აღამიანილა  
ვარ. მაგრამ, რომ განაწილდებოდეს ჩემი არსება ორად: ერთში ის  
მოთავსდეს, რადაც უნდა ვიყო მამათა მოთხოვნილებითა და სურ-  
ვილით, ხოლო მეორეში დავრჩე ამ დაძაბუნებული, ძირფესვია-  
ნად შერეული თვისებებით, — თვითონ მეც გავეიტავდი მომა-  
ვალ ჩემს თავს... წმ. მამებმა შეაგინეს, გაქელეს ჩემში ყოველი  
აღამიანური ლირსება; ნუთუ ამის შემდეგ, ჩემი ამხანავებისათვის  
უფრო უპრიანი და სამართლიანი არ იქნება დაპერმონ ჩემში, რაც  
დასაგმობელია?

ასე, ყველასაგან ნიშანდებული და დაჯილდოებული ვიქნები  
მომავალნი თანამშრომელნი ჩემნი დიდის მეტადინებით და ყო-  
ველი ღონისძიებით ანადგურებენ ჩემში აღამიანურ ლირსებებს;  
ჩემი ნაამხანავარნი თვისი ღიმილით ჩაუყურჭუმელავებენ ჩემს და-  
ძაბუნებულ არსებს შხამის მორევში. ჯერი ახლა ჩემზედ მოღებება,  
მეც რაღა დამრჩომია ამის მეტი; დავახშო ჩემში ყოველი სინდისით  
შემკულ-შეზავებული აღამიანური გრძნობანი, ანუ პირველი  
ანდერძი ავუგო ჩემს სინდისს. მხოლოდ მაშინ შემეძლება წარბ-

შეუბრელად მოუდგე თავს უოველი გარდაცვალებულის ქადაგის  
და მკაფიოდ დავძახო: „სულთა თანა აღსრულებულთა„

### VIII

— მამაო დვდელო, უნდა შეგვაძლებინო შენი ჰირიმელი წმინდა ერთ-ერთ ნი შვილები ვართ; ცოცხლებიცა და მკვდრებიც თქვენი ვართ. თუ ოქვენ, ჩენი მოძღვარი და სულის მამა არ შეგვაძლებინებთ, არ შეგვიძრალებთ, სხვა ვინ წაგვიყვანს იოლას?.. გვიყურთხე ე მარილი შენს მაღლს!.. მა, შინ ხომ ვერ ავამყროლებ ი მიცვალებულს! იმას არ გამოუდგე, ოლონდ ეხლა ნუ დამაღონებ, ე მარილი მიკურთხე და, მივაძარებ თუ არა მიწას, ან აქეთ ვეცემი, ან იქით; თავში ქვას ვინლი, საცა იქნება, ვიშოვნი და მოგარომევ. ამ ე წინგასაძლოლი კი ეხლავე მიირთვი.

— მე წინგასაძლოლს კი არ გთხოვ, მე გთხოვ მამიშენის საწირავს! არ ედროვება მოცემა? შენი ყმა ვიყავ, თუ მამიშენისა, რომ ვულოცე, ვუწირე და, ეს მეოთხე წელიწადი მიდის, ჯერაც გროში კაპეიკი არ ვიცი? აი მე ამასა გთხოვ და კიდეც მოგათხრევინებ ამ საათში! წინგასაძლოლი სად წამივა... პო, იმედი ხომ არა ვაქვს, რომ ან ის დავკარგო, რაც ზედა გმართებს?

— აბა რასა ბრძანებ, ბატონო? იმედი რათ მექნება! ღმერთმა დამიტაროს, მე მკვდრის ვალი შეიტრინო!.. რა ვენა, აქამდისაც არ დავაგდებდი მოუცემელს, მაგრამ ი დალოცვილმა ღმერთმა რო აღარ ამახედა მაღლა! ცალკე სიკვდილმა, ცალკე მოუსავლობამ სული ამომხეოვს. ეხლაც მხარი მომტეხა ი დალოცვილმა, შემომტანი მომიკლა და მისი ქვრივ-ობლები შესანახი გამიხადა, ამა რა წყალში ჩავვარდე?

— რად შემომიკვეთე მთელი წირვა, თუ საწირავის მოცემის ილაპი არა ექონდა?

— მაშ რა მექნა, შენი ჰირიმე, უსულადოდ ხომ ვერ გადავაგდებდი? მშობელი მამა იყო!.. ქვეყანა ასე ტრიალებს, შენი ჰირიმე. როგორ გამოერჩიოს ქვეყანაში კაცი! შენმა მაღლმა, გაფიცები მაღალ ღმერთს, ვიშოვნი საცა იქნება; სწორედ დავტყვევდები და შენ კი მომდურავს არ გამოოფებ, ხო მოგეხსენება, შე დალოცვილო, გლეხი კაცის საქმე?.. დიახაც კარგი იყო ჩეკნთვისაც, რო შეძლება გვქონდეს: შენც მოგარომა შენი საწესო, ხელმწიფესაც, ბატონსაც და ჩვენც კუპი მაძრაჩი გვქონდეს. მაგრამ რო არ ვაძლევს მაგდენს ი დალოცვილი ღმერთი!

— მე კი ჩემი უნდა ჩამაბაროთ და თუნდა მიწაში მოთხოვთ,  
მე რა მენალვლება.. შენ შემშილსაც აიტან, სიტიტვლესაც, შე-  
შიშველობასაც; მე და ჩემს ცოლ-შვილს კი არ შეგვიძლიან ეგეები  
და ორც შეგვფერის. ფეხშიშველი და მშიერის მუცურაზ ჭურჭელია  
როთ? საღაური სამართალია ერთი შვილის შენაუზე ტყეშეკუტებე  
ბელში თვეში სამი თუმანი მიჯდება! ოთხ-ოთხი კიდევ სხვა მეზრ-  
დება. რითი შევინახო და გამოვზარდო ისინი, თუ შეწნედ სამკვდ-  
რო დარჩება, მეორეზე სანათლობო, მესამეზე დრამა?

— განა მე თითონ არა ვწუხვარ, ბატონი მკვდრის ვალი  
უველა ვალზე მძიმეა... ნულა მაღონებ, შენი ჭირიმე, მიუროთხე ე  
მარილი, ტყვია ჩამესხას პირში, თუ ტყუალს მოგახსენებდე:  
ვეცლები, ვიშვენი საცა იქნება და მამიჩემის სამკვდროსაც და  
ი ბიჭისასაც ერთად მოგართევ, ი დალოცეილმა ღმერთმა გამა-  
მიგდო ამოდენა ძალა, შენ მაინც ნუ დამაღონებ ამაზე მეტად.

— მეტად კარგია ერთი, ნუ წაიღე ძალა-ძა! გეუბნები, რომ  
არ გიყუროთხებ მარილს და ორც დაგიმარხევ ძმას, სანამ არ და-  
მითვლი ჩემსას! შენ თუ გვინიან, მოტყუებისა მეშინიან! როგორ  
შეუძლიან ვისმე მომატყუოს? შენც კი მიხტოდი აქამდის გამზე,  
მოტყუება გინდოდა ჩემი განა? ვერ მოგართვი! ღმერთი დიდია,  
იგი არასოდეს არ დაივიწყებს თავისთა მოსავთა: აი ჩამიგდო შენი  
თავი ხელში და აქამდის თუ განზე მიხტოდი, ასლა ჩემ ხელში  
იხტუნე, სანამ მოგეწყინებოდეს! უველასაც ეგ დლე მოელის; მე  
ვერავინ წამიგა ხელიდან!.. მოტყუებისა კი არ მეშინიან! მე იმასა  
ვწუხვარ, რომ მრევლი ვერა მყავს წესიერად დაყენებული! ჯერ  
ჩემს წინა მოადგილეს გაურყვნიხარო, მეც წინა პირველადვე ვირ  
ამოგდეთ პირში ლაგამი და თავს გახვედით. მაგრამ ქარა! მე არ  
მოწონს ესა და ვეღარც მოვითმენ ამას შემდეგისათვის! მრევლი  
ჩემს ქკუაზედ უნდა მოვიდეს და არა მე მათამაშოს მრევლმა თავის  
პეტაზედ. ვასრულებ რაიმე წესს, საწესო მზად უნდა იყოს, ან არა-  
და წინადვე უნდა ჩამბარდეს!.. საკმარისია, რაც აქამდის ვით-  
მინეთ!

## IX

— თქვენი საღლეგრძელო იყოს, მამაო ბლაღონინო! იშვ, რა  
კარგად მოგიხდათ სიტყვა „ბლაღონინო“! უოვლად მოწყალე  
ღმერთმა ნუ მოგაყლოთ წარმატება და გამარჯვება უოველთვის,

ყოველგან და ყოველსახედა. ღმერთმა თქვენი დეკანოზობაც მისი  
გვაჩინოს!.. გავიგე თუ არა ეს სასიამოვნო მმავი, გული არა  
დამიდგა შინ, მოვაჯექ ჭურანას და გამოვეუსლე!.. არა მარტო მე,  
ჯველანი ცათა ფრინვას მოვეკიდენით სიხარულით, მტკქმედ წესები  
არა თქვენი ბლალოჩინად დანიშნა. თუ საზოგადო ტექნიკური უკან  
გატაცებამ არა, მაში რამ მოგვიყვანა, ეხლა ეს ხუთ-ხუთი მღვდელი  
ერთად მოსალოცად, თითქოს პირობა შეუერავთო? მაგრამ კი  
ტოშბახი კი გმართებს. დღევანდელი დროების გატარება მხოლოდ  
შესავალი იქნება მომავლისათვის; ისეთი ქეითი უნდა გაგვაწევი-  
ნო მთელ საბლალოჩინოს სამღვდელოებას, რომ ჭული ჭერსა  
ვერათ და შალვარი ცეცხლს...

— არა, დეკანოზობა სად წამივა? მე არ მეჩქარება დეკანოზო-  
ბის მიღება! რაც სულითა და გულით გსურთ, აი თუ ჩემთვის სი-  
კეთე და სიამოვნება გინდათ ვისმე, იმის მოპოვებაში შემიშევთ  
ზელი. ისეთი ღონისძიება მომიპოვეთ, რომ ღვინის სმაში პირვე-  
ლობა დაივიტო. მაგრამ რა ბიჭები მოინდომებთ ამას!.. ფიქრი არ  
არის, როგორც სხვა ყოველი მოვაგვარე, მაგ მიზანსაც მივაღწევ-  
აბა მაშინ მამილოცე გულიანად, როცა შენზედაც გავიმარჯვებ  
ლვინის სმაში! აი ბიჭობა მაშინ იქნება! თორებ ეხლა რა გეხარ-  
ჯება შენ?.. მეტოქებად ორნიღა მყევხართ. ოსტატს ხომ ვაჭობე,  
ახლა თქვენზედ მოვიტან იერიშს და, იმედია, ძლევამოსილიც  
გამოვალ ომიდგან. იმისი თავდები არის ჩემი გამარჯვება ოსტატ-  
ზედ, იმ ოსტატზედ, რომლის წინაშე ვგრძნობდი ერთ დროს ჩემს  
არარაობას და კრძალვა-მოწიწებით შევყურებდი. ახლაც კი დიდ  
ჰატიგსა ვცემ მას, თუმცა თითოეულია ჩემთან. ან, სადა მყავს  
ეხლა ფიდო, ჩემი ოსტატი ფიდო! იმან დამაყენა კეშმარიტ გზა-  
ზედ, იმან მაგემა ნეტარება ამა ქვეყნისა, რომელსა შინა ვიყავი და  
რომლისა ცნობად თვალთა ხედვა დახშული მეონდა. მხოლოდ  
ფიდომ ამიხილა თვალი ხედვად. რა დამავიწყებს მე იმის სიკეთე-  
სა და ამაგს? ფიდომ მიხსნა ორისავე ქვეყნის სატანჯველისაგან.  
თუ ის არ შემსწრებოდა, მე ახლა ვიქნებოდი განსვენებული წი-  
ალთა შინა ტარტაროზისათა; რადგანაც ერთ დროს ამეციატა სუ-  
ლელური აზრი — ტყვა მექრა შებლში! ამითი მინდოდა, ვითომ,  
გამომეცხადებინა დაუნდობელი წუთისოფლისათვის საყვედური  
და თანაც დამეღწია თვი ამქვეყნიური ტანჯვისაგან, მაგრამ მამა

სპირიდონმა სულ უბრალო და მასთან უებარი საშუალება მასწილა და, ორისაც ჯოჯოხეთიდან დამიხსნა.

მართალია, მომავალი ღმერთმან უწყის, ხოლო კერძერობით ისიც საქმარისა, რომ ამქვეყნიური ჯოჯოხეთი შემიცუალური ჩეტები რებად. მოდი და ნუ შეიყვარებ ფიდოსა და მისგრუადულებულებებს და დამატებით უფლითა შენითა, და უოვლითა გულითა შენითა, და უოვლითა გონებითა შენითა! მოდი და ნუ ივარჯიშებ, ნუ დაპხელოვნდები და ნუ მიაღწევ უმაღლეს წერტილამდე ღვინის სმაში, როდესაც იგი გავიწყებინებს უოველსაც მსოფლიო ზრუნვას და გაგრძნობინებს მხოლოდ და მხოლოდ ნეტარებას! ჩვენ სასუფეველს სადღაც ვეტებთ და სასუფეველი კი ჩვენს ახლო იმყოფება — ღვინით სავსე ქვევრებში! ქეშმარიტად ნეტარ არს ქართველი ერი, რომელმაც დაპბადა ქვეყანაზედ სასიქადულო გმირნი! უფრო სინამდვილით კი რომ ითქვას, იყო ნეტარი, თორემ სად არიან ახლა ის შეიღნი მისინი, რომელნიც პირში ძაბრს იდგამდნენ და ისე ისხამდნენ ჩაფით ღვინოს? გაპქრნენ, ვითარცა კვამლი, ეს დევგმირნი, ეს დიდებულნი ქართველნი! აღარც თავადში, აღარც გლეხში აღარ მოიპოვებიან ამისთანა მანათობელნი და მოციქულნი ნეტარებისა მხოლოდ ერთადერთი წარმომადგენელი მათი და დამცველი ქართველი ერის ძვირფასი საუნჯისა არის ამ უამაღ სამღლელოება. მაშასადამე, ვაშა სამღლელოებას ვითარცა დამცველს ძეირფასი საუნჯისას!.. მაშ, განაძლიეროს ღმერთმა ჩვენი სამღლელოება... აბა, მამაო სვიმონ, ერთი დაიძანე: დღე... ეს საღმრთო... მან მაღლმა...

## X

— მამაო ბლალოჩინო, თითქმის ყველას, ვისაც ჩემზე გაცილებით საუკეთესო მრევლი ჰყავს, მოუტანინე ჯამაგირები — მე რაღა დავაშავე? რა არის მიზეზი? რატომ ჩემთვისაც არ ანიშვნიერებ?

— როგორ, მე რა ვისიმე ჯამაგირის დამნიშვნელი ან მომტანი ვარ? ვისაც ჯამაგირი ჰსურს, ცდილობს და კიდეც იღებს!

— ვინ იწება ისეთი სულელი და რეგვენი, რომ ჯამაგირის მიღება არ უნდოდეს?

— აბა რა ვიცი! ალბათ მოიპოვებიან ისეთი პირნი ჩემს საბლა-ღოჩინოში!

— თქვენა ხუმრობთ, მამაო ბლალოჩინო, მე კი მართლა  გახსნებთ.  
— მეც მართალს მოგახსნებთ!  
— თქვენ რაღაშედაც მიწყრებით, ბატონი! ეჭვერაზე მოვალეობა რამე სიცირულეს ჩაგახარებლნენ ჩემს შესახებ, უტუტლა და შესასისება დიაკვანმა ისახელა თავი.

— არავისაც არ უსახელებია შენს შესახებ თავი! ერთადერთი გარემოება, რომელიც ჩემს უქმაყოფილებას იწვევს შენზედ, არის ისა, რომ ლვინის სმაში კიდევა მჯობნი და ჯერებობით ვერ დავრავე ხელი, მაგრამ ეს გარემოება შენი ჯამაგირის მიღებაშიაც უკან დავაუყენ. შენი უკან დაყყნება სრულიად ჩემი ბრალი არ არის. ჰყითხე იმათ, ვინც ჯამაგირები მიიღეს, როგორ მოიქცნენ? რატომ შენც არ მიპაძე მათ?

— მე მგონია, თუ ითაყილებდით ჩემგნით ქრთამის ალებას, რაკი მეგობრული განწყობილება გვაქვს ერთმანეთში.

— ფულებს ისეთი ძალა აქვთ, ჩემო ბესარიონ-ბეგ, რომ შეგობრობასაცა და ნათესაობასაც გვერდზედ გადაადებინებენ კაცები! რომ არ გებადოს და თვითონ შენ გიჭირდეს, კიდევ ჰო, მაგრამ, რომ გაქვს! ერთი ხმელი კაცი ხარ და შენსავით ხმელი ცოლი გყავს: ვისოდის, ან რისთვის გინდა ის თხერი ფულები? მე კი გუშინ ჩემი სულიერს წერილი მომივიდა; მწერს, საჩქაროდ ექვსი თუმანი გამომიგზავნეო... შენ რომ კვეთა გქონდა, აქამდის გული ორდენებით უნდა გქონდეს ჭრელებული და კამილაუკაც კი არა გაქვს გერ! იცი, როგორ ატისტაციას აცხობენ ფულები?

— ემაგრე მაცოდინებდი, შე დალოცვილო! მაშ, დავდოთ ახალი პირობა: ფულები ჩემი, ჯილდოები შენი, — ჯერ კი ჯამაგირი მამიტანინე; მეგობრობა შენი, ქვრივები ჩემი. მაგრამ მეტისმეტად ნაყოფიერი კაცი ხარ და მეშინან ქვრივებიც არ გამინაყოფიერო და მეც წიხლი არა მკრან. ჩემი კი სრულიად არ ეშინანთ, თავისას ვერაფერს უშერება, ჩენ რაღას დაგვაყლებსო. შენ ქმრიანები, მე ქვრივები! მაგრამ მგონია ფოფოდია დანას მიღებას!

— შენ ფოფოდიას ან სხვას რას დასდევ? ფოფოდიას თუ დაუკავები და შევუურე, მე ვიცი სიამოვნებით ამიძგერებს გულს მისი სიმშვერიერე! როცა ჩემზედ თხოვდებოდა, მაშინვე უნდა ეგრძნო ის, რასაც ახლა ჰქედავს და ესმის!



ძმაო და შამაო ონისიმე! მივიღე შენი წერილი და ცუკი პოვე-  
ლივე.

რად ვიქირს, ჩემო ძმაო, ჩემი ესრედ გარდაქშემ ცუკი მიმდევა  
ტალების წყალობით? ნუთუ ერთადერთი მე შევადგენ თითო  
საჩვენებელ მაგალითს? განა მარტოდმარტო ჩემი „რწმენანი“ და  
„მისწრაფებანი“ დაუთრგუნია, გაუნადგურებია წუთისოფლის ვი-  
თარებას? მიიხედ-მოიხედე, შე კაი ადამიანო, მარჯვნივ და მარცხ-  
ნივ: ყოველგან დაინახავ არა ასა და ათასს მაგალითს, არამედ  
ლეგიონს!..

შენი წერილის აზრს მე კარგად მივხვდი. შენ მე ნიშნს მიგებ,  
რომ სემინარიაში ყოფნის დროს ყოველთვის მიმდევარი და მქა-  
დაგებელი ვიყავი მაღალზენეობრივი პრინციპებისა. რომლითაც  
უნდა აღჭურვილიყო ყოველი ჩვენგანი საზოგადო ასპარეზზე  
მოღვაწეობისათვის; მხოლოდ ცხოვრებაში ვმოქმედობ მათ წი-  
ნააღმდეგ; რასაც სემინარიაში ვკიცხავდი, ცხოვრებაში მისი მიმ-  
დევარი ვარ, — ეს არ არის შენი წერილის აზრი? უარს ვერ იტყვი  
ამაზე! მაშ, ამის პასუხად მეც ერთს რასმე გყითხავ: ვინ არ გადაქ-  
ცეულა ცხოვრებაში ნამდვილ მატლად ხალხს იმ ჭრილობისა,  
რომლის გასამრთელებლად თვის სიჭაბუკეში გატაცებული ეგძებდა  
მალამოს? თუ კაცი ხარ, დამისახელებ თუნდა ერთს მაგალითს!

ეჭ, ჩემო ოსიკო! რაც სემინარიის კედლებს მოსწავლეთა პირი-  
დან ამოსული სიკეთე პსმენათ, მისი მეასედიც რომ გაეგონა იმ  
ხალხს, ვისი სამსახურისათვისაც ემზადება ეს ახალთაობა და მხო-  
ლოდ გაგონილის მეათასედი შეეგნო და შეეთვისებინა. მერწმუნე,  
როგორც ზნეობრივ, ისე გონებით განვითარებაში დღეს ვერც  
ერთი კუთხე ქვეყნიერობისა საქართველოს ვერ წაუვლიდა წინ!..

ჩვენ სემინარიაში მაღალი ფრაზებით ვსჭიდით, ლოლიკურის  
სიმტკიცით ვადგენდით გეგმის ჩვენისავე ფანტაზიით შექმნილი  
ხალხის სამსახურისათვის; თავებსა ვსწირავდით მის კეთილდღეო-  
ბისათვის; მხოლოდ ამ დროს ერთი რამ გვავიწყდებოდა ჩვენ —  
უბადრუკო. აი რა: მოღვაწეობის დროსაც იქნებოდა ჩვენი კუპი  
უზრუნველყოფილი, როგორც სემინარიაში ყვირილის დროს? აი  
აქა მარხია ძალლის თავი.

ცამეტ-თოთხმეტი წელიწადი სხვისა ხარჯით იკვებები. იცვამ,

იხურავ — ძვალსა და ობილში გიჯდება მუქთა ჭამიაობა. ოაღაცა  
 ძილს ეძლევი: გვინდა, თუ სულ ასე იქნება შენ სიცოცხლეში  
 საზრდო-საცხოვრებელისათვის აღარ დაჭირდება შრომა და ტაზ-  
 ვა, ფიქრობ: მაშ რა უყო, თუ ჩემ ძალ-ღონეს მოყვაჭრე სამართლებული  
 რისათვის, მისი კეთილდღეობისათვის არ მოვიხმარებული მუშაობის  
 შვიბიდან არ შეეჩივე გაჭირებას, შენისავე შრომით მუცლის  
 კამოვებას, ყოველივე თვითმოქმედება, გამჭრიახობა, ენერგია  
 გიჩლუნგდება და ამ დაჩლუნგებული იარაღით გამოპდიხარ საომ-  
 რად წუთისოფლის უკუღმართობასთან. რასაკვირველია, ძლიერ  
 ადვილად დაპმარცხდების აი რა შეგვმატა ჩვენ სემინარიაში სა-  
 ეკლესიო ხარჯზე აღზრდამ! აბა ბავშვობიდანვე შევჩვეულიყავით  
 გონივრულსა და ნაყოფიერ შრომას; გამოვჭედილიყავით გაჭირ-  
 ვებაში, ვვესწავლა მოთმინებით ატანა ყოველნაირი (ფიზიოლო-  
 გიური) ნაცლულოვანებისა: თუ პირველივე ნაბიჯის გადადგმა  
 ცხოვრებაში სასწარიკვეთილებას მოგვეგრიდა? მე დარწმუნებუ-  
 ლი ვარ, არ დაგვემართებოდა ასე, თუ რომ სასწავლებელშივე  
 შავიგნებდით ცხოვრებას თვისი სინამდვილით. ამ შეუგნებლობის  
 მიზნით ხდება, რომ ფეხის გადადგმის უმაღვე ცხოვრებაში იგი  
 გვეჩვენება დაუსრულებელ უფსკრულად, რომელიც ყოველ წამს  
 შთანთქმას გვიქადის. ან რატომაც არ უნდა გვეჩვენოს უფსკრუ-  
 ლად? აბა წარმოიდგინე, რა დაემართება ძუძუთა ბავშვს, რომლის  
 სტომაქს გარდა დედის რძისა არაფერი მიჰყარებია, უცბად რომ  
 ააღმინოს ძუძუზე ხელი და მთაკლონ ყოველი მზრუნველობა  
 დედისა? სწორედ ამისთანა უსუსურ ბავშვებს წარმოვიდგენთ  
 ჩვენ — 24-26 წლის კაცები სასწავლებლიდან ცხოვრებაში გა-  
 მოვლის დროს. ეს ერთი.

მეორე, უფრო თვალსაჩინო, მიზეზი საზოგადოდ ჩვენი გათახ-  
 სირებისა არის გაუცნობლობა ხალხისა, რომლის სამსახურისათვი-  
 საც შენ ეშვადები. მოქმედების პირველსავე ნაბიჯზე და შენს კ-  
 თილ სურვილთა და განზრახვათ წინ ეღობებიან ამ ხალხის გულ-  
 გრილობა, მიუნდობლობა და დაუნდობლობა და, როგორც აზვირ-  
 თებული მდინარისაგან კლდეზე მინარცხებით დამსხვრეული ნავი  
 ფონს ვეღარ გავა, ისე ამ დაბრკოლებათაგან შებღალული შენი კ-  
 თილი სურვილი ნაყოფს ვეღარ გამოილებენ. რა დიდი ბეღნიერე-  
 ბა იქნებოდა, რომ იმ ხალხთან ვექონდეს საქმე, რომელსაც  
 ვიცნობდით სასწავლებელში და არა იმისთან, რომელიც ნამდვი-

ლად ქვეყანაზედ ცხოვრობს! მაშინ მშეირი კუჭითაც უადგინდა  
სიამოვნებით ვიმოქმედებდი მისი კეთილდღეობისათვის! მაგრამ  
რა დიდი ზღვარი ძევს ჩვენ მიერ სასწავლებლის კედლებს. შეა  
შექმნილ ხალხსა და ქვეყანაზედ ნამდვილად მტრიცებულებული  
შორის!...

სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქმე, ჩემო ოსიკო, თუ  
რომ სასწავლებელი განავითარებდა ჩვენში თვითმოქმედებას და  
ჩაგინერებავდა უნარს სხვაზედ დამოუკიდებლად მოვალეობებინა  
ცხოვრების სახსარი; და თუ სასწავლებელშივე შევისწავლიდით  
ქვეყანაზედ ნამდვილად მცხოვრებელ ხალხს თვისი ყოველგვარი  
ლირსებითა და ნაკლულევანებით, მერწმუნე, მაშინ იმვიათი იქნე-  
ბოდა ისეთი მოვლენა, რომ ვისმე ეძებნა განგებ თბილი ბინა.  
იმისთანა მაგალითებს, როგორსაც შენ მე მიყიდინებ, ხომ არასო-  
დეს არ ექნებოდათ აღვილი. ახლა კი ერთიცა და მეორეც ჩვეუ-  
ლებრივი მოვლენანი არიან, ამაში შენც დამეთანხმები. ან რატომ  
არ ჩავიდენ მეც იმას, რასაც სხვები. სჩადიან?!. ნურავინ დაიკვე-  
ნის, რომ შეუძლიან გამკლავება წუთისოფლის უკულმართობას-  
თან! საქმე შორიდან ყვირილი და სხვისი მოქმედების გაყიცხვა არ  
არის: საქმე ის არის, სოფლად მობრძანდნენ და ჩაებან აქ ცხოვ-  
რების ფერხულში, ვისაც მოყვასისათვის გული შესტევა! ვნახოთ  
ერთი, როგორ გადაურჩება ვინმე ჩემს ხელს, თუ წინადევ  
საფუძვლიანად არ შეუსწავლია სოფელი და მისი გარამი? ხოლო  
კაბინეტში ჩამწყვდევა და იქიდან ყვირილი და გულშემატკიცრობა  
ტვირთმიმეთადმი შემდეგ მშავს მაგონებს: ერთი ქალაქის ბიჭი  
სალდათობის დროს მივიდა საავადმყოფოში სამხედრო ექიმთან და  
უთხრა: ფეხს თითო (ცერი) მტკიცაო. ექიმმა არც იცია, არც  
აცხელა, აიღო და ხინა დაალევინა. გადაპყრა თუ არა სალდათმა  
ხინა, მაშინვე მიიტანა სალოები თითო პირთან, პირიდან დაწყობი-  
ლი მთელ სხეულზე ჩამოისვა თითო და მიიტანა ნამტკიცნ ცერთან.  
ეგ რა ჰქენიო, ჰყითხა ექიმმა. წამალს გზა ვუჩევნე, რომ ნამტკიცან  
თითამდის მიაღწიოსომ...

ჩემზედ რაც შემოგსმენია, სულ მართალია. ავუგე მე მართლა  
ცოცხალ კაცს ანდერძი, არ დაგიმალავ ამას; ან რა დასამალია?  
სწორედ გითხრა. არც დასაძრახისად მიმაჩინა ეს! იმ კაცისათვის,  
რომელიც თავის სინდისს აუგო ანდერძი, რა გასაკვირველი და  
დასაძრახისა ცოცხალი თუ მკვდარი კაცის ანდერძის ავება? მე

კი სწორედ მაშინ ავუგე ჩემს სინდისს ანდერძი, როცა ჭალაჭალა  
ბურად იძულებული გავხდი ანაფორა გადამეცა. მხოლოდ უც  
ვერ შემოგვმენია საქმის გარემოება ჯარგად. თვითონ მე გიამზობ,  
როგორც იყო საქმე: იყო ვინმე კაცი ძრიელ ღვთისმონარქი ტაზე მარტი  
სიყვარულე, მხოლოდ ცოტათი ჰქვეაზედ მსუბუქი. ყოველი მარტი ეპე  
და ზრუნვა თავის სულზედ ჰქონდა მიძყრობილი — ყოველთვის  
სულზედ და მის ცხონებაზედ ლაპარაკობდა. შავგროვებინა ფუ-  
ლები. თვისი და ტომი არავინა ჰყვნდა. უცხო მხრიდან იყო გად-  
მოვარდნილი. შეაგულეს ფულები, ერთი ესეხება, მეორე, მესამე,  
ვეხდავ, რომ, თუ გაბრიყვდება და ჩაუგდებს ვისმე ხელში ამ  
ფულებს, უნდა სრულიად გამოისალმოს მათ. აი აქ გამიელვა თავ-  
ში ფიქრმა. მოვუწოდე, ველაპარაკე, იგი თანახმა გახდა ჩემს წი-  
ნადადებაზე და როგორ ახლა? — ცათაფრინვას მოეყიდა სიხ-  
რულით! ავეგე ანდერძი ცოცხალ კაცს. როგორც გარდაცვალე-  
ბულს. იქნება ის კაცი დღესაც ცოცხალია. მაგრამ სრულიად დარ-  
წმუნებული კი არის, რომ ყოველი ეკლესიური წესი გარდაცვა-  
ლებისა შესრულებული აქვს; და თუნდაც საზმე გზათაუკან ამოე-  
ვიდეს სული და იქავ ჩაფლან მიწაში, მაინც იგი არ ინალვლას  
მისათვის. აი ასე იყო საქმე.

მე ამ ჩემ მოქმედებაში არაფერს ვხედავ გასაკიცხს. პირიქით  
ა ჩემის მოქმედებით კაცს მივანიჭე სიმშვიდე სულისა, სწყურო-  
და ცხონება და წესის შესრულების შემდეგ დარწმუნდა კიდეც  
სრულიად, რომ უთუოდ ცხონდება, თუ საიქიოს ვერ მოეწევა  
ცხონებას, საქაოს ხომ იმედით ცხოვრობდა! აღებული ფულებიც  
ძრიელ სასარგებლოდ გამოვიყენ. სხვა ვისმეს რომ ეგდონ ხელში  
ეს ფულები, ან უბრალოდ გაპფლანგავდა, ან ქაღალდის თამაშობა-  
ში წააგებდა.

არ გეგონოს კი, რომ ეს ჩემი გულწრფელი აღსარება და ამ  
წერილის მოწერა რაღაც ზეგარდო მონაბერმა გარემოებამ გა-  
მოიწვია, შენი მონაწერის წაკითხვის შემდეგ, დამაშასადამე, გა-  
მობრწყინვას იმედი ჩემი წალმა გამობრუნებისა! არა, ჩემი ისა-  
კო, როგორც შენ ვერა ჰყობ უარს და ვერ გადაუხვევ ერთხელვე  
პირჩეულ გზას, თუნდაც რომ პხედავდე ცხადად ამ გზის უვარ-  
გისობას, აგრეთვე მეც. არც უნდა გავიკვირდეს ის, რაც ჩემზედ  
გსმენია. მტრედისებური უმანქოება სასწავლებელშიაც საკმარისი  
აუ ჩემთვის. ცხოვრებისათვის საჭირო ყოფილა შეიარაღება

ვ ველური სიბრძნით. ეს სიბრძნე თქვენ ყველამ უფრო ადრე შევ-  
გენით. რამდენ ცოცხალ კაცსაც უნდა ავუგო ანდერძის ჩატარების  
უნდა „რაღაცაები“ ჩავიდინო, მაინც მე ვერ მოგეწევით თქვენ —  
ჩემს ამხანაგებს, ისეთ დიდ მანძილზედ დამტოვეთ. წულში კი ფულები  
ლიფერი, საუკეთესო მრევლის ხელში ჩაგდება, საშიან ფულები უკუ-  
წინაურება, ყილდოების მიღება და სხვა „რაღაცაებით“ პარა-  
ხეთი! ვის ატყუებთ, ჩემო ძმაო?.. თუ არადა აბა პირველი რო-  
ბელი მესვრის თქვენგანი ლოდს?

შენ ქრისტეფორე

## XII

— ეგ ოჯახდასაქცევი, ე ლედელი ემაგრე რამ გაამგელა,  
თქვენი ჭირიმეთ, კაცებო? სუ ხელში შეჰყურებს ადამიანს. აკა,  
ვინ რას მაცემსო. თითონ კი, ატოცის გლახაც რომ შახვდეს. არ  
გაიკითხავს თვის დღეში, მღვდელმა მარტო თითონ უნდა იიღოს,  
სხვაზედ გაცემა დავთარში არ უწერიაო.

ერთ დღეს იმ სოფელში, საცა მამა ქრისტეფორე მღვდლობუა,  
სასოფლოზე შეგროვილიყო კარგა ბლომა ხალხი სალაზლანდა-  
როდ, სხვათა შორის, თვით მოძღვანსაც შეეხნენ და გააბეს მასზედ  
ლაპარაკი.

— არ დაიგერებთ, კაცებო, მართლაც-და მიცემ-მოცემის  
დაჩვევა ეცოდინება უთუოდ! ეგ ხო არც ხელმწიფეს აძლევს  
ხარჯს, არც ბატონს მახტას, არც ლვდელს საწესოს! პირიქით.  
ხელმწიფეც მაგას აძლევს, თავადიც და ე ჩვენ ხომ საპარსი ცხვრე-  
ბივითა ვყევართ! ყოველოვის სხვიდან იღებს და ეგ კი არ იხდის  
არაფერს.

— ეჭ, არა, ჩემო ძმავ, თვითონ ლვდლობასა ჰდევსო თან ხე-  
ზარბე. ვის უნახავს, რო ლვდელი ხარბი არ იყოს? აა წრუშუნას  
ბიჭს ხო ბეღოვლას ვეძახით ყველანი: იმს ხო ფულები პირიქით  
ეჯავრება, აბა ლვდლის ანაფორა ჩაცვი, ორჯერ-სამჯერ ტაბლებზე  
მიატრიალ-მოატრიალე, თუ ჩვენ ლვდელზედ უარესი არ გახდეს!

— დაპწყევლოს ღმერთმა, კაცებო, ი როგორი თინი გამოი-  
ვონა მავ ოჯახდასაქცევმა მეშტრის გასაჩალებლად? მაშინ მეღებ-  
ნე ისაგა არ შეაქო დასაფლავების დროს! გაუგიათ ყველგან და  
საღაც კი შეძლებული ვინმე მოკვდება, იქ ეპატიუებიან. მახლო-

ბელ ღვდლებსა სტოკებენ და მაგასთან გამორბიან დღის სავაჭრო ზედ. ესეც ოურმე შეაქებს, ვინც უნდა იყოს, ისე, რომ იმ ქედის შემდეგ ცხონებაც კი აღარ არის მკვდრისათვის საჭირო. სხვას რომ ერთი მანათი მისცენ, მაგას სამსა და ოთხს აძლევენ ვარ ერთი

— რა ქნა, მართლა, კაცო, მაშინ, ი ისაკას სიკულიტურული ერთ როგორ გაიწყვიტა ნამუსი მაგ სახლ-კარდალუპილმა მაგან? ხო კარგად იცოდა, რამდენი ცრემლის გუბე იდგა იმ აძლევებულის მამულებში და რა ცოდვის მორევში ცურავდა იმისი ფულის ზან-დუკი? არ იცოდა, ვითომ, რანაირად სწოდა სისხლს შინაურსაც და გარეულსაც? ამაების ჩამდის აიყვანა: თავისი ხერხითა და გამჭრიახობით არაფრის მქონე უთვალავი სარჩის პატრონი გახდაო. ისიცა თქვი. შე ავო კაცო, რა გზით მოიპოვა ეს სარჩი და?.. მაგრამ... ეჭ!..

— შენა გგონია, დემეტრე, ისაკას ქებით იყო ვატაცებული? იმს ფულები ილაპარაკებდნენ. უნდოდა ჭირისუფლების გული მოეგო და ბლომა გროშები ჩაეჩირიალებინა ჯიბეში. განა ოსიკომ ტყუილადა თქვა, რო ინი გამაიგონაო რა? რატო იმ დღეს ჩვენებინთ საბაზედ არაფერი თქვა? იმ საცოდავისთანა ღვთისწირი ვინ იყო? ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა! დამარხვისაც კი არ აძირებდა, სანამ წინ გასაძლოლი არ ჩაუთვალეთ წინადვე. არამცუ ქება რამ ეოქვა! ვინ იცის, ან ის კი შეუსრულა, რაც დაწესებულია?..

— აյი აჩოჩქოლდა ხალხი ი ისაკას დასაფლავებაზე!.. ნეტა ვინ წამაიძახა მაშინ იმ მამაცხონებულმა: „ღვდელი კი არა შენ, იუდის კერძი ჰყოფილხარო“? ე ანდრიამ ხო ვეღარ მოუთმინა და პირში მისწვდა.

— პირში თუ მივწვდი. ნამუსი შაუშვა და სირცხვილით პირი დაწევა! შე დალოცეილო. რა ღირსი იყო ე ცოდვის მჭამელი, რო ემაგრე შეაქე-მეთქი; ქვეყანა ამოაგდო, პირში სული აღარავის შეგვარჩინა და შენ კი ცამდის აიყვანე ქებითა-მეთქი. რას მეუბნება ახლა ის ნამუსგაწყვეტილი: „ნეტავი შენ, მოგიცლია და ლაპარაკობო. შენ ფულები კი მაშეცი და ოუნდაც ყირაზე დავდგა-ბიო“, აი რა პასუხი მამცა!

— ე გზა კი გაიკაფა, ძმავ, და რაც გინდა უთხარი! პხედავთ, საიდან სად ეპატიკებიან და მიჰყავთ?

— ეჭ. რა ჩვენი ღვდელი და რა სხვა! უველანი ერთ ყალიბზედ

არიან ჩამოსხმული და ერთ ყაიდაშე იქცევიან. ხო ჯვარიერი  
კარაული, მუქთა სუფრაზედ როგორ ხურხურს მიიღებენ სოლენ  
შშეტერი მგლებივით, როცა ერთად შეიყრებიან უჭამდებულები  
ლვდელი.

— აი, გასწყდა მაგათი განავისი. აյი იმისთვის იტენის მოლ-  
მე, „მტრის კარსაო“, როცა სამ-ოთხ ლვდელს დაინახავენ ერთად  
შეკრეფილს.

— მართლა და მტერი მტერს არ უზამს იმას, რასაც ეგ სახლ-  
კარდასაქცევნი სჩადიან ქელებში. ერთი თუ მოჰკიდეს ლვინოს.  
პირი, აღარ იციან, კაცებო, გაძლომა!

— ეი, რა ვნახე, თქვენმა გამარჯვებამ, კაცებო! ამას წინათ  
სოფელ სამკარიანში ჩვენი მოკეთე გარდაიცვალა. კაი შეძლებული  
ოჯახია. ათი-თორმეტი მლვდელი იყო მოწვეული. მოჰკიდეს, რო  
უკურო, პირი ამ ახალპირულ ლვინოს და ისე დაეწაფნენ, როგორც  
უკვდავების წყაროს. ჩვენი ლვდელი ბლალობინი ყოფილა, ყველა  
ლვდელის უფროსი და ლვინის სმაშიაც ყველას სჯობნის თურმე.

— აბა კიდეც მაგისათვის მიუციათ, შვილოსან, უფროსობა.  
რომ ლვინის სმაში პირველი ყოფილა!

— მაგრამ ერთი სხვა ლვდელი ერივა, ჩვენ ლვდელზე უფრო  
ანალგაზრდა; ხმელ-ხმელი, მაღალი ტანისა. კაცებო, თქვენმა გა-  
მარჯვებამ, ისე პყლაპავდა ი ლვინოს. როგორც მარწყვი. მე ის  
მაკვირვებდა, კაცო, სად ჩაპდიოდა იმოდენა ლვინო იმ ოჯახებისა  
თურმე ისა და ჩვენი მლვდელი, დიდი ხანია. ერთმანეთს ეჯიბრე-  
ბიან ლვინის სმაში. ეს ოხერი ლვინო ეს ბურთი და მოედანი:  
გამოვიდნენ საბრძოლველად მდევი და ამირანი.

— რა ჭირისუფლების დარღი ექნებოდათ და მათი ნუგეშის-  
ცემით შეწუხდებოდნენ თუ! მაგათოვის ქელები და ქორწილი  
სულ ერთია! ერთი არის მრავალყამიერის შემოძახილი უკლიათ  
ხოლმე.

— იქნება დრო იყოს, რომ მრავალყამიერსაც მღეროდნენ! მა-  
გათ ხო ადამიანის ცოდო-მაღლი და შენანება არა აქვთ.

— იმას ვამბობდი, უკაუშნეს, კაცებო, ერთმანეთს, რაც ძალი  
და ღონე ჰქონდათ. ბოლოს აյი ამირანმა დაპძლივა ჩვენი მდევი!  
მაგრამ ბევრი კი აცინეს ქელების იმოდენა ხალხი. ისე დაითვრნენ  
ყველა მლვდები, რომ ცხენებზე შეჯდომის ილაჭი აღარა ჰქონ-  
დათ. როგორც ნახშირის ტომჩები, ისე შევალაგვი ცხენებზე, ის

ოჯახდასაქცევი ა ხმელ-ხმელი მღვდელი კი სხვისა დაუხმარებოდა  
მოახტა ცხენს! ჩვენ მღვდელს გული მოუყიდა: იმანაც მოინცხად  
თავისთავად შემჯდარიყო. ნება არავის მოგვცა გვეშველა, ბევრი  
ეწვალა, მანამ უზანგოში ფეხს შესდგმდა. შესდგა ტერმიტიტელი  
მაგრამ ვერ აიტანა წელი; აიწივა მეორედ, კიდევ ვჰაჲ შემჯდარიყებ  
სამედაც რომ ვერ შესძლო, წამოიძახა: ვაი დედინემის ღმერთსა,  
განა ისეც დავგერებულვარ, რომ ცხენზე ველარ შევმჯდარვონ!  
მოიკრიფა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აიწივა ისე ძალუმად, რომ  
უნაგირზე ველარ შეიმაგრა თავი და მეორე მხარეს ტყაპა, კი  
მოსძვრა. კინალამ უზანგის დამჭერი ქვეშ ას გაიტანა. საღლა იყო  
ტირილი! ჭირისუფლებს ტირილი დავიწყდათ და გულიანად  
ნარხარებდნენ.

— ჩვენ საცინლად არ ვვყოფნის მაგის ონები და მე ვიცი  
სატირლად კი გადავეცევა შემდეგში! ეს დღე ნიშანი იყოს და  
აი ეს ჭალარა ულვაში მამპარსეთ, თუ მაგან სხვანაირადაც არ  
ვაიკვალიოს გზა! აბა თქვენ ერთი ვარაუდი გასწიეთ. ი გეხელქო-  
რივით რო გადაპხედავს ხოლმე დედაკაცებს, თქვენ უანბო გო-  
ნიათ?

— ვაი პატარძლების ბრალი, თორემ ჩემ დედაკაცს ერთი  
კბილიც აღარ უდგია პირში, რას დააკლებს?

— აბა სწორედ ი უკბილოებს გაუსვამს წინათ ხელს, აი! კბე-  
რისა შეეშინდება რა?

— მე კი ჩემ დედაკაცს არ ვავგზავნი მაგისთან საახსარებოდ  
ჯა! დეე ისევ ცოდვებში იყოს გახვეული; ისევ ეშმაკებმა წაილონ  
იმისი სული, თუ მაგან ხელში უწერია სიკვდილი, მაგისთან კი არ  
ვავგზავნი საახსარებოლ.

— მაგისი ნაცხონები კაცი კი შამირცხვა! მაგან კაცი როგორ  
უნდა აცხონოს? დიდმარხვაში ისე უსირცხვილოდ და გემრიელად  
შეექცევა თურმე ხორცს, როგორც ჩეენი მურიეა!

— ჭანი და ღონე გაპვარდეს, თუნდა მარხვა ჭამოს, თუნდ  
ილოთოს, თუნდ ფულები ჰეინცლოს ხალხს, ოღონდ ე ჩვენი დე-  
დაკაცები დაგვანებოს ჩეენვე! ე სვიმონა რო შიშობს, თქვენ  
ზუმრობა გორნიათ? მოუყვა ხელი დედაკაცებისათვის, გუშინღამ  
ტურაანთ მიხას მოუტანებია თავის ცოლზედ, დაუდვია, კარგა  
ლაზათიანად დაუბეევია. ანაფორაც ზედ შემოუფხრეშია და თავ-  
პირდასისხლიანებული გაუსტუმრებია... ცოლიც გამოუგდია გარეთ

და ძალლივით უწეავშეავებია. მას აქეთია საწყალ კუსტ მარტვილით შინიღან გარეთ თავი ვერ გამოსუყვია.

— აი დაილოცის მისი მარჯვენა! მაგრამ ი ცოლო, ეს ძირი ძალლი, ცოცხალი ორგორლა გაუშვა ი კა კატმა? ერთ-ერთ

— ვაიმე, ვაიმე! გეტყობათ, ქვეყნიერებისა აშენებული გაესტყობათ თქვენა გვონიათ მიხს ცოლი პირველია? რაცა ხანია ეგ კაცი აჯილისავით დაძრწის და აღარ გააჩნია აღარც ქალწული, აღარც ქმრიანი და აღარც ქვრივი? თქვენ კი ახალი ამბავი გვონიათ!

— მა რა ი ცოლის სიმშვერიერე მითტაცებს რაზ აი, დასწუკევლა ღმერთსა, რატო იგეთია, კაცებო? სწორედ მამუნის ჭიშისაა ის რამ შეართვევინა, თქვენი ჰირიმეთ! საქალეთი რო დამკეთოდა, აი მასზედ გული არ მიმიციდოდა და არ შევირთავდი ცოლად! მო-  
დი და ნუ გაფოთდება და ნუ გააჭილდავდება!

— თავისას კი აკლებს რა? მე შენ გითხრა, ბიჭებს ვერ აყრევი-  
ნებს!

— თავისას განაბამდის გზა ჰქონდეს. რაც უნდა უყოს! ე სოფე-  
ლი რო მთლად გადაპილწა, ჩვენთვის თავზედ ლაფის დასხმა არის.  
სხვა კი არაფერი!

— კაცებო, აი ე თითქმის მთელი სოფელი ვართ შაყრილი, მო-  
უაროთ რამე ჩვენ თაეს! ლეჩაქები დავიხურეთ სწორეთ თავზედ.  
ხმა კი ვეღარ ამოგვილია და!..

— იმ ოჯახდასაქცევმა, ი მიხამ, რატო არაფერი ჰდორუზა თავში  
და სული არ გააფრთხობინა! ცოცხალი ორგორლა გაუშვა? ჩავა-  
ძალლებდი და მოვასვენებდი სოფელსაცა და სოფლის დედაკაცო-  
ბასაც!

— ჩააძალლებდი, შენ ასე გვონია, ლედლის მოკვლა ადვილი  
საქმე იყოს! ლედლის მოკვლისთანა მძიმე დანაშაული არაფერი  
ყოფილა: პირდაპირ დაახრჩობენ ლედლის მკვლელს.

— საიქიოს კიდევ ცხრა საყდარს ააშენებინებენო.

— ეგ ხო კატის მკვლელზე არის ნათქვამი!..

— დაახრჩობენ და ეგე იცოცხლოს და ეწიოს ქეიფი!..

### XIII

— მამაო ბლალოჩინო, ეს სურათი ახლა გადააღებინე? რანაი-  
რადა ჰეგენართ მაცხოვარს!.. შეპხედეთ ერთი, მამანო წმინდანო,  
თუ ნამდვილი მაცხოვრის სახე არ იყოს!

— მე თვითონ შემომხედეთ! განა ისე კი არა ვეევარ მაცხოვანს, რომ სურათს არ უყუროთ!

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მამაო ბლალოჩინო, ისედაც რო-  
ელა კვევხართ!

— მამაო ბლალოჩინო, ახლა აგვისილნე თვალიც უწყლეს მისი ე-  
თლა და ნამდვილი მაცხოვრის სახე გაქვთ.

— ყოველ ეპვ გარეშეა თქვენსა და მაცხოვანს შორის მსგავ-  
სება!..

— მე სურათში უფრო მეტ მსგავსებასა ვხედავ.

— სურათი ჩემი არ არის?

— სურათი, მართალია, თქვენია, მამაო ბლალოჩინო. მაგრამ  
სურათში ანაფორითა და ორდენებით ხართ გადაღებული; მე-ამად  
კი კაბითა და მარტო ჯვრითა ბრძანდებით. ჩემის ფიქრით, ეს გარე-  
შოება პბადებს თქვენსა და თვით სურათ შორის ცოტაოდენ განს-  
ავავებას.

მამა ქრისტეფორეს სახლში საბლალოჩინო კრება იყო. კრების  
კათავებისას, ვიღრემდის სუფრა გაიშლებოდა, „მამანი წმინდა-  
ნი“ — ოფიციალურად კრებებზედ ასე მიმართავდნენ ხოლმე ერ-  
თმანეთს სასულიერო პირი — საუბრობდნენ ჩვეულებრივი გულ-  
ახლილობით, ანუ, სინამდვილით რომ ითქვას, ხუმრობდნენ.

— რას დამენაძლიერით, ეს სურათი გავადიდო, როგორც წესია,  
წაგაწერო ზედ „მოვედი ჩემდა მაშვრალნო...“ და დავისვენო ეკ-  
ლესიაში. თუ ვინმე ეჭვს შეიტანს, რომ ივი მაცხოვრის ხატი არ  
არის!?

— მაგისი შენ იცი, მამაო ბესარიონ, მხოლოდ მე კი ამას გეტ-  
უით, რომ ეამი არ არს მსახურებად მუცლისა!.. სუფრა მზად არის!

— ოჟ, ეგ უველასა სჭობია!..

ხუმრობა მეტისმეტად მარილიანი და საზრეულოს იყო: რადვა-  
ნაც მამანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ოხუნჯობაში და არაკების  
თქმაში. მხოლოდ ეს არის, ზოგჯერ ძრიელ ამლაშებდნენ. უცხო  
წრის კაცს ძრიელ განაცვითერებდა საგანი მამათა საუბრისა; ვისა-  
რან საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებს, რომ სათავილო რამ და  
საძრახისი სათქმელად და საქმნელადაც მარტოდმარტო სასულიე-  
რო პირთათვის არის აქრძალული და გასაკიცხი. საპერნაეროდ  
არავინ ერივა მათ შორის უცხო წრისა. გაცხარებული სიცილ-  
ხარხარის ღროს ერთმა მოძღვართაგანმა უცაბედად თვალი მოკერა

ახლად გადაღებულს მამა ქრისტეფორეს ფოტოგრაფიულ სურათს  
ა ამ გარემოებამ შესცალა საგანი მათი საუბრისა.

მამა ქრისტეფორე არ არის ულამაზო კაცი. მხოლოდ თავის  
მოწონება უფრო ტანადობით და წაბლისფერი მოგრძელებული  
იმით შეუძლიან. დანარჩენ ბუნებრივ ნიჭითაგან უწყვეტი უწყება  
ლირსშესანიშნავი. ბევრს მის ამხანავთაგანს არა სჯეროდა, თუ ქრის-  
ტეფორე მღვდლობაში დამშვენდებოდა. მამა ქრისტეფორეს გა-  
რეგნულ შეენებას, ეპვი არ არის, ხელს უწყობს მისივე განუწყვე-  
ტელი მეცადინეობა; იგი სულ პირისახის და ხელების ფარეზობაში  
არის; ამასთანავე გატაცებით უყვარს სუფთად და მდიდრულად  
ჩაცმა-დახურვა. მომეტებულ ნაწილად ფარჩის ანაფორაში არის  
ხოლმე გამოშუობილი. თვის უპირატესობას ამ მხრივ გრძნობს მამა  
ქრისტეფორე და ხშირად იკვეხის: აბა რაში ვგვარ მე სოფლის  
მღვდელსაო.

მომეტებული შენ და ლაშათი მამა ქრისტეფორეს გარეგნობას  
უფრო მაშინ დაეტყო, როცა გულზედ სატარებელ ჯვარსა და მის  
მარცხნივ ფირფიტაზე ჩამოკიდებულ წყვილ მენდალს სისტლის  
ჯვარიც (ანას ორდენი) მიემატა. „წმინდა მამათა“ სალაპარაკო  
საგნის შემცველელი სურათი ამ ორდენის მიღების ნიშნად იყო გა-  
დაღებული. თვით ფირფიტა, რაზედაც ჩამომშეკრიცებული აქვს  
მენდლები და ორდენი, მეტისმეტი ხელოვნურად არის გაკეთე-  
ბული. ისე პტყლად, მოხდენილად და მოხერხებით აქვს ფირფიტას  
გადაჭიმული სამი სხვადასხვა ფერის ლენტი, რომ შორიდგან ქრის-  
ტეფორეს გული ორდენებით სავსე მოჩანს. ჯილდოების ფირფიტა  
განუშორებელ კუთვნილებას შეადგენს მამა ქრისტეფორეს ანა-  
ფორისას — უფირფიტოდ ანაფორის ჩაცმა მამა ქრისტეფორესა-  
თვის წარმოუდგენელი არის, ჯვარს ხომ სრულიად არ იშორებს  
გულიდგან. როდესაც შეემთხვევა ნაცნობ საზოგადოებაში კაბით  
ყოფნა, ჯვარს მაინც არ იხსნის, კაბაზედ აქვს ხოლმე გაკეთებული.

დეკანოზის ჯვარი ჯერ არა აქვს მიღებული მამა ქრისტეფორეს.  
ეპვი არ არის, ჩქარა მიიღებს; ახლა ატარებს თავის გემოვნებაზედ  
განგებ შეკვეთილი ჯაჭვით, 1896 წელს უმაღლესად ნებადართულ  
ვერცხლის (მკვიდრს) ჯვარს, რომელსაც ქვეშიდგან ამოჭრილი აქვს  
პავლე მოციქულის სიტყვები: სახე ექმნენ (მორწმუნეთა მათ) სი-  
ტყვითა, სვლითა, სიყვარულითა, სულითა, საჩრმენოებითა, სიწ-  
მინდითა. (1. ქავთ. 4. 12)

## სი გ მ თ მ

### I

- ალარ.. ჭან, გა...მარ...ჭობა!
- ღმერთმა გამარჯვებული გატაროს, ჩემო ძმაო!
- დამარცხებული და დახაგრული კაცისათვის გამარჯვება ღილი წყალობაა ლვთისა, ალაჯან!
- ჰოდა, მოგცეს ღმერთმა ეგ თვისი წყალობა, თუ მტერი ვჩაგრავს, შენ ჩემნებურს არა ჰვაეხარ, ჩემო ძამიავ, სადაური ხარ?
- ეჭ, ნუ მეითხავ, ალაჯან, სადაური ვარ. მეც არ ვიცი, სადაური ვარ ეხლა.
- მაინც?.. ან რას იტყვი კარგს?
- აბა რა კარგის თქმა შემიძლიან! ხომ ხელავ, ცხრად მოკავშირი ვარ. შენსავით წელვაშლილს ჩიბუნით ხელში და პირმომლაშიარეს რომ მხედავდე, მაშინ გამოელოდე ჩემგან კაი ამბის გაგებას. ახლა კი რა კარგის თქმა შემიძლიან?
- ვხედავ, ძამიავ, წუთისოფელს არ გაუნებივრებიხარ, მაგრამ როდი უნდა შეშინდე და გაუტუდე გაჭირვებას! გულაზად უნდა დაუხვდე კარზედ მომდგარ ყოველგარ უბედურებას! როცა კაცს გული მაგარი აქვს, მთელი ჭოჭოხეთის ძალიც რომ ამხედრდნენ მასზედ, ვერაფერს დააკლებენ.
- კაი თქმა არის, ალაჯან, ეგ შენი თქმა, შენი ენით თვით სიბრძნე ლაპარაკობს, მაგრამ გულიც ხომ არ არის თავისი თავის პატრონი და მბრძანებელი, თვით გულიც გარემოებათ ემორჩილება და ემონება და ხან ქვაბივითა დუღს იგი, ხან ზღვასავითა დელავს, ხან წალკოტივითა ჰყვავის. ისეც მოხდება ხოლმე, რომ ქვათაც გადაიქცევა. ის ეხლა შენი გული, ალაჯან, წალკოტია და ამისთვის შენს ტუჩებზედ შეუწევერელი ღიმილია, ჩემი გული კი ქვაბსავით დუღს — ეს სულ გარემოებათა წყალობით.

— გამავებინე, შე კაი კაცო, შენი ჭირი და ვარამი. ჰური წამალიაო, იქნებ შევძლო, რომ გულში ადუღებული ქვები გასახილო და შენი გულიც ჩვენ ორივემ ერთიერთმანეთის დახმარებით წალკოტად გადავაქციოთ.

უროვნელი

— ჩემთვის, აღაჯან, ისიც დიდი სიყვეთე იქნება, ტურქები ქუშჩის ეპ ადუღებულ ქვაბს გამინელებ. მე ამასაც საქმარისად ჩავთვლი.

— შენი სახელი?

— აღარც სახელი შემარჩინა მტერმა და აღარც სახრავი: ყველაზერი დაკარგე, ყველაფერი მტერმა მიისაკუთრა. დაკრჩი ბეგანად და ჩემი სახელიც ბეგანია.

— ნურაფერი გეფიქრება, ჩემო მმავრო, ღმერთი მოწყალეა, არა-სოდეს არ გასწირავს ივი თავის გაჩენილ სულდგმულს. აქ მობრძანდეს ის შენი მტერი, თუ ძალი შესწევს, და მე ვაჩვენებ როგორ მიტრის ხმალი!

— ბიჭო, აბა ღვთის კაცს პური აქამეთ. კარგა გაუმასპინძლდით. ღვთისგან მოვლენილი სტუმარია, ღმერთს გამოსაცდელად ამისათვის ურგუნებია სამშობლოს დაკარგვა. ხოლო ჩვენ უნდა გამოვცვალოს მითი, თუ როგორ შევიტარებთ, ვუპატრონებთ და შევითვისებთ ამ მისაგან გამოგზავნილ სამშობლო დაკარგულ აღამიანს.

## II

— აბა, ჩემო ბეგან, როგორა გრძნობ ეხლა თავსა? განა რომ მართალს გეუბნებოდი, ყველაფერს ბოლო მოელება-მეოქი! ხელავ, როგორ იშლები თანდათან წელში?

— ისე როგორ ვავიშლები წელში, აღაჯან, რომ შენ სწორად მოვიყარო.

— ეხლა, შე დალოცვილის შეილო, უთუოდ ჩემ სწორად უნდა მოხვიდე!

— არა, ისე სიტყვამ მოიტანა, თორემ შენ სწორად მოყრას რა მაფიქრებინებს, ან რა მომყრის შენ სწორად შენთან შემოხიზნულ კაცს. თუ წელში გავიშალე, გული ისევ ადუღებული ქვაბია. ვერ დამივიწყებია სამშობლო, რომლილგანაც გამოვიდევნე; ვერ მომინელებია ის შეურაცხყოფა, რაც მე სამშობლოში თვალით განვიცადე. ყურით ვისმინე და გულით ვიგრძენ.

— არა უშავს რა, დრო თითონ განკურნავს მავ შენს წყლულებს

— დორო არა კმარა ამისათვის, აღავან, ვარემოებაშეც ხელი  
უნდა შემიწყოს, რომ ჩემი გულის დუღილი დადუმდეს. დღესასი  
შვილობა მოგცეს, შენ შემიფარე, ბინა მომეცი, საზროო-საცხოვ-  
რებელი არ მაკლდა შენგან; ან რად უნდა მაკლდეს, ლექსის მიუღები  
თვის მოუცია შენთვის სარჩო-საბადებელი, რომ ჩემი მიუგები უკეთ  
ნაო და გატირვებულ კაცს ულფუა გაუჩინო. მაგრამ არ, უკელა  
ამას მაღლს კი უკარგამენ შენიანები და შენი კერძობანი და! საქმით,  
რომ სთქვას კაცმა, კიდევაც მეხმარებიან, არაფრი ჰშერთ ჩემთვის,  
მაგრამ სიტყვა აქვთ მწარე. მეტად აწყლულებენ ისედაც დაწყლუ-  
ლებულ ჩემი გულის იარებს: მტერს გამჭლავება უნდოდა და არა  
გამოქცევაო; თუ შენ ვაჟკაცი იყავი, სამშობლოსათვის თვი არ  
უნდა დაგენებებინაო; იქ უნდა ჩაეგლვარა სისხლი და იქვე ჩაეგლა-  
რა ძვლებიო. ბევრჯერ შევყელთებულვარ და მიფიქრია: მოდი ✓  
და წავალ ისევ საიდანაც მოვსულვარ-მეთქი, მაგრამ...

— ვინც დამარცხებას არ არის ჩვეული, მაგრე ფიქრობს. ხოლო  
შენ, ჩემო ბეგან, რა უურადღებას აქცევ მათ ლაპარაკს! ილაპარა-  
კონ და დაღვნენ. შენ რა დაგაკლდება მათი ლაპარაკით?

— შენ არ გამოგიცდია, აღავან, გალალებული მტრისაგან ულო-  
ნოს დაჩაგვრა და ამისათვის ვერც იმას იგრძნობ, თუ რანაირი  
მწვავეა ჩემთვის დაცინვა და აბუჩად აგდება.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო ბეგან! რაკი შეგიფარე და ჩემ სახლში  
ბინა მოგეცი, შენი დაჩაგვრის ნებისაც არავის მივცემ. ამის შემდეგ  
ვერავინ ვერაფერს გაგიბედავს.

— აღავან, თუ ბინა უველას ერთად გვექნება, ჩემ შეურაცხო-  
ფას ბოლო არ მოეღება.

— მაშ, ვინდა სხვებს გაგაშორო?

— ოჲ, რა დიდ სიკეთეს მიზამ, აღავან! მარტოდ რომ ვიქნები  
და ცუდ სიტყვას აღარ გავიგონებ, უფრო მუყაითად მოვეკიდები  
ჩემ საქმეს, რასაც მამიჩემებთ.

— მე შენი გაყეთებული საქმე არ მინდა. საქმის გამკეთებლები  
ისეც ბევრი მყვანან. საქმის გასაკეთებლად კი არ მიგიღე ჩემ  
სახლში — მიგიღე იმისათვის, რომ მინდა მტრისაგან დაჩაგრულ  
კაცს პატრონობა გაგიწიო და ყოვლისფრით უზრუნველი გყო. ჩა  
ვქნა, რა მოგიხერხო? მარანთან რომ დარბაზია, მოდი, იმას მოგი-  
ჩემებ. იცხოვრე იქ შენთვის, თუ მარტოდ ცხოვრება გირჩევნია.

— რომ უფრო მოშორებით ვიყო, აღავან, უმჯობესი ჩემთვის.

— აბა იმაზედ მოშორებით სად რა გინალვლო, რა ჟენა?

— თუ საწყენად არ მიიღებ, აღავან, და შესაძლებელი ჩემთვის გველი ნასახლარი რომ გაქვს, ის მომიჩემე თავისი ჩემთვის გველი ნასახლარი და უპატრონო გდია. ქვეს ქვაზედ მივადებ, პატარა ხულის გავაეთებ და ვიქნები ჩემთვის. თანაც იქაურობას უპატრონებ გავამშვენებ.

— ფეშქაშ! დიდი სიამოვნებით. პირიქით, თვითონ მეც დაგეხმარები და ჩაგიდგამ კაი დარბაზს.

### III

— დაიდულა შენმა გულმა, ჩემო ბეგან, თუ კიდევ ვერა? სურვილი ხომ შეგისრულე და დაგასახლე საკუთრად!

— დადუღებით კი დაიდულა, აღავან, ჩემმა გულმა, მაგრამ ეხლა ზღვასავით აღელდა. აალელვა ჩემი გული შენმა სიტყვამ ფეშქაშო. ჯერ არ ვიცი დანამდვილებით — მართლა მიფეშქაშე საკუთრებად შენი ძველი ნასახლარი, თუ უმნიშვნელოდ, ლაპარაკის მასალად იხმარე ეს სიტყვა. ხომ კარგად მოგეხსენება, აღავან, კაცი ფრინველი არ არის, რომ დღეს აქა პერნდეს ბუდე. ხვალ იქ, ზეგ ძიდე სხვაგან. და თუ ის შენი სიტყვა მასალად იხმარე მხოლოდ და არა ნამდვილი მნიშვნელობით, სწორედ ფრინველის მდგომარეობაში ვიქნები ჩაგირდნილი და მლელვარების მეტი ჩემს გულს ჩალა დარჩენია!

— ხომ არავინ გაგდებს შენი ბულიდგან? ვერც ვინმე შემდეგში გამოგაგდებს და რაღამ უნდა აგილელვოს გული, რისაღა გეფიქრება?

— თუ არ მეფიქრებოდეს, აღავან, ჩემ ტუჩებზედაც ისეთივე განუწყვეტელი ღიმილი იქნებოდა, როგორც შენზედ.

— ოღონდ შენც გალიმებული დაგინახო და მიფეშქაშებია შენს საკუთრებად. აპა, არც ეხლა გაილიმება?

— სიტყვას საბუთიც თან უნდა სდევდეს, აღავან, თორემ ცარიელი სიტყვით რა იქნება!

— საბუთიც თან მოპყვება. ეხლა?

— ეხლა ისაა, აღავან, რომ ვიცი კეთილი კაცი ხარ და არ

გეწყინება, თუ სიმართლეს გეტყვი. ხომ ნახე, რამოდენი შეიძლო  
დამჭირდა, შენი ნასახლარის გაწმენდასა და გასუფთავებაზე. შენი  
კეთილი თვალი კარგადა ხედავს, რამოდენა ყორეები და კაცები  
ნანგრევებისა. ამ ყორეებმა დაიჭირეს მთელი სასახლეები და კაცები  
ჩემი ხულაც იმათშია დამალული. მეც ამ ყორეებში ტესტა-კიმის  
მიღავო ხელიყივით. თუ მარტო ეს ნასახლარი მიფეშქაშე და თავი-  
სი გასაღევარი არ გაატანე თან.

— აბა მაგაზე რა ჩიჩინი მინდა! თუ მაღლსა ვშვრები, მარილ-  
საც ზედ მოვაყრი.

— მართალია, აღავან, ბევრი არ არის, რომ ვერ გაიმეტო, მაგრამ  
რაც მე შემოფარგლული მაქვს ნასახლართან, ის ადგილი რომ სულ  
დაატანო ნაფეშქაშებს, ძლიერ კარგი იქნება. სულ ერთია შენ ტუ-  
ილად გიგდია იმოდენა ადგილი და ვერაფერსა რჩები, მე კი ან  
დავრგავ რასმე, ან დავთესავ და მეც ვირგებ და შენ მამულსაც  
გავამშვენებ.

— ჩემი მამული საიდანლა იქნება, თუ შენ ვიფეშქაშებ?

— ჯერ ისევ შენსას დაუძახებენ და შენი სახელი იქნება.

— ადვილია, ადვილი, ჩემო ბეგან! ოღონდ შენ დაკმაყოფილდი  
და ადგილი რამდენიც გინდა, შენი ჭირის სანაცვლო იყოს!

— გერჯერობით ეგ მეუოფა და მერე როგორც ღმერთი გვა-  
გონებს.

— ჰო, აი ეხლა მასიამოენე, ჩემო ბეგან! პირველად ეხლა ვხე-  
დავ შენს პირზედ ღიმილს, თორემ სულ გულჩათხრობილს გხელვ-  
დი აქამდის. ეს ოხერი, როცა შენ გული ხალვათი გაქვს და თვალწინ  
კი სახემოლუშული ვინმე გიდგა, შენი მხიარულებაც ნაძალადევად  
და უადგილოდ გამოდის.

— შენც ეხლა გიზდება, აღავან, ღიმილი. რაკი კეთილი კაცო-  
ბით იმდენს ეცადე, რომ ჩემ პირისახეზედაც გამაიწვიე ღიმილი,  
ეხლა შენც ჩემზე მოაგდე, როგორ გადაგიხადო: ისე უნდა გავამშვე-  
ნიერო ეს შენი მამული, რომ ამბობდე, რატომ უფრო მეტი არ ვუ-  
ფეშქაშე, თუ ასე ააყვავებდა აქაურობასაო.

#### IV

— ჰა ჰაი, ბეგან, განა ესე მალე დაივიწყე ჩემი ამაგი?

— როგორ, აღავან?

— Աեւա պայլաս հռմ տացո դաշանեծոտ, օմոքց ճագակո գո-  
զոյշված ճա հիմեցոլ օգոլոմ մոցանոլ միշանոլ թուր կո պաս  
ուղեծ հիմցան! ցան սայաժրուսու ցսա?

— Ի արուս այ, օլաչան, պայլարուսոնձ! Ի ապ Շենքի պահուալուն  
մուղյշյամյ, ան Ի ապ յելա մաթուլ-ջեցուլո չուուրիշի, Շենքի պահուալուն  
ժացուոլու ջեցու մուլութան. զոն ուրուս, ֆոնատ զու յյուտունուն, ան  
Շեմցուցի զուսու սայստրեծա ցանցուն, յս սուլ լուտուս սայմեա. թու-  
րեցու նախուն Շենցնուտ ջայերունո մաթուլուսա յելա հիմշեց ցա-  
մոցուն. յնդա ցուոյիրոտ, հռմ յս լուտուս նեծուտ մոեցա — այս հռմ  
ցոյշատ, օլծատ լուցրուս ահա նեծացու, հռմ կուցը մոյշտաւ ցոյծու-  
լուց յս մաթուլո, հոցորու Շեն ելուն ուր ճա արացյը սարցեծու-  
ծաւ առ ցածլուցու. Ի ապ հիմ ելուն իսացուտ լուցրուտ, հիմու ուցուուտ  
ունցեն սարցեծունծաս ունցու, հռմ մոցմուրուն ուն կուլուցուս մլու-  
ցա, հռմապ Շեն մը մածլուցու լուտուցուն մուցեմուլ սահինուն. ամա-  
նեց, პուրոյիտ, մածլունծասապ ցամոցուլուն Շենցնուտ ճա սապուցուն  
յո մեշմուս. յելա Ի արուս այ ֆոնամթուցու, Ի ապ մը մերւագ մոմահնու  
հիմուցուս ճա Շեն յո ցըսպուրուն, հիմու ուցուուտ մաթուլուն մոցանու-  
լո ճա մուղեծուլո սագասուրուտ դաշուտու, ուղուագ ցածազըլուո. մեց  
եւ. Շենսացուտ լուցրուտ մոյշտաւ ճա սպահուտու առ մածլուց սահին-  
սածացեցելս.

— Հռմ արպ Շենա ցայքս, հիմու ծեցան, լածեծրեծուլուն ելուց  
մերուսմերու մուշանծուտ! ուրուս ուն հիմ նալս առ ամուշացեծ ճա մատո  
Մհումուտ առ ցանինո պայլացյըրո?

— յելա, օլաչան, մը եռմ ցուուոն առ ցածիարաց ճա ցատուննո. հիմու  
սայմեց ցուու Ի արուս ճա կուցըաց յրտցուլուգ զասրուլուց.  
յացու յրտ ֆուտ ահա ցմուրուցու մոմումացու ցոյշունուն. Ի արուս.  
առ ուրուլուրուն-մետյո. ցամենցը, հռմ սայմե ժրունչեց ճա հոցու-  
անաց ցայցուն. մամ, Ի արուս յս? Մհումա առ արուս? մը մատից նայ-  
լուց ուցուս ցլցիո? Ի ամունո հիմինո ճա ցու-ցացլանու յնդատ. մը  
հռմ այս առ վուլուոյսացո, եռմ լուցսապ յնդա ցըմլուս հիմուցու  
կուլուցո. եռմ ցըր ցածացուուու Շեն սուրցաս, սուրցուս յացու եար.  
Շեցուցարեծ ճա Շեցուցուսէ, հոցորու մմասառ. մը յո. ցարդա մմուսա.  
հռմ մոցամուրու մերու եարչո, Շենցան օլցեծուլուն ուղուացուտ Շենուցուցը  
սասարցեծու սայմե յնդա մոմեթյու. մինճուռա ուռտա-ուռտանծուտ  
Շեմցունա տանեա, հռմ ցայշրուս օմեթյու. ցամեկսնա յրտու յա  
լույյան, ցամեհնա պայլանանու Շեմուլու, հռմ բամ ցուլուն ցըսրուլու-

ბინა, რაც გესიამოვნებოდა, ჰამაც შორს არ მოგხდომოდა სირთული საჭირო რამების შესაძნად. ამით მინდოდა გადამეხადხა შენოვის, თუ რამ გული გევალებოდა ჩემზედ. შენ კარგად იცოდა; რომ მე შენთვის ჩემ შრომას თავის დღეში არ დავზოგადები უჩნარის ჩემი შრომის ნაყოფი ეხლაც და, თუ ვინიცობაა ტექსტურის ეპული და დუქანს გავხსნი, მაშინაც უფასოდ რომ მოითხოვო ჩემგან — აქაოდა, რამდენსამე წელს ულუფას მაძლევდი და ცოტა-ოდენი მამული მიფეშქაშე — სად წავა? მაშინ აღარც თავის შემრჩება ხელში და აღარც მოგება დამრჩება, რაც საჭიროა აღებ-მიცემობისა და ვაჭრობისათვის.

— ეგ ჩა კა საქმე გიფიქრია, ჩემო ბეგან! დიდ ამაგს დამდებ, თუ მაგ ფიქრს განხარულებ. მე მარტო სა არ მახარებს, რომ ყველაფერი საშოვარი ახლო მექნება. მე მახარებს მომეტებულად ის ფიქრი, და იმედიცა მაქვს, რომ ჩემი ხალხიც ისწავლის შენგან ვაჭრობა-აღებ-მიცემობას და, თუ ვინიცობა არის და შენ აღარ ისურვე ჩვენ ქვეყანაში ცხოვრება, საქმე აღარ გაგვიჭირდება, რადგანაც ვაჭრობაში გამოყლილი ხალხი მეყოლება.

— ეგ, რასაკვირველია, მაგრე იქნება. მე დამავიწყდა და მაგაზე ვერაფერი გითხარი. კიდევ კარგი შენ თითონ მაიგონე და აფასებ იმას, თუ ჩა საქმე განმიძრახავს მხოლოდ მისთვის, რომ შენ ვასიამოვნო.

— როგორც შენგნით განზრახული საქმე მასიამოვნებს, ისე ეგ შენი ღიმილიც, ჩემო ბეგან. აბა, ნუდა დააგვიანებ მაგ საქმეს. ჩემ საყვედურსაც საწყენად ნუ მიიღებ, მეც ვხედავ ეხლა, რომ შენ მართალი ხარ. შრომა გაგიწევია, ოფლი დაგიღერია, უფლებაცა გაქვს შრომის ფასი მოითხოვო და აიღო. გთხოვ, როგორც კაი მეგობარს, ჩქარა შეადგინო თანხა და უთუოდ დააარსო დუქანი.

— დუქანს კი დავაარსებ, მაგრამ დაბრკოლება დიდი მეღობება წინ — საღუქნე ილაგი არა მაქვს. ისეც ვიწროობასა ვგრძნობ ჩემს აღგილზედ და საღუქნე ილაგიც რომ მოვაჭრა, რაღა დამრჩება? ან სად მოვაჭრა? ყოველი ფეხის დაღმა დაჭერილია: აქ ეზოა, იქ ბოსტინია, იქ ვენახი. აფხუსი არ არის შეუცვალო ის ნირი და ეშნი, რაც ეხლა ჩემ სახლ-კარსა და მამულსა აქვს!

— შე კა კაცო, თუ იმოდენა მამული გიფეშქაშე, ერთ საღუქნე აღაგს კი/ვეღარ გაჩუქებ? შენ რომ შეახო ხელი შენს მამულს

და ის ეშნი შეუშალო, რაც ეხლა აქვს, მე თვითონ ად მოგებდ  
ამის ნებას.

— მართალია, გულკეთილი კაცი ხარ და ეჭვიც არა მქონდა,  
რომ საღუქნე ალაგს დამითმობდი, მაგრამ ჯერ ერთი შეტყოფიში მოვა  
გორუ მოფიქრებული და გაწზრახული მაქვს, პატარი და დალგადაშეს და  
დამპირდება საღუქნედ და ამისთანავე ყოველი ალაგიც ხომ არ  
გამოდგება საიმისოდ, დუქანი უნდა იყოს თვალში საცემ აღდილას.

— კაცო, შენ თითონ მოირჩიე, სადაც გინდა და რამდენიც  
გნებავდეს, ოლონდ ეგ საქმე აღარ ჩავშალო და სისრულეში  
მოიყვანე.

## V

— ბარაქალა, ჩემო ბეგან, ჩემს მოლოდინს გადააჭარბე. რა  
მშვენიერად მოაწყე ეს დუქანი და..

— მე სახელად გეურქა მქვიან, კნიაზ!

— და, შე კაი კაცო, მაშ აქამდის რალად მიმალავდი შენ  
სახელს?

— ისე, რალა. სახელი კაცს უნდა ერქვას და მე კი მაშინ კაცი  
არ ვიყავ, როცა პირველად მნახე. კაცს თუ არაფერი აბალია, არც  
სახელის ღირსია იყი.

— მართალს ამბობ, ჩემო გეურქ! კაცი სახელით იცნობება.  
სახელს კი დამსახურება სჭირია ან ქონებით, ან გონებით, ან მამა-  
ცობით და ან გულადობით. აკი შენც დაიმსახურე სახელი ასე  
რიგიანად და ოსტატურად დუქნის გახსნითა და მოწყობით.

— ჩიტის რძე მოითხოვე, გიორგიჭან, როცა კი გინდა — მზად  
იქნება.

— მაგაზედაც გერწმუნები, ისიცა მწამს, რომ შენ გულშიაც  
ეხლა წალკოტი ყვაების და ამის იქით შენს პირისახეზედაც განუ-  
წყვეტილი ღიმილი იქნება გამოხატული.

— ეჭ, ჯერ სადა სცალიან ჩემ გულს საწალკოტედ! ეხლა  
უფრო ძრიელ იწყო ზღვასავით დელვა ჩემმა გულმა: ხუმრობა ხომ  
არ არის — შავი დღით თანხა შევკარი, სულ აქ ჩავყარე ვაკრობაში.  
ეხლა რომ ვიზარალო, ხომ დავიღუპე სულიან-ხორციანად

— შენც ისე მოიქეცი, რომ არ იზარალო.

— აბა, როგორ მოვიქცე, გიორგიჭან, ძვირად მოგყიდო სავაჭ-  
280

რო? რომ ვერ ვიზავ მაგას! მაშ, რიღას მეგობრები უპირთ, მეტა  
მეტს გამოგართმევ სავაჭროებში? იმდენი დღეგრძელობა ჩერა  
გქონდეს და მეც, რაც მე შენთვის ნასყიდობაზე საქონელი მომზადე  
ცია. ან ნისით ნურაფერს დაგახარჯვინებ? რომ ვერც წკენი მიკუთხა  
დენ! იქნება არც კი იკოდე, ლვთისა წინაშე მეც პროცესის მითხვა  
შენთვის — თუ რა ჯამი შედგა აქამძღვე შენი ნისიებისა. ვაჭრობა  
კი ისეთი რამ არის, რომ ნალდი უნდა ტრიალებდეს ყოველთვის,  
რომ მოგება გადიდდეს და ამით თვით ვაჭრობაც გაჩაღდეს,  
გაფართოვდეს.

— სწორედ გითხრა, მე შენედ არა ნაკლებ მეწყინება, რომ  
იზარალო, და ეს შენგნით დაწყობილი სასარგებლო საქმე ჩაიშა-  
ლოს. რითაც კი შესაძლებელია, უნდა ვეცადნეთ, რომ არაფერი  
ევნოს მაგ საქმეს და პირიქით წარმატებაში წავიდეს, როგორც  
ფრიად სასარგებლო საქმე.

— მაშ, სასარგებლო საქმე რომ არ ყოფილიყო, ხელს მოვკი-  
დებდი? მე შენთვის ვდალობ, კნიაზო, რომ სარგებლობა რამ  
მოვიტანო, თორებ სხვა კი არაფერი მაქვს სახეში. თუ მე ჩემი  
კერძო სარგებლობა მქონოდა სახეში, განა ასეთ სულელურ საქმეს  
ჩავიდენდი, როგორც ეს მე ჩავიდინ საღუწენ ადგილის ამორჩე-  
ვაში? საზოგადო მეგობრული სარგებლობის სურვილმა ისე გამი-  
ტაცა და დამაბრმავა, რომ ის სად ამოვირჩიე საღუწენ ადგილი და  
არა ჩემი კეთილშეძინებულის გვერდითვე. აბა, რასა ჰგავს: აქ ეს  
საღუწენ ჩემი ადგილი, იქ სახლ-კარი და მოწყობილობა, მათ შუაში  
შენი ამოდენა ადგილ-მამული, აბა რასა ჰგავს? რომ მოინდომო  
ერთ დროს ფეხებს შემომამტვრევ და აღარ გამატარებ შენს  
მამულზედ. ფრთხები კიდე მე არა მაქვს, რომ დუქნიდამ შინ გადავ-  
ფრიად ხოლმე და შინიდან დუქანში.

— აბა, გეურქ, შე კაი კაცო, თუ გულში გქონდა ეგ, როგორა  
სთქვი! ვის შეუძლიან შენ ხმა გაგცეს, ან ფეხები შემოგამტვრიოს!  
მაშ, რის მეგობრობა და მეზობლობა არის ჩვენში?

— შენ, ვიცი, არ გამცემ ხმას, კნიაზგან, მაგრამ შენი შეილები  
გამცემენ ხმასაც და ფეხებსაც შემომამტვრევენ. მე და შენ თუ  
მეგობრულადა და მეზობლურად ვცხოვრობთ, შეიძლება ჩვენი  
შეილები ვერ მორიგნენ ერთმანეთში; ამისათვის ეხლავე უნდა  
მოვუაროთ საქმეს ისე, რომ ჩვენ შვილებს არაფერი საბუთი უსი-  
ამოვნებისა არ დავუტოვოთ. მეტად უხერხულად არის გაჩხირული

შენი მამული ჩემს კეთილშენაძენში. მე, რასაკვირველია, შეგვეხ  
უფასოდ (ცეშქაშად, როგორც შენ ჩვეულებად გაქვს) არა ვისა-  
ვებ მამულის მიღებას, ეხლა მეც შემიძლიან, ლვთით, პასუხი გა-  
გცე, და ას ამოდენა მამულს, რომელიც ჩემს კეთილშენაძენში გა-  
შუა არის გაჭიმული და გაჩინირული, ვინ მიუეშქაშტრიქტ შანქაშტრიქტ  
ეგ შენი ნისიები ვავაქწოროთ. ზოგი ეს ნისიები, ზოგაც ფულად  
მიიღე ჩემგან და ეგ მამული მე დამითმე. ჩემი კეთილშენაძენში გა-  
ლიც გაერთიანდება და ჩვენ შვილებსაც და შვილიშვილებსაც  
მოუსპობთ ამით ერთმანენთში უსიამოვნების საბუთს. ერთ მხარეს  
შენ იქნები შენი დანარჩენი მამულით, მეორე მხარეზე მე —  
ჩემი კეთილშენაძენში და ვიცხოვროთ ასე ტკბალად, ძმურად  
და მეზობლურად. რას იტყვი ამაზედ?

— კარგი და პატიოსანი, მე სრულიად თანახმა ვარ ამაზედ.

## VI

— გიორგიგან, რა კაი კაცი ხარ და რანაირად მებრალები, რომ  
შვილები არ ვივარგანან — შენ არა გვვანან.

— მე რაღასა ვჩინე, ჩემო გეურქ! მართლადა განა საბრალისი  
არა ვარ და სამწუხარო არ უნდა იყოს ჩემთვის, რომ ცხოვრების  
წყარო — მამულ-დედული ხელიდამ გამომეცალა და ერთი ჩემ  
შვილებთაგანი, გონებით დაბრმავებული, ცათაფრინვას ეკიდება!

— შენ, გიორგიგან, მესამე შვილს ემდური, როგორც ვატყობ  
მაშ, ვერ გაგიგია ჩემი ჰაზრი. პირიქით, ის მესამე შვილი არის შენ  
შვილებში საუკეთესო. იმან შენც გადაგაჭარბა კაი კაცობაში. შენ  
ზოგი მამული თუ მიფეშქაშე, მომეტებული ნაწილის დაომობა  
იძულებით ზოგიხდა და გენანებოდა და ეხლაც გეწუხება მისი დაკარ-  
გვა, მაგრამ თუ შენი ეგ უმცროსი შვილი იქნებოდა შენს ალაგას,  
სრულიად უფასოდ, დაუნანებლივ და გონივრულის მოსაზრებებით  
მე გადმომცემდა საკუთრებად მოელს მამულებს. მაგას ესმის,  
რაშიაც არის საქმე. როგორც განათლებული და შესმენილი კაცი  
სახელს, დიდებას ეძებს და მისათვის მამულს არა სთვლის საჭი-  
როდ, ღმერთიც მიანიჭებს, რასაც ეძებს. ხომ გახსოვს, რანაირად  
შეგებრძოლათ შენცა და შენს უფროს შვილებსაც, როცა თქვენ  
უარზედ იდექით და უქმაყოფილებას აცხადებდით ტყისა და მინდ-  
ერების ჩემ სახელშედ დამტკიცების დროს? მაშ, საფუძვლიანად

ვერ გიმტკიცებდათ, რომ „მამული მხოლოდ გიშლიდაპარა და სკორებდა თქვენს წარმატებითს სელას განვითარებისა და ვათვით სამძღვრების გზაზედ?“ ყოჩალია, ყოჩალი და! ღმერთმა დისი დონ მისცეს. თავის მიზანს უთუოდ მიაღწევს.

— შენი ღიმილი ძრიელ კარგათა პხატავს, რა მარჯნისცემი შეა აღწევს.

— ვა, გიორგიგან, რა ჩემი ბრალია, რომ ეხლა მე ვილიმები და შენ კი ალარ. ეხლა ჩემ გულში ჰყვავის წალკოტი და იმისთვის ვიღიმები, ერთიც მინდა შენ გასიამოვნო. ხომ სულ იმასა პნატრობდა, რომ ჩემ პირისახეზედაც დაგვნახა ღიმილი და აი ეხლა ესეც დაგნახვე. ხომ მადლობელი ნარ ეხლა?

— ეჭ, რა გაეწყობა!

— ის გაეწყობა, რომ შენი უფროსი შვილები თავხედობენ, აულე შეგარცხვენენ და უბედურებასაც შეგამთხვევენ.

— მითი თავხედობენ, რომ უსამართლობაზედ ხმას იღებენ?

— ვა, როგორ თუ უსამართლობაზედ! მაშ, ვალს მოშორება არ უნდოდა?

— ვალს კი უნდოდა მოშორება, ჩემო გეურქ, მაგრამ განა სხვანაირად არ მოევლებოდა საქმეს? თუ მოულოდნელად წრეს არ შემოაცელებდი და შელავათიანად მომექურიდი, განა ვერ შევძლებდი შენი ვალის გადახდას ისე, რომ სრულიად არ დამღუპვოდა მთელი მამულ-დედული? რას მოვიფიქრებდი, რომ დაივიწყებდი შენს იმ გარემოებაში ყოფნას, რა გარემოებაშიაც პირველად შეგანიჩნე და შეგიფარე, და იმ ჩემს ამაგისაც, რაც მე შენზედ დავთესე.

— ეჭ, შე დალოცვილიშვილო, მოქალაქისარ და იგონებ შენც წარსულს. თუ რამ სიკეთე გიქნია ჩემთვის ან სხვისთვის, ღმერთი გადავიხდის. უნდა გაიგო და შეიტყო, რომ ცხოვრება კაცისა ცვალებადია: ხან ერთი დგას მაღლა, ხან მეორე. მხოლოდ უნარი და გამჭრიახობა კაცისა იმაში გამოიხატება, რომ სამუდამოდ შეინარჩუნოს კაცმა მაღლა დგომა.

— ვერ არის კარგი გაღახდა, თორემ შენ იცი.

— ვა, რა ვქნა, რომ ჩემთვის ღმერთს სულ სხვანაირი სული და გული მოუცია და რაც უნდა ბევრი მიყითხო, თუ რა სიკეთე გიქნია ჩემთვის და რაც უნდა ბევრი იყბედონ შენმა პატიოსანმა შვილებმა ვითომდა უსამართლობაზედ, ველარაფერს ვერ მოე-

წევით. მე თქვენი წყრომა და თუნდაც რისხვა ძილს ვერ გაიტან-  
თხობენ. ყველამ კარგად იცით, რომ ავაზაკობა და ყაჩალობა არ  
ჩამიღენია, ვის დავეცი შარაგზაშედ, ან ტყეში ვინ მეტყველებულ  
გავლარცვე? რაც კი მომიპოვებია ჩემთვის, შემძიმებული ქართველი  
ქავითა და ყაირათობით, გამჭრიახობით, ხერხით, კეთილის ძოლ-  
მით და პატიოსნებით. და როგორ არა რცხვენიათ იმ შენს პატიო-  
სან შვილებს, რომ ერ შეუგნიათ ეს? უსაფუძვლოდ ყვირიან და  
დაუმსახურებელ ბრალსა მდებენ და შეურაცხოფას მაყენებენ  
უდანაშაულო კაცს! რა სწადიანთ ამით? სიმძულვარე და შფოთი  
უნდა ჩამოაგდონ ჩვენში და მოშალონ, მოსპონ ჩვენი კეთილი  
მეზობლობა?

— აბა, რა გიპასუხო მაგაზედ, გეურქ!..

— გეურქ სიმონიჩ-თქო...

— ჰო, გეურქ სიმონიჩ, რა გიპასუხოთ-მეოქი ყველა მაგაზედ? არავი კი არ გეონოს, ნამდვილ ამბავს მოგახსენებ. ერთ ორთავე  
თვალით ბრძა ახალგაზრდას ტყეში სასირცხვილო საქმეზედ  
მოასწრო თავისმა მეზობელმა და დაუძახა: სვიმონ, ეგ რასა  
ჰშვერებიო. ბრძამ ხმაზე იცნო მეზობელი და მიაძახა: ტეტიავ, არა  
გრცევენიან, რომ მომასწარი ამისთანა საქმეზედაო. ფურ, შენ  
კაცობას კი რა უთხრაო. შე კაი კაცო, თვალს ვერ ამარიდებდი,  
თუ დამინახე და ისე ვერ წახვიდოდი შენს გზაზედაო. სწორედ  
ეს ამბავი მაგონდება ეხლა შენს ჩივილზედ.

— მაშ, შენც ადასტურებ შენი შვილების საქციელს რაღა?  
კარგი, ასე იყოს!

## VII

— ერთადერთი სახლილა დამრჩა თავისი ეზოთი: ყველაფერი,  
ტყე იყო თუ მინდორი, თუ ვენახები — სულ გამომაცალე ხელიდან. რა იყო, რომ ეს სახლი მაინც არ შემარჩინე და ისიც გინდა ჩა-  
მომართვა და სრულიად ცარიელზედ დამსვა. რა მტრობა მოგაგონ-  
დება ჩემგნით, გარდა სიკეთისა. რომ ასე შეუბრალებლად  
მეპყრობი?

— კაცო, ნუთუ შენ ვერ წარმოგიდგენია, რომ ის შენი სახლის  
შენობა თავისი ეზოთი მთლიანობას უკარგავდა, როგორც ლამაზი  
ქალის ლოყაზე ამოსული მუწუკი, ისე ამახინჯებდა ჩემს კეთილ-

შეძინებულ მამულს. შენა გვონია, შენი სახლის შენობა მიტაციაზ  
თავისი სიძვირფასით — ეგ შენობა ხვალვე მოიწმინდება. თავისი  
აღგილიდან, რაღვანაც ჩემთვის საჭირო და სასურველი აღგილი  
იყო მხოლოდ და არა შენობა.

— ესე ჩქარა როგორ უნდა დაივიწყოს კაცმა, ჟაჭულებულები  
დაივიწყე ჩემი ამავი, ჩემი მეგობრობა?

— ეს, შე მამაცხონებულო, იგონებ კიდევ წარსულს! რა ამავი  
და რისი მეგობრობა? მეგობრობა გამიგონია თანასწორი პირების.  
ჩვენში კი თანასწორობა შეიძლებოდა ან უწინ ან ეილა.  
უწინ შენ არ იყადრებდი ჩემს მეგობრობას და ეხლა კიდევ მე არ  
ვიკადრებ შენს მეგობრობას. თუ მოგონება არის წარსულისა, ის  
მაიგონო, თუ როგორ მარივებდი: გულმაგრად უნდა დაუხვდე  
კარზედ მომდგარ უბედურებასაც. აი, ეს დარივება ეხლა თითონ  
შენ გარებს და გამოგადგება. ისიც მარგონე, რომ მაშინ, როცა  
პირველად ერთმანეთს შეგვყარა ღმერთმა, შენ გულში წალკოტი  
ჰყვაოდა, და ჩემ გულში ჰვაბი დუღდა. ეხლა შენი გელი დუღს  
ქვაბსავით, ჩემ გულში წალკოტი ჰყვავის. მაგრამ ზოგჯერ გული  
ქვათაც გადაიქცევა ხოლმე და იცოდე, როგორც ქვა აღუღებულ  
ქვაბში ვერ მოლბება და ვერ მოიხარშება, ისე ჩემი გულიც არ  
მოლბება, რაც უნდა ძელებური ზღაპრები და არაკები გააპა.

— ჴო, კარგი, გაჯავრებული ხარ ჩემ უფროს შეილზედ, უმც-  
როსმა ხომ არაფერი დაგიშავა, რომ იმასაც თან ატან, იმისი ხომ  
ყოველთვის მადლიერი იყავ და აქებდი. ერთ დროს სიძედაც კი  
გინდოლა გაგეხადნა.

— ხა, ხა, ხა!.. სიძედ გამეხადნა!.. მე, სიძედ გამეხადნა. ხა, ხა,  
ხა!.. და შენც გვეროდა ეს გულუბრყვილოდ? მე ის შენი უმცროსი  
შეილი მამწონდა იმდენად, რამდენადაც ჩემს სასარგებლოდ ლაპა-  
რაკობდა და მოქმედებდა. ეხლა კი ის ჩემთვის საჭირო აღარ  
არის. ერიქაა!.. სად წავა, თუ რამდენი კაციც ჩემს ნებაზედ ვათა-  
ვაშო ჩემი სარგებლობის გულისათვის, ყველა სიძედ გავიხადო!  
კაცი თავის თავის ღირსებას არ აფასებს, არ ესმის თავის სარგებ-  
ლობა — და ესეთი კაცი სიძედ გავიხადო. რა კეუას მასწავლიან!  
არა, ჩემო პატიოსანო გორეგი, ისევ ის დარივება მოიგონე, რომელ-  
საც მე მაძლევდი ოდესლაც და მოიხმარე ეხლანდელ შენს მდვო-  
მარეობაში, თორემ სხვა სახსარი და წამალი შენ არა გაქვს.

— მეტი რა გაეწყობა. მაგრამ სოფელი ისევ ცვალებადია.  
დღეს ერთი დგას მალლა, ხვალ სხვა.

— პო, ეგრე ეგ მოვიხდა! მაგას რა სჭობია, რომ გულდანი 30-  
ცებით ელოდო, როდის მოვა ის დრო, როცა შენ მამოთ მოვიტომა  
ვი ცხოვრების ჩარხის ტრიალს. რა საჭიროა ეხლა ტექნიკური მუსიკი  
პარაյი და გულის ხეთქა. გულსწრაფობით მაღატებული მუსიკის მხრივ  
მხოლოდ მოლოდინი და კიდევ მოლოდინი იქნება შენი მხსნელი  
ვაჭირებული მდგომარეობიდან.

## ს ა ხ ე ლ ო ა ნ ი

(მცირებელი რამ აშჩავი)

### I

ასე იცნობდა თავის თავს აპალონ გვარაძე. ასევე სცნობდნენ მას მეზობლებიც და შორეულიც, საღამლისაც კი ხმა მიუწვდებოდა. ისე მოგაქვს თავი, თითქოს აპალონსავით მკერდი ჯვარმენდლებითა გქონდეს საესეო. — ისმოდა არაიშვიათად მის პატივისმცემელთა შორის.

— ჯვარ-მენდლებმა და „პრაპუნჩიკის“ ჩინმა უამხადა სახელოანი, თორემ რა კაცი ვიქნებოდი მე უამათოდ, — აღასტურებდა ხშირად თავის ლირებას თვით პოლონიც.

მართლაცდა თუ ჯვარ-მენდლები და „პრაპუნჩიკის“ აპელატები (პაგონები) არ ესხა ზედ, ეს კი მოპედებოდა ხოლმე მარტოდ-მარტო ძილის დროს, აპოლონი თავისთავად მაგდენს არაფერს წარმოადგენდა, კატასაც კი ვერ დააფრთხობდა თვისი შეხედულებითა და წარმოსადევობით. მაგრამ როცა ისხავდა ჯვარ-მენდლებს აპელატებიან ჩინხაზედ, ჩამოიკიდებდა ზედ შავერცხლილ ხმალს. დააბგენდა მარჯვენა ხელს შავერცხლილსავე ხანჯლის ტარს, ხოლო მარცხენას — ხანჯლის ბოლოს და ასე გამოვიდოდა სახლიდგან მედიდურად და იმაყად, მაშინ მას აფრიკის ჭალებიდგან გამოვარდნილი ლომიც კი ვერ გაუბედავდა წინ გადასდგომოდა.

— აპოლონი მობრძანდება! — საქმარისი იყო ამისი გაგონება, რომ თუნდაც არ დაენახა იგი გამგონს, ფეხზედ წამომდგარიყო, რათა შორიდგანვე მიეცა მისთვის სალამი.

საღ იქნებოდა ისეთი ან ლხინი ან ჭირი, რომ აპოლონი სასურველი, სანატრელი და საპატიო სტუმარი არა ყოფილიყო. ლხინი

ლხინად არ ითვლებოდა და ჭირიც უფრო საგრძნობელი ჰდებოდა იქ, სადაც პოლონი რამე მიზეზით არ დაესწრებოდა.

იგი ყოველთვის და ყოველგან ითვლებოდა სუფრის დამატვებისად, სუფრის ლაშათად. სუფრაზედ ყველა მსხუჭმავ მცულე კვლობა, სმენაც, გულისყრიც და პატივიც მხოლეფი მსჯელებული მიქცეული და მისგან შეპყრობილი და იგიც ატკბობდა დამსწრეთა სმენას მომხიბლავი საუბრებით.

— ყველაზედ ქვირფასი კაცისთვის სახელიაო, — ეტყოდა ხოლმე აპოლონი სმენად გადაქცეულ დამსწრეთ, — თუ კაცი სახელოანი არ არის, სულ ფუჭია მისი ყოფნა და ცხოვრება ქვეყანაზედ. — და აქ მოუყვებოდა მოთხრობას მასზედ, თუ რომელი მენდალი და ჭვარი სად, რა საგმირო საქმის ჩადენისათვის მიეღო.

როგორც ამტკიცებდა იგი, თითო მენდალი დასჯდომოდა მას არა ნაკლებ ხუთი მტრის მოკვლისა თვისი ხმლითა და საქუთრის ხელით ოსმალებთან ომის დროს; წმ. გიორგის ჭვარი მიეღო მის-თვის, რომ იგი გადატმული გარეულიყო ოსმალთა ჭარში და დაწევერა მტრის მომზადება და მოქმედება; „პრაპუნჩიკობა“ — მის-თვის, რომ მტრის სამ სოფელს მიპარვით ცეცხლი წაუკიდა და გადაბუუგა; სისხლის ჭვარი მის-თვის, რომ იგი წინ უძღვოდა რუსის ჭარს აჭარა-ქობულეთში და გზას უჩვენებდა, როგორც ნავალი წინათ ამ მხარეში.

## II

ჭვარ-მენდლების გარდა ნაოხრად დარჩენილი მამულიც ეჩუქა აბალონს ახლად დაპყრობილ აღგილებში, მაგრამ ამას არც ასენებდა როდისმე და არც ყურადღებას აქცევდა.

— მე უკვე კაცობა და სახელი ვიშოვნე და მამული რაღა საკიროა ჩემთვისო, — უბასუხებდა იგი ყოველს, ვინც კი ჰყითხავდა მამულის შესახებ, — ყველაფერი ამაო და წამავალია კაცისთვის გარდა სახელისა: მხოლოდ სახელისათვის უნდა იღწვოდეს და ზრუნავდეს კაცი მთელ თავის სიცოცხლეში, რადგანაც მარტო იგია საბოლოო და საუკუნო; ყველაფერი წავა-წამოვა და სახელი კი შერჩება კაცსათ.

აყი სთვლიდა კიდეც პოლონი თავის თავს უბედნიერესად, რომ „სახელოანი“ იყო იგი და თაყვანსაც სცემდა თვის გამაბედ-

ნიერებელ ჯილდოთ. უოველი შაბათი დღე სადღესასწაულდ დღეზე  
გარდაიქცეოდა ხოლმე აპალონისათვის. საღმრთო ძოშედების  
ემსგავსებოდა მის მიერ მოწიწებით გაწმენდ-გასუფთავება ჯვრ-  
მენდლებისა და მათი ლენტებისა. საკარისი იყო რომელიაქე მენტენ-  
ლის ანუ ჯვრის ლენტს ან ლაქი დასტურობოდა, ან აჭრიტუნისტების  
საღმრთო რომ მაშინვე შეაცვალა იგი ახალი ლენტით. უკერეს-უსმე-  
ლობას ირჩევდა, ცოლ-შვილსაც მოათმენინებდა ამას, ხოლო  
ლენტს კი უთუოდ იყიდდა, როცა საჭირო იყო, საჭმელ-სამელისა-  
თვის გადადებული ფულით, რათა ჯვარ-მენდლებისათვის ნირი არ  
შეაშალა.

ტურუბრალოდ შეიწუხებდა ვინმე თავს მისულიყო  
აპალონთან რაიმე საჩქარო ანუ საჭირო საქმისათვის, როცა იგზ  
ჯვარ-მენდლებს ასუფთავებდა. ამ დროს მას ქვეყნიერობისა არც  
არაფერი ესმოდა და არც აგონდებოდა და ვერაფერს ჰქედავდა,  
გარდა ჯვარ-მენდლებისა. მხოლოდ ჯვარ-მენდლებს დასტრიიალებ-  
დნენ მისი მხედველობაც, სმენაც და გონებაც. ეს ზე აპალონისა  
უვალაშ კარგად იცოდა და არც არავინ ბედავდა გამოეყვანა იგი  
უდროოდ თავისი ოლგზნებული მდგომარეობიდან.

ერთადერთი „პაწაწა აფრასიონი“ იყო, რომ არა პშორდებო-  
და ამ დროს გვერდიდგან მამას, მაგრამ გრძნობდა ეს უკანასკნელი  
შვილის მახლობლად ყოფნას თუ ვერა — ამისი თქმა ძლიერ ძნე-  
ლია. მხოლოდ არც ის არის აღვილი, თვალი ავარიიდოთ და გვერდი  
აუცილებით მას, თუ რა ნიშს ანგითარებდა შვილში მამა თავისი  
მოქმედებით. როცა აპალონი გისუფთავების დროს ეალერებოდა  
და ეთავგანებოდა ჯვარ-მენდლებს, „პაწაწა აფრასიონი“ ისეთის  
მოწიწებით და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს უოველ  
ამას, რომ აშკარად იხატებოდა მისი თანხმობა და თანაგრძნობა  
მამის მოქმედებისადმი. ეს გარემოება კი უტყუარი ნიშანი იყო  
მისი, რომ „პაწაწა აფრასიონის“ ძარღვებშიც (ალბათ შთამომავ-  
ლობის წესით) უკვე სჩედრდა სისხლი „სახელოანობის“ სურ-  
ვილით გაუღენთილი. ერთხელ ასეთ საუბარსაც კი მოჰკრეს თურმე  
ყური აპოლონსა და მის მეუღლეს შორის:

— ვენაცვალე, ჩვენი პაწაწინა აფრასიონი მამასავით სახელო-  
ანი იქნება, წუხელის, უთუოდ ეგონა, რომ ჩვენ გვძინავს, წამოდგა

ქვეშაგებიდან, მიიპარა ჩუმად შენ ჯვარ-მენდლებთან სა სახითაოდ გადაკოცნა ყველა. ეს უთუოდ წინათაც ჩაუდენია მას.

— რატომაც არ უნდა იყოს იგი სახელოანი! პაპა ჰყვანდა სახელოანი და მამა უკეთესი. მე თუ დღეს „პრაპენისი“ უკავარ-მენდლები მაქვს, იგი დენერალი უნდა იყოს ტუ მკერძო კუასტკ კვლავებით პქონდეს სავსე. ასეა წესი და კანონი.

### III

იმეორებდა ჩუმ-ჩუმად „პაწაწა“ აფრასიონი“ მამის ჯვარ-მენდლებისადმი თაყვანისცემას ან შენიშნა კიდევ როდისმე დედამ, თუ არა, აღარავის გაუგონია. მაგრამ უიმისოდაც ამჩნევლნენ მშობელნიც და გარეშენიც, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უმეტეს ძლიერდებოდა მის გულში ტრფიალების ალი „სახელოანობისადმია“.

ვიზრე აფრასიონი „პაწაწა“ იყო, მის ტრფიალებას „სახელოანობისადმი“ ასაზრდოვებდა მამისავე „სახელოანობა“. რა მედიდურად და ამიყად იყევხოდა იგი თავის სწორ ამხანაგებში, რომ ქვეყანაზე ცნობილი და „სახელოანი“ აპალონ გვარაძე მისი მშობელი მამა იყო. ხოლო როცა დავაკაუცდა აფრასიონი, მოულოდნელი და საოცრი ცვლილება მოპედა მასში. ჯილდოებმა დაპკარებეს მის თვალში წინანდელი მნიშვნელობა და მამის თვით „სახელოანობაშიაც“ შეაპარა ეჭვი.

პირველად ეჭვი თანდათანობითა და ყრუდ ვითარდებოდა და თითქოს გრძნობათა რაღაცა ჩუმი ბრძოლაც სწარიოებდა აფრასიონში ბოლოს კი თვალსაჩინო და მკაცრი მიმართულება მიიღო მისმა ცვლილებამ. ასე გამოამეღავნა ერთხელ აფრას-ონმა თვისი გულის ნადები, რამაც მის დედას გულში ძრიელ ჩაპებინა: „მამიჩემის ჯვარ-მენდლები ხომ იმას მოწმობენ, რომ ჩალა უძლეტნია და მაშასადამე იგი „სახელოანი“ კი არა — საზიდარი და ყველასაგან გასაყიცხი უნდა იყოს“.

ამის შემდეგ ბევრჯერ შელაპარაკებულან მამა-შვილი ჯილდოების მნიშვნელობაზე და ლაპარაქსაც მიუღია ცხარე მიმართულება. წარბშეუხრელად უმტკიცებდა აფრასიონი მამას:

— ადამიანების სისხლის ლერისა და მათი ხოცის გულისათვის მიღებული ჯვარ-მენდლებით კაცის ლირსება ვერ დაფასდება და გაიზომება და, მაშასადამე, ტყუილად გაქვს დაჩემებული სახელო-

ანობა და ის პატივიც, რომელსაც შენ ახლა იმკი, შენ მიერ დაუშე, სახურებელი არის.

ჭვარ-მენდლების ცუდად ხსენება და მათი უმნიშვნელობის მტკიცება უკიდურესი შეურაცხყოფა იყო პალონისათვეშე და უმრხველესი თვის მწარე ნალვლით აღსავს უპასუხებდა შვილს: ტრადიციული

— გეშინოდეს ღვთისა და გრცხვენოდეს სვინდისისა, რომ მაგრე მიუპატიურებ მას, რამაც მე კაცად გამხადა მთელი ქვეყნიერობის თვალში! ძე-ხორციელს არ მოუყენებია ჭერ ჩემთვის ისეთი დიდი შეურაცხყოფა, როგორიც მესმის შენგან — ჩემი ნაშობი ძისაგან.

აფრასიონში მომხდარი ცვლილება გარეშეთაც არ დარჩაო შეუმჩნეველი და ყველა თავისებურად ხსნიდა ამ ცვლილებას.

ზოგნი ფიქრობდნენ ვითომც აფრასიონს შურდა მამის „სახელმოანობა“, სიმშურნე ველარ შეიკავა და განიზრახა გაებათილებინა იგი „სახელმოანობა“ მის პატივისმცემელთა თვალში. მაგრამ ეს, მგრნია, უბრალო და უსაფუძვლო ჭორი უნდა ყოფილიყო ასალონის ხნოვან პირთავან გავრცელებული.

ბევრი იმასაც გაიძახოდა, რომ აღარ სწარმოებდა ომიანობა, როდესაც ჭილდოებს ეძლევათ სათანადო მნიშვნელობა და აფრასიონში მომხდარი ცვლილებაც მიმის ბრალიაო. შხოლოდ ეს მოსაზრებაც კი საეჭვო უნდა იყოს. უეპველი მიზეზი აფრასიონის მიერ ჭვარ-მენდლების შეძლებისა უთუოდ სხვა გარემოებათა შორის უნდა ვეძებოთ და კიდეც ვიპოვნით, ზუ გავისტენებთ, რომ აფრასიონის დავაუკაცების დროს სულ სხვა ნიავმა დაპბერა: ახლა ადამიანების ულეტის დრო კი აღარ არის, — დადგა ხანა დაჩაგრულთა განთავისუფლებისა და მფარველობისაო, შემოსმენოდა საღლაც აფრასიონს.

ცათაფრინვას მოეკიდა აფრასიონი, როდესაც თავის ამხანაგებში თანამოაზრენი აღმოუჩნდნენ.

— რას პიშჩავს, რომ მამაშენი სულ ჭვარ-მენდლებით დაიარება? — შეეკითხნენ მას ამხანაგები. — ეგ ხომ უკულტურობის ნიშანია! რატომ არ დაუშლი, რომ აღარ ატარებდეს? როგორ გეკადრება შენ, მაგისთანა პროგრესს, ჩამორჩენილი მამა გუვანდეს!

ძლიერ იამა აფრასიონს თვის ამხანაგებში თანამოაზრეთა აღმოჩენა. მაგრამ თანაც ყურებამდის გაწითლდა. ხოლო ამ გაწით-

ლებამ უფრო ბრაზი მოჰვევარა მას, რადგანაც ამხანაგთა შენაშე გამომეუღლენდა, რომ მასში კიდევ მოიპოვებოდა ნატაშალი ცხვილისა, რომელიც ახალ ხანაში მხოლოდ უკულტუროთა კურვნილებას შეადგენდა და შესაძლებელი იყო, ამაზეც უკუკულებელი მიეღო ამხანაგებისაგან.

რაღა ჩიჩინი უნდოდა, სასტიკი ომი გამოუცხადა ამის შემდეგ მამას. ახლა პირდაპირ ძალას ატანდა მოეხსნა სამუდამოდ მკერდიდან ჯვარ-მენდლები. მამა კი უპასუხებდა უკველ მოთხოვნაზედ: ცოცხალის თავით მე ვერავინ გამყრის ჩემს ჯვარ-მენდლებსაო.

#### IV

მაშინ, როდესაც ასე გაცხარებული ებრძოდა აფრასიონი მამას ჯილდოების შესახებ, თვით იგი მამაშედ არა ნაკლებ, თუ არ მომეტებულად, იყო გატაცებული „სახელოანობის“ წყურვილით. ეს წყურვილი თითქმის არ ასვენებდა მას და გაფაციცებით დაეძებდა სხვა გზას, ასე ვთქვათ, კულტურულ საშუალებას „სახელოანობის“ მოსაპოვებლად.

ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ გადასწყვიტა აფრასიონმა შეუდგეს არტისტობას.

როცა გაკვირვებულმა ამხანაგებმა პკითხეს, თუ რამ მიიყვანა იგი ამისთანა გადაწყვეტილებამდის, მან ასე უპასუხა:

— უველაზედ სასაჩვებლო და ნაყოფიერი კაცისათვის არტისტობა არის. ისე ადრე და ადვილად არაფრით შეუძლიან კაცს მოიპოვოს სახელი, როგორც არტისტობით. წარმოიდგინე, რომ შენ მწერალი ხარ და ამისთანვე მსახიობი კი არა ხარ; რაც უნდა შესანიშნავი დრამატიული ანუ სხვა დარგის ნაწარმოები შექმნა, მაინც უოველთვის კუთხეში იქნები მიგდებული, ცნობით ფართო საზოგადოება, ერთი ორის მეტი, შენ ვერ გიცნობს. მით უფრო არავის მოაგონდები იუბილეს გადახდისათვის, თუნდაც ორმოცდა-ათი წელიწადი იშრომო ნაყოფიერად. მაგრამ თუ შენ მსახიობი ხარ და სხვა არაფრერი, სხვისა ნაწარმოებს საზოგადოებას ხელოვნურად წარმოუდგენ, ყველა შენ გაგიცნობს, ყველას შენ ეხსომები, ყველა ვაშის შენ გეძახის და ტაშს შენ გიქრავს და ხუთი წლის თუ არა — ათის, ხუთმეტის, ოცის და მასთან მიყოლებულ

თუბილეს შენ გიხდიან დიდის ზარითა და ზეიმით, ბენეფიციან  
ხომ რაღა თქმა უნდა. შენი სახელით გაზეთებიც აჭრელდება. არ თა  
ძვირფასია კაცისათვის არტისტობა.

ხოლო აღმოჩნდა, რომ სახელისა და სარგებლის უცნობელობები  
გარდა, თურმე განსაკუთრებული ნიჭიც იყო საჭირო უხერხი- საწარ-  
მოების ხელოვნურად წარმოდგენისათვის და ამის მიზეზით აფრა-  
სიონმა „ნომერი ვერ გაიყვანა“, როგორც მისივე გულითადი ამხა-  
ნაგ-მეგობრები მოწმობდნენ. კი არავინ იფიქროს, რომ ამხანაგებს  
უხაროდთ აფრასიონის მარცხა. რა ბრძანება? მხოლოდ თვისდა  
სასიამოვნოდ ამბობდნენ ამას.

მაინც ბედმა არ უღალატა სამუდამოდ აფრასიონს და გული-  
ანად გაუღიმა: დაპბადა ერთი მცირელი რამ გარემოება, რომელ-  
მაც წარმოშო თავის მხრით დიადი სამოღვაწეო ასპარეზი, ამ ასპა-  
რეზმა თავისთავად მრავალი ყმაწვილი, რომელთაგანაც ბევრს არც  
კი ჰქონია გარკვეული გზა და მიზანი ცხოვრებისა, გადაპქმნა და  
შესძინა სამშობლოს არა მცირელი რიცხოვანი დასები თვალსაჩინო  
მოღვაწეებისა. ეს კია, რომ აფრასიონმა სათანადოდ ვერ მიაღწია  
თვის დიდი ხნის გარკვეულ მიზანს ამ ასპარეზის საშუალებით,  
თუმცა არც უსარგებლოდ ჩაუვლია მასთვის.

მცირელი რამ გარემოება, რომელმაც წარმოშო თავის მხრით  
დიადი სამოღვაწეო ასპარეზი, ასეთი იყო:

ერთ განეთში ვინმე კორესპონდენტმა მოათავსა სოფლის მო-  
ძღვარსა და გლეხ ივანეს შორის გაგონილი საუბარი. მოგვყავს  
სიტყვასიტყვით ეს საუბარი:

— შორითმევით კი მოგარომევ. მამაო ლვდელო, შენ საწესოს,  
შეტი რა ჩარა მაქვს, — ეუბნებოდა ივანე თავის მოძღვარს, როცა ეს  
უკანასკნელი პირველის კალოზედ ბურს აწყვევინებდა, — მაგრამ  
ე ჩემ გოგო-ბიჭობას რაღა უუყო? რით ვაცხოვრო ცოლ-შვილი.  
რო აღარაფერი მაჩება?

— ლმერთი მოგცემს, ჩემო ივანე, ლმერთი! — უპასუხებდა  
მოძღვარი. — ნუ გეშინიან, თავის მოწყალებას არ მოგაყლებს ყოვ-  
ლად მოწყალე.

— ლმერთი მაძლევს, მამაო ლვდელო! განა არ მაძლევს რა?  
და არც მომდურავი ვარ ლვთისა, მაგრამ კაცი რომ არ მარჩენს  
ლვთის მოცემულს! განა თავზე საყრელად არ ეყოფოდა ჩემ ცოლ-

შეილს, რაც წელს მე საჩიო მომცა ღმერთმა, რო მუვა მჩხიზო  
დეს? გავიხარიან, ჩემი ცოლ-შეილი გაიხარებდა! მაგრამ, აუ შენ/  
უნდა მოგართვა შენი საწესო, ცალკე თასნაირი გადასცეფებუ უწყდა ი  
გავისტუმრო, რაც ამის გადარჩება, ის კიდევ არზუმენტიც დაუშეც ე  
უვა ვალში. ამა, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? რითილა უნდა  
ვასაზრდოვო ცოლ-შეილი მთელი წლის განმავლობაში? ნეტა  
ვიცოდე, მოგვივა როდისმე მზე გლეხკაცობას, თუ ასე შავ დაცეში  
უნდა დაელიოთ წუთისოფელი? ერთი ისეთი მისანი არაერი  
გამოჩნდა, რომ ეს გავვიგონ ჩვენ ბედშავებს და თუ არაფერი  
გვეშველება როდისმე, იმედი მაინც ნულა გვექნება ჩვენი  
მასკვლევისა.

— ამა კიდეც ეგა გლუპავთ, ჩემო ივანე, გლეხკაცობას და გი-  
ლევთ ბარაქის, რომ მკითხავებსა და მისნებს დაეძებთ, მათთან  
დარბიხართ და იმათვან მოელით შველის.

— მა რა ვქნათ, შე დალოცვილო, რომ სხვა მშველელი და  
გულშემატკიცარი არავინა გვყავს?

— რა ჰქნათ და ღმერთს უნდა ევედრნეთ, — იგი არს მხოლოდ  
მშველელი ჩვენი!

— იგი ევედრებით იმ დალოცვილს!

— ევედრებით, მაგრამ მკითხავ-მისნებთან რომ დარბიხართ, ეს  
დიდი ცოდვა არის და ღმერთი როდი მოგიწონებთ და გაპატა-  
ვებთ ამას.

## V

ეს ამბავი იყო, რომ კალმით აუწერელი შთაბეჭდილება მოახ-  
დინა მთელ შეგნებულ ახალგაზრდობაზედ მიუხედავად წრისა,  
ჯგუფისა, წოდებისა და მიმართულებისა. მართალია, მთელი ეს  
შეგნებული ახალგაზრდობა სხვადასხვა ქალაქებში ბინადრობდა  
სამუდამოდ თუ დროებით; ზოგნი დიდის მანძილითაც იყვნენ  
ერთმანეთს დაშორებულნი. მაგრამ ვერც მანძილშა და ვერც სხვა  
რაიმე გარემოებამ ვერ შეასუსტა სიძლიერე შთაბეჭდილებისა,  
რომელიც გამოიწვია ივანეს ამბავმა.

რაღაც თილისმური გავლენა მოახდინა ამ ამბავმა ყველაზედ.  
განურჩევლად უველაში იფეთქა ერთმა თანაგრძნობამ ივანესადმი,

უკელა გაიმსჭვალა ერთის აზრით — თავგანწირვით შეეტრძობდა  
ბოროტებას და უსამართლობას, რის მსხვერპლადაც ივანე გამა-  
დარიყო, უკელა შეიძყრო ერთმა ფიქრმა ივანეს დასახმარებლადა  
და საშველად მიმართულმა და უკელას გულის სილრშტაკთ აუსისა — და  
ერთი და იგივე ამონაკვნესი: „როგორ, ლვლელი, მოჟმეს შეეტრძობდა  
უკელა ესენი ჰყვლეფენ ივანეს, ათეულად ტყავს აძრობდენ, იგი ეძებს  
მშველელს, მხსნელს ამისთანა გაჭირებულ მღვომარეობიდგან და  
მხსნელი კი ვერსად უპოვნია! და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ, მთელი  
ახალგაზრდობა, სწორედ მის მხსნელად ვართ მოვლენილნი, მო-  
წოდებულნი და მომზადებულნი! რაღას ვუყურებთ, როცა სამკალი  
ჩვენთვის მომზადებულა?“ და უკელანი დაუყოვნებლივ და გმო-  
ჟკლებლივ, თითქოს წინასწარ შეთანხმებულიყვნენ, მოეშურნენ  
დედაქალაქს, რათა შეერთებულის ძალებით შესდგომოდნენ  
ივანესადმი თვისი მოვალეობის განხორციელებას.

ასე უსაფუძვლო გამოდგა ივანეს ჩივილი ბედზედ, რომ ვითომც  
მას და მასთან ერთად მოელ გლეხაცობას გულშემატკიცარი და  
მშველელი არაეინა ჰყვანდა. რანაირად გაეხარდებოდა ბეჩავ  
ივანეს, და თვითონაც გაიგებდა, რომ ამდენი კეთილი მზრუნველი  
ჰყვანდა მას და მერე სულ ისეთი, რომელთაც ვერც თვითონ  
იცნობდა და ვერც ისინი იცნობდნენ მას და მის ცხოვრებას.

ხოლო ამისთანა უცნობობამაც კი ვერ შეუშალა ხელი ზოგიერთ  
სულით აღზნებულო და გულით ლმობიერთ ჯადოსნურ-მომხიბ-  
ლავი ლექსებით დაესურათხატებინათ მისი ღუხვირი ცხოვრება  
და სიცოცხლე.

რასაკეირველია, მეტია იმისი თქმა, რომ აფრისიონიც თავისი  
თანამოაზრეთა და ამხანაგებით თვალსაჩინო ნაწილს წარმოად-  
გენდა ერთსულოვანობით და კეთილშობილური მისწრაფებით  
შებოჭვილ ახალთაობის შეკრებულებისას.

სივრცით განთქმული დარბაზი ველარ იტევდა ივანეს  
მზრუნველო.

პირველად, როგორც წესია, შეუდგნენ კრების ხელმძღვანელის  
თნუ თავმჯდომარის არჩევას. მაგრამ რაღაც მოელი დრო პირვე-  
ლი კრებისა მოუნდა მარტოდმარტო წინასწარი სიტყვების თქმას,  
თავმჯდომარის არჩევა ვერ მოასწრეს ამხანად — არც კი დაუსახელე-  
ბიათ ვინმე ამ თანამდებობაზედ მაშინ, როდესაც მრავალ დიდად

მეორე კრება უფრო მრავალრიცხოვანი გამოდგა. ახლა კი მართლაცდა ვეღარ იტევდა ფართო დარბაზი მოზღვავებულ ხალხს, ბევრი უადგილობისა გამო იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო.

სიტყვებს მეორე კრებაზედ წინა კრების სიდინჯე და სიმშვიდე თანდათან ეკარგებოდა და აღლვების და აჩქარების ელფერი ეძლეოდა, თვით კრების ერთიანობასაც ორ ბანაკად გაბზარვა ეპარებოდა. ბოლოს გაჩაღებული აგიტაციაც გაიმართა კანდიდატების დასახელებაზედ. დასასრულ დასახელეს თრი, მათგან ერთი აფრასიონი. ხოლო ამორჩეული იქმნა ერთადერთი კენჭის უმრავლესობით აფრასიონის მეტოქე.

ახლად არჩეულმა თავმჯდომარებმ, რასაკირვეელია, წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა, რომელიც იქავე გაუკრიტიკეს მოწინააღმდეგებმა აფრასიონის მეთაურობით და დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი და კრებაც ამჟამად ამითი დასრულდა.

თუ გამარჯვებულნი განცხრომობდნენ და სტებებოდნენ თვისი ძლიერების ნაყოფით, სულ წინააღმდეგ სულისკვეთებისა და მწარე წუთებს განიცდიდნენ დამარცხებულნი, მომეტებულად კი აფრასიონი. მთელ ლამეს არა სძინებია აფრასიონის. სულ ბუტბუტებდა, ჯვრობდა, მუშტების მოღერებით და თავის ქნევით ვილიცას ემშექრებოდა: „მაცადე შენ, რა დღეს დაგმართებ!. არა, იმან ათა თქვა ის, რასაც მე ვფიქრობდი და რაც მე უნდა მეთქვა! ვინ მისცა იმას ნება მოეშვა პირიდამ ის, რაც პირველად ჩემი პირიდამ უნდა ამოსულიყო? რად ჰევდა იმს რაშის კვრა და ვაშას ძახილი, რომელიც ჩემი კუთვნილება იყო და უნდა კიდეც ყოფილიყო? მე იმან უსვინდისოდ მომტაცა აზრიცა და პატივიც. განა მე ყოველ ამას მოუთმენ და ვაძატივებ! მაშ, მე აფრასიონი არ ვიქნები, თუ ის დიდხანს იპარპაშებს! აბა, მიყუროს, როგორ გავეცრუო და გავუბათილო ცველა ნათქვამი და გავაშავო მათ თვალში, ვინც ტაშს უკრავდა და ვაშას ეძახოდა“.



იმ დროს, როდესაც აფრასიონსა და მის თანამოაზრეთ შეუბოლა-  
ლებლივ უღრღნიდათ გულს შურისძიება გამარჯვებულის და უკა-  
უკანასკნელთა ბანაქში სიცოცხლე სდულდა და ტესტმატიკული ეპ-  
ალგზნებული და ალფროვანებული შინაარსის ლექსების კი-  
თხვა და გარჩევა, ლექციები, კრიტიკული მიმოხილვები ერთიერთ-  
მანერთა სცვლიდნენ. სწორე მნიშვნელობით რომ ვითმართ, დარ-  
ბაზი, სადაც კრებები იმართებოდა, გარდაიქცა ნამდვილ გრძემ-  
ლად, ვინაიდან აქ იყედებოდნენ ახალ-ახალი და ამასთანავე  
შესანიშნავი საზოგადო მოღვაწენი. ხალხური ანდაზისა არ იყოს,  
როგორც ჩეჩენი, ისე ისროდა დარბაზი ქუჩაში საზოგადო მოღვა-  
წებს. დარბაზში შესვლის მეტი კი არაფრერი სჭირდებოდა ადა-  
მიანს, რომ საზოგადო მოღვაწის სახელი გამოეტანა.

შევიდოდა დარბაზში ვინმე, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით  
გატაცებული, რომელსაც თავის დღეში არ მოუსურებია და არ  
უფიქრია საზოგადო მოღვაწის სახელისათვის. ჩაითრევდა მას  
მიმართულება და მიმდინარეობა სჯა-ბაბასისა, წარმოთქვამდა სი-  
ტყვას და ქუჩაში გამოვიდოდა უკვე საზოგადო მოღვაწის სახელით.  
თუ სხვა არ უწოდებდა მას ამ სახელს, თვითონ არ ეზარებოდა  
მიეკუთვნებინა თვისთვის ეს სახელი.

ეს იყო და ეს. იგი დარბაზში ფეხს ილარ შესდგამდა, თუ რაი-  
მე საგანმანათლებლოւ საგა-ბაასს ზედ დივერტისმენტი და ვახშამი არ მოჰ-  
ყებოდა. ან კი რა უნდოდა იქ სხვა ლროს, როდესაც იგი, როგორც  
საზოგადო მოღვაწე, თავის ფართო ასპარეზზედ — ქუჩაში სხვა  
მრავალთა უკვე დიდი ხნის დამსახურებულ მოღვაწეებთან ერთად  
წმინდაც ასრულებდა თავის მოვალეობას: სხვასაც ივარჯიშებდა და  
თვითონაც ვარჯიშობდა, რათა ენის ბორბიერი ქართულად ლაპარაკის  
დროს, თუ ქართულად წარმოთქვა სიტყვა დარბაზში, არ დაჩინე-  
ბოდა. ამასთანავე გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს, ვის გა-  
დაუბრუნდებოდა ფეხი თანამოღვაწეთა შორის, რომ მისდგომოდა  
და ზურგზე ბოლი აედინა და ქვეყანა შეეცებინა ფეხგადაბრუ-  
ნებულზედ.

დარბაზი დიდ მნიშვნელობას არც ახლა არის მოკლებული და  
ისევ პირნათლად ემსახურება თვის მიზანს. ხოლო აქ სახელის

მოპოვება მომეტებულ ნაწილად შემთხვევითი იყო და რა რაც ითქვა დარბაზის შესახებ — ისიც ითქვა სხვათა შორის. ასე კი საუკეთესო იქნება სრულიად თავი დაგანებოთ დარბაზისაც-და, რაც მასში ჰქონდება იმასაც, და მივუბრუნდეთ და მივუწიროთ ასე კვალ, — არა, ეს ძრიელ შორს წაგვიყვანს, — მივყვეტა — ჩანდანან მას, ვისაც შემთხვევითი კი არა ჰქვდა, არამედ ბავშვობიდვანვე მოკიდებული სწყუროდა, ეძებდა და კიდევაც იპოვა ნამდვილი სახელი, ანუ როგორც თვითონ უწოდებდა „სახელოანობა“.

ეს გახლავთ უკვე ნაცნობი აფრასიონი.

## VIII

აფრასიონი ისეთ გარემოებაში იმყოფებოდა, რომ უთუოდ უნდა დასდგომოდა იმ გზას, რომელსაც დაადგება ხოლმე ყოველი სახელის მეტნელი ახლანდელ დროში — ყოველნაირი საშუალებით მეტოქისა და მოწინააღმდეგის დამცირებას. მეტისმეტად ცხარე წერილი დასწერა აფრასიონშა. წერილში დაწვრილებით არკვევდა და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა მეტოქის ყოველ ნიშან-წყალს, ლირსებასა და მოქმედებას. მაგრამ არც ერთმა თანამედროვე გაზეოთმა არ მოათავსა ეს მისი წერილი თავის ფურცლებზედ.

ერთი გაზეოთის რედაქტიაში უთხრეს: — ჩვენი რედაქტიის კორპორაცია ერთადერთი წარმომაღენელია მთელი „საზოგადოებისა“ და გამომხატველი მისი აზროვნებისა და მისწრაფება-მიმართულებისა. ის პიროვნებაც, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული წერილის შინაარსი, კორპორაციის თანამოაზრე და წევრია, და მაშინადამე, წერილი მიმართულია მთელი „საზოგადოების“ წინააღმდეგ, რომლის ინტერესების დამცველობა და ხელმძღვანელობა ჩვენა გვაქვს ნაკისრი და „საზოგადოებაც“ ანგარიშს უვიწევს. ამისთვის წერილის მოთავსება ჩვენს ორგანოში შეუძლებელია.

მეორე გაზეოთის რედაქტიაში უპასუხეს: — ერთადერთი ჩვენი გაზეოთი ემსახურება მთელი „საზოგადოების“ ნამდვილ ინტერესებს და „საზოგადოებაც“ აფასებს მის სამსახურს და სავსებით ენდობა მას. ამისთვის „საზოგადოების“ ნდობას ბორტად ვერ მოიხმართ და არ მივაწვდით იმას, რაც არ ეთანხმება ჩვენს აზრსა და მიმართულებას, როგორიც თქვენი წერილის შინაარსია.

მესამეგან: — ჩვენს გაზეოთს ვიწრო წოდებრივი ანუ ჯუფობ-

რივი დანიშნულება არა აქვს. ერთადერთი ჩვენი განეთია, რომელიც პირნათლად ემსახურება ფართო „საზოგადოებას“ და ტურისტებს აქვს გათვალისწინებული თვისი მოვალეობას მოვალეობას „საზოგადოებას“ წინაშე. „საზოგადოებასაც“ მონაცემების მხრივ მხოლოდ ჩვენს განეთხედ თვისი ინტერესების დაცვა. რედაქტორისაც თვისი დევიზი და ლოზუნები აქვს — მიაწოდოს „საზოგადოებას“ მხოლოდ საღის და გაწვრთნილის ჰკვა-გონების ნაშრომი. ამისთვის თქვენს წერილს, როგორც ჩვენთვის უცნობისას, ვერ მოვათვებთ ჩვენის განეთის ფურცლებზედაც.

მეტი აღარაფერი დარჩომოდა აფრასიონს, — იძულებული შეიქმნა საკუთარი განეთი გამოეცა და არც დააყოვნა.

ახლად გამოცემული განეთის მოწინავე წერილში სხვათა შორის იყო ნათქვამი: „მთელი „საზოგადოება“ საღათას ძილით არის შეპყრობილი. ამით სარგებლობენ ბნელი ძალები. მაგრად ჩაუჭიდნიათ „საზოგადოებისათვის“ ბრჭყალები და აფათურებენ თვის ჰუჭყიან ხელებს მის სულსა და გულში. ეს გარემოება გვაიძულებს გვილაშექროთ მათ წინააღმდეგ, მეღვრად შევებრძოლოთ მათ და გაბედულად შემოვებახოთ: შორს, ბნელო ძალებო! თქვენ არა გაქვთ არარაიმე უფლება, ილაპარაკოთ და იმოქმედოთ „საზოგადოების“ სახელით! ექვევით გართ ჩვენ, ნამდვილი გულშემატკიცარნი, და ჭირისუფალი თქვენგან აბუჩად აგდებული „საზოგადოებისა“ და ნების არავის მოგცემთ იპარპაშოთ მასზედ შემდეგშიაც, რათა დაიკმაყოფილოთ თქვენი ქვენა ზრახვანი და სურვილები. დღეს იქით ჩვენ ვლებულობთ ჩვენს თავშედ „ფარბის დაცვას და მხოლოდ ჩვენ ვიქნებით მისი წარმომადგენელნი, მის უფლებათა დამცველნი დ სურვილების გამომხატველნი“.

რასაკეირველია, განეთის ამ პირველ ნომერშივე იყო დასტამბული ყველგან უართქმული აფრასიონის წერილიც. და ამით ჩაეყარა საძირკველი ქრებაზედ დაბადებულ „საღავო საგნის“ გამორჩევას, ანუ, ვგრეთ წოდებულ, პოლემიკას, რომელმაც ცოტა დროს კი არ გასტანა.

პოლემიკა პირველად აფრასიონსა და მის გამიაჯვებულ მეტრებს შორის სწარმოებდა. ხოლო თანდათანობით კერძო პორადულ მიმართულებას ჰკარგავდა და იღებდა საზოგადოებრივ

ხასიათს. ბოლოს „საღავო საგნის“ გამორკვევა გადაიქცა კულტ  
სავალდებულოდ იმ ჯგუფთათვის, რომელთაც აფრასონი და ძირი  
მოწინააღმდეგ ეკუთვნოდა თვისი მსოფლმხედველობით. რომელ  
მოწინააღმდეგ ჯგუფის სასიქადულოდ უნდა ითქვას კრისტული  
რეპლიკ და შეუდარებელი კეთილსვინდისიერებით ცისაუკუცეცის შემცირების  
თვის მოვალეობას. ჯგუფების არც ერთი წევრთაგანი არ ჩამორჩე-  
ნია თვის ამხანაგებს საზოგადო საქმეში. ყოველი მათგანი რაიმე  
საშუალებით იღებდა მონაწილეობას „საღავო საგნის“ გამორკვე-  
ვაში. ვისაც წერილობით არ შეეძლო შეეტანა თავისი წვლილი  
საჯგუფო საქმეში, ის სიტყვიერად ამხნევებდა მწერლობაში დახე-  
ლოვნებულ ამხანაგი: ოღონდ იმისი ჭავრი ამომყარე, ოღონდ ის  
გაატრიზავე და მის ჭავრს ნუ შემაჭრევ, და რაც გინდა ის გადამახ-  
დევინერ.

ეჭვი არ არის, რომ ამისთანა მუდარა ერთისა ფხასა და ხანდა-  
ხან შეამსაც ჰმატებდა კალმის წვერს მეორისას.

მრავალჯერ მიტრიალ-მოტრიალებით ორ მოწინააღმდეგეთ  
ჯგუფთა შორის სრულის სიგრძე-სიგანით გამოირკვა „საღავო  
საგანი“, მაინცადამაინც საბოლოო დასკვნა ჰქვდათ ისევ აფრასი-  
ონისა და მის მოპირდაპირეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს აღარც  
კი ახსოვდა ის დრო, როდესაც ეს უკანასკნელი ერთ კრებაზედ  
თავმჯდომარეობდა.

პასუხის პასუხის პასუხის პასუხის პასუხში აფრასიონმა  
თვისი დასკვნა მოპირდაპირის შესახებ ასე დაამთავრა: თავი  
ფილთავებს მიუგავს, ცხვირი ზურნასაო; ერთი თვალი ალთას  
მიურბის, მეორე ბალთასაო; კბილები გარეულ ტანის ეშვებივით  
გამოშეერია, ტუჩები გაღმობრუნებული აქვსო; ხელები დაკონი-  
ლი აქვს, ფეხები ტაბოცს უგავსო; ტანით დაბალი და სქელია,  
პკვით კი მოკლეო და მისი მსჯელობაც მარტოდმარტო ლანძლვა-  
გინებაში გამოიხატებაო. ამისთანა არსება რა თავმჯდომარეობას  
გაუწევდა კრებასაო.

მოპირდაპირის დასკვნა აფრასიონის შესახებ: თავი ბუს  
მიუგავს, თვალები ჭოჭოსაო; კისერი ჭიაყელას უგავს, ცხვირი  
ჭაომის ნისკარტსაო; კანჭები გველიყლასავით დაპერძელებია  
და ძილის დროს მისი ხვრინვა დღის სავალზედ ისმისო. ტანით  
აყლაყუდა და ჭიკვით კი ლილიპტრიო. და რა მსჯელობა შეუძლიან  
მს, თე თვემცებურ ხერხს — ლანძლვა-გინებას არ მიშმართაო.

სხვას კი უკუინებს ლანძლვასაო. უკელა ამის პატრონი თავმდებო-  
მარეობას ეპოტინებოდა მრავალრიცხვან კრებაზედათ... მაგრამ  
რად ვაწუხებ ტყუილუბრალოდ მკითხველთ ამ ნიმუშების გამე-  
ორებით, როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ უკელა წარმოშენები  
და გაცნობილი ექნება თავიდან ბოლომდრის მთელჭ ჟარლუშებულის  
მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის ატეხილი.

## IX

კერძოდ თვით აფრასიონს დიდი შრომა და მეცადინეობა  
დასჭირდა ოღძრული საკითხის გამოკვლევასა და შემუშავებაში.  
ვინ მოსთვლის, რამდენი მწარე წუთები და ტანკვა გამოიარა  
ვიდრემდის სასურეელად დააბოლოვებდა ნაკისრ საქმეს. ეს კია,  
რომ დაუღალავმა შრომამ საკმაოდ გამოჯერა იგი და თვალსაჩინოდ  
ამოატივტივა თანამოაზრეთა წრიდან. ძრიელ შორის გაისმა მისი  
სახელი. მისმა „სახელოანობამ“ ათვერ და ასჯერ გადააჭარბა  
მამისას. თუ აპალონს იცნობდნენ იქ, სადამდისაც მას ხმა მიუწ-  
ვდებოდა, აფრასიონი გაიცნეს იქ, სადამდისაც საპოლემიკო გაზე-  
თები ჰქონდებოდა. მაგრამ განა ეს საქმარისი იყო აფრასიონისა-  
თვის იმ დროის მოთხოვნილებით, როდესაც იგი გამოვიდა სამოქ-  
მედო ასპარეზზედ? არა და ათასჯერაც არა! იგი მიისწრაფოდა  
არაჩვეულებრივი „სახელოანობისაკენ“.

— ეხლა როგორდა მოვიქცე? — ეკითხებოდა ერთხელ აფრა-  
სიონი თავის-თავს — „სახელოანობა“ ჩემი მხოლოდ დაიბადა.  
მას ამის შემდეგ ესაჭიროება ხელის შეწყობა, ზრდა, დავაკაცება,  
თორებ უამისოდ რას ევგანება იგი. გაჩერება იმ წერტილზედ,  
რომელზედაც ეხლა ჩემი სახელოანობა სდგას, ყოვლად შეუძლე-  
ბელია. ამისთვის საგანგებო რამ საშუალება უნდა გამოინახოს, ეს  
კი ძნელდება და თანაც გვიანდება. ჯერჯერობით ერთადერთი გზა  
მიჩნას — მამაჩემი გავტეხო და ჯვარ-მენდლების ტარება მოვაშ-  
ლევინო. ეს თუ მოვახერხე, მგონია, არ იქნება მცირედი ლვაწლი  
ჩემის მხრით საპროგრესო ასპარეზზედ და ამან დიდად უნდა ასწი-  
ოს ლირებულება ჩემი „სახელოანობისა“. რამდენადაც საძნელოა  
გადაბრძნილი, გაფანატიკოსებული მოხუცის გარდაქმნა, პროგრესის  
გზაზედ დაყენება, იმდენად მეტად უნდა ამაღლდეს სახელი ამის  
მოქმედისა. ეს ასე იყოს დროებით მაინც. შემდეგისათვის კი თვითონ

გარემოებანი მიკარნახებენ, როგორ უნდა მოვიქცე, რომ უმაღლეს წერტილამდე აღემაღლოს ჩემი სახელი. ყველა ამასაც რომ/თავი დავანებოთ, მეთაკილება, რომ ამისთანა პროგრესს ნამოზეჩნდოთ პირი მამაჩემია და თუ ეერ მოვაშლევინე ჯვარ-მენდლების ტარება, შეიძლება თავისი ჯიუტობითა და ქცევით ჩემს აწინდგურებული ანობასაც" კი მოსცხოს ჩირქი. მეტი გზა არ არის, ჭრილი უკეთეს უკიდურეს საშუალებას მასთან საბრძოლველად და მგონია კიდევ გასკრას. პირდაპირ მოვთხოვ მას რომ, როგორც ყოფილ ლაქიას, არ აქვს ნება და უფლება ჰქონდეს და ატაროს ჯილდოები.

ბოლო ხანებში აფრასიონს აქეთ-იქიდან ჩააწევთეს ყურში, რომ მისი მამა ომში წასვლამდის ლაქიობდა. მართლადაც სანაქებო ლაქია იყო აპალონი თავის დროზედ და ლაქიათაც გაჟყვა ომში ერთ წარჩინებულ პირს, ხოლო იქ მისმა ბედმა იმუშავა და ლაქიაობიდგან იგი „სახელოანობის“ სამეფოში გადაახტუნა. ახლაც კი არ უშლიდა მას „სახელოანობა“ თვისი უწინდელი ხელობა მოეგონა ძალითა და უფლებით აღჭურვილ პირთა წინაშე. ამას აფრასიონიც ხშირად ამჩნევდა.

აფრასიონის საბედნიეროდ გარემოებამ წინ უსწრო მას, ვიდრე იგი მოელოდა და უკარნახა მას ისეთი რამ საშუალება, რომელმაც პირდაპირ „სახელოანობის“ კოშკის მწვერებაზე შეისქუპა იგი და სრულიადაც იღარ დასჭირდა შრომა მამის გარდაქმნა-გაპროგრესისტობაში.

ხშირად დიდი საქმის წარმომშობი პატარა რამ გარემოება შეიქმნება ხოლმე. აფრასიონის მომავლის გაბრწყინებისათვისაც ასეთმა პატარა გარემოებამ იმუშავა.

თავის თავთან საუბრის შემდეგ გერ კრინტიც კი არ დაეძრა აფრასიონს მამის წინაშე, რომ ერთმა თანამოაზრეთაგანმა შეხვედრის დროს მიპრართა მას: მამაშენი რომ მამაჩემი იყოს, უარს ვიტყოდი მის მამობაზეო, ისე მეზიზლება. იგი თავისი ჯვარ-მენდლებითავ.

გულში ისარივით დაესო აფრასიონს ეს სიტყვები და დიდად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. ხოლო შეურაცხყოფელად ჩასთვალა არა თანამოაზრე, არამედ თვისი მშობელი მამა და იმავე წუთში გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ გაყროდა მშობლებს. პირველსავე ღამეს შექრა თავისივე ბარგი და ისე მიატოვა დედ-მამა,

რომ არც დამშვიდობებია მათ. ეს ამბავი გაზრდებმა ქვემოთა  
მოპოვების ერთ დროს და განხდა არა როგორც უბ-

რალო პოლემისტისა, არამედ როგორც მტარვალთაგან ქვეყნის მიმდევად მხარეს მისნელისა. „დიადი იდეა დიდია და განსაკუთრებულ მსნებელები უცხადეს მოითხოვს თვისი განხორციელებისათვის. რა ფასი სდევს თუ იდაც მშობელთა სიცოცხლეს იქ, სადაც კითხვა დასმულია დაჩაგრულთა ხსნაზედ? ეს საკითხი დიდის ცოდნითა და მოვიქრებით დასვა და ძრიელ ადვილადაც გადასჭრა ქვეყნიერების საბეჭნიეროდ მხოლოდ აფრასიონ გვარაძემ“.

ასეთია გამოძახილი აფრასიონის შეურყეველი რწმენისა, რომ თვისი დედ-მამისაგან განდგომით მან იხსნა ქვეყნიერება მტარვალთაგან. ხოლო თვით აფრასიონის ისე კი არ ესმოდა ეს გამოძახილი, როგორც მისი გულიდანვე ამონავალი, არამედ როგორც გამოძახილი ყოველი მხრიდგან, სადამდისაც მიეღწივა მის სახელს. აი კიდეც ეს გამოძახილი იყო, რომ საამოდ აუღერებდა მისი გულის გრძნობათა სიმებს.

## X

სხვა უიმისო იქნება კიდეც დაქმაყოფილებულიყო იმ ნაყოფით, რაც აფრასიონმა უკვე მოიმქო და მისცემოდა შეებასა და განცხრომასა, მაგრამ აფრასიონმა ეს ნაადრევად ჩასთვალა და მორჩილებითა და გატაცებით მისდევდა იდუმალ ბაბილო თვისი გულისას, რომელიც მისი ახლობელი ამხანაგობის მოწმობით სურვილთა ზღვას წარმოადგენდა. ხოლო თუ აფრასიონის თავის თავთან საუბარს ჩაუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ აბობოქრებულ ტალღა ამ ზღვის ზედაპირზე იგივე „სახელოანობის“ სურვილი მიაგორებდა.

საზოგადოდ თავის თავთან ბასი ყოველი განზრახული მოქმედების წინ აფრასიონის არსებით თვისებას შეაღევნდა, და აი ახლაც, როგორ ბასობდა თავის თავთან: „სახელი მოვიხვეპე, მართალია, მე ვეღარავინ წამართმევს ამ სახელს, მაგრამ ნუთუ მით უნდა დავკმაყოფილდე? ეს საქმარისი არ არის ჩემთვის. და ვერც მოვითმენ, რომ შეჩერდეს „სახელოანობა“ ჩემი ერთ წერტილზედ. უნდა იზარდოს იგი განუსაზღვრელად და მტკიცედ დამყარდეს ყოველგან“. ამისათვის „გამოძახილს ყოველი მხრიდგან“ მან უპასუხა მით, რომ

თვითონაც გამოაცხადა თავი თვისი ჩაგრულთა მფარველად და უპატრიონთა პატრიონად, ხოლო, რადგანაც იმ ქვეყანაში, რომელსაც აფრასიონი ეკუთვნოდა ოვისი დაბადებით, მტარვალთა მოსამით ყველანი ბედნიერ ჰყო და ყველაფერი მოაგვარა სუჭირსას მარტინი მან გადაიტანა და მომეტებულადაც გააძლიერა თვისი ჩრდილებულების სახის სხვა ქვეყნებში, სადაც მტარვალნიცა და ჩაგრულ-უპატრიონიც ბლომად მოიპოვებოდნენ.

ქვეყნიერების რომელ კუთხეშიაც უნდა ყოფილიყო დაჩაგრული ადამიანი: ბედისაგან იქნებოდა იგი დაჩაგრული, ძალმომრეობით თუ უსამართლობით — სულ ერთი იყო აფრასიონისათვის; თუკი გაიგებდა ამას, დაუზარებლივ და დაუყოვნებლივ გაექანებოდა იგი იქითკენ.

თუ ვინმე ამ ტროს მიმართავდა მას კითხვით: „ნუთუ იმ ქვეყანაში, სადაც შენ შემიღებარ და გაჩრდილხარ, არ მოიპოვებიან გაჭირვებულნი და არ საჭიროებენ შენს შველასა და დაბმარებას, რომ სხვა მხარეს მიეშურები სხვის საშველადა?“ ამისთანა კითხვის გავონებაზედ აფრასიონი გაიღიმებოდა, რაშიაც იხატებოდა მისი სიბრალული მკითხველის შეუგნებლობასა და თავხედობაზედ და უპასუხებდა: „იქ უკვე მიცნობენ, ხოლო ეს ცნობა შემოზლედულია ძრიელ მცირედი ქვეყნისა და ხალხის წრითა და ეს კი არ არის ჩემთვის საკმარისი“.

## XI

თუ აფრასიონი ბედისგან დაჩაგრულის წინაშე კრავის სიმშვიდით და მწირის სიმდაბლით იმოსებოდა, სამაგიეროდ ძალმომრეობის და უსამართლობის წინაშე ლომის გამბედაობას და ვეფხვის სიკაცრეს იჩენდა. სადაც უნდა გაჩენილიყო უსამართლოებისა და ძალმომრეობის მსხვერპლი, აფრასიონი მყისვე იქ იბადებოდა და სიტყვით, წერით თუ მოქმედებით იცავდა განურჩევლად ვანც უნდა ყოფილიყო ეს მსხვერპლი.

იცავდა აფრასიონი იმათაც კი, ვინც სრულიად არა საჭიროებდნენ მის დაბმარებას და თვითონაც უკეთესად შეეძლოთ თვისი დაცვა. მხოლოდ ამ უკანასკნელთ აკერვებდათ აფრასიონის უცნაურობამდის მიღწეული ენერგია და გულმტკიცნელობით წამოიძახებდნენ ხოლმე: საწყალი, ეტყობა რაღაცა სწადიან გულში და იქნე-

ბა ბევრი კარგის გაკეთებაც შესძლებოდა თვისი ენერგიის წყალი ბით, რომ სრულ ჭკვაზედ იყოს.

რომ მართლაც დაუშრეტელი ენერგიის პატრონი იყო აფრიანონი, ამას ერთხმად ადასტურებდნენ მისი მოსისხლე ჰუკინიშვილი და მგონია ექვისაც ვერავინ შეიტანს აფრასიონის მტკმერ ჯამში მეტე ლეში, ვინაიდგან ჩაც უფრო „სახელოანია“ კაცი, მით უფრო მომეტებული მტერი ჰყავს მას. ეს არის, სმენა ჰქონდა აფრასიონის სულ სხვანარი თვისებისა. მაგალითად მისგან ნაძალადევად დავალებულ-თავან გულმტკივნეულობით წარმოოქმული სიტყვები სრულიად უკუღმა გაღმოტრიალებით ესმოდა ასე: ჩა დიდი ჭკვისა, გამოცდილებისა და ენერგიის პატრონი და დაუზარებელი მფარველი გვყავსო.

მარტო სმენა არა ჰქონდა აფრასიონის განსაკუთრებული თვისებისა. სმენაზედ უფრო შესანიშნავად მხედველობა ჰქონდა განვითარებული. ნიკი მხედველობისა ისეთი ძლიერი ჰქონდა, რომ ჰქედავდა არა მარტო იმას, ჩაც მას თვალშინ ედო, არამედ იმასაც, ჩაც მის ზურგს უკან ხდებოდა.

აი გამაიქროლა აფრასიონშა ქუჩაში. როგორც ჩვეულებადა ჰქონდა. ყურადღებას არც კი აქცევს ვისმე, ვინაიდან მისი ფიქრი და გონება ყოველთვის შეპყრობილია უზენაესი საგნებითა და აზრებით, ჩვეულებრივი ქვეყნიური არა სწამს რა. ხოლო თუ იგი არ აქცევს არავის და არაფერს ყურადღებას, სამაგიეროდ სხვანი მას აქცევნ დიდ ყურადღებას. აფრასიონი მიჰქრის თავის გზაზედ, მაგრამ ამავე დროს ნათლად ხედავს, რაც მის ზურგს უკან ჰქედაბა. ჰქედავს: როგორ იქრიბება ჭვეფუ-ჭვეფუად ხალხი მის გავლის შემდეგ; როგორ უთითებენ ერთი-ერთმანეთს მასზედ — ეგ არის დედმამის მკვლელიო. და ამ სიტყვებს და ბევრს სხვა მათ ნალპარაკევს მისი ჩქარი სიარულით ამდგარი ნიავი მიაქროლებს მისკენ და მის სმენმდის აღწევს ისევე გადატრიალებით: „ეგ არის მფარველი ჩიგრულთა, პატრონი უკარიონოთა, მკვლელი მშობელთა“. — მიუხედავად იმისა, რომ გარდა დაცინვისა და უკანასკნელი სიტყვებისა არაფერი არავის ამოსდიოდა პირიდამ აფრასიონის შესახებ, ხოლო სმენას პირდაპირა ჰქედებოდა და არა გადატრიალებით, ოდგანაც ესენი ყველაზედ მეტ სიამოვნებას ჰეგრილნენ. და, ჰაი, ჰაი, რომ არა ყოფილიყვნენ სასიამოვნონი: მშობლების მკვლელობამ არ საუკაფა და გაუკვალა აფრასიონს გზა „სახელოანობისაკენ?“!

სინამდვილით ასრულდა პალონის იმედი და რწმენა, ოომ  
შეილი მასზე „სახელოანი“ გამოსუიდოდა. მართლაც ფლერებსკონტიკი  
სახელოვანობამ დიდად გადააჭარბა მამის „სახელუფერობის“ უფრო  
აპალონს იცნობდნენ იქ, სადაც ხმა მიუწვდებოდა, აფრასიონს იც-  
ნობდნენ მთელ ქვეყანაზედ, სადამდისაც აღწევდა ბეჭდვითი  
სიტყვა. ბეჭდვითი სიტყვა კი თითქმის მთლად აფრასიონის სახელს  
ემსახურებოდა. ყველა გაზეთი პირაღებით სავსე იყო ხოლმე მისი  
სიტყვა-მოქმედების აღწერით. როცა ბინაზედ ბრუნდებოდა აფრა-  
სიონი დასასვენებლად, იღლია სავსე ჰქონდა ხოლმე სხვადასხვა  
გაზეთებით. ყველა გაზეთში უთუოდ ეგულებოდა რამე თვის  
შესახებ დასტამბული და მძიმთვის არა ზოგავდა ერთიორადა და  
ბეჭრჯელ ერთიათადაც ლირებულ ფასზედ მეტი მიეცა თვითეულ  
გაზეთის ნომერში.

დიდი ზღვარი იყო აფრასიონის ახლანდელ სულიერ განწყო-  
ბილებასა და მას შუა, რაც გამოსცადა დამარცხების ღამეს. თუ  
მაშინ ტიროლა, ახლა, როცა კითხულობდა გაზეთებში თვის შესა-  
ხებ რამეს, სიამოვნებით იცინოდა; თუ მაშინ ხელებს იქნევდა  
გაჯავრებული, ახლა სიხარულისაგან მაღლა-მაღლა ხტოლა; თუ  
მაშინ ბურტყუნებდა და ვილაცას ემუქრებოდა მუშტებმოლერებუ-  
ლი, ახლა ნიშნისგებით ეუბნებოდა იმავე ვილაცის აჩრდილს: „ჴი,  
ოლოლო შენ! შენა ხარ „სახელოანი“, თუ მე? შენ გნდიან ჩაგ-  
რულთა მფარველად და უპატრიონთა პატრონად, თუ მე?“ ის კი არ  
იცოდა აფრასიონმა, რომ მისი მეტოქე, ვის აჩრდილსაც უთუოდ  
ახლა ელაპარაკებოდა, აღბათ შრომისგან საქმაოდ დაღლილი, დიდი  
სანია სამოქმედო ასპარეზს ჩამოჰშორდა და დროს განსვენებასა  
და განცხრომაში ატარებდა.

მართალია „ლერენლობის“ შესახებ გაცრუვდა პალონის წინას-  
წარმეტყველება და იმედიც, მაგრამ თუ ცოცხალი იქნებოდა იგი  
და თავისი თვალით დაინახავდა ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინებულ  
მომავალს შეილისას, თვითი იგივე დაამოწმებდა, რომ ვერა ლერენ-  
ლის სახელი ვერ შეედრებოდა აფრასიონის მიერ მოხვეჭილ „სა-  
ხელოანობას“. რა ვიცი, თუ ცოტათი არ დაჩრდილა ეს „სახელო-  
ანობა“ იმ გარემოებამ, რომ აფრასიონში ხელმეორედ თავი იჩინა  
ცვლილებამ.

ერთადერთმა ღმერთმან უწყის, თუ რა იყო ნამდვილი მიზენა: გულჩევილობა ანუ სიბრალული მჩაგვრელთადმი, რადგანაც მეტად მკაცრად ებრძოდა მათ აფრასიონი დაჩაგრულთა საქართველოში ლოდ, თუ სხვა რამ გულის ნადები საიდუმლოება მისი. შეჩერდოთ ეს კი უველასათვის ცხადი იყო, რომ მასში კიდევ დიტი ტვლილება მოჰქმდა.

უცრი ვათხოვოთ აფრასიონის თავის თავთან საუბარს, თუ რა შიში შეპარვოდა გულში: „ვეელით კი ვშველი დაჩაგრულთ, მაგრამ ვაითუ მათ შერი იძიონ თავის მჩაგვრელთაგან და ეს უკანასკნელი არამც დაჩაგრონ — უფრო მომეტებულიც დაპმართონ. მაშინ ხომ გადაბრუნდა და მთლად დაინგრა ქვეყნიერება? მეც ხომ წილი მედება ქვეყნიერების ამ დანგრევაში, ვინაიდგან ხელი შეცუწყის დაჩაგრულთა მიერ შეების მოპოვებას? ჩემი გულითადი მისწრაფება კი ბარტოლმარტო იმაში მდგომარეობს, რომ არ დავაგნებით კი, არამედ ავაშენო და ავაყუავო მთელი ქვეყნიერობა და მხოლოდ ამისათვის ვიღწვი თავგანწირულად. მაშისადამე, მიერიდგან მე უნდა ვიტვირთო მფარველობა დაჩაგრულთაგან დაჩაგრული მჩაგვრელებისა“.

როცა სახალხოდაც გამოაცხადა აფრასიონმა თავის თავთან საუბარი და ბევრნი გაყიდივებით შეეკითხნენ, თუ რა გზით და საშუალებით შეეძლოთ დაეჩაგრათ უძლორთ ძლიერნი, არანაკლების გაყვირვებით წარმოთქვა მან: „ამას ხომ მე თვითონ ვამბობ და ვამტკიცებ და ნუთუ ეჭვი ვისმე აქვს ჩემს ნათქვამში“. ეს საბუთი კი სრულიად საქმარისი იყო, რომ თუ უველას არა, მის თანამოაზრეთ მაიც შეურჩეველ პეშმარიტებად მიეღოთ და მიიღეს კიდეც მისი ნათქვამი. მხოლოდ ისლა იყო ახლა საჭირო, რომ აფრასიონის მიერ ნაკისრების ახალი ტვირთისა თუ მოვალეობის დაგვარად შეცვლილიყო მისი წინანდელი წოდებაც „ჩაგრულთა მფარველობა“.

მიეღო მარტო წოდება „მჩაგრულთა მფარველი“ — ეს არ იქნებოდა ნამდვილი და სრული გამომხატველი მისი ღვაწლისა და არცთუ სასახელო რამ იქნებოდა. მისთვის მარტო ასეთი წოდების მითვისება. მიეთვისებინა პირდაპირ წოდება: „დაჩაგრულთაგან დაჩაგრულ დამჩაგვრელების მფარველი“ — ეს კიდევ როგორიც მოუხეშავად და უხერხულად გამოდიოდა. ამ გაყიდვებიდგან ისევ თავის თავთან შეკითხვამ იხსნა აფრასიონი: „განა უფრო ფართოთ მნიშვნელოვანი და მისაღებიც არ იქნება, — შეეკითხა იგი თავის

თავს, — რომ ვიწოდებოდე „ქვეყნიერების მხსნელად“ და რომ მის ჯერ არც კი დაემთავრებინა ეს შეკითხვა. რომ იფერქა მთელ მსოფლიოზედ და აფრასიონის სმენასაც ტკბილად შემოსისურავებული ნის მხსნელი აფრასიონ გვარაძე“.

არც თვისი ცვლილებანი, არც წინანდელი წოდების ახლად შეცვლა და გარდაქმნა ისე არ გასძნელებია აფრასიონს, როგორც ერთი რამ გაუძნელდა და გაუჭირდა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ აფრასიონის „სახელოანობა“ კიდით კიდემდის სწვდებოდა და პყვაოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრნი შეხვედრის დროს ვერა სცნობდნენ მას. ეს გარემოება კი, აფრასიონის აზრით, არღვევდა წესიერებას საერთოდ ქვეყანაზედ, რომლის აშენებასა. გამშვენებასა და აყვავებაზედ იგი დღედაღმა ფიქრობდა. ქვეყნის ამ ნაკლულევანების შესავსებად იგი შეეცადა ვამოეგონა რამე ნიშანი, რომელიც საჩენ ადგილს ექნებოდა მის გაკეთებული, რომ ყველას ეცნო იგი.

რამე ჩვეულებრივი ნიშანის გამოგონება არცთ ისე ძნელია და რასაკირველია, აფრასიონისათვისაც არ შეადგენდა სიძნელეს. მხოლოდ ისეთი განსაკუთრებული თვისების ნიშნის მოგონება კი. რომლის ერთი თვალის მოკვრით უნდა გაეგო ადამიანს, როგორც აფრასიონს ჰსურდა, ვინაობა და მთელი შინაარსი მისი მატრებელისა, მართლაც რომ დიდი თავსატეხი საქმე იყო. იტენდა კიდეც თავს აფრასიონი, მაგრამ ვერაფერი ვერა გაეწყო რა.

### XIII

იქნება ცნობისმოყვარეთ სურვონ შეტყობი მისი, თუ რა წამალი დასდო ვინმე ივანეს, ან თუ რა ყოფაშია ამებიძე იგი.

იტანემ დიდი ხანია თქვენი ჰირი წაიღო. და აღარც მოჰკონებია ვისმე იგი შემდეგში, არც პირველ კრებაზედ არ ახსენეს მისი სახელი ორჯერ-სამჯერ. ხოლო რა დაემართოთ იმის ქვრივ-ობლებს, დღესაც არავინ იცის. ან კი რა საჭიროა ყველა ეს? იმისთვის ხომ არ გამოვიდა ივანე მოედანზედ, რომ მას ან მის ცოლ-შვილს ვჰელებოდა რამე! მან თვისი დანიშნულება პირნათლად შეასრულა. ივანეს უნდა ვემადლოდეთ, რომ რამდენიმე წყება გამოჩენილი მოღვაწეებისა შეემატა სამშობლოს და, რაც უფრო თვალსაჩინოა. აფრასიონმა მოიხვეჭა სახელი და დიდება — „სახელოანი“ გახდა.

მართალია, აფრასიონის „გასახელოანობაში“ სხვა გარემოზეთ  
შეუწყეს ხელი, მაგრამ მანც იმასაც იმავე ივანემ შეადგინა  
პირველი ნაბიჯი „სახელოანობის“ კოშის დირეზედ, სოდ მართა-  
თაც მოექცა ამ კოშის ზედ წვეროზედ.

## უროვნეული

ხოლო გაუკითხავად მტკიცება მისი, რომ ივანესა და და  
ცოლ-შვილისათვის არავითარი მნიშვნელობა და საკეთილი შედეგი  
არ მოჰყოლია მოწინააღმდეგეთა ბანაკების ერთიერობანეთთან შეხ-  
ლას, სრულ უსამართლობას მოასწავებდა. ისეთი ხანგრძლივი და  
ნაყოფიერი პოლემიკის მიმდინარეობაში, როგორსაც აწარმოებდნენ  
მოწინააღმდეგენი, სხვათა შორის, ორი დებულებაც გამოიჩინა.  
ერთი — რომ ივანეს მამული, უფრო კი ამ მამულისადმი სიყვარული,  
და საზოგადოდ გრძნობა მამულიშვილობისა სულიან-ხორციანად  
სწამლავდა და მისითვის საჭირო იყო მიეტოვებინა ივი მამული,  
როგორც მიზეზი მისი აუწერელი და აუტანელი უბედურებისა. ამ  
დებულების მომხრედ სრულიად და ადვილად გაიმარჯვეს ჯერ ისევ  
მაშინ, როცა არც კი დაესკვნათ საბოლოოდ ეს დებულება, ვინაიდ-  
ვან ივანე, როგორც იყო ნათვამი, გარდაიცალა და მისი ქვრივ-  
ობლები, თუ ჯერ არ შესდგომიან მის კზას, ამოჰყოფენ თავს სადმე  
შორს სრულიად განთავისუფლებულნი მამულისაგან და ბედნიერნი  
და უზრუნველყოფილნი მამულიშვილობის შხამით მოწამელისაგან.

მეორე დებულება — რომ ივანესათვის ძრიელ ხელსაყრელი და  
სასარგებლო იქნება, თუ მისი ნაჭერი მამული, რომელზედაც ახლა  
ყველ-ყორანი ბულობს, თანასწორი უფლებობით შეუკავშირდება და  
შევა უცხო მშობელთა წრეში. იქნება გვიან, მაგრამ აშეარაა ამ  
დებულების წამომყენებელნიც უთუოდ გაიმარჯვებენ.

ასე რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარე ქეშმარიტებას ჰლალადებ-  
და და შრომობდა, ცდილობდა ივანეს კეთილდღეობისათვის. მაშა-  
სადამე, ორივე მოწინააღმდეგე ბანაკის ჩხუბი და დავიდარაბა ივა-  
ნეს სასარგებლოდ სწარმოებდა და მისსავე სასარგებლოდ დაბო-  
ლავდა.

## XIV

ბევრმა შავმა ლრუბლებმა გადაიარა ცაშედ და უთვალავი თეთრი  
ლრუბლიც თან გადაიტანა. დედამიწის ზურგზედაც ბევრმა წყალმა  
ჩიიარა. აფრასიონმაც გამაიგონა სასურველი ნიშანი, გაიკეთა ზედ

და დაუღალვად განაერძობდა კაცობრიობისათვის ზრუნვას. ზედად  
სარგებლობდა თვის მოღვაწეობის ასპარეზზედ, რომელიც გერმან-  
გად გადაუშალა მას უცხო და ვრცელმა მხარემ. მაგრამ... მაგრაც ის  
არის, რომ ერთმა მისთვის ქამდის უცნობმა გრძნობმზე გრძნობაში უტე-  
უცბად ამოჰყო მასში თავი — ამის შესახებ თვიზურზე უტრატული ცე-  
ცერ მისცემდა თავის თავს ანგარიშს, ხოლო მის არსებობას, ბევრიც  
რომ ცდილიყო, ვერ ჰყოფდა უარს.

ეს უცნაური გრძნობა იყო, რომ აუტანელ მოუსვენრობაში  
ჩააგდო აფრასიონი. სკამდა, სკამდა უწინდებურად; თვის სარბი-  
კლზედაც საქმე უფრო წარმატებით მიჰყვანდა. მაგრამ მაინც ვერ  
კმაყოფილდებოდა ამით, როგორც წინათ, თითქოს რალაცა არსე-  
ბითი რამ აკლდა მას. ტკბილი ძილი ხომ დიდი ხანია დაკარგული  
ჰქონდა. და ამ უძილობამ უფრო გაუჭირა საქმე. ხანდისხან თუ  
ჩაეძინებოდა, უთუოდ ესიზმრებოდა ან თეთრი დიდი ქვა, რომელიც  
მისი მამის, განსვენებული აპალონის ეზოში ეგდო და რომელზე-  
დაც იგი ბავშვობაში აბობლდებოდა ხოლმე და მერე ძირსა ხტე-  
ბოდა. ან იმავე ეზოში მდგომიარე მსხლის ხე. შევიდოდა თუ არა  
✓ თვალი ხის ნაყოფში, აფრასიონი განუშორებელი სტუმარი იყო ამ  
ხისა. სულ კენწერ-კენწერ დაივლიდა ხოლმე მთელ ხეს. ბევრჯერ  
დედაც შეუდგებოდა ქვეშ და შესძახოდა: „შვილო, აბა ჩამომიგდე  
კალთაში მსხლები“, რასაც აფრასიონი სიამოვნებით ასრულებდა.  
აი, მხოლოდ ამისთანა სიზმრების შემდეგ თუ ეძლეოდა აფრასიონს  
ცოტაოდენი შვება და მოსვენება, თორემ სხვა ღრის აუტანელ  
მოუსვენრობას განიცდიდა.

მოუსვენრობამ და უძილობამ, ნამეტნავად, დაასუსტეს აფრა-  
სიონი და ბოლოს კედეც დაავადმყოფდა. წამლობით გულმოდვინედ  
წამლობდა, ხოლო არაფერი წამალი ეკარებოდა მის ავადმყოფობას  
და თუ არ უარესობა, უკეთესობა არ ეტყობოდა.

რაჯი ავადმყოფობამ მოუსპო აფრასიონს საშუალება საზოგადო  
სარბიელზედ მოქმედებისა, ახლა იგი ოცნებითა და მოგონებითლა  
სულდგმულობდა. წინათ თუ სიზმრად ჰქედავდა თეთრ, დიდ ქვასა  
და მსხლის ხეს, ახლა ცხადათაც იგონებდა მათ და თავის ბავშვო-  
ბასაც, როდესაც იგი ფეხშიშველა და თავშიშველა რბოდა ხის ხის  
ქვეშ, ხან ქვის გარშემო და თანაც მზის ცხვველი სხივები ხან  
სასიამოვნოდ ეალერსებოლნენ, ხან უწყალოდ სწვავდნენ და იი  
სწორედ ამისთანა მოგონების ღრის იგი გრძნობდა, რომ თითქოს

შორიდამაც კი სასიამოვნოდ ათბობდნენ მის გულს ეს ცხოველმჭერა—  
ფელი სხივები მზისა. გრძნობდა იგი ამავე დროს იმასაც, რომ ო-  
ლაცა უხილავი ძალა ეწევა მას ამ სხივებისაკენ და მაკურე უტუჭულ-  
ესმოდა თავისი გულის თხრობაც: „იქ, იქ არის უტერო შემოჭულ-  
შენი განკურნებისათვის!“

განა კი არ მოუელიდა ხოლმე აფრასიონს ხანდისხან ჟინი მოპხ-  
ვენოდა ქვასაც და მსხლის ხესაც და გულიანად დაეკოცნა, ისე კი,  
რომ არავის დაენახა, მაგრამ ვინ მისცემდა ნებას დაბრუნებულიყო  
იმ მხარეში, საღაც იმყოფებოდნენ მისი ბავშვობის მეგობარნი? არ  
კი ეგონოს ვისმე, რომ აფრასიონი გაძევებული იყო სამშობლოდ-  
გან ისევე, როგორც უხსოვარ დროს ბერძნები აძევებდნენ სამშობ-  
ლოს მოლალატეს. არა, განა რა ჩაიდინა ამისათანა აფრასიონმა!  
იგი სულ სხვა საქმეზედ და სხვისგან იყო განდევნილი.

დიდის მეცადინეობის შემდეგ მაინც მოიპოვა აფრასიონმა ნე-  
ბართვა და გამოეშურა მზის ცხოველმყოფელი სხივებისაკენ და ამ  
სხივებმაც მალე იჩინეს მასზედ თავისი განმკურნავი ძალა. თითქმის  
სრულიად განკურნებული იყო, როცა უახლოვდებოდა იმ არემარეს,  
საღაც გაატარა ნეტარი დრო ბავშვობისა.

აფრასიონს მკერდიდან გული ჰვარდებოდა და მის წინ მიისწრა-  
ფოდა და იგიც გაფაციცებით მისდევდა თავის გულს. აი, შევიდა  
ნაცნობ არემარეში. ათვალიერებს თვის საყვარელ ქვას, მაგრამ  
იგი აღარსადა ჩანს, ახალ პატრონს არემარისას ქვა მიეყიდნა მესა-  
კირებისათვის; ეძებს სატრეფო მსხლის ხესაც, აღარც მსხლის ხეა,  
მის ადგილზედ საღუქნე შენობა არის გამოჭიმული.

ერთადერთი ნაცნობი აფრასიონისა მხოლოდ არემარის პატრონიდა  
აღმოჩნდა. დაინახა თუ არა ამ უკანასკნელმა ეზოში მოხეტიალე  
აფრასიონი, საეჭვო პირად ჩათვალა იგი, გამოვიდა შინიდგან ყურე-  
ბამდის ულვაშებ გადაგრეხილი და შეუყვირა მას:

— ვინა ხარ, რას ეძებ?

ხოლო აფრასიონს დიდად იამა, რომ ბედმა შეახვედრა იგი თვის  
ქველ ნაცნობს და ამასთანავე მისგან დავალებულს და ტკბილად  
მიესალმა: ოსეფას გაუმარჯოსო!

— ვინა ხარ?

— აფრასიონ გვარაძე ვარ.

— ვინ აფრასიონ გვარაძე?



— განა ვეღარ მიცნობა?

— აბა რა ვიცი საიდამ უნდა გიცნობდე?

— მე ისა ვარ, სამზღვარზედ რომ მოვეგებე, როცა ამ შეარეში  
მოდიოდი.

— როდის მოვდიოდი ან როდის მომეგებე? რაში კი მოხდება?

— მაშ, აღარ გახსოვს?! ამ ნიშნით პატარა აბგა-ხურჯინიც რომ  
გეკილა მხარზედ.

— მე შენი ვერაფერი გამიგია ვხედავ ზღაპრების თქმის გუნება-  
ზედა ხარ, მე კი არ მეზღაპრება. მითხარ, რა ვინდა?

— არაფერი! ამ უზო-ყურეში ვარ დაბადებული და გაზრდილი,  
მიყვარს და მინდა, რომ როგორც დავიბადე აქ, აქავე დავიმარხო  
სიყვდილის შემდეგ.

— კარგი არაფერია, თქვენმა მშემ!.. როგორ თუ აქ დაიმარხო?  
მერე ვინ გაძლევს მაგის წებას და უფლებას, მე, პატრონს, აღარა  
მეითხავ? კაცს საყდარივითა მაქვს აქაურობა დაცული და შენახუ-  
ლი და ვიღაცა ოხერის ლეშით ავაუროლო?! ჭკვას დაულაგდი, ძმავ!  
შენ, ჩემო მეგობარო, ამ რა გითხრა: ნელ-ნელა დაწყე სიარული  
და გაუდექი გზას იქითკენვე, საიდანაც მოჰსულხარ. ამაზე უკეთესი  
და სასარგებლო შენთვის სხვა არაფერი იქნება.

ოსეფას ამისთანა გადაჭრილი პასუხის შემდეგ აფრასიონი იძუ-  
ლებული შეიქმნა მოენახა თვისი ამხანაგები და თანამოაზრები.  
რათა მოელაპარაკნა მათთან მასზედ, თუ რა გზას დასდგმოდა იგი.  
მაგრამ რადგანაც თანამოაზრეთაც მისდამი შიბაძვით თვითონაც  
მიეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები და ბინააშლილ  
ქათამსავით აქა-იქ მოდებოდნენ. ძრიელ დიდი ძებნა დასჭირ-  
და მათი.

რამდენამე მაინც მოუყარა თავი და გამართეს დიდი ბჭობა და  
თათბირი ამ საჭირბოროტო საგანზე.

რა გადაწყვეტილებას გამოიტანენ ბჭობა-თათბირზედ — ამას-  
რალა თქმა უნდა, ქვეყნიერობას ამცნობენ.

## აპით-იძით გამარჯვება

(ძვილი აპაპი)

### I

— ვინც კაცია და ყოყოჩაანთ ლაზარეს „გამარჯვებას“ დაასწ-ა  
რებს, — იძახოდნენ ლაზარეს მეზობლები.

— როგორ, მე ლაზარე ვიქნები, რომ „გამარჯვება“ დამასწროს  
ვინმემ! — იკვეხოდა სამართლიანად ლაზარეც.

ან როგორ და ვინ დაასწრებდა მას გამარჯვების თქმას, როცა  
არც კი აცლიდა კაცს ექვს ნაბიჯზედ მიახლოვებოდა. რომ სტყორც-  
ნიდა რიხიანად: გამარჯობა შენიო.

ბევრჯელ დანაძლევებულან ერთმანეთში ლაზარეს სოფლის  
ბიჭები, რომ დაასწრებლნენ მას გამარჯვების თქმას და გაატრიაზა-  
ვებდნენ, მაგრამ სანაძლეო ყოველთვის წაუგიათ, თითქოს რაღაცა  
ალლოთი ატყობდა ამისთანა ხალხს ეშმაკობას და თუ სხვას ექვს  
ნაბიჯზედ, მათ ათი ნაბიჯის მანძილიდან შეუყვირებდა გამარჯობაო.

მხოლოდ ერთადერთი კაცი იყო ისიც მისივე სოფელში,  
რომელსაც არ ეტყოდა ხოლმე ლაზარე გამარჯობას, მაგრამ არც  
თითონ ესმოდა მისგან ეს სიტყვა, რადგანაც ერთმანეთთან უმძრა-  
ხად იყვნენ — ეს კაცი იყო მისი უფროსი ლვიძლი ძმა.

— მე ლაზარე მქვიან. თავს ისე არ დავიმცირებ, რომ იმას  
გამარჯობა ვუთხრა. არა და არა. — უპასუხებდა ხოლმე ლაზარე თა-  
ვის ცოლს და მათ, ვინც ურჩევდა მას, როგორც უმცროსს, თავი უ-  
მოეხარა და პირველად მას გადაედგა ნაბიჯი შერიგებისაკენ.

### II

ლაზარეს ძლიერ ერეოდა გული თავის ძმაზედ მას შემდეგ. ✓  
რაც ისინი გიყარნენ. მას ეჭვი შეეპარა მეღიატორების სამართლი-  
ანობაში ვენახის გაყოფის დროს. იშვიათად იქნებოდა ისეთი დღე. რომ ლაზარეს არ აელო ხელში სარი და არ გადაეზომა ჯერ ძმის

ვენახი და მერე თავისი და ყოველთვის იმ დასკვნამდის მიღწება,  
რომ მედიატორებმა ჩატრეს მის სცენი ვენახს მთელ სიგრძეზედ  
სრული ერთი ადლი და მიპკერძეს მის ძმას. ლაზარეს ვერ მოენდ-  
ლებინა ეს უსამართლობა, ედავებოდა ძმას ამ მეტ ჭარულების  
თოთქმის ყოველდღე ეჩსუბებოდა მას. ყოველდღეს ჩატრების ბოლოს  
თავ-პირის მტვრევით დასრულდა.

ერთ დღეს ლაზარეს ძმა მიჯნაზედ, სწორედ იმ აღგილზედ, რო-  
მელსაც ლაზარე თავის საკუთვნოდ სთვლიდა. ვაზებს აწვენდა —  
კწინდავდა. ლაზარეც გაჩნდა თავის ვენახში და დაუწყო ყასიდად  
ბარევა. ჩაპერავდა ორ-სამ ბარის პირს, შედგებოდა და მაღალი  
ხმით, ისე, რომ გაეგონა. უფლიდა ძმას წყევლა-კრულვას და  
ლანძლვა-გინებას.

ძმამ ბევრი უთმინა, მაგრამ ბოლოს გამოელია მოთმინება და  
J გაეხმაურა. ამის პასუხად ლაზარემ მოგლიჯა ჭიგო და გაემართა  
ლანძლვა-გინებითვე ძმისაკენ, ხოლო ვიდრემდის მიუახლოვდებოდა. ამტვრევდა უკვე დაწვენილ ვაზების ჩქებს და იძახდა: ეს საოხრო  
და სატიალო ჩემია და ცოტხალის თავით მე შენ არ დაგანებებო.  
მიუახლოვდა და დაუშინეს ერთმანეთს მოგლეჭილი სარები და,  
ვიდრემდის მიეშველებოდნენ აქეთ-იქიდან მეზობლები, თავ-პირი  
დაუსისხლიანეს ერთმანეთს.

სასოფლო სასამართლომ დავა ლაზარეს მხრივ უსაფუძვლოდ  
ცუნო და გაამტყუნა იგი, მაგრამ ის არა სცხრებოდა და არ აწებებ-  
და თავს ძმასთან დავას.

ი ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ლაზარე არ ეუბნებოდა  
თავის ძმას გამარჯობას და არც უთქვამს, ვიდრემდის პირში სული  
ედგა.

### III

— ადამიანო, რას გაჩუმებულხარ და ხმას არ იღებ... იმ წინ-  
J წალამოწყვეტილმა რო წაგვართვა ი ვენახი, არაფერი უნდა იღო-  
ნო? რითილა ვირჩინოთ ამას იქით ან თავი ან შვილები.

— რამ გაგავიუა, დედაკაცო, რა ხმა უნდა ამოვილო, ან რა უნდა  
ვიღონო. კაცს სამართალმა არგუნა და შე რაღა მეთქმის.

— ისე სამართლიანად იმას მოახმაროს ღმერთმა, როგორ სა-  
მართლიანობითაც იმან ჩაიგდო ხელში მთელი ჩვენი საჩიო-საბა-  
დებელი და ჩვენ კი უწყალოდ დაგვუარა!

— სამართალმა აკუთვნა-მეთქი, დედაკაცო, სამართალმა! როგორ არა?

— ნეტა ვიცოდე, ე მაგას წმინდის გულით ამბობ? მაში დავიჯერო ვერა ხედავ და ვერ ჰერძნობ ჯერ ყურით ასულზე ჭრულება და თვალით არსად ნახულ უსამართლობასა?...

შესაბურებელი

— ახლა, რო ვხედავ და ვგრძნობ. იმისთვინ თავ-პირი უნდა ჩამოვამტვრიო?

— თუკი შენი ღვიძლი ძმა არ დაინდე და ჩამოამტვრიე თავ-პირი, აქაოდა ერთი ადლი მამული მეტი მიიკუთვნაო, რატო იმა კი ვერ ჩამოამტვრევ, ვინც მთელი შენი სარჩო-საბადებელი წაილო?

— ძმა სხვა არის და მეზობელი სხვა.

— მაში, ხვალ პერანგიც რო გაგხადოს და წაილოს, ხმა არ უნდა ამოილო, აქაოდა მეზობელიაო?!

— არც ამოვილებ ხმას. თუკი ჩემი ხმის ამოლებით მისი მეზობლობა მომეშლება.

— კიდე კარგი, ი ჩემ მაზლს მაინც შერჩა ი ერთი ადლი ვენა-ზი, თორე იმასაც ხო ის წინწალამოსაშე ვეტი წაიღებდა.

— რათ უნდა შერჩეს იმას! დევ, ისევ სხვას წაეღო ისიც. იმას რათ შერჩეს! ან შევარჩენ? ცეცხლს მოვუდებ იმ შენ სანაქებო და საყვარელ მაზლსა და ჩემ პატიოსან ძმას. აი, ძმას ვალენ მე იმათ ცხვირიდამა, შენ დამაცადე!

— ლმერთო დამიფარე! კაცო, გარჩევა არ უნდა გქონდეს შენი ვინ არის, სხვა ვინა?

— დედაკაცო, ნუ ხარ უჭიათი! რა ხანია ჩემ ძმასთან ჩხუბი და ე დავიდარაბა მაქვს და აბა თუ გავუმტყუნებივაზ ან დაუძრახივაზ ვისმეს? ვერც არავინ დამძრახავს და გამამტყუნებს, რადგანაც ძმა ძმას უნდა ეჩხუბოს, ასეთია ადათი და წესი. ამისათვის არც არავის გამარჯობაზე გავიმარჯოს თქმა დაუჭერია ჩემთვის დღეის აქამდე-მეზობელთან კი რო ჩავიდინო სიავკაცე. ეცელა დამძრახავს მაშინ და გამამტყუნებს — მეზობლის გატანა არ იცისო და გამარჯობაზე რო გავიმარჯოსო არ მითხრას ვინმებ. როგორლა გამოვყო მაშინ სოფელში თავი!

— შენ რო მაგრე ძვირად აფასებ მეზობლობას და თავგამოდებული ხარ, ისა გმეზობლობს?.. რატო ამას არ ჰქითხულობ?

— ყველა კაცს თავისი ჭივა და მართებულობა აქვს. მე ლაზა-ზე ყოყონაშვილს მეძახიან და ჩემი მართებულობა მე თითონ ვიცი

და ასე მოვიქცევი მანამდინ ცოცხალი ვარ. გაიგვ თუ არა?

თოთონ იცის თავისი საქმისა.

— გავონილა, გეთაყვა, თქვენი ჭირიმეთ, ამისთანა წარილი

! ცეცხლი?! კაცმა სულის აქეთი აღარაფერი შეგვარჩისტრაზე უნდა ის  
რალაც მმართებულობაზე ლაპარაკობს და ხელვე წარტყმისთვის  
ჯობას ეტყვის იმ იუდის კერძსა!

სიტყვა გამარჯობა თვითონ ლაზარემ რამდენჯერმე გაიმეორა.  
მაგრამ ამ სიტყვას არავითარი მოვონება თუ მოქმედება არ გამო-  
უწვევსა მასში. ხოლო როცა მისმა ცოლმა წარმოსთქვა ეს სიტყვა.  
ამის გავონებაზე კი იგი ისარნაკრავივით გავარდა სახლიდან და  
მოქარულება სოფლისაკენ, თანაც ბუტბუტებდა: „რათ დამავიწყდა!  
კიდევ კარგია ი დედაკაცმა წამოაყრანტალა და მომაგონა, თორემ  
შეიძლება მთლად გადამვიწყებოდა და ფიქრად აღარ მომსვლოდა...  
ვაი, შენ ჩემო თავო, რას იტყოლა ი კაცი? იქნება ფიქრობს, რომ  
იმასაც უმძრახად დაუდექი“.

#### IV

სასოფლოზე ბალხი იყო შეყრილი და ყაყანობდა, რო მიუახ-  
ლოვდა ამ ყრილობას, ფეხი არ შეუყენებია ლაზარეს, ისევე გაჩქა-  
რებით გაეყარა ყრილობას გვერდით, თითქოს უსუნთქებლავ და-  
აყარა ზედიშედ, ვიდრე გამცილდებოდა ხალხს: „გამარჯობა!“  
„გამარჯობა!“, „გამარჯობა!“ და გააგრძელა თავისი გზა.

პირველ ხანს მხოლოდ ზოგიერთმა მიაქცია მას ყურადღება, მაგ-  
რამ მაღლ საყაყანო საგნად ლაზარე გაუხდათ.

— ერთი მოიხედეთ, კაცებო, ლაზარე რანარად მიძუგმუგებს.

— არ დაიგერებთ, ბალხო, მე და ჩემმა ღმერთმა. მიხაკოსთან  
მირბის უთუოდ, რომ გამარჯობა უთხრას.

— ჰეი, კაცო, ძრიელ ოსტატურად არ გამოავლო პირში ჩალა!

— იმ სახლკარამოწყვეტილმა, რა თინი უყო საწყალსა!

— დაიკარგოს! საწყალი კი არა, დასახრჩობია მაგისთანა კაცი,  
ვერ გაურჩევია თოთონ მაგ სახლკარდასაქცევს, მტერი ვინაა და  
მოყვარე ვინა. სულ ბარაქალაობაზე უჭირავს თვალი და აბა ვინ  
ეტყვის ბარაქალას მაგის საქმეების ჩამდენ კაცსა თუ არა მტერი!

— მაგაზე უცნაური კაცი მე ჩემ დღეში არ მინახავს!

— ეს, მე თუ მკითხავ, ლაზარე უცნაური კი არა, მომელი ის  
ტარე და გამოცდილი კაცია. აბა, რომელი ჩვენგანი უზარ ვინავა  
თვალში, ან რომელმა მოიგო იმის გული? ლაზარემ კეჭურებული  
ვა იმას და ცდილობს, უცელაფრით ხელი შეუწყოს ტექტურული  
ან აწყენინოს და უოველთვის ასიამოვნოს. აკი იძითვით ძოლ  
სოფელში მიხადასათვის ერთადერთი ლაზარეა კაცური კაცი.

— აბა, მართლა და უცნაური კაცი სწორედ მიხავა, აი! კაცო,  
მაგ ოჯახდაქცეულს სულ სხვანაირად ესმის მეზობლობა: თუ შენ  
იმასთან რაიმე საციქლისათვის მიხეედი, თავის დღეში ხელს არ ქადიმართავს, თუნდაც თვალით ხედავდე იმ საგანს, რისთვისაც მიხ-  
ვედი. მაინც დაგიმალავს და დაგიფიცავს. შენთან რო მოვა, ძალით  
წაგარმევს და წაიღებს, რაც უნდა.

— აბა, სოსიავ, ერთი როგორი იყო, შენ რო ცული ვამოგტაცა  
ზელიდანა?

— რა როგორა და, მე ფიჩხსა ვკუწავდი თონეში ჩასაკიდებ-  
ლად, უცბად მოიქრა მიხაკო, გამოტაცა ხელიდამა. — შენ დაიცა-  
დეო, ჯერ მე მცირდება შენი ცულიო... ვეუბნები: კაცო, ხო ხედავ  
თონეს უნდა ჩავუკეთო-მეტე, ცომი დაგვიმუჟავდება და იცი რას  
მეუბნება?.. მა რის მეზობლები ვართ, ბიჭო, რას მიედ-მოედები,  
მადლიერი არ ხარ შენა, რო შენთან მოვდივარ საციქლისათვისო  
და მით გიმტკიცებ კეთილ მეზობლობასო. რატო მადლობას არ  
მეტყვიო. რო შენი ცული მიმაქვს სახმარებლად და არა სხეისიო.  
მე მეზობლობა მინდა გაგიწიო და შენ კი ხელსა მერავ. სადაური  
რამეაო ესა? ცული იმან წაილო, მე კი ხელით ძლივ დავამტკრიე  
ო ფიჩხი.

— რატო იგეთი კაცია ეგ ოჯახდასაქცევი. ეგ კიდევ რა? იმ  
დღეს ჩვენებიანთ ზაქარის ნათლობა პქონდა. დავაპირეთ თე არა  
სუფრაზე დასხდომა, პუპლუც! შენმა მიხამ კი შემოყო დაუპატი-  
ჟებლად თავი სახლში. მერე ვანა აცალადა ვისმე, კაცებო. ზემო  
თაროს ის წამოსუპდა, თამაღათაც დაუკითხავად და უთხოვნელად  
თითონ დადგა, კაი კერძებიც იმან გაისაჟუთრა, ვიღას ერქვა ან  
ნათლია, ან მიპატიცებული სტუმრები? ასე ეგონებოდა კაცს, მას-  
პინძელი ეგ არისო. ახლა როგორ აირია ზაქარა, მავრამ სუფრის  
გაურიგობა არ მოინდომა და ვერაფერი უთხრა, თორემა...

— რა ზაქარა, რა სხვა! ეგ ცველას დაუპატიცებელი სტუმარია,  
მაგრამ მაგას ჯანი გავარდეს. ე თითონ რო დაიწყებს ხოლმე სხვი-

სა სახლში უფროსობასა და თადარიგის მიცემისა, ეგ არას მეტობ  
შეტად გულმისას უსლელი და გასაბრაზებელი. ახლა, როგორი უ-  
ლუხვი მასპინძელია სხვის სუფრაზე, და! მაგის სახლს კი საით  
ამია კარი, დღესაც არავინ იცის.

— თქვენ რა გონიათ? იქნება იქამდის მივიღეს, ჟურნალის გადასა-  
სი გაბედულება, რო უდროო უდროს შემოგეჭრას სახლში და გითხ-  
რას: შენ ადექ, გამეცალე, ახლა მე მოვისვენო შენ დედაკაცთანაო. შენი  
შეტი რაღა გზა გაქვს? უნდა ადგე, მაღლობა გადაუხადო შენი  
დედაკაცის პატივისცემისათვის და გახვიდე გარეთა.

— თქვენ ემაგრე იხუმრეთ და იხარხარეთ და აწყინოს მიხავას.

## V

ლაზარეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სასოფლოზე ილაპარა-  
კებდნენ მისა და მიხაელს შესახებ და არც რაიმე ყურადღებას  
მიაქცევდა ნალაპარაკევს, თუნდაც გაეგონა. მას დასახული ჰქონდა  
სულ სხვა მიზანი, რომლის კვალსაც მეღვრად შეუდგა და მიაღწია  
კიდევ.

გაუარა ლაზარემ წინ მიხაელს ეზოს ერთხელ, არავინ ჩანდა  
ეზოში; გაუარა მეორედ, კიდევ ვერავინ დაინახა, მესამედ რომ  
გაუარა, აյი გამოჰყო იმ დროს შინიდან თავი მიხაკომ და ლაზარემ  
მიაძახა:

— გამარჯობა შენი, მიხაქ!

— აი, გაგიმარჯოს, ჩემო ლაზარე! ცოტა ხანს შედექი, ლაზა-  
რე, სათქმელი მაქვს რამე შენთან.

— მიბრძანე, შენი ჭირიმე.

— რა კაცი ხარ, ლაზარე. განა შენზე კეთილი კაცი მოიპოვება-  
ლა სადმე ქვეყანაზე. შენ კაცი კი არა, ანგელოზი ხარ. არა, უფრო  
მეტიცა! შენ ღვთის ნათლული ხარ! მე ასე მეგონა, ჩასაქვავებ-  
ლად ას დამინდობდი, არამცუ გამარჯობის თქმა გამეგონა შენგ-  
ნით. ეს ფიქრი კი ძლიერ მიჩაგრავდა გულსა. მეტად დაჩაგრულად  
ვგრძნობდი თავს იმ წუთამდე, მანამ შენ გამარჯვებას დამიძახებ-  
დი. ხომ მქონდა აქამდის შენი ხათრი და პატივისცემა, მაგრამ ამას  
იქითა, ნახე, როგორი პატივისმცემელი მოკეთე ვიყო შენი.

— აბა, რას ბრძანებ! აი, ღმერთმა კი დაჩაგროს შენი დამ-  
აჩაგვრელი! განა რა დაგიშავებია ჩემთვის, რო გამარჯვება არ გითხ-

რა! აი, ი მამული რო ჩამომართვი... შე კაი ადამიანო, უანა და ორი თავი გამოსხრავ მამულსა?.. მამულის გულისათვის კაცი უნდა მოიმდუროს და ისიც მეზობელი?

— ჰეშმარიტებას ამბობ, ჩემო ლაზარე, განა თუ დოფილი გულის შენეული ვენახი, სულ შვიდი-რვა თუმნის საქმეა, ჩაგლავ შენ, როგორც ქვეიანსა და მართებულ კაცს, გეუბნები, რაღვანაც მარტო შენ გაიგებ ჩემ ნათქვამს, თორემ სხვას აბა რას ვეტყოლი. წარმოიდგინე, ჩემო კარგო ლაზარე, ძვირფასო ნათლიმამ, რომ შენ, მაგ საწყალ კაცს, საკუთარი ვენახი გქონდა და მე კი დღეს კაცად ვითქმი, ოჯახი, ღვთით, ყოვლისფრით სავსე მაქვს და დღემდის მე, ამ ქონების პატრონს. საკუთარი ვენახი არ მქონდა. განა ცოდო არ ვიყავი. აბა, საღაურილა ცოდო-მადლიანობა იყო ესა! ესა მწყიცდა და მაჯავრებდა, თორემ განა ბევრ რამეს წარმოადგენს ჩემთვის ეგ შენეული ვენახი!

— ვაი შენ, ჩემო თავო! განა ემაგრე იყო საქმე! მერე, რატო აქამდის არ გამავებინე, შე დალოცვილის შვილო, თუ აგრე გულნაკლულად იყავი! მაში, ლაზარე მოგიყვდეს და ფეხს ნუღა დაადგამს მიწაზე, თუ ყველას თავი არ შესწიროს და მტლედ არ დაედოს და შენი გულისათვის ხომ სულსაც არ დავიშურებ! მითხარ, შენი ჭირიმე, თუ შენი სიმოვნება იქნება და ამ წუთსავე გავიხდი ამ უკანასკნელ პერანგსა და შენი სანაცვლო იყოს, გინდა სხვასაც კი მივცემ, ვისაც შენ მეტყვი, თუ შენი საკადრისი არ გამოდგა ჩემი პერანგი, რო იხმარო.

— დარწმუნებული ვარ, ჩემო ლაზარე, რომ ყველაფერს ჩაიდენ ჩემი გულისათვის, არაფერს დაიშურებ. ხემრობა ხომ არ არის — ერთი ურემი ნათელ-მირონი შემომიტანია შენ ოჯახში. განა მირონის მაღლი ტყუილ-უბრალოდ ჩაიღლიდა, რომ ჩემ ერთგულ მოკეთედ არ გადაექციე!

— კვეხნა რა საჭიროა, ნათლიაჩემო. ისეთი სულელი და თავზე ხელალებული კაცი ხომ აბა სად მოიპოვება ქვეყანაზედ, რომ თითონ შიმშილით კუპი უხმებოდეს, წინ ჯამით კერძი ედგას და მშიერივე საყვარელი ცოლ-შვილი გარშემო ესხდეს, ამოიღოს პირელი ლუკა-ჯამიდან და თითონ კი არ შექამოს, ცოლსა თუ შვილს ჩაუდოს პირში — ხომ არსად მოიპოვება ასეთი კაცი, განა?!.. მაგრამ მენდე, ნათლიაჩემო, ლმერთისაც ენდე, რომ მე ამას წრიფელი გულით

გეუბნები. მე რო ვიყო იმ მშიერი კაცის ალაგას და შემთხვევაზე იმავე დროს შენ სრულიად მაძღარი, არამათუ პირველ ცუკმას, ვინ ოხერი, მთელ კერძს შენ გადმოგიდგმდი, თუნდა რომ პირველ არ ახლო კერძსა!.. სულ ხელს ავიღებ მასზე.

— მაშ რათ მიყვარხარ, ნათლიმამ. ან რათ გამოიწვევ უკუკ მეზობლებში და ვაფასებ ასე ძვირად შენ მეზობლობას, თუ არ ვიყო დარწმუნებული შენ კეთილ კაცობაში? ახ, რატომ დანარჩენი ჩემი მეზობლებიც არ გვიანან შენა! კეთილ მეზობლური განწყობილება რო არ იყოს, იყი, როგორი იქნებოდა მაშინ მთელ სოფელში ჩვენი ცხოვრება? კეთილმეზობლური ცხოვრება ღვთის მოსაწონი ცხოვრებაა.

— ჰოდა აბა რათ შეგვპარა ეჭვი, რო მე გამარჯობას აღარ გეტყოდი? — თქვა ეს ლაზარემ და ყელი მოიღერა, — ჩემ ძმას რო არ ვეუბნები გამარჯობას, მე ამისი საბუთიცა მაქვს. შენ კი აბა რას ვერჩი, რა დაგიშვებია ჩემთვინა!

— რას ამბობ, ლაზარე, სად ძმა და სად კეთილი მეზობელი. რაც შენმა ძმამ საქმე დავგმართა და იმოდენა ზარალი მოგაყენა, უსამართლოდ შენი ვეებერთელა მამული მიითვისა, რომელი მეზობელი გიზამდა ამას? არა, ძმა რო კარგი იყოს, ღმერთს არ ეყოლებოდა? აბა რა შედარებაა ძმასა და მეზობელ შორის!

— ოჳ, ეგ რა კარგი მასწავლე, ნათლიაჩემო! ის დედაკაცი რო გადაფაფხულია ი ჩემ ძმაზედა, ერთი ენა ჩავაგდებინო მუცელში... ის სუ იმას ჩამჩინინებს და გაიძიხის, ძმა უნდა გერჩივნოს მეზობელსაო, უნდა შერიგდეო... კლდეზე გადასაჩეხი და ჩამოსახრჩობი არ უნდა გავხდე, რომ ჩემ ძმას გამარჯობა ვუთხრა!

— ი ყოჩაღ და ბაშხალალუმ, ლაზარეგან, კაცი კაცური უნდა იყო, მაშა. აი ეგ მიყვარს შენი.

— ა! აქამდის მიყვევარ სისხლზე იმ დედაკაცსა, განა:

— შენ რას აქამდისარ და ყურს უგდებ მაგ დედაკაცსა... დედაკაცს რო ჰევა ჰევნდეს, გრძელი თმა არ ექნებოდა, ხო გაგიგია, შენ გული დაიმშვიდე. მაშ, მე მიხა აღარ ვიქნები, თუ როგორც შენა ხარ კეთილი, ისე მეც კეთილი მეზობლობა არ გავიწიო!

— რა ვიცი! ზოგიერთი კაცი ეშმაკის ცხენზე შეჯდება ხოლმე.

— ოჳ, ი ეგ ნამდვილი სიტყვაა. სწორედ ეშმაკის ცხენებზედა სხედან ყველანი, შენს გარდა!

თუ ლაზარე ასყვებოდა თავის გულს და იხტუნებდა და ით  
მაშებდა ისევე, როგორც გული უხტოდა და ეთამაშებოდა სიამუკ-  
ნებით, მაშინ იგი უველას გიური ეგონებოდა. მაგრამ უსწერეს კი კი  
გიური არ იყო. თავისი „ქაი კაცობითა“ და „მართებულუშებულუშები“ კი  
კო ის კეთილი ნაყოფი, რისთვისაც იღვწოდა და კიდეც სტეპებოდა  
ახლა ამ კეთილი ნაყოფით: „რა კაი კაცი ხარ, ლაზარე!“, „ლვთის  
ნათლული ხაჩ!“ — ეს სიტყვები ყურში უაუცუნებდა და უშერავს ✓  
ნეტარებასა პევრიდა და იმდენად ძლიერი და უზომო იყო ეს ნეტა-  
რება ლაზარესათვის, რომ მისი გული ვეღარ იტევდა მთლიანად  
ისე, რომ გარეთაც არ გამოეყენა და გაუცისკროვნებინა მისი ✓  
პირისახე.

ლაზარეს გაბრწყინვებულმა სახემ იმედის სხივებით ჩაანათა  
და ააძგერა გული მისი ცოლისაც, რომელიც აკანკალებულის ხმით  
შეეკითხა:

- ნახე ის წინწალამოწყვეტილი?
- ვნახე მა რა. მაშ, უნახავს გაუშვებდი?
- რა გითხრა? იმედი არის რამისა? მოლბობია გული ი ჩემი  
ცოდვითა და ჩემი შეიღების ცოდვით სავსეს თუ არა?
- რას ამბობ, დედაკაცო, რამ გაგაიგია! რის იმედი ან რის  
გულის მოლბობა! მე იმ ქაცს გამარჯვება ვუთხარი და წამოვე-  
დი, განა!
- კაცო, და მარტო გამარჯვებისათვის გაიქეცი?
- მარტო გამარჯვებისათვის რათა მითხრა: რა კაი კაცი  
ხარო, ლაზარე, ლვთის ნათლული ყოფილხარო. პოლდა, არ  
იტყვი, რად მიღირს მე ესა.
- ე ლილლიპინა გოგო-ბიჭებს შეგიმოსამს თავით ფეხამდე, ✓  
რაკი შენთვის ლვთის ნათლული დაურქმევია.
- რატომაც არ შემოსავს! მაშ მე მიხაკა აღარ ვიქნები, თუ  
როგორც შენა ხარ კეთილი, მეც ისე კეთილი მეზობლობა არ გაგი-  
წიოო, — აი რა მითხრა კაცმა! შენ კი დამდგარხარ: ასეო და ისეო!
- რაც შენ იმისი კეთილი მეზობლობა მიიღო, მე წილს ნუ  
დამიდებ!
- დედაკაცო, შენა გგონია მე შენ სიტყვას დაგიჯერებ, იმას

✓ კი არა? შენ. ხმა გაიკინდე, თორემა! იქნებ კარგებიც ავაუგანი-  
ნო! ჰოლ!

VII

სარკვეული

ტექსტის მიხედვა

ერთხელ, შეხვედრისას მიხაკომ მიმართა ლაზარეს:

— ლაზარე, ხვალ ქალაქში უნდა წახვიდე!

— ბატონი ბრძანდები. რა, დაგზარდები, თუ?

მეორე დღეს, ჯერ არც კი ერიურავნა კარგად, რომ ლაზარემ  
მოიყიდა ზურგზედ თავისი განუშორებელი ამხანავი — წითელ-  
ბალნიანი ხბოსტყავის გუდა და გაუდგა ქალაქის გზას.

ვიდრე ქალაქში შევიდოდა, გული იოხა გამარჯობის თქმით და  
კეთილშობილური სიამაყით აღსასებ და გაბრუებულმა ულვაშებში  
ჩაიცინა: „ერთმაც ვერავინ დამასწრო გამარჯობის თქმა“. შევიდა  
ქალაქში და თითქმის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე დასჭირდა თქმა  
გამარჯობისა. ლაზარე კი იქნებოდა, რომ გაეშვა ვინმე გამარჯვე-  
ბის უთქმელად, მაგრამ განვეგბ მოახდინა ეს, თუ უნებლიერ მოუხ-  
და, — გზა დახურულ ბაზარზე ამოირჩია და აი სწორედ აქ ჩავარდა  
ლაზარე დიდ განსაცდელში. ლაზარე პირდაპირ ქუჩის შუაგულს  
გაპყვა, ხოლო ქუჩის ორთავ მხარეს გამწერივებულ დუქნებს ისე  
ახლო უვლიდა, რომ მისი შეგნება „მართებულობისა“ ნებას არ  
აძლევდა მას, რომელიმე დუქნებს პატრონი ან მასთან სავაჭროდ მი-  
სულნი უყურადღებოდ დაეტოვებინა და გამარჯობა არ ეთქვა.  
მეორეს მხრივ სიმრავლე გამარჯობის მომსმენთა თითქოს შეუძ-  
ლებლად ხდიდა ლაზარესათვის, დაეცვა ეს „მართებულობა“ სავ-  
სებით უნაკლოდ, მაგრამ ჩემი ყისმათი ყოველთვის თან დამდე-  
ვსო, — ამბობდა ხოლმე ლაზარე და ამეიმაზაც თურმე თან ახლდა:  
ამ ყისმათის ჩაგონებით კი გაბედულად დასძახა: „აქეთ-იქით  
გამარჯობა! აქეთ-იქით გამარჯობა! აქეთ-იქით გამარჯობა!“ აი ასე  
იხსნა თავი გაჭირვებისაგან და უფრო განსაცდელისაგან.

ვინც მოცლილი იყო და მუშტრის გზას გაპყურებდა, მას ესმოდა  
ლაზარეს სალამი და ილიმებოდა, ხოლო ჯერ ბაზრის ნახევარიც კი  
არ გაევლო მას, რომ შეხვდა სოფლის ნაცნობი ბიჭი, რომელმაც  
მიაძახა: ოქ! ლაზარევ, აქ რა გინდა, კაცო?

გაიგონეს თუ არა მოცლილმა ბაზრის ბიჭებმა მისი სახელი,  
ერთი დაპსცეს ყიფინა: ლაზარე! ლაზარე! ლაზარე!

ლაზარე ჭერ უცბად გახეტდა ამ ყიჯინაზედ, ხოლო რომა გონის  
მოვიდა, ძლიერ ეამა, რომ „ამოდენა მართებულ ხალხს“ უკუნია  
იგი და ხან ერთს შეეკითხა: საიდან მცნობთ, რომ ლაზარე მწერანეო, ეს  
ხან მეორეს: რას მიბრძანებ, შენი ჭირიმეო!

— შენმა ცოლა რა საკაბე ჩითი დაგაბარა, მარტინ შრეკურდნ,  
რაღა.

— საკაბეს კი არა, შავ ქვას ვუყიდი! ისიც კი არამი არ არის  
მისთვისა, რაც ზედ აცვია.

— რათ უწყრები ეგრე. ხომ არ მიგბეგვამს ხოლმე?

— მიბეგვაზე ნუ მიღება საქმე, თორემა, შენ ხათრიჯანი იყა-  
ვი, მე იმას კარგებს ავაყვანინებ ხოლმე ბეჭებში, გრძელი ენა აქვს და  
ვერ იქნა, ვერაფერი ეშველა, ვერ დავუმოკლე.

— ლაზარე! ლაზარე! აქ მო, აქ მოდი, კაცო!

— აბა რა გინდა, შენი ჭირიმე?

— იმასთან რო ვაჭრობდი, არ იცი, რო მოგატყუებს ისა! აი,  
მოდი აქეთ ჩემთან, ჩემო ძმაო, ყველაფერია რაც გინდა, პირნათ-  
ლად მოგეც. აი, კაი სტამბოლის ჩითები. გასათხოვარი გოგო ხომ  
გყავს! უყიდე, კაი საქონელია. თუ გინდა, ბაშმაკებიცა მაქვს.

— ეჭ, გასათხოვარი გოგო კი მყავს, მაგრამ თავის დედასავით  
გრძელ ენიანია.

— კაცო, სხვა შვილებიც ხო გყავს! ან ბიჭები, ან გოგოები?  
იმათ უყიდე რამე, საპერანგე, საახალოხე, სახალათე. ჰა, ნუ  
ძეირობ.

— ჰაი, შვრიო კი ედინოთ იმათა, კაი შვილები მე მყვანან!  
ლუქმას რომ ვაჭმევ, ისიც არამია იმათვინა!..

— მაშ, მოდი შენთვის იყიდე რამე, რაღა, სიფთა ვნახო!

— მე სავაჭროდ არ ჩამოესულვარ, შენი ჭირიმე, მიხაკომ ვა-  
მომგზავნა თავის ძმასთან და იქ მივდივარ.

— მაშ, გასწი, გაიარე, ოხერო, ტყუილად რაღად გვაცდენ ამო-  
დენა ხალხსა, დროს გვაკარგინებ რაღა!

— აკი მე ჩემ გზაზე მივდიოდი, თითონ თქვენ არ მომაბ-  
რუნეთ!

იწყინა ლაზარემ და გაუდგა თავის გზას „აქეთ-იქით გამარჯვე-  
ბის“ ძახილით, ვიდრემდის გასტილდებოდა დახურულ ბაზარს. ხო-  
ლო ბაზრის ბიჭებმა ისევ მიაყოლეს ყიჯინა: ლაზარე! ლაზარე!  
ლაზარეო! ვიდრე ეს უკანასკნელი მიეფარებოდა თვალს.



მიხა უსაზღვროდ სარგებლობდა ლაზარეს მეზოტელური კუთხით  
განწყობილებით: რა დროსაც კი რისთვისაც უნდა ეფუძნდეს ეტეკი  
ლაზარე, ყოველთვის მზად იყო იგი და არც ერთხელ, განგებ რა  
არის, განგებაც კი არ მიუღია მისგან უარი. უფრო კი ხშირად  
ქალაქში სიარული უხდებოდა ლაზარეს, მიხას ძმასთან, მიპქონდა  
სოფლიდან ნობათები, ქალაქიდან სასყიდლები. ალბათ ახლაც  
უნდა გაეტანებინა ლაზარესათვის ჩვეულებრივი ნობათი. ან წე-  
რილი, მაგრამ როცა მოიკითხა მიხამ ლაზარე ამეების ჩასაბარებ-  
ლად, ლაზარე უკვე შეუ გზის იყო გასული.

— ამბავი, ლაზარე? — ჰეითხა თაომ — მიხაელს ძმამ —  
ლაზარეს, როცა ლაზარეს გამარჯვებაზე პასუხი მისცა.

— მშევიდობა, შენი ჭირიმე.

— მშევიდობას რა სჭირია! მაინც, რამე თუ გამოგატანა ჩემთან.  
ან რისთვის გამოგვზავნა?

— არაფერი გამოუტანებია, შენი ჭირიმე, გუშინ შემხედა და  
მითხრა: ხვალ ქალაქში უნდა წახვიდეო და ის მეც წამოვედი, რას  
დავიზარებდი! ჯერ არ გათვენებულიყო, უთენია გამოვუდექი გზასა.  
მიხაეს არაფერი უთქვამს, თუ უნდა გაგატანო რამეო, არც არა-  
ფერი დაუბარებია ჩემთვისა.

— მო, ახლა მივხვდი, რისთვისაც გამოგვზავნილა, — უთხრა  
თაომ ცოტა დაფიქრების შემდეგ, — მე იმან ამ წინაზეთ მითხრა  
ერთი ქვამარილი გამომიგზავნეო და ალბათ მისათვის გამოგვზავ-  
ნილა, ხომ წაუღებ, რო გაგატანო? ერთი კაი მოზრდილი ქვამარი-  
ლი ეყიდე.

— რატომაც არ წავილებ, თაომჯან! ქვამარილი კი არა, მთე-  
ლი ქალაქიც რო ამჟიდო ზურგზედ და გამატანო. მიხაელსთან,  
იმასაც კი მთლიანად და უკლებლივ მივუტან და როგორ ქვამარი-  
ლის წალებას დაგზარდები!

— კარგი და პატიოსანი.

მეორე დღეს ლაზარემ მოიხადა თავისი ტყავის ქუდი, დაიფინა  
მარცხენა მხარეზე და შემოიდო ზედ ქვამარილი, ხოლო რომ სიმ-  
ძიმე მთელი ტვირთისა მარტოდმარტო მარცხენა მხარეს არ  
დასწოლოდა, მარჯვენა მხარეზედაც დაიდო თავის ხელში საჭერი  
კომბალი, რომლის წვერი მოსდო უკანილან მარილის ქვას და ამ

მოხერხებით უქარვებდა მარცხენა მხარეს ტეიროს სიმძიმეს /ფა-  
გადმოპერიდა ნაწილი სიმძიმისა მარცვენა მხარეზედაც დოდ ლაზარე, როგორც ხშირად თითონაც იკვეხოდა, საზრიანი/ ცი  
ცი იყო და მოხერხებაშიაც მას ცალი არ ჰყავდა.

მარილის ქვით დატვირთული ლაზარე ჩქარის ნაბიჯით მომდინარე სოფლისაკენა, თავ-პირიდან წურწურით ჩამონადენი კაფლის ქმნება კვალს აღბეჭდავდა გზაზე. რასაკვირველია, ამავე დროს ლაზარე არ ივიწყებდა თავის „მართებულობას“ და ისე მოიტანა სოფელში და ჩააბარა პატრონს ქვამარილი, რომ არც ეხლა დაუსწერია მის-  
თვის გამარჯობის თქმა.

## IX

ოფლში გაწურულმა ლაზარემ ხვნეშით შეიტანა მიხაკას სახლ-  
ში ქვამარილი. მიხაკამ ეშმაკურად გაილმა და ჰყითხა:

— კაცო, ლაზარე, უჩემოდ რად წახევდი! წიგნი და ნობათი  
რამე მინდოდა გამეტანებინა შენთვის ძმასთან. კიდე კარგი, რომ  
ვარაუდით მიხვდა და გამოუტანებია შენთვის, რაც მე მინდოდა  
დამებარებინა. ერთიც ვნახოთ, ვერ მიმხვდარიყო, რისთვის გგზავ-  
ნიდი და ცარიელი დაებრუნებინე!

— ცარიელი რა. ვეღარ წავიდოდი მეორედ, თუ? შენ ბათრი-  
ჯანი იყავი, მიხაკოვან, ლაზარე შენ არასოდეს დაგზარდეს ქალაქში  
წასვლაზე კი არა, თუნდაც აი, რო იტყვიან, დაუთვალავშიო... იქაც კი.

— მე შენ საიქაოდ გაგიმეტებ?

— ამ, ვიცი, არ გამიმეტებ! მაგრამ არ კი დაგზარდები და  
არც უარს გეტყოდი, იქაც რომ გაეგვზავნე.

— აბა, მოდი და კაცმა არ დააფასოს შენი მეზობლობა!

— აბა, რა ვენათ, ნათლიკან, თუ ერთმანეთს იოლად არ წავი-  
ყვანთ, — წარმოსითქვა ლაზარემ ისეთი სიამის კილოთი, თითქოს  
რამე ძვირფასი განძი შეემატაო.

— ახ, რა კარგი ლაზარე იქნებოდი. და ან როდისლა არ იყავი  
კარგი, რომ უჩემოდ არ წასულიყავი და წიგნი წაგელო. მართალია,  
ქვა გამოუგზავნია, მაგრამ ერთი სხვა რამეც უნდა გამოეტანები-  
ნა, ის უფრო საჭირო იყო იმეამად ჩემთვისა.

— საჭირო იყო და რას მზოგავ! დაწერე წიგნი და დილაზევა

ქალაქები გავჩნდები. ეხლა კი აღარ წავალ უშენოდ. რა ვწერ, ჰქონი კაცი კია ი შენი ძმა და რატომ ის მეორე საგრძნო კი ველია გაიგო, რო ისიც გამოეტანებინა!

ერთვენალი  
ბებლიური ეპი

X

მარილის ქვით უკან დაბრუნებისას დახურულ ბაზარზე აღარ გამოუვლია ლაზარეს. მიუხედავად ამისა, მისი სახელი იქ როგორც პირველ, ისე მეორე, მესამე და სხვა დღეებშიაც გაისმოდა: „ლაზარე!“ „ლაზარე!“ „აქეთ-იქით გამარჯობა!“ „ლაზარე!“

თუ ვინმე სოფლელი კაცი შესდგამდა ფეხს დახურულ ბაზარში ისე, რომ სავაჭროდ კი არავისთან მისულიყო, მხოლოდ მარტო გზად გაეარა. ან თუ სავაჭროდ მისული ერთ ვაჭარს ვერ მოურიგდებოდა და მეორესთან ვადავიდოდა, მოცლილი ბაზრის ბიჭები უთუოდ დასძახებდნენ: „ლაზარე!“ „ლაზარე!“ „ზანზარე!“

დახურული ბაზრის ბიჭებისაგან სხვა ბიჭებმაც გადაიღეს „ლაზარეს“ ყვირილი და ძლიერ მაღლე ქალაქსაც მოედო.

დედაქალაქს სხვა ქალაქებმაც, დაბებმა და სოფლებმაც კი მიჰბაძეს და სახელი „ლაზარე“ გაისმოდა უველვან, ხან დამახინჯებული სახით „ზანზარე“, ხანაც დამატებით „აქეთ-იქით გამარჯვება, ლაზარე!“

როგორც მოედანი გაიფართოვა ამ მოდამ, ისე ყიჯინის საგნად თვალში ამოსალები ხალხის რაოდენობაც გაიმრავლა: თუ წინათ მარტო გაბეჩავებულ სოფლელებს დაჰყიუინებდნენ ამ სახელს, შემდეგ აღარ არჩევდნენ, არავისლა ინდობდნენ. საკმარისი იყო გევლო ვისმე უცხოს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი და მიექცია თავისშედ მოღისმოყვარულ და მიმყოლთა უურადღება. ან ჩატადახურვით, ან სიარულის იერით, ან სხვა რაიმეთი, რომ დაცუათ ყიჯინა: „ლაზარე! ლაზარე! აქეთ-იქით გამარჯობა, ლაზარე! ზანზარე!“

თვით ნამდვილი ლაზარე კი სტებებოდა და სიხარულით ცათაფრენას ეკიდებოდა, როცა მის სახელსა ჰყვიროდნენ და როგორ გაორეცდებოდა მისი სიხარული და აღმატებენა, თუ წინათვრძნობს გამოიჩენა და სიცოცხლეშივე გაითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მისი სახელი დიდხანს გაისმოდა კიდევ მაშინაც, როცა იგი მიწას აღარ ჰლახავდა.

მაგრამ დროთა ვითარება გაუტანელია და ლაშარეს სახელსაც  
ვერ ასცდა ეს მუხანათობა ბედისა: გავიდა დრო, მოღამ თვეისი  
დრო და უამი მოჭამა და გადავარდა — მიეცა დავიწყების „ზუსტფლის“  
სახელიც, ხოლო მარილის ქვის ამბავი კი დღესაც კუთხიერიშვილი პა-  
ჩალხში და ხშირად მოიგონებენ ხოლმე მას.

## ზურაბ მოსხლეტილიძე

(გასართობი)

### I

გასართობად მოგახსენებთ ამ ჩემ თავგადასავალს, თორემ სხვა მიზანი კი არაფერი მაქვს.

მე გახლავართ ზურაბ თადეოზის ძე მოსხლეტილაძე, სხვები კი „შოვინისტის“ მეძახიან.

ჩემთვის, სწორე მოგახსენოთ, ახალი წილი იყო ეს რაღაც „შოვინისტი“ და დიდხანაც არ ვიცოდი, დამნაშავეთა ბორშე მაქრავდა ამ სიტყვის მცნება, თუ სასიქადულო რამ თვისებას აღნიშნავდა ჩემში? ხლო მე ვფიქრობდი ჩემთვის: თუ ჩემზე ხმას იღებენ და ასეა თუ ისე ყველას თვალებში ვეჩეირები, ალბათ რამე ვყოფილვარ-მეტეი და ამიტომ მოვინდომე ჩამეხედნა ჩემს ვინაობაში, რომ გამეგო — მართლა ვიყავ რამე, თუ არა.

ჩავიხედე, მე კერ ჩემი გვარულობის ისტორიაში. თურმე შინათ ეხლანდელი ჩემი გვარი „ქართველიშვილად“ იშერებოდა და მხოლოდ ასიოდე წლის წინ გადაუკეთებიათ „მოსხლეტილიძედ“.

მივყვავ კვალდაკვალ საგვარულოს ისტორიას და მან ნათლად დამანახვა, რომ მე ეხლა ჩემი წინაპრების აჩრდილის აჩრდილსაც არ წარმოვადგენ. ასე რომ, ის ჩემი წინაპრები ეხლა რო საწაულებრივ აღსდგნენ, აღზევდნენ, არა მგონია საჭმარისი ყოფილიყო სიტყვა „შოვინისტი“ მათი ღირსებისა თუ ულირსობის გამოსახატავად...

შორს, ძალიან შორს მიმიუვანა ჩემი წინაპრების ისტორიის კვალმა. თავმომწონედ ვაღიარებ, რომ არ შეურცხვენიათ (თუმცა შეიძლება ეს თავმომწონეობა სხვის თვალში გასაკიცხი იყოს) მათ არც გვარი და არც მკლავი ლექ-ოსმალ-სპარსელებთან ბრძოლაში სამშობლოს დასაცავად. ასეთი სამსახურისათვის სამშობლოსადმი

შესაფერისი ჯილდოც მიუღიათ. ჩემი წინაპრების ერთურით შემა  
მთავარს თურმე თვალები დასთხარეს მისმა მოძმევებმა იმის გული-  
სათვის, რომ იგი მათ პირში ედგა, ამხელდა სამშობლოს კუტაციული ი  
ლალატი კი იმაში იხატებოდა, რომ თავისი მოქმედებულ დაწმუნებულ  
ბას უწევდნენ გარეშე მტრებს. მეორე ჩემი გვარის წარმომადგე-  
ნელი ამავე მოძმევებმა შეიცყრეს და ლეკებში გაყიდეს. მესამედ  
თურმე უნდოდათ სრულიად მოესპოო მათვის დაუმოწმებელი,  
ლალატში მტერმხილებელი ქართველიშვილების განავისი. შეკრეს  
შეთქმულება და კიდევაც ამოწყვიტეს მთლად საგვარეულო, ალბათ  
როგორც მაშინდელი „შოვინისტები“, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ  
და მაშინდელი ჩემი საგვარეულოს მტერთა სავალალოდ ჩემი პა-  
პის-პაპის-პაპის და კიდევ პაპის პაპა აკვანში მწოლარე გადაუჩე-  
ნია ძიძს და ასე დაეხსნა მას სრული ამოწყვეტისა და მოსპონისა-  
გან მაშინდელი ქართველიშვილების, ხოლო ახლანდელი მოსხლე-  
ტილიძეთა საგვარეულო.

## II

ეს, ბატონო ჩემო, მოვიზილე ისტორიიდან. ეხლა დავაკვირდი  
ნამდვილ ჩემს ცხოვრებას. ღროთა ვითარებამ, თქვენც მოგხესენე-  
ბათ, შესცვალა ბედი და ყოფა საქართველოსი. დამყარდა მშეიცო-  
ბიანობა. არსაფგან შიში გარეშე მტრებისა არ მოელოდა სამშობ-  
ლოს და აბა, რაღა საჭირო იყო ან მკლავი ან ვაჟკაცობა, რომელიც  
ჩამომავლობით ჩვენ გვარს ამშვენებდა. მართალია, მამულ-დედუ-  
ლი შეძენილი მამა-პაპათგანვე, ლვთით, უხვად გაღმომეცა, მოსხლე-  
ტილიძეთა მკლავი მამა-პაპათგანვე ჩამოყალიბებული იყო მხო-  
ლოდ ხმლის მოსაქნევად მოსეულ მტრებზედ და უთუოდ ეს იყო  
მიზეზი, რომ ჩემი მკლავი არ ეგუებოდა სხვანაირ საქმეს თვინიერ  
ხმლის, ხოლო ამისი მოთხოვნილება კი აღარ იყო. მამული კიდე  
ხმალი არ იყო, რომ ხელი მომეკიდნა და მეკეობინა. ამ გარემოე-  
ბას კი შედევად ის მოპყვა, რომ იმოდენა მამულ-დედული მოუც-  
ლელი და შეუმუშავებელი მრჩებოდა და ცხოვრების სახსარიც  
თვალსაჩინოდ კლებულობდა, ნამეტნავად მას შემდეგ, რაც მოგვე-  
შალა უზრუნველად ყოფნა ყმების ხელში. დაარსდა ბანკი და,  
ცოტა არ იყოს, მამულმა ფასში აიწია.

დავაგირავე მამულის ერთი ნაკვეთი იმ მიზნით, რა მიზნითაც

არის დაარსებული ბანქი და აძლევს დამგირავებელს ფრანგ მარკუნდა მომებმარებინა ბანკიდან გამოტანილი ფული დაგიავებული მამულის გასაუმჯობესებლად. ასე ამისსნეს ბანკში: უწყება-უზარ-ჯობესო მამული ისე კარგად, რომ შემოსავალმდე მარკუნდა მარკუნდა იმატოსო, სარგებელიც დაუბრულებლივ შემოიტან — დანორე და შენც გაცხოვროსო. სწორედ მოგახსენოთ, ძლიერ მომეწონა ეს აზრი დაწესებულებისა და თითქმის სიზმარშიც კი ვხედავთი ჩემს მამულებს თავთუჩით დათესილი ხელაბუნებით გადაჭიმულს, / მხოლოდ თქვენი რძალი და ჩემი მეგორგვინე ელისაბედი დაცინ-ვით მეუბნებოდა: მშეორს ძილში კვერი ეზმანებოდათ.

მე მანც არ ვაძლევდი მაგრე რიგად დიდ ფასს მანდილოსნის პეტა-მოსაზრებას და დიდი გულის ფანცქალით მოველოდი ბანქი-დან პირველად ფულის მიღებას.

მოვესწარი ბევრი ლოდინის შემდეგ სასურველ წუთს — მივიღე ბანკიდან ფული, მაგრამ... ი, დაწყეველოს ლმერთმა მაცდური. იქნებ არ დაიჯეროთ! მამაჩემი თადეოზი არ წამიწყდეს, ქალაქიზან რო დაებრუნდი შინ და ჭიბები ამოვიქოთ, მეათედიც ალარ მომ- ულოდა შინ. აბა, მამულების გაუმჯობესებისათვის ვიღის სცხე- ლოდა, როცა იმისი სამყოფიც ალარ დამრჩნოდა, რომ სახლისა და ცოლ-შვილის უსაჭიროესი მოთხოვნილებანი დამეკმაყოფილე- ბინა.

იძულებული გავხდი მეორე თვესვე შევდგომოდი მამულების მეორე ნაჭრის დაგირავებას, რომ თან სარგებელი შემეტანა ბანკში უკვე გამოტანილი ფულისა, თან მამულებიც შემემუშავებინა. მეო- რე ნაჭერს მესამეც თან მიჰყვა, მესამეს — მეოთხე და იქამდის მივალწიე, რომ მთელი ჩემი მამულები ბანკში მოეჭია, მაგრამ..., არ ქიქნა, ვერ მოვახერხე გადამენარჩუნებინა მამულის გასაკეთებელი ფული.

მე ვიცი, ახლანდელივით ვექსილ-ბარათების წერათ შევიწესებ- დი თავსა. ვეტყოდი: აბრამ, დანიშნე-მეთქი და ის იყო და ის. მშეიღობიანადაც ვრიგდებოდით ერთმანეთში და ყოველთვის ტკბი- ლი მეზობლებიც ვიყავით. მე მანც, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვცდილობდი ასეთი ვყოფილიყავ აბრამთან და თუ რა ედო მას გულში, აბა რა ვიცოდი და, მართალი მოგახსენოთ, არც ვცდილობ- დი ჩამეხელნა მის გულში, არ მიფიქრია...

მე და აბრამის შეზობლურ დამოკიდებულებას შედეგად ის  
შოჟყვა, რომ ორი მესამედი ჩემი მამულ-დედული გრძელებულ შეცვალა  
შფლობელობაში.



ეს გარემოება მაინც არ იწვევდა ჩემში რაიმე უქმდა უკმაყოფილებას აბრამისადმი; პირიქეთ, მე ყოველთვის პატივსა ვცემდი, როგორც კაი მეზობელს, მხოლოდ ერთმა შემოხვევამ ჩაშალა ჩვენში კეთილ-შეზობლური განწყობილება, — განა არა, ბოლო დროს ვატყობდი აბრამას რაღაც ცვლილებას: ხან თითქოს უქმდა უკმაყოფილებას იჩენდა ჩემზამი, ხან მედიდურობდა, რის ნიშანს სულ პირველად ვერ ვამჩნევდი. ჩვეულებისამებრ დამჭირდა ფული ბანეში შესატანად და მიგმართე, ბატონი ჩემო, ჩემს ხაზინადარს და მეზობელს — აბრამას: აბა, ჩემო აბრამა, ფული მჭირდება და გამონახე-მეტვი. ჯერ ერთი ეს — მე შენი აბრამა არა ვარ, მე აბრამ მოსევიჩი ვარ. (აშეარაა ძლიერ ეწყინა ჩემი ამნაირი მიმართვა. რომ თათონ ჩვეულებისამებრ აღარ გამხადა ლირი არც სახელისა და არც ჩემი წოდებისა და ამით გადამიხადა) და მეორეც — საშენო ფუ-ლები აღარ მაქვს; რაცა გმართებს, იმაშიაც ვერ ავომივა დანარჩენი შენი დედულ-მამული. ეცალე ვადაზე ჩამაბარო, რაცა გმართებს, თორე მე... კვერ დაგიკრავ ყოველიფერზე და ცარიელი დამრჩებიო. V  
ასე მიპასუხა: აბრამ მოსევიჩმა.

სწორედ მოგახსენოთ, ძლიერ გამიყვირდა, უფრო მოშეტებულად კი გამამრაზა ამისთანა თავხედმა პასუხმა. მართალია, თავადობას ახლა აღარაფერი ფასი სდევს, მაგრამ რაც უნდა იყოს, წარჩინებული გვარის კაცი ვიყავი და ვარ და ატანა ამისთანა შეურაცხყოფის შეტისმეტად ძნელი იყო ჩემთვის. მაგრამ რას იზამ, როცა ყელზე საბელი გაბია და საბლის წვერი კი აბრამ მოსევიჩს უჭირავს ხელში. გარდა ამისა, როგორც დაბალი წრიდამ გამოსულს და უზრდელ კაცს, როგორც აბრამ მოსევიჩი იყო, ბევრი არა მოეკითხება რა და შესაძლებელი იყო უფრო დიდი შეურაცხყოფა მოეკითხებინა ჩემთვის, თუ მეც ავხირდებოდი და საკადრის პასუხს გავცემდი.

მე ისევ გაჩუმება ვარჩიო იმ ფიქრით, რომ შემეჩივლა მისი შეიღლისათვის, როგორც უმაღლეს სასწავლებელში აღზრდილის კაცისათვის, რომ თვით მას დაედო მსჯავრი თავისი მამის ქცევისათვის.

მე და აბრამას ტკბილი მეზობლობა და მეგობრობა დაწერი  
სოფელში. შემდევში აბრამამ მშვენიერი სახლები წამოქმნა  
ტფილისში, მიანება სოფელს თავი და თითონაც გადმოსახლოა  
ქალაქში. მას შემდევ დიდმა ხანმა აღარ გაიარა, რომ ჟუკი შემდებრები ი  
სოფელს თავი და დაებინავდი ქალაქშივე. ასე მოჭუკა—ჟუკილებ  
ბელი იყო ჩემთვის: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ჩემთვის იყო  
სასარგებლო, რომ დაეუახლოვდი ბანქს და შემეძლო დამეჩქა-  
რებინა მაშულების დაგირავება და ფულის გამოტანა, მეორეც  
იმიტომ, რომ ჩემი ხაზინადარი აბრამაც ისევ გვერდით მყვანდა  
და ჩვენი ტკბილი მეზობლობა და მეგობრობა დაურღვეველი  
დარჩებოდა.

#### IV

დაღგა სასიხარულო დღეც. მოგვივიდა უმაღლეს სწავლადამთა-  
ვრებული შვილი და თუ რამ უსიამოვნება, დარდი, ვარამი და ნაკ-  
ლოვანება ან შეურაცხყოფა გვქონდა გავლილი ჩვენ, მის შობ-  
ლებს, ყველაფერი ტაგვავიწყდა. ეხლა ჩვენი ნუგეში და იმედი  
ეს ჩვენი შვილი იყო. გაგიხარიან, სიხარულს თან მოპყვა უხვი  
მასპინძლობაც, რომელიც ჩვენ, მშობლებმა, გამოვიჩინეთ შვილის  
დახვედრაში. ელისაბედმა უბრძანა მოსამსახურებს, ინდაური  
დაკალითო. საღილობას რომ შევუდექით, ვუბრძანე, სუფრაზე  
დაუჭრელი ინდაური მოერთმიათ, რომ მე თითონ დამეჭრა იგი  
შვილის თვალწინ. მინდოდა მოპვონებოდა მამაპაპური ქართული  
სუფრა, რომელსაც, ეჭვი არ არის, გადაჩვეული იყო, მაგრამ  
სუფრაზედ ჩვენ მშობლებს მარტოღმარტო საყვარელი შვილის  
ლაპარაკი გვაცურებდა და გვალვინებდა — ვუსმენდით მას თავდა-  
ვიწყებით, გატაცებით.

აი, მოიტანეს სინით მთელი ინდაური. მეც და ელისაბედმაც  
შევატყეთ, რომ მთელი ინდაურის დანახვა ზალიკოს ეძა და  
ამან უფრო გაგვახარა. დამიღება ბიჭმა ინდაური წინ. ზალიკომ  
მიმითითა ინდაურზე და მომმართა ლიმილით:

— მამაჩემო, მაგ სინზე ერთი ინდაურია, არა? გინდა დაგიმ-  
ტეიცო, რომ მანდ ერთი ინდაური კი არ არის, ორია.

— აბა, შვილო, ეგ სადაური ხუმრობაა, — მივუგე მე.

— ხუმრობა კი არა, ნამდვილად გელაპარაკები, — ცოტა არ  
იყოს წყენის კილოთი სთქვა მან.

— პმ, მე ერთი ინდაურის მეტს ვერა ვხედავ და... ამ ვაკე  
შენ რათ გეჩვენება ორი. იქნებ ერთი ინდაური გუცოტავება,— მიკურ-  
ვდი მე.

— არა, მამაჩემო, რის მეცოტავება, რა მეცოტავება! მშე უშემი  
გიმტეიცებ, რომ მანდ სინზე შენ წინ ერთი ინდაური გუცოტავება! უშემი  
ორია და არა ერთი. მართლაც, აბა დაუკვირდი და დაუფიქრდი!  
ეგ ინდაური ხომ ინდაურია, არა? ეგ ერთი; ეხლა წარმოიღინე,  
გონების თვალით დაინახე, სხვა ინდაური. მაგ ინდაურის გამოსახ-  
ვა. პოდა აი, ისიც მეორე ინდაური, ისე რომ, მანდ, შენ წინ ორი  
ინდაურია სინზე და არა ერთი.

გაეკირვებული ელისაბედი ტუჩი თითებმილებული ხან მე  
შემომხედავდა შეძრწუნებული სახით, ხან შეილს უყურებდა  
რაღაც შიშის მეტყველებით. მე ჯერ კიდევ არ მჯეროდა, რომ ზალი-  
კო არ ხუმრობდა, და ვთქვი, მოდი, მეც ავყვები ამ ხუმრობას-მეთქი.

— ჴო, შეილო, მეც მართალი ვარ და შენც მართალი იყავ.  
ასე ვთქვათ მე შენი ამხანაგთაგანი ვარ: მსჯელობაში მეჭიბრები  
და დამჭაბნე.

— როგორ თუ მართალი იყავ! — წამოიძახა ახლა კი აშეარა  
წყენით, — მაშ მართალი არა ვარ, რომ აქ მაგ სინზე ორი ინდაუ-  
რია? ეს ხომ ისევეა ცხადი, როგორც ის, რომ ეხლა დლეა და  
არა ლაშე.

ახლა მეც დავტრშუნდი, რომ აღარა ხუმრობს ჩემი შეილი,  
და ცოტა არ იყოს ჯავრზე მოვედი და გავიფიქრე: აცა, ერთი პკვა  
ვასწავლო-მეთქი.

— რა ხან ასეა, შეილო, რომ აქ ორი ინდაურია, მაშ, ეს ინ-  
დაური მე და დედაშენს და ის — მეორე ინდაური კი, შენ რო  
ხედავ, ის შენ მიირთვი საკუთრად და მთლიანად-მეთქი, და მოვი-  
ზიდე უკანვე სინი, რომელიც ის-ის იყო გადავაწოდე შეილს.

ცოტა არ იყოს, სახტად დარჩა ჩემი ზალიკო ამის გაგონება-  
დანახვაზე: ერთ წამს დაიბნა, მერე უცბად წამოვარდა სუფრიდან  
და ხელების გასავსავებით მომაძახა წყრომით:

— მამაჩემო, შენ წმინდა წყლის „შოვინისტი“ ყოფილხარო, —  
და გავარდა ოთახიდან.

საღილი რალის ერქა ამის შემდეგ! გამწირდა სუფრა თავის-  
თავად და ჩვენც გაგვამწარა, მერე რა მოუთმენლად ველოდით  
ამ პირველ საღილს უმაღლეს სწავლადამთავრებულ, შინ დაბრუ-

ნებულ შვილთან, როგორ ცათაფრენას მოვეკიდენით, როცა გარეო-  
თენდა ეს სანატრელი დღე, რა სამზადისს შევუტრებით, რომ  
გვესიამოვნებინა ჩვენი ამაყისათვის. ვთქვით, თუ შვილის დაბრუ-  
ნების პირველ დღეს — ჩვენი გამოუთველი სიხარულის წერტილ  
მის დღეს — მარტოდმარტო ჩვენ მშობლებს დაგჭერებული გვიშალა ა  
მისი მხერით და მოგვეოხებინა გული მასთან ბასით, მეორე,  
მესამე დღეს კი გაგვემართა წვეულებანი ნაცნობ-ნათესავ-მეგობ-  
რებისათვის, რომ მოკეთისათვის გაგვეზიარებინა სიხარული, მტრი-  
სათვის თვალი მოგვეპრა, გული მოგვეელა ასეთი შვილის დაბ-  
რუნებით. პოდა, აი, როგორ ულმობელად მოგვიშაბა იმედი და  
მოლოდინი. საწყალ ელისაბედს ხომ ნახევარი სიცოცხლე დაკლ-  
და, გული ჩემშედ მოიხსა:

— რა უბედური ხარ, ვეფო! ეს რა საქმე მოახდინე?!. რად  
მიიყვანე იქამდის, რად აწყენინე ჩემი თვალის ჩინს, გულის სია-  
მაყეს, ჩემ ზალიკოს?!. როგორ არ უნდა იცოდე, რომ ბავშვი უცხო  
ცოვ ძველებში ნამყოფი, დღე-ღამ სწავლაში დალლილ-დაქანცული,  
დედა ენაცვალოს იმას, ვინ იცის თვალი არ მოუხუჭია ღამეობით,  
ძარღვები აშლილი ექნება, ვერ გაუძლებს, ვერ აიტანს მაგისთანა  
უხეშ ხუმრობას და უაღგილო წინააღმდეგობას!

განა მე თითონ კი ელისაბედზე ნაკლებ ვიყავი გულჩათხრო-  
ბილი და ნაკლებ ვწუხდი, მაგრამ ნირს არ ვიტეხდი, მასთან  
გამოჩენა არ მინდოდა ჩემი დარღისა, ზედმეტად სხვა რამ კიდევ  
მიორჟეცებდა წუხილს; რომ არ მომეწონა ზალიკოს უსაფუძვლო,  
გაუგებარი მსჯელობა ინდაურზე, მაგრამ ის „შოვინისტი“ რომ  
მთხლიშა, ის სიტუა ტყვიასავით მომხვდა გულში, ის დამაწვა  
ლოდივით.

გულის ფანცქალით მოუთმენლად ველოდი კაცი, როცა მომივა  
ნასწავლი შვილი, ამისხსნის, გამაგებინებს რას ნიშნავს ეს „შოვი-  
ნისტი“ და ის კი არა, არ მაცალა და მტყორცნა ეს სიტყვა. ეჭ,  
რაღა გამაბედვინებს ამის შემდეგ, რომ ვკითხო „შოვინისტის“ მნი-  
შვნელობა! მეტი რაღა დამრჩომოდა, დავიწყე ისევ ჩემი ჭკუა-  
გონებით გამოკვლევა, თუ რას ნიშნავს ის.

ბევრი ვატრიალე ეს სიტყვა, ბევრი ვიტიქრე, საიდან არ მი-  
უდექი, რამდენი თავის ხეთქვა და ჭრის ოფლი მოვიხედე და  
ბოლოს ასე დავასკვნე: ალბათ იმისათვის თუ ვარ „შოვინისტი“,  
რომ მთელი ინდაური ჩემსკენ და ჩემი ელისაბედისაკენ მივიზიდე,



გავიდა დრო და ხანი. ჩემმა შვილმა ზალიქომ შეისტეკა უკავშირს საგან, რაც სწავლის დროს გამოველო მას, ასე რომ, დრო იყო ეზრუნა რამე თავის მომავლისათვის. იმან კარგად იცოდა უკვი, რომ დღეს თუ ხვალ ჩემი მამულ-დელულის დანარჩენი ნაკვეთებიც აბრამ მოსევიჩის თუ არა, სხვის ხელში მაინც გადავიდოდა, თუ არ შივილებდით რაიმე ღონეს. მშობლებიც და შვილიც უსახლეაროდ, ულუქმაპუროდ დავრჩებოდით. ერთადერთი იმედი იმაზედ იყო დამყარებული, რომ ზალიქო სამსახურში შევიდოდა, ან სხვა რამ კერძო საქმეს მოჰკიდებდა ხელს, საშოვარს გაიჩენდა და დაებარეობდა მამულის დახსნაში, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, რომ არაფერი არ ეტყობოდა მას საამისო, სამსახურისადმი მიღრეკილ-ბას სრულიად არ იჩენდა, არც სხვა რამ საქმეს ეტრფიალებოდა.

სწორედ მოგახსენოთ, ძლიერ მტკილდა გული ზალიქოს ქცევით: ჯანი გაპევარდეს ცველა იმას, რაც მან მაკადრა და გამიბედა სიტყვი-ერად, მაგრამ ისედაც რომ არაფერად მაგლებდა სრულიად, ეს მტანგავდა ნამეტნავად. ნეტავი ერთხელ მაინც უკითხნა ჩემთვის რამე რჩევა-დარიგება, როგორც ცხოვრებაში გამოცდილი კაცის-თვის. ან ეთქვა თავის საქმისა რამე! არც ის ვიცოდი, იყო საღმე საქმეში, თუ არა. ხან ორ-სამ დღეს არ გვეჩენებოდა შინ, ხან გათენებისას მოდიოდა, სადილობამდის ლოგინში იწვა, ეძინა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ადგებოდა ნაშუადლევს, ისადილებდა და ისევ გავიდოდა სახლიდან და დაიკარგებოდა რამდენიმე დღით. სად იყო, რას აქეთებდა?!

მე კი ამასობაში მთავარი მცნება მელეოდა. თუმცა ვერაფრის თქმას ვერ ვბედავდი, მეშინოდა, ისევ უსიამოვნება რამ არ აშლი-ლიყო ჩემ ოჯახში, ჩვენს შორის.

ეს კია, ყოველი მხრიდან ერთსა და იმავეს მელაპარაკებოდნენ ცველა ნაცნობები — კარგი შვილი გყავსო და აბა, მშობლის გულს რა უნდა იმაზედ მეტი სიამოვნება, თუ კარგი სიტყვა ესმის შვილის შესახებ. მაგრამ, ხომ იცით ადამიანის სურვილსა და წადალს რა აქვს დასასრული, და მეც მინდოდა უფრო სახელოვანი და გამოჩენილი ყოფილიყო ჩემი შვილი. სურვილი კი მქონდა გულში,

მაგრამ აბა რას გავუმხელდი ზალიკოს ამ სურვილს: მით უმოტეს,  
რა გამაბედვინებდა მეჩვენებინა გზა და საშუალება დოდი საცეკვის  
შოცვეჭისა.

— სახელის მოხვეჭა კი ჩვენი ქართველების და ნამეტანავალ  
ჩემ გვარეულობისა ხომ უპირველეს მისწრაფებრა შექმულები  
და შეადგენს.

თუმცა პირადად მე ჩამოვრჩი ყოველნაირ სახელის მოპოვებას,  
რაღანაც, როგორც მოგახსენეთ, ჩემ დროს ხმალი აღარ ჰრიდა,  
რომ ჩემი წინაპრების კვალს მივყოლოდი, მაგრამ იმათი წარსული  
სახელი და დიდება კი დღესაც მაცხოველებს. სიამოვნების ურუან-  
ტელი დამივლის ხოლმე ტანში მათი სახელს ხსენებაზედ, ისე ჯა-  
ყად მომავჭა ხოლმე თავი, თითქოს მე ჩამედინოს მათი საქმენი  
საგმირონი. სწავლა-განათლებითაც შევပდი — რა იყო მიზეზი, არა  
ღირს სათქმელად, სიტყვაც გამიგრძელდება და შორსაც წაგვიყვანს,  
ოლონდ არცთუ ისე სასიქაღულო იქნებოდა, ამით რომ გამომეჩინა  
თავი და მომეხვეჭა სახელი.

სამაგიეროდ ზალიკოსათვის არაფერს ვწოვავდი, განათლება კი  
მიეღო და რას დავიშურებდი. ვყიდდი მამულებს, რომ არ მომექლო  
მისთვის საშუალება და ისეთი განათლება მიეღო, რომ თავისი სა-  
ხელით მეც ვესახელებინე. ი, ამისათვის მიცემდა ხოლმე სიამოვ-  
ნებით გული, როცა აქეთ-იქიდან მიქებდნენ შვილს. რასავირვე-  
ლია, ზალიკოს მისიერ ამხანაგები მიქებდნენ, ვისაც უფრო ნათლად  
ესმოდათ განათლების საფუძვლიანობა და სარგებლობა.

ერთხელ მივდიგარ ქუჩაში, ვხედავ ჩემი ზალიკო გაცხარებით  
ელაპარაკება ვიღაცას, სწორედ გითხრათ, შიშმა ამიტანა. ვათუ  
რაზედმე ჩხუბობენ-მეტქი. თან ტკბილი ეჭვი შემეპარა: ზალიკო  
მამულზე თუ დავობს-მეტქი, მივეღი, მივესალმე და მოვიკითხე:

— რაზედ ჩხუბობთ, ყმაწვილებო?

— ჩვენ საჩხუბი რა გვაქვს? — მიპასუხეს ღიმილით.

დავრჩი ხახამშრალი და შერცხვენილი შუა ქუჩაში. რა ძალა  
მქონდა, ჩავჭინდრე იავი და წამოვედი შინისაკენ გაწმილებული.  
სამი დღე სახლში აღარ შემოუდგამს ფეხი ზალიკოს ამის შემდეგ.

იპრიანა ღმერთმა და ორიოდე კვირის შემდეგ კარგ გუნებაზე  
შევიყარენით მამა-შვილი. ის საწყალი ელისაბედი ხომ ყოველთვის  
კარგ გუნებაზე იყო ხოლმე, როცა თვალით უყურებდა ზალიკოს.  
ცოტა რამ ვიმასლაათეთ, აქეთური ვთქვით, იქითური ვთქვით, გავი-

ოხუნჯეთ. ვხედავ: უკეთეს გუნებაზედ ნუ ინატრებ ჩემ  ვთქვი თუ, ჯანი გამგირდეს, რაც იქნება, იქნება!.. მოდი რაგუმშე  
ჩემი გულის ნადებს, მწარე ფიქრებს-მეთქი.

— შვილო, რას აპირებ, რასა ფიქრობ? როგორ შათურიშვილი?  
შენი ბედი? ასე უსაქმოდ ხომ ვერ დარჩები? რატომ არც მატლებული ჩვენს  
რომ სადმე სამსახურში ჩადგე? კარგადა ხარ ჩახედებული ჩვენს  
ვითარებაში, ჩვენს აცხა და კარგში. ჩვენი ავლადიდება, შვილო, ჩვე-  
ნი იმოდენა მამულ-დედული სულ სხვის ხელში გადავიდა, დღეს არა,  
ხვალ დანარჩენ მამულსაც გაგვიყიდიან საჭაროდ და მმ სახლშედაც  
ავვალებინებენ ხელს. იზრუნვ რამ, შვილო, ან სამსახურში შედი,  
ან ისეთ კერძო რამ საქმეს მოსციდე ხელი, რო ვინძლო ის გადა-  
ვარჩინოთ, რაც აქამდის შეგვრჩენია ხელში.

— როგორ, მამაჩემო, შენ გინდა მეც შოვინისტი გავხდე? —  
ხელების გასავსავებით წამოიჭრა ზალიკო გველნაკბენივით, თუმცა  
მე ჯერ არ გამეთავებინა ჩემი სიტყვა.

„დალახვრა ღმერთმა, — ისევ არ წამოყო თავი იმ  
სიტყვამ „შოვინისტმა!“ რა გახდა, რა არის ეს ლეთისაგან წყეული?!“

— არა, მამაჩემო, — დაიწყო რდნავ დაშოშმინებულის კილოთი  
ზალიკომ. — ტყუილი იმედი გაქვს, რომ მე საქმეს მივყო ხელი,  
ფულები ვიშოვო, შენ ამ ფულებით მამული შეინარჩუნო, იქნება  
კიდეც გამოისყიდო და მერე მე გადმომცე მემკვიდრეობით. მართ-  
ლაც რომ შოვინისტად ჩამოვლიან მაშინ. და განა რისთვის მივიღე  
უმალლესი განათლება. ნეთუ იმისათვის, რომ შოვინისტი ვიყო.  
მერე უსწავლელი კი უფრო ნამდვილი შოვინისტი არ ვიქნებოდი  
შენსავითა. არა, არა, მამაჩემო, მე მაგას ვერ ვიყისრებ, გესმის!  
ისიც კმირა ჩემთვის, რომ ყურებამდის ავწითლდები ხოლმე სირ-  
ცხვილით, როცა მეუბნებიან: მამაშენი დიდი შოვინისტია.

თუნდაც მომკალით, არ მესმოდა ეს ტაალი „შოვინისტი“ და რა  
ვწნა! მაგრამ მოდი და გაუძელი აპილპილებულ შვილს და ჰეითხე,  
თუ რას ნიშნავს ეგ წყეული სიტყვა. ერთს კი მივხვდი, ლვთის  
წყალობა თქვენა გქონდეთ, რომ სალანძლავია და სამარცხვინო ეს  
„შოვინისტი“. ამაში ველარ გამტეხავდით, მაგრამ რათ არის საშარ-  
ცხვინო, როგორ? მეტი რა ძალაა, ისევ დროსა და ვარემოებას  
მივანდე მისი მნიშვნელობის გამორკვევა.



ნათქვამია, ნაგუბარში წყალი კიდევ ჩადგებაო და ლამის არის გამართლდეს ეს ანდაზა ჩემ ოჯახზედ. ქართველაანც გვიჩვენეთ ემული ყოფილა ძეელად სიცოცხლით სავსე ოჯახზე მოსახლეობისათვის გადმოცემით შემიტყვაია, აქ და შემდეგ მოსხლეტილისათვის აჯანმი, რომელსაც მე ცოტაოდნად მოვსწრებივარ, ხმაურობა და მოძრაობა არ გამოლეულა. იქრიბებოდნენ სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული მამულიშვილი ჭირსა და ლხინში. აქ პქონიათ ბჭობა და თათბირი საზოგადო საქმეებზედ და ხშირად თურმე მთელი კვირაობით არ აღავებულა სუფრა. ჭირში ჭირისუფლობდნენ და ლხინში ლხინობდნენ გაშლილ სუფრაზედ. რასავირველია, ყოველივე ეს დროთა ვითარების ბრალი იყო. გამოიცვალნენ გარემოებანი და ჩვენ ოჯახსაც დაეკარგა ეს მნიშვნელობა. თვით ოჯახიც უმნიშვნელო მივიწყებულ კერად იქცა. ეხლა კი ლამის არის ჩემმა ზალიკომ ისევ დაუბრუნოს ოჯახს უწინდელი შარავანდედი.

ჩვენმა ახალგაზრდობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საზოგადოებრივ საქმეებს და გატაცებით დაიწყო მათზე ზრუნვა. თითქოს ვატყობდი, რომ ეს წამოწყება ზალიკოს თაოსნობით დაიწყო. მალე მის ირგვლივ საქმაოდ ბევრი განათლებული ახალგაზრდობა შეიტრიბა და, როგორც მეთაურის ზალიკოს ბინა, ანუ ჩემი ოჯახი თავის ყოველდღიურ ყრილობის ადგილად იქცა. ვაჩალდა ჩვენ ოჯახში ჩვეულებრივი მიმოსვლა, მხოლოდ აულაგებელი სუფრით გამასპინძლებას კი, რაღა თქმა უნდა, ვეღარ იტანდა ოჯახი. მართალია, ქართველების ჩვეულებასა და ადათს უწინ ის შეადგენდა, რომ ყოველი საზოგადო საქმე უნდა დაწყებულიყო სუფრით და სუფრითვე გათავებულიყო. ჩვენ ახლაობასაც მამაპაპისაგან მხოლოდ ეს ერთადერთი თვისება აქვს მტკიცედ დაცული და ყოველ საქმეს სუფრაზედ აკეთებენ, ან რატომ უნდა დაივიწყონ ეს საუცხოო ადათი. უსუფროდ დაწყებულსა და გაკეთებულ საქმეს რა ეშნი და სიცოცხლე იქნი, ერთი მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმეთ ჯერ მარტო ის რადა ღირს, რომ ქებათა ქებას შეისხავ დაწყებულ საქმეს და დამწყებოთ და ზედავე მის სადლეგრძელოს დააყოლებ ქრავალეამიერით და ვარპარალოთი! სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდა დაწყებულ საქმეს არც კი ეღირსოს განხორციელება, ეს ხომ შეგრჩება! არა, სულ სხვა ეშნი აქვს ასე დაწყე-

ბულ საზოგადო საქმეს და მით უმეტეს დიდ მნიშვნელობას, რომ რომ, რომ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩაერთო ჩვენი ახალგაზრდობა, ეს იქიდან ჩანდა, რომ დღე-ღმი ისეთი ხმაურობა იდგა ჩემ ქასშეული რომ უციც კაცს უბრალო ორომტრიალი ეგონებოდა და უკარისი მწერების საქმეზედ და ამასთან დიდმნიშვნელოვან საქმეზედ.

დიდად ცულნატენი ვიყავი საზოგადოდ ზალიკოსაგან, მაგრამ ეხლა კი უნდა გამოვიტყდეთ, თავი მომწონდა და ვფიქრობდი: „ალბათ, ზალიკოს ძალა შესწევს, როგორც ზნებრივი, ისე გონებრივი, რომ ასე ემორჩილებიან მას ყველანი და თავს დასტრიალებენ-მეთქი, ოღონდ პირი მერცხვინებოდა და დიდად ვწუბდი, რომ კერ კუმასპინძლდებოდი ამ შესანიშნავ ყრილობებს ლირსეული სუფრით, მაგრამ ეს გარემოება ჩვენს ახალგაზრდობას სრულიადაც არ იფერხებდა; სუფრა თუ არ იყო, თქვენ არ მომიკვდეთ, ოდნავადაც არ შეუნელებიათ თავის საქმიანობა და უსუფროდაც მშვენივრად უძლვებოდნენ მას. კაცმა სულქეშ უნდა სთვას, დიდ უმუკითობას იჩენდნენ: დილიდან რო დაიწყებდნენ, შუალამებდის და შუალამიდან გათენებამდის დაუღალავად ლაპარაკობდნენ. უკაცრაოდ, ბატონო, ეს ჩემებურად მომივიდა, — საქმობდნენ უნდა მეთქვა, ე. ი. მსჯელობდნენ, ბასობდნენ და მარტოდ სამშობლოშედ ხომ არა, მთელი ქვეყნიერების სიკეთეზედაც კი. ჩვენ წინაპართ სად შეეძლოთ ამოდენა ლაპარაკი! ოპ, უკაცრაოდ, კიდევ ჩემებურად მომივიდა. ან მთელი ქვეყნიერობის გამოქომაგებისათვის სად ეცალათ ჩვენ წინაპრებს, როცა ხედავდნენ, რომ მათ სამშობლოს ყველა სთელავდა და ამ გამოცელავებისაგან დახსნისათვის ზრუნავდნენ.

დიდი გამოცოცხლება დაეტყო ჩვენ ოჯახს. ასე გასინჯეთ, მათ ხმაურობაზედ მე სულმთლად დავკარგე უწინდელი ალუშთოთველი და ტყბილი ძილი, არამცთუ ნასაღილევს, თვით ვახშმის შემდეგაც ღამის ძილი. ტყუილუბრალოდ რომ არ დამეკარგა დრო, ვიჯექი გულხელდაკრეფილი სავარეულში, ან კრიალოსანით ხელში და ვუგდებდი ყურს მათ კამათს, მაგრამ ჩემს ცუდყაცობას და სიმხდალეს მოგახსენებთ, ბევრჯელ ამშლია თმა თავშე, როცა მოპირდაპირენი მუშტებ მოღერებით ცხარე სიტყვებს ისროდნენ ერთი ერთმანეთისაეენ. ერთხელ კიდევაც ამუშავეს მუშტები და ცხვირპირი ამტვრის ერთმანეთს. მე შიშით ვიპარებოდი და ღმერთს ვეხვეწებოდი პოლიცია არ წამოგვადგეს თავშე და მეც ხათაბალაში

არ გამხვიონ-მეთქი. რა გულისხმას მოვიდოდი, რომ პოლიცია თურ-შე კარგა ხანია თვალყურს ადევნებდა მათ კრებებს სა მეტ ძალაში ერთად მომელოდა უსამოვნება, — მე, თორემ ახალგაზრის ხალხს რა უშავს, იმათ არ ეშინიანთ, არც სირცხვილად მიაჩინეთ ლურმა-ტყება, როგორც ჩვენ მოხუცებულებს, პირიქით და უკავშიროვა კანკელი მოსწონთ და მტკიცებენ, რომ ერთმანეთის ცუჭ-ტყემა და კრიფი ბაასობის დროს განვითარების ნიშანიაო. მთელ ქვეყნიერებაზედ საფრანგეთშე ვანათლებული ქვეყანა არ არისო, მაგრამ იქ თვით პარლამენტში ყოველდღე ცემა-ტყება ხდება მოკამათეთა შორისთ.

აბა სიტყვა „შოვინისტი“ აქ იყო ხმარებაში აი! ვინც ვისმე ეყამათებოდა, ათ სიტყვაში ერთხელ მაინც უსათუოდ ახსენებდა „შოვინისტს“. აქ ხომ ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ლანძღვა იყო ეს სიტყვა და ებლა როგორი! ისე ვერაფრით მოუკლავდა მოკამათე თავის მოპირდაპირეს გულს, ვერ გაამტყუნებდა ისე ხელდახელ, როგორც ამ სიტყვით: შოვინისტი ხარო, შეუტევდა და მორჩი, გა-მტყუნდა, გაბითურდა...

ჴო, კინაღამ ის კი დამავიწყდა, თუ რა საზოგადო საქმეზედ ბაასობდნენ მაშინ, როდესაც ერთმანეთს ცხვირ-პირი ამტვრის. თუ გნებავთ და ნებას მომცემთ, ამასაც გიამბობთ.

## VII

იმ დროს ქალაქის ხმოსნების არჩევნები იყო მოახლოებული. ახალგაზრდობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამას. არჩევნები დიდ-მნიშვნელოვან საყითხად აღიარეს და თავისებური მუყაითობით შეუდგნენ საქმეს: ებლანდელი ბურუაზიული საბჭო უსათუოდ უნდა გავაშავოთ. კენჭი დემოკრატიულ ხმოსნებს მივცეთ და ისეთი საბჭო ავირჩიოთ, რომ ყველა მცხოვრებელთა საკეთილდღეოდ იზრუნონ.

ებლა მთელმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი ჩვენ სახლში, არამცუ ქართველობამ, სხვა ტომისამაც.

აბა, ებლა გაჩაღდა და გახურდა სიტყვის თქმანი და მუშტის ქნევა. რამოდენიმე კვირა მარტო იმას მოანდომეს, თუ რა ტაქტიკას დაადგნენ არჩევნებში და ვის მისცენ კენჭი. ბოლოს გადა-წყვიტეს, გაიყვანონ საბჭოში სულ ცოტა არანაელებ ოცდაოთხი ქართველი ხმოსანი. რაღანაც ქალაქის მცხოვრებთა მიხედვით ეს

ჩიცხვი ხმოსნებისა კანონიერად ცნეს. ახლა ტაქტიკაზე მიღვა  
საქმე, ბევრი იდავეს, ბევრი იჩხუბეს, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მორგ-  
ლნენ. ამას კი ვანხეთქილება მოპყვა და ჩვენი მებრძოლები და ფრთხი  
ბანაკად გაიყვნენ. სწორედ მაშინ დატრიალდა მუშტაგებრიზე მწყობი შე-  
წასქდა ცხვირთა სისხლი.

მალე ორთავ ბანაკს შორის ატყდა ნამდვილი დაუნდობელი ომი.  
ბრძოლის ველად, როგორც მოგეხსენებათ, გაზეთები გადააჭციეს  
და აქ აშკარა იყო მათი საბრძოლველი იარაღი და ხერხი, მაგრამ  
ჩემი და გაზეთებში გაუტანელი ომიც გაჩაღდა ამ ორ დაუძინებელ  
პრეტორია შორის და რა იარაღსა და ხერხს ხმარობდნენ ამ ომში, ეს  
დამალული დარჩა ბევრისათვის. ძნელია ითქვას, რით დამთავრ-  
დებოდა ომი, მებრძოლნი რომ პირდაპირ შეხვედროდნენ სადმე  
ერთმანეთს ან დიდხანს გაგრძელებულიყო ეს ბრძოლა. მართალია,  
ნამდვილად არ ვიცი, თუ რა ხდებოდა ჩემი ზალიკოს მოწინააღ-  
მდევე ბანაკში, რადგან იმათ კრებებს ვერ ვესწრებოდი, მაგრამ  
ზალიკოს ბანაკში კი მუდამ ვესწრებოდი კრებებს და კარგად  
ვხედავდი რა ხდებოდა აქ.

ხშირად მესმოდა, რომ მოწინააღმდევე ბანაკში მთლად შოვი-  
ნისტები არიან, არ შეუძლიანთ საქმის ბჭობა სერიოზულად და  
ამიტომ რაღაც საიდუმლო არასაკადრის საშუალებას ხმარობენ  
მიზნის მისაღწევად.

ძლიერ მოხარული ვიყავი, რომ ეს მოქიშხენი ერთმანეთს არ  
ხედავდნენ, თორემ უსათუოდ ფათერას რამეს გადაეკიდებოდნენ,  
ამიტომ იყო, რომ გულდამშვიდებული ვესწრებოდი ჩემი შვილის  
მომხრეთა ყრილობებს, აქ ხომ არხეინად ვიყავი, იმიტომ რომ აქ  
ყველანი ერთი აზროვნებისანი იყვნენ და თუმცა დიდის ალესვით  
და გულმოსულობით ბასობდნენ და კიდეც ლანძლავდნენ ერთმა-  
ნეთს, მაგრამ მუშტებამდე მაიც არ მიღიოდნენ.

ვკვირობდი ჩვენი ახალგაზრდობის დაუღალავ „შრომას“, ზოგი  
მათგანი ერთ კრებაზედ ბარემ ხუთ-ექვს სიტყვას ასწრებდა, მერე  
როგორ! საათი ან საათნახევარი, ხან ორი საათიც კი უნდებოდა ერთ  
სიტყვას! თვით სიტყვა!.. როგორი მჟევრმეტყველობა, როგორი  
სიმდიდრე ენისა! შერცხვენილი ვიყო, თუ ყოველნაირი „იზმები“  
უფრო ხშირად არ ისმოდა, ვიდრე ქართული სიტყვები. აბა, აქ იყო  
„შოვინისტის“ სიუხვე! რა შედარებაა წინანდელ სიხშირესთან.  
მაგრამ, რა გინდა, ძმაო, ნახევარი თქმულისა არ მესმოდა. თუ რას

ნიშნავდა, სმენა გაბრუებული მქონდა „იზმებით“, თითქმის /განუ-  
წყვიტლივ „მიიზმებდა“ უურებში ძილში თუ სიფხრისულში.

დავხელოვნდი და ვიცოდი. რომ თუ „იზმებს“ უბშეჩეს, სრულ  
ცხარე იყო და მქუხარე.

ურავიცელი

დაუღალავად შრომობდნენ, იბრძოლნენ ჩვენ ჭრისათვის უცილეს პისტორიუმები ცის ამორჩევის დღემდე. ღმერთმა უშველოს, მალე გათავდა არჩევნები, თორემ თქვენს მტერს. რაც იმათ საქმე დაემართებოდათ: ალარც ხმა შერჩებოდა ვისმე, ილარც პარაქათი. მორჩია არჩევნები და როგორც წისქვილს გადაუგდო წყალი. ისე გადაუვარდათ მათ ბრძოლის სურვილი და უნარი.

დროც კი იყო, დასვენება სკირდებოდათ მათ არა მარტო თავისთვის, თვით სამშობლოსათვის—მამულისათვის, რომ განახლებული ძალებით ახლა ახალი საქმისათვის მოყენდათ ხელი.

## VIII

ცველაზედ ღირსშესანიშნავი ყრილობა ხმოსნების არჩევნების გათავების შემდეგ მოხდა. ღმერთო ჩემო, რა აღტაცება და აღფრ-  
თოვანება სუფევდა მთელ კრებაზედ!

თურმე უებარი წამალი ყოფილა მცევრმეტყველობისათვის სია-  
მოვნებით გამსჭვალვა. ამას ამტკიცებდა სიმრავლე და სილალე  
წარმოთქმული სიტყვებისა. თუ წინათ ხუთ-ხუთ სიტყვას ამბობდა  
ვინმე, ეხლა ათსაც ალარ სჯერდებოდა. ისეთი სიადვილით, ისე  
მოხდენილად ლაპარაკობდნენ, რომ ხელები თავისთავად, უნებლიერ  
იწვევდნენ ტაშის დასაკვრელად. მოდი და ნუ დაუკრავ ტაშს, რო-  
ცა კარგად და ლამაზად ნალაპარაკევი სიტყვა გიტკბობს სმენას.  
მისი შინაარსი კი გხიბლავს და გიტაცებს პირდაპირ აღთქმის  
ქვეყნისკენ. უტყუარი გამომხატველი სიამოვნებისა და განცხრო-  
მით ყოფნისა ხომ კრიალოსანი გახლავთ, როგორც მოგეხსენებათ.  
და ფიცსა ვდებ, არ მახსოვეს, როგორ ამოვიღე ჯიბიდან კრიალოსანი  
და რამდენ-რამდენ მარცვალს ვაგდებდი სიტყვების მოსმენის დროს.

ოჲ, მე და ჩემმა ღმერთმა, დიდად ვისიამოვნე ამ უკანასკნელ  
კრებაზედ! კრიალოსანი რა მოსატანია! სულ პირლია შევყურებდა  
ყოველ მოლაპარაკეს, როცა ის ქებათა ქებით და გუნდრუკის ქმე-  
ვით მიმართავდა ხოლმე მთელ კრებას თუ რომელსამე წევრს.  
ვფიქრობდი, რომ თუ ვინიცობაა ჩემ უურს გამოეპარებოდა რამე  
სიტყვა. პირში მაინც ხომ ჩამივარდებოდა.

არ ივიწყებდნენ მოსაუბრენი, რასაკვირველია, მოწინაორმდება  
თა ბანაქსაც და, რა თქმა უნდა, ბევრი გულის წყრომა და დამსახუ-  
რებული გაკიცხვაც მიუძღვნეს მას.

სარკინის გული

„თუ თეალს გადავალებთ საქმის გარემოებას, — ჭრიანი მაქატები ეპ  
ზალიკომ, — უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ ორი მხრივ.  
ჯერ ერთი, სრულიად გავიმარჯვეთ ჩვენს მოწინააღმდეგებზედ —  
წვენს მოსისხლე მტრებზედ და რაც უფრო სასიხარულოა, გავიმარჯ-  
ვეთ მათზე მათვე იარაღით: ე. ი. ისინი დამარცხდნენ თავისივე საქ-  
ციელის წყალობით; მეორეც — სოლოლაკელებზედაც გავიმარჯვეთ.  
თუმცა კი იქ სრული გამარჯვება არ გვხვდა წილად. მართალია, ერ-  
თი ორად ნაკლები ხმოსანი გავიყვანეთ, ვიდრე დამახელებული  
გვყავდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ჩვენს დამარცხებას,  
პირიქით, ამაში მე ჩვენ გამარჯვებას ვხედავ. ოლონდ, როგორცა  
ვთქვი, ეს გამარჯვება სრული არ არის. ჩვენ სრულ გამარჯვებას  
სოლოლაკელებზე ხელი შეუშალეს ჩვენმა „შოვინისტებმა“. იმათ  
რომ საზოგადო საქმე პირად ანგარიშებისათვის არ შეეწირათ და  
ისეთ საშუალებისათვის არ მიემართათ. რომლის წყალობითაც  
ხმოსნების სავარქელში წამოსკუპდნენ, თუნდა ერთი ქართველიც არ  
გასულიყო ხმოსნად, მაშინ ჩვენი გამარჯვება სოლოლაკელებზედ  
მაინც სრული ქნებოდა. უდაბოა, ეს, თუმცა პირველი შეხედულე-  
ბით მეტად უცნაური სხანს. ჩვენ მაშინ ზნეობრივად გავიმარჯვებ-  
დით და სოლოლაკი კი სასტიკიდ დამარცხდებოდა, ვინაიდან ჩვენ  
ვაღიარეთ პრინციპი და მხოლოდ და მხოლოდ ამ პრინციპისათვის  
ვიბრძოდით, (ეს პრინციპი აღმათ სამართლიანობას თუ ნიშნავს,  
ვიფიქრე მე), მაგრამ რას იზიდ. როცა „შოვინიზმით“ დაბრმავე-  
ბული გელობებიან წინ, ხელს გშულიან და ამით მთელი ეროვნე-  
ბის განვითარებას, წინსვლას აფერხებენ. ჩვენ ძლიერ მოხარული  
ვიქნებით, თუ ტფილისის ქართველობამ იმდენი პოლიტიკური  
სიმწიფე გამოიჩინა, რომ შემდეგში მაინც უბრუნა ზურგი იმისთვის  
ელემენტებს და გამოაწორა საქმე.

ჩვენ არ გვაინტერესებს და არ გვიზიდავს არც წარსული და არც  
აწმყო, ჩვენ ვეტრფით მხოლოდ მომავალს, იმ მომავალს, როდესაც  
ხალხთა შორის დამყარდება სრული სოლიდარობა (თანხმობას თუ  
ნიშნავს, მცვევდი მე), როდესაც ყოველი ეროვნება საფსებით შეიგ-  
ნებს სამართლიანობას, რომ მისი მოთხოვნილებანი დაუბრკოლებ-  
ლად განახორციელონ. როგორც კი იტყვი: ეს ასე უნდა იყოს, ამას

მოითხოვს სამართლიანობაო. მაგრამ ვიდრე ამ წეტაზე დროის მაკვალშევთ, ყოველნაირი საშუალების ხმარება მეზობელ ერთა შორის კეთილმეზობლურ განშეყობილების აღდგენის დაუზურიტურული საწინააღმდეგოდ არაუღლტურული შოვინისტური ტერიტორიულურ თურდ დასაგმობი.

სულ სხვა არის, როდესაც საქმე გაქვს შენივე მოძმე ქართველთან: აქ ეროვნებათა შორის დამოკიდებულების საკითხი არ არსებობს, აქ, რა საშუალებაც გნებავს, იხმარე: დაპერ, ცნობირ-პირი ამცვრიყ, გაკიცხე, გალანძლე, უმტრე, ულალატე, შეეცილე საქმეში, ნუ მოუსვენებ შენ მტერ-მოწინააღმდეგეს, ვიდრე მიწასთან არ გაასწორებ — ეს ჩვენი პრინციპის ეთიკას არ დაარღვევს, რადგანაც ჩვენი პრინციპი არ არის ვიწრო შოვინისტური — ნაციონალური. არა, მას პირიქით მსოფლიო მნიშვნელობა აქვს (აქ მე უცბად უკვდავი კულახარი წარმომიდგა, სხვას რომ ბუშებს ურეკავდა, და პირზე ღიმილი მომივიდა, მაგრამ ეს ჩვენი ღიმილი რომ არ შევნიშნათ ან სიცილად არ გადამჯურდა და ხათაბალაში არ გაევხევ, ისე მაგრად ვიკინე ენაზე, რომ სიმწრისაგან თვალთ ცრემლები გაღმომცვივდა). ნუ მიეიღებთ სახეში იმას, თუ სად დაიბადა ეს პრინციპი: ჩვენ იმას მივაპყროთ ყურადღება, თუ სად იძუმბლება იგი, სად ისამას ფრთხებს, რომ მოიფრინოს ქორის სიმსუბუქით მთელი ქვეყნიერება და გაბატონდეს ყოველ ადგილს ხალხთა შორის.

დღეს არა, ხვალ თანდათან გამოიფხიზლებს მთელი ქართველობა და დაადგება ამ პრინციპის გზას. ქართველებიდან მიიღებენ მეზობლები: სომხები, თათრები, შემდეგ გადააბიჯებს კავკასიონის მთებს და გამეფფება რუსეთში, რუსეთიდან გადავა გერმანიაში, ქედან საფრანგეთში, ინგლისში და ასე მოედება მთელ ევროპას. გადავა ამერიკაში, აფრიკაში, დამყარდება მთელ მსოფლიოში. ასე, ბატონებო! პატარა ერის პატარა. მაგრამ უაღრესად შევნებული ჩგუდი შევმნის მთელი მსოფლიოსათვის დიდ პრინციპს და მსოფლიო ისტორიაც ოქროს ასოებით აღბეჭდავს თავის წარუხოცველ ფურცლებზედ ამ ჯგუფის ღვაწლს“.

თითქმის მთელი საათი არ შეწყვეტილა მქუხარე ტაშის გრვეინვა, ისე ინძრეოდა სახლი, როგორც მცწის ძერის დროს, ამ ტაშისაგან. განა მარტო მაშინ დაპერეს ტაში, როცა სიტყვა დაამთავრა ზალიკმ. არა, ბევრჯელ გააწყვეტინეს სიტყვა. ბევრჯელ იყიდინეს

ვაშა, მაგრამ მე აღარ აღვნიშნე, მეშინოდა წარამარა გადახვევას არ  
შეესუსტებინა სიტყვის სიმძაფრე და მოხდენილობა, აზრი არ  
დაჩრდილულიყო.

შეუხარე ტაში იყო პასუხი ამ სიტყვისა, მე ჟურნალურულ  
გავხდი ყურებზე ხელები ამეფარებინა.

## IX

როგორც ზევითაც მოვახსენეთ, რა დღესაც მოთავდა არჩევნები,  
ჩვენი ახალგაზრდების ჩეუბიც იმ დღესვე შესწყდა, თითქოს მის  
დღეში არაფერი მომხდარაო, ისე მიივიწყეს ის დაუსრულებელი  
დავა და ჩეუბი, მუდამ დღე რომ იმართებოდა ჩვენ სახლში, მაგრამ  
მე რა დამავიწყებდა, ბატონებო, იმას, რაც მოვიხილე საკუთარის  
თვალებით და მოვისმინე ამ ჩემი ყურებით, მით უმეტეს, რომ სწო-  
რედ იმ დროიდან დამჩემდა ეს საზარელი შიში, რომელიც დღესაც  
კი ამცტანს ხოლმე, როგორც კი სიტყვა „შოვინისტები“ ესმინება  
ჩემს ყურებს ან თუნდაც უცაბედად წამომავინდება ჰკუში.

ვანა ისეთი რა არის ამ სიტყვაში! უნდა გამოგრტყდეთ, რომ ბევ-  
რი თავსამტვრევი ფიქრისა და ჩვენი ახალგაზრდობის პაეჭრობის  
დროს, კინტცუნტად გამოსროლილი სიტყვის წყალობით აშში მი-  
კვედი ამ სიტყვის მნიშვნელობას ცოტაოდნად. ბოლოს ხომ ერთვა  
მართლაცდა ლეთისნიერმა ადამიანმა საბოლოოდ ამიხსნა იგი. თურ-  
გე ნუ იტყვით, „შოვინისტი“ ის ადამიანი ყოფილა, რომელსაც  
მარტო თავისი ეროვნება მოსწონს და უყვარს, რაც უნდა უზნეო.  
დაცემული და ჩამოქვევითობული იყოს იგი. თუ ზრუნავს ამეს,  
შხოლოდ თავის თავისთვის და სხვა ერთ მას არც სწამს და არც  
თითს გაიქნევს მის სასარგებლოდ. პირიქით, ცდილობს, შენ ხარ  
ჩემი ბატონი, რომ რაც შეიძლება წაპლივოს უცხო ერს და თავი-  
სის მიკვერძოს.

ღოთის წინაშე, მწარედ გავაქნიე თავი, როცა გავიგე ეს და  
ვიფიქრე: „თურმე დაუცინიათ ჩემთვის, თორებ მე რომელი შოვი-  
ნისტი მნახეს-მეთქი. ან იქნება ჩემ გვარს მიათვისეს ეს სახელი.  
როგორც რამე წყალობა და გადაავიწყდათ, ან ვერ ამჩნევენ. რომ  
მე ჩემ წინაპართა აჩრდილსაც კი აღარ ვგავარ“.

ასეა თუ ისე, თუმცა გავიგე სიტყვა „შოვინისტის“ მნიშვნელო-  
ბა და დავრწმუნდი. რომ მე ის არასგზით არ მომეუტვნება. მაინც

ისეთი შიშის ზარი დამტა. უიდრე არ ვიცოდი მისი მნაშვნელობა  
რომ დღესაც ჩემ ზალიკოზედ გაცილებით მეტად მეშიჩრან მისი.

ასე გასინჯეთ: ერთხელ მე და ელისაბედი ვისხეცუა, რაუცუქმლე  
ელისაბედი ტახტზედ მოკალათებული ქალალდა შეფრთხეულობრივ  
ხაობდა, რა ბედი მოელოდა ზალიკის: დიდხანს ივლიდა უსაქმოდ.  
თუ იშოვნიდა რაიმე სამსახურს, ინ ფულიანი საცოლე თუ აღმო-  
უჩნდებოდა სადმე. მე კიდევ კრიალოსანს ვმარცვლავდი ხელში  
და ტკბილად ვოცნებობდი, თუ რა კარგი იქნებოდა ის ჩემი მამულ-  
დედული ეხლა სევ ჩემ ხელში ყოფილიყო. მამულმა მეტად აიწია  
ფასში, ვეეო. მეტად ხელსაყრელ პირობებშიაც იყიდებოდა.

საფასურის ჯამს ვთვლიდი: ვინიცობაა ეხლა გავყიდი, რამ-  
დენს ამოვილებდი? და რაც უფრო შევდიოდი ანგარიშში, თმაც  
მით უფრო მაღლა მიღებოდა ყალყზე. ინ რა გასაკვირელია?  
ჯერ ყველა მამული არ ჩამომეთვალა თითებზე და კიდეც ნახევარ  
მილიონზე ავედი, მალე მილიონსაც მივაღწიე და აქ კი შევდექი.  
შევწყვიტე ანგარიში: მილიონზე მეტი აღარ ვინდომე, თორემ ჯერ  
ამანაც შემიხუთა სუნთქვა და თავბრუ დამახვია... და მეტი რაღას  
მიზამდა? ეხუმრებით მილიონს?! რათ მინდოდა მეტი? ამ ფულსაც  
კა დახარჯვა უნდა, მერე, უნდა იცოდეთ, რა აღვილად და შეუწუ-  
ხებლივ ავილებდი ამ მილიონს, არც ვაჭრობა-ჩარჩობა, არც მყიდვე-  
ლის ძებნა, არც ხეეწნა, არც მუდარა, — უთქმელად მომცემდა  
უველა ამ თანხას იმ ჩემ მამულებში.

V ის-ის იყო ვინატრე: ახ!.. რატომ ისევ ჩემ ხელში არ არის ის  
მამულები, რომ ხელად ერთი მილიონი არ ვაურკავებინე-მეთქი.  
და ზედ ამაზედ ელისაბედმა ერთი ცხვირი დააცემინა.

მოგეხსენებათ, ერთი ცხვირი ამისთანა ნატრაში ხეირია, ნუ-  
გეშა ნიშნავს და ამისათვის სიხარულით მივაძახე: „ლვთის წყა-  
ლობა“. მაგრამ... ლვთის წყალობა თქვენა გაქვთ, მაშინვე ენაზე  
ვიკინე და ფეთიანივით წამოვვარდი ზეშედ. აქეთ მოვიხედე.  
იქით მივიხედე შიშით და, რომ დავრწმუნდი, რო ოთახში ჩემსა და  
ელისაბედის მეტი არავინ იყო, გულს მომეშვა მეტად, პირველიც  
კი გადავიწერე: უპტ! მაღლობა ჩემს გამჩენს, ვერავინ ვერ გაიგო-  
ნა-მეთქი!

ელისაბედი გაკეირვებით მეკითხება: რა იყო, ყმაშვილო, რა  
დაგემართა, რა მოგეჩვენაო? — არაფერი, — კუპასუხე, მაგრამ რის  
არაფერი, რა არაფერი! იმ მილიონს რო ვნატრობდი და ცხვირზე

რომიანი „ლვის წყალობა“ დავაძიხე. ერთიც ვნახოთ, ჩეებ გაზრდებს გაეგონათ.

ასე ვიყავი დაშინებული ამ „შოვინისტით“, თუმცა კი ჩატარდებოდა მოგახსენებოთ. რომ ვიცოდი მისი მნიშვნელობა და სარტყელი არ მე მაინცადამაინც არ მქონდა წილი შოვინისტით უნდა გამოვიტყდეთ გულაბდილად, აქამდის ვერ გადავჩეულვარ ამ შიშს, ახალგაზრდობის იმ პაექტობიდან რო დამყვა... და განა მარტო ეს დამყვა!

ხომ მოგეხსენებათ, რამდენი თავს ამტვრევი ფიქრი ავიტანე ამ „შოვინისტის“ მნიშვნელობის ამოსაცნობად. პოდა, მეორე ფიქრიც ამეცვიატა იმ თავიდან და ვერ იქნა, ვერ დავახწიე მას თავი. იქნებ არ დაგავიწყდათ ჩემი ზალიკოს ნალაპარაკევი — ზემოთ რომ მოგახსენეთ! პო, და ამ „სოლიდარობას“ სიტყვა „შოვინისტის“ შემდეგ პირველი ადგილი ეჭირა ახალგაზრდების ლაპარაკში. ყველას პირზე ეკერა ის და პანტასავით სცვიოდა. წარამარა მათ ბაგეთავან. რასავიორველია, რომ ძალაუნებურად ეს „სოლიდარობაც“ ჩამიჯდა თავში და აღარ მასვენებდა. დავიწყე დაკვირვება, თუ სად და რაში გამოიხატება ეს სოლიდარობა: ბევრს ვაცეცებდი აქეთ-იქით თვალებს, ეგები საღმე შევნიშნო-მეტქი, მაგრამ თქვენც არ მომიკდეთ.

ბევრს ვფიქრობ ამაზედ, მინდა გავიგო, რაში გამოიხატება სოლიდარობა, მაგრამ, ამათა ჩემი ცდა, ასე რომ, ეხლა გადავწყვიტე ჩემი „მოკლე ჰეჭუით“ — ასე მონათლეს ჩემი ჰეჭა ჩვენმა ახალგაზრდებმა, როცა ერთხელ გავბედე და ჩავერი მათ ლაპარაკში — შენ შენი მოკლე ჰეჭუით სჭი მაგრეო... პოდა ასე გადავწყვიტე ჩემი „მოკლე ჰეჭუით“: ობათ სოლიდარობა, რომელსაც ასე ხშირად იხსენიებენ ახალგაზრდები, იგივე თვისებისა უნდა იყოს, როგორც ის მეორე ინდაური, რომლის არსებობასაც მიმტკიცებდა ჩემი შვილი, ახლად რომ დაბრუნდა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, და რომელიც საკუთრად მას დარჩა იმ დაუვიწყარ პირველ სადილზედ.

თქვენ რალას ბრძანებთ?

## ორი საკლავი

(ამბავი)

### I

— მამასახლისო, როგორ? ვინც შინა ვრჩებით და ვისაც ცხვრის ფარასავით არ გვერეკებიან ომში საქლეტად — ჩვენ ცხოვრება აღარ გვინდა? თითო-ოროლა ბორილალა დაგვრჩა, მასაც რომ ხელიდან გვაცლით, ღმერთი აღარა გაქვთ?! ჩვენ რაღამ უნდა ვვაცხოვროს!?

— ვის დაქარგვიხარ, ნეტა მითხრა, კაცო, მე რა, ჩემ სახლში მივერეები თუ? მიბრძანებენ და მეც ვასრულებ ხემწიფის ბრძანებასა.

— ერთხელ კეთილი ებრძანოს რამე ჩვენთვისა ი ხემწიფება, თორემა სულ გამოიტა, გამოიყვა, გამოლიო.. აღარ უნდა ამოგვასუნთქოთ?

— ხალხნ, მუქთათ ხომ არაფერს გართმევენ ი ხემწიფე თუ სხვა, საფასურს გაძლევთ და ეხლა როგორ საფასურსა! ვის ვინახევთ და გაგიგონიათ ცოცხალი საქონლის წონით ყიდვა, რომელ ყასაბს უყიდნა თქვენგან მიწონით საკლავი და ან ვის მოუცია ფასი, რასაც ხემწიფე იძლევა? ბალაპითა და წყლით გაგუდულ საქონელს იღებენ თქვენგან წონით და კალთით ფულს ვითვლიან. დავიგერო კიდევ გეთქმით რამე ამაზედა?

— ეჭ, ძმავ, თუ დაგვეხსნებიან, არც იმათი კალთით მოთვლილი ფული მინდა და არც სხვა რამე. ოლონდ დაგვეხსნან. ცოტა გვაძეს თუ ბევრი, ის შეგვარჩინონ და ჩვენსას ხელს ნულა ახლებენ.

— კაცებო, წინათ ჩვენ ნებაყოფლობაზე მიაგდეს: ვისაც მოჰარებული და გამოუსადეგარი საქონელი გყვანდეთ, ის მოიმხეთ და მოგვყიდეთო, ეხლა კი ჩვენ აღარა გვკითხავთ. პირდაპირ შემოგვაწერეს. როგორც ხარაჭა და ძალით ერეკებიან გამოუსა-

დეგარს კი ორა, ჩვენ მაცხოვრებელ მუშასაცა და მოცად შექოდეს საცა. იქნებ ერთ ჩლიქსაც არ მივცემდი ჩემი ნიშა ფურისას უკიდისი კალთა ოქროდაც კი, რატო არა მყითხეს. რო გაიგდეს და წილი უვანეს!

ურავანელი

— ეი, კაცებო, ეხლა ი მიმინოანთ ირმა-ხარს ყველაზე მარჯვენამ უნდა ამართოს დანა იმის ყელის გამოსაჭრელადა?

— დაიჯერე, დათიავ, რო მართალს ამბობ.

— ეი, ის დალოცვილი მთელ ნახირში ისე ერჩეოდა ხოლმე, როგორც მთვარე მაცვლავებში!

— გუთანში და ურემში რაღა მოგახსენოთ? იქნება ჩამოუცარ-დებოდა მეუღლეს? ი, ქედმადლიანსა ყოველთვის ტოლი ედო ხოლმე უღელში და მაინც მთელ სოფელში ჯერ იმისი დამკვრელი ხარი არ გამოსულა.

— საწყალი მიხა დარდისაგან ლოგინად ჩავარდნილა.

— რაოდა განა აღვილია, კაცო?!. უფროსი ბიჭი იყო და ომში მოუკლეს, ი, ლექსა ბიჭიც ერთი კვირა არც კია, რაც წაიყვანეს სალდათში. ე შეილის სადარი ხარიც ხელიდამ გამაცალეს და თვალი გამოსთხარების იმის სისხლიან საქონელსაცა და მთელი სოფლის ნახირსაცა. ღმერთმა კი დაითაროს და ი ლექსა ბიჭსაც რო აუტყდეს რამე — ხო დაიღუპა მთლად ოჯახი! თითქმის სამ-სამი ბურჯი გამოეცალა ოჯახსა და ერთი წელშიგატეხილი ბერი-კაცი უძლებს მთელი ოჯახის სიმძიმესა!

— კაცებო, მე ის მავირვებს — თუ მანდ მტრობითა და სიმ-შურნით არ იყო საქმე, რაღა იმ ირმა-ხარს წაავლეს ხელი და გაიგ-დეს წინა?

— მიხა მთელი საქონლილამა, არა?.. მაგრამ, არა, ძმავ, აქ სხვანაირადა საქმე, მე და ჩემმა ღმერთმა!

— ეე!.. რა მიხა და რა სხვა — ყველანი მაგ დღეში არა ვართ?

— ჰოდა მაგ დღეში რო ვართ, როდემდინ, კაცებო? ბარემ, მოგვისვან ფიჩხი დიდ-პატარიანათა, კაციან-დედაკაციანათა და კვიძახონ ანთებულ საქირეშია, ჰა!

— შენ ეი, საბრალო! ენა დაიმოკლე, ნუ წაგიგრძელებია, თო-რემა!

— თორემა რაო?.. — და ასტყდა სასოფლოზე შეყრილი მთელი ხალხის არეული გაუგებარი ყატყატი.



— აბა, ლექსავ, ერთი შენებური მოიგონე, გამხიარულდე... და კი ჩვენც გაგვამხიარულე, თორემა გული ბოლმით აიცსრეთ შემსრულდეთ და ამ დასანგრევ ყაზარმაში და დაგვიძიშველის ტუშესწერებისა მარტივება

— რაღას გვალოდიანებენ, ოჯახდასაქცევნი და არა გვგზავნიან სადაც გასაგზავნები ვართ?

— ი, სახლ-კარი რომ ამოუწყდეთ!.. განა შეიძლება ამ ღროს კაცი ჭერქვეშ იმყოფებოდეს და ისიც მისითანა ტიალ ადგილას კაცს სული კერ მომიბრუნებია.

— ახ, ერთი ქიდე დამაძინა გადაედლართულ მინდორზე და თუნდა ჩემი დღე გაქრო. ი, დალოცვილი რა ტკბილია იქ ძილი!

— მგონია, მოვესწრებით, ლექსავ, კიდევ ყოფნასაცა და ძილსაც მინდორ-ტყეში, ოლონდ ერთი ჩემარა გავეისტუმრონ აქედამა ამ სახლ-კარამოწყვეტილებმა. შინ მობრუნებული ბიჭები იძაბიან. რო იქ, პოზიციებზე ზამთარ-ზაფხულ სულ ცას ქვეშ ვიმყოფებითო.

— რას ამბობ, ვიო, მე ყინეაყიამათში სიკვდილი მირჩევნია სულის მხუთავ ყაზარმაში სიცოცხლეს. მაგრამ იცი, მე უფრო რათ მეჩეარება აქედამ გასვლა? რაღაც იმედი მაქვს, იქნებ კიდევ დავერა როგორმე თვალი იმ ჩემ ირმა მოზვერსა. ოხ, რა ღმერთი გამიწყრა, რო გუშინ არ წამოვედი თქვენთან ერთად ბაზარში. ხომ შავხვდებოდი იმ ქედდალოცვილსა! რატო ძალა არ დამატანე, შე კი კაცო, და არ წამიყვანე? ეს ოხერი, სიხარული და სიმხიარულე კუცებ ჩამიტება ხოლმე გულში და ამათამაშებს, ისე ბოლმაც მალე ჩამიწვება ხოლმე ჯანღივითა და თითქო სიცოცხლესაც და თავსაც მაძძულებს. გუშინწინ გავიგე პირველად, რომ ი ჩემი ირმაც ჩემ-თვის გამოუყენებიათ უკან და ამ ამბავმა სულ ერთიანად მომაღუნა და მომაჩალფორტა... აბა, რა ეშმაკი ვიყავი, გამეგო, რო გუშინ და ისიც აქ, ქალაქზე გამოატარებდნენ, თორე წამოუსვლელს რა დამა-  
ზენებდა..

— რო არ შემრცხეს, ათასი სული საქონელი მეტი იყო, მაგრამა იმოდენა ნახირში ისე მალე ვიცანით შენი ირმა, რო ჩვენ თითონ გაგვიკირდა. ან რას არ ვიცნობდით. კაცო! ის დალოცვილი, როგორც სოფლის ნახირში, გუშინაც ის ირჩეოდა მთელ იმოდენა საკლავ საქონელშია. უკელა საქონელს კურები ჩამოეყარა. თითქო გრძნობენო თავიანთ მუხთალ ბეღსა, დაღონებული. ზლაშვ-

ნით მიაბიჯებდნენ, ირმა კი ყველას ათონთქოლებდა: მაგ ერთს  
წაუტევდა, ურქენდა, ხან წაახტებოდა რომელსამც და გრაქარებდა,  
ხან მეორეს, არც თითონ სავენებდა, არც სხეას სავენებდა, თითონს  
გული მოსდისო, რო ისე ნელა, უნდილად მიაბიჯებდნეშრიჩიშებდა  
ნაგები.

— იმ დალოცვილმა უღელშიც ისე იცოდა, მგონი, ქედი უხტო-  
და და უთამაშებდა უღლისათვინ და ასიც ქედის თამაშობას ასდევ-  
და. ახ!.. სად ვიყავი, რო ერთი აზ გადავერიე მთელ ნახირში და აზ  
დავუკოცნე თვალები უკანასკნელად მოინც!

— აბა, ვინ მივიშვებდა ახლო? ოცამდინ შეიარაღებული სალ-  
დათი შემოპტრეტყმოდა მთელ ნახირს გარშემო. უკანაც ორი ცხენო-  
სანი ჩინდარი თუ ყამაბი მისდევდა. ისეთი დიდი ყოფით გაატარეს  
ზედ შეა ქალაქზედა იმოდენა საკლავი საქონელი.

— რას მბობ, გოო, დამეახახა ჩემი ირმა და იმისთან მიუსვლე-  
ლი დავდგებოდი, რო დამეკოცნა ის, თუნდაც თავ-პირი ჩამოემ-  
ტვრიათ ჩემთვისა? არა, ვერ მოვითმენდი გაჩერებას. აბა, ძმა ხომ  
ძმა არის, მაგრამ, გამოტეხილს გეუბნები, ჩემი ირმა ძმაზე ძლიერ  
მიყვარდა. ხემრიბა ხომ აზ არის, კაცო, პატარა ხბორობიდან მო-  
კიდებული, ათი-თორმეტი წელიწადი ერთად შევიზარდენით, არც  
დედ-მამასთან, არც ძმასთან, არც სხვა ძე-ხორციელთან აზ დამი-  
ცვია იმდენი, რაც ჩემ ირმა მოზერთანა... რაც წამოვიზარდე, მე  
აღარ ვიცოდი, რას ჰქვია ან მუთაქა ან ბალიში, ჩემი მუთაქა და  
ბალიშიც ირმას ფერდი იყო. ხო შეახარათ იყო გადასული, მაგრამ  
დღესაც ვერ გამიმეტებია ხარი დავუძახო და არა მოზვერი — ასე  
მგონია ეწყინება-მეტე. რო არც ეტყობოდა იმ დალოცვილს დახა-  
რება თუ სიბერე და! ყოველთვის მოზერის სიმარდე და ხალისი  
ჭინდა. ეხ! თუნდაც ცოცხალი გადავრჩე ოშს, რა გულით უნდა  
დავბრუნდე შინა? ირმა იქ აღარ მეგულება და რაღა სიტყბო და  
ფასი ეჭნება შინ დაბრუნებას! განა იმის წამყვანს, იმის დამკვლელს  
ან იმის ხორცის მჭამელს ღმერთმა კეთილი უნდა დააყაროს?!

— ბიჭებო, აბა წამოავლეთ ხელი თასებს, „ბორჩის“ გვირი-  
გებენ!

### III

ერთი მხარე ქუჩისა, რომელიც ჩაუდიოდა სამხედრო უფროსის  
სამშართველოს, გაჭედილი იყო სოფლელებით. იქ აღამიანი შენი-

შნავდა ყველა წოდების, სქესის და ხნოვანების ხალხს ერთმანეთში  
V ორეულსა და აჭინცვლულს.

ა. დაბჯენია მაგრად ყავარჯენს თეთრ თმა-წვერ-ულვაშია შე-  
მოსილი მოხუცი, მის მახლობლად ახალგაზრდა მანდრუშაშვილი შესდა-ი  
კეცია მიწაზედ და, ბავშვია რომ თვისი ტირილით შემთხვევაშემციე  
ძუარე ფიქრები, ძუძუ ჩაუდევია მისთვის პირში. მეორე ადგილას  
შეახნის კაცს ზურგზე წამოკიდებული ხურჯინის ცარიელი თვალი  
კოხთან ერთად ამოუდევია მარცხენა იღლიაში და გულხელდაკრე-  
ფილი დგას შეუნძრევლად. მესამე ადგილას მიწაზედ მოკეცილ  
დედაბერს დაუბჯენია ჩაქინდრული თვეი ნიდაყვებით მუხლებზე  
დაყრდნობილ ორთავ ხელზედ და წასულა ღრმა ფიქრებში. აგრ.  
ჩოხოსან თავადს თუ აზნაურს შედი გადმოუფარებია შებლზე თვა-  
ლებამდის, ქამრძათვის ჩაუკიდია ორივე ხელის ცერები და გი-  
ურება საითლაც უმიზნოდ. კიდევ სხვაგან ფიქრს წაურთმევია  
თვეი ღამენამწარებ შეილთან გამოსათხოვებლად წამოსულ მამი-  
სათვის და კურდლის ძილით ელის შვილის ნახვას. ერთგან პაწაწა  
ბავშვები გაჭირვეულებიან დედას და ისიც ცდილობს დააჩუროს  
ბავშვები დაძირებით, რომ მამას მალე ნახავენ. ა. კიდევ, მობუ-  
ზულან ერთ ალაგას გასათხოვარი გოგოები და შეკურებენ გაო-  
ცებით ხალხს. იქვე მოჩანს თავისი გახუნებული და საკერებლიანი  
ანაფორით სოფლის მოძღვარი, რომელიც შესჩივის ხან ერთს და  
ხან მეორეს, რომ უკრც იმან უშველა რამე თავისი შვილის დაბსნისა  
სალდათობისაგან, როგორც ეს ბევრმა შეძლებულმა მოახერხა და  
ვერც მფარველი და მშველეული იშოვა საამისოდ.

მხოლოდ ამ ხალხშივე დაბჯერებოდა სამი-ოთხი პირი, აღმარ  
ისეთივე გაცემილი ნამუსის პატრონნი, როგორი გაცემილიც  
იყო მათი ნაჩინვნივარი ანუ ევროპიულ ყაიდაშე შეკერილი ტა-  
ნისამოსი. და ხან ერთს მოუახლოვდებოდნენ, ხან მეორეს, რაღაცა  
ქაღალდებით ხელში და საიდუმლოდ ეჩირჩულებოდნენ.

ამ უკანასკნელ პირთა გარდა, ყველა აქ მყოფ ხალხს გამოუთ-  
მელი დარდისა და მღელვარების ბეჭედი აჯდათ სახეზე და თითქოს  
რაღაც შიშის ზარით შეპყრობილნი მისჩერებოდნენ დიდ რეინის  
კარს.

ბევრი ლოდინის შემდეგ გაიჭრიალა კარებმა და ურებამდე  
გაიღო. გაისმა ხმა-შეძხებილი და კიდეც გამოჩნდნენ სამხედრო მუ-  
სიქის საკრავებით სალდათები. მათ უკან მოჰყვებოდნენ ახლად

მოკრეფილი სასალდათონი, ზოგი უკვე გადაცმული ხელისა  
ტანისამოსში, ზოგი კი, უფრო მომეტებული, თავისივე ტანის  
მოსით.

მხიარულად და ყიქინით გამოეთხოვა ახალგაზრდოშვილი ჭურული  
ბასა და ადგილს, რომელთა ორი თუ სამი კვირის შემატებული იყენებოდა  
თოქოს სამ წელიწადათ ეჩვენებოდათ.

ახალგაზრდათა გამოჩენაზე ჭუჩაში თავმოყრილი ხალხიც შე-  
თონთქოლდა. ვინც ისხდნენ და იწვნენ, წამოიშალნენ ფეხზე და  
გაეხმაურნენ თავიანთ შვილებს, ქმრებს, ძმებს.

მუსიკის მოსაკრავეთა წინამდლოლობით ახალგაზრდანი გაამ-  
გზავრეს ჭუჩებით შეა ქალაქზე ერთ-ერთ სათადარივო რაზმი  
გასასტუმრებლად და მთელ ჭუჩაში მყოფი სოფლელებიც დაე-  
დევნენ მათ უკან. ხოლო გარშემორტყმული სალდათები რომ არ  
აძლევდნენ ნებას დაახლოვებოდნენ, იძულებული ხდებოდნენ, შო-  
რიდან გადაესროლ-გადმოესროლათ სიტყვები.

თუ ერთის მხრივ გულაჩუყებულთა ლაპარაქს ერთოდა ზედ  
უხვი ცრემლი, მეორეს მხრით საპასუხოდ ახალგაზრდათა თამაშობა,  
მხიარული ყიჯინა და სიმღერა ისმოდა — უფრო კი მათგან, ვისაც  
არავინ მოპსვლოდა გასაცილებლად, მაგრამ ყველა აშკარად შეატ-  
ყობდა, რომ ეს სიმხიარულე ახალგაზრდათა როგორიდაც ნაძალა-  
დევი იყო და არა გულწრფელი.

მხარულთა შორის ლექსაც ერთია, რადგანაც არც იმას მოჰკვლო-  
და ვინმე გასაცილებლად და გამოსათხოვებლად.

— აი, ლექსავ, სწორედ ამ ადგილის ვრახეთ საკლავ საქონლის  
ნახირი, ჯარისავით რო მოუდოდათ, საკა შენი ირმა ერთია. — მიმ-  
მართა მას გიომ.

— აბა, ვიო, შენ ვარაუდი გასწიე, თუ ჩვენც სწორედ ისე არ  
მიგვერევებიან დასახოცად, როგორც ის საკლავი საქონელი მიუ-  
დიოდათ? — ჩაქრია მათ ლაპარაქში გვერდით მიმავალი.

— შენ რა გვონია, ლექსავ, ჩემმა მზემ, როგორც იმ ნახირიზან  
აღარ დაბრუნდება არც ერთი სული საქონელი, არ დაბრუნდება  
ჩვენგანიც არც ერთი ცოცხალი შინ. ვამიგონია, უწინ თურმე ყველა  
თავის ნებითა და სურვილით მიდობდა ომში და როგორც ქოჩწილ-  
ში ისე მიუხაროდა და სახელითა და დიდებითაც ბრუნდებოდა.  
ბევრი დაბრუნებულა შინ მტერზე გამარჯვებული, ეხლა კი მართ-

ლაც პირდაპირ დასახოცათ მიეკუთხებით, როგორც საქონელი.

— ეშ! არა უშავს . რა! სადაც ჩემი ირმა იყოს, მეტავარე მუზოვის რად მინდა მე ირმას შემდეგ ცოცხალი თავი.

— ეგ შენი საქმეა, თუ არ დაბრუნდები ცოცხალი შეს, მაგრამ მე ხელა ვერ მოვიწერ მავაზე და კიდევაც დავბრუნდები შინ ცოცხალი.

— მერე რა თაბაუთი აქვს იქიდან დაბრუნებას ცოცხლადა? ჯაფარაანთ ანდროც კი დაბრუნდა შინ, მაგრამ მართლადა უდევს კიდევ იმას ცოცხლებში წილი?! უხელფეხოა, ნახევარ კაციც კი აღარ არის. რას ვაქნევ მე იმისთანა სიცოცხლეს! სიკვდილი ათას-წილად მირჩევნია ისეთ სიცოცხლეს.

— მართალს ამობ, იობავ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც სწორედ მაგ აზრზედა ვდგვევარ: თუ ხარ ცოცხალი, ბარემ საღ-საღმამათი იყავ კაცი, თორემ მახინჯი, სხვისა ბარგად და დასაცინად გადაქ-ცეული კაცი რა სასიცოცხლოა?

— ვაიმე, ვაიმე, თქვენ ჯერ კიდევ ბალლები ჰყოფილხართ, ბიჭებო! როგო? საქმე იქამდის მივიტანო, რომ ან მომკლან და ან დღამასახიჩრონ ისე, რო ცოცხლებში წილი აღარ მედოს?!

— ყვილა, ყვილა და შენ როგორდა ჩაგიგდეს ხელში, ლევან, და ჩვენთან ერთად საკლავად გაგხადეს?

— ყი გითხარით, ბიჭებო, თქვენ ბალლები ყოფილხართ-მეთქი! ხელში ვინ ჩამიგდებდა, თითონ ჩაგუვარდი მე...

— ებედი!.. მითამ იმას ამბობ, შენი სურვილით მიდიხარ, არა? იმისი არ იყოს. ძველ მამა-პაპასავით სიხარულით მიდიხარ ომში, ჰა? გამარჯვებით გინდა დაბრუნდე განა შინ, იმათა ბაძავ, ჰა, ლევან?

— შენ ეგ დაცინეა, იობი, ჯიბეში შაინახე შენთვინა, გამოვადგება საღმე, მე კი, გარბოდას ბიჭმა, კარგა ვეცი, რასა ვშვრები და რათა. გეუბნებით, ძალად ჩაგუვარდი მე თითონ ხელში. მინდა ისიცა ვცალო და ვნახო, რაც ჯერ არ მინახავს, რო უფრო გამოვიცალო და სადაც და როგორც შეიძლება ყველაფერი ჩემ ქეიფზე გავაწყო. ჯერ მივიღეთ ადგილზე და მივიხედ-მოვიხედო: თუ იმისმა ცოცხლებმა იციან, მევდარს საით უყონ თავი, გარბოდას ბიჭმაც იცის, საით მოექცეს, თუ კეკვაში არ დაუჭდა იქ ყოფნა. ისეთ ჩინჩილებს ვეცე, რო მზის სინათლემაც კი ვერ ჩამოატანოს, არამცოთუ კაცის თვალებმა დამკრას.

ახალგაზრდათა რაზმს სათადარივო რაზმიდან მუქუთებული მოეგებენ მომავალი ამხანაგები და ისე მიიღეს დიდის ცოდნით და ზეიმითა.

— პაი, შე დასძეცეო ლევან, უთუოდ გაიგეს, ალექსანდრე მარტინე გამოჩენილი კაცი ხარ და ეგვ., კადეც იმისათვის მოღაწებრუსტებული ეპუნ შენ მოსაგებებლათ.

— ვაი, მავით თუ უნდათ მომატყუონ და მომიგონ გული!

#### IV

— კაცებო, რა დომხალივით აგვრივ-დაგვრივეს, — შეპავოდნენ ერთმანეთს ახალგაზრდები, როცა ჩაებნენ საქმეში. — მარტო ჩევნიანები მაინც ვყოფილიყავით ერთად, მაშინ კიდევ არაფერი უშავდა რა. ეხლა კი ამოდენა არეულ ხალხში თავბეღისა არაფერი გაგვიგია.

მართლაცდა რაზმში რამდენიმე ხალხოსნების წარმომადგენელი იყვნენ სხვადასხვა ენაზე მოუბარნა.

ერთი და იგივე ხალხოსნობის შვილი, სხვადასხვა მხრიდან მოსული, ძლიერ მალე დაუახლოვდნენ და მიეკედლნენ ერთმანეთს. მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ პირელად გამონაკლისს. ამათ ჯერ ცალკ-ცალკე ჯგუფები შეაღგინეს და ერთმანეთს თვალით სინგავდნენ და ზომავდნენ; ჯგუფ-ჯგუფად ლხინობდნენ და მუსა-ფობდნენ თავისუფალ დროს. სიმღერასა და ცეკვა-თამაშები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ხოლო თანაურა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, უამბობდნენ თავგადასავალსა და შინაურ გარემოებებს, სადაურობას. ამრიგად ეცნობოდნენ ერთმანეთს, ბოლოს მჭრდროდაც შეკავშირდა ჟველა ჯგუფი: ეხლა ერთად ლხინობდნენ, თამაშობდნენ, და თუ ექნებოდა ვისმე რამე, უერთმანეთოდ არა სჭამდნენ და არა სვამდნენ. ამისთანა შეკავშირდაზე ცველაზე მეტად ლექსა გაისარჯა და იმეცადინა. იგივე გახდა ლხინისა და თამაშობის მოთავედ. ლხინი და თამაშობა, მისივე მეცალინეობით, სრულიადაც არ უშლიდათ მათ სამხედრო სწავლა-ვარჯიშში, პირიქით ახალგაზრდანი ძლიერ დაინტერესსა და გიორგა მოძრავ-მოუსვენარ ყოფა-ცხოვრებამ. როგორც სიმღერა და თამაში არ ეზარებოდათ, ისე სწავლა-ვარჯიშობაც და ქაც ალექსა მოექცა ჟველის თავში. იმან თითქოს დაივიწყა, დროებით, რასაკვირველია, სოფელიცა და

ყოველი სოფლერიც: დედაც, მამაც, სახლც, კარიც და თევზენ  
შეზრდილი საყვარელი ირმაც კი. თუ არა მხიარულობდა, საქმედ-  
რო სწავლა-ვარჯიშობაზე ფიქრობდა და ან საქმით ანთორცულობ-  
და და მოუთმენლად ელოდა — როდის გაპეზავნებული ციტატები  
ველზე

თავისი გამჭრიახობითა და მუყაითობით მალე დაიმსახურა ყუ-  
რადღება უფროსებისა, რაც ძლიერ აქეზებდა და ახალისებდა მეტი  
ცოდნის შეძენისათვის და ისიც კი მოახერხა, რომ სრულიად უცო-  
ლინარმა წერა-კითხვაც შეისწავლა მშობლობურ ენაზე. არც დანარ-  
ჩენი ქართველი ახალგაზრდა ჩიმორჩა ლექსს ძლიერ შორს. მხო-  
ლოდ მოცლისა და ხუმრობა-ოხუნჯობის დროს ხშირად ისმოდა  
მათ შორის ამგვარი საუბარი:

— ე რა გამოუჩირქნავი და გამოჩერჩეტებული ხალხი ყოფილა,  
თქვენი კირიშოთ!

— ჸაი გიდი!.. მაგათგან გაბრუნებულ მტერს კი რა ვუთხრა!

— შენ რა გვონია, ქიტე? ე მაგათთანა ხეპრე და გაუთლელი  
ხალხი უფრო სანდო და საიმედო უნდა იყოს საშიშ დროსა და  
იდგილას! მე შენ გითხრა, თავზედ მიმდგარ საფრთხის აცილებას  
მოიგონებენ რა! მოხერხებული კაცი მაგათ საფარად კარგა გამოი-  
ყენებს.

✓ — კაცო, ეგ სახლ-კარამოწყვეტილები მართლა და რატო ისე-  
თი ხალხია?! უფროსები უდიერად ულაწუნებენ ყბაში, ეგენი კი  
დგანან გაქვავებულები და ვერ მოუხერხებიათ ან ლოყა მოარი-  
დონ, ან თითონ მოერიდნენ.

— აბა, ლევან, შენა გეითხავ: მოდი და ნუ გაულაწუნებ სილა-  
შებს, როცა თავის გასაგებ ენაზე ელაპარაკებიან და ვერაფერი კი  
ვერ შეუსმენიათ, ასე რატო მე არ მიხსნიან ჩემ გასაგებ ენაზე  
ბავლავერს, რომ ერთ წესის არ დავაყოვნო დასწავლა.

— ეგ ყველა მართალია, ლექსო, მაგრამ მე სწორე გითხრა, არ  
მეჭაშნიერა ე ცემა-ტყება: ამობენ, ცემა-ტყება სასტრიად არის  
აყრიძალულიო, აქ კი, მე როგორცა ვხედავ, ისევ ყოფილა გაბატო-  
ნებული.

— ვიცი, შენ არ გეჭაშნიერა, ლევან, ე ცემა, მაგრამა, როცა  
ტაცი გაბრაზდება და მოთმინებიდან გამოვა, მეტი რა გზა დარჩე-  
ნია, რო ხელი არ გაიღოს? ვე თითონ მომივა ხოლმე გული, ჩემმა  
შეემ, ლევან, როცა ეჩიჩინებიან და ვერაფერი კი შეუსმენიათ! რა

ვენა, ძმავ! გამოტეხილს გეუპნები, მეც ვერ მოვითმენდი უფროზე  
ბის აღვილზე.

— გალახულების აღვილზე რო იყო, მოითმენდი?

— ვერც იმას მოვითმენდი და არც იქამდის მივიყვან საქვეს,  
რომ ჩემთვის ტალამაშები ეჭმევინათ. ხო გაგიგონიათ, უკრძალული და მარტივი სახრეს არ დაირტყას.

— ესლა კარგი ხარი რო არ ვიყო, იმისათვის უნდა მამდგე და  
მიზაპურო?

— მაშ, რა ვენა, თუ უამისოდ ფეხს ვერ გადაგადგმევინებ? შე  
კაი კაცო, რატო შენ არა გცემენ, ან მე, ან იმას უსაბუთოდ? განა  
რო ჩვენ არ ვიყისრებთ, საქმე იქამდი მივიყვანოთ; მაგათ კი ისე  
დაპერგვათ თავმოყვარეობა, რომ ერთი ჭოხი რო ქვეშ ეგოთ და  
მეორე ზედ ედოთ, აინუშიაც არ ჩაიგდებენ.

— არა, ლექსავ, შენ რაც გინდა თქვი და მე კი ვერ მომინელუ-  
ბია ეს. რატო ეგენი უნდა გვცემდნენ და ჩვენ არა? ამ ნეტავი  
ერთი ჩემი დღე გააქრო და რამდენიმე ხნით მაგათი უფროსი გამ-  
ხადა და მე ვაჩვენებდი მაგათ, თუ ცემა როგორი უნდა.

— მეც ვეთანხმები, ლექსავ, ნეტა რით არიან მაგათზე კარგე-  
ბი ი უფროსები?

— ჰოდე და რა იცი შენა, რო ის ხეპრე და გაუთლელი იმათ  
არა ჭობია?

— ეი!.. შენ კი შეპტოპე, ძამიავ, მორევში! თავად აპალატებსაც  
ჩამოართმევ და შენ დაიკრავ. თორე სხვას ხო წინ არაფერი დაუდ-  
გება.

— კაცებო, მე კიდევნა ის მაკვირვებს ძალზედა, რო თავის გახა-  
გებ ენაზე ელაპარაკებიან და კიდევ ვერაფერი გაუგიათ, ჩემნისავით  
უცხო ენაზე რო ელაპარაკებულნენ, ნეტა მაშინ რაღას იზამდნენ?

— აბა, შენ ეგა თქვი მაშინ გენახათ კიდეც მაგათი ჭაპანწყვე-  
ტა, უბედურება.

— ჭაპანი, მე ვიცი, „ბორჩის“ ველარ შეექცეოდნენ!..

— აი, მართლა და „ბორჩის“ ჭამიში კი ყოჩალები არიან!.. კა-  
ცო, ეგ ოჯახდაქცეულები რამოდენა წვენსა ყლუბავენ — გაძლომა  
აღარ იციან, კაცო! რა ვიცი მაგ თხერსა მე კი აქამდის ვერ შევჩე-  
ულვარ, ეგენი კი ასე მუსას ავლებენ. სამი-ოთხი კოში რო შევ-  
ვხრიპო, მუცელი ღაცალა გოჭივით გამებერება ხოლმე. ღმერის

დაულოცია ისევ ჩვენი ლობით, მს დალოცვილი, კარგადაც აუ-  
ლობს, არც მუცელს გბერავს და ყუათსაც გაძლევს.

— სწორედ შენი გულისათვის აკეთებენ, გო, ლობიოს, რო  
ემანგრე გყვარებია! მე კი შენს აქაურ ლობიოს ტყვე რაჭიულოვან  
დეკადლის სუკებს ვარჩივდი.

— ဒေဝါ တွေ မြို့ပြ ကို မြောက်လဲစာ၊ လျေား၊ ရှေ့နှင့် တော်စံဖြောလဲ  
နာဂာရ်လော်၊ လာ မဖြောရ်စာနိုင် ဖြောလော် လာ မြောက်နိုင် ပျော်မာ! မာဂျာမီ  
လာမလော် ပြောခိုက် လာ မူးကော် ဘာလော်ဖြစ်နိုင် မြို့ပြ သာနွာလဲစာ လာ မာတော် အာရှ-  
လော်မော် မြို့ပြ ပြောမလော်မာ!

— მე ისევ გარბოლას ბიჭი ვარ. თუ გამაჭავრებენ, იქნება მო-  
ვესვა ფეხი და ამოცსებდე ჩემსავე აღგილას და დავაშიშხინო ჩე-  
მებურად მწვადები. შენ კი, გიო, გირჩევ სადმე ერთი ბადე იშოვო,  
რომ როცა ლობიოს შევამანდს გაგიკეთებენ, ესროლო, ეგებ ლო-  
ბიოს ერთი მარცვალი მაინც დაიჭირო!

— არა, შე დასაქცევო ლევან, არ შეგეცოდებოდა ხოლმე ი  
უშობელა დეკულებსა და გამოსაქნელ მოზერებს ყელს რო  
სირითი?

— მეცოდებოდა რასა ჰქონიან, კაცო, როცა გინდა შენი ქეიფი  
და სურვილი შეისრულო! უშობელა დეკეულს კი არა, თუ მომექე-  
იფიანება, კაცასკ აჩ დავინდობ.

— კაცი შემოგევლომია ჯერა?

— გერ არა, აზც მქონია შემთხვევა ისეთი, რომ საჭირო ყოფილობა, თორემ უკან არ დაგდგიბოლო.

— მაში, ერთი  
ვლანი გაივლე!

— მაგ პირობებს კი ვერ მოგცემ. მე თითონაც კარგა ვიცი, სად უნდა გავუსვა ქელი და საღ შევაყუნო.

— მართლა კი ას დაცუხრილო, კაცო, ქედანა! პატა მასვენე  
ი ხალხი და ცოტა მაინც შაუშჩე თვალზე ცრუმლია.

— ဒေဝါန အရှင်တ စာလုပ် — ဝိဘဝိဘဝိဘဝိဘဝိဘ

— ჩას ამობ, კაცო, ზოგს ერთი ტანა ძლივს გაუზრდია, ა5  
ვაი-ვაგლახით ქოსმენი გაუჩენია, მათ ნააშავარს კი შენ შეექცია,  
მაშ, რა ქნან, რო ცრემლი არ დაოვარონ!

— ୩୦, ଲୋକିଶ୍ଵର, ଶେନ୍ଦ୍ର ପରମାଣୁ ଓ ଜୟନ୍ତିରନ୍ତିର ପାଦପାଦିକା

— კიტრის ქურდი იანვარში იყვენისო, არა? შე ოფაჩქორთ. განა იმის ყელის გამოსაჭრელად მარჯვენა უნდა ავემართნა? ღა-

ვიჭერო, არ იგიყანებოდა მარჯვენა და მაგ ხელიდან ხანგამე  
არ გაგივარდებოდა?

— ხელი ამიკანებლდებოდა რა, ხამი ვიყავი თუ? პირიქით, უფრო  
რო გაბედულად გამოვუსვამდი ხანჯალს ცელში, რადგან სუსტების ე  
გულისთვინ კი არ მინდოდა მისი დაკვლა, მინდოდა საჭირო უწოდეს  
ჩამედინა. მთელი სოფლის აგანგაშება მინდოდა. ხო მთელი სოფ-  
ლის საქები და სალაპარაკო იყო ი შენი ირმა და აი სწორედ ამით  
მინდოდა გამომეცადა მთელი სოფელი, თუ რას იტყოდა და რას  
იქმნდა.

— მაშინ კი უთუოდ ხელსა გრაცებდნენ.

— როგორ არა!.. ყურში უჩიურჩულე გარბოდას ბიჭს! ბევრჯერ კ  
მოინდომეს ჩემი ხელის ტაცება, მაგრამ ვერაფერს განდნენ და  
ვერც მაშინ გახდებოდნენ და ვერც როდისმე განდებიან.

— აბა, აგე საკარგიშოთ გვეძახიან, ლევან.

— მე მუცელი მტკიცა, ვერ წამოვალ.

და ყველანი, გარდა ლევანისა, გაეშურნენ ვარჯიშობაზე.

## V

— ვინ იცის, კაცებო, ეხლა ი ჩვენი ნაამხანავრები სად არიან?..  
ან ცოცხლები თულა არიან ისევ! რა კაი ბიჭები იყვნენ სოსა, მიხა,  
ტიმოთე, ბასილა, გეგინა. ჩვენ კი ღვთის მაღლით ჯერჯერობით  
ყველანი გადავურჩით სიკედილსა.

— ამ სახლ-კარამოწყვეტილებმა რაზე დაგვაშორეს ერთმა-  
ნეთსა და დაგვსაქსეს აქეთ-იქითა? ერთად გვამზადებდნენ საბრ-  
ძოლველად, ერთად ვლხინობდით, შავეჩივეთ ერთმანეთს. ბარემ  
გაჭირვებასა და ბრძოლაშიაც ერთად ვყოფილიყავით, უფრო არ  
გავიტანდით ერთმანეთს საფრთხეში?

— ოჯახი რომ მოუწყდეთ!

— ჰაი დედასა, ბიჭებო. ნეტაი იმ დღესა! შარშან ამ დროს  
გულგალელილი მესვეურად ვუდექი მომკელ ბიჭებსა და გამქონდა /  
სვე სვეზე!.. ეხ, რა კარგია, ე ოხერი!.. მთელი დღე სულის მხუთავ  
სიცხე-პაპანაქებაში ოფლად რო გამოიწურები და საღამოს ხანს  
რო დაუბერავს სასიამოვნო ვრილი ნიავი და შენც შეუდგები ში-  
ნათკენ გზასა, „მუმლი და მუხასაოს“ შემოძახილითა... განა შაედ-  
რებალა კიდევ რამე ამას ქვეყნიერობაში?!

— ეგ ხომ კარგია, ლექსავ, მაგრამ შენ ეს მითხარ — ის კი არ

ვარგა დღე ლამეს რო გაეყრება, ვალენტინა-ვანიავებაში დაწყობი-  
დაქანცული წამომწვები ცოტა ხანს თვალის მოსატყუებლად. ამინ-  
ე ყოფს ყურს დაგახმებული ბადრი მთვარე და თან ამოკოლილ  
ნიავი ჩაგსისინებს ყურში — გეყოფა ძილიო. შემცირებულებულ  
მთელი დღის ნალეშ დაგროვილ ხორბალს და დაუძუნებულების ქამქენ  
და თანაც შენ სმენას ატებობს, ახარებს ნიჩბის მაღლა შესროლილი  
და ძირს ბარაქიან შხვილით ჩამონადენი მარგალიტივით ხორბა-  
ლი.. ეპე! მორჩი საქმესა, წამოუშექი ხვავს იქვე დაგვილ კალოზე,  
მკერდი ნიავს მიგიშვერია, თვალები — ბადრ მთვარესა. ნიავი რო  
მკერდს გიგრილებს გარედამა, მთვარე რაღაც ჯადოსნურად თით-  
ქო გულში გიძვრება, გითბობს გულსა და გივსებს კეთილი იმედი-  
თა და შენც ეძლევი ტებილ ძილსა.

— ოჲ, მთვარის ამბავს ნულა იტყვი, ძილი რას მიქვია, როცა  
ბადრი მთვარე დაგყურებს! ეგ დალოცვილი რა დიდი მანუგე შებე-  
ლია და გულის მოპასუხე ჩვენი გლეხეაცობისა. დღის მუშაობი-  
საგან დალლილ-დაქანცული ღამე რო მიაჭრიალებ ურემსა, განა  
შენ თვალს ძილილა მიეკარება, თუ ამ დროს მაღლიდამ მთვარე  
დაგვყურებს და ურმულს დასძახი! განა მარტო დაგყურებს რა?..  
ის დალოცვილი თავისი მომხიბლავი სინათლით თითქო, კაცო,  
უურში ჩაგჩურჩულებდეს: ამოთქვი, ამოთქვი შენი ბოლმა და  
ვარამი გულის სილრმიდანო და მეც გამიზიარე, რო მიეცეს შვება  
გულსა და იგემოს ლხენა-სიამოვნებაო... შენც თავბრუ გესხმის  
სიამოვნებისაგან და ყოყმაში ხარ: მართლა მთვარე გიყურებს  
მარტო და ჩამოგძახის ამას, თუ ივანეს გოგო თავისი თურაშაული  
ლოყებითა, მაყვალა თვალებითა და ტებილი ტუჩებით? ვენაცვალე  
მე იმას!.. შენ ლილინებ და შენი ირმა გისმენს ამ ლილინს მწუბარე  
ხმაზედ, ნალვლინ ხმაზედ. იმასაც ვენაცვალე — ჩემ ირმას ქედში,  
მოაგორებს დინჯად სავსე ურემსა, — აქ ლექსამ მოიწმინდა უხვად  
ჩამონადენი ცრემლი.

— მართლა, კაცო, და რათ არის ისე, რო, როცა მთვარეს უყუ-  
რებ, უთუოდ საყვარელი გოგოც უნდა მოგაგონდეს და წამოვიდ-  
გეს თვალწინა?

— ბიქოს, გიო, განა შენც გიყვარს ვინმე? მე ასე მეგონა, მარ-  
ტო ძილი და ლობიოს შეკამანდი გიყვარსო.

— მა რა, ყველა შენსავით გულცივი გვონია? მარტო სუკების  
მეტზე აღარაფერზე რო არ ფიქრობ.

— აბა, მოდი და ამის შემდეგ დაანებე თავი სოფელზე და  
ლაქში ჩადი და ამოირჩიე ი შენი ბიძაშვილი რო გვირჩევს ყველა  
რამე ხელსაქმობა.

— აյი ამიტომ არ ვუჭერებ და არ მივიმტვრევ ფეხის წერტილები ი  
საკენ! სიტყვით რომ ვერ მომხიბლა და ვერ დამიტოტო, მესტუ ეპ  
დაცინვითა და გამოჯავრებით უნდა შემაცდინოს: ხან მეუბნება  
ბურქუა ხარო და იმისათვის შენ ყურში არ შეღის ჩემი ნალაპარა-  
ქვით, ხან — ტეტია ხარო და როგო მისწვდება შენი ჰერა და  
გონება იმ ჰეშმარიტებას, რომელსაც მე შენ აშკარად გიყენებ  
თვალწინაო. მაგრამ ვერ მივართვი, მე იმან ვერ დამტაღა და პო-  
ბა ვერ მათქმევინა, თუმცა დამექაღდა, რო იმედს არ ვიტეხავ, ჩემ-  
სას უთუოდ გავიტანო. მართალია, ბიჭებო, გაიგეთ იმ დღეს რა  
ილაპარაქა? იობავ, შენ უფრო კარგა აქტრეფავ ხოლმე სხვისა ნა-  
ლაპარაქებს, გაიგე რამე?

— ვერაფერიც ვერა გავიგე რა. ან როგო გაიგებს ყე ჩემი  
სოფლის კაცი იმას, რაც იმან ილაპარაქა, თუ ქალაქში გაეშმაქებუ-  
ლი კაცი ორა. წინათ უფრო გასაგებად ლაპარაქობდა, მაგრამ  
ძლიერ კარგი კი ილაპარაქა იმ დღეს.

— ეგ არის, ქვეყნიერებისა მაგათ უფრო უველაუერი კარგა  
ესმით. ჩენ სოფლელ ქართველს არაფერი გაგვეგება ქვეყნიერო-  
ბის საქმისა, თუმცა აქ ეხლა მაგათ ბევრ ჩემებს გამოუფხიტეს უ-  
ყურები და ვინც კი შინ მშეიღობით დაბრუნდება, სულ სხვა იქ-  
ნება — გამოფხიზლებული მივა შინ. ტყუილა კი არ არის ნათქვა-  
ში — ზოგი ჭირი მარებელიაო.

— ის მეორეც კარგა ლაპარაქობს აი, მაგრამ შენი ბიძაშვილი  
კი ბევრად დაპერავს იმასა.

— რა თქმა უნდა. რომ კარგა ლაპარაქობენ ორნივე, მაგრამ  
ოჯახები მეტისმეტად ჩასტირიან ამ კუჭას. აბა, მე კი რას გავხ-  
დები მაგათთან, მაგრამ ერთი გული მეუბნება — გამოეპასუხეო.

— ე დასაქცევი ლევანს კი ძალიან მოსწონს მაგათი ლაპარაქი  
და სულითა და გულით ემხრობა მათ.

— რატომაც არ მივემხრობი რო მართალსა და ხალხისათვის  
სასარგებლოს ლაპარაქობენ.

— შენა, ჩემ ძმაო, ემხრობი მაგათ იმისათვის, რო სწორედ  
შენსა და შენისთანა ხალხის სასარგებლოს ლაპარაქობენ. შენ შინ  
კატა არაფერს შეგიჭამს და გარეთ ძაღლი; სეტყვა მოვა — არაფე-

რო დაგესეტყვება და საქონლის ჭირი გაჩნდება — ერთი ბლგვანაც  
არ მოვიკვდება და აბა რას წაგართმევენ შენ, ქვეყნის სარჩევა-  
დებლის გაყოფ-განაწილებაზე რო მიღებს საქმე? შენ ჰითვით,  
გარგუნებენ და არაფერს არ წაგართმევენ კი და რასაკონკრეტოდ,  
მხარს დაუჭერ და მიემხრობ მაგათა. მაგრამ შენ ქართველი მისი  
რი, რასაც გარგუნებენ, დიდხანს გაგუვება ყე იქმი ჭრის მის შემდეგ  
შერომით არ მოუპოვებია, ძმაო, და არ დაუზოვნია სარჩო, იმას  
ქვეყნის დოკუმენტიც რო მიაყარო, მანც, მე ვფიქრობ, უყამურად  
მოეპყრობა ამ სარჩოს, საჩქაროდ გააქრობს და ისევ უქონელი  
დარჩება და სხვას დაუწყებს ხელში შეყურებასა ან წართმევასა —  
ავერ აზნაურებს — მუქთახორებს ვერ ხელავ?

— ეჭ, რაც შევქამე, ის შემჩირო, რაც არა, ოხრად დამჩჩაო.  
მე იმაზე ვდგვიან და ვიღგები კიდევაცა მანამ ცოცხალი ვარ.

— ეჭ, ჩემო ლევან, ეგ რო გავიგონია, განა სხვისა ნაშრომი  
უნდა ჭამო რა — შენი მონაგარი.

— მე, ლექსავ, მეტისმეტად მეუპირულება და არ მომწონს  
მაგათი ერთი რამ: მამულები ყველას უნდა ჩამოერთვასო და საყო-  
ველთაო, საზოგადო უნდა გახდესო. ბატონიანთ ლელოს რო ჩამო-  
ართვან მთლად მამული და იმისი ჯავრი ამამყარონ, გავისარიან,  
რო მე სულ ცალ ფეხზე ვიხტუნ მეტისმეტი სიამოვნებისაგან,  
მაგრამ მეც რო ჩამამართვან, კაცო, ი ჩემი მაჩვის მიწა ან ვენახი  
და ვისაც არა მგონია, იმას გაუბოძონ, ხო ჯავრით მოვკვდი, კაცო.  
რაცა მაქვ, იმას მართმევ და რაც არა მაქვ იმაის მამუემ? თუ ჩემი  
საჩვალო და სარგებლობა უნდა ვისმე, რაცა მაქვ, იმას თავი დაანებონ.  
ის მევე დამიტოვონ, ოლონდ თუ რამ სხვა ემეტებათ ჩემთვინა,  
ის მამუენ იმდენი, რამდენიც საჭიროა ჩემთვინა, იმ პირობით კი,  
რო მოცემული საჩუქრად იქნება მოცემული თუ საფასურითა,  
სამუდამოდ ჩემი იყოს, საკუთრებად დამრჩეს და არავინ მყავდეს  
სხვა მოცილე და მოდავე, თორემა ჩემ აშენებულს და ნაამაგარს,  
ვენახსა ან ნაფუძარს სხვა დაეპატრონოს? ან მამიჩინონ საღმე  
ცარიელი ადგილი, ყამირი, ვეაშენო ვენახი ან ხეხილი გვაშენო და  
სურდენი კი სხვამ მოიჩოველოს და ხილიც სხვამ დაკრიფოს —  
საღაური რა იქნება? მე ეს ვერ გამიგია. ან, ერთიცა ვოქვაოთ,  
ოფახში — ჩემი იქნება თუ სხვისა — მთელი საყაცელი, მუშახელი,  
რაიმე ჭირმა გაწყვიტა და დარჩენ მარტოდ ყელგამოყრილი  
ქვრივ-ოხრობა და ობლობა, რამ უნდა აცხოვეროთ ისინი, თუკი

ჩემგნით არაფერი დარჩებათ საკუთრებად? თუ დროებიდ შეცვლი-  
ბა მამული, სანამ ცოცხალი ვარ და ვმუშაობ, როცა მოუკედების /  
აღარ ვიქნები, ხო სვავებიყით მიესვეიან აქეთ-იქიდან და მოსწო-  
ბაზე მიდგება საქმე. რა უნდა ქნან ჩემმა ცოლ-შეილმტექტრეტეტეტე-  
ძმავ, გამოტეხილს ვამბობ: ი თანხებს რო იძლევიან, ზურტშეცხადების ერთობა  
დამყარდებათ, როდისლა, მე ევ არა მჯერა.

— არა მოონია, იობი, რომ ვენახებსა და ბალებს შეეხონ, თო-  
რემ ამას დიდი უსამართლობა და არევ-დარევა მოჰყვება და არ  
ჩაიდენენ ამას.

— მე იქა ვარ, ლექსავ, თუ მართლა ისეთი ძმობა და ერთობა  
დამყარდება, რო ყველა ერთნაირად მაძლარი, ჩატმული, დახურუ-  
ლი, ყველაფრით დაქმაყოფილებული იქნება და გაჭირვებაში არც  
ქვრივ-ოხერი და უპატრონოდ დარჩენილი ობოლი წვრილფეხობა  
ჩაცივა, როგორც ისინი გვპირდებიან, ამისი ცოტაოდენი რამ  
ჩანსახი ხო ეხლაც უნდა მოჩანდეს სადმე. მაგრამა, ისემც გაუ-  
წყრება ღმერთი დუშმანსა! თქვენ ხო გავეგონებათ, ბიჭებო, ჩვენი  
მოყვარე აბრიას ამბავი: სულს აქეთ რაც ებალებოდა, სუ ი ერთ  
ბიგზე გადააგო, ვინ იფიქრებდა, რო იმის ცხვრის ფარა როდისმე  
დაილეოდა, მაგრამა ი ბიქმა კი ისეთი საქმე გაუხადა, რო დღეს  
ერთი თოხლიც კი აღარ ბლავის მის ბედობაზედა. მთელი რუსეთი  
და ეკრობია მოიარათ და ისეთი ნაწიალი გამოსულა, რო იმას  
ეხლა ბალალი არავინა ჰყავ თურმე... ი საწყალი აბრიაცა სიხარუ-  
ლით ცათა ფრენას ეკიდებოდა და შეილისათვის არაფერსა ზოგავ-  
და, მაგრამა, როგო გადაუხადა ი სწავლულა შვილმა მოამაგე მამა-  
სა?! ცოლი რო შაირთო და ჯვარს იწერდა — დიღმა კაცმა მია-  
თხუა თურმე ქალი — მამამ საქორწინოდ წავგვარა ძროხა, ცხვრე-  
ბი, წაულო ყველი, ერბო და რაც სხვა თავისი სისაწყლით თუ გუ-  
ლუხობით ებადა. ყველა მოტანილი მამისაგან დიალ სიამოვნებით  
მიიღო შვილმა. მამს კი უთხრა თურმე, ქორწილში სუ ლიდეაცო-  
ბა მეყოლება და შენი ტყაპუჭა ტყავის გამოჩენა იმათში არ მო-  
ხერხდება, ჩემთვის დიდი სირცევილი იქნება და შინ წადიო. აბა,  
ეს საქმეა?.. თოფი ეკრა ამ სიტყვების მაგიერ, ის არ ერჩივნა ი  
საწყალ კაცსა? ეს იყო და ესა ამის შემდეგ არც მამასა და არც  
დედასა შვილთან ფეხი აღარ დაუდგამთ, თურმა. იმ დოკლათის  
პატრონები ეხლა დიდ გასაჭირში არიან, ი შეილმაც სულ ერთია-  
ნად დაივიწყა მშობლები. აბა ეხლა თქვენ მითხარით: რაც ლვიძლი

შვილი, ისიც ნასწარები — და, ლაპარაკობენ, თურმე ყველაზე / მარგა  
გა ის ქადაგობსო ძმობა-ერთობაზე და გაქირვებულების გამო ის-  
ნილებაზეო — თავის ღვიძლ მშობლებს ივიწყებს და არა პშვილის  
და სხვას მიპჩედავს და დაეხმარებაზე! რა ვიცი, ძმაზე ჭირა ჯვრის  
ხალხი თუ ჩამოყალიბდება ეხლანდელი ხალხისაგან, უკანონო მეტებ  
ჩვენებური შენ-ჩემბა, შურიანობა, მტრობა, არა შე ვიყო და შეძ  
კი ნუო — თუ ყველა ესენი ისევ იქნება ცხოვრების საწყავ-საზო-  
მადა იმ მომავალი ხალხისა და იმით ცხოვრებაში, რომელსაც გვპირ-  
დებიან, თქვენც არ მომიკვდეთ, რო ქვრივ-ობლობასა და უპატრი-  
ნოებს ცრემლს ვერავინ შეუშრობს...

- ✓ — იობავ, ღლეგრძელი ხარ, სატყვა შაინაზე... მეც ეგა მაქვს  
თავის სატეხათა... იმისთანა ბედნიერ ცხოვრებასა და ფუფუნებას  
რო გვპირდებიან და თანაც ამობენ, რო სამუშაო დღეც უნდა შე-  
ცოტავდესო, მუშაობა უნდა შემცირდესო, საიდამლა უნდა გაჩნდეს  
ი სარჩო-საბადებელი, რაც ხალხს მოუნდება კეთილი ცხოვრები-  
სათვის — ვერ გამიგია ესა... კაცო, თქვენმა გამარჯვებამ, დილით  
სალაშომდე თავები ვკიდივართ, მალლა ვერ აგვიხედია და კიდევ  
შიმშილით და სიცივით ამოვვდის სული, ვიხოცებით და ცოტა რო  
ვიმუშაოთ ყველამა ან არ ვიმუშაოთ, რადგან თავისუფლება იქნება  
ყველაფერში, ზოგი ყალაღანა ხო არც იმუშავებს, საიდამლა რა  
უნდა მოვიდეს, რო ყველას გასწვდეს? აი, ესეც არ მესმის, ვერ  
გამიგია და რა ვქნა!

ეტყობოდა ქიტას უნდოდა გაეგრძელებინა სიტყვა, მაგრამ  
უფროსმა უბრძანათ სროლისათვის მომზადებულიყვნენ.

— რას ამობ, კაცო, ეგენი თავისებურადა ჰერიან და ჰერა-  
ვენ.

— ძალიან არ ააშენებს კაცი ოჯახს, თუ მაგათებურად რვა-რვა  
საათს იმუშავებს დღეში, როცა პხედავს, რო ყანა შიგ იშვის.

— ცის ქვეშ მყოფ კაცის ჭირნახულს ბევრი საფრთხე სდევს  
ციდანვე და იქ მუშაობაც ვერ დაემორჩილება მაგათ კანონსა.

— ეგ მოკლე დრო მუშაობისა თავის ქარხნებისათვის დაი-  
ნარჩუნონ, ჩვენ ეგ არ გამოგვადგება, ძმავ!

მილაპარაკობენ თოფებისაკენ ზანტად მიმავალი სალღათები.

## VI

იმ რაზმში, სადაც უკვე ბრძოლის ველზე მოკყვა ლექსა, მსახუ-

რომელსაც თავი მიენებებინა სოფლისათვის და ქალეჭში დაბაზულიყო, ლექსას მამას ბიძაშვილად მოხედებოდა.

აი, ეს ორი მოგვარე შეპხვდნენ ერთხელ ერთმანეთში! უკრძალული კითხვით გამოიჩინების და აღმოაჩინეს ერთმანეთიში! სტუმარები

ნათესავურმა წრფელმა გრძნობამ ერთის მხრივ, ხოლო თანამოაზრეთა მოპოვების სურვილმა მეორეს მხრივ, ეს ორი მოგვარე და შორეული ნათესავი ძლიერ დაუახლოვა და დაუკავშირა ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად პხედებოდნენ ერთმანეთს. ლექსას სამყოფელო ადგილი რაზმში მოწინავე სანგრები იყო, მისი ნათესავი კი ხელობის წყალობით რაზმის ზურგში იყო მოქცეული. ხოლო როცა კი მიეცემოდა ხოლმე ლექსას შემთხვევა ნათესავის ნახვისა, თავისი მთავარი მცნებით სამშობლო სოფელში გადაფრინდებოდა და იმისთანა სიტყბოებასა გრძნობდა იმეამად, როგორსაც მშობლებ-ნათესავებით გარშემოხვეული. ამ სიტყბოებს მას უორკეცებდა ნათესავის საუბარი ისეთ საგნებზე, რის მაგვარიც ჯერ არაფერი სმენოდა.

როგორც თვით ლექსა, ისე ყველა მისი სანგრების განუყრელი ამხანაგები აღტაცებაში მოღიოდნენ ლექსას ნათესავისა და მისი ამხანაგის — ხანდახან ამხანაგიც მოჰყავდა სანგრებში — ნალაპარაკევიდან და პირველად სიტყვაშეუბრუნებლად უსმენდნენ მათ საუბარს, მხოლოდ ერთხელ გადავიდა ლექსა თავის წრესა და შეეკამათა ნათესავს.

— ლექსავ, ცოცხალი თავით არ მოგეშვები და უთუოდ კვერს აგალებინებ ხელში, — უთხრა ნათესავმა.

— შენ არ მომიკვდე, ლექსამ ეგ სისულელე არ ჩაიღინოს.

— როგორ? მე სულელი ვარ განა, რო კვერი მიჭირავს ხელში? — ჰეითხა ნათესავმა წყენით და დაცინვის კილოთი დაუმატა: — იქნება გეშირიან ხელები გამიკუჭყანდებაო?

— ვინ ამობს სულელი ხარო?! ან ხელების გაქუჭყიანება რა შუაშია აქ? კაცია და გუნება. არ მამწონს ეგ ხელობა და რაც ჩემ გულს არ ეცხობა, იმას როგო მოვკიდო ხელი? განა ჩემი ნამგალი არ ნაკლებია შენ კვერზე?

— რას ამობ! ნამგალი რა მოსატანია ურნოსთან? სად ურო და მისი ბარაქი და სად ნამგალი თავისი ბარაქით! ნამგალმა, ასე ვთქვათ, სულ ბევრი-ბევრი ერთი თვე იმუშავა და ამა რა უნდა

იყოს ერთი თვის მუშაობა და ნამუშევარი? ურო-კეირო წელი წელიწადი განუწყვეტლივ მუშაობს და აკურკავებს ფრელებს.

— კაცო, და მარტო ნამგალზე ხო არ ჰყიდია ჩვეულების მიზანი ნამგალის გარსა რამდენი სხვადასხვანაირი საქმეს დაუჭირა მარტის იყოს, განა მარტო ფულების შოვნა უნდა ახალისებდეს მუშაობაში კაცსა? ჩემმა მზემ, მე ვერც კი წარმომიდგენა მთელი წელიწადი დილიდამ სალამომდე როვო უნდა უკავუნოს კაცმა გრძელსა, რომ არ მოჰსეუნდეს! ნამგალი კი, სავსე ყანაში რო დავვინოლავ, მე მაშინ არც ფულები მაგონდება, არც იმაზე ვფიქრობ, რომ ზამთრის საჩინს ვაგროვებ. მარტო ჩემ გულს ვალალებ, ვასიმოვნებ მაშინ — იმიტომ რო თითონ გული მოხოვს ამას.

— მარტო გულის აყოლა კაცს ვერ აშენებს, ჩემო ლექსავ.

— ეე! აშენებულიც ბევრი გამიგონია, რო ოხრად დაპრიონია ქონება.

— არა, მე სიმღიდრეზე როდი გელაპარაკები, პირიქით, მე სიმღიდრეცა და მდიდრებიც მტკლან და კიდევაც ვებრძვი მათ. მე იმას ვამობ, რო კაცს უზრუნველი ლუქმა პერნდეს — აი ეს არის მისი აშენება. იმისათვის კაცს მარჯვენა აქვს მინიჭებული და ეს მარჯვენა ისე უნდა მოიხმარო, რო ცოტა ძალა და ღონე დახარჯო და ნაყოფი კი ბლომა ვამოაღებინო ამ ცოტა ძალ-ღონეს. ამისათვის კი საჭიროა ხელობის შესწავლა და ჯან-ღონის დაზოგვით მოხმა-რება, რომ საბოლოოდ შეჰყვეს და მალე არ გაღატავდეს კაცი ჯან-ღონისაგან. სოფელში კი ამას არ დაგიდევენ და ჯანის დაუზოგველად მუშაობენ, მალე სტყდებიან ჯანზე და არც იმ ნაყოფს იღებდნ მუშაობისას, რასაც ქალაქის მუშა იღებს.

— რათ მინდა ისეთი ლუქმა, ან ჯანის დაზოგვა, თუკი სიამოვნებას მოვაკლდები და ჩემ ჭიას ვერ გავახარებ! სოფელშიაც, შე კაი კაცო, ჰამ ლუქმაც რო მაქვს ცოტა თუ ბევრი, ჰამ საკუთარი ცერაც და ჩემ ჭიასაც ვახარებ. ამას რა სჯობია! ქალაქს რას დავეძებ?

— რაო, მე რო ჩემი საკუთარი კერა არა მაქვს და არც მინდა რო მქონდეს, იმისათვის შენზე ცუდ სახლში ვცხოვრობ? საცა ფულია, სახლიც იქ არის და, თუ ვინდა, სიამოვნების ნახვა და ჭიის ვახარება, სწორედ სოფელს უნდა დაანებო თავი და ქალაქს მიაშურო. იქ ნახავ ნამდვილ სიამოვნებას.

— აი, ისემც გაატიალებს ღმერთი, რაც იქ სიამოვნება ვთქა  
ვნახე და ნურც მაჩვენოს კიდე ღმერთმა!

— ეგ იმისითვის მოგჩენებია მაგრე, რო ყაზარმაში წერილი და  
წევდეული და არსად გიშვებდნენ. როცა შენ შენ ნებისმიერშე ვე  
აი, მაშინ უველაფერსა ვნახავ და კიდეც იგემებ სიტებოებს:

— თავისი უფლადაც ვიარე, მაგრამ მაინც მე იქ ვერაფერი ვნა-  
ხე სახარბიელო.

— ნეტავი სოფელში რაღას პხედავ ისეთს, რომ ქალაქში არ  
იშოვებოდეს და არ იპოვებოდეს?

— რას ამობ, კაცო, სოფელს რა შეედრება? ჯერ ერთი ის  
რათა ღირს, მე რომ იქ ჩემი კერა მაქეს! ეხლა ი შემოდგომაშე  
მსხმოიარე ვენახის საყარაულოდ რო პზიხარ ქობში ცეცხლა პირას /  
და ამ ღროს წყნარი წვიმა უშლაპუნებს ვაზის ფოთოლსა და აუე-  
ნებს რაღაც ტკბილსა და სასიამოვნო შრიალსა და საიდუმლო ხმა-  
ურობასა, იცი, რა ძვირფასია ესა? განა შენი კვერის კაკუნი შაედ-  
რება იმას?

— რა გამოვიდა ახლა ფოთლების ცარიელი შრიალითა და  
უნი ბუნების ხმაურითა? ჩემი კვერის კაკუნი კი ფულებსა პკვე-  
რავს.

— როგორ თუ უენოო?! შენ ის შრიალი ვაზის ფოთლებისა  
ლაპარაკი არა გონია? ოჰ, რა ბევრ რამეს ჩაგელაპარაკება აღამიანს,  
თუ მისი ენა იცი და დილბანდი! თუ არაფერს ჩამელაპარაკებოდა /  
ის შრიალი ვაზის ფოთლებისა, მაშ, რად მიცემდა სიამოვნებით  
გული? ან მაშინ, ან ეხლა რათა მაქეს გამჭდარი სიყვარული ჩემი  
ვაზისა და ვენახისა? ალბათ ბევრი რამე ჩაულაპარაკებია ჩემთვის  
მაშინ იმ ვაზის ფოთლებს, რო ეხლაც ყურებში მიღვა მათი შრია-  
ლი და თვალწინ მეხატება, როგორ ლვიოლნენ მეორე დღეს მზის  
ამოსვლისას დამკვრახული მტევნები.

— არა მგონია და ვერც წარმომიღენია, რომ ვაზის ფოთლე-  
ბის შრიალშა კაცი გადარიოს.

— გადარევა რასა პქვია, კაცო! არ გადამრიცს კია, პირიქით  
გამომაფხაზლეს. სწორედ იმ ფოთლების შრიალის მაღლიერი უნდა  
ვიყო, რო ახლა შევიგენი, რა უსამართლოდ დაცინოდი მამაჩემს,  
როცა ის გასხვლა-შეკელვაში ეკურეულებოდა და ესაყვარლე-  
ბოდა ვაზებს, თითქო დედისერთა შეილიაო. მე კი გულში მელიმე-  
ბოდა და დაცინოდი კიდევაცა... ეხლა მე თითონა ვგრძნობ, რომ

ქემი ძარღვები და ნაწლავებიც იმ ჩემ ვაზებზე და არა მისი ვაზებზე, ი დიდი თელა, რო დგა ჩეენ სოფელში, იმაზედაც, უები საგან ტოტჩამოხლეჩილ კაյალზედაც და წვრილ ჭყაფულუფას დაბმელია და რაც უფრო წინ მივდივარ უცხოეთშე წიგნირუსუერა ქ ჩემ სოფელს, იმდენად უფრო იჭიმება და იძაგრება ძარღვებიცა და ნაწლავებიც და უკანვე მეწევიან.

— შენ, ჩემო ბიძაშვილო, ნუკი გამიშურები და სიმართლე უნდა გითხრა, რო შოვინისტური სული გდგომია და იმისათვის ეკო-წიწები სამშობლოს. ვისაც ცხოვრება უნდა, ის სამშობლოს არ დაგიდეს. რას გარგებს შენ შენი სამშობლო სოფელი, გინდა ქვეყანა, თუკი შიმშილით კუპი გამოვიცხვება?

— როგო, კაცო? მაში, აქედამა და კუპს ვერ მიძლებს სამშობლო, იმისათვის წიხლი უნდა ვერა და გადავზვავდე სხვაგანა.

— აკი გეუბნები, შენ შოვინისტური სული გდგომია-მეთქი... ვინც თავის მკლავზე არის დაყარებული და სარჩოს შოვნა უნდა, ის იქით უნდა გაეშუროს და გადაზღვავდეს კიდეცა, საცა უჯობს. მუშას სამშობლო არა აქეს. სამშობლო მუშას ფეხებზე არა ჰყიდია, ჯიბეში უდევს და ის ამოილებს ჯიბიდამ, თუ მოისურვა და გადაშლის სადაც თავის სარფას და სარგებლობას ნახავს. სომხებს ერთი კარგი და ჰკვიანური ანდაზა აქვთ, მგონია ასეა სომხურად; „ურ პაც, ენდელ კაც“ — საცა პურია, იქ მოიკეცეო. აი რას უნდა მის-დევდეს მუშა.

— რა ვქნა, ძმავ, მე ვერ გამივია, თუ რათა ყოფილა შენთვის მამულიშვილობით გაელენთილი ან საძრახისი, ან სათავილო, მე არ მესმის ეგ შენი შოვინისტური სულია თუ რალაცა, მაგრამ რასაც არ უნდა ნიშნავდეს, გამოტეხილს გეუბნები, მე ჩემ სამშობლოში შიმშილი მირჩევნია სხვა ქვეყნის პურთან მოკეცვასა და ფუფუნებაში ყოფნასაც, ჩემმა მზემ და თავიც არ მომიკედება, ბევრჯერ ისე დამღამებია დღე სოფელში, რო პირში ნაწილიც არ ჩამიდვია, არც მომგონებია, ისე ვყოფილებარ გართული, ან მოგაცლის შენ გული, რო კუპზედაც იფექტო, როცა გამლილი გაქვს თვალწინ მინდორზე მწვანედ მობიბინებული ჯეჭილები და სხვადასხვა ფერის და სუნის ყვავილებით აჭრელებული ხასხასა ბალაზი, თეთრად, წითლად, ყვითლად გადაენტილი ხე, ხეხილები ტყესა და ბალ-ვენახებში რო მშვენდებიან ან წყნარ ნიავზე რო ირჩევიან და ლელავენ ჯერ ისევ მწვანე და თავსხმული ყანები! როცა ყველა

ამასა პხედავ, შენც, თითქო მათთან შედუღებული იყო მათ შემდეგ სიცოცხლე და არსებაც, შენც იმათი სიცოცხლით ცოცხლობდე და მათივე საზრდოობი პასაზრდობდე — მაშინ ცველაფერი გავიწყდება: შიმშილიც, წყურვილიც, სიცივეც და სიცხეცა და ჭრილისტები შეწუხება და ნაკლულებაც, რაც უნდა ძნელ სამუშაომ ტურქების უკავშირებელი მაგრამა, ამასთანავე შენ შენს სამუშაოს კი ერთგულად აკეთებ.

— მეც არა ვარ ხამი, მეც მინახავს სოფელი და ვიცი რაცა ყრია შეგ. მე იქ არაფერი მინახავს ისეთი, რომ ჩემთვის გული აეტოვებინოს.

— ვინც სოფელში არ დაბადებულა და არ გაზრდილა, ვისაც სოფელში არ მოუკრია ჭიბი, ის ვერც იგეშებს, ვერ დააფასებს სოფლის სიტებოებას და არც მისი სიყვარული ექნება. მარტო ნახეთ კი კაცი სოფლისას ვერას გაიგებს. თუ შენ სოფელში გექნებოდა ჭიბი მოქრილი და ჩემსავით ძვალ-ჩბილში გავიჯდებოდა მისი სიტებოება და სიყვარული, მაგრე გულცივად აღარ ილაპარაკებდი სოფელზე.

— შენ რო სოფელში ქოხი არა გქონდეს და ის ერთი ბოხჩა საკუთარი მიწა, მაშინ სოფელსაც აღარ მოებლაუჭებოდი და სულ სხვა იქნებოდი და სხვანაირადაც ილაპარაკებდი. ეხლა კი მაგ საკუთრებას თოკებითა ჰყევხარ სოფელში დაბმული და არსათ არ გიშვებს.

— კაცო, მაშ როგო? ნადირი ხო არა ვარ, რო ყოველ დღე-ლამე ვიწანწალო საშოვარზე და საღაც მომიხდეს, იქ დავიბუნაგო?

— განა მე ნადირი ვარ, რო საკუთრება არა მაქვს და ყოველ-დღე ვმუშაობ და საზრდოსა ვშოულობ? ნუკი გეწყინება და, როგორც წელან გითხარი, მე შენზე კაი სახლშიაც ვცხოვრობ და შენზე კარგალაც ვქამ და ვსვამ.

— იქნება მართლაც აგრე იყოს, მაგრამა ისიც მართალია, რო შენ ჩემსავით გემოს ვერ ჩაატან ვერც საჭმელსა და ვერც სასმელსა. როგორც ვქამ და ვსვამ, დარწმუნებულიცა ვარ, რო ყველაფერი შინა მაქვს და თავზედაც საკუთარი ჭერი მაღვია.

— საღაც და ვისაც ფულს მივცემ, იქ ჭერიც მეღმება თავზე და სასმელ-საჭმელიც მექნება.

— მერე, რო გაიძახი, კაცს საკუთრება არ უნდა ჰქონდესო, ფული კი საკუთრება არ არი? შენ ხო აღასტურებ მაგასა?

— საკუთრება რო არის — ეს საკუთრება მე თანა შედეგს, როგორ წავალ — ფული ჩემი მკლავია.

— მაშ, მინამ მკლავი გიჭრის, ფულიც გაქნება, მაგრავა ერაიც ვნახოთ, მოგიღუნდა მკლავი, მაშინ რაღას უნდა მოგეხმაროთ მოგცემს ან თავშესაფარს, ან საჭმელ-სასმელს?

— ერთპა, მაგრე რო გამოვეკიდოთ საქმესა, სადამდის წაგვი-უვანს?

— იქმდის წაგვიუვანს, რო მე თუ მოვუძლურდები, თავშესაფარი მაინც მექნება უფასო და უსაყვედურო, შენ კი ცის ქვეშ უნდა დარჩე.

— შენ ვერ წარმოგიღებია ჯერ სოციალიზმის შინაარსი და მნიშვნელობა, თორემა მაგრე შორს ვერ შეტოპავდი გაუგებრობისა და უვიცობის მორჩევში.

— რა ვიცი, იქნება მართლა კარგიც იყოს ეგ შენი სოციალიზმი და დიდი ბედნიერებაც მოუტანოს ხალხს, მაგრამ რაც მე გავიგე შენი ნალაპარაკევიდან, იმაში კი მაინც ვერაცერ სანუგეშოსა და საიმედოს ვხედავ და ვერც შევწვდი ჩემი კულით მის საჩვებლობას და მნიშვნელობას.

— ჯერ კიდევ ადრეა შენთვის, ჯერ არ მომწიფებულხარ. როცა მომწიფდები, მაშინ წარმოიღები ნათლად ეხლა შენთვის წარმოუდგენელს. როცა გაახელ თვალებს, მიიჩედ-მოიხედავ, დაინახავ, რო შენ სოფელზე სხვა უკეთესი ქვეყნებია. მაშინ ის ჯაჭვი რომლითაც ბრმა ბედმა სოფელზე მიგაჭაჭვა თავისთვალ დაიმსხვერება და შენც ქალაქს მოაშურებ.

— მელოდე, დიაბ!

— აი, გნახავ, თუ არ მეხვეწებოდე ადგილი მიშოვეო.

✓ — პოდა მელოდე იქმდისინა.

## VII

„ უკვე საქმაოდ გაელენთილიყო „სისხლის ოშხივარით“, როგორც თითონ ამობდა თავის თავზე ლექსა, რო ზურგიდან მაშველი ჯარი მოვიდა, რათა შევსებულიყო მტრის ტყვია-ყუმბარებით შეუბრალებლად შეთხელებული რაზმები.

ნესტიანი და ზოგან წუმშეებიანი თხრილები არაფრად ეჭაშნიდათ ახლად მოსულთ და თითქოს უქმაყოფილონი სანგრების ძველ მცხოვრებლებზე, კარგა ხანს ხმას არ სცემდნენ მათ, მხოლოდ არც

ეს უკანასკნელი ეხმაურებოდნენ. თუმცა მიზეზი მათი ურთი-  
ერთთან ხმის გაუცემლობისა და გაუცნობებისა ისიც ყო, რომ  
გარემოებამ ახლად მოსული იძულებულპყო სანგრებში ჩასხუ-  
მის უმაღვე სროლას მიეყოთ ხელი.

ბოლოს ერთ მზიან დღეს, როცა სროლა არსაიდან ჭყაფის გამომდინარება  
შალნენ საფრებიდან მზეზედ ძველი მეომრები და ერთმა მათვანმა  
საფარში დარჩომილ ახლებს მიჰმართა:

— ბიჭებო, გამოლით მზეზე თქვენცა, რას უსხედნართ მანდა!  
ჩვენ აქ, ძმაო, ხვლიერებივით ვიხანხლებით მზეზე. როცა სროლა  
არსაიდამ ისმის, ხვლიკების ადათს მივდევთ. გავარდება საღმე  
თოფი და ხვლიკებივით ვეცემით ჩვენ სორიებსა. თქვენც უნდა  
შეურიგდეთ და შეეჩინიოთ ჩვენ ცხოვრებას, თორემ შუბლის  
შეკმეტხვით და ცხვირის ჩამოშეებით ვერაფერს გავხდებით. იქნე-  
ბა თქვენ გეგონათ, როცა მოგერეებოდნენ აქეთ, რო დოშაქ-ბა-  
ლიშებზე მოისვენებდით!

— არაფერიც არა გვეგონა რა და ნურც თქვენ გეგონებათ, რო  
ხამი იყოს ვინმე ამისთანა ყოფა-ცხოვრებისა, — გამოეპასუხა  
ერთი ახალმოსულთაგანი, — იქნება შენ არც კი გქონდა მოგონი-  
ლი ომში წასელა, როცა მე უკვე დაჭრილი ვიყავი ბრძოლაში და  
ახლა როგორ ბრძოლაში!.. რა ბრძოლაშიც მე დავიჭრი, იმისი  
ნასახი სიზმარშიც კი არ მოგლანდებიათ თქვენა. აქ რა ბრძოლაა?  
ეს ბრძოლა კი არა, ქორწილია, მაყრიონთა ჭახაჭუხი. ვისაც  
ბრძოლის ნამდვილი გემოს გაგება ვინდათ, მიბრძანდით გერმანიის  
ტრინტზე და იქ იგემებთ ბრძოლის ნამდვილ გემოს. აქ კი გა-  
მოსხდარხართ მზეზე და ლაზლანდარობთ. იქ ამისთანები ვერ  
მოგართვით. იქ ყოველ წუთას უნდა ელოდე და არც იცი, საიდამ  
და ან როდის გავიგმირავს ტყვა გულს, ანდა დაგფლეთავს ნაერწ-  
ნაკუშ ყუმბარა. იქ ორი ნაცნობი თუ შეპხვდა შემთხვევით, ერთი  
მეორეს პირველად ეკითხება გაყვირვებით — კაცი, როგორ გა-  
დარჩი აქმდის ცოცხალიო? და მერქ: დღეს ვისი ჯერია, შენი თუ  
ჩემიო? და თუ არ მოუსწრაფეს წუთები მმ კითხვა-პასუხის დროს,  
მხოლოდ მაშინ გაუზიარებენ ერთმანეთს ორიოდე სიტყვას ში-  
ნაურ საქმეებზე.

— ახ! რა საჩემო აღგილი ყოფილა! იმ ოჯახზაქცეულებმა  
რატო იქით არ გამგზავნეს. კაცი თუ სულ ძარღვებდაჭიმული და  
მოძრაობაში არ არის, რა შნო და ლაზათი აქვს? რა ყრია იმაში,

როცა მოდუნებულად და ზანტად ატარებს კაცი თავის საცუკა-  
ლეს... შენი სახელი, გეთაყვა?

— შაქრო.

— ჰო, შაქრო, ერთი მითხარი, გეთაყვა, ჩვენში ჩატარებული  
არიან იქითყენ?

— ჩემ დროს ბევრნი ვიყავით, ეხლა კი აღარ ვიცი დარჩა ვინ-  
მეღა თუ არა.

ქიტება და ლექსას გარდა სხვებიც ჩაებნენ ლაპარაკში და  
კითხვებს აძლევდნენ შაქროს:

— ძლიერ ხომ არ ზიანდებოდნენ ჩვენებურები?

— ზიანდებოდნენ რასა ჰქვია! ზიანდებოდნენ კი არა, რო-  
გორც მთიბავი სცელავს ბალაბსა, სწორედ ისე სცელავდნენ ჩვე-  
ნებურებსაცა და სხვებსაცა. მოდის აუარებელი ტყვია, ყუმბარა;  
შენც არ იცი საიდამა და პირდაპირ ცეცხლის ალში ეხვევი, თუ  
✓ ამასთანავე ის ოხერი მოშხამული ჯანლიც გამოუშვეს ხო, რა ვიცი,  
ი ჯოჯოხეთს რო ამობენ, ისიც არ უნდა იყოს იმაზედ საშინელი.  
საცა სამართალია, ვინც იქ ცოცხალი გადარჩება, ყველა უნდა  
დაჭილდოვდეს, რადგანაც იმაზე მეტი გმირობისა და ყოჩალობის  
გამოჩენა იქ მეტად ძნელი და შეუძლებელიც კია.

— შენ რაში ხარ დაჭრილი? — ჰყითხა ლექსამ.

— მარგვენა ძუძუში მომხვდა ტყვია და უკან გაიარა. როგო  
გადავურჩი ცოცხალი, მეც არ ვიცი. როცა მე დაჭრეს, ჩვენი  
რაზმი თითქმის მთლად მოსპეს, ორას სამოცი კაცი თულა გადარჩა  
მთლადა.

— კაცო, ე მაგრე მძიმედ ყოფილხარ დაჭრილი და რა მალე  
მორჩენილხარ.

— მალე იმითვინ მოვრჩი, რო აქეთ მაქნევინეს პირი, თორე  
თუ რუსეთში დამარჩენდნენ, იქნება ეხლაც საავალმყოფოში ვწო-  
ლილიყავ. ან იქნებ ცოცხალიც აღარ ვიქნებოდი. მანამ რუსეთში  
ვიყავი, რჩენაში ვერ შავდიოდი. მომიყვანეს თუ არა ამ დალოც-  
ვილ საქართველოში და ჩავყლაპე თუ არა აქაური ჰაერი, ერთ  
თევზე სრულიად მოვრჩი.

— მაგისთანა მძიმე ჭრილობა გქონია და მიკვირს, შინ რატო  
არ დაუთხოვნიხარ.

— განა არ დამითხოვეს! ორი თვით გამიშვეს სახლში და გა-  
ვიდა თუ არა ორი თვე, ისევ გამიძახეს გარში.

— ორი თვე კი არა, სრულად უნდა გაენთავისუფლებინები მე  
რო მეითხოოს.

— განა არ გაანთავისუფლეს? ბევრი და ისეთები, რომელთაც  
ჩემშე უფრო სუმბუქი ჭრილობა ჰქონდათ, მაგრამა უშერეულური გ  
მყავდა შემწე და დამხმარე. კიდე კარგი, რო ნამუსერწყვეტყველები  
ის თხოვნა მაინც შემისრულეს, რო ამ ფრონტზე გამომგზავნეს,  
თორემ ისევ იქითკენ მიპირებდნენ გაგზავნას.

— ამ, ნეტაი, ლეთის მაღლით, ერთი კი დავიჭრა და მაშ ლექ-  
სა აღარ ვიყო, თუ როცა მოვრჩები, გერმანიის ფრონტზე არ წა-  
ვიდე. სახემო ადგილი იქ ყოფილა. ხომ გამიშვებენ იქით?

— შე კაი კაცი, კი არ შეგეხვეწებიან! აი, თუ მოსაფარებელ  
ან ხელის მოსათბობ ადგილს მოინდომებ, იქ დაბინავება ძნელია,  
თუ შემწე არა გყავს დამხმარებელი, ვინმე. იმათვანი, ვისაც იქ  
ფუხი უდგა. თუკი ისეთი მოეთე გეყოლება, მაშინ დაჭრილიც რო  
არ იყო, შენზე სალსალამათი და მარჯვე მეომარი მთელ დუნიაზე  
რო არ იყოს, ისეთ ადგილს ამოვაფარებენ, რო თოფის წამლის  
სუნიც არ მოგედინება, ზარბაზნის გაძლიერებულ გრიალაც კი  
ვერ გაიგონებ. კაცმა თავისი თვალით უნდა ნახოს და თავისი ყუ-  
რით გაიგონოს, რაცა ხდება რაზმის ზურგს უკან, რო დაიჭეროს.  
თორე უიმისოდ ზღაპარი და ცილისწამება ეგონება აღამიანს ნა-  
ლაპარაკევი. დიდყაცების თალღითობაზე ხო პატრონი და ღამბე-  
რებელი არავინა მყავდა, მაგრამა ჩემი ყისმათმა ისე იმუშავა, რო  
მომქმედ ჯარის მაგიერ ბარეგმზილავ აღალში გამომგზავნეს. გარდა  
იმისა, რო ჩემი წუთისოფელი ურემზე და გუთანზე გამიტარებია  
და ამ საქმეს აღვილად გავუძღვებოდი, ის მახარებდა, რომ ზურგ-  
ში მაინც უშიშრად ვიქნებოდი და ჩემი წერილშეილიც იბლობას  
გადარჩებოდა-მეთქი. მთელი ექვსი თვე გავატარე აღალში... სწო-  
რე გითხრათ, სიამოვნებაში ვიყავი. ერთი ჩვენებურ ურმის კოფო-  
ზე არ ვიჯევი, თორე სხვაფრივ სოფლურ ცხოვრებაში ვიყავ ჩაბ-  
ძელი, ნამეტნავად როცა დიდ ქარავანში ვერიე და ვეზიდებოდი  
სხვებთან ერთად სურსათსა. მერე ისეთი დალოცვილი უდელა ხა-  
რი მყვანდა „პოვოსქაში“ შებმული, რო თითო ხარი თითო ოჯა-  
ზათა ღირდა და აი, ის ადგილიცა და ის ხარებიც დამაომობანეს და  
აქეთ მიკრეს თავი. ახლა პოზიციაზე ყოფნა შეგიძლიანო და ჩემს  
მაგიერ ჩააყენეს ახლად გაწვეული ჯარში სრულიად სალსალამათი  
კაცი, რადგან ის უფროსის ნათესავი თუ ნაცნობი იყო, მე კი არა-  
ვინა მყავდა ქომაგი.

— აბა, მოდი და მაგისთანა უსამართლობა აიტანე! — გურუა

შოითმინა, რომ არ წამოეცვირა, იობამ.

— ა, სიკვდილი ხომ მართალია, ყველასათვის ერთნაირი შძი მექა, მაგრამ იმაზე როდი ვინმე ფიქრობს, თუ ზეგარებულება კვდება ბრძოლის ველზე, იმათთან ერთად სხვაც რაჭულმასტატებები მა. განა არ შეუძლიან ამისი თავიდან აცილება? — შეუძლია კი, მაგრამ ვინ აიტკიცებს თავს ამაზე! ყველა თავის და თავისიანების ტყავს უფრთხილდება.

— აბა, ლექსავ, ი შენი ბიძაშვილი რატო მაგისთანებზე კი არ გველაპარაკება? დავიჯერო, ის კი ვერა ჰედავს ამისთანა უსამართლობას? იცის რო ზურგში არის მოქმედელი, დამდგარა და მარტო იმას გაიძახის, თუ სოფელს თავი დაანებეთ და ქალაქში გაიქცით, ხელში კვერი აიღეთო.

— აბა, მაგას რათ ამობ, ლევანავ? განა ის ცოტას ჩაგველაპარაკება თავადების, ლვდლების, მდიდარ მოვაჭრე და მექარხნებზე და საზოგადოდ ყველანაირ უფროსების თავგასულობასა და უსამართლობაზე და არ გვიჩრებს და გვამხნევებს, რო მედგრად შევებრძოლოთ მათ და ჩამოვართვათ ქონება და უფლება?

— მართალია, გველაპარაკება, ლექსავ, და მეც სწორედ მისი ამისთანა ლაპარაკე მაჩერებს ქამდინ ამ ოხერ ადგილას, თორე რა ეშმაკი და ქაჯი დამაყენებდა აქა, თუ არა ეგა? ვინ იცის უმაგისოდ აქამდის საით კუთხეს მოვექცეოდი! მართალია, ლაპარაკობს კი, მაგრამა უნდილად ლაპარაკობს, მართალს გაიძახის — უნდა ვიბრძოლოთო, მაგრამ ვებრძოლოთ რასა ჰქვია, პირდაპირ გვითხრას ვებრძოლოთ კი არა — მიშავით ხელი და ყველანი გაჟლიტეთ-თქო.

— მერე, თუ შენ მოგანდეს მარტო ეგ საქმე, ლევან, პირნათ-ლად შეასრულებ? მგონია, იმათაც ისე გააელო ყაფლანი, როგორც ოსმალების რაზმებს ანადგურებდი, არა?

— სწორედ! მნახე შენც სულელი კაცი, დიაბ! ი, პეტოც და იმისი ამხანაგები სულ იმას არ გაიძახიან, რო მთელი დუნია ხალხი მუშა და გლეხიც ჩვენი ამხანაგები და მოკეთენი არიანო. მხოლოდ ჩვენი შინაური მტრები გვდევნიანო, პოდა, თუ შინაურებზე მიდგება ჯერი, გაგიხარიან, მაშინ გარბოდას ბიჭი გააფრდეს. მაშინა მნახეთ, რა ბიჭიც ვარ!

— შე დასაქცეო, თვალში არ გისხედან ე დიღუაცობა და უფრო როსები!

— პოი, მაგათი! რამდენჯერ მინატრია და ეხლაცა ვნატრია, ნეტი ჩემი ღლე გააქრო, შეაზე გაიყოს და ერთი ორიკერძებულება მაგათ უფროსადა და ბატონად გამხადა. აბა, მაშინ უყურებელი მუშაობა და დიოთ მე იმათ სეირსა! როგორც ი დეკეულებსა და შონვრებსა გამოვჭრიდი ხოლმე ყელს, სწორედ იმათაც დავჭრიდი ასევე უელებს, ხელიც კი არ ამიტანკალდებოდა. აბა, როგო უნდა მოითმონოს კაცმა, ვისაც გული გულის ადგილასა აქვს, რომ თითონ დასხდებიან სუფრაზე და შეექცევიან ნაირ-ნაირ საჭმელებსა და სასმელებს, გამოიბრუებიან ლვინით და თავის გასართობად ამავე ღრის მშეერ ჯარისკაცებს „ჰერას“ აძახინებენ, ამლერებენ, ათამაშებენ, როცა არც ემღერებათ და არც ეცეკვებათ. მე, ძმავ, არ მეცაშნიერა, რო ჩემზე მეტი და უმჯობესი იყოს ვინმე. მიბრძანებდეს ან დარიგებას მაძლევდეს და ვერც მომინელებია, როცა ხელს მიშლის ვინმე ჩემი სურვილის შესრულებაში. მე ჩემი ქეოფის კაცი ვარ და კიდევაც მინდა ვიყო სამუდამოდ ამისთანა.

— ე რა ცხარე ვინმე ყოფილა, თქვენი ჰირიმეთ!

— ძმაო შაქრო, დაიცა ერთი, ე ლევანის ყურს ნუღა ათხოვებ, ეგ სულ ე მაგისთანა არის. შენ შენი სთვის. მე ისევ შენ ხარებთანა ვარ. მიამბე რამე, თუ ღმერთი გწამს, იქნება ერთ-ერთი იმათში ჩემი ირმაც იყო. მაგრამ ეპ! მგონია იმისი ძვლებიც აღარსად არის!

— რა ვიცი, ძმაო, იქნება შენი ირმაც ერია იმ ჩემ ხარებში, ამას კი გეტუვი, რო ორთავენი ირმა ხარები იყვნენ და ორთავენი ქედალოცვილები. მხოლოდ ერთი კი სკობიდა მეორეს. ნეტა რა იყო ის ქედმაღლაანი! აბა, ხო სრული ექვსი თვე იყო ჩემ ხელში და არ მახსოვეს, რო მე იმისათვის შოლტი არამცუ დამეკრა. გამეტყლაშუნებინოს, ისე დაუზარებლად ეწეოდა ულელს.

— გეთაყვა, ერთი მითხარ, ნიშანი ხო არა ჰქონდა რა?

— აბა ეხლა, ძმავ, დაწვრილებით ვერ გეტუვი, რაც მახსოვს კი, ბატონი ხარ. ჩერქეზის ჯიშის ხარი არ იყო, მაგრამა ჩენებური ჯიშის საქონელზე კი მოდიოდა. იყო ტანად და მკვრიად ჩასხმული, შეათანა, მოკოტაო ჩქები ჰქონდა, გრძელი კული, უკანა მარჯვენა ფეხის ჩლიქები თეთრი და ჩლიქებს ზემოდამ შევი ხალი ჰქონდა ცერად გავლებული.

— ვაი, იმსა კი ვენაცალუ ქედში! სწორედ ჩემი ირმა ყოფილა. ისევ ცოცხალი ყოფილა, ბიქებო, ის ქედდალოცვილი! ახ,

ერთი კიდევ მაჩვენა, რომ გადავეწვიო და გადავეცნო / გადავეცნო / მეგონა, რო იმის ძვლებიც კი აღარსად იქნებოდა. ურთი შეხვეული, როგო ჩაგივარდა ხელში?

— როცა მივედი, მეც ისე გადმომცეს ის ხარეჭურულულუშე გადავეცნო სხვასა.

— იქნება შეიძლებოდეს როგორმე იმისი ხელში ჩაგდება და შინ დაბრუნება, თუ ცოცხალი გადარჩა, მანამ ომი გათავდება?

— ძნელია, მავ, აბა ვის რას დაანებებენ, ან თუ ერთი გაუკირდათ, იმას არ დაგიდევენ, რო საჭიროა სურსათის გადატან-გადმოტანა, ან საჭურველისა, მაშინვე ეცემიან, როგორც მშერი მგლები და წამოაქცევენ, რაც გინდა კა მუშა საქონელი იყოს. რამდენჯერ გადამირჩენია ჩემი ხარები იმისთანა საფრთხილან სხვადასხვა ხრიკებითა.

— ექ! განა შაერგებათ და შხამია არ ამოედინებათ, ვინც ჩემა ირმას ხორცი შესკამს!

— განა მარტო იმათი ხორცი უნდა ამოუკიდეთ შხამალ? იმა-თი ტყუილა ტანჯვა-წვალება არ უნდა მოეკითხოთ? კაცო, მე აი, ერთი სოფლელი, უცოდინარი ტეტია ვარ და მეც არ ჩავიდენ იმისთანა საფათერაკო და უთავბოლო საქმეს, როგორც ისინი ჩადიან: გვაზილინებენ, გვაზილინებენ სურსათს ერთი ადგილიდან მეორეზე ერთი უფროსის ბრძანებით. რა დავაგროვებთ ნაჩენებ ადგილზე, მოვა ეხლა სხვა უფროსი, მოუვათ ჩხუბი და ეხლა სხვა ადგილას გადავვატანინებენ. ნეტა რისთვინა? ან ვისთვინა? აი, აქ მცონია თქვენ ლრძილები გაგიცდათ შავი და გაქვავებული ხმელ-ნაცხობის ლრღნით და ვინ იცის, ხანდახან ეგეც არ გექნებათ. იქ კი აგროვია მონდენა სურსათი მისთვინ, რო მერე გადაასხან ნავ-თი და ცეცხლი მისცენ, როგორც ამ ორი თვის წინ დაგვაწვევინეს ზღვა სურსათი, რო მტერს არ ჩავარდნოდა ხელში.

— აბა, ხვლიერო, თავები სოროს, თორემ აგე ბოლი ავარდა, დაეცნენ საფრებს.

## VIII

— ოქ, ლექსავ, აქავე ხარ, კაცო. მე ვთქვი, წახვიდოდი სო-ფელში. ზამთარია და ეხლა სოფელში ბევრი რამ იქნება სამხია-რულო და გასართობი, არა?!

— მაშ არადა, ქალაქში იქნება.

— ჰოდა მე რაღას გეუბნები! წახვიდოდი რაღა, რას ელოდობი!

— თუ ძმა ხარ, პეტო, სოფელს მაგრე იბუჩად ნუ იყვება... კატიოს ნუ ჰყრი სოფელს! შე კაი კაცო, განა ზამთარი უკავებს ი ჩიტის ტოლა ბურჭულ-ბურჭულ თოვლს რო ისერის და შენ კი ასე გეჩენება, თოთქო ღმერთი მაღლიდამ ქადა-პურსა ჰყრისო, რაღან დარწმუნებული ხარ, რო თოვლი შენ მობიბინებულ ჯე-ჯილს დაპფარავს, გაახასხასებს და მერე, როგორც კრუხი გამოჩე-კავს წიწილებს კვირცხებიდან, დაათბობს და გააძლობს; შენც გიცემს გული სიხარულითა და სიამოვნებ მაშინაც კი, როცა კი-სერში გიცვიათ თოვლი და თანაც გიბარდნის თმას. გადიღებს თო-ვას და შენც გადაგეშლება თვალწინ თეთრად გადაეწილი მინ-დორი და ტყე, ჯერ ერთი ეს რაღა ღირს! მიღიხარ გალალებულ თოვლზე, ტყეში სათარებე და გააქვს შენსა და ხარების ფეხევეშ თოვლის ფიფქებს ხრაშახრუში... შედიხარ თოვლით დაბარდნილ, თოთქოს თეთრ სუდარაში გამოუხვევითო, ტყეში, რომელიც მოუცავს ისეთ სამარისებურ და რაღაცა ჯაღოსნურ სიჩუმეს, რო შიშის ზარსა გცემს, და, თუ შემოგესმა რამ, ისიც მარტოდმარტო სამოც-ოთხმოც გუთნის გამლაზე სადმე ლიჭის ბარლებში ან შაშვა შეპფართხალა და ან ზანდრიკო ჩიტმა დაიჩიქჩია. მიღი-ხარ ამ დაბარდნილ ტყეში და თანაც შეუცყრიხარ შიშს, რო აი ან ექლა და ან ეხლა დაარღვევენ ხეები ჩასაფრებულ შემზარავ სიჩუმეს, მორთავენ ხმამალლა ყვირილს — გალევნეთ აქედან ეგ ჩევნი დაუძი-ნებელი და მოსისხლე მტერით. რაც მე იქ შიში მიგამია, აქ ბრძო-ლის ველზე იმის მესახელიც კი არ გამომიცდია. მიაგენ ცოტაოდენი ძებნის შემდეგ სათრს, მოუბი ჯამბარა, გამოაწევინე ხარებს და შეანძრიე მახლობელი ხეები, ესენიც დაიბერტყებიან და გაგევსე-ბა უბე და კისერი თოვლით. გაყინულ-გათოშილი, მაგრამ მანც სიამაყით თოთქო ვიღაცაზე გაიმარჯვეო, მოათრევ სათრებს, წამო-უდებ ახლად მოტანილ სათარს კერაზედ, დააგუზგუზებ ბარაქიან ცეცხლს, მიუშვერ და მიუცხუნებ დასველებულსა და გაყინულ გულ-მკერდს. მერე თუ ამასთან ღორის მწვალებიც დააშიშნინე! უველა ამის გამოცდა, ახ, რა ტკბილია, რო იცოდე! ამას, ჩემო ძმაო, მთელ ქვეყნიერობაზე უერაფერი შაედრება.

— აი, ჩემო ძამიავ და ბიძაშვილო, როგორც შენ ზამთარში

გაყინულ-გათოშილს გითბობდა გულ-მკერდს აგიზგიშებული  
ცეცხლი, ისე არამცუ მარტო ზამთარში, ზაფხულშიც კვერცი  
ქაუნით დალლილ-დაწუვეტილს მითბობდა და მითბობს ეხებაც  
გულს წიგნის კითხვა.

— ჴო, ეგ იქნება მაგრე იყოს, მაგრამ მე რაც გამოწიფლიარშესა  
ვამობ.

— მეც იმას გეუბნები, რაც გამომიცდია და ვერა აგუზგუზე-  
ბული ცეცხლი ვერ გაუთბობს აღამიანს ვერც მკერდსა და მით  
უმეტეს ვერც გულს ისე სასიამოვნოდ და საგრძნობლად, როგორც  
მაღლიანი აზრებითა და მომხიბლავი ენით დაწერილი წიგნის  
კითხვა. ამ სიტყბოებას კი მოკლებული ხართ თქვენ — სოფლის  
ხალხი. ის, ქალაქი რისოვის არის კარგი სოფელზე და უმჯობესი.

— რა, განა სოფელში კი არ შეიძლება, შე კაი კაცო, წიგნის  
კითხვა?

— შესაძლებელი რო ყოფილიყო, შენც გექნებოდა წაკითხუ-  
ლი ის, რაც მე წამიკითხავს, ან ჩემ ამხანავებს და ეხლა ამდენი  
მტკიცება და დავიდარაბა არ დაგვეირდებოდა და ადვილად და-  
გარწმუნებდი სოციალიზმის სიერთესა და სარგებლობაში.

— ეჭ, ის, ეხლა ხო ვისწავლე წიგნის კითხვა, როცა დავბრუნ-  
დები სოფელში, მაშინ მეც წავიკითხავ.

— თქვენ ისე ხართ მიჯავეული და მიკოწიწებული სახლ-  
კარზე და მამულ-დედულზე, ისე გაგჯლომიათ ძვალსა და რბილში  
მათი რაღაცა სიყვარული, რომ სულ მათ ეტრიფიალებით და წიგ-  
ნის კითხვისათვის იქ ვერ მოიცილოთ და თუნდაც მოიცალოთ და  
მარქსის მთელი თხზულება გადაიკითხოთ, მაინც ვერაფერს ისარ-  
გებლებთ. სულ სხვა იქნება, თუ სოფელს თავს დაანებებ და ქა-  
ლაქში გადმოხვალ.

— მაგის პირობას ვერ მოგცემ, ვერა, პეტო, რაც გინდა ბევრი  
მეჩიჩინო.

— ერთი სიტყვით, აუტანელი ბოროტებაა და დიდად მავნებე-  
ლი და შემფერხებელი აღამიანის განვითარებისათვის საკუთრება. შენ რო საკუთრება არა გქონდეს, მაგას არ იტყოდი. საკუთრება  
ულობავს აღამიანს გზას განვითარებისაკენ, საკუთრებავე უსპობს  
აღამიანს ყოველგვარ ბედნიერებას და თავისუფლად ცხოვრების  
სახსარს. როცა საკუთრება მოისპობა, როცა ტყე, მინდორი, წყალი  
აღარ იქნება შეზღუდულ-შებოჭვილი კერძო პირების ხელში, რო-

და ყველა ეს საერთო და საზოგადო გახდება ყველასათვებს, რომ  
თავისუფლად და შეუზღუდველად იმუშავებ და ავარენაშებ შენ  
მარჯვენას, სადაც გინდა, როგორც გინდა — აი, მხოლოდ მარი  
დამყარდება ქვეყნიერებაზე ბედნიერი და კეთილი ცხრაშესარცვალებელი

— როგო? ჩემ ბედნიერებას განა დაუშლის ისა, ზეტუშეწონისულებელი საკუთარი ქოხი, თუნდ ბოხჩისოდენა ვენახი ორიოდ-სამი დღის  
შიწა და მყავდეს რამდენიმე ბლავანა ოთხფეხი? შე კაი კაცო,  
პირიქით, მე ვფიქრობ, რო, თუ ქოხის მაგიერ მექნება სასახლეები,  
ბოხჩა ვენახის მაგიერ ზერები, ორიოდ-სამი დღიურის მაგიერ გა-  
დაჭიმული ხოდაბუნები, სწორედ მაშინ ვიქნებოდი ბედნიერი. არა  
მეონია და ძნელად დასაგერებელიც არის, რო ვისაც საკუთარი  
ბინა და მამულ-დედული არა აქვს, იმან სიცოცხლეს გემო ჩაატა-  
ნოს, შენებურად თითქო ისე გამოდის, რო ყარაჩები და ყველა ✓  
მათხოვრად მოხეტიალე ხალხი ძლიერ ბედნიერები ყოფილან. მე  
ვარ თუ სხვა, უმამულო რო ვიყოთ, როგორც ეს ბედნიერი ყარა-  
ჩები, მაშინ ხომ იძულებული ვიქნები, შენ მამულში ვიმუშავო.  
გავაკეთო შენი მამული და ჩემი შრომის ნაყოფი შენ უნდა  
დაგრჩეს.

— ას ამბობ, ლექსავ! საკუთრება, გარდა იმისა, რო თავი-  
სუფლებას უზღუდავს აღამიანს — თითონ პატრონს, დიდ უსა-  
მართლობასაცა პბადებს ხალხში. როცა შენა გაქვს საკუთარი სახლ-  
კარი და მამულ-დედული და მე კი, მაგალითად, არა, მაშინ შენ  
ყველასათვის მაძღარი იქნები, მე კი მშეერი.

— მაშ რაღას იქვეხი, რო კარგადა ვცხოვრობო?

— არა, მე საზოგადოდ ვამბობ, განა ჩემშედა რა? როცა შენ  
გაქვს საკუთრება და შენ მეზობელს კი არა აქვს. შენ მისი მჩივ-  
რელი ხარ ან იქნები, ის კი დაჩაგრული. მათ კი ერთობა და თა-  
ნასწორობა ირლვევა, რაც არ უნდა იყოს.

— მაშ გინდა, რომ მეც მშეერი ვიყო? შე კაი კაცო, ის არ ემ-  
ჭობინება, რო სხვასაც აშეცადინო, რომ მოიპოვოს ის, რაც მე  
მაქვს, ისიც მაძღარი იყოს! მე რად უნდა მეწეოდეთ შიმშილისა-  
ცენ, ბარემ ის გამოსწიოთ სიმაძღრისაკენ!

— შიმშილისაკენ კი არ გეწევით, პირიქით ჩვენ იმას ვცდი-  
ლობთ, რომ სრულიად მოვსპოო ქვეყნიერებაზედ შიმშილობა და  
ყოველნაირი ნიერიერი ნაკლულოვანება ხალხში საერთოდ ყველა-  
სათვის და არა ერთი და ორი წარჩინებულ პირთათვის და ეს კი

მოხდება, როცა საკუთრება მოისპობა. შემზილსა და ჟოველიან  
ფანაკლის ჩვენ აგვაშორებს თავისუფალი მიწა და ამზადისუფალი  
მიწაზე თავისუფალი შრომა. ეხლა, რაღანაც საკუთრება არის  
აღიარებული, ზოგს, ვისაც უფრო მეტი გაიძერობა რჩებიც წუშუალი  
საკუთარი მამულიც აქვს და სხვა ქონებაც, ზოგს ცურულებისუფალ  
სრულიად არაფერი და ეს გარემოება პბადებს ხალხში უა-  
მართლობასა და უთანასწორობას მიწის ნაყოფით სარგებლობაში.  
მაგალითად თავადიშვილებსა და აზნაურებს იმოდენა მამულ-დე-  
დული აქვთ და ზოგი გლეხეცაცი სულ უმამულდედულო, ან აქვს  
იმდენი, რომ არა ჰყოფნის და მიღის, მუშაობს თავადიშვილთან ან  
აზნაურთან და ან ვისაც დიდი მამული აქვს. მამულს აკეთებს და  
მისი ნამუშევრის ნაყოფი თავადიშვილს ან აზნაურს, ან მამულის  
პატრონსა რჩება, თვით კი მომუშავე ისევ მშეირ-მწყურვალია. ეს  
უსამართლობა არ არის?

— ჰოდა, თუ მიწა ჩამოერთვათ ამ კაცებს და მშრომელ ხალხს  
და პირებს გადაეცემა, ვისაც უჭირს, ეს სამართლიანობა იქნება?

— ჩამოერთვას კი არა, უნდა მიპყოს ხელი და სულ დედაბუ-  
დიანად ამოწყვიტოს თავად-აზნაურობა და ყველა გლეხეცაციც. ვი-  
საც ბევრი მამული და ქონება აქვს!

— აი, ლევანამ სამართლიანად გადაჭრა, სწორედ ასე უნდა  
მოხდეს, რომ მიწაცა და ხალხიც ერთბაშად მალე განთავისუფლ-  
დნენ მცარცველებისაგან.

— ლევანამ სწორედ გადაჭრა, მეც არ ვექომაგები თავად-  
აზნაურობას, მაგრამა მქონიარე გლეხეცაცმა რაღა დაუშავა. ლევანა  
ასე ადვილად რო ჭრის სამართალსა, მაგას რა ენაღვლება, აი პირ-  
ში ვეუბნები, რას დაჭკარგავს, რაც არაფერი აძაღია? ვისაც გაკვ-  
რა-გამოკვრაზე უჭირავს თვალი, იმათვის სხვისა ქონების  
აოხრ-დაოხრება ძლიერ ხელსაყრელია; როგორც მაგან ამოაგდო  
მამისაგან დატოვებული მთელ სოფლად ლირებული ვენაზი, რაღ-  
ვანაც ჩხირის გვერდზე არ აქცევდა და დუქან-ბაზარში ალმებდა  
თავის დღეს, ყველას რო ასე გვექნა, მთელ სოფელში ჩვენც მაგის  
დღეში ჩავვარდებოდით და ჩვენც ყველანი დაგეთანხმებოდით  
როგორც ეგა.

— ჰოდა ჩვენც სწორედ ეგ გვინდა ა!

— მაშ, გინდათ ყაჩალებათ გადაგვაქციოთ რაღა? შე კათ კაცო,  
იმათი ბედნიერება როგო შეგშურდა, რო გინდა...

— ამას ჩვენ მოვახდეთ ეხლა მარტო იმით, რო მიწასაზე დოების კუთვნილებად გადავაქციოთ, რათა კველამ თანამშრომანი ბით ისარგებლოს მისი ნაყოფით.

— რა ვქნა, რატო ისეთია, მე ვერ გამიგდა. შენ უკორესებული ან მსხმიარე ვაშლი ან მსხალი. ხო უკელა ერთი ხის ტყულული უსურეკე ხეს ასხია და ერთ დეროდამ იკვებებიან. აბა, გაგიწევია ვარაუდი? თუ ღმერთი გწამს, ერთი მითხარი, უკელა ნაყოფი ვაშლისა ან მსხლისა ერთნაირია? ხომ შეგინიშვნავს, რო ზოგი დასრულებული და დამკვრახულია. მომეტებული ნაწილი კი დაუფერებელია. ხალხიც ისე ვართ: ზოგს უნარი აქვს და ძალ-ღონეც შესწევს იმუშაოს. იმას სარჩო-საბადებელიცა აქვს და მაძღარიც არის, ზოგი უნარმოკლებულია, ყალაღანა და ზარმაცი და ამისთანა კაცი მაშინაც მშიერი დარჩება, თუნდაც რომ თავისუფალი მიწა პქონდეს. ზოგს თუმცა უნარიცა აქვს მუშაობისა, ძალ-ღონეც შესწევს, მაგრამ გაფრთხილებისა და დაზოგვის შენ არა აქვს: რასაც შოტლობს, მწვადივითა ჭამს და ახში დროდაღრო განიცდის შიმშილსა და ნაკლოვანებას. განა ამისთანა ხალხს გამოაკეთებს თავისუფალი, ესე იგი საწოგადო მიწა? მე კი არა შეონია და!

— შენ არა გვიჩია, მაგრამ სწორედ რომ გამოაკეთებს ამისთანა ხალხს თავისუფალი მიწა. ის ყალაღანა ხალხი, შენ რო გვიჩია, მუშაობის უნარმოკლებული არიანო, ჩემი ფიქრით, განთავისუფლებულ და გაეგბულ პირებად უნდა ჩაითვალონ. იმათ კარგადა აქვთ შეგნებული, რო თუ კერძო პირის მამულში იმუშავებენ, შრომის ნაყოფი მამულის პატრიანს დარჩება, თითონ კი არაფერი და აბა მაშ რად ავარჯიშონ თავისი მარჯვენა სხვისა გამდიდრებისათვის! როცა კერძო საკუთრება და მთელი მიწა თავისუფალი გახდება, საზოგადო საკუთრებად გამოცხადდება, მაშინ ისინიც ისევე მალე შეიგნებენ, რომ თავისუფალ მიწაზე მათი შრომის ნაყოფი ისევ იმათვე დაპრჩებათ და დაუყოვნებლივ ავარჯიშებენ თავის მარჯვენას ამ თავისუფალ მიწაზედ — იქ სადაც მოეპრიანებათ და სადაც მათთვის ხელსაყრელი იქნება, რომ მეტი ნაყოფი გამოალებინონ თავის შრომას.

— ეგ ძლიერ კარგი, მაგრამა ერთიც ვნახოთ, სადაც იმათ მოინდომეს მარჯვენის ამუშავება თავისუფალ მიწაზედ, იქ მეც მოვინდომე. მერე ხომ თავიპირი დავამტვრიეთ ერთმანეთსა.

— მაღამდე საქმეს როდი მიიყვანენ ისინი, ვის გამებლობა-

შიც იქნება მიწა. ისინი მოარიგებენ და მიაკუთვნებენ უფლებას, და  
საც რომელი ადგილი ეკუთვნის და შექვდება.

— მაშინ სადა იქნება თავისუფლება მიწისა. თუ შეკრიცვებული  
მარგუნებ იმ ნაკერს მიწისას, რომელიც მინდა, აქ, ღმერთის მიზანი,  
ბა არ გამოდის. და არ მარგუნებ ამ ნაკერს, რომელიც მინდა,  
მაშინ კიდე ხომ ჩემი თავისუფლების შეზღუდვა იქნება, რო  
მომ ქონების თავისუფლებას პიროვნული თავისუფლებაც მოკ-  
უვებაო. რა ვენა, რო ვერაფერი გამიგია თავ-ბედისა. როგო უნდა  
გადავქნათ ჩენ ის, რაც ღმერთს დაუწესებია, არ ვიცი. დედის  
მუცელშიც ღმერთი ყოველ ადამიანს საკუთრად ასაზრდოვებს და  
აცხოვრებს. გამიგონია, რო ტყუპები როცა იბადებიან, ცალ-  
ცალკე ბუდეში არიან ხოლმე გახვეული და პირიდამაც ცალ-  
ცალკე საწომწნავი ღვიძლი წამოჰვარდებათ ხოლმეო. თუკი დედის  
მუცელში უმანქო ბავშვებიც კი ვერ მოთავსებულან ერთ ბუდეში  
და ერთი საწომწნავით ვერ უსარგებლიათ, ვერ წარმომიღვენია  
ქვეყნიერებაზე როგო უნდა გაერთიანდნენ, მოთავსდნენ და შე-  
თანხმდნენ სმა-ჭამაში, ჩატა-დახურვაში, საცხოვრებელ სახლებში,  
მუშაობაში მოელი მილეთის ხალხი ისე, რო მათი ყოფა-ცხოვრება  
ერთნაირად ბეღნიერი და თანასწორი იყოს, როგორც შენ ამობ.  
მე მორია, რო ადამიანს დედის მუცლიდანეე აქვს დაყოლილი  
ალონ საკუთრად, სხვისაგან დამოუკიდებლად ცხოვრებისა და ამის-  
თანა ცხოვრებისათვის ყველანაირი ქონების საკუთრად შეძენი-  
სა. ამისათვის, ჩემი ფიქრით, უთანასწორობა, უთავბოლობა და  
არეულ-დარეულობა სწორედ მაშინ დამყარდება ხალხში, როცა  
თქვენი წესით მიწა წაერთმევათ ეხლანდელ მეპატრონებს და სა-  
ზოვალო საკუთრებად გადაიქცევა და შრომაც თავისუფალი გახდე-  
ბა, როგორც თქვენ ამობთ. ნათქვამია, ვისაც თაფლში უდევ-  
ხელი, თითებსაც ის გაილოვავსო; ვინც საზოგადო მიწასთან იქნე-  
ბა ახლო მეთვალყურედ და პატრონად, ის ყველაზე მეტად ისარ-  
ებლებს და საღლო იქნება შენი თანასწორობა მითი სარგებლობი-  
სა. მეორეც ისა — ამობ: მიწის თავისუფლებას შრომის თავი-  
სუფლება მოპყვებაო, ისე, რო ვისაც რა პუსტის და მოეპრიანება,  
იმას გააქეთშს. ასე რო იყოს, ვინდა იქნება ისეთი სულელი მიწის  
ქ მუშაობაში, ან სხვა რამ საძნელო საქმეში ირთმევდეს სულსა? ყვი-  
ლა ადვილსა და ფაქის საქმეს მოეკიდება, საძნელო საქმის გამკე-  
თებელი კი აღარავინ იქნება. ან ისიც ხომ შესაძლებელია, ზოგმ

არაფერიც არა გააკეთოს რა, ძალის ხომ ვერავინ დაატანს — და  
ლა კაცი თავისუფალი უნდა იყოს პირადად თავის ყოფა-ცხოველი  
ბაში, რო ამობთ.

— კველა ვალდებული იქნება, რაიმე საქმე გააკეთოს მასტერის და

— ეგ ხომ ისევ თავისუფლების შეზღუდვა არის უკანასკნელი და ეს  
კისუფლება იქნება მაშინ, ეგ ხომ ძალდატანება იქნება აბა, რა  
სჭობია იმას, რო კაცს თავის საკუთარი ვენახი ჰქონდეს ან სახნავ-  
სათესი, მუშაობდეს იქ მარტო იმისათვის კი არა, რო გამოჩეხს  
რამე, იმისათვის რო უყვარს თავისი მამული — საკუთრება, იმუშაოს  
სიყვარულით, მუყაითად. თითონ ეცდება, რაც შეიძლება, გამშვე-  
ნოს, გაამდიდროს, უხვი მოსავალი ამოილოს. საზოგადო მიწაზე კი,  
როცა დარწმუნებულია, რო თუ დღეს ის მუშაობს იმ ნაკერზე,  
ხეალ შეიძლება სხვის ხელში გადავიდეს მისგან დამუშავებული,  
ყოველთვის უგულოდ, ზანტად იმუშავებს და მაგრე რიგად აღარ  
მოუვლის, აღარ ეცდება მის გამშვენიერებას. გარდა ამისა, შენ  
რო ამობ ხშირად, კაცს მარტო მარჯვენა აქვს თავის საკუთრება-  
თაო, და გიყვარს კიდევაც შენი მარჯვენა, რადგანაც შენია და არა  
სხვისა და შენ გვებავს, თუ მარჯვენა კაცს ხეთისაგან მოცემული  
აქვს საკუთრებად, რათა იკვებოს და იცხოვროს, რატომ არ ჰქონ-  
დეს საკუთრებად ტანისამოსი და კიდევაც აქვს ადამიანს ეს სა-  
კუთრება. განა მოითმენდი შენ, ხეალ შენი ტანისამოსი სხვამ რო  
ჩიაცეს შენს დაუკითხავად, ნებადაურთველად და გაუდგეს მშვი-  
დობიან გზასა? ტანისამოსი კი არა, დარწმუნებული ვარ, ის კვე-  
რი, რომელსაც შენ შაჩქეული ხარ ქარხანაში, სხვამ რო აღოს  
ხვალ და შენ აღარ განებებდეს, მაშინვე ყანყრატოში მისწვდები.  
თუ ტანისამოსი, საცვალი და სხვა ნივთები შეიძლება და უნდა  
ჰქონდეს კაცს საკუთრებად, რა ცოდო და წინააღმდეგობა იქნება,  
რო აქამდენავე ჰქონდეს კაცს საკუთრებად, ოღონდ ზოგს კა არა,  
კველას და ერთნაირადაც საკუთარი სახლი, ვენახი, სახნავი, უყო-  
ლოს საქონელი და სხვა. მე მგონია, მაშინ უფრო ნამდვილი შე-  
თანხმებული ცხოვრება და ბეღნიერებაც დამყარდება ხალზში.  
ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც კველაფერი საყოველთაო  
იქნება.

— აა სწორედ მაგ საკუთრების ბრალია, რო ამოდენა უმანქო  
სასხლი იღვრება დღესა და შენც მოგაშორა შენ მამულს და  
მეისა და ბარვის მაგიერ, ადამიანების სისხლსა ჰლერი. კაცის თვა-

ლი და გული არასოდეს ან გამძლარა და არც გაძლება, რაც დიდი ქონება, საკუთრება ჰქონდეს, მაინც უფრო მეტად მართავს და ეძებს საშუალებას, როგორმე გაადიდოს თავის ქონება. ან სწორედ ომია ამისთანა საშუალება, გაუმაძლარი, ხსოვანი მიზნები ნაირ ხრივებს მიმართავენ ხოლმე, რო გამოიწვიოთ მარტინი მარტინ წაგლიჭოს სხვას მისი საკუთრება თავისითვის. გულუბრუკვილო მუშა ხალხი და გლეხეაცობა ჰქლეტენ ერთმანეთს, თითონაც ან იციან, რისთვის, მათი სისხლის ღვრით კი მდიდრდებიან ვაიპე-რები, ვაქრები და ჩარჩები. ასეთი დიდი ბოროტება და ზანი მოაქვს ქერძო საკუთრებას. შენ ეხლა შემოვახიან, თითქოს კიდეც გაჯერებენ, რო შენ მამულსა და მიწა-წყალს იცავო. ეგ ხომ ტყუი-ლია: საღ შენ და საღ შენი მამული შენ რო აქ ჩაგლაო, რას გარგებს მაშინ შენი ან სახლი და ან კარი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალია. მართალს ამობს ჰეტა. რა ოხრად უნდა კაცს მამულ-დედული, თუ თითონ ალარ იქნება!

— ჰეი, ლევან, შენ კი შეგასხა პეტომ ფრთხები გასაფრენალ ქურდს რა უნდაო და ბნელი ღამეო. ისეც გეზარებოდა და გეპირ-ვებოდა აქ ყოფნა და ახლა რაღას დადგები აქა! მაგრამ ამაში მეც ვეთანებები ჰეტას. განა მე არ მესმის, რო დიდი უბედურობაა უე-ლა ჩვენთვის ეს ომი, მაგრამ განა ამათებური წესი ცხავრებისა რო დაწესდეს, მაშინ კი მოისპობა ომიანობა და სისხლის ღვრა! ჩემი ფიქრით, მაშინ უფრო გახშირდება და გადიდდება სისხლის ღვრა, მაშინ შინაც, ერთმანეთშიც გვეკნება ასეთი სისხლის ღვრა. ერთმანეთში იქნება გაუწყვეტელი ომიანობა.

— ეგ შინაური ომი აუცილებელია და სოციალიზმი მავ ომი-საკენ მიისწრაფის. ეგ სისხლის ღვრა და სასტიკი ომი უნდა მოხ-დეს მთელი ქვეყნის კლასთა შორის, ომის მიზანი ის იქნება, რომ ყველა მესაკუთრე ბურჟუაზიას ჩამოერთვას საკუთრება, რომ გა-ნაწილდეს ყველაზე თანამწორად და ამით დაგვირგვინდება სო-ციალიზმიც.

— ეჭ, არც ისა და არც ეს! კაცის ბუნება თითონა ყოფილა ასეთი თვისებისა, რომ უჩეშებოთა და უდავიდარაბოდ ვერ გა-მომდგარა და ვერ გაუძლია, თორემ აქ საკუთრება აჩაფერ შეა-შია. რა აქვთ, თუნდაც ავილოთ, გასაყოფი ერთმანეთში ყარაჩებს. მაგრამ მე რო იმათი ჩეუბი მინახავს, ი ბავშვებივით რო სცემენ ერთმანეთს, იმისთანა ღმერთმა ყველა იფაროს. საკუთრება მოის-

პოს, მაინც ჩხუბი, დავიდარაბა, ჩემი ფიქრით, არამოგეს  
დაილევა ხალხში. შინ თუ გარეთ ომიც, სისხლის ღვრაც სურალე-  
ლივ იქნება.

— შენ რაც გინდა თქვი, ლექსავ, და მე კი სრულია შეკრისტიანი  
ბი პეტას, ვენაცვალე მე იმას შიგ სულის კლიტეში.

— რამდენჯერ მითქვამს შენთვის და გამიმეორებია, ლექსავ,  
რომ სოციალიზმის მნიშვნელობა და შინაარსი ვერ შეგიგნია ჭრა  
და იმისათვის არა გჯრა ის, რაც სოციალიზმით დამყარდება  
ხალხში.

— რა ვიცი, იქნება შენ მართალი იყო, მაგრამა ერთი ეს მაჟ-  
ვირებს შენიცა და სოციალიზმის, მნიშვნელობისაც: მამულის  
პატრონს მამული უნდა ჩამოერთვას და რამდენი ვაჭარი და სოვ-  
დაგარია, რო სიმდიდრეში კუსტბალაობს, ისინი კი ხელუხლებელი  
უნდა დარჩენენ! ეგ ხო დიდი უსამართლობა იქნება, რო მე ერთი  
ბოხსა მიწა ჩამომართვათ და მისცეთ, ვისაც არა აქვს და ვისაც  
ფულად მილიონები უწყვიათ, იმათ ხელს აფარებთ და იცავთ მათ  
მილიონებს. მართალია, შენ იმათაც ახსენებ, მაგრამ ფულების  
ჩამორთმევაზე არაფერს ამობ.

— განა იმათ კი შერჩებათ? იმათაც ჩამოერთმევათ ყველაფე-  
რი და ისიც საყოველთაო გახდება, მაგრამ ჯერ მაგისი დრო არ  
არის. ჩვენ გვინდა ჯერ ზურგი გავიმაგროთ მათთან საბრძოლ-  
ვილად.

— მაშ, დაბალი ლობე მოგვნახეთ, განა!

— ზურგი კი მაშინ გაგვიმაგრდება, როცა თქვენც — ყველა  
მამულის პატრონები პროლეტარებად გადაიქცევით, ესე იგი არც  
სახლი, არც ქარი, არც დედულ-მამული და არც სხვა რამ საკუთ-  
რება გებადებათ. მაშინ ყველანი შეერთდებით, საერთო ძალით  
შეებრძოლებით კაპიტალის პატრონებს და მათ კაპიტალებს სა-  
ყოველთაო კუთვნილებად გავხდით.

— აյ, ბრძოლა აღარ იქნებათ.

— ეგ სულ სხვა ბრძოლა იქნება, ეგ — კლასობრივი ბრძოლა  
იქნება.

— ეჲ, ვერაფერი გამიგია: ზოგი ბრძოლა ბრძოლაა, ზოგი კი  
კლასობრივი ბრძოლაა.

— მე კი ყველაფერი გავიგე, ლექსავ, ვენაცვალე პეტას შიგ  
სულის კლიტეში, სულ ჩემი გუნებისას ლაპარაკობს. მაშ, ლევანა

მოგიყდეს, თუ მაგისი პირველი მიმდევარი და მომხრე არ გავდე.

— შენ ხო აი რა დაგიღება წინა, მაგრამ რაც მოსაწოდომი მის გათი, კი მეც მომწონს — ეს პიროვნული თავისუფლები, შემოღება. ამაზე დიდი სიამოვნებით მოვუწერ მეც ხელჭრ ჭრების მისითანა დროს, თავისუფლად შემეძლოს სიტყვის წარმატებულ ბურთით არავინ ჩამჩაროს, სიმართლე მათქმევინონ ისე, რომ არავინ დამსაჯოს. წამდაუწემ არ მეფიქრებოდეს და არ მელანდებოდეს, რო აი ეხლა ან გზიზი, ან ისაული უმიზეზოდ კისერში წამითაქუნებს. აი თუ ამას აგვაცდიდნენ, მართლა დაამყარებენ ასეთ თავისუფლებას, რო არავინ არ შეგვახოს ხელი — ეს დიდი და დიდი ბედნიერება იქნება ჩვენთვინა.

— თუ ეგ შეიგენი, შემდეგში ყველა იმასაც შეიგნებ, რაზედაც გელაპარაკებოდი და კიდევაც იხილავ თვალით იმ ბედნიერებას, რასაც ჩვენ გიმზადებთ.

— ღმერთმა ბრძანოს!

— თქვენ მარტო მიიღეთ, დაიჭერეთ, რასაც გეუბნებით და გამოვყევით უკან საითაც წაგიყვანთ.

— მე პირველი გამოვყები, პეტავ, მე. მაშ, მოგიყდეს გარბოდას ბიჭი, თუ მართლა არ გეუბნებოდე! ეხლა რამდენს ჩემისთანა თავალებულ ბიჭს გიშვინი!

## IX

— ბატონებო, მე თქვენ შეეგრით დღეს უმაღლესი მხედართმთაერის დეპეშის მოსახსენებლად და მისი შინაარსის შესახებ სათაობიროდ. აი, ეხლავ წაგიკითხავთ მას შტაბის უფროსი. თქვენი აღმატებულებავ, გთხოვთ!

— ჩე კორპუსის უფროსს — „თქვენი ყოფმანი დიდად მაჟივირებს. დროა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგათ: სიმაგრე „ა“ ორი კვირის განმავლობაში აღებული უნდა იქმნეს“.

თითქმის ხუთმა წუთმა განვლო სიჩუმეში დეპეშის წაკითხვების შემდეგ. ბოლოს სიჩუმე ისევ კორპუსის უფროსმა დაარღვია.

— უნდა გამოვიტყდეთ, ბატონებო, რომ მართლაცდა კუს ნაბიჯით მოდის ჩემდამი რწმუნებული კორპუსის მოქმედება. ძლიერ შორს ჩემოვრჩით ჩვენი ამოცანის შესრულებაში. რას იტყვით თქვენ!

— თქვენო აღმატებულებავ, ნება მიბოძეთ პირუთვნელად მო-  
ვახსენოთ ჩემი აზრი საქმის გარემოებაზე.

— თქვით!

— თქვენო აღმატებულებავ, მართალია, არავისა გვიშენ და ი-  
ლება განვსაჭით სიტყვანი და მოქმედებანი უფროსისა, უმუშულესისა  
ტეს უარვყოთ მისი ბრძანების შესრულება, მაგრამ მაინც უნდა  
მოგახსენოთ, რომ უკმაყოფილება და შეფასება ჩვენი მოქმედები-  
სა, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მიერ, აგრეთვე თქვენის-  
მხრივაც, სამართლიანია. მაგრამ ბრძანების შესრულება ორი კვი-  
რის განმავლობაში, ჩემის ფიქრით, ვნებისა და ზარალის მეტს არაფერს მოგვიტანს.

— ბრძანება რის ბრძანებაა, თუ არ შესრულდება იგი დაუყოვ-  
ნებლივ? და კიდეც უნდა შევასრულოთ. რაც შეეხება ჩვენს ყო-  
ყმანობას და უმოქმედობას, ეს სრული ჰეშმარიტებაა. აბა რა  
გავაკეთეთ აქამდის? სხვისა არ ვიცი, მაგრამ ჩემ დივიზიას არ  
დაუმსახურებია მაგისთანა საყველური, ყველა სხვა მის მოქმედე-  
ბებს რო თავი დავანებოთ, მარტო ისიც კმარა, რო ორი თვის  
მანძილზე მტრის სამი შესანიშნავად გამაგრებული სერი აიღო  
ჩემმა დივიზიამ და წინ წაიწია მტრის ტერიტორიაზე ას ოც ვერს-  
ზე. მეტიღა მოეთხოვება იმ ჯარს, რომელიც სამ-სამ დღეობით და  
ხან კვირაობითაც კი არამცუ ცხელ საქმელს, ხმელ ცხობილსაც  
კი მოკლებულია, ტიტველი და შიშველი იბრძვის თავგანწირულად.  
ამისთანა გარემოებაში მყოფ და მაინც კიდევ თავის მოვალეობის  
პირნათლად და წარმატებით აღმსრულებელ ჯარს რო უმოქმედო-  
ბას უკიდინებენ, სამართლიანად არ მიმაჩნია.

— თქვენო აღმატებულებავ, — ამობს წყენის კილოთი კორ-  
პუსის უფროსი, — ნება მიბოძეთ მოგაგონოთ, რომ თქვენ უკველ-  
თვის მეტისმეტ გულშემატკიცრობას იჩინთ ჯარისკაცებისადმი და  
ძლიერ ჭიოგავთ მათ. ეს ჩვენი სამხედრო საქმისათვის მეტად მავ-  
ნებელია. რა თქვენ მარტო! საზოგადოდ შემჩნეული მაქს, რომ  
უკველა უფროსი ჩემი თანაშემწენი და მახლობელი ხელმძღვანელი  
ჩემი კორპუსისა ძლიერ გულშემატკიცრობათ ჯარისკაცებზე. თქვენ  
რომ არ უფრთხილდებოდეთ ხალხს და სადაც საჭიროა, იმეტებ-  
დეთ მათ დაუზოგავად, გარწმუნებთ, რომ ორ თვეში ას ოც ვერსს  
კი არა, სამას ვერსს გაივლიდით თქვენი დივიზიით მტრის ტერი-  
ტორიაზე. მე რომ სიმართლე მათქმევინოთ, სარდლის გულში

გულჩვილობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ხოლო გულჩვილი იყო-  
მიანს — სარდლების რიგში.

— თუკი არ ვვარგივარ და საქმისათვის მავნებელი ვარ, დღე-  
ვი დავანებებ თავს სამსახურს, მაგრამ ამასთანავე არ შემრტფულავარ  
გამოვთქვა ჩემი გაკირვება მაზედ, თუ რა სარგებლუბლივ შეუძლია საქმისათვის იმ გარემოებას, როცა იყლიტება ხალხი  
ტუილუბრალოდ და უშედეგოდ, როცა და სადაც საჭიროა ჯარი  
ერდეც იბრძვის თავეგანწირულად, საქმეც კეთდება და შესიაფერი  
მსხვერპლიც ეწირება საქმეს. უმსხვერპლოდ საქმე არ გაეცილე-  
ბა, ხოლო საქმის გაუკეთებლად მსხვერპლის შეწირვა მოუტევებე-  
ლი დანაშაულია! სხვა რომ არა იყოს რა, მე ვერ დავიმძმებ სვინ-  
დისს, მითი, რომ ტუილუბრალოდ, სადაც არ არის საჭიროება,  
გაულეტინო მტერს ჩვენი ჯარი და როცა და სადაც საჭირო იქნება,  
იქ კი აღარ მყავდეს საქმიან ხალხი.

— წმინდა რუსეთში არ გამოლეულა და არც გამოილევა ხალხი;  
აა, ნიკიფორ მატვეიის დივიზიას მესამედილა დარჩა „ბ“ სიმაგრის,  
ალების ღროს, მაგრამ ერთ კვირაზე ისევ შეივსო მთელი დივი-  
ზია! ვამობ და ეს ყველაზ იციო, რომ რუსეთი ხალხთმრავალია და  
მაშასადამე, სრულიადაც არ უნდა გვეშინოდეს იმისი, რომ ხალხი  
შემოგვაკლდება როდისმე, რაც მართლა დასახოვავია — ეს  
იარაღია; მე ნამდვილი წყაროებიდან ვიცი, რომ თოფებზე, რომე-  
ლიც ისე ნაკლებად გვაქვს, რომ თითო თოფზე ორი-სამი კაცი  
მოღის, არავინ ზრუნავს და არ უფრთხილდება მათ. ეს, ჩემი ფიქ-  
რით, პირდაპირ სამშობლოს ღალატია, რდგანაც თოფი და სხვა  
იარაღიც და სამხედრო სურსათი სახელმწიფოსი და ხაზინის სა-  
კუთრებაა. იარაღის დაზოვას უმალესი მხედართმთავარიც  
გვიბრძანებს და ნუთუ არ უნდა ავსრულოთ მისი ბრძანება? რაც  
შეეხება მეომრებს და ნამეტნავად დაბალ ჯარისკაცებს, იმათ თავ-  
ზე ხელის გადასმა არა სკირია, არც არგებს ეს მათ და არც არავინ  
შევგაქებს და მაღლობას არ გვეტყვის ამისათვის. აი ნიკიფორ  
მატვეიიჩა დაუზოველად შესწირა მსხვერპლი და საქმეც კარგი  
გააკეთა, ჭილდოც კარგი მიიღო და მაღლობაც დიდი დაიმსახურა,  
როგორც ჩემგნით, ისე უმალეს მთავარსარდლის მხითაც. თქვენ.  
რასაკირველია, კარგად იციო, რომ მსხვერპლის რაოდენობას  
მნიშვნელობა აქვს დიდი საქმის დაფასებაში: როცა მსხვერპლი  
ცოტაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის ძალა სუსტი იყო

და მისი გატეხა მაგრე რიგად არ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო მაგ  
მსხვერპლი დიდია და საქმეც გაკეთებულია, ეს იმის მაჩვნეობა  
ლია, რომ მოწინააღმდეგის ძალა დიდი იყო და მაშასაზე მაგრე დიდი  
დიდი მსხვერპლი აძლევს დიდ ფასს შესრულებულ საქმეც, რომელ  
დიდი სახელი, დიდი ჭილდო და წარმატება საქმის მოწინეობა.

— ნიკიფორ მატევეინის დაუნის გვირგვინი არავისა გვშურს.

— რაც ითქვა აქ, ეს ყველა სხვათა შორის ითქვა. იმდედი მაქვე,  
ვისაც შეეხებოდა ნათქვამი, ყველა სახეში იქონიებს მას, ეხლა კი  
ესპობ გარეშე საგანზე საუბარსა და ვსვამ პირდაპირ, სიმაგრე  
„ა“-ს აღების შესხებ, რისთვისაც მოგოწვიეთ თქვენ. სიმაგრე რომ  
უნდა ავიღოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამაზედ ორი აზრი არ  
შეიძლება, მხოლოდ როდის უნდა ავიღოთ, როდის მივიღეთ  
იერიშე და ან რა წესით — აი ამაზედ გთხოვთ ყველას გა-  
მოთქვათ თქვენი აზრი.

— ნება მიბოძეთ, თქვენი აღმატებულებავ, კიდევ გავიმეორო,  
რომ ჩემის ფიქრითა და შეუჩუპეველი აწმენით, ორი კვირის გან-  
მავლობაში შეუძლებელია სიმაგრის აღება. ხალხი, როგორც  
მოგახსნეთ, სიცივით, შიმშილით, სიარულით ისეა შეწუხებული  
და ნიათგამოლეული, რომ ჯერ საჭიროა მათი ჩაცმა, დახურვა,  
ფეხი შემოსეა, ხანგრძლივი, ერთი თვე მაინც, დასვენება, რიგიანი  
და მაძლრისი სასმელ-საჭმელი ამ დასვენების დროს, რათა ჯანსა  
და ღონიშე მოვიღნენ, რომ მსხვერპლი ცოტა იყოს, ნაყოფი კი  
დიდი.

— თქვენ, თქვენი აღმატებულებავ, კიდევ თქვენსას გაიძა-  
ხით... მე არა მწამს მსხვერპლის დაზოგვა. მსხვერპლის დაზოგვით  
ჩვენ ფონს ერ წავალთ. ორსა და სამ თვეს რომ ვიცადოთ, რა  
ცცით, რომ უფრო ცუდ გარემოებაში არ ჩავცივდებით სურსათის  
მხრივ?

— თქვენი აღმატებულებავ, მეც მიბოძეთ ნება მოგახსნოთ  
ჩემი აზრი, როგორც გარისკაცების მახლობელი პირისა და პირ-  
დაპირი მათი უფროსისა.

— თქვით.

— მეც სრულიად ვეთანხმები მათ აღმატებულებას დივიზიის უფ-  
როსს. ჯარმა ჯერ უნდა დაისვენოს უთუოდ, სული მოიბრუნოს,  
გათბეს და გაძლეს ცოტაოდნად მაინც. ვიდრემდის იერიშის მიტა-  
ნას შეუდგება, თორებ მსხვერპლი უშედეგო იქნება, ხალხს ტყუ-  
ილუბრალოდ მივაჟლეტო და სიმაგრეს კი ერ ავიღებთ.

— სიმაგრის აღებაზე თქვენ არხეინად იყავით, ბატონო / აკოდ-  
კოვნიო. გვიპრანებენ და უნდა ავილოთ სიმაგრე, როდა ათ უნდა  
დაგვიჯდეს. ეს გადაშევეტილი საქმეა, მხოლოდ რომ გაიძახი,  
თქვენც და აღექსანდრე ნიკოლოზის ძეც გათბობას ფრთხოების  
აბა საიდან და რა საშუალებით მოვახდებო ეს, როგორ გადაწყვეტილ  
მობჯენილი. მე დიდი ხანია უებრძანე კორპუსის იატენდანტს, რომ  
სამოსიცა და საკვებიც უზრუნველყო მთელი კორპუსისათვის,  
მაგრამ მას ვერაფერი გაუშევია.

— თქვენო აღმატებულებავ, არ უნდა და იმიტომ ვერ გაუ-  
შევია. მთელი გორები დგა სურსათ-სანოვაგისა და ტანისამოსისა  
ჩვენ ზურგს უკან. აქ კი სიცივით და შიმშილით ვიხოცებით. თა-  
დარიგიანი კაცი რომ იყოს კორპუსის ინტენდანტი და ჭარისეკაცი-  
სათვის შესტყიოდეს გული, უფრო მეტად ვიდრე თავის ჭიბასათ-  
ვის, ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

— გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, პიროვნებას თავი დაანე-  
ბოთ და საქმეზედ ილაპარაკოთ. თქვენ რომ ახსენეთ ტანისამე-  
ლისა და სურსათის გორები, ის გორები ჩვენგან დიდ მანძილზედა  
დგა და გშები კი არ არის, ამ რა უშლის ხელს საინტენდანტოს,  
დროზე მოგვაწოდოს სურსათი და არა გიბეზე ზრუნვა.

— სიმაგრის აღებასთან ერთად გადახლართულია სწორედ კა-  
თხვაც მავ დაშევლილ სურსათისა, — მოახსენა კრებას შტაბის  
უფროსმა, — საქმე იმაშია რომ, როგორც საიდუმლო მოხსენება-  
დან შევიტყეთ, მტერი გვიპირებს ზურგიდან მოვლას და თუ ჩვენ  
დავაყოვნებთ „ა“ სიმაგრის აღებას, იგი ძლიერ აღვილად შესრუ-  
ლებს თავის განზრახვას. მაშინ ჩვენ იძულებული შევიქნებით სი-  
მაგრის აღებას თავი დავანებოთ და უკან დავიხიჩით და მთელი ის  
სურსათ-სანოვაგ-სამოსის მარაგი მტერს ჩაუვარდება ხელში, რაც  
დიდ კოზირს მისცემს მტრის ტიტველა და დამშეულ ჭარს, ამისათ-  
ვის მეორე კითხვად უნდა დაისვას, როგორ მოვექტეთ დამზადე-  
ბულ სურსათს, თუ ვინიცობა არის მტერმა თავისი განზრახვის  
ასრულება გვისწრო.

— ჯერ ვსვამ პირველ კითხვას. გთხოვთ, ყველამ გამოთ-  
ქვათ თქვენი აზრი, რამდენი კაცი იქნება საჭირო, რომ შევწიროთ  
სიმაგრის აღებას. შტაბის უფროსის გმოკვლევით, ოცდაათი  
ათასი კაცია საჭირო, მე ორმოცი თასი შემიწირია.

რამოდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ რას იტყვით, ნიკიფორ მატვეიჩი?  
— მე სრულიად გეთანხმებით, თქვენო აღმატებულებავ.  
— ახლა დრო?  
— დრო როგორც მოგანსენეთ, ორი თვეა საჭირო და არა და გადა  
ერთი მაინც აუცილებელია მომზადებისათვის, თქვენი აუცილებელი და გადა

— ჩვენ ვერ გადავალთ უფროსის ბრძანებას და ვერც ჩავი-  
დენთ ამას. სიმაგრის ალება ორ კვირაზე ადრე შეიძლება, მხოლოდ  
გვიან კი არა. უმჯობესი იქნება ჩვენ პასუხისმგება ავიცდინოთ თა-  
ვიდან უმაღლეს მთავარსარდლის წინაშე, ვიდრე პასუხისმგებაში  
ჩავცვივდეთ. ერთიც ვნახოთ, ორი ან ერთი თვის განმავლობაში,  
როცა ჩვენი ჯარი შესვენებაში იქნება, მტერი ზურგიდან მოგვეჩეცა  
და იძულებული გაგვხადა უკან დავიხიოთ, ან ვთქვათ შევასვენეთ  
ჯარი ორ თვეს, მივიტანეთ იერიში და კი ვერ ავიღეთ სიმაგრე,  
მაშინ პასუხისმგებელი მარტოდმარტო მე ვიქნები, რადგანაც  
დამწამებენ, რომ ხელსაყრელი დრო და უამი გავუშვი ხელიდან  
ყოვმანობითა და ჯარის დასვენების გამო და თუ უმაღლესი მხე-  
დართმთავრის მიერ დანიშნულ ვალაზე შევუდგებით საქმეს, თუნდ  
მარცხიც მოგვივიდეს, მაინც პასუხისმგება თავიდან ამეცლება.  
გიბრძანებთ, მოამზადოთ ყველამ თქვენ თქვენი ნაწილები და  
დღეიდან ერთი კვირის შემდეგ შემუშავებული გეგმით, რომელსაც  
შტაბის უფროსი თვის დროზე გაღმოგცემთ, მივიტანოთ იერიში  
სიმაგრეზე.

— ეს საკითხი უკვე სავსებით ამოწურულია, — აცხადებს შტა-  
ბის უფროსი, — ეხლა, თქვენო აღმატებულებავ, უნდა დაისვას  
მეორე კითხვა: როგორ უნდა მოვექცეთ დამზადებულ სურსათს,  
რომ მტერს არ ჩაუვარდეს ხელში, თუ ვინიცობა არის, ჩვენი საქმე  
ცუდად წავიდა, ან მტერმა ზურგიდან მოგვიარა?

— გთხოვთ, ბორის ალექსანდროვიჩ, შემოიწვიოთ კრებაზე  
კორპუსის ინტენდანტი, იმან მოგვახსენოს ჯერ თავისი აზრი  
და გეგმა.

— ბატონო ინტენდანტო, რადგანაც ეხლა გვექნება ლაპარაკი  
იმ საქმეზე, რომელიც თქვენ შეგეხებათ და რომელშიაც თქვენ უუ-  
რო გამოცდილი ხართ, ამისათვის მოგიწვიეთ, რათა თქვენი აზრიც  
გავიგოთ. ჯერ ეს გაგვაგებინეთ, სურსათი დიდი ძალია და ან რა  
ლირებულებისა იქნება დაახლოებით?

— Տամ ճանաչեցուլցեած։ Իզեն Շեմցորկ։ Հա Ռուբեն քարի մէջ  
տաճ հայենեած առա նայլց եղումցերո մոլուսնուս։

— Վոնուրածա Սյան ճանաց մոցցութցեած քարսա, և Ասմադյան  
օնթարտ, հռմ սուրսատո մըրէրս առ հայուարգուս? Մարտի 13 Եպալու

— Եյցենո առմարտեցուլցեած, ու աետո և ամ աշխարհական պատրիարքութիւնը և նշանը, մը Տավորած մոմահինու եկեղաց ճազութիւնը հունաց և գալարան  
Սովոր Սմիթար աղջուլաս, մաշրամ ամ մերոց լուսո ճածրյուլցեած  
մըլութեած յրուծատա և յալոյժու յացմուրուս և Ռուբենու իշխանութիւնը և յանցուածութիւնը իշխանութիւնու մերոց, և առաջանաց յաճարան-  
յաճմուրանու գրուս յուտանեմութեած օմացու հիշեն Շորուս և յու յո  
լուսած յայումուս յայցու յրուծնաօրաց եկելս. ամուստան յարմութեածուն  
ուրու տպաց յու առ յամարտ, հռմ յորիկուսուսատցուս և ամիշալցեցուլու մուլու  
սուրսատո յսագործեած աջայուլաս յաճազուրանու.

— Են և մոցյունդատ, են և առ Սնդա Ռայլուտ Սյան, ու քարսա-  
տցուս և ամիշալցետ և մուրանյետ, և արում առ այցուու աելացո  
միոյր քարս?

— Եյցեն, Եյցենո առմարտեցուլցեած, Սուսուգ Սնդա յամուսինուտ  
Ռունաօլմցուցու յայցուայցութիւնը և առաջանուտ աշխարհու մէջումարյ-  
ած! Մըց յուտեարուտ և տուտոն յորիկուսուս օնցունդանքմաց, հռմե-  
լուց հիշենեյ Սովոր յամուլութիւնը և հիշեցուլու ամ Տայմեթի, հռմ  
Մյուշելցեցու յայցուածուս յամու մոյտուցու քարշեածուցուս օմանշեց  
մըրու Սուրսատ-Տանուացուս, և ասաց յեկա աերեցեծ. Մը մայզուրցեած  
Եյցենո ճայոնեած, միոյրու քարու. Վեր և ացցետանեմեծուտ օմանշե,  
հռմ յորիկուսուս միոյրու առուս.

— Եյցեն առմարտեցուլցեած, ու յեկա ծեցնուրու յար, հռմ  
յորիկուսու գոցունիուս յայցուրուսուն, յայցուն և յայցուն ծարալունուս  
և առույնուս յայցուրուսու յոյսաց և յարցաց յար հիշեցուլու քարսյացուս  
ովսոյշոլուցուածու, մուս տերուլցեցու յոնց-Եւերցեածու, և ճայոնեցուտ  
մոցածեցնեցտ, հռմ քարս Վահա, քարս Շոմշել-Ծորտցու, քարս  
Սոյու — յու եռմ սեցեմաց ճայոնութիւն. և ատա եցեց յու? օմուսատցուս,  
հռմ Տանցունդանքուս, Ռուբենու յարուս և ամուսնուս Տանցուածութիւնը և  
յրուծատա և յալոյժու յացմուրուս Ռահմումացցունդանքու յրուծմանցութիւնը յայց  
մորոցցեցուլան, մարտու հիշունս և ճայցամու առմեցեն և առենցեցն  
ճռցեցն. Ենրացուն օգոյշուցես, հռմ քարսյացութիւնը յայց եցայցն ամաս

\* Եյցուրու — յալոյժուս և յրուծատա յացմուրու, և օմուսատցուն առցունցութիւնը այցեցուլու այցեցուլուն.

და ვერა გრძნობენ, თუ რა ხდება და რა გარემოებაში იქცოვენ  
 მათდამი უყურადღებობის გამო. ყველა ამას კი დიდი ზერმძნელი  
 გავლენა აქვს მათზე, მათი ბრძოლის უნარიანობის მაჩილურების/  
 მხრივ. მოვალედა ვრაცხ ჩემ თავს ეს უშიშრად გამოჭურული უჭირა  
 ძლიერ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ჯარისკაცები უჭირა  
 ვიდნენ უკიდურესი მოთმინებიდან. მართლაცდა რა ბრალი უდევს  
 საწყალ ჯარისკაცს, რომელიც თხრილების წუმპეში შეიერ-ტიტვე-  
 ლი ზის, რადგან საინდენდანტოს წითელ ჯვრის საზოგადოების  
 და ქალაქთა და ერობათ კავშირის წარმომადგენელნი დავობენ და  
 ჩემუბობენ ერთმანეთში! ჯარისკაცი იგვთივე ადამიანია, როგორაც  
 ჩვენ, განა ვინ არიან მავ დაწესებულებებისა და საზოგადოების  
 წევრნი, რომ ასე აბუჩად უგულვებელყოფენ ჯარისკაცს და არ  
 შესტკივათ გული მძივე მფარეველის, მცველისათვის? ისინი მო-  
 წოდებულნი არიან იზრუნონ ჯარისკაცის კვება-შემოსისათვის და  
 იმის მაგიერ, რომ მცირე ყურადღება მაინც მიაქციონ თავის მო-  
 ვალეობას, ყველას ემსახურებიან, ყველას ელოლიავებიან გარდა  
 ჯარისკაცებისა. იქ თავმოყრილმა ხალხმა დაივიწყა რისთვის გაჩი-  
 დნენ ეგ დაწესებულებანი, ნაცნობ-ნათესავებისა და ქრთავების  
 წყალობით მოქმედ ჯარის რიგებს თავი აარიდეს, იქ შეიხიზნენ,  
 საფარად გათხადეს და პირად კეთილდღეობისათვისლა ზრუნავენ.  
 რას ვხედავთ ჩვენ? დაუწესებიათ თავიანთვის მინისტრული ჯამა-  
 გირები, დასრუიალებენ მანქანებით ფრონტიდან ფრონტზე, რომ აი-  
 ღონ მივლინების ფურცლები, დღიური ულუფები, არიგებენ რა-  
 ღაც საიდუმლო, საეჭვო მახინაციებს, იჯიბავენ იოლად შეძენილ  
 ფულებს, დღე-ღამე საეჭვო მანდილოსნებთან ქვიფობენ თეატრებსა  
 და კლუბებში, კაფე-შანტანებში ფლანგავენ, ჯარისათვის კი შეთინ-  
 თხლავენ, უფრო თავის გასართობად და არა ჯარისადმი გულშემა-  
 ტევრობის გამო, რაღაც შეწირულებების კრეფას და მოაქვთ ფრონ-  
 ტზე იგივე საწყალ ხალხისაგან ძალადობით წაგლეჭილი რაღაცა  
 ნივთები. ჯარისკაცთათვის გამზადებულ სანოვაგეს კი ან თითონვე  
 დაიტაცებენ, ან დააგროვებენ საწყობებში და ალპობენ იმის მაგიერ,  
 რო მიაწოდონ დამშეულ ჯარს. ესაა მათი სამსახური? ჯარისკაცი კი,  
 რომელიც სამშობლოსათვის და საუბედუროდ, ამ უსვინდისო  
 მუქთახორებისათვისაც, მშეირ-ტიტველნი სისხლს ლვრიან. თავს  
 სდებენ ბრძოლის ველზე. შეიძლება, გაჩუმდეს კაცი და არ ამოიღოს  
 ხმა აღშფოთებულ გულის სიღრმიდან?

— თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ არა გვაქვს უფლება უწყების შინაურულ საქმეებში ჩავერიოთ.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, ეს არ არის შინაური სხვა უწყებისა...

— მე გკრძალავთ და აღარ გაძლევთ ნებას გააჭირებულოთ ზედ სიტყვა. აბა, თქვენ, ბატონი ინტენდანტო, რა აზრისა ხართ მაინც ამ საქმეზე? როგორ ფიქრობთ, როგორ მოვუაროთ საქმეს, თუ ვინიცობაა, ვერ მოასწარით მათი გადაზიდვა უშიშარ ადგილზე, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე არახელსაყრელ გარე-მოებათა წყალობით უკან დახევა მოგვიხდა?

— ჩემის ფიქრით ერთადერთი საშუალება, რომ მტერს არ ჩაუვარდეს ხელში ჩვენი საშუალების მარაგი, წავუკიდოთ ცეცხლი და გადავწვათ, რაც ვერ მოვასწარით და ვერ გავიტანეთ უშიშარ ადგილზე.

— ი, ბრძნული გამოსავალი. ვითომ ჯარები გვიკვებია მა-ძრისად და ჩაცმულ-დახურულები გვყოლია. დაწვას ის არ ემჯო-ბინებოდა, რომ მოგვეხმარებინა მათი დანიშნულებისამებრ, ესე იგი გვიკვება ჯარი, შეგვემოსა თავის დროზე. ან რატომ ეხლა მაინც არ შევმოსოთ და გამოვკვებოთ, დაწვას ეს უფრო არ აჭობებდა?

— თქვენო აღმატებულებავ, იქამდის მოგვაძეზრეთ თავი თქვე-ნი წუწუნით და დაუსრულებელი წინააღმდეგობებით, რომ იძუ-ლებული ვარ, გამოგიცხადოთ, რომ მე თქვენთან სამსახური აღარ შემიძლიან.

— მოხარული ვარ, თქვენო აღმატებულებავ! ის ხომ შემჩერა, რომ სინდისის შეუბლალავად წავალ იქედანა.

## X

— კაცო, იობი, შენ გეცოდინება, კაცო, იმის გულის მოპასუხე ხარ... ი ალექსაი, რა დაემართა, რო ასე ჩამოხმა და აღამიანის ფერი აღარ ადევს?

— აბა, მე რაღა ვიცი, კაცო? მეც არაუერს მეუბნება. აგვრა აქითენ მოლის და აბა შავუჩნდეთ როგორმე, კაცო, ეგები გამო-ტყდეს რა დაემართა.

— ბიჭო, ლექსავ, ეს კი იყო შენზედ ვლაპარაკობდით ეხლა.

რა მოგივიდა, კაცო, არ იტყვი? რო ჩამოხმი ჩონჩინებითა და გა  
ჩუმებულხარ მუნჯივითა, უძიშეზო ხო არ არი? შენ ვინ და დოკოდ  
და დალონება! ველარა გცნობთ ამ ბოლო დროსა. უროკი და დოკოდ

— ეშ! ძმაო, მეც კი მინდა მოგივდებინო თავიდამ და გარებულებულ  
შოღმა, მაგრამ რო ვერა მომიხერხებია რა.

— იმ სახლ-კარამოწყვეტილებმა რაზე ჩაგახარეს ი შენი ირმა-  
ხარის დაკვლაი, რა სამახარობლოს მოელოდნენ!

— ჰაი გიდი! განა იქამდინ გამიწყრა და გამირისხდა ღმერთი,  
რო მე ჩემი ირმას ხორცი პირში ჩაუშვი!

— არცოდნა — არცოდვა არისო, იტყვიან. შენ ხო არ იცოდი,  
რო იმისი ხორცი იყო, რო ვამდი?

— რატო შხამად არ გადამექცა, რა წამს პირში ჩავიდე! ეს,  
ჩემი ირმა აღარ სხოვს ბალახსა! მაგრამ იცი, იობი, ირმას დაკარ-  
გვა აღარ მაწუხებს ეხლა ისე, როგორც სხვა დარდი და ბოლმა.  
მე ის საწყალი თათარი ვერ ამომილია გულიდამა, იმ თათრის  
მოკვლა მაწუხებს. იმის სახე ყოველ წამს თვალწინ მიდგა, კაცო,  
და აღარა მშორდება.

— ეე!.. შენ კიდე? რას ჩააცივდი, კაცო, ი თათარსა და აღარ  
ეხსნები?!?

— მე კი არა, იობი, ის აღარ მეხსნება. აი, აგერ ეხლაც თვალ-  
წინ მიდგა ის საცოდავი ისევ ისე, როგორც მაშინ, ხიშტით რო  
გულ-მუცელი გაუცემირე და გაღმოატრიალა თვალები და ენადა-  
დუმებულმა იმ თვალების გაღმოტრიალებით მითხრა: შე ულმერ-  
თო, რაზე მომქალ, რა დაგიშავეო. ეხლაც გეუბნები, ყურებში  
გამწივის ის ხმაამოულებელი ხმა, ის ართქმული სიტყვები. მართ-  
ლაც და, აბა რაზე, რას გულისათვის მოვკალი. ვიცნობდი, მიცნობ-  
და, მამულ-დედულს მეცილებოდა და მედავებოდა თუ დედ-მამა  
შემიგინა, ან თუ და, ან რძალი გამიუპატიურა? რა დამიშავა, რო  
წუთისოფელს გამოვასალმე ის საცოდავი? ჩემმა მჩემ, ლამის  
არის ჩემ თავს აუტეხო რამე, ველარ მომისვენია.

— სწორედ მოგიცლია, ჩემო ლექსავ, რო მაგაზედა ფიქრობ  
და სინანულს ეძლევი. ომი მაშ რისთვის გაუჩენია ღმერთს, თუკი  
კაცი კაცს არ მოჰქლავს?!

— ვერ დამაჯერებს ვერავინ, გიო, რო ომი ღმერთს გაუჩენიაო.

— ღმერთს გაუჩენია თუ ეშმაქს, მე მაგას არ დაგიდევ და  
არც იმის რჩევაში შევდივარ, თუ ვის მოვკლავ და ვის არა. ერიპაა!

რამდენ თათარს მე მოვკლავ, იმდენი რო სინანულს მოვტყო თუ, სად წაგა?! ან შენ ი უბედური თათარის მეტი ერთი და ორი გისტუმრებია მოუსავალში? ოთხ-ოთხი ჯვარი რო გომშეცხებს მკერდსა, რის ნიშანია, თუ არა იმისი, რო მუსრს ავტორიზებული გადასახლება, რადა ნიშანია, თუ არა იმისი, რო მუსრს ავტორიზებული გადასახლება.

— აბა კიდეც ეს ჯვრები მამხელენ მე სიცუდეცუმაში და მაზიზლებენ ჩემ თავსა. რამდენადაც წინათ თავი მამქონდა და ცას ქუდად არ ვიმჩნევდი და დედამიწას ქალამნადა, იმდენად ეხლა მეჯავრება და მეზიზლება ეს ჯვრებიცა და ჩემი თავიცა.

— სწორედ გითხრათ, ბიჭებო, მეც კი შემეგავრა მას აქეთ, რაც ჩვენმა როტის უფროსმა თითონაც უსამართლოდ ჩამოიკიდა ჯვარი და თავის დენჩიქ\* სალდათსაც ჩამოჰკიდა. კაცო, საწყალმა ჩვენმა პარუჩიქმა წაგვიყვანა იერიშზე, თითონ წინ მიგვიძლოდა, კაცი ორი ტყვიით დაიკრა, იმას კი არაფერი და როტის უფროსმა კი რომელიც თურმე იმ დროს, როცა ჩვენ იერიშზე მივდიოდით, თავისათვის კაი ცხენებს არჩევდა მტრის მიერ დატოვებულ ჯოგიდან, სწორედ ამ საქმისათვის გაიკრა ჯვარი და თავის დენჩიქსაც ჩამოჰკიდა, აქაოდა და აფიცირებს კა საქმელებს გვიშადებსო. აბა, გინახავთ ვისმე, ბიჭებო, იმის ხელში თუნდა ცარიელი თოფი, ან სხვა რამ იარაღი, საწვნესა და ქაფქირის მეტი?

— ჰოდა, აბა, მოდი და გულგრილად უყურე ამოდენა უსამართლობასა და დარღვევას გულზე.

— რაც გინდა თქვი, ლექსავ, მაგრამ მაინც დიდად მაკვირვებს, მე და ჩემთა ღმერთმა, ამ ბოლო დროს შენი მაგნაირი შაცვლა, ვეღარ მიცენიხარ, კაცო. სოფელში ერთად გავიზარდენით, არც ექ დაგვაშორა ჩვენმა ყისმათმა ერთმანეთს და ერთიერთმანეთის გულის პასუხი ვიცით, მაგრამ რა ვიცი, ძმავ, შენ უწინდელი კი აღარა ხარ და. სად წავიდა ან შენი სიმხიარულე, ან შენი ვაჟეცობა?! თამაშობით და სიმღერით რო გადაერეოდი ხოლმე მტრის რაზმში და თხრილებში, თითქო მოსამკალ ყანას შერიაო.

— ვაჟეცაცობას არა პნიშნავს უსამართლობის ჩადენა, ჩემო იობი.

— აბა რა უსამართლობა ჩაიდინე, კაცო? თუ ი ოსმალოს ან სხვების მოკვლა გძეს სახეში, იმითვინ გაგვიწვიეს ომში, რო მტერს ღირსეული პასუხი გავცეთ, დავხოცოთ, დავამარცხოთ.

\* ოფიცირთან მომსახურებისათვის დანიშნული სალდათი.

— აბა სადა ხედავ მტერსა, თუ ლმერთი გწამს, იობი! ჩრთა  
პითხარ, რა გვიმტრეს და დაგვიშავეს მე და შენ, რა ბიუების  
უბედურებმა, ვინც ჩვენი ტყვიით და ხიშტით გამოესალმა წუთი,  
სოფელს? რას გვიშლიდა ის უბედური ადამიანი, რომელიც წუკლები  
სამშობლო სოფელში თავისთვისა ცხოვრობდა; ვინ ტყტლებიც წუკლები  
წელიწადი ეწვალა, ძლივძლივობით თავის ცოლ-შვილისა და თა-  
ვისთვისაც თავშესაფარი გაიჩინა და ჩვენ კი იმის გარდა, რო იძუ-  
ლებული გაეხადეთ დაენებებინა თავი სახლ-კარისათვის და სამ-  
შობლოსათვის და გადახვეწილიყ სხვაგან, თუ ცოცხალიდა გადუ-  
რჩა ჩვენ ტყვიას, რამოდენიმე წლის ნაშრომ-ნაშენები ქოჩიც კი  
სულ რამოდენიმე წუთში ნანგრევებად ვაქციეთ და ცეცხლის აღს  
მივეციოთ? ან რას გვიშლიდა ის საწყალი მწყემსი თუ მისი აღა,  
რომელსაც მთელი ცხვრის ფარა მოვტაცეთ, რას გულისთვისაც აი,  
ეს ორი ჯვარი მომცეს, ან მა რსმალო, ხიშტე რო წამოვაგე?

— მართალია, პირდაპირ ჩვენთვის არაფერი დაუშავებიათ, მაგ-  
რამა როცა ამხედრდნენ ჩვენზე, ალბათ დაგვიშავებდნენ რამეს  
და თუ დაგძალავდნენ, არ დაგვინდობდნენ, გამოგვისალმებდნენ  
სააქაოს.

— ვინ ამხედრდნენ? ისინი? შენც არ მომიქვდე! ჩვენ ვინ რა  
გვეითხა, რო იმისათვის ეკითხათ? ჰოდა აბა, ამისთანა ულმერთო-  
ბასა და უცოდმადლობას ჩაიდენს, რაც უნდა თავზე ხელალებუ-  
ლი ყაჩალი და მძარცველი იყოს? ბევრისათვის ხო ეს ბედის ხელობა  
შიმშილსა და სხვა რამ გაჭირებას თუ უსამართლობას ურგუნებია,  
გული შერისძიებით გაუვსია, მაგრამ ისინიც კი არ ჩადიან ამის მსაგას  
რამესაც კი. ვისთვისაც ხშირად შიმშილსა და გაჭირებას თუ უსა-  
მართლობას ურგუნებია ეს ბედი და ხელობა, ის პირდაპირ სახრ-  
ჩობელაზე აპყავთ, თუ ხელთ იგდეს და ჩვენ კი, — იქნება ბევრ  
ჩვენგანს, სოფელში ყოფნის დროს ჭიანჭველასათვისაც აურიდე-  
ბია ფეხი, არ გაუცემულებია სიბრალულით, — გვაქეზებენ, გვიბრ-  
ძნებენ, ძალას გვატანენ ჩავიდინოთ ასეთი უკუმართობა და  
უცოდმადლობა და გვაჭილდოებენ კიდევაც ამისათვის! საღ  
არის სამართალი და ცოდო-მადლი?

— ეი, ძან არ გაუცრია შენზე ი შენი ბიძაშვილის ლაპარაქსა.  
რა ვიცი, შვილოსან, მე კი ვერ შემიცვალა ვერაფერზე გული,  
ვერც მისმა და ვერც სხვების ლაქლაქმა და...

— არც ჩემი ბიძაშვილი და არც სხვა ვინმე აქ არაფერ შუაშია,

შენც რო ჩაიხედო გულში გონების თვალით, ბევრ რამეს დაინტერეს/ისეთს, რასაც აქამდის ვერა ხელავდი, მაგრამ უთუოდ შენ არ გინდა ეს; ვერც გაგამტყუნებ, ჩემო იობავ, ამაში როგორც ჩემ გულითად ამხანაგსა და მეგობარსა.. გაგიტუდები და უძრჭიშტფლიური ნაც არ დაემალავ, რო მე თითონ ზელომხანის ან სხვა გულიშტრიშტრიუპ ყაჩალის ხსენებაზე სულ ფათფათი მომდიოდა და ვნატრობდი იმათ ადგილას ვყოფილიყავ, რო ჩემზედ ალაპარაჟებულიყო ხალხი! ან როგორა მშურდა ხოლმე როცა სხვა ბიჭები იმარჯვებდნენ ომში და ჭილდობს იღებდნენ, მანამ ამ ოხერ ჯვრებს ჩამოვიყანებდი, მაგრამ ეხლა, რო ვხედავ თურმე ავაზაკობისა და ცუდეაცობისათვის მიცემდა გული — ავაზაკობა არ არი, მა რა ჭანდაბაა, რაც ჩვენ ამ ომის დროს ჩავიდინეთ.

— რას ამობ, ლექსავ, მაშ, კაცი ჩვრად უნდა გადაიქცე? რას ეგვანება, რო ვისაც კი მოეპრიანება, წიხლი ჩაგვცეს და გავთელოს! არა, ძმავ, მე ხელს ვერ მოგიწერ იმაზე, რო კაცი თავში მცემდეს და მე ლოყაც მივუშვირო. მართალია, სხვისა დარბევა და გაქელვა არ ვარვა და უსამართლობაც არის, მაგრამ როცა შენ გოელავენ და გარბევენ, ნუთუ ხელი არ უნდა გაანძრიო შენ სასარგებლოთა და სახსნელია!

— გავანძრევ კი არა, ზედ შევაკვდები ასეთ მტერს, თუ აღმოჩნდება საღმე. მაშ, რად მინდა ან ძალა, ან ღონე, ან თვით სიცოცხლე, თუ ასეთ მტერს არ გავუმელავდები ან ეხლა, ხელი რო მომიწვდებოდეს იმასთან, ვინც ეს ომი გამოიწვია და ატეხა, თვალებს მოვუკორტნილი. აა, ვინ იყო და რა არის ჩვენი ყველას მტერი და არა ისინი, ვისი სისხლიცა ვლვარეთ და ქონებაც დავანიავთ. გაგიხარიან, მე იმას თავბედს ვაწყევლინებდი, თუ ხელში ჩამოვარდებოდა. მაგრამა, როცა შენს უნებურად კი შეუგნებლად ყელზე თოქს გაბამენ და კერატივით დასაკლავად მიპყევხარ, ანჩხლი ძალლივით უდანაშაულო ხალხზე გისევენ — აა, სად არის უსამართლობა, უსვინდისობა და ულმერთობა და ნუთუ ეს აშერად არ უნდა დავინახოთ, დავგმოთ და არ შევებრძოლოთ თვით იმათ, ვინც ამისთანა უსამართლობასა და სისაძაგლეს პბადებს? მაგრამ, ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! რატო ასეთი ხალხი ვართ? განა ადამიანი ქვეყანაზედ გასაჩინი იყო, რომ გაუჩენია ღმერთსა?! დღეს გულჩილობითა და ცოდო-მაღლიანობით გაიქლინთები და სცდილობ ჭიანველაც კი არ გაჭყლიტო, მზათა ხარ პირიდამ ლუქმა გამოილო

და სხვას ჩაუდო პირში, ხვალ კი სიბოროტის ბეღლად გადაეცევა /  
და ცდილობ პირში სული გაუქრო იმს, ვისთვისაც გჭმინ ლუკა  
გინდოდა ჩაგედო იმავე პირში. დღეს უმანკო ბატყანი ხარე, ხაულ-ი  
მტაცებელ მგლად გადაიქცევი. განა ლირს კიდევ რაიმე წერილი ცის ე  
ამ ქვეყანაში, სადაც ასეთი ადამიანები ვცხოვრობთ? //

## XI

— ბიჭებო, აბა ერთი ცას შეხედეთ, წითელია არა?

— შენ იქნება შავი უკუნეთი წითლად გეჩვენოს.

— რა არ შაუქლიან, შე ოჯახეორო, ამოდენა შიმშილობასა? სამი დღე სრულდება დღესა, რაც პირში წყლის მეტი არაფერი ჩასულა.

— ბიჭო, თუკი წყალი მაინცა გქონდა, აშენებულხარ კაცი. ამობენ ურიები, როცა თურმე მარხულობენ თავიანთ მარხვასა, სულ ცარიელ წყალსა სკამენ, შიმშილს უკლავსო.

— ისე იმათ ოჯახში შევიდეს წყლის ლალა და უუათი. ✓

— კაცო, გაჩუმდით, ნუ ლაპარაკობთ მაინცა, თორემა ოქვენმა ლაპარაკმა სალერლელი უფრო ამიშალა.

— მე კიდე მგონია, რო ლაპარაკში გართობა დაგავიწყებს შიმშილსა.

— ახლა ერთი ჩვენებური ცივწყალა მჭადი მამცა, რო ერთ ლუქმად გადავყლაპო!

— ჰეი, შენც კი ინატრე სანატრელი. ისეთ რამეს მაინც ინატრებდი, შე ოჯახეორო, რო ან ადვილი შესასრულებელი ყოფილიყო, ან კიდენა ლირდეს ნატვრადა. ტყულად კი არ დაგვცინან — ქართველს ნატვრაშიაც არა აქვსო შნო. შე კა კაცო, ცივწყალის მაგიერ გამტკიცული შოთი გენატრა. ან უფრო ადვილად შესასრულებელ რამეს ინატრებდი. აი, თუნდა იმას, რო ერთი მკვდარ ცხენს ან ვირს წამოვდგომოდეთ ეხლა, ეს უფრო ადვილად აგისრულდებოდა.

— ეჰ, იმ დღეს კი არ წავაწყდით ახლად ფეხებ გაფშლეკალ ვირსა, რო დანა არ მქონდა და დავრჩი ცარიელი. არ ვიცი, არა მგონია მგლების ხრო ისე საჩქაროდ გაგლეჭ-გამოჭეჭდეს ლეშს, როგორც ი ბიჭებმა გაიკლ-გამოიკლეს, სულ ხელებს აჭრიდნენ

ერთმანეთს, მე კი ერთი ჩინჩიც არ დამანებეს იმ სახლურაო  
წყვეტილებმა.

— მერე? სჭამდი ვირის ხორცია, გიო, რო დაენებებინათ?

— რატომაც არა ვჭამდი, როცა კაცს სიმშილით ტურქული უკავშირი იდა. ეგ რა გიყვირს? „ნ“ რაზმის ბიჭებმა მითხრეს, ტაძრ შეკლას უკავშირი ცხენის ტყავებს ბალანს ააფხევავდნენ, ნაკუშ-ნაკუშ კრიდნენ და, როგორც ხაშს, ისე ხარშავდნენ და იმას აჭმევდნენ თურმე რაზმის დამშეულ ხალხსაო, სხვა რო არაფერი ჰქონდათ. იმას ხორცი არა სჭობია, რისაც უნდა იყოს... ყვავ-ყორანს, სვავებს, მელებსა და ტურქებს შო მუსრს ავლებენ თურმე.

— ვაი, ოჯახი კი დაექცეთ, რო თავი წაუბილწავთ! ისე როგო უნდა გადაირიოს და გაგიღდეს კაცი, რაც უნდა მშიერი იყოს, რო ლეშს — რისაც უნდა იყოს, ან ყვავ-ყორანს და მით უმეტეს ცხენის ტყავისაგან გაკეთებულ ხაშს პირი დაადოს.

— გაქირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, არ გაგიგიათ? გაქირვება, ჩემო ძმაო, ყველაფერს იყისრებინებს და გააბედინებს ადამიანისა. როცა გაგიქირდება, მეტი რა გზა გაქს. მაშ, ეხლა ტურქევით აიცილებ ვირის ლეშიდან გაკეთებული წვენი რო მოგიტანონ? იცი კი, შე საწყალო, რას გვაჭმევენ?

— მართალია, არ ვიცი, მაგრამ, არცოდნა — არცოდვა არისო, თუკი არ მეცოდინება, რას მაჭმევენ, არც დამეზიზლება, მაგრამა, თუ თვალი დავკარ და მეცოდინება, რო საზიზლარ რამისაგან არის მომზადებული საჭმელი, დღის სავალზეც არ მივუღები, — შიმშილისაგან რო სული ამომდიოდეს, და მგონია, სხვაც ასე მო-იცისა.

— რას ამობ, იობი, მე მითხრეს, თურმე ისე გაუტეხინებიათ და მიჩვევიან იმ „ნ“ რაზმის ბიჭები, რო პირდაპირ ხორცავენ მე-ლებს, ტურქებს, სვავებს, ყვავ-ყორანებს და დაუზიზლავად შეექცე-ვიან, თითქო მამა-პაპიდანვე ასე ყოფილიყოს.

— რა ოჯახი დაპქცევიათ!.. კაცო, გარეული ნადირი ხო ბევ-რია, ბაჩე ისა ხოცონ იმ უკუღმართებმა და ისა ჭამონ.

— სადღაა ისეთი ნადირი? სულ გადაზლვავდა ნანაჭირგათ ამ თოფ-ზარბაზანის ხმაზედ და რაც არ გვეჭმევა კიდე, ისინი ჩვენ დაგვდევენ უკან ლეშის საჭმელად, მაგრამ იმათთვისაც ხელი მიუყვიათ.

— ყველა, ყველა, კაცებო, და ე ოჯახაშოსაგდებნი, რო მიგვე-

ჩეკებიან ამოდენა მშიერ ხალხსა, სად მიგვერეცებიან! შიმშილია  
გან რო მეტადი გვეკეცება, რატო არაფერსა ფიქრობინ მაზურ  
ოთხი დღე გვაცდევინებენ და გაიძანიან, სურსათი მოგვივით.  
აბა, სად ეშმაქსა და ქაჯშია, თუ მოსასვლელია! უფრო უფრო წყლი  
გავგაბრუნონ, რო ჩვენ მაინც შავხვდეთ ჩვენებრუნველი უფრო ერთ  
სურსათის აღალსა, თუ მართლა მოგვიგონა ვინმემ და გამოვე-  
გზავნა რამე. თორება მიგველალებიან ჯანდაგ ცხენებივითა, შიმ-  
შილისაგან მუხლოვავთილ ხალხსა ისევ იქით, საიდამაც კუდით  
ქვა გვასროლინეს. რა უნდა გავიწყოთ ან ეხლა? ისევ იმ დღეს არ  
დაგვაყენებს მტერი?

— მართლა, ბიჭებო, და ცხელი დღე არ დაგვაყენეს იმ სახლ-  
კარამოწვეტილებმა?

— ეი, ბიჭებო, თქვენმა გამარჯვებამ, მნახველები ლაპარაკო-  
ბენ, თურმე ისე მოკურტხლა უკან და მიაჭენებდა ცხენს სამშვი-  
დობისაკენ ჩვენი კორპუსის უფროსი, რო ზარბაზანის ყუმბარაც  
კი ვერ მიეწეოდა! თითონ რო ქუდმოგლეგილი გარბოდა, სხვებს.  
ვინც მასთან ერთად მიქუსლავდნენ, უჯავრდებოდა და უბრძანებდა  
შედექითო, ნუ მირბითართ, ჯარს წესიერად დახხვინეთო უკან.

— ალბათ ეშინოდა, არ გამასწრონო, შურდა, რო სხვები მას  
უსწრებდნენ წინა, ჰა?

— ნეტა, კაცებო, ი ლექსა სად ჩიყულაპა ასე უკვალოდ? არც  
მკვდრებში, არც ცოცხლებში არ ჩანდა მაშინა. როვორც იმის  
ხსიათი ვიცით უველამ, ტყვედ ის მტერს ცოცხალი თავით არ  
დაპნებდებოდა. ნეტაი რა შეემთხვა?

— შე კაი კაცო, მთელი გორები დააყენეს დახოცილებისა და  
იმოდენა გორებში ვინ იპოვნიდა, თუნდაც განგებ ეძებნათ?

— კაცო, იმსა ისეთი ნიშნები ჰქონდა, რო დღვილი საპოვნე-  
ლი იყო. ყველა ძალაუნებურად ყურადღებას მიაქცევდა. მე მყავს  
კაი ნაცნობი სანიტარი. იმასა ვკითხე დაწვრილებით ასეთი და  
ასეთი ოთხჯრიანი ბიჭი ხო არ გინახავს ან დაჭრილი, ან მკვდარი-  
მეტები, მაგრამ მითხრა, რო მაგისთანა არავინ ყოფილა არც დაჭრი-  
ლებში და არც მკვდრებშით.

— საწყალი კაცო, ი, შაქრო კი მოკლეს ჩემ თვალწინ, როცა  
დაეცა, დავინახვით.

— რა კაცი იყო, როგო ეშარებოდა საწყალს იერიშზე მისვლა,  
ეშინოდა კიდეცა.

— კაცებო, ცუდი ზარის დამცემი არ არის, როცა ხილობრივი  
საცენტო კაცი ამ წევიში თვალწინ ვიდგა და მერე; წევაც ეს ვა-  
ლის და შენ წინ უსულო გვამად ვდია!

— ეგა თქვეო თორემა, ი დასოცილების გორეჭურული უკონფიდენციალური  
ხოლმე შენ გაჩვემო და დაქტილების ტირილ-პულპიტისტურისტის  
V სწოდება — ის ხომ ძლიერი საზარალის მომგვრელია.

— რა უნდა შემთხვეოდა ლექსასა და მე ვიცი. იმანაც, ალბად,  
ჰქუა იმარა და ლევანის გზას დაადგა, ან ჩალას ელოდა აქე?!  
რაც მისაღები იყო, მიიღო კაცმა, გული ჯვრებით გაივსო და  
ეხლა მისთვის სიცოცხლე და ჯვრების მოხმარებალა იყო საჭირო.  
ამისათვის არიდა თავი საფრთხესა და იერიშედ მისვლის წინ,  
როგორც ვფქრობ, იხელთა და მოქუსლა შინისაკენ. მაგრამ რა კი  
პოზიციიდან გაქცეულებს იქერენ და უკანვე აბრუნებენ, ამანაც  
უთუოდ ლევანის ხელობას მიჰყო ხელი. ლევანი ყაჩაღად გავარდნი-  
ლა თურმე და შიშის ზარსა სცემს მთელ სოფელსა. ლექსოც ან  
იმათთან იქნება თუ გაუმხანაგდა, ან ცალკე ვარჯიშობს. თუკა  
თითოვე გამოტყდა, ზელიმხანის სახელი მშერდათ და ერთ  
დროს ყაჩაღობას ოცნებობდა, ეხლა უკევილად ლევანის შეე-  
ჯიბრება.

— აბა სხვას რო ეთქვა ეგა, კიდევ ჰო, მაგრამ... მე შენი მიკ-  
ვირს, გიო, განა მაგრე იცნობდი, შე კაი კაცო ლექსას, რო ყაჩა-  
ღად გაიკრას!?. ლექსო და ყაჩაღი!.

— შენ არ იცი, იობავ, რო გველი გარელან არის ჭრელი და  
კაცი შიგნიდანა? მაშ, რა ჰქნა, რატო არსადა სჩანს. მისი ანავალი  
ან ჩამავალი, თუ შინისაკენ არ მოქმედულა იმანაც?! ყაჩაღად გა-  
ვარდნა კიდე მისთვის აუცილებელი იყო, რადგან თუ საბლში  
მოატანენ, დაიკერენ და ხელფეხშაკრულს აქეთკენ გამოგზავნიან  
„პალევოი სუდში“

— ბიქებო, გაიხედეთ აი, იმ ვორაკისაკენ, აგე სვავები რალა-  
ცას დასტრიალებენ. მოდი, წავიდეთ და ერთი ორიოდე მოვკლათ,  
იმითი მაინც მოვიკლათ ვ შიმშილი. კაცო, ამბობენ, გემრიელი  
ხორცი აქვთო.

— გემრიელი, მე ვიცი, ინდაურის ხორცის ეგვანება.

— ეხლა, შე კაცო, საიდან მოგიტანო აქ ინდაურის ხორცი?

— წავიდეთ, ბიქებო, წა... მაგ იხტებზე მაინც ვიყაროთ ჭავრი,  
რო მაგათა აქვთ ლეში და ჩვენ კი არა.

ბარემ ათი-თორმეტი სვავი სჭიგნიდა ლეშს, როცა რვა, ცუ-  
მა „ზალპი“ მისცა, მაგრამ სამის მეტს ვერ მოარტყეს რამდენიმე  
ახლო ნანაღირევის ასალებად და შემდეგი სურათზე ფრთხოების ეს  
თვალწინ: შინელისა და სხვა ტანისამოსის ნაგლეჯ-ნაფლეთებს  
შორის თვალებდაჩიჩქნილი და ნახევრად ხორცშემოცლილი კაცის  
ჩონჩხი ეგდო. „მონადირე“ ჯარისკაცები სახტად დარჩნენ ამ სა-  
ნაბაობით. ადგილები ნაცნობი იყო მათთვის და ყველამ კარგად  
იცოდა, რომ ამ ადგილას არც შეტაკება და არც უბრალო ბრძოლა  
არ ყოფილი და არც რამე კავშირი ჰქონდა იმ ადგილებთან, სადაც  
სროლაც ხდებოდა და შეტაკებანიც. ამისათვის დიდად კვირიბდ-  
ღნენ, თუ რა გზით გაჩნდა აქ ჩონჩხი ამ უადგილო ადგილას.  
ახლა იმის გამოცნობას მიეცნენ. თუ ვის ეკუთნოდა ეს ჩონჩხი,  
მაგრამ ყოვლად შეუძლებელი იყო ამისი გამოცნობა სხვატრივ,  
თუ არა ნივთიერი რამ ნიშნით და ეს ნიშანიც იპოვეს: როცა გა-  
ძექ-გამოქექებს კარგად გარშემო ნაყარი ტანისამოსის ნაგლეჯ-  
ნაფლეთები, იპოვეს ისევ ერთმანეთზე გადაკინძული ოთხი გიორ-  
გის ჯვარი და მათ დანახვაზე თითქმის ყველამ ერთხმად წამოიძახა:  
„ვინ იქნება, თუ არა ლექსა!“ გასინჯეს, როგორ იყო გადაკინძუ-  
ლი ოთხივე ჯვარი და ეხლა უეპვოდ დადასტურდა, რო მანი ისე  
იყენენ გადაკინძული, როგორც ლექსასა ჰქონდა გაზაკინძული,  
მით უმეტეს დარწმუნდნენ, რო მათ რაზმში ოთხი ჯვარი მხოლოდ  
ერთადერთ ლექსასა ჰქონდა.

— აი, გიო, ხელავ, რა უსამართლოდ სწამებდი საწყალ კაცს  
ცილსა?

— რა ვიცი, კაცო, მეც სხვისა ენს ავყევი, შევცდი, მეტი რა  
მეთქმის.

— ვიაპ... შე საწყალო ლექსავ! აკი აგისრულდა შენი გულის  
ხმა: მე სამშობლოს ველაზ დავძლევო! მაგრამ, შე საწყალო, აქ  
რამ გაგაჩნა, რო აგრე უპატრონოდ დავილევია სული!

ჩონჩხი მართლაც ლექსისი იყო, არ შემცდარან ამხანაგები. როცა უმაღლესი მთავარსარდალის ბრძანებით კორპუსს „ა“ სი-  
მაგრე უნდა აეღო და იერიში მიიტანეს, ძლიერ სასტრიკად დამარ-  
ცხდა ჯვარი და, როგორც თითონ ჯარისკაცები ახსიათებდნენ  
ამ მარცხს, მტერმა სულ „კულით ქვა ასროლინა“ კორპუსს, თუმ-

ცა ეხლა მეორედ მიდიოდა კორპუსი იმავე სიმაგრის ასაღებად. იერიშის მიტანაში ლექსაც ლებულობდა მონაწილეობას, მეტად მეტად უგულოდ მოქმედებდა: ოფეს დაუმიზნებლად ისროდ განკებ, რომ არავისათვის არ მოხსველებინა. დაუჭრაშენიშვილი ტყვიით. ტყვიამ გარეთ გაიხედა. ცნობამისძილი ლექსულურიშემციც კეგდო დაჭრილ-დახოცილთა შორის. შუაღამის შემდეგ გონის მოვიდა, ადგა და ვაი-ვაგლახით გაუდგა გზას, ოდონდ თითონაც არ იცოდა, საითკენ მიდიოდა. ბევრი საირულის შემდეგ ღონე-მინდილმა მიაღწია ამ საბედისწერო გორაქს, დაეცა და აქედან ფეხი ვეღარ მოუცვლია. საუბედუროდ, უკან დახეულმა ჯარმა ცვერდი აუხვია ამ გორაქს და, რასკვირველია, დაჭრილი ვერავინ შენიშნა.

რამდენიმე ხნით თითქოს ჰარაქათს იქრებავდა, გაჩუმებული იყო, შემდეგ წამოიძახა: „ვინა ხართ მადლიანი, ერთი წყალი და-მალევინეთ! გოგო თინავ, შენა ხარ! აბა, ჩქარა წყალი მომიტა!... ჰო, რაღას იყურები, გოგო, მომირბენინე ჩქარა ეგ სველ-სველი კოურა... ერთი გულიანად გამოვცალო. გოგო, რა ყური მოიყრე! არ გემისი?—ბოდავდა ლექსა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ლულულებდა,— გოგო, შე გასაქრობო... ნუ იზლაზნები! გოგო, გულ-მუცელი მეღა-გება. წყალი... ვაი დედავ!.. აბა, მოიტა! ჰა... წყალი... სული ნუ და-მალევინეთ... ვაი!.. ახ, სადა ხარ ეხლა თამარ წყაროვ!.. ერთი მომავ-დო შენთან... დაგეწაფო... ვაი, ბიჭი!.. წყალი-მეთქი!.. ოჰ... ოჰ...“

ასე ბოდავდა და ითხოვდა წყალს კვნესით და უფრო და უფრო მისუსტებული ხმით. ელანდებოდა სამშობლო, სახლ-კარი, მშობ-ლები და... იხვეწებოდა წყალს. ელანდებოდა ამხანავები: იობი, ვიო, ლევანა, მათაც ეველრებოდა წყალს, მოელანდა ხიშტზე აგებული თათარი, თავისი საყვარელი ირმა-ხარი, კარგა ხანს ბოდავდა, ხან მიყუჩდებოდა, ხან ისევ დაიწყობდა კვნესა-ბოდ-ვას, სულ მისუსტებული ხმით შეავედრა მამას, საყვარელი ირმა კარგად შემინახეო, და ბოლოს მძლავრად გაიზმორა, გაიჭიმა. ერთი გააურეოლა და განუტევა სული.

სვავებმა არ დააყოვნეს მისი გვამის დაჯიჯვნა, მაგრამ მისმა ამხანავებმა, როგორც ვნახეთ, იპოვეს მისი გვამი, შეიცნეს ვინა-ობა, გათხარეს იქვე საფლავისებური ორმო და მიაბარეს მიწას. თან ჩაატანეს მისი ტანისამოსის ყველა ნაფლეთ-ნაგლეჭები და თოხივე ჯვარი.

მამა აბრამი

რა, ფეხები მომჭიათ თქვენმა სარეპმა? რომ დამცინოდათ ჩემი ამხანაგები, ორ დიდ ზეარს ეყოფა შენი ედინიცები სარებათო, მითომ რა დავკარგე? ვის უჭირს ებლა მართლაც სარები ვენახისა-თვის? მე თუ თქვენ, ხუთების მოტრფიალენო, რომელნიც სოფ-ლად შესდგომიხართ მეურნეობას და ხელები დაგიმაზოლებიათ? ეგ მოგიტანათ თქვენმა ხუთებმა, განა? მითომ ფილოსოფიას თუ არ მასუნებინეს და გამომაგდეს სემინარიიდან, ცხოვრების ყადრი და უნარი თქვენ — ფილოსოფოსებზედ ნაკლებად გამოვიჩინე? ვი-სა აქვს ფაფუკი ხელები, მე თუ ფიზტე — შელინგ-გეგელის მო-აზრეთ? ხეთისმეტყველების სახელმძღვანელო რომ არ ამიღია ხელში, ვთომ ამერევა ანდერძის აგება, ჯვრის წერა, ნათლობა ან სხვა რამ საღმთო წესი? ან თუ ვერა ვარ პატივცემული მოძღვარი? რომელი ხართ ჩემშე დაწინაურებული, აბა ვინ არს თქვენგან, ჩემ ამხანაგებში პირველ აზრიადში გათავებული ჩემშე შორს?

დეკანოზი! მანამ ვინმე თქვენგანი დეკანოზობას მიიღებს, მე გული ორდენებით მექნება საესე. სიჭკვიანის, გამჭრიახობის გონე-ბის გამოხატვა და გამოჩენა, ჩემო ძმაო და მამაო, ხუთების ან სამების მიღებას არ შეუძლია. აბა რაზე დაკარგეთ ის ძვირფასი, ძნელად დასაბრუნებელი დრო? რატომ არ მომბაძეთ და ჩემსავით არ მოიოხეთ გული ძილითა და „ცუდად ყოფნით?“ თქვენ ბერ-ძნულსა და ლათინურით რო თვალებს იწყალებდით, მე დამშვიდე-ბული ვხვრინვდი. ამ ხვრინვის მაღლიერი უნდა ვიყო, რომ ასეთ ყოფაში ჩავვარდი ებლა. განა, რომ არ დავკარგე ტუშილ-უბრალოდ დრო, ფუჭად არ გავატარე სიჭაბუკე... მე რომ თქვენსავით კურსე-ბი დამესრულებინა, ვინ იცის, რომელ სოფელში გამიძახებდნენ. გამომაგდეს, დავტრიალდი ქალაქში. რა ვუყო, რომ ბოხჩას ამო-ვიჩრიდი ხოლმე და მივდევდი, ვიდრე თქვენ ისევ თავში იცემდით და მოსვენებას იფრთხობდით, ჩემ მღვდელს, ის ხომ მოვითმინე და

ავიტანე. იმ ყოფაში იმან ჩამაგდო, რო პატარა შვილები მესახ  
ოდნენ. და მაშინ მაინც ასრულებული მქონდა მე საჭარი თავის  
დალაგებულის გულით ცხოვრების კვალში ვიყავი ჩამდგარი, რაც  
თქვენთვის სასწავლებელში ისევ წადილსა და მისწრაფებულ გული  
გენდა და მათ მიღწევის გულისათვის იყვლიერ იგი ჭყაფულ მეტებულ  
იმტვრიეთ თავები და რა გამოვიდა? მე საშუალებათა უქონლობი-  
თაც კარგად შევუდექ ცხოვრებს და ახლა მეურვედაც კი გრდე-  
ვართ თქვენ, ვინც სწავლისათვის თავებს ინტრევდით. ეს ჩემი  
სიტყვები არ მიიღოთ საყვედურად ან შეურაცყოფად; ჩემო თანა-  
მოძმეობ, მე მხოლოდ სიმართლით აღვნიშნე სურათი ცხოვრებისა  
და კეშმარიტებით წარმოვსთვი, ხოლო სიმართლე როდი უნდა  
ყოს საწყენი, არავის არ უნდა სწყინდეს.

ეხლა მოვიყვებით ჩემი ცხოვრების აბავს.

მე ხომ გამომრიცხეს, არა? რამდენს აშინებს ეს სიტყვა „გა-  
მომრიცხეს“ და რამდენად უსაფუძვლოა იგი შიში... პირიქით,  
რამდენს გაუხდა გამორიცხვა მხსელ ანგელოზად.

ჰო, როცა გამომრიცხეს, იმის მეორე წელიწადვე შევირთე  
კოლი. ჩემი თანამეცხელრე თინათინი კეშმარიტად თანამოაზრედ  
და თანაშემწედ გამომადგა ყოველისფერში. მე, როგორც კეთილი  
ქრისტიანი, მტკიცე მოძღვარი და მოკეთე მოყვასისა, ვისურვებ და  
ვვედრი ღმერთს, რომ ყოველ ჩემს მოძმეს შეახვედროს ისეთივე  
ყოველგვარი სათნოებითა და ღირსებით შემკული და სიკეთით  
სავსე მეუღლე, როგორც ჩემი თანემეცხელრე თინათინ.

აღწერა მისი თვისება-ხასიათისა და გაღმოცემა სხვისადმი კალ-  
მით შეუძლებელია. უნდა ნახოს კაცმა და დასტებეს მისი მზერით,  
რომ ოდნავ მაინც მისწვდეს მის ღირსებებს... ოპ! რა ნეტარებასა  
ვგრძნობ, როცა თინათინი ჩემი გადამისვამს ხოლმე შებლზე და  
მთელ პირისახეზე თავის ბულების ცომივით ფაფუქ ხელებს და  
თანაც მომმართავს — „თქვენი ჭირიმე, ჩემო დეკანოზო, როგორა  
ბრძანდებით?“ კეშმარიტად, ამ დროს კი თინათინის ხმა და სიტებო  
მის მიერ წარმოთქმული სიტყვებისა შეედრება ანგელოზებს-  
ხმას, მათი გალობის სიტებოს. ერთადერთი გარემოება, რაც  
ხანდისხან შეარყევს ხოლმე ჩემი სულის მყუდროებას, არის ჩემი  
კუჭის ავადმყოფობა. მომეტებულად ეს ავადმყოფობა მემართება  
ქრისტეშობასა და დიდმარხევაში. მე ხომ თქვენსავით სუმბუქად არ  
შეცერი უფლის მიერ დაწესებულ მარხვის. საცა არის, შემის-

რულდება ოცდახუთმეტი წელი, რაც ანაფორა ჩავიცეს და  
მასსოვს, რომ მარხვას შევრეოდე უნებლიერაც კი. იუზან არა  
არაფრად მიგაჩინიათ დიღმარხვაც კი, ჩემს სიცოცხლეში არ დაგი-  
ვიწყებ მხოლოდ ერთ სიკეთეს სიმინდრისას: სემინარით ისრუნველი არა  
რა ზეთში მოხრავული ლობით, ოპ! რა ძვირფასი რამ ჭრის უწყებელი მე  
მოხრავული ლობით! განა იმას შეედრება რაიმე საჭმელი? მირხვა-  
ში მოხრავული ლობით, ხსნალში ცხელ-ცხელი ხაში, ნამეტნავად  
აბანოს შემდგე. და ზედ წითელი კატური — რა კარგი რამ აჩის!  
გარეშე ამ საჭმელებისა ცხვა რაიმე მხოლოდ კუჭის მოსატყუებელ  
და ჩასაჩუმებელ საშუალებად მიმაჩნია. ხაში ძლიერ კარგად მოქ-  
მედებს ჩემზე, ჩემს სტომაქზე: რამდენიც უნდა გვახლო. თუ ერთი  
სამიიდე რუმქა არაყიც გაფუმდღვარე წინ, გარდა სიამოვნებისა და  
სინკყივრისა, ცუდს ვერაფერს ვგრძნობ, მკონია. ვერც ვინმე ფეხა  
გამიწოდოს ჩემთან ხაშის მირთმევაში და გამეჯიბროს. მხოლოდ ეს  
არის ლობით ხანდისხან მწყენს, როდესაც იმდენს გვახლებით  
ხოლმე, ლამის რომ საზილის უკან მოსვენების დროს სარტყლის  
მოშვება ხდება საჭრო. მე კი არ შემიძლია უსარტყლოდ ვიყო  
თვით ჩემ სახლშიაც კი, რადგანაც სრული კაცი ვარ. მუცელიც  
სრული და შეზავებული მაქვს მთელ სხეულთან. მეამება, როცა  
მუცელი ბრტყელი სარტყელით არტანივით მაქვს შეკრული.  
მეტისცეტი სინკყივრე თინათინის მომზადებულ მოხრავული ლო-  
ბიოსი გამიტაცებს ხოლმე ისე, რომ სარტყელის მოშვება საჭირო  
ხდება. აი, ამ დროს მიმდინდება მუცელი და შეუძლოდ ვხდები.  
აი, სწორედ მაშინ მანუგეშებს ხოლმე ჩემი „დეკანოზშა“ თავისი  
ალერსით. მაგრამ, მარტო ალერსს როდი მაკარებს, მაშინვე შე-  
უდგება ხოლმე ჩემს წამლობას: მომიმზადებს საჩქაროდ ხირხიტას,  
გვახლებით ამ ხირხიტას და ისე გავხდები ხოლმე. როგორც ქარქა-  
ში, წამოვდგები ფეხზე და ისევ ის დეკანოზი აბრამი ვარ. საზოგა-  
დოდ ჩემი „პროტოიერშა“ დიდი მოსიყვარულე და პატივისმცე-  
მელია ჩემი. ოცდაათზე მეტი წელიწადია რაღა ოცდაათი, აგრე-  
ოცდამეთხუტმეტეში ჩადგა, რაც მე და თინათინი შევულლდით და  
ერთხელაც არ უხსენებია ჩემი ნათლობის სახელი, გარდა „მთავა-  
რო“. „მღვდელო“, „დეკანოზო“-სი, რასაკვირველია, თავთავის  
დროზე და არც შენობით მოუმართავს როდისცე: სულ „ოქვენ“,  
„როგორა ბრძანდებით“ და სხვა... თქვენა? თქვენი ცოლების ხელ-  
შიაც იქნებით იმისთანა ყოფაში? ეგიც თქვენი განათლებული და

ნამწავლი ფოფოდიები! ვითომ, თინათინს ანგანის მეტი დამარაზ  
უსწავლია თავის თსტატი ქალისაგან, ლობიოს მომზადება არ იცის?  
თუ სხვა რამ საბლის და ოჯახის თადარივი და წესი აერევა? არა,  
დაუპირისისირეთ ჩემ თინათინს თქვენი ნამწავლენ რაფუფულებუ  
ქალები, შეადარეთ მისი ღირსებანი ნამწავლი ფუფულუწერებუ  
სებებს. პირველად იქიდამ დავიწყოთ, რაც უფორ თვალსაჩიხოთა.  
რომელია ნამწავლი ფოფოდიებისაგან ისეთი ზორბა და წარმოსა-  
დეგი, როგორიც ჩემი დეკანოზში არის? ან რომელი არიან სამ-  
ლელელ პირთაგან ისე შეფერებული ყველაფერში მეუღლენი,  
როგორც მე და თინათინი? რამდენჯერ დავტოლებივართ ერთმა-  
ნეთს ფეხსაცმელებითაც და უფეხსაცმელოდაც და ყოველთვის ისე  
მოვსულვართ, როგორც ჩალაგადასძოულნი; მხოლოდ ჩემი სარტყე-  
ლი ერთი გოჭით მოსდის მის სისქე-სისრულეს, ხოლო ჩემი სარ-  
ტყელი კი თავისუფლად შემოსწვდება ერთად ოთხს ნამწავლ  
ფოფოდის. თუნდ სხვა რამ აიღეთ. განა თინათინს რომ სამწავლე-  
ბელი თვალითაც არ უნახავს, ავვანში ბავშვს ვერ აწვენდა, ან ვერ  
გამოზარდა ექვს-ექვსი ვაჟიშვილი და სამი ასული? ისე დამი-  
ზარდა ეს ამოდენა შვილები, რომ არც ერთს თითი არ წამოსტყე-  
ნია. ყველა თავის ძუძუთი გამოზარდა. ისე დაემწვდეოდა  
ხოლმე სახლში, მანამ ჩვილი, ძუძუმწოვარა ბავშვი ჰყვანდა, რომ  
ეზოშიაც კი იშვიათად გავიდოდა, მხოლოდ ეს არის ამაგმა და  
შრომამ მეცა და იმასაც ფუჭად ჩაგვიარა: ხუთ უფროს შვილთაგან  
ვერც ერთმა ვერ გაათავა სემენარია, ზოგი მეორედან გამოვარდა,  
ზოგი მეოთხედან. მესამე მეექვსეში კი გადავიდა და იქიდამ გამო-  
ვარდა. ახლა რისთვისა? აფიცრის პელატები უნდა დავიკრაო.  
გაძოვარდნას ჯანი გავეარდეს, მეც გამომაგდეს, მაგრამ დღეს  
წარჩინებული პირი ვიზ სამლელოთა შორის. თუ ჩემ ჭკვას  
დაუკერებდნენ და ჩემ გზას დაადგებოდნენ, მე ვიცი რა კაცებიც  
იქნებოდნენ, მაგრამ ეშმაკის ცხენზედ შესხდნენ, ერთიც, მეორეც,  
მესამეც, მეოთხეც და მეხუთეც. არც ერთმა არ ინდომა სასული-  
ერო პირად ყოფნა. მართალია, ერთი აფიცრია, სხვებიც მსახუ-  
რობენ სხვადასხვა იდგილებში ჩინოვნიერებათ, მაგრამ რა ცუთხრა  
იმ კაცის ჭკვას, რომ ანაფორას ფეხსა ჰყრავს და აფიცრის პელა-  
ტებში და ჩინოვნიერის კაცარდაში გაცვლის მას. ანაფორას — ლეთის  
ნაპირს ზურგი შეაქციოს კაცმა, აბა არა თქმულა და არა ქმნილა  
ჭკვიანი კაცისაგან! აი, უმცროსი შვილიც მისრულებს სემენარიას,

ვამობდი, ეს მაინც ჩაიცვამს ანაფორისო და შეუდგება მემა-პაპის  
კვალსათ, მაგრამ ეს უარეს საქმეს ეჭიდება: ამტეხია, სოჭლვაზე  
რეთ გერმანიაში ან შვეიცარიაში უნდა გამგზავნოო. რომ ვერ, წე-  
მიგნია ამისთანა გადარევა მისი? მართლაცა და მართლაცა ჭრიული სა-  
საზღვარისა და წრეს გადასული სულელი და უპეურ ჟუტებული მასები  
დაიყინებს ამასა და ჩაიდენს, თორემ ჭივიანი კაცის საქმეა ესა?  
წავიდეს იქ, იცოვროს წარმართსა და არამართლმადიდებელ  
ხალხში, ხომ დაპყარება თავისი მამა-პაპათა საჩქმუნოება. როგორცა  
პედავთ ბევრი ყოფილიან თავისებურად ბედნიერნი. ეხლა ხდება  
ჩემთვის ნათელი ბევრი რამ, რაც აქამდის ბნელი იყო. თუნდაც  
რატომ მიაჩნდათ რომელებს სათნოებად კაცის კვლაც კი — თავის  
ბედნიერების გულისიათვის. ან რატომ აწამეს და აცვეს ჯვარს ფა-  
რისევლებმა იქსო — იმავ მიზეზის გამო. ეხლა რომ მოვიდეს იქსო  
ქრისტე ამქვეყნად თავისი ქადაგებით, პირველი ჩვენ — მისი მონა-  
ნი და მსახურნი, მისი სწავლის მქადაგებელი და მათგან პირველი  
მე დავიყვირებდი: „ჯვარს აცვით ეგე!..“ რატომაც არა.. ისე ბლო-  
მად მოიპოვება ჩემში თვისება, რომელიც ბედნიერად ჰყოფს  
ადამიანს, რომ მისი — იქსოს — სამოსელიც კი რო ვუთავაზო  
მთელ დიდ სახელმწიფოს, რომ ყოველმა მისმა ქვეშევრდომმა  
იგემოს ბედნიერება, ვიცი მე ოდნავად არ დამაკლდება ჩემი ბედ-  
ნიერება!.. იფ! რა ბედნიერებაა და! კარგი სვი, კარგი ჭამე, გადაბ-  
რუნდი, დაიძინე; თუ მარჯვენა გვერდი დაგელალა, ან გეტკინა, ეხლა  
მარცხენაზე გადმობრუნდი; გულალმა წოლა მოვინდა, პირქვე ✓  
გაეკა რბილ დოშავსა! გამოველვიძება? ფეხი არსად გადგა, თუ  
არა რაიმე წესის შესასრულებლად პრიხოდში... მიაპყირ შენი მხე-  
რა სახლის ჭერს, კედლებს უყურე, ოლონდ ღმერთმა დაიფაროს  
ამ დროს რაიმე ფიქრის გატარება გულში — ძილი გავიფრთხება,  
ან უფრო კაი საშუალება — გამოილვიძო თუ არა, მაშინვე შეუდექი  
ჭამა-სმას. ჭამე, სვი იქამდის, ვიდრე სუფრაზე არ გადაიქცევი და  
არ დაგეძინება ისევ! გარდა იმისა, რომ ყოველ ცოდოს მოშორდე-  
ბი, ვერ ჩაიდენ, ჩას ნახავ ცხადლივ იმაზე უკეთეს, ჩასაც სიზ-  
მარში ნახავ სასიამოვნოს!... არც ეს კმარა. იცოდე, ძილის მო-  
საგვრელად კარგია ეს საშუალება: არავითარი ფიქრი და აზროვნე-  
ბა. შემაძრწუნებელი კაცისა და მისი სიმშვიდის დამრღვევნი არ  
გაიკარო ახლო. ძინი თავადვე ისე განიფანტებიან, როგორც  
ეშმაქნი სინათლის შექშე. ფიქრებიც ხომ ეშმაქის მანქანებანი

არიან. არის კიდევ საშუალება მოუსვენარი ფიქრების მოსაცავის  
ლად, მხოლოდ, ეს უკიდურეს შეძთხევები იხმარება — ქარღლის  
თამაში. გარეშე დასახელებულ საშუალებათა სხვა არათურებულ მო-  
პოვება ტკბილი ძილის მოსეგვრელად.

ბევრები მომიქრავს ყური, რომ ვითავც შრაქვების მუსიკის  
მოპვერის კაცს ტაბილ ძილისა — ჯერ ერთი ეს, რომ შრომა სი-  
ზარმაცის მოწინააღმდეგია და მეტი, მისი დამთრგუნველი: იგი  
არღვეს კაცში სულისა და გულის სიმშვიდეს, რომელსაც პაბადავს  
კაცში სიზარმაცე და აბა რაღა ბედნიერება იქნება კაცისთვის,  
როდესაც მასში ირლვევა სიმშვიდე სულისა! მეორეც — რამდენ-  
ჯერ გამოგონია ჩემის ყურით, თუმცა კა ვცდილობ ყოველფის  
მოვარიდო სმენს, გლეხეცის პირიდან — გლეხები ხომ აუტა-  
ნელია და მუდმივ შრომა-მუშაობაში ატარებენ დროს, — ამისთვის  
ნატერია კარგი სისლის ან სხვა რამის დანახვაშე: აი, ამისთვის სისლი  
მქონდეს, ასი თუმანიც ჯამაგირი, დაწექ და დაიძინეო. თუ შრომა  
მათ ტკბილ ძილის ჯერის, მაში რაღათა ნატრობენ კაი სისლისა და  
მსუმანიან ჯამაგირს, რომ დაწენენ და დაიძინონ?

ას, ეს ოხერი ნატერა რა კარგია, რომ ასრულდებოდეს ხოლმე.  
რამდენჯერ მინატრია შეც, რომ ისეთი ბედნიერი ვიყო, როგორც  
ის ორი კაცი, რომელზედაც გამოგონია შემდეგი: ორი კაცი იწვა  
თურმე მსხლის ქვეშ. რომელიც დახუნწლული იყო იწიფე ნაყო-  
ფებით. ერთმა მათგანმა სთქვა: — ნეტავი აი, ას ერთი შსხალი  
მოსწყდეს და შიგ პირში ჩამეცესო. მეორეს უპასუხია ამაშე: — ნე-  
ტავი შენ, რომ ლაპარაკი არ გეზარებაო? აი ჰეშმარიტი ბედნიერინი.  
მაგრამ საზოგადოდ ნატერა მე არა მწამს. ჯერ იძისთვის, რომ ძილს  
მიფრთხობს და მეორეც იმისათვის. რომ ერთიც ვნახოთ ასრულდეს  
ჩემი ნატერა, მაშინ ხომ გამოჩნდება მომეტებული საქმე და აბა  
რისთვის ავრტკიო თავი? მხოლოდ თუ მინატრია, ისევ იშ ორი  
კაცის სიზარმაცე, რომ უფრო ნეტარად და ბედნიერად მეგრძნო  
თავი, თუმცა ეხლაც ბედნიერი ვარ.

არასოდეს არ ჩავწერ ჩემ თავს უბედურთა სიაში, მაგრამ წარ-  
მოიდგინეთ, რომ ძრიელ ბლომად მოიპოვებიან ჩემს ძვირფის  
სამშობლოში ბევრად ჩემზე ბედნიერი. არიან უბედურნიც, მაგ-  
რამ თუ დავუკვრდებით კაცობრიობის ისტორიას, შევადარებთ  
ერთ მუჭა ქართველებს, რომელსამე მრავალრიცხვან ტომებს,

აშეკარად დავინახავთ, რომ ღმერთს თავისი უბე და კალთა მარტო მარტო ქართველ ტომებზე დაუბერტყავს.

როგორც ვთქვი, მე ვარ პირველი ბედნიერი. ჩემ ბედნიერობას ჩრდილავს ჯერ ერთი შერი ჩემშე ბედნიერებისადმი მარტო ცხობისმოყვარეობა ჩემი მაზედ, თუ რა ადგილი ჟიქიავს გუდი ნიერთა შორის, ეს ორი გარემოება — შური და ცნობისმოყვარეობა, ჩემდა საუბედუროდ ჩრდილავს ჩემ ბედნიერებას, ძრიელ ხშირად ძილსა და მოსვენებას მიფრთხობენ და, იმისა არ იყოს, „რა არას ეგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელია“... ხომ მაინცადა მაინც მიფრთხობენ ისინი ძილს და ახლა ერთი რამ საშუალება მოვიფექრე მათ მოსაშორებლად. მე გავიფიქრე მოვმართო ყველას იმ წრისა და წოდების წარმომადგენელთ, რომელთაც ვეკუთვნი მე და რომელშიაც მთელი ერის საბედნიეროდ უფრო ბლობად მოიპოვებიან ბედნიერნი, და ვთხოვო, რათა ყოველმა ამიწეროს თავისი ცხოვრება. ამისათვის მე ძალი და საშუალებაც შემწევს: მე გახსოვართ ბლალოჩინი მღვდელი, რომელიც დღე-დღეშე დეკანოზობას მოელის, მაშასადამე უფლება მაქვს მოვითხოვო თითქმის კანონით — მგონი კი არ დამჭირდება მიმართვა კანონისადმი, ისეთი დამოკიდებულება მაქვს ჩემს საბლალოჩინოში სამღვდელოებასთან, რომ ყოველი გულაბდილად გამომიმულავნებს თავის ცხოვრებას. მე ვიცი ეკლესიების ჩევეზიებითა მყვანან შემოწმებულნი და ან დანოსებით და საჩივრებით გაჭირვებულნი, როგორც სხვა საბლალოჩინოებში.

ვინც ჩემ საბლალოჩინოს არ ეკუთვნის, იმათ ამხანაგობის სახელით მივმართავ, ვინც ნაამხანაგარნი არ ხართ ანდა არც ჩემ საბლალოჩინოს ეკუთვნით, იმათაც როგორმე შევიტყუებ... ასე ვაპირებ, თუ ღმერთი შემეწია, მოვიცალო შური და ცნობისმოყვარეობა ამ ჩემი განხრახვის შესრულებით.

შენ რაღას იტყვი, ჩემო თანამომევ?

## შესტერ კლასს

I

შესტერ კლასს რომ ვასრულებდი, იქნებოდა მაისის ნახევარი, ინსპექტორმა დამიძახა და გაღმომცა ლუქით ხუთგან დაბეჭდილი წერილი. მეგონა თუ სხვისთვის გადასაცემად მომცა, ხოლო როცა წერილის ზედწარწერას დავხედე, ამოვიყითხე მშვენიერის ხელით დაწერილი რუსულად: „ტფილისის სემინარის ღვთისმეტყველების განყოფილების მოწაფეს იოსებ კირილეს ძე მშრალაძეს შიგ ნადები სამი მანეთით“.

ქლიერ გამაკვირვა ამ წერილის მიღებამ, დაუყოვნებლივ გავსენი და აი რა წავიყითხე შიგ:

„ფრიად საყვარელო დისტულო —  
იოსებ კირილი!

სიყვარულით მოგიყითხავ და ყდ შემძლებელსა ვთხოვ შენ უვნებლობასა და უმეტესად წარმატებას შენსა შენს ცხოვრების გზაზედ. ვმაღლობ შემოქმედს, რომელმაც უხვად მოგანიჭა ჰქანა-გონება და მხნეობა. ეცადე, ჩემო იოსებ, არ გადაუხვიო შენს გზას, რომელზედაც შეწევნითა განვებისა ღვთისათა და დიდი ტანგვა-ვაების განვლით დაგაყენა დედაშენმა და რომელზედაც ასე გამარჯვებითა და სახელოვნად მისდიხარ, მაგრამ შენ ეხლა აღარაფერი გესწავლება. კაცს უკვე გათავებული გაქვს ფილოსოფიის განყოფილება და საღვთისმეტყველო განყოფილებასაც ისევე სახელოვნად დაასრულებ, როგორც დაასრულე რიტორიკისა და ფილოსოფიის განყოფილებანი. იცოდე, ამით არა მარტო დედაშენს გაახარებ, არა-მედ ბიძაშენსაც. მე დიდი დამნაშავე ვარ შენთან, რომ აქამდე არა-ფერს გწერდი და ვერც არაფრით მოგხედე. მიზეზი ამისა ბევრი სსვადასხვა გარემოება იყო, რომელთაც თავის დროზე გიამბობ და იმედი მაქვს, შემდეგში ჩემი დანაშაული შენს წინაშე გამოვისყიდო.

ჩემო იოსებ, სიცოტავეზე კი ნუ დამემდურები და აღმართები ამჟამად სამ მანეთს. მგონია ჩქარა დაგითხოვონ საორთფეოდ და პირდაპირ ჩემთან წამოდი, თორემ შენ ეხლა პირის პატარებულებულები კარგად ცხოვერებას მიჩვეული ხარ და საწყალი დედაშენი ცუკას მეტეშე ნადოდ ვერ გავიმასპინძლდება. იცოდე, არ წაგებ, თუ სემინარი-იდან პირდაპირ ჩემთან მოხვალ და მთელ დროს უკან დაბრუნებამდე ჩემს სახლში გაატარებ.

დავშთები შენი მოსიყვარულე და კეთილის მდომი ბიძა მთავარ დიაკონი იასე გეშეკაშეილი“.

ამ წერილმა გამავეირვა არა მარტო თავისი მოულოდნელობით, არამედ უფრო მომეტებულად თავისი აზროვანი შინაარსით. ახლად გამოჩენილს ბიძაჩემს, როგორც მქონდა პატარაობიდანვე გაგონილი, არ გადაუბიჯებია არც ერთი სასწავლებლის კარგის დირეზე. წერილის შინაარსიდან კი ცხადად ჩანდა, რომ მისი დამწერი სემინარიაში სწავლადამთავრებული თუ არა, უთუოდ ნამყოფი იყო და ისიც ნასზი მომზდიარ რეფორმადის, რადგანაც 1871 წლიდან, როდესაც ცვლილება შეიტანეს სემინარიაში სსენებაც კი აღარ იყო — „რეტორიკის“, „ფილოსოფიის“ და „ლიტერატურულების“ განყოფილებათა. ეს განყოფილებანი ცვლილების შემდეგ გადაიქცენ სემინარიის უბრალო ექვს კლასებად.

ბიძაჩემის წერილი პირველი წერილი იყო ჩემთვის მთელ ჩემს მიერ უკვე განვლელ სიცოცხლეში გატეშე პირთაგან მოწერილი და უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ მან თითქოს რაღაცა ცვლილება მოახდინა ჩემში. თითქოს გამათვითცნობიერა ამ წერილმა. ამას წანათ არაფრად ვთვლილი ჩემ თავს და არც მიგვრძნია როდისმე, რომ გამოვსულიყავი იმ მდგომარეობიდან, როდესაც ზედაც არავინ მიყურებდა და რომელშიაც უნდა მოვჭეულიყავი ისევე სამოქმედოდ, ეს იყო დედიჩემის დაუშრეტელი სურვილი, სადაც თუ ეისიმე ყურადღების ლირსი გავხდებოდი, ან დამასაქმებდნენ ჩისამე გაეკთებას, ვისაც მოეპრიანებოდა, ან თავში ჩამიტაჩუნებდნენ, ვისაც ხელი ერჩოდა, წყევლა-ლანძლებს მომაყრიდა, ვისაც ენა ჰქონდა. ეხლა კი წერილსა მწერდა ის „ბობოლაც“ კი, რომლის მარტო სიხელის გახსენებაც ბევრს შიშსა და ზარსა სცემდა და ამასთანავე მომმართავდა: „იოსებ კრილიჩა“.

ამ ორმა თილისმურმა სტუკამ არამცუ მარტო ჩემში მთვლე-მარე თავმოყვარეობას დაუღიტინეს სიამოვნებით და გაუფრთხეს

ძილი — ღრმა ძილში მყოფი ჩემი სიამცეც კი ფეხზე წამოიტანა.  
✓ ნეს და გაორკეცეს, რამაც უცბად მაღალ ბაჟუებზე დაჭავენა.

შებლშეკრული, წარბებაგაგრული და გავინჩუჭართვული  
წერილის წიკითხვის შემდეგ ჩემს ამხანაგებს დაუკუშლი მრავალზე  
ველარ მოითმინა, რომ გაევირვებით არ ეკითხნა ჩემთვის: ბიჭო,  
სოსიკო, ვინ გაგაფატრაო? რაზედაც უკმეხად მიეუვე: ბიჭო, აბა  
ვისა პხედავ გაფავრებულს-მეთქი, და არც ვიყავი გაფავრებული,  
პირიქით, გამოუტქმელი და, სულევეშ უნდა სოჭვას კაცმა, გამო-  
ურკვეველი სიამოვნებით ვიყავი გაბრუებული, ხოლო იმას კი კარ-  
გადა ვგრძნობდი, რომ გაპასუხების დროს ჩემს ამხანაგს მაღლიდამ  
დაუკურებდი და ასე დაუუწევ უურება დანარჩენ ამხანაგებსაც,  
თუმცა კი დიდხანს არ ვგრძელებულა ჩემი ბაჟუებზე დგომა.

ეს იყო და ეს — დაიძრა წერილების მიღება.

ბიძახემის წერილს თან მოქავა ზედიშედ ფოსტით თუ სავანგე-  
ბოდ დაქირავებული კაცის ხელით, სხვა ახლად გამოჩიქებული  
ნათესავებისა და ჩემი მშობლების ნაცნობების წერილები, მხოლოდ  
უფლებოდ კი, სულ ცამეტი წერილი მივიღე, მანამდის დაგვი-  
თხოვდნენ საორთვეოდ.

აი, კიდევ წერილის ნიმუში:

„ფრიად საყვარელო და სანახავად სანატრელო და  
ცოველ წუთს საგონებელო შვილო სოსიკო!

გვაცვალოს შენი მამიდა, ნეტავი ერთი იმ დღისა გამხარა, რომ  
დაგიკუნო ეგ შენი ლამაზი თვალები, თურაშაულის ვაშლივით  
წითელი ლოცები და მოკრეშივე ენა-პირი. იცოცხლე, შვილო,  
დიღხანს კეთილადა და ბედნიერად მამიშენის მოსავონჩად, მოსა-  
ხენებლადა და სასახელოდ. საწყალი უნდა ცოცხალი იყოს, რომ  
შენი დანახვით ვაძარებულიყო და ცოტათი მაინც გაექარებინა  
ის ტანჯვა-ვაება, რომელიც იმას უსამართლოდ მიაყენეს. მოწყალე  
ღმერთსა ვთხოვ, შენ კეთილად გადაგიხადოს ის უსამართლობა,  
რაც იმას თავზედ დაატყდა. შვილო სოსიკო, ვიცი შენი კეთილი  
გულისაგან, ჩვენს ამბავს იკითხავ — ჩვენ ამეამად ყველანი კარგა-  
და ვართ და ღმერთმა ყოველთვის შენზედაც კარგი გამაგონოს და  
შენი ბედნიერება მაჩვენოს. შვილო, იმედი მაქეს თხოვნას ამისრუ-  
ლებ და მამიდაშენს გამახარებ შენის ნახვითა, როცა შენ შინ  
მოხვალ და გავიგებ ამას, ცხეშ გამოგიგზავნი, შვილო, და წამოდი

ჩემთან და მნახე, ძალიან მასიამოვნებ, რომ თუ, სურვილის, შენი სურვილიც იქნება, მთელ დროს სანამ სემინარიაში, სასვლის ვადა მოგივა, ჩემთან დარჩე. შენი მამიდაშვილების კუტურულები მოწადინებულები, რომ ზაფხული ერთად გაატარება და წამაგდო შენი უნახავი. დედაშენმა აქამდის არავის გვამდომა და დაგვანება შენი თავი. ვიცი, ეხლაც გადაგელობება წინ, მაგრამ შენი გონიერი თავის იმედი მაქვს, არ აქვები იმის სიტყვას და უთუოდ მნახავ. შენი თავის პატრონი და მბრძანებელი ეხლა შენა ხარ, შეილო, და სხვა არავინ. რაღა თავი შეგაწყინო ბევრის თხოვნითა. იმედი მაქვს სურვილსა და თხოვნას შემისრულებ.

დავშთები შენი სიცოცხლისა და ბედნიერების მონატრე მამადა სოფიო“.

დანარჩენი თერთმეტი წერილიც სულ ახლად გამოჩენალი ნათესავებისაგან და ჩემ მშობლებთან ნათელ-მირონით დაკავშირებულთაგან იყო, ხოლო მე არავის მათგან არ ვიცნობდი პირადად. მართალია, ზოგზედ როგორც მაგალითად მთავარიდაკონ გვშეკაშვილზედ მქონდა დედიჩემისაგან გადმოცემული ცოტა რამ მაინც არა სასიქადულო ცნობები, ზოგზედ კი სრულიადაც აჩაფერი მქონდა გაგონილი. არც დანარჩენი წერილები მომყვას აქ, რადგანაც მათი შინაარსი წაგავს უკვე მოყვანილ წერილებსა.

მეთოთხმეტე წერილი მეხუთეში ყოფნის დროს დედაჩემისაგან მომივიდა სწორედ მაშინ, როცა ერთ საგანმცირავი მეოდედა ჩასაბარებელი ევჭემენია. დედაჩემისაგან წინადაც მომდიოდა წერილები, ოღონდ ეს წერილი კი ჩემგნით იყო გამოწვეული.

მე მტრიცედ დარწმუნებული ვიყავი მასში, რომ ჩემი არსებობა ქვეყნიერებაზედ გარდა ჩემი სოფლის მცხოვრებლებისა და ჩემი ამხანაგებისა, არავინ იცოდა, — ის კი არა, თურმე, მეც ვინმე ვყოფილვარ და უნახავადაც მიცნობდნენ. ამას აშეარად ამტკიცებდა სიმრავლე ჩემს მიერ მიღებულ წერილებისა და მათში ერთსულოვნურად გამოთქმული ჩემი ქება-დიდება. ამის შეგნებამ ფრთები შეასხა ახლად გამოფხიზლებულ ჩემში თავმოყვარეობას და მომეტებულად გააზეიადა სიამაყე ჩემი და ჯერჯერობით შეჩერა ბაკუებიდამ ჩემი ფეხის ძირს ჩამოდგომა. ამისთანა სულიერ განწყობილებაში ვიყავი, როცა მივწერე დედაჩემს წერილი და შევატყობინე, როგორც წერილების რიცხვი და შინაარსი, ისე მათი მომწერთა ვინაობა. ვიცოდი, რომ საწყალ, ყველასაგან და

უოველი მხრიდან დაჩაგრულ დედაჩემს ძლიერ გაახარებდა წირ-  
ლებში გამოთქმული ჩემზედ ქება-დიდება და ჩემს შინ წაგლის  
აღარ მოვუცადე, დავეჩერე წერილით შემეტყობინებისა და მას და-  
სასიმოვნო ამბავი და თ დედიჩემის წერილიც ჩემის წერილიც საპასუხოდ:

„შვილო სოსიკო!

შენმა ივადმყოფობამ — ამაზედ წინად მივწერე — ძლიერ შემა-  
წუხა. რათ იყავი, გენაცვალოს დედა, ავადა, მომეტებული ჯაფა  
ხომ ირ დაიყენე, მოგიყვდეს დედა, რო გვერდით არა გვვანდა და  
არ გივლიდა, შვილო, მატყობინებ, წერილები მომივიდა უცნობი  
ნათესავებისაგან, თავისთან მიწვევენ სტუმრადაო. ეგ შენი ნათესა-  
ვები, შვალო, სულ სხვა მიზნით გიწვევენ სტუმრად, სად იყვნენ  
აქამდინ! მანამდის მაგ დროთ მოგყრიდი, არავინ ჩანდა, თუმცა  
მართლა დადი მონათესავობა გვყვანდა, როგორც ჩემის მხრივა,  
აგრეთვე მამაშენის მხრიდანაცა და ეხლა გამოჩნდნენ? შვილო, ჯერ  
წელიწადზე მეტი დრო გიყლია სწავლის დამთავრებამდე, ეხლავე  
რო დაინიშნო, ფიქრი და დრო შენი დანიშნულისაკენ გექნება და  
აბა რაღას ისწავლი! არა, დედა გენაცვალოს, ნუ აპყვები ნურავის  
სიტყვას, მანამ სწავლას არ დაასრულებ. დაასრულე სწავლა და  
მაშინ როგორც გსურდეს, ისე მოიქეცი. მე შენი დამშლელი და  
წინააღმდეგი არ ვიქნები. ხომ იცი, კურსოვნიერის რა ფასი აქვთ  
აქეთა მხარეს, ერთადერთი შენ ლაპარულებ მემრის კურს აქეთა  
მხრისა. ამისათვის გაუჩალებიათ შენთან მიმოწერა შენს უცნობ  
ნოთესავებს და გპატიუობენ თავისთან. მაგრამ ნუ აჩქარდები.  
გასათხოვარი ქალები ბლომადა სხედან და მუშტარაც დიდი გეყო-  
ლება, თუ დრომდის მოიცდი, თორემ შენ იცი, შვილო!

დედა მარიაში“.

თუ ნათესავების წერილებმა გამოალვიდეს ჩემში მარტოდმარ-  
ტო თავმოყვარეობა და სიმაყე, სამაგრეროდ დედიჩემის წერილმა  
გამოალვიდა მთლად ჩემი არსება და შემახედა საღის თვალით წერი-  
ლების შინაარსზედ.

ბევრი წერილები მიმღია სემინარიაშიც, როცა მეექვსეში ვი-  
ყავი და სემინარიის დასრულების შემდეგაც უფრო ღირსეულ  
პირთაგან და ბევრად მნიშვნელოვანი შინაარსიანც, მაგრამ მე

ისინი ან მაშინვე დამიხევია, ან მიმიგდია სადმე უყურადღებოდ; მეხუთეში ყოფნის დროს მიღებული თოთხმეტი წერძლი კი დღესაც სათუთათა მაქვს შენახული და ძირფას განძს შეადგენს ჩემთვის, რადგანაც მათ მცირედი სარგებლობა არ მომიტანეს მტერ თვალებულ ჩემ თვითგაცნობიერებაში, ისე შემდევისაოვის სხვერცხულებულ შეკრისება

## II

გათავდა ეგზემენცები. მე გადავედი მეექვსეში. ამაში ეპვიც კი არა მქონდა, გვარიანად ვწავლობდი. თიბათვის 28 იყო, როცა „საორთვეოდ“ დავითხოვეს. მოვემზადე მეორე დღისათვის შინ წასასვლელად. დიდი მომზადებაც არ დაჭირდა: შევეარი ჩვეულებისამებრ ბოხჩაში, რაც რომ ტანისამოსი და ფეხსაცმელი მებადა, ორიოდე წიგნიც ჩავდე შიგ და მზად ვიყავი.

შინ წასვლა უფრო ხშირად ფეხით მიხდებოდა: გავუყრიდი ხოლმე გამომარყებელ ბოხჩას ჯახს, გადავიდებდი მხარზედ და გავუღებოდი გზას. ხოლო ხანდახან, როცა შეითხვევა მექნებოდა, გავყვებოდი ხოლმე ქირაზედ ჩამოსულ ჩვენი მხრის ურმებს — უფრო კი მისთვის, რომ თავიდან ამეშორებინა ბოხჩის ზიდვა. ახლაც წავედი „ბაკებში“. ურმების საქებნელად — ვგრძნობდი, რომ ჩემს ჯულში უკვე მაგრად მოეკეცნა სიამპარტაციებს, — ეპვი არ არის წერილების შედევგი იყო ეს. და ურმებზე წასვლასაც კი შეუფერებლად ვთვლიდი ჩემი თავისათვის, მით უფრო სათაყილოდ მიმართდა, გავდგომოდი გზას ფეხით უწინდებურად მხარზედ ბოხჩაგადაკიდებული.

არ ვიცი, ბრძანი მომადგა, თუ ჩემი ამპარტაცნობის ბედმა იმუშავა, „ბაკებში“ შემხვდნენ ქიზიყელი მეცხვარეები; ის-ის იყო ჩამოსულიყვნენ თრიალეთიდამ, მიპქონდათ შინ პარველი წველის ყველი და მოუდიოდათ საკალოვე ცხენები. პირებდნენ ქალაქიდან გასვლას იმავე საღამოს. ამათ გაიგეს განზრახვა და წინადადება მომცეს გავყოლოდი მათ, რაზედაც სიხარულით და დიდის მაღლობის გამოთქმით დავთანხმდი.

მზე კარგად იყო გადახრილი, როცა გავდიოდით ქალაქიდამა, სიცხე-პაპანაქებას კი ჰერაც არ შეპაროდა სიგრძლე. ქუჩებში ისეთი ვარვარი დაიღოდა სიცხისა, როგორც შუაღლისას. მთის სიგრძლილეს ნაჩვევი მეცხვარეები ოფლში სცურაობდნენ და სულ

ძლივს იბრუნებდნენ და რაც კი შეიძლებოდა შუროდნენ ჩქარა  
გასცლოდნენ სულის მხუთავ სიცხე-პაპანაქებას.

გავედით ქალაქგარეთ გაშლილ მცნობრზედ. არც იგივე გავა  
ვარებული ჰყარი იდგა. ხოლო შედარებითი სისუფთავე და მო-  
რაობა მისი საშუალებას აძლევდა მეცხვარეებს ცოტკაშვილების  
მოებრუნებინათ სული. მე კი ქალაქის სიცხე-პაპანაქების უშიშე  
ული ვიყავი და მაგრე რიგად არც მაწუხებდა და არც მისი შემსუ-  
ბუქება გამიგია. მაგრამ მე მაღდა სულ სხვანაირი სიცხე, რომელიც  
ყოველგვარ სიცხეზე ცხარე და შესამჩნევად შეუძლებელი იყო  
ჩემთვის. ეს იყო ინსპექტორის თვალთაქვეშე ყოველ წუთს ყოფნა,  
ამიტომ არა ნაკლებ მეცხვარეებისა მეც მიმეშურებოდა ქალაქ-  
გარეთ.

როგორც მე, ისე მეცხვარეებიც კმაყოფილი ვიყავით ამ მგზავ-  
რობითა: მე მითი, რომ თითქმის პირელად მომიხდა ცხენზე ჯდო-  
მით მგზავრობა და, გარდა ამისა, მეცხვარეები უხვად მიმა-  
პინძლდებოდნენ ახალი ყველით და სხვა სანოვაგით. მეცხვარეები  
კადევ მითი, რომ მე შევაქცევდი მათ ლაპარაკით.

გარგა ღამე იყო გასული, როცა ჩამოვხტით. ცხენები საძოვრად  
გავუშვით ყორულში, ჩვენც დავსხედით ვახშამზე. ღამე უმთვარო  
და მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. პირელი ჩე-  
მი საუბარიც მეცხვარეებთან ამ ღამის ზეგავლენით ბუნებაზე  
დავიწე: დედამიწის ბრუნვაზე, ცას მნათობებზედ, ქარისა, წვიმი-  
სა, თოვლის და სხვათა გაჩენაზედ, მაგრამ ჩემს ლაპარაკს ისე არ  
ეკარებოდნენ, როგორც ურია ლორის ხორცს. ხშირად სიტყვის  
შემომიბრუნებდნენ: „ეხლა შენ ისეთი ბრიყვები და უციცნი გვო-  
ნევართ, რო ეგ დაგვაჯერებინო? ე დედამიწა ცას ძირის ძირამდე  
გადაჭიმულია, ი ვარსკვლავები ციცინათელასავით ბუუტავენ პაწა-  
წინები და გინდა დაგვაჯერო, რო დედამიწაზე დადრონებიაო?!.  
აბა, ეგ სადა თქმულა და გაღონილია!“

რამდენიც საბუთი და მაგალითი მოვიყვანე დასამტკიცებლად,  
V იმდენად უფრო გაქირს ეწეოდნენ ჩემი ონამგზავრები და თუმცა  
პირდაპირ ვერა მკადრებდნენ, მაგრამ სიტყვაგადაკვრით კი  
მცგრძნობინებდლენ — მთლად გასულელებულხარო. არ ვიცი, რა  
დამემართებოდა სიბრძისაგან, რო ვერ იქნა, ვერ დავაჯერე მსმე-  
ნელები ჩემი სიტყვის სიმართლეში, რომ უცბად და ენაზდად არ  
გამოცვლიყო საუბრის საგანი: ერთმა მეცხვარეთაგანმა, რომე-

ლიც იშვიათად ერეოდა ჩვენს ლაპარაკში და ძვირად მაღირსები  
პასუხებს, აღმათ ველარ მოითმინა, რომ ჩემი დაეინებოდი მტკ-  
ცებით შეურაცხოფას ვაყენებდი მათ მცნებებს და გულმოსულა  
მკვახედ მომიტრა:

ურკილესი

— აბა, კადეც თქვენითანა ხალხი ამობს ღმერთი აზურულებულებები  
ამ სიტყვებმა სულ სხვა საგანზე გადაიყვანა ჩემი აზრთა მსვლე-  
ლობა, საუბრის საგანი შეიცვალა, მივყევი საღმრთო წერილის  
მბობას, რითაც ძლიერ მოვიგე მათი გული... დროც იყო, ეს რომ  
არ მომხდარიყო, თითქმის ჩხუბის ხასიათს ლებულობდა ჩვენი  
საუბარი.

რავი დავიწყე მოთხოვნა საღმრთო წერილებიდან და იქსო  
ქრისტეს ცხოვრება ქადაგება მოვათავე, ეხლა საქართველოს წარ-  
სულზე გადავედი, მის საგმირო — მრავალტანჯულ და თავგანწი-  
რულ ბრძოლებზე სამშობლოსა და ქრისტიანობის დასაცავად  
აუარებელ მტრებისაგან. სულ სმენად იქცნენ მეცხვარეები, სი-  
ტყვას არ გაუშვებდნენ ყურიდან და თუ ხმას ამოილებდნენ, მხოლოდ  
უსაზღვრო აღტაცების გამოსათქმელად და ჩემს წასაქეზებლად: „აი,  
ეგ მოგიხდა!“, „ეპეტ, გიშველა ღმერთმა!“, „დაიღლუა ღმერთო მისი  
სხელი!“, „მამა ვაცხონე მისი და გამჩენი!“ ისმოდა ესა და სხვა  
ამძითანა წამოძახილი ჩემს საპასუხოდ.

ის ღამე თითქმის თბილად გავათენეთ და შემდეგ დღესაც იგეთვე  
სიბეჭითოთ გავაგრძელეთ ჩვენი ბაასი. მესამე დღეს დილით გამო-  
ვეთხოვე მეცხვარეებს და დავადექ ჩემ სამშობლოს სოფლისაკენ  
მიმავალ გზას. დიდად დამიღონდნენ მეცხვარეები ჩემ გამოთხოვები-  
სას და თუმცა, საცა სამართალია, მე მეკუთვნოდა მადლობის გადა-  
და, პირიქით თათონ გადამიხადეს მადლობა და ერთი კვერი ყველი  
მითავაზეს. მეტსაც მაჩქებდნენ, თუ რომ წალება შემძლებოდა.  
მაგრამ რადგანაც ტანისამოსისა და წიგნების ბოხჩაცა მქონდა  
სატარებელი და ჩემი სოფელიც არც ისე იხლო იყო, მეტს ვერ  
გზიდავდი... გავახვივ ყველი ძველ სერთუქში, ჩავდე ბოხჩა წიგ-  
ნებსა და ტანისამოსის შუა, გავუგდე ჭოხი გამოყულფულ ბოხჩას  
და გავუდექი გზასა.

ყოველთვის რაღაც სულ სხვანაირი სიამოვნება აღმეძრებოდა  
ხოლმე გულში, როცა ამ გზას შავუდგებოდი და გული ისე ამიძ-  
გერდებიდა, რომ გვერდით რო თანამგზავრი მყოლოდა, ისიც კი  
გაიგებდა მის ბაგაბუგს. ვიცოდი, ორიოდ-სამიოდე საათილა მრჩე-

ბოლა, ვიდრე დედაჩემს ჩავუვარდებოდი გაშლილ გულ-მკერდში, მაგრამ მექამად კი სიხარული და სიამოვნება ჩემი ორუეც აფა: პირველად მიმქონდა სახლში ჩემით მონაგრებული რდვნი ვალი, და წარმოდგენილი მქონდა, თუ რარიგ ეამებოდა ეს დედაჩემს და აბა ამაზედ მეტი სიამოვნება ჩემთვის რა უნდა ჰქონდეს და არწმუნებული ვიყავი, რომ დედაჩემის ხელში ჭრილი უკუჭმეს მას და ისი სის საგზალ-საჭმელად გაგვივებოდა ღარიბ ოჯახში და ერთ-ერთ დარღსა და ნაღველს მაინც გაგვიქარწყლებდა.

სიხარულისაგან ვერც კი გავიგე, როგორ გავიარე მთელი გზა სოფლა მდის. მაშინდა მოვედი გონს, როცა სოფლის ბოლოს ბე-ქობზედ მჯდომარე დედაჩემი დავინახე.

დედაჩემს წინადვე ვაცნობებდი ხოლმე, როცა გვითავდებოდა ეგზამენიები და რა დღეს დაებრუნდები შინ. და ისიც მანელოდე-ბოდა ხოლმე სოფლის ბოლოს: დილიდან გამოვიდოდა, ბექობზე დაჭდებოდა და საღამომდე მელოდებოდა. წინათ, რა წას ღამინა-ხავდა, მაშინვე გამოექანებოდა ჩემსკენ, გადამეხვეოდა და ღამ-კოცნიდა, ეხლა კი უჩვეულო ცვლილება ვნახე მასში: არამცუ გამოექინა ჩემს დანახვაზე, ფეხიც კი არ მოუცვლია ბექობიდან, მანამ სულ არ მივუახლოვდი. მაშინდა ადგა, მომეხვია და მაკოცა. ოღონდ ისე კი, რომ ძლიერ ცივად მეჩვენა მისი კოცნა, არც ჩვეულებრივი ცოცხალი ლაპარაკი და დაუსრულებელი მოკითხვა და გამოკითხვა ჩემი ამბისა. დიდად გამიკვირდა ასეთი ცვლილება დედაჩემში. შევატყე თვალები დაწითლებული პქონდა და ეპვი დამებადა მაშინვე, რომ ნამტირალევი იყო. ჩვეულებად არ მქონდა გამოკითხვა რამესი, თუკი თითონვე არ მეტყოდა დედაჩემი თავის გულის ნადებს, და ამიტომ დღესაც საიდუმლოდ დამრჩა, თუ რა იყო მიზეზი დედიჩემის ასეთი ცვად შეხვედრა.

მხოლოდ პირველი იყო ასეთი ცივი შეხვედრა დედაჩემის მხრივ, მაგრამ შემდეგში კვლავ დაბრუნდა ჩვეულებრივი ტები-ლი და წრფელი დამოკიდებულება. ძველებურად გამხიარულდა ჩემი დაბრუნების გამო. როგორც იმედი მქონდა, მეტად გაუხარდა ყველი, მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩემთვის სამასპნძლო გამო-უჩნდა, არამედ იმიტომ უფრო, რომ ეს ჩემი პირველი მონაგარი იყო სწავლის წყალობით.

— აი, შვილო, იმისთვინ ვიტანჯე და გტანჯე, რომ ბოლოს მა-იმე სიკეთე და მეც სანამ ცოცხალი ვიქნები, არ დამკარგო. ჩემი

შრომა და ამაგი არ ჩატარო უქმად და როგორც არა ერთი და როგორც  
მაგალითი ვიცი, ისეთ დღეში არ ჩამაგდო. დამყარგავ შეცა ფა ჩემ/  
ამაგსაცა, შვილო, და შენ იცი, შენი ნება იყოს, ოლოცვერტეჭ გულუ ე  
იზამ, რო მკედარიც არ მამივონო და შენდობაც წერტეჭრუე ე  
ლმერთმა შამასწროს, შვილო, იმ დღეს, რო შენ თითონ გეყოლე-  
ბოდეს შვილები და გამოზრდას დაუწყობდე. მაშინდა გაჟებ,  
შვილო, რა არის შვილის ყოლა ან მისი აღზრდა დედ-მამის გული-  
სათვის. როგო გაიხარებ, როცა ნახავ შვილის მონაგარსა, სახლში  
შემოტანილსა. მაშინ თუ მიპედები, რა ძრელ მასიამოვნე და  
გამახარე, შვილო, მაგ ყველითა.

მე გული ამომიჯდა ამ სიტყვებზე, ასე მეგონა, დამნაშავე ვიყა-  
ვი იმაში, რასაც დედაჩემი ამბობდა, სვინდისმა ქენჯა დამიწყო.  
შინდოდა მენუგეშებინა, მეთქვა რო შენს უპატიურობას ამაგისა-  
თვის, ურჩობასა და უმაღლერობას თავის დღეში არ გავივლებ  
გულში-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე ამის თქმა.

ეს იყო და ეს, დედაჩემის გულცივობა და რაღაცა უქმაყოფი-  
ლება ჩემით გაქტრა, ისე დაუბრუნდა სელებური სიმხიარულე და  
ტკბილი ურთიერთობა დამყარდა ჩევნს შორის, მანამ სტუმრად  
წავიდოდი. მხოლოდ უნდა გამოვტყდე, რომ ცოტაონდა სიამ-  
ბარტავნის და სიამაყის გალვიძებას მაინც ვერძნობდი ჩემში. მიზე-  
ზი ამისა, რასაკვირველია, იყო წერილები, მერე ყველის შოვნა —  
დამსახურება და მესამეც უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი  
შემდეგი იყო: ჩევნ სოფელში ცხოვრობდნენ თავადიშვილებიც.  
უწინ, როგორც თვითონ თავადები მაგონებდნენ და მაგონებენ  
ეხლაც, ჩემი მამაპაპა და პაპის პაპა ამ ბატონების ყმები ყოფი-  
ლან. ამისათვის, რასაკვირველია, წესიერება და ადათი მოითხოვდა,  
რომ ყოველთვის სალამი უნდა მეძლია მათთვის პატივისცემით  
ყოველ შეხვედრაზედ და ასეც იყო. მე არამცუ ჩევნი სოფლის  
თავადებს, სხვა სოფლებისასაც კი ვაძლევდი მდაბიო სალამს,  
რადგან ვალდებულადა მქონდა შესმენილი ეს, თუმცა ჩემს სალამს  
ისინი ისევე არ აქცივდნენ ყურადღებას, როგორ სპილო ბუზის  
მაღლობას. ეხლა კი არამცუ ყურადღებას არ მაქცევდნენ, არამედ  
ხელიც ბევრჯერ ჩამომართვეს ჩევნი სოფლის თავადებმა. ასე  
გასინჯეთ, ქალებმაც კი და ხან სალამსაც კი დამასწრებდნენ ხოლ-  
მე. ამ უკანასკნელმა გარემოებამ მეტად გამიძერა თავი და მას  
აქეთ ჩემ თავს მევე დავდე ფასი — გავამიყდი, გავამპარტავანდი.



დედაჩემს ცველა წერილები წავუკითხე, რაც კი შენ ჩემი დედა და თავი იქნია დედამ, როცა ვუკითხავდი წერილებს და თანაც იმეორებდა გესლიანად:

— ეხლა გამოვიჩნდნენ განა პატრონები! აქამდის სად იყვნენ?!  
რო გავათავეთ წერილების კითხვა, მკითხა:

— რისოვის გეპატიუებიან, შვილო, იცი?

თუმც ძალიან კარგა ვიცოდი დედაჩემისავე წერილიდან, რის-თვის მეპატიუებოდნენ, მაგრამ მაინც ვერ გამოვიჩნე იმდენი გულახდილობა, რომ გამოვტეხოდი დედაჩემს და, ცოტა არ იყოს, კდემით ვუპასუხე: — არა, აბა, რა ვიცი... — მაგრამ ვიდრე ვთქვი სიტყვა, ყელში ნერწყვა გამიშრა, ძლივს წავილულლულე, უფრო ამოვიკნავლე, ვიდრე ვთქვი და თანაც ვიგრძენი, რომ აღმური ამივარდა პირისახეზედ. დედაჩემმა ალბათ კარგი შემატყო ჩემი კდემა, თუმცა კი არ მაგრძნობინა. ცოტა ხანს გაიკუმდა, მაღროვა, რომ დონეზე მოვსულიყავ და განიგრძო:

— ეხლა შენ ჩემი იარა გესწავლება რა, შვილო, ცველა საბე-ლის ორივე წვერს გაძლევ ხელში, როგორც გინდა, ისე განსაჯე და მოიმოქმედე. ამას კი ვეტყვია, შვილო, რომ შენი დანიშვნის დრო გერ არ არის, ეხლა ნაადრევია. ჭერ ერთი წელიშადი კიდევ გოდია, ეხლა რო დაინიშნო, სწავლაზედ გული ავიტრუვდება, ვეღარაფერს ისწავლი და ან არ დაგასტრულებინებენ ან კადე უკანასკნელი იქნები შენ ამხანაგებში, შვილო, და შენი ათი წლის შრომა სულ მუქ-თად ჩაგივლის. ივანე ლედლის შეილისა არ იყოს, თუ კიდევ ზოვი-ერთი ინიშნება სემინარიაშივე ყოფნის დროს, ისინი, შვილო, გაჭირვების გულისათვის ჩაღიან ამას, ვინც სახელმწიფო ხარჯზე არ არის. შენ კი, აბა, რა გიჭირს? ლმერთმა აძლიეროს ხელმწიფე, თავის ხარჯზე გინახავს: სმა არ გაქლა და ჭამა, ჩაცმა და დახურვა. შინ ყოფნის დროს თუ გაქვს ნაკლულოვნება რამ, თუ აქამდინ ბევრი მოგითმენია, შვილო, ცოტაც მოითმინე, ცოტას მოთმენა როგო ვერ უნდა შესძლო.. აქამდინ ბევრი მოგითმენია, თორემ შენ იცი, შვილო, აქამდინ მოგახწევინე, ჩემი მოვალეობა მოშორე-ბული მაქვს, მოხდილი.

— დედავ, არამცო უხლა, მე ისე მაქვს ფიქრში, რომ უკანას  
დამთავრებას შემდეგ თრა-სამი წელიწადი თავისუფლად ვაკა, —  
ვუთხარი მე.

სიმართლე უნდა სოქეს კაცმა, მე ჯერ არა მქონდა და მარტინი  
ლი არც ცხოვრების იდეალი, არც ცოლისა, არც სპონსორისა.

— არა, შვილო, მე ხომ ცოლის შერთვის არ გიშლი, პირიქით,  
ჩემთვის ძრიელ საწყენი იქნება, რომ თავის დროზე არ შაირთო  
ცოლი, მაგრამ უდროოდ კი ხელს არ მოგცემს. გარდა ამისა, მე აი  
რახე მტკიცა გული: შენოდენა ნათესავები, როგორც მამის მხრი-  
დან ისე დედის მხრივაც არავისა ჰყოლია, შვილო, და ნეტა ერთად-  
ერთი ვინმე დამხმარებოდა, როცა შენს სკოლაში მიცემას ვაპი-  
რებდა; სულ მიიმალ-მოიმალნენ თავებივეთა, ყური მოიყრუვეს,  
როცა რჩევა-დარიგებას ვეკითხებოდი ვისმე, საქმის წარმართვის  
მაგიერ, ხელს მიშლიდნენ, გზებს მიხლართავდნენ, მიძნელებდნენ.  
მიგცი კიდე სკოლაში და აბა ერთი ცალი ფულით თუ მამხედა  
ვინმემ? აბა, თუნდ სოლომონ ლვლელი რომ გეპატიება თავისითან,  
მისი შვილებიც ხომ ქალაქში სწავლობენ, როცა ჩამოსულა ხოლმე  
თავის შვილების სანახავად, ვინახულებდა ან მოგიკითხავდა?.. ან  
ცალი გროშის ტოლა თუ შემოუქლევია რამე შენთვისა?.. შორე-  
ულიც რომ არ არის — ალალი ბიძაშვილია ჩემი! მტკიცა და რო-  
გორ მტკიცა გული, რო შეძლებული და მქონე კაცია, თავის შვი-  
ლებს ყოველთვის ცხენებს უგზავნის, კარგად იცის შენ ფეხით  
მოდიხარ და ისე გაიშავა პირი, რომ ერთხელაც არ მოგიყვანა შინ  
თავის შვილებთან ერთად, თუნდაც მარტო თავის სოფლამდე  
ეხლაც, განა შენი დარღი ქვეთ ნათესავებს რა?! ზოგს დარჩომილი  
ბლალოჩინის ქალი ჟყავს, შვილო, გასათხოვარი, ზოგს ნათესავი,  
ზოგი კარგ სამაჭანეულოს გამოელის და იმისთვინ მოუხშირა შენთან  
წერილებსა და პატივობას... ჯერ იყო და მე მამებვივნენ, მაგრამ მე  
პირი არ მივეცი და ეხლა შენ შემოგიჩნდნენ...

— მე კი, მე ვაცი, შამაყდენს ვინმე! — დავიტრაბახე მე, —  
აკი ვამბობ. მანამ ორ-სამ წელსაც არ ვავატარებ თავისუფლად  
კურსის დამთავრების შემდეგ, მე ცოლის შემრთავი არა ვარ-მეთქი.

ამს ვამბობდი, მაგრამ გული როგორლაც მაჩქლორავდა. არ ა  
ვიცი იმისთვის, რომ პირველად იყო ჩემსა და დედაჩემს შორის  
ამისთანა ლაპარაკი და მეხათრებოდა მისი, თუ პასაკი მოქმედებდა  
ჩემში. გამოტეხილს ვატყვა, გულში ძლიერ მსურდა სტუმრად

წასვლა ყველასთან და ყველა ქალების ნახვა. ეს სურველი მაშინ გამოიძიერდა, როცა დედაჩემაც დაადასტურა ჩემი წერილებიდან გამოტანილი, მაგრამ ვერ ვძელავდი გამეზიარებინა ჩემი სურველი დედაჩემისათვის.

თითქოს გულში ჩამხედა, მითხრა:

პირველი მიზანი

— მაინც, შვილო, გაიარე ყველასთან, ვისთანაც კი მოასწრობ სტუმრად, თვალს გაახელ, ან აეს ნახავ, ან კარგს, ოღონდ მეც ნუ დამივიწყებ, თვალსა და გულს ნუ დამიღამებ, შვილო, შენ მომლოდინეს.

სწორედა ვთქვა, ძლიერ მიამა დედიჩემის დასტური და მივეცა პირი, რომ დიღხანს არსად დავრჩებოდი.

#### IV

##### პირველი ფასლა სტუმრაში

მართალია, დედაჩემა დასტური დამცა სტუმრად წასვლაზე. მაგრამ მე მაინც არა ვჩერარბოდი. მესამე კვირა თავდებოდა ჩემი შინ ყოფნისა, როცა მომივიღა ცხენი და კაცი მთავარდიაქონ იასე გეშეკაშვილისაგან. წერილში, რომელიც გადმომცა მთავარდიაქონის კაცმა, დიდ საცვედურსა მწერლა იგი, რომ მითომც მის წინაძელ დაპატიჟებას ყურადღება არ ვათხოვე. ღვთის წინაშე, სამ მანეთზე კი არაფერი ხსენება არ იყო წერილში. გიგზავნი ცხენისა და კაცსაო და იმედი მაქვს, რომ გადმოხვალო. შორს არ იყო გეშეკაშვილის სოფელი ჩემს სამშობლო სოფელზედ, იმავე დღეს რო წაესულიავი, ვუწევდი, თუმცა ცოტათი მომიგვიანდებოდა, მაგრამ წასვლა მაინც მეორე დღისათვის გადავდე, რაღანაც მოსამზადებელი ვიყავი.

მეორე დღეს შავჯეჭი ცხენზედ, კაცი ფეხით მომდევდა. მე, როგორც ცხენზე ჯდომის უწურთნავი, ცხენს ვერ ვაჩერებდი და კაცი მხარდამხარ მომდევდა. კარგა ვზა გვექონდა გავლილი. არც მე ვიღებდი ხმას, არც კაცი, ვარდა იმისა, რომ სახელი კი ვიკითხე. მოულოდნელად დაარღვია სიჩუმე მიხამ (ასე ერქვა მას) და მომზართა ამ სიტყვებით.

— ე, ყმაწვილო, შენ კი არ ვაიკრავ კაი გოგოს, აი!

— ვის გოგოს? — ვკითხე მე.

— ეი!.. შენ თითონ არ იცი, რა!

— არა.

— ბლალოჩინის ქალსა... მაშ, არ იცი, რო უნდა დაგნიშნოს იმის  
ქალზედა?

შერველები

— არც არაფერი ვიცი და არც დაგინიშნები. ტეგლიტომერები

— ებედი!.. თუკი იგეთი კაცი მაინდომებს, როგორც ი ბლალო- V  
ჩინია, რო შაგრთოის თავისი ქალი, აცა! მაშ, შენ უარს იტყვი, რა!

— რატო არ ვიტყვი? — ვკითხე მე, მინდოდა გამეგო მიზეზი,  
რატო ვერ ვიტყოდი უარს.

— იმიტომა, რომა ბლალოჩინი სუ სხვა კაცია. იმითანა გავლე-  
ნიანი კაცი მთელ დუნიაზე არ მოიპოვება და აბა, იმას უარს ვინ  
აქადრებს!?. მერე როგორთი თავისი ნათქვამია: ქვას გასტეხს,  
თავისას კი გაიტანს.

შემდეგი საუბრიდან გავიგე, რომ მიხა ბიძაჩემის კაცი კი არა,  
როგორც მე მეგონა და ბიძაც მწერდა, თითონ ბლალოჩინის მოგა-  
მავირე ყოფილა და ცხენიც ბლალოჩინისა იყო. სხვათა შორის,  
ცნობის დასაქმაყოფილებლად ვკითხე, რა ჰქვიოდა ბლალოჩინის  
ქალსა.

— რომელსა?

— განა, რამდენი ქალი ჰყავს?! — გავიკვირვე მე.

— გასათხოვარი ქალი სამი ჰყავს; შაშაი, სონაი და ვერაი...

ამის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს, კდემამ ამიტაცა. მერე მაინც  
სუვ ცნობისმოყვარეობამ დამტლია და გავაგრძელე გამოკითხვა.

— რომელია იმათში უფროსი? რა სნიაა, ანდა რომელია უფ-  
რო ლამაზი? — მივაყარე კითხვები.

— ყველაზე ღიღი შაშაა, ყველაზე ლამაზი კიდენა უმცროსი,  
ვერაი. ი დასაქცევი, ძაან კაი რამ არი, ი ვერაი... ლაზლანდარა,  
კაცის მოსიყვარულე და მეტი კუდეგა. რა იქნება, რო იმან არ  
მოიგონოს. თავდაბალიცაა ისეთი, რომა, რა ვიცი. კიდევაც გვე-  
სუმრება ყე ჩვენ მოჯამაგირეებს, ხან რას გვიშვრება და ხან რაის!.  
უფროს დებს კი არა ჰყავს, ფხეუკიანებს. ნამეტნავად ი ამოსაწყვეტ  
უფროსს სუ თავ-პირი ჩამოპტირის, სუ შუბლშეკრულია ი ჩემი  
ცოდვით სავსე. ერთი სიტყვა რა არი, ერთი სიტყვა არ ამოსვლია  
იმაის პირიდანა ხეირიანი: სუ შხამი და ლვარძლი ამოსდის ი პირი-  
დანა მაგ ოჯახეტიანს. ი პატარა კი ნამდვილი შენი საფანდია, —  
დაასკვნა ცოტა სიჩუმის შემდეგ მიხამ.

ამ ლაპარაკმა ცნობის მოყვარუობა უფრო გამიძლიერა და /ცვ-  
ფიქრე, დაწვრილებით გამოვყითხავ ქალებზედ, მით უშეტესი, რო-  
გორც ნალაპარაკებიდან ჩანდა, მიხა მეტი გულუბრყვაღლო, ჭერიტა-  
იყო და ზედაც გაუონილი მქონდა, რო მოგამიგირეზე კუტრ ფუჭვის /  
დაუფასებს თავის აღის ოჯახის წევრებსი და ნამეტენ აზად-ჭერიტა-  
ხლო უბრალო, უსწავლელი, მიამიტი კაცი, როგორიც შინა იყო,  
სიმართლის მეტს რას მეტყოდა, გარდა იმისა, რაც თვითონ ენახა  
ან გაეგონა, რას მოიგონებდა და შეთხხავდა თავისი სუსტი ფანტა-  
ზით. ძნელად თუ უსწავლელმა კაცმა გააზიადოს და შეაფერად-  
გაალამაზოს, რაც უღირსია, და მეც ხომ ეს მინდოდა. გარდა იმისა,  
გზა ჭერ კარგა დიდი გაქონდა გასავლელი, დრო ნებას გვაძლევდა  
და გულს მაინც გადავაყოლებდით ლაპარაკს. ამა და სხვა ამგვარ  
ფიქრების გავლენით საუბარი განვახსლე.

— შინა საქმეს აკეთებენ რასმე ქალები? — შევეკითხე.

— აბა, საგლეხო საქმეის კი რათ გააკეთებენ და საქალო საქმე  
კი კარგა იციან: ქარგვაი, კერგვაი, შენი ჭირიმე, გამოკრაი, — იმის-  
თანები კარგა იციან... ღვთის წინაშე ი პატარა კი ეტანება საგლეხო  
საქმეის: ხან სამზარეულოში შევარდება, დატრიალდება, იქ კოშის  
ამოურევს საჭმელს, იქ ცეცხლს წაუჩინინებს, ხან სათონეს მივარ-  
დება, თუ პური ცხვება, გუნდას მოწნის, ლავაშს, ჩააკრავს, ხან  
თოხსაც კი წამოავლებს ხელსა, მანამ დედა თუ მამა არ დაპიგ-  
ლებენ. იი!.. დედა რო შეუტევს ხოლმე! შე დასაქცევო, შე დასაქ-  
ცევო და დასამიწებელო, ეტყვას ყე, სკოლაში გასაწურონად  
გაგზავნეთ და გაწვრთნის მაგიერ გაგისულელეს და გაგმასაცილო-  
ესო! იმ ჩემი ცოდვით სავსეებმაო!.. რაც შენი საქმე არ არი, იქ ნუ  
ეტანებიო...

— იქნებ ისეთი ქმარი შამხვდესო, — ესეც არ შეეპუება, — რო  
თითონ მე მამიხდეს ყველაფრის გაკეთებაო და ის არ აქობებს  
ეხლავე ვისწავლო, მერე ვინდა მისწავლისო, — შეუბრუნებს ყე  
სიტყვას და გაიქცევა ხარხარითა. რო ვამობ დაუფასებელია, სწო-  
რედ, დაუფასებელი...

— ვანა ვინც ყველა საქმეს ეტანება, კარგია? — ვკითხე განვებ.

— არა... მე მაგაი ხომ არ ვამობ, ისეა ყველაფერში კარგი,  
თორე იმისთანა კაცის შვილს რათ შავშეენის საქმის კეთება, რაც  
უნდა იყოს, — მიპასუხა მიხამ ყოყმანით.

— მართალი ხარ, მიხავ, ვინც ყველა საქმეს ეტანება, ქალია

თუ კაცი, კარგია. ეხლანდელ დროში მუშაობა და საქმის გაუცემა  
სირტვილი და სათაყილო როდია. სათაყილოცა და საძრახოც ა  
არის, როცა აზაფერი იცის კაცმა და შენ არა აქვს გუაჭურულ უზრუ

— პა, პა რო მანგრეა... დიალოგა შენი ენაკერ-მუტყენიშვილი წიგვედე საქმის, ოფლს ვიწმენდავდე და დედავაცმა ლობილ-შე-  
ჰიმადი რო მაინც ვერ გააკეთოს, ას რა შესანახია, რას უნდა აქნევ-  
დე იმისთანა დედავაცი! — წამოიძახა გათამამებულმა მიხამ.

— ეხლა ისეთი დროა, ჩემო მიხავ, რომ ქმარს ცოლი მხარში  
უნდა ედგეს, თუ ასე არა, ამ ჩვენ დროში კაცი ძნელად იცხოვრებს  
და ივარგებს.

— ეგ კაი სიტყვაა, მე და ჩემმა ღმერთმა!..

— შენ ეს მითხარი, მიხა, ბლალოჩინის უფროსი ქალები სწავ-  
ლობდნენ სკოლაში?

— რა ბრძანებაა!.. მარტო პატარა სწავლობდა და ამობენ, დაი-  
სრულა კიდევაც სწავლა.

— აი, კიდეც იმისათვის ეტანება უველანაირ საქმეს, როგორც  
შენ ამბობ, და არა თაყილობს. ნასწავლი კაცი თუ ქალი აზაფერს  
საქმეს არა თაყილობს, თაყილობენ საქმეს უსწავლელნი.

— რო გითხარი, კაი ვინმედა ყე პატარა! ნეტაი, შენი სიცოცხ-  
ლით, გამრავლდეს მაგისთანა ნასწავლი ხალხი, რო ერთი ე ჩვენ  
გლეხის გოგოებს მააშლევინონ პრანშევა-გრეხევა და საქმიანობას  
მიაჩვიონ. რამთენი ვიცი, რო ჭადი ენატრება ოჯახში, გარეთ კი თუ  
ქოლგა არ უჭირავს ხელში, უიმისოდ ფეხს არ გაადგამს. ნეტა,  
ერთი დაგანახვა დღეობებში თითქოს სოკოები ამოუხეთქიან  
ოვდარსა გარშემო, ისეა აჭინვებილებული ქოლგები.

ამასობაში მივადექით სოფელს და ჩვენი ბაასიც შეწყდა. მიხამ  
მიმაცილა ბიძაჩემის მთავარდიაკონი იასეს სახლამდე, თითონ კი  
ცხენიანათ გაეშერა ბლალოჩინის სახლისკენ, რომელიც სოფლის  
მეორე მხარეს ბექობზე იყო წამოჭიმული და გადმოჰყურებდა  
მთელ სოფელს.

## 7

### მასპინძელი ჩავი

ჩემი მასპინძელი მთავარდიაკონი იასე გეშეკაშვილი, როგორც  
მისი წერილიდანა ჩანს, ახლო ნათესავად გამომიჩნდა დედაჩემის

მხრივ, — ალალი ბიძაშვილი იყო დედაჩემისა, და სოლომონ  
ლვდლისა.

ეკლესიური სწავლა-განათლება გეშეკაშვილს წმ. ნინოს მონას-  
ტერში ჰქონდა მიღებული. ჯერ ისევ პრიჩეტინიად იუსტიტუტზე ე-  
ლაცა უკანონო საქმეზე გამოერიცხათ სამსახურიდან ფულულებულ-  
რო წოდებიდანაც, მაგრამ დეკანოზის შემწეობით, რომელთანაც  
ახლა მსახურობდა, არამცუ ისევ მიღებული იქნა სასულიერო  
წოდებაში, მთავრადაც კი აკურთხეს ხუთმეტი წლის წინათ. ეჭვი არ  
არის, რომ დეკანოზის წყალობით, რომელიც ბლალოჩინობდა ამ  
მხარეში, ისე დიაკონი დიდი ხნის მღვდელი იქნებოდა, რომ მთავ-  
რად კურთხევის ერთი წლის შემდეგ ცოლი არ მოჰქონდა, მაგ-  
რამ თავის ახლანდელი ქონბრივი მდგომარეობითა და მით უმეტეს  
გავლენიანობით არც ერთ მღვდელს (თუ დეკანოზი არ იყო ეს  
უკანასკნელი) არ ჩამოუვარდებოდა. შვილი არ ებადა, სცხოვრობდა  
მარტოდმარტო.

გეშეკაშვილი მთელ საბლალოჩინოში დიდი ბობოლა იყო, ბევრს  
ბლალოჩინისა ისე არ ეშინოდა, როგორც მისი. საბლალოჩინო დიდი  
იყო. ვისაც დეკანოზთან საქმე ჰქონდა, თუ პირველად გეშეკაშვილ-  
თან არ მივიღოდა სანახავად, ვერაფერს გახდებოდა. ვისაც, მღვდე-  
ლი იქნებოდა იგი თუ უმცროსი წევრი კრებულისა, გეშეკაშვილი  
ავის თვალით უყურებდა და არა სწყალობდა, ასევე უყურებდა და  
ექცეოდა მას თვით დეკანოზ-ბლალოჩინიც. ბევრისათვის, ვისაც კი  
გაუბედია გეშეკაშვილთან გამკლავება, ჩაუმწირებია და ჩაუშებე-  
ბია სიცოცხლე — ისე გაუხდია საქმე ბევრისათვის, რომ ეზოშივე  
დაუჩიქნია და ისე დაჩოქილი მიცოცებულა შენდობისა და პატი-  
ბის გამოსათხოვნელად თავის უვიც შეცდომისათვის.

საწყალ მამაჩემსაც დასტუდომოდა თას რისხვა მისი, როგორც  
დედაჩემმა მიამბო. მიზეზი კი სულ უბრალო ყოფილიყო: დედაჩემს,  
როგორც ერთადერთ მონაწილე ქალს პრეცენტი  
დან მცირეოდენი მამული, რომლის შესყიდვა ძლიერ გულითა სდო-  
მებია მთავარს, მაგრამ ფასს კი მეტად მცირეს იძლეოდა, ვიდრე სხვა  
ბიძაშვილი, რომელსაც თურმე მიპყიდა მამაჩემმა ის ხვედრი სამ-  
კვიდრო. მიზეზი გადაეკიდებისა ეს ყოფილა და რა დანაშაული ჰქონ-  
და სამსახურის წინაშე მამაჩემს, არც იმან იცოდა და არც სხვა ვინ-  
მემ; სიკვდილიც ამ გარემოების მოესწრაფებინა მამიჩემისათვის,  
რაღაც არ ვეღარ აეტანა ასეთი დამცირება და შეურაცხოფა.

ძლიერ გულგაშლილად და გულახლილად დამიხედა წეში მოწყვე-  
ლი მასპინძელი. ჩამოვტი თუ არა ცხენიდან, გაღმებვა და გულ-  
მკოცნა, მერე მომიყითხა ჩვეულებისამებრ. იყითხა დედიხემშე მებრძა-  
ვი და შემიყვანა პირდაპირ მარანში, სადაც საწნახლის ძალის წესი გამო-  
ლილი იყო გრძელი ხალიჩა და ზედ ჯეგიში და მუთაქეჭი. შინკელი ტრიკ-  
ბაქანზე დასაგდომად. მეც თავი დავუკარ — ერთადერთი წესი ზრდი-  
ლობისა, რომელიც მე ვიცოდი — როგორ ვიცოდი ეს წესი, შემ-  
დეგ იქნება მოხსენებული — და დავჯექი. თითონაც აიღო მუთაქა, ა-  
მოიდო იღლიის ქვეშ და წამოწვა ჩემს გვერდითვე ბაქანზე. დამიწ-  
უო გამოვითხვა სემინარიაზე, ჩემს სწავლაზე, დედახემზე და ჩვენს  
ცხოვრებაზედ, გადავიდა იმაზედაც, თუ რა მიზანი მაქვს მე: მღვდ-  
ლად წავალ კურსის დამთავრების შემდეგ, თუ სხვა რამ სამსახურში  
შავალ.

ამასობაში მოახლოვდა სადილის დროც. მასპინძელმა დაიძახა:  
— თეკლე, რას უყურებ, პურს არ გვაჭმევ?!

ამ დაძახებაზე ას 35 წლის დედაკაცმა, მეტად სუფთად წაც-  
მულმა, შემოიტანა მარანში სინით სუფრა-სალფეტი, დანა-ჩანგალი,  
მარილი, სტაქნები, თეფუშები და დაიწყო სუფრის გაშლა ჩვენ წან.  
ჩვენ კი ისევ ჩვენსავეს ვლაპარაკობდით, მალე იმავე დედაკაცმა  
პური, ღვინო, ყვილი, მწვანილი და კიდევ რაღაც შეჭამადები და  
მხლები შემოიტანა.

— მაღლა ამოხვალ, მუთაქაზე დაჯდები, თუ მაგრე იჯდები? —  
შემეკითხა მთავარდიაკონი. მე, რასაკვირველია, როგორც ვიჯექი,  
ისევ ისე ჯდომა ვარჩიი.

შევუდექით სადილსა. დალოცვის შემდეგ ჩემი სადლეგრძელო  
დალია მასპინძელმა და ვრცელი შესხმა მითხრა, მერე დედიჩემის  
სადლეგრძელო დალია. ამას მოჰყვნენ სხვები და გაიმართა ნადიმი.  
თეკლე საჭმლის კერძებს გვიმართავდა. მე სტაქანს ოდნავ მოვხვ-  
რებავდი ხოლმე ყოველ სადლეგრძელოზე, თუმცა მთავარი ძალიან  
მაძალავებდა. მაინც სადლეგრძელოების სიუხვის გამო ორი სტაქანი  
გამოვცალე და ძალიანაც შემაუუნერუე ღვინომ, რაღვანაც სემი-  
ნარიაში ღვინის დალევა აქრძალული გვქონდა, ან რით დავლევდით,  
თუნდაც რომ არ გვქონდა აკრძალული? სულ გადავეჩვი ღვინის  
სმას.

სადილს თითქმის ვასრულებდით, როცა მთავარდიაკონმა ჩემი  
საბედო ადლეგრძელა და აი, აქ გამოათეთხა თავისი მიზანი ჩემი რ  
დაპატიჟებისა.

დაიწყო ასე:

— ლმერთმა აღლეგრძელოს შენი საბედო! სახელოვანი კაცი გა-  
მოხვალ და უფრო სახელოვანი იქნები, თუკი კაი კაცის ქალაც  
შაირთამ. მაშინ, კაცი არ ვიქნები, თუ დეკანოზის ქალზე უწერა  
წერო ვარი! — სოქვა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ. — ჩაუშესტუმიშვილი  
ნიერი კაცი იქნები მაშინ?! კაი ქალი, კაი მზითევი, სიძმინი გავლე-  
ნიანი კაცი, — ეგზარქოსიდამ მოკიდებული, მთელი ქვეყანა ხელში  
უჭირამს. ამაზე მეტი ბედნიერებადა უნდა კაცს?

მე გაჩუმებული ვიყავი ყვავივითა და ყურს ვუგდებდი.

— ძრიელ ბედნიერი იქნები, — დაიწყო კიდევ ცოტა ხნის სი-  
ჩუმის შემდეგ მთავარმა, — თუ დეკანოზის ქალი შაშა შეგირთამს...  
უნდა კი ვეცადო ერთიდა, რაც გახდება გახდეს!.. მე იმისთვის  
დაგიძახე ჩემთან, რო მინდა ვნახონ დეკანოზმაც, დეკანოზის  
ცოლმაც და ქალმაც. რა ვიცი, იქნება როგორმე მოუხერიდეთ თვალ-  
ში და მოგცენ შეში. შენც ცოტა თამამად მორქეც, დაბუზული ნუ  
იქნები, თორემ საქმეს გამიფუჭებ.

მე ისევ გაჩუმებული ვიჯექ და შევეცეოდი მშვადს და ან რას  
ვიქმოდი, რომ არ გავჩუმებულიყავ? არც სათქმელი მქონდა რამე  
და თუნდაც მქონდა, ვერ მოვახერხებდი თქმას. წარმოიღვინეთ,  
ჟერ სემინარისტი, ოთხ კედელს შორის გაზრდილი, და ეხლა ისიც  
პირველად გამოსული საზოგადოებაში, თუ მთავარდისაკონ გეშე-  
კაშვილისას მყოფობას საზოგადოებას დავუძახებთ, თუმცა ჩემ-  
თვის ამნაირი მნიშვნელობა ჰქონდა მას.

ჩემი სიჩუმე კი მთავარმა, რუსული ანდაზისა არ იყოს, თანხ-  
მობის ნიშნად მიიღო.

გათავდა სადილი. მთავარმა გაღმოიდო მუთაქა იქავე ბაქანზე და  
მიმიპატიუა დასაძინებლად. მე ვუთხრი:

— არა ვარ დაჩვეული დღისით ძილს.

— შე დალოცვილო, ყველაფერს უნდა გაეჩვიო. ეხლა დიდე-  
კებში რო აპირებ გარევასა, თუ ამთავითვე არ შეეჩივ დიდეაცო-  
ბას, განცხრომით ცხოვრებას, უამისოდ როგორ შეიძლება. ერთიც  
ვნახოთ ჩეენი დეკანოზისავით გამოჩენილი ბედი გელის, ან რა  
ვნახოთ, რომ კიდევაც იქნები გამოჩენილი, თუ ლმერთმა ბრძანა  
როგორმე გაგირიგე იმის ქალი. შენ წამოწექი, დაგეძინება  
და კიდეც დაეჩვევი. ალხეინად იყავ, შაშა არ აგცლება, თუ მე მთა-  
ვარდიაკონი გეშეკაშვილი ვარ!..

მეტი რა ძალა იყო, წამოვწექი მეც. მთავარმა თავი ჩემ ფართ  
დაღო. ფეხები კი აქეთ-იქით გავჭიმეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ  
მთავარმა ამოუშვა ხვრინვა, მე კი რა დამაძინებდა! ერთი წელი

მართალია, სემინარიაში შეზღუდული მქონდატოტანტესტებიც კა  
ყველაფერს — ჰამას თუ სმას, ძილს თუ სწავლას ვმოქმედებდი  
ერთხელვე ყოველთა მოსწავლეთათვის დამყარებულ წესისამებრ. რადგანაც პატარაობითვე მაჩვეული ვიყავი და ამასთანავე მიღრე-  
კილებაცა მქონდა ამათადმი. იმისათვის იყო, რომ ამ მხრივ არა  
ვგრძნობდი ორავითარ შეზღუდვას თავისუფლებისას, ახლა კი ვი-  
შეკაშვილთან პირველად ვიგრძენ თავისუფლების შეზღუდვა. მარ-  
თალია, ძლიერ ნოუიერი და მაძლარი საღილი ვჭირე — შეიძლება  
ვისიამოვნე კიდეც საღილში, მაგრამ საღილს უკან კი ყველაფერი  
ამომშხამდა, რადგანაც თვალებდაჭყეტილა წოლა მუთაქაზე უძი-  
ლოდ, არც გავლა, არც ლაპარაკი ვისთანმე, თუნდაც არა გულწრ-  
ფელი — ასეთი ყოფა, კერძი უაზროდ ცეკრა ძლიერ სამძიმოდ  
მეჩვენა. გამოიღვია თუ არა მთავარმა, დაიბანა პირი და დეკანოზ-  
თან წავიდა. დეკანოზთან ძალიან კარგა ხანს დაცუ, მე კი ამ დროს  
ვიგექი მარტოკა სახლში და ვინ იცის, რას არ ვფიქრობდი. თუმცა  
მთავართან ყოფნა მემძიმებოდა, მაგრამ უმთავრობა უფრო სამ-  
ძიმოდ მეჩვენა და მოუსვენრად ვუყურებდი იმ გზას, საიდანაც  
უნდა გამოჩენილიყო ის. ჯერ ვეძებე, მეგონა რაიმე წიგნს ვიპოვი-  
დი და გავაყოლებდი გულს, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. მარანში და  
სახლში კი ვერ შევბედე, რადგანაც იქ იმყოფებოდა ის მანდილოსა-  
ნი, რომელმაც სუფრა გაგვიშალა-აგვილაგა. კარგა ლოდინის შემდეგ  
მოვიდა მთავარი და მითხრა, რომ დეკანოზმა ხვალ ჩაიზე დაგვ-  
პატივიო. თითქოს ცივი წყალი დამასხესო, ამ სიტყვების გაგონებაზე  
ისე მომივიდა. მე იმაზე კი არ მეშინდა, რომ ძალად ქალს შემრ-  
თამდა დეკანოზ-ბლალოჩინი, მე ისევ თავისუფალი ტყვეობა მიძ-  
ნელდებოდა.

## VI

### საიზე დიდანოზთან

ლმერთმა შეინახოს ის ღამე, მე რომ გავატარე პირველად გეშე-  
კაშვილთან სახლში, ან უკეთ რომ ვთქვათ, მარანში. მარანში მო-  
ვისვენეთ ორთავემ: მეც და გეშეკაშვილმაც ვახშმობის შემდეგ.

მეორე დღეს დილით ცხრა თუ ათ საათზე დავიწყეთ სბარული მე  
და მთავარმა, უფრო სწორედ მთავარმა წამიუგანა საკლავ ხარებით  
დეკანოზთან. მე, რასაკვირველია, ერთი ქართული ანდაზის შეხედ-  
ვით ვერაფერ წინააღმდეგობას ვერ უწევდი.

მთავრის სახლიდან დეკანოზის სახლმდე კარგაშემძლებელი იქნება  
გზაზე რამდენიმე ორლობებს ავუხვიეთ. ზოგან სახლის ეზოში გად-  
მომდგარიუვნენ მანდილოსნები და ცნობისმოყვარეობის თვალით  
✓ შეინჯავდნენ — მიყურებდნენ, არ ვიცი იმისთვის, რომ მათ სო-  
ფელში არავინ იყო სემინარისტი, თუმცა დეკანოზიდან მოკიდე-  
ბული, სამი სხვა მღვდელი იყო ამ სოფელში, თუ იცოდნენ რა  
მაზნით მივდიოდი დეკანოზისას. მგონია, ეს უკანასკნელი უფრო  
აქლო იყო სიმართლესთან. ერთგან უყრიც კი მოვკარ თითქოს —  
ზაშას საქმროაო, — უპასუხა ერთმა მანდილოსანმა მეორეს, როცა  
ამ უკანასკნელმა გაიკირვა: „ნეტა ვინ უნდა იყოს, გეთაყვა-  
ნეთ, ქა?..“.

ეზოში რო შევედით, ჩემი ნაცნობი მიხა გამოგვეგება, თავშიშ-  
ველა მომიახლოედა და მომესალმა. ადლეგრმელა ყმაშვილი  
ღმერთმაო.

თვით დეკანოზი აიგანზე იყო გამოსული, ხელები უკან დაელა-  
გებინა და ბოლთას სცემდა. მის დანახვაზე, ცოტა არ იყოს, ურუან-  
✓ ტელმა დამსუსხა ჭინჭარივითა... ავედით აიგანზე. მთავარი წინ  
მიმიძლოდა. მე კი სამსხვერპლო ცხვარივით მივსდევდი უკან. მთა-  
ვარი ხელზედ ეამბორა დეკანოზს, მეც მისი წაბაძვით გავბედე  
ამბორი. ეს ამბორი პირველი იყო ჩემთვის, აქამდის კი მხოლოდ  
ნატრა-ოცნებით თუ წარმოვიდგენდი ასეთ ბედნიერებას და ისიც  
უნეტარეს ბედნიერებად მქონდა მიჩნეული, რომ ოდესმე იქნებ  
მდირსებოდა მეამბორნა მღვდლის ხელი, დეკანოზისას კი ოცნება-  
შიაც არ ვგებდავდი.

მართლაც, ლირსშესანიშნავი იყო ეს პირველი ამბორი, როგორც  
ჩემი გაბედულების, ისე იმ შთაბეჭდილებით, რომელიც მე განვი-  
ცალე იმ ბედნიერების წუთს: ტუჩები რომ შევახე ხელის კანს,  
✓ თითქოს თივთივის ბალიშაო, ისე დაიწია აბუჩავებულმა კანმა და  
ტუჩები ისე ჩიაფლო ამ აფუშებულ ხელში, როგორც ცომში.

აიგანზე ბალიშიანი სკამი იდგა. დეკანოზმა მიმიწერა დასაჭირომად.  
მეც თავი დავუკარი და დავკერი, მაგრამ ვინ ამ დაჯდომას!.. ძალიან  
ფრთხილად დავეშვი სკამზე და ისიც ზედ ნაპირზე, მაგრამ ბალიშმა

რომ დაიწია, მეგონა, ძირს ვეცემოდი და ორტიანივით ზამოკვეთიდა  
ზეზე. ვიგრძენი შეცლომა და ალმური მმგარდა პირისახეზე. კრიკია  
დეკანოზი იმ დროს ზურგშექცეული იყო და ვერ შემვიდრი ჩატუბას მ  
ცოტა რომ დავშოშმინდი, თითქოს ხითხითის ხმა ტეჭელაშემის მცირე  
მისკდა გული, ხომ არავინ დამინახაო და ქვეშ-ქვეშ მიმოვიხედე,  
პაგრამ არსად, ჩვენ სამი პირის მეტი, არა ჩანდა ვინმე, გული მო-  
ჰეცა და ნელა ისევ დავეშვი სკიზე, დავჯეჭი, მაგრამ... მაინც ისე  
ვიჯექი, თითქოს ნემსებზე დაუსვამთო.

ჩემდა საუბედუროდ, მთავარდიაკონმა და დეკანოზმა ორიოდე  
სიტყვა გაცვალეს და მთავარდიაკონი მაშინვე ოთახში შევიდა. დე-  
კანოზი ისევ ბოლთას დაუბრუნდა, მე კი ვდლმდი და მიპარვით  
თვალს ვავლებდი იქაურობას. რაკი დეკანოზი სდუმდა, მეც საკ-  
მაოდ მოვიკრიბ სული, სიხარულმაც კი დაკრა, რომ არ იყო საჭი-  
რო ლაპარაკი. გავთამამდი და ეხლა ეზოსაენ გავაპარე თვალი.  
გადავხედე ეზოს და წამსვე წარმომიდგა თვალწინ სურათი: საცო-  
დავი მამაჩემი მუხლის კვერებზე მოფორთხავს ამ ეზოზე, ჩემ  
თვალწინ რომ გაშლილა. ამიცოცდა რის ვაი-ვაგლახით აივანზე იმ  
ადგილას, საღაც ეხლა მე ვზივარ, და ემუდარება დეკანოზს, თვალ-  
ცრემლიანი ეხვეწება პატივბას დანაშაულისას, რომელიც მას არ  
ჩაუდენია. დეკანოზმა იკის, რომ მამა არაფერშია დამნაშავე სამ-  
სახურის საქმეებში, მაგრამ გულქვად, მედიდურად სცემს ბოლთას.  
თითქოს არავინ იდგეს მის წინ მუხლებზე... სურათმა ამიმღრია  
გული და, გამოტეხილს ვამბობ, ავი თვალით შავხედე გულქვას...  
პაგრამ რას ვიქმოდი? კარგია, მალე გადამიარა ზმანებამ. მე, ვიღაც  
სემინარიელი, ობლობაში გაზრდილი, მედიდურ, ყოვლის შემძლე  
დეკანოზის წინაშე?!.. რა თავხედობა, ღმერთო!.. ჩავიკალი ბოლმა  
გულში. ძნელი ყოფილა უსიტყვიდ ბოლმის გულშივე დატრიალება,  
მაგრამ უფრო ძნელია სუსტი ადამიანის მძლავრებთან შებმა.

ორჯერ-სამჯერ ვაიარ-ვამოიარა დეკანოზმა ჩემ წინ და ბოლოს  
გამომელაპარაკა რუსულად. რამდენიმე კითხვა მომცა სემინარიის  
შესახებ, თუ რამდენმა დაასრულა კურსი, ვინ გაგზავნეს აქადემია-  
ში, სადაურები იყვნენ კურსდამთავრებულები, რამდენი გადავიდა  
მეუქვეს ან მეხუთეში და ამისთანები.

მე, რასაკვირველია, ვაძლევდი ყოველ კითხვაზე პასუხს კრძალ-  
ვით და მოწიწებით, მოკლედ და რუსულადცე. უნდა გამოვტყდე:  
პირველი კითხვა რომ მომცა დეკანოზმა, უმალ ფეხზე წამოვდექი,

როგორც სემინარიიში გავვეთილებზე იყო წესი. დეკანოზმა, შევატყე ეამა, — კმაყოფილი ღიმილით დამიყვავა: იჯექი, იჯეჭი, უმაწვლოო, და მეც ფრთხილად, ნელა დავვეშვი სკამზეა, თუნკულელი ლობდი, არ შევკრო და ისევ არ წამოვვარდე ზეზე-მეოქნე... ამ ამბავში ვიყავით, როცა ოთახიდან გამოვიდა ჰითაუარიტიკონი და მოახსენა დეკანოზს.

— მამაო დეკანოზო, ჩაი მზად გახლავთ.

— აბა, მაშ წავიდეთ, იოსებ კირილიჩ, — მომმართა დეკანოზმა, — ჩაი მივირთვათ.

უნდა მოგახსენოთ, ჩემი სახელისა და მამის სახელის გავონება პირველი იყო ჩემთვის და ისიც დეკანოზის პირიდამ. ამიტომ, რო ვთქვა, გამიხარდაო, სწორე არ იქნება სავსებით, ამიტაცა რაღაც ვამოურქვეველმა და სიტყვითგამოუთქმელმა, გაურქვეველ მდგომარეობაში თუ აღტაცებაში მომიყვანა. დამათრო, გამაბრუა, უზომო სიამოვნება მაგრძნობინა!..

შავედით ოთახში. ღმერთმა უშველოს დეკანოზის ცოლსა, თოთონ წამოვიდა ჩემსკენ, ხელი გამომიშვირა და ჩამომართვა...

მ ၁ ၂ ၁၅ ၀၁ — ინტელექტ ნათადი

(1853—1921)

მელანია ლიტერატურული ფსევდონიმია მწერალ ნიკოლოზ ნათადისა. იგი სოფელ ჩალაუბანში დაბადა (მარინ სილნალის მაზრა).

მელანიას მამა გორგი ნათიძე წარმოშობით მელანიდან იყო (ჩალაუბნის პახლობელი სოფელია). მაგრამ იმ ხანად, როცა ნიკოლოზი შეეძინა, ჩალაუბნში მცხოვრდა. შემდეგ თავისი სურვილის მიხედვით მელანიში გადაიკუვანის და საბოლოოდ იქნებოდა დასახლდა.

გორგის ახალიათებენ, როგორც მეტად უანგაროს, ღარიბთა დაუზირებ შესაძლებელის, გულისხმიერისა და შრომისმოყვარე დამიანან.

ასეთივე კოფილა ნიკოლოზის დედაც გორგირი და იმ დროისათვის განათლა-ბული, მაგრამ ნიკოლოზ ნათიძის მცხოვრები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანე-თისაგან ხასიათითა და მისწრაფებებით.

გორგის დინქს, აუჩქერებელსა და დარბაისელს მხოლოდ ფინიკური შრომა-მიაჩნდა არსებობის მთავარ წყაროდ. ამიტომ მამის სურვილის თანაბეჭდ რეა-ცხრა წლის ნიკო სოფლის სხვა ბიძებთან ერთად საქონლის მწყემსავდა. 11-12 წლისას უკვე აჩვევენ სოფლის მძმე სამუშაოსაც ხენა-თესვის, მომკა-გალეჭვის თვე ჰირნახულის დაბინავების დროს მხარში უდგას გამრჩე შემას.

ქეოვეანი ქმარზე უფრო შორის იყურებოდა. წამოისარება თუ არა ნიკო, გადაწყვიტა სკოლაში მიებარებონა, მაგრამ გორგი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა. მოშაობაში დამხმარე ხელი მოძალულდება. მაშინ ქეოვეანმა შვილს თვითონ დაწყებინა ანბანის წარავლება. თავმოყვარე ქალს უნდოდა, ნასწავლი შვილები ჰყოლოდა. ამიტომ ქმარს დაკანოზ გრიგოლ ღამბარაშვილთან უჩიდესა: შვილებს უცხელურებს, სასწავლებელში არ მიძიებს, გუდა-ნაბადით ატარებს ძრობასა და ყანაშით, უსწავლელად ტოვებს და მთელ სამცდლელოებას არცხვებს.

ღამბარაშვილს უსაყველურია გიორგისათვის და ურჩევინა: მართალია, ასაყვადა ცილებულია, მაგრამ დაეცხმარები, დელოფლის წყაროზე (დლევანდელი წითელი წყარო) სამხედრო სასწავლებელში მიიღებინ.

მართლაც, გორგიმ თუ შვილი წაიკვანა ნიკა და მისი ძმა, და სამხედრო სასწავლებელში მიაღებინა.

15—16 წლის ნიკა დასვეს პატარა ბავშვებთან, რომელნიც დასცინდნენ. მაგრამ ნიკამ გაუძლო სინერეებსაც, დაცინებასაც, კოველ გასაკირსაც და ბეჭი-თად შეუდგა მეცალინებას. დელოფლის წყაროდან სკოლა გადმოუტანიათ საცხენისში, ნიკა და მისი ძმაც იქ გამოცხადებულან. სასწავლებელში ექვსი წლის

კურსი უოფილა, მაგრამ ნიკა მხოლოდ შეელიშად-ნახვარს დარჩენილი. შემდეგ კა  
დაუთხოვნიათ, როგორც ასაყვადაცილებული.

შინ დაბრუნებული შეიღო რომ დაუნაბია დედას, კინაღამ გუცს წერტილით  
მაგრამ ამა კი შეწერებულა და წაუყვანია თელავში, იქ ერთი ნიკერძის წარმა-  
რებით მიუღებინებია თელავის სასულიერო სასწავლებლის მესტეჭულებაში. 1811 წე-  
ოლავში უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდნილა ნიკა, რაღაცანც  
სამხედრო სასწავლებელში არავითარი ცოდნა არ მიღება.

მამას ნიკოლოზი საცხოვრებლად დაუყენება ვაწმე შარშანოვითან. ზიქს  
ეცალებოდა ბაზარში წასკლა, წყლის მოტანა, შეშის დაჭრა, ცხენის მოვლა,  
ბუჭრის გახურება იმ ოთახში, საბაც თვით სახლის პატრონი ცოლ-შეიღოთ  
ცხოვრიობდა, და დღისით თითქმის დრო სრულებით აღარ ჩერპოდა, ღმევ კი  
სანორელს არ აძლევდნენ, რომ გაცემილები მოემზადებინა. ამას ემატებოდა  
სახლის პატრონის გაჭირებული ცხოვრება. ნიკა ნახევრად მშეიტო იყო. ასეთ  
პირობებში არ შეეძლო მეცადინეობა და გარდა მათებატეისა, კველა საგანში-  
უპირდა. სამაცევეროდ ძალიან წესიერი იყო. დახმარებას და თანავრმნობას უწევდა  
სასწავლებელი პლატონ დამიტრის ძე ტარიელაშეცელ.

სემინარიაში გაუტარებათ რეფორმები, შემოუღიათ ძეველი ენების: ბერძნე-  
ლისა და ლათინურის სწავლება. ამ საგნების სასწავლას ნიკა ისე ბეჯითად  
შესდგომია, რომ მერე თვით მასწავლებელები საჭიროებდნენ მის დახმარებას.

შეოთხე კლასში ავად გამსდარა. ტარიელაშეცელს გაუწევია პატრონობა. კუმიში  
გაუგზავნია და შარშანოვით ნესტიანი ოთახიდან სხვაგან გადაუყვანია.  
დაუყენებია გორგი რაზიერაშეიღოთან (ვაკა-ფუჟელას უფროსი ძმა), სახლის ქირის  
უელი სესხად თვითონევე მიუღია და შემდევ სასწავლებლიდან დახმარებაც  
უანიშვნიერია.

ახლა ნიკოლოზს პირობებიც კარგი შეექნა მეცადინეობისათვის და გარემოც-  
კორეგი რაზიერაშეიღო ძალიან განვითარებული მიწასუე კოფილა. თითონაც წერდა  
თურმე ლექსებს. „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად სცოდნია.

ბოლოს, კველას გასაყვირად ნიკოლოზ ნათომებ სასწავლებელი წარმატებით  
უაშთავრა.

ნიკოლოზის საბუთები თბილისის სასულიერო სემინარიაში შეიტანეს. მისაღებ  
გამოცდებშე სამ საგანში ჩიტრა და იმედი დაყარგა მიღებაშე. მაგრამ კველას  
გასაყვირად სემინარიაშეც მიიღეს სახელმწიფო საეკლესიო ხარჯება, რაღაცანც  
თელავიდან პირველ მოწაფედ იყო წარდგენილი.

მისი ცხოვრება სემინარიაში წეველებრივად წარიმართა, გულმოლგინედ  
შეცადინობდა.

სემინარიაში მოსწავლეები ორ ჯგუფად იყოფოდნენ — ერთნი ძალიან განვი-  
თარებულნი, იაკობ ვაკებაშვილის ხელში გამოვლილები, მეორენი ნაკლებ  
გათვითონობიერებულნი. ვინც თავის თავში ძალას გრძნობდა, პირველი უერთდე-  
ბოდა. ნიკოლოზმაც დაიწყო გარეშე წიგნების კონხეა. მაგრამ დედის ეშინოდა და  
კაცებითილების სწავლისათვის ხელი არ შეუშევია.

1873 წლის 28 ივნისს ნიკოლოზ ნათომებ დამატავრა თბილისის სასულიერო  
სემინარია. თავის განუყრელ მეცნარებით ლუკაშევილსა და ხაუტაშევილთან  
ერთად სოფლის სასწავლებლად წასელა მოისურვა. სამიერი სილნალის მაზრაში

გაამწერეს. ლუკაშვილი კაჭრეთში, ზახუტაშვილი ქვეშო მაჩხარიშვი, ბოლოს  
ნათძე ეცნიშვილი.

მეცნიერებმა სოხოვეს „ივერიის“ რედაქტორს იღია ჰავევავაძეს, რომ მათვის  
ეგზავნა ეურნალ-გაზეობი და ფასი ედროვებინა, სანამ ჯამავის წერტილში ერდაქტი  
რედაქტირაში სიმოვნებით მიიღეს მათი ოხოვნა და დანამირებელი ჰავევავაძეს ერდაქტირაში.

ნიკოლოზს, მართალია, სემინარიში ქართული ენისა და ლიტერატურისა ანუ  
გაეცემდა რა, მაგრამ სემინარის პირველ კლასში ყოფნისთანავე იცოდა, რომ  
მეცნიერე კლასში პოეტი იოსებ ბაქრაძე სწავლობდა, ხოლო მეცნიერი ნიკო  
ლომიორი, მაშინ მოყრიძალების გამო ვერ შესძლო მათი გაცნობა და მათთან  
დაახლოება.

პირველი ივლისიდან სახალხო სკოლების დირექტორმა სტრელეციმ ნიკო-  
ლოზს დაუნიშნა წელიწადში 450 მანეთი. ორი თვის ჯამავირი წინასწარ მისცეს.

ცეკვის სკოლა არ ასევბობდა. სკოლა ნიკოლოზმა გაძნა და ისე გრადისტურ-  
ელედ შეუდგა საქმეს, რომ მესამე წელს, როგორც საღირექილი ანგარიშებიდან  
ჩანდა და გოგებაშეილმაც შეატყობინა, ვეკინის სკოლა პირველი იყო მოელ-  
მაშირაში.

ნიკოლოზმა მასწავლებლობის დროს დაწყო ქართული ენის შესწავლა: „ჩემი  
მასწავლებლები იყენებ უტრნალი „ივერია“ და გაზეთი „დროება“, სხვა არავინ  
და არაფრითი“, წერდა იგი.

ნიკოლოზ ნათძეს პირველი სტატია გამოქვეყნებულა გაზეთ „დროებაში“.  
სტატია მიმართული ყოფილა პოლიცია და მცენალების წინააღმდეგ, რადგანაც  
ისინი სკოლის საქმეს არ თანაუგრძნობდნენ.

უსცედონიმით გამოუვეყყნებია აგრეთვე სტატია „გუბერნატორის მოგზაუ-  
რობის შესახებ“. მა კორესპონდენციას უქნებ დაუყენებია მოელი აღმინისტრი-  
ცია, დაუწყიათ ძებნა ავტორისა, ექვე ნიკოლოზე მიუტანიათ, მაგრამ ხელი ვერ  
ჩაუვლიათ.

ნიკოლოზ ნათძემ 1884 წელს ცოლად შეირთო პეტრიაშვილის ქალი. ეს ის  
კეტრიაშვილია, ჩომელიც მშამახლისად იყო ვეკინში, ხოლო სკოლის საპატიო  
მზრუნველად თავიდი მიხეილ ანდრიანიაშვილი. სკოლის მზრუნველი მოელი ხეთი  
წლის მანძილზე იღებდა მასწავლებლის ხელფასს და თვითვე ხარჯადა. როცა  
ნიკოლოზმა სოხოვა კუთხილი ჯამავირი, ანდრიანიაშვილმა შეურაცყოფად  
მიიღო. არ დავიწერებოდა სტატია „გუბერნატორის მოგზაურობის შესახებ“,  
ამიტომ დაასმინა მთავრობის წინაშე. ნიკოლოზ ნათძეს დაპატიმრება მოელობა,  
ყოველივე მან ისეთი საშინელი ზეგავლენა მოახდინა, რომ გვლი იყარა  
საყარელ საქმეზე, მასწავლებლობის თავი დაანება. მასთან სკოლაში იმ დროს  
მეტაობდა ბაზარი (ნიკო რაზიკაშვილი, ვადა-უშაველას უმცროსი ძმა). სკოლა მას  
ჩააბარა და თვითონ თბილისში წავიდა.

თბილისში ითხოვა მღვდლად ეკურთხებინათ და გაეგზავნათ საღმე სამხედრო  
უწყებაში, სადაც მღვდლებს მთავრობისაგან ჯამავირი ეძლეოდათ.

ეს იყო ერთადერთი გომოსავალი დევნა-დაპატიმრებისაგან თავის დახსნისა.

1885 წელს ნიკოლოზ ნათძე მღვდლად დანიშნეს ყარსის ლოქში პირველ  
კორსკო-მოზღვის პოლეში.

მას გამგზავრების წინ „დროების“ რედაქტირაში შეუვლია. ვანო მაჩაბელმა

რომ ვაგო მისი ამბავი, ქიოთხა: თუ მღვდლად მიღოლი, რატომ ქართველ არ წახვედიო ამასე ნიკოლოზში უასეუა: თუ ნამდვილად უშენესი განწყნა ბოლი, შეიგრი უნდა მოვმეკდარიყავ, თუ შემშილით სიკვდილა არ მინდიდა, მეც ასეთივე მღვდელი უნდა ვყოფილიყავ, როგორც სხევბი. ამას კარ დოქტორი ეს განსაზღვრული ჯამავირი მთავრობისავან მექნებაო.

ეანო მისაბეჭდმა აღბათ დამაბუთებულად ჩისთვალა ეს შესტატუმ ქუსტის ეპუნი დავვეირიშებ, გვიგზავნე ხოლო კორელირენდენ კიებით.

1886 წელს ოლთისში ცოლ-შეილიც წაიყვანა.

მოთხრობა „ბნელო“ დაუწერია 1883 წელს. მაგრამ არსად არ წარუდგენია. ნიკოლოზი წერს:

„ეშვერდი იმ მიზნით კი არა, რომ უთუოდ დაბეჭდილიყო. არა, მე ეშვერდი ამისათვის, რომ რაღაც სიამონებას ვერჩნობდი ამითი და თითქოს რალაც, ჩემი გელის მოთხოვნილებას ვამაყოფილებდი“. დაწერილი ქეონია ჰევალ, შემდეგ გადაუთხრებია, მაგრამ მის გამოწევეყნებაზე არ ფიქრობდა: „თუ არა ჩემი გელის განუწყვეტელი ჩანისინება: არა არის, ციმბირში ხომ არ გაგზავნიან, ასე კატევთ, უარი გითხრიან და რა მოხდება მაგითი?“. ამიტომ 1888 წელს „ავერიის“ რედაქტორისაფუს გაუგზავნია, სიაღანაც შეატყობინება: თქვენი მოთხრობა რედაქტორმ მოიწონა და ამ ცოტა ხაში დაიბეჭდებაო.

1888 წელს „ბნელო“ უელატონებად იბეჭდებოდა. მოთხრობაშ დიდი გამოძახილი პლატფორმიდან პრესის.

1891 წელს „ქართველთა ამანაგობაშ“ „ბნელო“ ცალკე წიგნად ვამოსა. „ავერიიაში“ დაიბეჭდა რეცენზია, „კვალში“ ერცელი მიმოხილვა.

ოლთისში ყოფილის დროს ნიკოლოზის არაუკრი აღარ დაუწერია, რალგანაც ჩაეგა პოლეის საჭირო ცხოვრებაში, განუწყვეტელ დროს ტარებასა და გართობაში, ამავე დროს უსასყიდლო ასწავლიდა ნორმალურ სკოლაში.

1892 წელს ნიკოლოზ ნათიდე გორის პოლეშ ვადმოიცვანეს. გორიში ვადმოსამ ნიკოლოზის დაახსლოვა. გორის მოწინავე ინტელიგენციაშ თბილად მიიღო. გორი მიშინ ძლიერი იყო ლიტერატურული ძალებით. იქ ცხოვრობდნენ არ იღწევოდნენ ლომოურის გარდა, სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფრედერიკ და ფრედერიკ რაზიკაშვილი. თელოს ბრიტან ეწევოდნენ ხოლმე ძმები — ვაკა ლაბაჩანა.

მელანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვორის სასულიერო სასწავლებლის შემთხვევაში, აჩეული იყო გამგეობის წეერად. ვორში ყოფნის დროს ვამოაქცევნა, კრისტოსანი და „ნავარდობა“.

1904 წელს ნიკოლოზ ნათიდე გორილან თბილისში ვადავიდა.

თბილისში მელანია უფრო დაუხალოვდა მწერალთა წრეს. ხელებოდა ილია ჭავჭავაძეს. თელავიდან დაწყებული მეგობრობა ვაკასთან, თბილისში უფრო გამტკიცდა და როგორც ვაკა თბილისში ჩამოვიდოდა. შელანის უმცველად ინახულებდა. მერე დანათესავდნენ კილეც. ვაკას უშერისში ძმები ცოლად შეირთო შელანის ცოლის და.

რაზიკაში ვადური და დაუახლოედა მელანია შიო მღვიმელს, ისევს ამედაშეილს, ვალერიან გუნიას, ეკ. გაბაშვილს, რაც შეეხება გ. ქეჩიშვილსა და გ. ბარიონეს, მათთან უფრო თბილი დამიკალებულება ქეონია.

1920 წელს მელანია ავად გახდა, 1921 წლის 9 თებერვალს კარტველები შეურლის სურვილის თანაბმად საქონძო სოფელ მელაანი დაასახულეს.

მის საფლავზე დადგენულია დიდი ტინის ქვა სადა წარწერით. „დღის თაობის ნიკოლოზ ნათებე, შეურლობაში მელანია, დაბადება 1853 წელს 15 დეკემბერს, გარდაიცვალა 1921 წელს 9 თებერვალს.“

ერთ 1363 წელს

### ტებერვალი

მელანიას სამწერლო მოღვაწეობა ემთხვევა მეტრაშეტე საუკუნის შეორუ ნახევარს, როცა ბატონიშვილის გადავარდა, მაგრამ ერთის მხრივ ბატონიშვილის ნაშთები, მეორე მხრივ კაპიტალიზმის შემოტრა და განვითარება მძიმე ტეირთად დაწერა შესრულებულ მოსახლეობას.

მელანიას პირველი მოთხრობა „ბნელო“ იბეჭდებოდა 1888 წლის „ივერიის“ ნოტარებში. ამ ნოტარმობებში დახმულია მწვავე სოციალური პრობლემები.

მოთხრობაში გაბატონებული კლასების წარმომადგნელთა დასაპირისპირებლად მოყვანილია შემოტევა წრიდღა გამოსული პარიოსანი ადამიანები.

მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირია ილია თვალაშვილი. შემდეგ ცეულ-მართი ცხოვრების გამო ბნელოდ მონათლული.

ილია გულმართალი ბჭყარ, შისხვის წარმოუდგენელია სიყალბე, სიცრუე, არპირობა, გაიძერობა, უშეალო და ბუნებრივია თვით იმ გარემოსავით, რომელ ჰიანუ აღინარდა.

ილია ობლობაში გაზიარდა დედაშ. დედა თამარი წელებზე ფეხს იდგამდა, და დაძეს ამწირებდა, რომ შეილს პატიოსან შრომით მოპოვებული ლაქმა ქვინდა და ამით მოვამაგირეობის შძიმე უდელი აცდენოდა.

ილიას შეუცვარლა სილამაზით ცნობილი მარიონ. გარდა იმისა, რომ გარეცნელად მშევნიერი იყო, ამ ქალშა დაიკვირდის ცოლისაგან იკოდა წერა-კითხვა და ხელსაშემ.

ილიამ ცოლად შეირთო მარიონ. იმავე სოფლის მამასახლის ვივის და თავად შექრის თვალში მოუვიდათ ლამაზი მარიონ. მაგრამ ხელში ვერ ჩაიგდეს. მოისურეს ილიას თავიდან მოშორება, რისხევისაც კილი დაწამეს, უჩივეს და რამდენიმე თვით ციხეში ჩაიგდებინება. ილიას დედა დარღმა გადაიტანა, მარიონ კი კარი შეემზეობის და ძალით დაიმორჩილდეს.

ციხიდან გამოსულმა ილიამ მიასწრო თავის ცოლთან მამასახლისს და სასიკუდოლოდ დასპრა, ხოლო ცოლი სახლიდან გაავიდ.

კიდევ მონათლული მარიონ როსკიმ ქალად გადაიქარ, ხოლო პატიოსანი შრინომებილი ილა ქურდად და ავაზაკად აქცია ცხოვრების უკულმართმა პირობებშა.

უაბელა მოთხრობისა სადაა, აქ არ არის რთული კვანძები და სიტუაციები. სილმიაზით, პატიოსნებითა და შრომისმოვარეობით ცნობილი გლეხის თვალშება სოფლის მოხველისა და ნაბატონარის უწენეთ საქცეველის წყალობით.

შეურალი სალებავებს არ იშერებს ილია თვალაშეილის სრულყოფილად დასახატავად. ილია იძლენად კარგი შშრომელი იყო. რომ გუთნისდედები ერთმანეთს ეცილებოლნენ, მის არჩევები.

თავის ტროის კრიტიკაშ ამ მოთხრობას კარგი შეფასება მისცა.

საყურადღებოა ის პარალელები, რასაც მაშინ კრიტიკოსები აულებდნენ შელანიას მოთხრობასა და ეგანტე ნინოშვილის მოთხრობებს შორის.

„ბნელო“ დაიბეჭდა 1888 წელს, ხოლო ეგნატე ნინოშვილის მოთხოვანები გამოქვეყნდა 1891 წლის შემდეგ. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ეგნატე ნინოშვილმა „ბნელოში“ დასმული მტკიცებული საკითხებიდან განსაკუთრებით კარგად გამოიყენა სოციალური პრობლემა.

ორივე მწერალმა ცხოვრების მტკიცებული საკითხები შეაწერს უცხადები ნაწარმოებში. „ბნელოში“ დასმული საკითხები კ. ნინოშვილის მტკიცებული უცხადები წითელ ზოლად გასდევს. მაგრამ მეღანიც და ნინოშვილიც ილია წავკვეთის „გლაბის ნააშობში“ დასმულ მტკიცებულ საკითხებს გვერდს ეკრ უკრან, ოუმც „გლაბის ნააშობში“ ბართნებობის დროის სურათებია დაბატული, მაგრამ ორივე ნო თვალითი მოთხოვნებით ვკერძნებია, რომ ბატონშობის გადავარდნის შემდეგაც დიდად არ შეცვლილა გლეხების მდგრამარეობა.

შეცვეთ თვით მოთხოვნა „ბნელოს“.

მოთხოვნის დასაწყისშივე ჩევნის უურადლებას იყერობს იმდროინდელი სოფლის მცხვეურების ურთაჭევება: მთავარდიაქვანი სპირიდონ ტაბლიაშვილი, დაკვანი ისე ქელებაძე, ანუ კენტიყლაპია, მნათე ანდრია ციმფა. მწერალი ცვერბნება: კარგად დაუკვირდით, მიუხედავი იმისა, რომ სოფლის ბედ-ილაბას ასეთი პიროვნებები განაგებენ, სოფელი მაინც თავისი გზით მიდის, სადაც ვარდი ჰყავის, იქვე ნარეკალა მრავალდება, სადაც მწევან ჯეფელი ბიძინებს, სარეველა ბალაბიც ბლომად მოპოვებათ, და ისე როგორც ხშირ შემთხვევაში ნარეკალა და სარეველა ზედ გადაულის ხოლმე სასაჩევბლო მცენარეებს, ამ მოთხოვნებშიაც იღუპება საზოგადოების კულტურული პატიოსანი, შშრომელი, ალალ-მართალი წევრი.

და აი, ეს სოფლის მცხვეურებიც ელოდებიან მღვდელს ქრისტესია ვამია-შეილს, რომ წავიდნენ მიცვალებულის დასაქრძალვად. მიცვალებული კი თვალიაანთ ზურიაა, რომელიც მღვდლის დაბეზღებით ნაბატონარმა ცემით მიიყვანა სიკედილამდე.

ზურიას მერძლე მისტირის ცხელარს:

„...ვინ უნდა უგდოს უური და უპატრონოს შენს პატარა ილას!“ ჭირისუფლის ხსა იკრი კრთმა, პატარა ოთხი-ხუთი წლის ბიჭმა, ეს მიცვალებულის შეილი იყო ამგვარად, მწერალმა მიცვილეული მოთხოვნის მომავალ მთავარ მოქმედ გმირთან.

შემდეგ მწერალს შეცვავარით იმ ქოში, რომელშიც ცხოვრობდა ზურიას ქვრივი თამარი თავისი პატარა ილათ. თვალწინ წარმოვიდგებათ თავისი აულად-დებით საცოდავი ქვრივი, რომელსაც ნუგებად და იმდედაც მხოლოდ ერთი შეილი დარჩენია. ამას ცავე თოთხმეტი წლისა და სახადი შეეყარა. ავადმყოფს ფეხთით ეჭდა მეზობელი, — კარგი მეჩინგერე, მოზღაპრე და ხუმარა, მეორე მხარეს კერასთან იჯდა ოთხმოცი წლის დედობერი შემანდუხა, მის ქვემოთ ჩამწერივე-ბული იყვნენ მეზობლის გოვობი და იავნანას მღეროლნენ.

რომ ცთქვათ, ავტორი კარგად იკრის კახელი გლეხეაცების ცხოვრებასო, ეს ძალიან შექმნალი იქნება. აქ მარტო უბრილო ცნობა როგორა, არა, თვითონ უშეუალო მონაწილეა მათი ჭირ-ვარამისა, თვითონაც იქ იჯდა და უსმენდა იმ იავნანას, იმ ზღაპრებს, იმ ამბებს და თავისი თვალით ხედავდა, თუ ვაკრძა არტემიშ როგორ დანერლა მიმულაანთ ღღესლაც აყვავებული სახლ-კარი, რომ ჭერიც კი თავისი ხელით მოხადა, ყველაზე დიდი ჭაღო იქა ძევსო და შემდეგ მამულაანთ ნასახლაზე თვითონ დაუკუნდა.

ალის დაპატრონება იჯახშე თუ ნატერის თვალის პოვნა, ბატონიშვილის  
და განანის სიმღერა თუ ათასნაირი შელოცვა, უამრავი ზღაპარი და თქმულება,  
რაც ხალხშია განცხული, მწერალმა იმ ხალხთან ერთად აითვისა, რომელთამცა  
გაიზარდა, ამიტომ იმ ამბებს შშრალად ჩოდი გამომოვცემს! საფუძვლიანად და  
ცხოვრების ღრმა კოდნით არის დასაბუთებული და გამოცემულ „ქუთხუა“ კი  
წეველებანი, საჩშმენოების მოელი ფილისოფია, მისი გავლენა უფროზუდებულია ეს  
აღამიანებში.

გაიარა ყვავილმა. თამარს სურს შეიღი ისე აღზარდოს, რომ მოქამავირეობის  
შემცე ხელის აცდინოს. დედამ შეიღი ჩაუნერგა ცხოველი სურვილი თვაისი  
შესაფერი და მომუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრებისა. როცა ილამ მოქამავირედ  
დადგომა მოისურვა და მეზობელიც უჩინევდა, დედა საშინელი წინააღმდეგი  
წავიდა.

— ნაცარს აეცშრუკავ და იმას კვამ და ილას კი მოქამავირედ არ დავაუწებ!

თვით ილაკ ასე იტყოდა ხოლმე:

— დედაჩემს ვენაცეალ სულში, რო იმან ევრე შემაჯავრა ვალი და მოქამა-  
ვირობა, თორე ერთ ლუქმა პურსა ვკამ დლეს ლვთით, იქნება ისიც აღარა  
შექორდა.

ილის გარევნობას მწერალი ასე აგვიშერს:

„მაღალ-მაღალი, მხარელ-მხარელი, მხარებეგიანი, მოგრძო და წითერი პირი-  
სახე, ახლად ჰერნდა ამჟანებული წვერ-ულვაში; შევი ღიღრონი თვალები  
მოწმობდენ, რომ მამაცი და ხასიათი მტკიცე უნდა უფალიყო“.

აა ილას გარევნობა, მან სახელი გათქვა ურომისმოვეარეობითაც. მწერალმა  
დაგვიხატა გლეხის შეიღი, რომლის ყოფაქვეა, ხასიათი და მოქმედება ცხოვრე-  
ბის აუცილებელ გარემოებას ცხოველი სინამდვილით შეუკავშირა.

ხალხს უყვარდა ილია:

....ღმერთმა დალოცის მავისი გამდელის ძერე, ერთი სიტყვით მთელ  
დუნიაშე არ დაბადება მაგისტანა უოლადიანი ბიჭი“.

რაღა ყლდა ამ ახალგვაზრდას! ცოლ-შვილი, მოწინა ქალი, შეირთო ცოლად,  
შეიღიც შეეძინა, აი, იდილიური სურათი. როდესაც ილიას შინ მიკავს ახლად  
მოლოგინებული მეცდლე:

....ყამწერილმა კატა შიპმართა ქალს:

— ერთი სიტყვით, ისე უნდა გამიზარდო ე გვირა, რო ლომი უნდა გა-  
მოივანონ!

— მე რა გაგიზარდო, რა! — უპასუხა ქალმა ლიშილით და ნებივრობის  
კილოშე. — მე ძერება და მოელის არ მოვალებ და გაზრდა ღმერთოშე ქიდია.

— ღმერთოშე ჰერია, მაგრამ თუ შენ გაუვარება და კარგა მოუვლი, ღმერთიც  
ხელს მომართოვს...

ას მისდევს სასიამოვნო მოსასმენი დიალოგი და ჩეკნც მათონ ერთად  
ეხარობთ, როგორც გაიხარა ოქროულამ, როცა შეიღილ-შეიღილი დაინახა.

შეგრამ, როგორც ზევითა ეთქვით, მათი სისარული დიდხანს არ ვაგრძე-  
ლებულა.

მაშინდელი „ზაფონ-ეანონისა“ გლეხს არა გაეგებოდა რა, კანკელარიაში  
თრევასა და ღრთის დაკარგვას ის ერჩივნა, რამდენიმე მანეთი ტუშილად გადაეხა-

და, ილაკ ასე მოიქცა, ცილისწამება რომ შოეშორებინა. ნააზნაურალს და მისცა, მამასა ალისიათვის კი რამდენიმე კვირა შეუქთად იშვიშვილი. არა რომ მციცა  
თავის სოფელს არ გასცილებია, რომლის საქმიანობასაც ღამის შეხრობა და  
შეონისდელობა შეადგენს, რომელმაც არ იცის კანკულარიასა და სასამართლოს კარი საითენ აქვს, ასეთი კაცისათვის სისამართლოში მისცლა სიკრიტიკული და დამატებითი დანართის გადასაცემი. „მე სულში წასვლა მეზარება, ამოტელა ვარ, და ჯერ მას ცეკვაუნდება, მაგრა თორმე...“. „მე თავის მოკრასა ენიკი: ვანც გაიგებს, რას იტყვის, როგორლა უნდა შეიხელო ვისმე პირზე!“ ის, დარჩი ილასი, სულმალი და თავმოყვარე ვაკეცისა. თუმცია დარწმუნებულია, რომ საქმიანი მიიღდეს კაცი მსაჭულთან, უთხრას სი-  
მართლე და მართლი კაცი მაშინვე გამართლდება, ცილი მოშორდება. რანაირად  
განკიცირდა, როგორ გაუშრა პირზი ნერწყვი საწყალ ილას, როდესაც გახანენი  
გამოიტანეს და უსამართლო გამტრუნეს, შეურაცხვეს. ციხეში ჩასვეს და ისიც  
არ ამარცეს. ცოლიც გაუცალიარებას. ასეთი შემთხვევები აძლევებონ გლეხებს,  
რომ ხელი აელოთ ოჯახზე, წლების განმავლობაში ოფლით მორწყულ ბალ-ვენახებს  
ტოვებდნენ და ყაჩალად გარბოდნენ.

ასეთიც ბედი ეწივა ილიასაც. დაუმსახურებლად ჩასვეს ციხეში, ვაკეცის  
ცხარე ცრემლებით დატერირა თავისი პატიოსნება, მაგრამ ციხემ თავისუფლებასთან  
ერთად კულაცვერი წარმატება. დააკარგვინა ის სიცავიზე, რაც სოფელში აღსრუბ  
მიინიჭა, დააყვენა შერჩისძიების გზაზე, და კაცი, რომელსებაც გურიისდედებს  
ცილობა ჰქონდათ, იმავე გურთისდედებს ატირებს. კარგი ღამის შეხრე ღამის  
შეხერებსვე მწარებს, მაგრამ რამდენი ტკიცილია თვით მის გულში.

მწერალი შევერიცერად ივერიწყერს კახეთის ბუნებას, ილუნის ევლს, დაბურულ  
ტყეს და ტყეში შეოლოს თავისი ცხენით. რამდენი წუხილი და ტახვაა  
ბნელოს გულში.

ბნელო უკელაშე დიდ მწერარებაში მაშინ ჩავარდა, როცა იძულებულმა  
სოფელმა მოითხოვა მისი გადასახლება. ასეთი ბოლო არგუნა უსამართლო  
სოფელმა გულმართალა და შრომისმოყვარე ადამიანს.

მწერალმა ღრმად ჩაგახედა გლეხეაცის დუხშირ ცხოველებაში და ვაკერნო-  
ბინა მისი წევილი. თეალწინ გადავიშალა იძლროინდელი სოფლის ცხოველის  
ნამდვილი სურათი.

ცოტალი ფერებით დახატა ავტორმა ღმმოსაცლეთ საქართველოს სოფლის  
კოფა-ცხოვერება. მთელი მიმღენარეობა მოთხრობისა ერთიმეორებულ უკეთესადაა  
დასურათებული, ბუნებას ავიღებთ თუ ადამიანთა სახეებს. გარდა ბნელოსი,  
ძილიან კარგად არიან დაბარული სხვა მოქმედი გმირებიც ერთი კალმის მოსმით  
თვალწინ წარმოგვიდგება, თუ რა სულიერი ავლადიდებისა მღვდელი ქრისტესია  
კამიაშეილი, მთავარდიაკონი სპირიდონ ტაბლიაშეილი, დაიკონი იასე ქედეხადე  
თუ მნათე ანდრია ციმცა.

განსაკუთრებული სიყვარულით პჟავს დახატული მწერალს ილია თვალრაშვი-  
ლის დედა თამარ იქტიოშვილის ქალი, რომელმაც ქვრივ-ობირობით გახარდა  
ერთადერთი შეილო. სანაქებო ღამის შეხრე, მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა  
დიღხანს როდის ახარა დედა შეილის ბეღდნერებით.

მოთხრობის ერა საღა და ხალხური, სავსეა ხალხის სიმრინით, შეღარებებითა  
და შეტაცორებებით.

როგორც ზემოთ მოვიხსენივ, იმ დროის კრიტიკამ, „ბნელო“ ერთხმად აღარ კარგ ნაწარმოებად.

თვით ავტორიც ასე წერს ავტობიოგრაფიაში:

„...აცნობდებდნენ ერთშემონართს, როგორც „ბნელოს“ ავტორს და აღლაც მომეტებულ ნაწილად მესმის ჩემშედ, როგორც „ბნელოს“ ავტორი. ჭრიაქტურული წერილი უწერითაც მავრნებლენენ ჩემს შემდეგ ნაწერებზედ, რომ „ბნელოს“ ავტორი კარგად უნდა დაგენერაო. ასეთი შეხედულება და სინამდვილე, ამ შეხედულებასთა კეშმარიტებაც უნდა იყოს. „ბნელო“ ბუნებრივობაში დაბადადა. ვწერდი მას არა მისთვის, როგორც ზემოთაც გამოვხატე, რომ დამძერებული და გამომეტებულებია, არამედ მისთვის, რომ ეს ჩემი გულის მოთხოვნილებას შეადგენდა და არა ავტორის სურვილსა და ვწერდი იმ ცხოვრებიდამ, რომელშიც მე თვითონ ეტრიალებდი და ვინაშილებდი. შემდეგი ჩემი ნაწარმოებები კი იწერებოდა უკრ ერთი აეტორის შეკვებით და მის შექმნის სურვილით, და ასაც უფრო თვალსაჩინოდ ბეჭედდასმულია, ვწერდი იმ ცხოვრებიდამ, რომელშედაც შორის ვიყავი და არ ვიყავ მისი მონაწილეობის“.

მელანიას შემდეგი ნაწარმოები, რომელიც დაიზი ხის დუმილის შემდეგ გამოიცვეულია, იყო „ნავარდობა“.

დუმილის მიზეზი ის იყო, რომ მელანია მოექცა თუიცერთა წრეში, აქვა მათ ფუქსაგატურ ცხოვრების და კალმი დროებით გადადო. მაგრამ როცა გორში გადმოიყავას, დაუახლოვდა ნიკო ლომოურს, რომელსაც წინათ მისი ნაწერებით იკონიდა, აბლა დაიღი მეგობრები გახდნენ. მელანია ჩახანა გორშის სამოგადოებრივ ერთობრულ ცხოვრებაში. მწერალი თავის მოგონებებში წერს: „მე და ნიკო ეუეითხავდით ერთშემონართს, რასაცა ვწერდით...“ გორში კოუნის დროს დაწერა „ნავარდობა“, რომელიც დაიბეჭდა 1899—1900 წლის „მოამბის“ ნომრებში.

მელანია ამ მოთხოვნისაში ეხება კვლავ სოფიალურ საკითხს. განსაკუთრებით კარგად არის გაღმოცემული ის ჩვეულებანი ნიშნობ-ქორწილისა, რასაც საუკუნეობით იკავდა ქართველი ხალხი.

მოთხოვნისაში ძველი, ტრადიციული, ქართული ოჯახის ნიმუშად აღმარცვალი გიორგი ჭილაშვილის ოჯახი, რომელსაც ასულდეგმულებს შეტყიც წესები. ოჯახის უფროსი მისი გიორგის მეთაურობით მებს შორის გონივრულად განაწილებულია შრომა, უფროს-უმციროსობის მიხედვით, ვის რა ეხებრება და ვინ რომელ საქმეში გამოდგება ოჯახის დოკუმენტის გასაძლიერებლად.

მწერალმა გვიჩვენა, როგორც სოფლის პატრიარქალური ცხოვრების დარღვევის შინეზი კამიტალიში და ქალაქური ცხოვრების შეკრა გახდა, ისე ამ პატრიარქალური ოჯახის დარღვევის მიზეზიც იგივე არის, ქალაქელი რძლის შეკვანა ამ ოჯახში.

მელანიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკირავს მოთხოვნებს: „მამა ქრისტეულორე“, „პრივატორის მღვდელი“ და „კამილავეკა“. ეს მოთხოვნები გამოქვეყნებულია 1905 წლის რევოლუციის პერიოდში და მის შემდგომ.

„კამილავეკა“ დაბეჭდილია 1905 წლის „ვევრიაში“, № 7, „გარდანქეშანის-ფულედონიშით.“

„კამილავეკაში“ აღწერილია სასულიერო პირის ცხოვრება 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. როცა უმაღლესი მთავრობისაგან წარჩინებას მოეღოდა, მაგრამ

შისმა შეიღებმა რევოლუციაში მონაწილეობა შეიღეს და დედ-მამას წარმატების  
აზედები გაუცირდეს.

„პრივატარის მღვდელი“ იძექდებოდა ვალერიან გუნიას მიერ ასართო ეკულერნალში, რომელიც მეფის ცენზურის მიერ რამდენჯერმე იქნა აკრძალული და რედაქტორის შეუპოვარი ბრძოლის შედევრად ისევ აღდგენტერა სულისაფრ  
სახელშოდებით.

„პრივატარის მღვდელში“ მწერალს სააშეარაოზე გამოაქვე შესასტურებელ  
პირთა ცხოვრება, რომელიც მღვდლობას დებულობენ ქრისტიანით, და თავიანთი  
სიბარბით, დაუნდობლობით, მექრთამეობით და ავაზაკობით მძიმე ტვირთად  
წევებით შეჩრდილ ხალხს.

რაც შეეხება „მამა ქრისტეულორეს“ ესეეფ იმავე მოთხრობათა ცეკვს ეკუთვ-  
ნის, რომლებშიც სამარცხვინო ბოძზეა გაერტყა სასულიერო პირთა გაუმაძრობა  
და ოლიტრასნილობა.

„მამა ქრისტეულორე“ 1903 წელს ყოფილა ეურნალ „მომბეჭიანი“ წარდგენილა.  
მოყწონებით და დასაბეჭდადაც გამოშეადებით. აწყობილი კორექტურა გვერდე-  
ბად შეკრული ნებართვის მისაღებად ცენზურაში წარუდგენით. საცენზურო  
კომიტეტს ნაწარმოები აუკრძალავს. სოლომონ უუბანენიშვილის ცნობით, ამ  
მოთხრობის კორექტურა ინახება საქართველოს ცენტრალურის საცენზურო კომი-  
ტეტის საქმეში, № 1013 (სოლომონ უუბანენიშვილისათვის ეს ცნობა მიუწოდებია  
. გულშეცილი).

ქართულ ღიტერატურაში სამღვდელოების კრიტიკას, როგორც ბატონიშვი-  
ლისას გვხდებით დ. კონკაძის ბრწყინვალე ნაწარმოებში „სურამის ციხე“. იქ  
სულიერმა მამამ მღვდელმა შეასრულა გაშეშისა და პროეკტორის როლი.  
ნოდარი და მისი დედა აღსარების თქმის შემდეგ დააბეჭილა და ისევ ბატონით  
დააბრუნა. სასულიერო პირთა დაბასითობებს სხვა შეკრლების ნაწარმოებებშიაც  
გვხდებით. ზოგან დადგებითად (ილია ჭავჭავაძის „გლაზის ნამბობი“ და ალ. უაზბე-  
გის „მოძღვარი“) და ზოგან უარყოფითად.

მეღანის მოთხრობებში კი სადაც სასულიერო პირი გამოჩნდება, ყველგან  
დაბატულია თავისი გაუმაძრობით, სიმსუნავით, უსამართლობით.

„მამა ქრისტეულორეში“ მოქმედება იმ პერიოდიდან იწყება, როდესაც  
საქართველოში სამოქმედო ასპარეზშე ხალხოსნები გამოიდან. თვით მოთხრობის  
მთავარი მოქმედი გმირი ქრისტეულორე — სემინარიის სკამილან ხალხისნერი  
იღებებითა გატაცებული. სურს თავისი მომავალი მუშაობა გლეხეცის კირ-  
ვარამს დაუკავშიროს.

ქრისტეულორემ მისნად დაისახა წავიდეს არა მღვდლად, რისთვისაც სასწავ-  
ლებელი ამშაცებდა, არამედ სოლუსის მასწავლებლად, რომ ხალხში სწავლა-  
განათლება შეიტანოს, სწავლით ჩახელოს თავის ნაკლულოვანებებში და  
დაანახოს თავიანთი მღვმარეობა. ქრისტეულორე თავის თავს ასე ესაუბრება:  
„...სწორედ განვებამ მომიერინა ამისთანა სამსახური: სოფელში მასწავლებლობა,  
ტრიალი იმ ხალხში, რომელიც უმიტესად საჭიროებს შენს დამარებას და  
შევლს. თვით ეს გარემოებანი გიშლიან თვალშინ სამოქმედოდ ფართო ასპარეზს“.

ასეთი აზრებით იყო ის გატაცებული, როდესაც პირეელად სოფლის სკოლის  
მასწავლებლად დაინიშნეს.

საერთოდ ხალხოსნებს მეტად შძიმე პირობებში უხდებოდათ საზოგადოობაზე გამოსვლა. იმ დროს გლეხეაც შძიმე ტკირთად აწევა შპასახლის მიუღიარება, გზირი, ჩარჩინი, ბატონი თუ ნაბატონარი, სამღვდელოება, ერთი სიტუაცია ყველა ჭურის „ბობოლა“, რომლებიც ერთმანეთის ჯიბრით გლეხეაცინისან მეტ გვირჩინებას ცალილდნენ, გლეხეაცის დასაცავად კი ხმას არავინ მუქაშეს წილი ეს ანდაშა ზედ გამოკრილი იყო გლეხეაცის: საითაც წივილი, ტექტურული სტილი ეს ამიტომ გაძლია ის უნდო და უიმედო, გლეხეაცის ველაც კი წარმოდგინთ თუ ვინმე მათ საყვათილდღეოდ ხმას ამოიღებდა. ამიტომ იყო, რომ ხალხოსნების გამოსვლამ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა დამაგრულ ხალხს, თავიათ კუთამომურნეთ მაღლობის ნაცელად ხალხი ეუბნებოდა:

— ნეტავ ას დავხერებით. მასხრობთ. ამ მეორედ მოსვლის დროს ვის სკალიან თქვენთვეს. — ის სიტუაციი, რომლითაც ხალხში გასულ ხალხოსნებს უშისაპინძლდებოდნენ და ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხოოფასაც კი აყრენდნენ. დევნას, შეეტროებას და დაცინვას ხომ საზღვაოი არ ჰქონდა. ასეთივე გაძლია ქრისტეფორეს ხევდრიც. ის ადამიანები, რომელთათვისაც მოშაობა უხდებოდა საღ კლდესავთ, ცავად შეხვდა მას. ...ეგ რომ სულელი არ იყოს, ჩემო გაბრიულ ანაფრისა და მღვდლობას წინსა კერავდა? მღვდლობას უჩიტელობა და მასთან შეუძლებელი სიშილ-სიმწყვრელი ამობანია მას კეციანი კაცი ჩიცდეს თუ არა სულელი? აბა კეციანი და პატიოსანი კაცი, ჩემო გაბრიულ, სოფელში გაიქცია და ისიც უჩიტელად!

ა ნამდვილი ხევდირ ხალხისათვის თავდაბეჭული ხალხოსნობისა, რომელთა გულწრფელი ზრუნვაც არათუ არ მიიღო ხალხმა, არამედ ლანძლვა-გინებაც კი დაუწყო. ქრისტეფორეს განსაკუთრებით იშის გამო კიცხადნენ, რომ ღარიბ ბავშვებს ებრაებოდა.

ქრისტეფორე არ მოსწონთ, პეტელებენ ბლალონინთან და სოფლიდან ადვებდენ. ამგარად, ქრისტეფორე დამატებულა სამოლექეო ასპარეზშე და ეს დამატებება ისეთი საშინელი იყო, რომ მომაკედინებელი გარდატეხა გამოიწვია. არც ხალხს ესმოდა ქრისტეფორეს და არც დედას.

— არ მინდა მღვდლობაო, მე მდაბიო ხალხს უნდა შეეწირო თავიო. იმ მდაბიო ხალხმა კი არ ინდობა არც შენი გატაცებული სიყვარული და არც შენი საშასხური. გვირია პანლური და შეურაცხოოფით გამოვისტუმრა, — ასეთი საყვედური ეშირდა ყოველდღე ქრისტეფორეს დედისგანაც.

ოჯახის ეკონომიკურმა სიენწროეებ და საზოგადოების დევნამ აიძულა ქრისტეფორე, რომ მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასულიყო, და დათანხმებულიყო იმ თანამდებობაზე, რომლისაც წინააღმდეგი აქამდე თვით იყო. ქრისტეფორე შლედლად ეკურთხა.

თუ მოთხრობის დასაწყისში მწერლის სიმპათიები ქრისტეფორეს მხარეზეა, მოთხრობის დასასრულს ქრისტეფორე უკვე მღვდლელია და სრულიად შეცვლილი, ისიც ისეთივე წურბელად იქცა, როგორც სხვები.

საზოგადოდ მელანიას მღვდლები ცველენან უარყოფითად ჰყავს გამოკვანილი. და „მამა ქრისტეფორეში“ ეს უარყოფითობა უმაღლეს ხარისხამდევა აუვანილი. ალდათ ამიტომ, რომ ქრისტეფორე სხვებშე უარესა გახდა.

მამა ქრისტეფორესთან მიდის საწყალი გლეხი, რომელსაც ქერ შამა გარდაუც-

ვალა, შემდევ ძმა და ებედიშებოდა, მარილი მიუკროხეო, მაგა ქრისტენი და  
ციურლება, ფერ ერთისა არ გადაგიცდია და მეორისათვის მოხვედილი

— რა ა შემომიკეთო მთელი წირვა, თუ საწირავის მოცემის ილავა აა

ვეონდა? — მარილის კურთხველე უახს ეუბნება ქრისტიანობა.

— მაშ რა მცენა, შენი ჰირიშე, უსულოდ ხომ ვერ გადავაგდები, რა ა მცენა

მამა იყო... შემია მადლენა, გეფიცები მაღალ ღმერთის, ვიშვემშე, და მცენა ეპ

სწორედ გავტკავდები და შენ კი მომდურავს არ გამყოფებ, ხომ მოგვეხსენება, შე

დალოცვილო, გლეხიყაცის საქმე? დააღაც კარგი იყო ჩემთვისაც შეძლება

ვაქონდეს, შენც მოგაროვა შენი საწესო, ხელმწიფელისაც, ბატონისაც და ჩევნც

კუპი მაძლარი გვერნდეს, მაგრამ რა არ გვიძლევს მაგდენს ი დალოცვილი ღმერთის

— მე კი ჩემი უნდა ჩამაბარო და თუნდა მიწაში მოთხარეთ, მე რა მცნალევ-

ბა!... შენ შიმშილასაც იტან, სიტირელესაც, ფეხშიშეელობასაც, მე და ჩემს

ცოლ-შეილს კი არ შეგვიძლიან ეგვები და არც შეგვერის.

ასეთი სიტკებით უმასპინძლდება ზნრგეში მდგომარეობაში მყოფ გლეხს

ჰემი ქრისტეფორე, რომელიც ოდესალაც ოვათ გლეხი იყო, გლეხთა მოსარჩელე.

შელახის კალაში ეკუთხის აგრეთვე სატირულ-იუმორისტული ხასიათის

ნაწარმოებები. ამათ რიცხვში შედის: „სახელონი“, „ლადიკო“, „სიკეთე“, „აქეთ-

იქით გამარჯვება“ და სხვა. „სახელონანსა“ და „ლადიკოში“ სხვა მტკიცერლ

ხაყითხებთან ერთად დასტულია მომვალი თაობის ღლირდის საკითხებით.

შელანის მოთხრობების დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ დოკუმენ-

ტური სიზუსტით აგეიშერს ტველი სოფლის მყვიდრთა ტანქული ცხოვრების

შემზარე სურათებს. სოციალური და ეროვნული ჩაგვრით განაწმები აღამიანის

კვენესა ისმის მის გმირთა ყოველ სიტყვაში.

შელანის მოთხრობებს დიდი შინშვენელობა აქვს როგორც ამ ჩემი მოლვაშის

ნაწარმოებების გასაცნობად, ისე იმ პირთათვის, ვისაც ჩევნი წარსული ცხოვრე-

ბის შესწავლა სურს.



სიტყვების ახსნა

ଶ୍ରୀ ଶିକ୍ଷାରୀ — ଶ୍ରୀମତୀ ଲକ୍ଷ୍ମୀନାଥୀ ପାତ୍ରପାତ୍ରାଙ୍କଣ : ଅଶ୍ରୁକାଳୀନ : ଶାକ୍ତିକାଳୀନ :

• ४८६ •  
१९७५ - मिनी-एल्लीसफ्टवर, एन्ड्रोइड एप्पलीसफ्टवर का एक ग्राहकोंसफ्टवर है। इसके द्वारा शुरूआती, अंग्रेजी और अमेरिकी अंग्रेजी का समावेश है। इसका उपयोग अंग्रेजी का सीखने के लिए बहुत उपयोगी है।

۹. ۷. ۰. ۰ — არშიკი — თამაში ქალი იქნება თუ მამაკაცი. იტავიან; აშიონია.

ଶେଷ କାମରୁ — ପ୍ରାଚୀନତଳିତ ମିଳ୍ଲୋପିରୁ.

ବେଳ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ମଧ୍ୟାର୍ଥୀ, ଉପକାମିକାଙ୍କଷା ପିଲାର୍ଗ୍ଯାର୍ଥୀ, ଏବଂ ଶାଶ୍ଵତପାତ୍ରି ପାଇଁ ଦେଇଲାମାନ ହିସ୍ତିକାରୀ

ଦାର ପ୍ରାକାଳ ଏ ଲୋଗନୀକ, ପ୍ରାକର୍ତ୍ତିନି ନାହିଁଲୁଗ, ଲମ୍ବିଲୁଗ ତାଙ୍କାଟ ଅଧିକଲ୍ୟାପିଶ୍ଵଳଙ୍ଗ  
ଦା ମୃତ୍ୟୁକୁ ମାଝେକରିବାରେ ହେବା.

**ପ୍ରସରିତ କାହାରେ** — ଖୁବଶ୍ରୀଳି ଦ୍ୱାରା ଲିଖିତ ଏକ ପ୍ରକଟନାମାଲା ପାଇଁ ଏହା ହାତରେ ଆପଣଙ୍କ ପରିଚାରକଙ୍କ ମଧ୍ୟ ଦେଇଛି।

ବୀକଣ୍ଡା—ନାଲିଲ ଲେଖନ ଏବଂ ରୁଦ୍ରମଳୀ ଶ୍ରୀ

ଦେଇଲୁ କାହିଁ ନାହିଁ । କାହିଁ କାହିଁ ନାହିଁ । କାହିଁ କାହିଁ ନାହିଁ ।

ଦ୍ୱାରା କୁଳାଳିତା ହେଉଥିଲା, ଦ୍ୱାରା କୁଳାଳିତା ହେଲା — ଏହାପାଇଁ କାନ୍ତରୁଲିଆ, କୁଳାଳିତା କୁଣ୍ଡା କିମ୍ବା କୁଣ୍ଡାରୁଲିଆ ହେଲାଯାଇଥିଲା।

ბ ლ ა ლ ო ჩ ი ა ნ ი — რუსულიდან, მოწევსრიგე შეკვეთი გარეულ უბანში.

ბ უ ლ ა — მოხდენილი, მშევნიერი, იტყვესან: რა ბუქლა კოვონაა.

**ଶ୍ରୀ କାନ୍ତିଚିତ୍ତ—** କୁରୁକ୍ଷେତ୍ରରେ ଏହାରେ କାହାରିଲେ କାହାରିଲେ କାହାରିଲେ କାହାରିଲେ

გ ა მ ი კ ა ნ კ ლ უ ლ ი — ძალიან კარგად, კოხტად ჩატარები

ଶ୍ରୀ କଣ୍ଠ ପାତ୍ର — ଶାଶ୍ଵତରଳା, ଶାନ୍ତିରଳା, ଶାଶ୍ଵତରଳା,

၃၀၇။ နှစ်လ ၂ ပဲ။ — ကျေလီ မိုးလီ၊ ကျေလီ ရွှေလီ။

၃၁၃။ — ဂရုဏ်ဆိပ်လျော့ခြော (ဒေဝါယတ္ထလိပ်) မြန်၊ မြှုပ်စာ လူ စာလာဏျာဒ်၊ နိုင်ငံခိုးလွှာ စံမိန္ဒာပုံ၊ ဘွဲ့ချော် ရွာသာက်၊ အကျဉ်းသွေ့၊ ဖျော်ရုံရှုံး ပျော်。

డాక్టర్ కె. లోకినా — డాక్టర్ కె. లోకినా.

డ್‌ರ್‌ಪ್‌ಲ್‌— ಅ ಶ್ರೀಮತಿಕೃಪಾಂಶಿ, ಗಾಯತ್ರಿರ್ಗಂಭೀರ, ಪ್ರಾಣಿಕ, ಸಾರ್ಥಕಾಲ್ಯಾಂಕಿನ್‌

କିମ୍ବା କିମ୍ବା — ଜୀବିନ୍ ଲୁପ୍ତିରେ, ଗାଲାପ୍ରେରେ (ଶୈଳିରାତ୍ ଶ୍ରେଣୀକ୍ରମାତ୍), ଅଶ୍ଵର ଅତିକାଳିକାର, ଏ. ଏ. ହାରାକ୍ଷାଶ୍ରମରୁବା.

ଦ୍ୱାରା କାହିଁ ପାଇଲା— ଶ୍ରୀରାମଙ୍କ ଦ୍ୱାରା ଗୁଣପୂର୍ବକିତ ମନୋଶୈଳ୍ପରେଣ୍ଟ, ଶ୍ରେଣ୍ଟ ଦ୍ୱାରାରୁ, ଓ. ଓ. ସାହେବ ଶ୍ରୀରାମଙ୍କ କ୍ଷାପ୍ଯାଇଲାଏ.

და პლატილი — მოშესამული. გველმა დაბიბლა ან მოხიბლაო. ციცამდევი  
დახიბლულაო.

და პლატილი — დაქერა ნასესხები ფულისა, ან ნათხოვი ნიერის მცემულები გარის  
თქმა.

და გირგილი — ძალიან დამბალი. მაგ., ლობიოს მაჟურა და უკანასი გარების  
რომ ჩავდონ, რამდენიმე ხნის შემდეგ აზილონ, ის იქნები უსამარტინი კე  
წყლით გადღენთილი, იტყვიან: დაჯირევებულიათ.

და იანე — დაკონი.

და მიკოტონი — ერთგვარი ქსოვილი შალისა. მლელლის სამოსისათვის  
იმპარება.

და ამა — გადასახადი, რომელსაც იწერდნენ მლელლისათვის.

და კოდი — პირველი მაყარი (მამობილი) ქორწილში.

თა ბა უთი — ანგარიში, აზრი. ის თაბაუთიანი კაცია, ან უთაბაუთოდ, უასროდ  
და უსაბუთოდ არაფერს იტყვისო.

თა ვ გა მოუბ მელი — დაუმთავრებელი.

თავთას პერანგი — თავთი და მოერ ერთგვარი რბილი ქსოვილი, რომე-  
ლიც საპერანგები იმპარება.

თი თლიბა თობა — პირმოთნეობა, ფარისეველობა, პირფერობა, მლიქენელობა.

თა ფინგი — წილისახსამი ნაბადი, გრძელ ხელუებულებიანი. შეიძლება ნაბადი  
უბეწვეო იყოს, მაგრამ მას იაფინქს არ ეძახიან.

თა მუნდებ თდა — ხარბად ჭამდა.

ა ბ დ ი — ფარცხის წინ მიბმული ფიცარი ჩაქებე დგას. გორახს ფშხვის, ხნელს  
ასწორებს. აველან თქმულება: კაბდომ იყის სამართალი, დაბალს-მაღალს  
გაასწორებს.

ა მ ი ლ ა ვ კა — მლელლის თავსაბურავი (ქრდი) ჭილადო მიღებული. ხაერდის,  
ცილინდრისებური, მაღალი.

ა რ ა ბ ა ნი — სახლის უკედლო დერეფანი.

ა ჩ ი — ქაჩა, კედლები ან ბორჩე მიქედილი ხე, ან საჭონლის რქები რისამე  
დასკიდებლად.

ო დ ი ზ ი — უკურადლებო, მოხარმაცე.

ო რ ა ნ დ ა რ ი — ნაბოლარა, უმცროსი, ყველაზე პატარა შეილი.

ო რ ი მ ი — ხეების გაუფი მინდონებში, ბუჩქნარი გზის პირას.

ო უ ხ ა ლ ი — მრევნის რტოები, რომელშედაც ორი-სამი მარცვალი უკრძენი  
არია, კიწაც ეძახიან.

ა პ რ ი — ხობის გართვე, ბარტყი.

ა ჭ ა ნ ი — წვრილი ხე, წნელისათვის.

ა ვ ა ლ ი — ქორწილში პატარლის დედობილი.

ო შ ი — უკსაცმელისთვის გამოვანილი ცხვრის ტყავი, დაბალი ხარისხისა.

ს დ უ დ რ ი — ეკლესიის სახელია. არსებობს რელიგიური დღესასწაული  
„მშეღლრობა“.

ა გ ვ ი — მლელლმთავარი, მისანი.

ხ ე — მირეც-დამჩევე, დაწყობილი საქმის ჩამშელელი. იტყვიან: მრე კაცია.

უ დ ა ბ ა ნ ი — მწერარება, დარღვ და მუღაბანა არ დაელია, იტყვიან.



ନେତ୍ର କୁଳଗା — ଏହି ନାଟ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ, କନ୍ଦଳିଲ୍ ପ୍ରଧାନ ମହାରାଜ, ପ୍ରଧାନ ନାଥଗୋପାଳ

ମେଲାର୍ଯ୍ୟ ପାଇଁ କିମ୍ବା ମେଲାର୍ଯ୍ୟ ପାଇଁ କିମ୍ବା

ନାବୋଦେ—ଶ୍ରେଷ୍ଠ, ଉଦ୍‌ବାଲୀ, ପ୍ରସ୍ତରାଳି, ନାବୋଦୀ ଏବୁ କାହାଲିଙ୍କିର୍ତ୍ତି କିମ୍ବା କିମ୍ବା

କାର୍ତ୍ତର ଜୀବନ— ବ୍ୟାମିଳଙ୍ଗାରୀଙ୍କ ଯୁଦ୍ଧରେ ପ୍ରେସରିଲାଙ୍କ, ଏକେଲାଙ୍କ ବାର୍ତ୍ତାକୁଣ୍ଡାଳୀ, ବାଲ୍ମୀକିଶ୍ରୀରେ

କାର୍ତ୍ତିକେ ଶବ୍ଦରେ — ଲାଭିତୁଳ ଶ୍ଵେତମୟ କୁଣିପ ହନ୍ତି ଏହାର ହିନ୍ଦୀଙ୍କା ଜିଲ୍ଲାରେ ଉପରେ

**5 ေသာစနစ်အား — ရုပ်ပြန်လွှာ စိတ်ဖျေား၊ ဒာရ်ဝါဒ် ဒေသနံပါး မြတ်မြတ်ပါ၏ စာတမ်းများ**

503 — კილომეტრი, ან სქელით კმოველის ჩამონაჭრებისავარ დაწინული სათანი.

თ ხ ა თ ბ ა — ონიერობა, უსაქმილო ხემჩინიბა, უაშრო თამაში, მრავალბ

ପ୍ରାଚୀନତାରୁକ୍ତି ତାଙ୍କୁ ଦ୍ୱାରା ଶିଖିଲା.

— ရွှေကြော်ခို, ဖျို့စီမံ လာ ပြေားလဲလျှေလာသွေ ဖုန်လျော်စွဲ စာရွက်ပြုပါမယ့်အတွက်

— අනුශාසනජලිය, සොයුපෙළමාව ප්‍රතිච්චිතයි.

၃၄၀၈ ၂၅ ၁၉၆၀ — အာကျိုက်တွေ့လှု၊ ပြည်ကြံး  
၃၄၀၉ ၂၇ ၁၉၆၀ — အာကျိုက်တွေ့လှု၊ နားလွှာရှိခိုင် ဂုဏ်ဆောင်း မြေမြန်မြေ

16-5200 — *strenuo* *flavescens* *flavescens* *flavescens* *flavescens* *flavescens*

— ეოთხველი ქსოვილია, ძევი უკრის, სატიხასავა

Տ ա թ ո ց ո — Եռև շհու.

துறைமன்ற தாகே

ტ ა მ ბ ა ს ი — ივიურა, რაც მაღარიში. რაიშე განსაკ

— କୁଣ୍ଡଳାରୀ — କୁଣ୍ଡଳାରୀ

— അന്താവും മലബാറിലെ പുരാതന ക്ഷേത്രങ്ങളിൽ

— ၁၇၃၂

Digitized by srujanika@gmail.com

— არაქართულია. ნიშნავს მედალი — წარმატების გადასახვა.

— ၁၃ — ရွှေကြောင်း၊ အစိမ်းအပိုင်း မလိမ့်နေရင်း မာနဲဒေါ်လာဖူ.

— କ୍ରେବ୍ରାଣ୍ଡ ଲେନ୍, ଏବାଲମ୍ପିନ୍ଟଙ୍କ  
— ହାତେ — କିମ୍ବା କିମ୍ବା ଏବାଲମ୍ପିନ୍ଟଙ୍କ

Հ ա ն ա լ ս, ը ա ն կ լ ո — Տաշման տաշմո ն ո մ ա ց ր օ ս ա տ ա ց ո ւ ս ե մ ո ր թ պ ի լ ա ր ։ Կ ա մ ա հ ո ւ ր ։  
Հ յ ո ն ո ւ ս հ յ ա լ ո .

Մ ա ջ ա լ ո ւ ս տ ա ց ո — Ց ի ս ե ց ո լ ո լ ո ւ ր ն մ ա ն ո , Տ ո յ ո ւ ս ե ծ պ ա լ ո ւ ր ն մ ի լ ա լ ո ւ ր տ ա ց ո ւ ։

Մ ա լ ա լ ա ն ա ն ա — Ս ա շ ե մ ո ւ ր ո , Տ ա ց ե ց ե լ ա լ ա լ ո ւ ր ո ւ ։

Մ ա լ ա լ ո ւ ս ն ո ւ ն ո — Շ ա ր տ ո ւ դ զ ա լ ո ւ ր ո , Վ ր լ ո ւ ր ո , Շ ե ր ո ւ ն ո , Լ ա լ ո ւ ն մ ի լ ո ւ ր ո ւ ։

Մ ա ր ա հ ո ւ ս լ ե ն ո ւ ս զ ա վ ա ն ե ց գ ա դ ա ս ա լ ա ր ը մ ե լ ո ւ ր ո ւ ։ Խ ո յ ի լ ո ւ ր ո ւ ը մ ա յ ո ւ ր ո ւ ։

Մ ա լ մ ո ւ թ ե մ լ ա ն ա — Ո մ ե լ ա լ ո ւ ր ո ւ ր ո ւ ։

Մ ո լ ո ւ ս — Ֆ ր ո յ ո , Մ ո ւ ր ո ւ ր ո ւ ն է յ ր հ ո , Տ ա շ ե ս ա լ ա ր ո , Ո մ ե ն ո ւ ր ո ւ ն : Կ ո լ ո ւ ս մ ո ւ ր ո ւ ։

Մ ո ն ք ո ր ա ն ա — Վ ր տ ց ա ր ո ն ա լ ա ն ա , Ֆ ա լ ա լ ո ւ ո ւ ր ո ւ ։

Մ ո ւ ր ո ւ ս յ ո ւ ն ո — Վ ր տ ո ւ լ ո ւ յ ա ծ ո ւ ս թ ա յ ա ն ե ց Տ ա մ յ ո ւ թ ե լ ա ն գ ա դ ա յ ո ւ լ ո ւ ։ Ո ւ շ ո ւ ն ո : Կ ա մ ի ս ա ն ո ւ ս յ ա ծ ո ւ ։

Մ ա յ ո ւ ս — Ե ր տ ո ւ է լ ո ւ ս լ ո ւ ։

Մ ա յ ո ւ ս ա յ ո ւ ն ո — Տ ա ց ա ր ո ւ Տ ա յ ո ն ե լ ո ւ ։

Մ ո ն ք ո ւ ս — Ը ա ս ե լ ո ւ ս գ ա լ ո ւ ր ո ւ ն ն ա վ ո ր ո ւ ։

Բ ա ն ա ն ո — Մ ա ր ո ւ ր ո ւ լ ո ւ ն Տ ա յ ո ն ա ն ( յ ա ր տ լ ո ւ ն ) .

Բ ա ն ա ն ո — Մ ե լ ո ւ ր ո ւ ն յ ա մ ա ն ո ւ ս ք ա ն ե ն ո , ք ա մ ի ս ա լ ո ւ ։

Ո ւ ս ո ւ թ ա ն ա — Ա ռ պ է լ ա լ ո ւ , Ս ի ր ա յ ա լ ո ւ , մ ա ր դ ա լ ո ւ . Ո մ ե ն ո ւ ր ո ւ ն : Ո ր պ յ ե ա լ գ ա յ ե տ ա Տ ա յ ո ն ո ւ ։

Վ ա լ ո ւ ս — Տ ա կ լ ո ւ ս կ ր ե լ ո ւ ն գ ա ր ա ն ո ւ թ ե ն ո ւ վ ա ն ի ս ա յ ա ն ո ւ ն լ ո ւ ։ Մ ե կ ո ւ լ ո ւ ն մ է յ ո ւ ն ո ւ ։

Վ ա ն ի ս ա յ ո ւ ն ո — Տ ա մ ի ս ա ն ո ւ ս մ է յ ո ւ ն ո ւ ։

Վ ա լ ա ն ա ն ա — Գ ա լ ա յ ա ն գ ա ն ո ւ ր ո ւ ն լ ո ւ ։ Տ ա ն ա յ ա ն գ ա ն ո ւ ր ո ւ ն լ ո ւ ։ Տ ա ն ա յ ա ն գ ա ն ո ւ ր ո ւ ն լ ո ւ ։

### პირადი მოსახლეები

- III. „ბ ნ ე ლ ი“ დაიბეჭდა 1888 წელს, გამ. „ივერიის“ №№ 141, 142, 143, 145, 146, 147, 148, 150, 151, 152, 153, „მელანიას“ ფსევდონიმით. გახეთში პირველი თავი არ არის დაბეჭდილი, მოთხრობა იწყება მეორე თავიდან, როგორც ეტყობა, ცენზურას არ გაუშევა.
- 1891** 1892 წელს „ქართველთა მხარეგობას“ უალკე წიგნად გამოიცა. 1920 წელს გამოსცა მეორედ „წერა-კითხვის გამარტიულებელმა საზოგადოებამ“. 1954 წელს გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“ ვერონტი ქიქოძის წინა-სიტყვაობითა და რედაქტირით.
2. „კ რ ი ა ლ ი ხ ა ნ“ დაიბეჭდა 1894 წელს „მოამბეში“, № 4. თარგმნა რუსულად და დაიბეჭდა „Новое Обозрение“-ში.
3. „ნ ა ვ ა რ დ ი ბ ა“ დაიბეჭდა კურნალ „მოამბეში“, 1899 წ., №№ 4, 5, 6, 7, 8, 11 და 1900 წ., №№ 5, 6. იქ იბეჭდება შემოკლებით.
4. „ლ ა დ ი კ ი“ დაიბეჭდა 1902 წელს უურნალ „მოამბეში“, № 8.
5. „ქ ე დ ნ ი ხ ლ უ ლ უ ნ ი“ დაიბეჭდა 1904 წელს, უურნალ „მოამბეში“, № 6.
6. „ქ ა მ ი ლ ა ვ კ ა“ დაიბეჭდა 1905 წლის „ივერიაში“, № 17, „გარდანქეშინის“ ფსევდონიმით.
7. „პ რ ი გ ა ვ ა რ ი ს მ ლ ვ დ ე ლ ი“ იბეჭდებოდა ვალერიან გუნიას ალმანახებში. პირველი სამი თავი დაიბეჭდა 1908 წლის ალმანახში: „ავაკის ჟურნალუროში“ „მტერ-მოცვარის“ ფსევდონიმით. მეოთხიდან მეექვესე თავიდე დაიბეჭდა 1909 წლის ალმანაზ „ჩალაში“, № 5. უკანასკნელი თავები დაიბეჭდა 1909 წ. ალმანაზ „ნიავში“, № 8.
8. „მ ა მ ა ჭ რ ი ს ტ ე ფ ი რ ე“ 1903 წელს წარუდგენია „მოამბეში“ დასაბეჭდად, გაუშეაღებით. აშკაბადილი ცენზურას აუკრიბალავს. 1934 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სოლომინ უუბანერშვილმა.
9. „ს ი კ ე თ მ“ უალკე წიგნად გამოიდა 1915 წელს „ვიორგი და ვეურქას“ სახელწოდებით.

10. „სახელოანი“ დაბეჭდილა 1916 წელს „საქართველოს სერაფიმშვილის ტებაში“. №№ 17, 18, 19, 20, 21, 22, 23.
11. „კეთივით გამარჯვება“ დაბეჭდილა 1917 წლის ებრაულ „თეატრისა ურარესადა“ ტებაში, №№ 32, 33, 34, 35.
12. „ზურაბ მოსხლე ტილიძე“ იბეჭდება პირველად საქართველოს ცა-ხელმწიფო ლიტერატურულ მუშეულში დაცული ხელნაწერიდან.
13. „ორი საკლავი“ იბეჭდება პირველად საქართველოს სახელმწიფო ლიტ-მუშეულში დაცული ხელნაწერიდან.
14. „მამა აბრამი“ იბეჭდება პირველად საქართველოს სახელმწიფო ლიტ-მუშეულში დაცული ხელნაწერიდან.
15. „წერილები“ იბეჭდება პირველად საქართველოს სახელმწიფო ლიტ-მუშეულში დაცული ხელნაწერიდან. მოთხოვთა ღაუმითავრებელია.

## ସାମଗ୍ରୀ ୩୦

ଶ୍ରେଣୀ . . . . .	3
ପ୍ରକାଳିତିବାଚି . . . . .	98
ନାୟକଦର୍ଶକ . . . . .	116
ଲାଲିଜ . . . . .	180
କ୍ଷେତ୍ରନିଃ ଲ୍ଯାଲିରି . . . . .	200
ପାଥିଲାଙ୍ଘା . . . . .	208
ପରିହାରେଶ୍ଵରିନିଃ ମଲ୍ଲପ୍ରେସରି . . . . .	217
ମାମା ଫରିଲୁଗୁରୁଙ୍କ . . . . .	246
ଶିକ୍ଷଣ . . . . .	273
ଶାକ୍ରୋଚିନି . . . . .	287
ଅକ୍ଷେତ୍ର-ନେତା ପାତ୍ରକର୍ମୀଙ୍କ . . . . .	313
ଶ୍ରେଷ୍ଠ ମନ୍ଦିର ପାତ୍ରକର୍ମୀଙ୍କ . . . . .	328
ନାରୀ ସାକ୍ଷାତି . . . . .	348
ମାମା ଏବାମିନି . . . . .	405
ଶ୍ରେଷ୍ଠକର୍ମୀଙ୍କ . . . . .	412
 ମେଲାନିଃ — ବ୍ୟାକାନ୍ତ ବାନ୍ଦିଙ୍କ (ମନ୍ଦିର ପାତ୍ରକର୍ମୀଙ୍କରେ) . . . . .	435
ଶିର୍ଷକର୍ମୀଙ୍କ ବାନ୍ଦିଙ୍କ . . . . .	447
ଦିଦିଲିନୀକର୍ମୀଙ୍କ ବାନ୍ଦିଙ୍କ . . . . .	451

Gamma  
899, 962, 1 — 32,  
8 527



රුදජායේතිනරී ඩළ. තික්මෝනි  
ගාලීමුවෙම්ලාංඩිස රුදජායේතිනරී උ. තුදෙගැනීදා  
ම්බාත්‍යාධික ම. තුදෙහැලි  
ම්බාත්‍ය, රුදජායේතිනරී ම්. පානාච්චිලා  
උපුරුදජායේතිනරී එ. මිනාර්ඩ්‍යිලා  
පුරුදජායේතිනරී ත. මෙසුලිනා

\*

කොළඹුරුදිලා දාසාධුප්‍රදාඟ 25/11, 1965 ඩ.  
ශාලාලුදිස තැම්බ 60X84<sup>1</sup>/16  
නැඩප්‍රදි තාධාත් 28,3  
සාංච්‍ර.-සාගාමිමුවෙම්ලා තාධාත් 23,14  
උපුරුදජායේතිනරී 10.000  
ඇයුව. № 1149  
සාන් 1 මාත. 02 යාං.



Мелания

(Николоз Георгиевич Натидзе)

Воркованье голубя

Рассказы

(На грузинском языке)

Издательство «Литература да Хеловнеба»  
Плеханова, 179

19 Тбилиси 65



ხრამბა № 1, თბილისი, თრიტონის ქ. № 50.  
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

中原書局  
中華書局